780 / 2
1992

ISSN 0134-9848

# საუნჯე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1992/3 მაისი—ივნისი



1997/3
ივნისი
(104)

# საუნჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ჯოზეფ კონრადი. ლორდი ჯიმი. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ — 8

ინგლისური პოეზია. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა დარეჯან კაპანაძემ — 180

იულიუს ბარჩ-ივანი. დიქტატორი. პიესა სლოვაკურიდან თარგმნა მაკა ნაჭყებიამ — 183

ვლადიმერ ნაბოკოვი. ლექსები. რუსულიდან თარგმნა ავთანდილ ხვანმა — 184

იოანა შპირი. პაიდი. გერმანულიდან თარგმნა ხათუნა ფხოველიშვილმა — 187

ოსკარ უაილდი. ადამიანის სული და სოციალიზმი. ინგლისურიდან თარგმნა მანანა არჩვაძემ — 287

### წერილები

რობერტ მუზილი. ლიტერატორი და ლიტერატურა და ამასთან დაკავშირებული განაზრებანი. თარგმნა დათო ბ[illegible]აძემ ბარბაქაძემ — 406

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1992 წ. № 3
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა ტყორბია (პ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
ზურაბ გოგიაშვილი
ნოდარ ბურმეიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ყიასაშვილი
დავით წერედიანი

გარეკანზე: ნანინა ჭალენა, თავისუფლება.

მხატვარი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ხართიანი

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 6. 05. 92 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 2. 08. წ. ქაღალდის ზომა 70X108 1/16
სააღრ. თ. 25,51. სას. თ. 28 ტირ. 7000, შეკვ. № 741

ფასი 10 მან.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბა.
380096, თბილისი, ვ. კოსტავას 14.

# ჯოზეფ კონრადი

# ლორდი ჯიმი

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი 17

დაბოლოს შემოვიდა-მეთქი, მაგრამ, მგონია, საშინელმა წვიმამ აიძულა, კიდევ უფრო მეტი გააფთრებით დასცხო და მერე თანდათანობით იკლო ჩვენი საუბრის ხანს. გულდინჯი, თავდაჭერებული გახლდათ, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ბუნებით ჩუმი, რაღაც იდეით შთაგონებული კაცი. თავის მატერიალურ მდგომარეობაზე ველაპარაკებოდი, ერთი მიზანი მქონდა, როგორმე უნდა გადამერჩინა, თუ არადა არ ასცდებოდა დაცემა, განადგურება და უსასოობა, უმეგობრო, უსახლკარო კაცს სულ მალე მოელებოდა ბოლო. ვეაჯებოდი, უარს ნუ მეტყვით-მეთქი დახმარებაზე, ვუსაბუთებდი, და ყოველ წამს იმის პირტიტველა, ბავშვურ, ჩაფიქრებულ სახეს რომ შევცქეროდი, შეშფოთებული ვგრძნობდი, ვაითუ ვერც ვუშველო-მეთქი და, უფრო მეტიც, იქნებ სულაც ხელს ვუშლიდი იმის დაშანთულ გულში გამართულ იდუმალ, აუხსნელ, შეუცნობელ ჭიდილს.

— მგონია, თქვენ ჭამა გინდათ და დალევა, ჭერქვეშ ძილიც, როგორც წესი და რიგია, — მახსოვს, ბრაზით ვეუბნებოდი მე იმას, — თქვენ კი აცხადებთ, არც გავეკარებიო იმ ფულს, რომელიც მერგება... — ხელი გააქნია, თითქოსდა თავისი შეძრწუნების გამოსახატავად (სამი კვირისა და ხუთი დღის ჯამაგირი ეკუთვნოდა „პატნაზე" სამსახურისთვის), — კი ბატონო, ცოტაა, მაგრამ ხვალ რა უნდა ჰქნათ? ვის მიადგებით? ცხოვრება ხომ გინდათ... —

— ეს არაა მთავარი, — ძლივს გასაგონად ამოთქვა მან. ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და კვლავ შევებრძოლე იმას, ჩემი აზრით უსაშველო თავმდაბლობას. „სრული უფლება გაქვთ, — მივუგე მე, — თქვენ უნდა მიიღოთ ჩემი დახმარება". „შეუძლებელია", მითხრა მან უბრალოდ და [illegible]ობით, საკუთარ გულში ღრმად ჩაჭდეული რაღაც იდეა ასაზრდოებდა იმას, შემეძლო აღქმა იმ იდეისა, ისე როგორც ბნელში ტბორის ციმციმისა, მაგრამ წარხოცილი მქონდა იმედი მასთან იმდენად მიახლოებისა, რომ ჩავხვედროდი იმის სიღრმეს. მისი დიდებული ტან-ფეხი შევათვალიერე. „თუნდაც ასე იყოს, — მე ვუთხარი, — ისეთს გეხმარებით როგორსაც გხედავთ. მეტს არც არაფერს გპირდებით. სკეპტიკურად გადააქნია თავი, არც კი გამოუხედავს ისე. გავცხარდი. „მაგრამ მე შემიძლია, — აღარ მოვეშვი, — მე შემიძლია უფრო მეტიც. უფრო მეტიც-მეთქი. მე თქვენი მჯერა... ფულით... — დაიწყო იმან. „გეფიცებით, კი ხართ ღირსი, კაცმა გითხრათ, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათო", — დავუყვირე მე;—ჯანწყვეტ ავუწიე ხმას, შეკრთა, გაეღიმა, შეტევა განვაგრძე.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

„ფული აქ არაფერ შუაშია, თქვენ ზედაპირულად მსჯელობთ, — ვუთხარი მე (და იმ წუთსავე, გავიფიქრე, მგონია, წამოეგო-მეთქი ანკესს). — შეხედეთ ამ წერილს, თქვენ უნდა წაიღოთ. მე ვწერ იმ კაცს, ვისთვისაც ჯერ არაფერი არ მითხოვია, თქვენ შესახებ ვწერ ისე, როგორც უახლოეს მეგობარზე, თქვენი თავმდები მე ვარ, აი რასა ვიქმ, და თუკი თქვენ ცოტათი დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ..."

თავი ასწია. წვიმამ გადაიღო, მხოლოდ ის საწვიმარი მი[illegible]-დი ცრემლებს სარკმლის ქვემოთ საოცარი ბუყბუყით, ბუყბუყით. სიწყნარე სუფევდა ოთახში, სანთლის შუქი ციმციმებდა და იმისი სწორი ჩრდილები ჩაჰრილიყვნენ ოთახის კუთხეებში დაშნის წვერებივით. მქრქალი ნათელი გადაეფინა იმის ყმაწვილკაცურ სახეს, თითქოსდა განთიადის ჟამი დამდგარიყო.

— ღმერთო ჩემო! — ასე შეჰყვირა, — თქვენ რა კეთილშობილი კაცი ყოფილხართ!

იმას უცებ ჩემთვის ენა რომ გამოეყო დამცინავად, ასე დამცირებულად არ ვიგრძნობდი თავს. გავიფიქრე, კიდევაც ვარ ღირსი, რას გადავეკიდებივარ-მეთქი... თვალებანთებული პირდაპირ მე მიმზერდა. მაგრამ ისიც შევნიშნე, არ დამცინოდა. უეცრად მკვეთრად შეირხა ზონრებით მოსამართი ხის სათამაშო ტიკინასავით. ხელები ასწია ჯერ, მერე მოწყვეტით დაუშვა. სულ სხვანაირად წარმომიდგა ეს ყმაწვილკაცი, მე კი ვერაფერს ვამჩნევდიო. შესძახა იმან, მერე უეცრად ტუჩები ჩაიკვნიტა და მოიღუშა. რა ბრიყვი ვყოფილვარო, წარმოთქვა მან ნელა, თრთოლვით... ყოჩაღ თქვენო, დაბალი ხმით დასძინა. ხელი მტაცა ხელზე, თითქოსდა პირველად დაინახა ახლა, და მაშინვე გამიშვა. „რად! ეს ხომ... თქვენ... მე, — დაიწყო იმან ბურტყუნით, წინანდებურად, ერთი სიტყვით ჯორივით გაჯიუტებულიყო ისევ, — პირუტყვი ვიქნებოდი ახლა, თუკი..." — ხმა ჩაუწყდა. ნუ, ნუ-მეთქი, ვუთხარი მე. შევშფოთდი, მოზღვავებულ გრძნობებს წარმოეჩინა იმისი მღელვარება. ჩემდა უნებურად მოვწიე ზონარს, იმ სათამაშოს მართვა კი არ ვიცოდი. „მე უნდა წავიდე ახლა, — თქვა მან, — ღმერთო ჩემო! თქვენ შვება მომანიჭეთ. ადგილზე ველარ ვჩერდები. სწორედ ეს არის, — გაოცებით და აღფრთოვანებით შემომხედა, — სწორედ ეს არის..."

თქმა არ უნდა, სწორედ ეს იყო. ათგზის სწორი, უფრო სწორი ეს უნდა ყოფილიყო, შიმშილისაგან ვიხსენი, რასაც მოსდევს ლოთობა, მორჩა და გათავდა. ამ მხრივ არ მოვტყუებულვარ, მაგრამ იმას რომ შევცქეროდი, გავიფიქრე, რა კაცია-მეთქი ის, ვინც იმის გულში დაიდო ბინა ამ უკანასკნელ სამ წუთში. ჩემი შეწევნით იმას შეეძლო ღირსეულად ეცხოვრა ამ ქვეყანაზე, ჰქონოდა სასმელ-საჭმელი და თავშესაფარი, როგორც წესი და რიგი, ხოლო იმის დაჭრილ სულს შეეძლო შეყუჟულიყო სადმე კუნჭულში ფრთამოტეხილი ჩიტივით, რათა წყნარად მოღებოდა ბოლო დაუძლურებისაგან, სწორედ ეს გამიკეთებია მე მისთვის, მართლაც სულ მცირეოდენი, და... ვაითუ!..

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ აღიქვა ჩემი დახმარება, სანთლის მქრქალ ნათელზე ეს სულ მცირეოდენი შემწეობა რაღაც ვეება, ბუნდოვანი და იქნებ სულაც საშიში გამოჩნდა. „მაპატიეთ, სიტყვებს ვერ ვპოულობ! — შეჰყვირა იმან. — რაღაც უნდა ვთქვა, ჯერ კიდევ გუშინ თქვენ მე ძალიან დამეხმარეთ, ყური რომ დამიგდეთ... გესმით. გეფიცებით, რამდენიმეჯერ იყო და ფიქრისაგან კინაღამ თავი არ გამისკდა." ის წრიალებდა... დიახაც წრიალებდა მთელ ოთახში, ჯიბეში ხელები ჩაიწყო, მერე ისევ ამოიღო, ქუდი დაიხურა, ვერც კი ვიფიქრებდი, ასე თუ ამჩატდებოდა, ქარით ატაცებული ხმელი

ფოთოლი წარმოვიდგინე და იდუმალმა წინათგრძნობამ, რაღაც მძიმე ეჭვებმა დამრია ხელი, სკამიდან ვეღარ წამოვდექი. უეცრად გაშეშდა, თითქოს დაავ-ზარი დასცა რაღაც ახალმა აღმოჩენამ. „თქვენი ნდობა რით დავიმსახურე," განაცხადა მან პირქუშად. — ოჰ, ღმერთმანი, რას მეუბნებით, ჩემო მეგობარო, რას-მეთქი! ვუთხარი ნაწყენმა. ამიერიდან მე ჩუმად ვიქნები, ჩემს ფიქრს ხომ ვეღარ დამიშლით... არაფერია... არაფერიო... თქვა ეს და სწრაფად მივიდა კართან, შეჩერდა თავჩაქინდრული, მერე უკან მობრუნდა, მტკიცედ მომიახლოვდა. „ყოველთვის ვფიქრობდი, თუკი კაცი შეძლებს თავიდან დაიწყოს სუფთა სინდისით... და ახლა თქვენ... გარკვეულწილად... დიახ... სუფთა სინდისით". ხელი დავუქნიე, ისე გავიდა, უკან აღარ მოუხედავს; კარს იქით თანდათან გაილია იმისი ნაბიჯების ხმა... გულმტკიცედ მიაბიჯებდა ის ყმაწვილკაცი ვითარცა მზით განათებულ ქუჩაში.

მე კი მარტოდ დავრჩი იმ ერთადერთ სანთელთან უცნაურად გულდაშანთული. არც ისე ახალგაზრდა ვიყავი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გარშემოხვეული ვყოფილიყავი იმედის ნათლით, გინდ სიკეთისას და გინდ ბოროტებისას. გამეღიმა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ორთაგან ამ ნათელს ის ხედავს-მეთქი. სევდამ შემიპყრო. სუფთა სინდისითო, ასე არა თქვა? თითქოს ჩვენი ბედ-იღბლის მაუწყებელი სიტყვები იმთავითვე წარუშლელად არ იყოს ამოჭრილი კლდეზე.

## თავი 18

ექვსი თვის შემდეგ ჩემმა მეგობარმა (შუახანს გადაცილებული ბერბიჭა გახლდათ, ცინიკოსი, ექსცენტრული გამოხდომებით ცნობილი, მფლობელი ბრინჯის გადამამუშავებელი ფაბრიკისა) წერილი გამომიგზავნა, კარგად ახსოვდა ჩემი გულითადი რეკომენდაცია და ფიქრობდა, რომ გამიხარდებოდა ჯიმის ქება: „რადგანაც გულში ჩემს მსგავსთ ქედმაღლურად ვუყურებ და მხოლოდ და მხოლოდ ვითმენ მათ, დღემდე სულ მარტოდმარტო ვცხოვრობდი ჩემს სახლში, რომელიც თუნდაც ამ მცხუნვარე ჰავის პირობებში მეტად დიდი ჩანს ერთი კაცისთვის. ჩემთან ცხოვრება შევთავაზე მას ამ ცოტა ხნის წინათ. მგონია, შეცდომა არ მომსვლია". წავიკითხე ეს წერილი და ასე გავიფიქრე, ეტყობა, ჩემი მეგობარი მხოლოდ მომთმენი არ ყოფილა ჯიმის მიმართ და ეს შეიძლება მათი კარგი მეგობრობის დასაწყისი იყოს-მეთქი. რაღა თქმა უნდა, კიდევაც ასაბუთებდა თავის მოსაზრებას. უპირველეს ყოვლისა, ჯიმზე ცუდად არ უმოქმედია იქაურ ჰავას. გოგო რომ ყოფილიყო, — მწერდა ჩემი მეგობარი, — შეიძლებოდა იმის თქმა, გაფურჩქნულაო. ზომიერად გაფურჩქნულა... ვითარცა ია და არა მოუხეშავი ტროპიკული ყვავილივით. ჯიმმა ექვსი კვირა დაჰყო იმისას და ერთხელაც არ უცდია ზურგზე დაეკრა ხელი ან დაეძახა, „შე ძველოო" ან ეგრძნობინებინა მისთვის, როგორ დაჩაჩანაკებულხარო. სხვა ყმაწვილების დარად ლაქლაქი არ უყვარდა იმას. კარგი ბუნებისაა, თუმცა არ უნდა იყოსო გონებამახვილი ბიჭი, სალაპარაკოს ვერ ნახულობს და მადლობა ღმერთსო — ასე მწერდა ჩემი მეგობარი, მართალი თუ გნებავთ, საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ ჯიმი და კიდევაც დასაფასებელი იყო მისი გონებაგამჭრიახობა, მაგრამ ჩემს მეგობარს მისი გულუბრყვილობა ართობდა. „ჯერ მთლად ახალგაზრდაა. და მას შემდეგ, რაც ბრწყინვალე აზრი მომივიდა თავში და გადავწყვიტე ოთახი მიმეცა იმისთვის და სადილი იმასთან ერთად მეჭამა, ისე დაჩაჩანაკებულად აღარ ვგრძნობ თავს. ერთ დღეს აზრად მოუვიდა ამდგარიყო და

ოთახი გადმოეპრო მხოლოდ იმიტომ, რომ კარი გაეღო ჩემთვის, და მე კაცთა მოდგმის ნაწილად ვიგრძენი თავი პირველად ამდენი წლის შემდეგ. სასაცილოა, არა? თქმა არ უნდა, კი ვარ მიმხვდარი, რომ აქ რაღაც... რაღაც [illegible] ცოდვა უნდა იმალებოდეს... თქვენ უნდა იცოდეთ ამის შესახებ და თუ ეს მართლაცდა შემაძრწუნებელია, მგონია, მე შევძლებ ამის დავიწყებას, ჩემდა თავად უნდა განვაცხადო, იმისი დანაშაული ბაღში ჩუმად ხილის [illegible] უნდა ჰგავდეს. თუ იქნებ რამე უარესია? შეიძლება თქვენ უნდა გეცნობებინათ ჩემთვის, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე ჩვენ ორივე ისეთი წმინდანები შევქმნილვართ, რომ იქნებ აღარც გვახსოვს ჩვენი ჭაბუკური ცოდვები? შეიძლება ერთ დღეს მე გკითხოთ ამის შესახებ და მაშინ კი უნდა მიპასუხოთ. არ მინდა რაღაც გამოვკითხო, სანამ სულ ცოტა რამე არ მეცოდინება იმის შესახებ. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. და თუ მან კიდევ რამდენიმეჯერ გამიღო კარი..." ასეთი იყო ჩემი მეგობარი. მეტად კმაყოფილიც გახლდით — ჯიმის კარგად ყოფნის, ამ თბილი წერილისა და ჩემი საკუთარი გონიერების გამოც. თურმე მცოდნია, რასაც ვაკეთებდი. სწორად მიმხვდარვარ იმ ყმაწვილკაცის ხასიათს და ა. შ. და იქნებ რაღაც მოულოდნელად და შესანიშნავად გასრულდეს იმისი ამბავი? იმ საღამოს ჩემს შეზლონგზე ვიყავი წამოწოლილი საკუთარი გემის კიჩოზე გამართული სახურავის ქვეშ (ჰონგკონგის ნავსადგურში ვიდექით), სწორედ მაშინ ჩავაგდე პირველი ქვა ჯიმის ოცნების კოშკის საძირკველში.

ჩრდილოეთში გავემგზავრე და როცა დავბრუნდი, კიდევ ერთი წერილი დამხვდა ჩემი მეგობრისაგან. სწორედ ის გავხსენი მაშინვე. „სასადილოს კოვზები მე არ დამკარგვია, რამდენადაც ვიცი, — ასე იწყებოდა წერილი, — თუმცა არც მიცდია ამის დადგენა. წავიდა და სასადილო მაგიდაზე დამიტოვა ოფიციალური პატარა ბარათი, ბოდიშს მიხდიდა, ამ სულელური თუ უგულო ბარათით. შეიძლება ორივე ერთად იყო, სულელურიც და უგულოც... ეს სულ ერთია ჩემთვის. თუკი გეყოლებათ ვინმე იდუმალებით მოცული ყმაწვილკაცები სამარქაფოდ, ნება მიბოძეთ შეგატყობინოთ, დუქანი უკვე დაკეტილი მაქვს, ნამდვილად და სამუდამოდ. ეს ჩემი უკანასკნელი სიგიჟე იყოს, დამნაშავე მე ვარ. წამითაც ნუ გაივლებთ გულში, რომ რამეს დარდი მქონდეს, მაგრამ ჩოგბურთის მოედნებზე კი ძალიან სწყდებათ იმაზე გული, ხოლო მე დამაჯერებელი ტყუილი ვთქვი ჩვენს კლუბში..." წერილი მოვისროლე და მთელი მაგიდა ამოვატრიალე, სანამ ჯიმის ხელი არ ვიცანი ერთ-ერთ კონვერტზე. წარმოგიდგენიათ? ასიდან შეიძლება ერთი შემთხვევა ყოფილიყო! მაგრამ სწორედ ასიდან ეს ერთი შემთხვევა მომხდარიყო! მოულოდნელად გამოჩენილიყო „პატნას" მეორე მექანიკოსი, ის ჩია ტანის კაცი, ძალიან უჭირდა და დროებით სამუშაო მიეცათ იმისთვის ბრინჯის გადამამუშავებელ ფაბრიკაში, მანქანებისთვის უნდა მიექცია ყურადღება. „ვეღარ ავიტანე იმ პირუტყვის მოჩვენებითი თავაზიანობა, — მწერდა ჯიმი ნავსადგურიდან, შვიდას მილზე რომ მდებარეობს სამხრეთით იმ ადგილიდან, სადაც ჩიტის რძეც კი ექნებოდა, —ახლა მე ეგშტრომთან და ბლეიკთან, გემების მომმარაგებლებთან ვმსახურობ ეს რამდენიმე ხანია, შიკრიკად, მართალი თუ გნებავთ. თქვენი სახელი ვუხსენე მე იმათ, რაღა თქმა უნდა, ისინი თქვენ გიცნობენ და თუ ორიოდე სიტყვას შემაწევთ, მუდმივ სამუშაოს მომცემენ". თავად მოვყევი ჩემივე ციხესიმაგრის ნანგრევებში, მაგრამ თხოვნა შევუსრულე. წლის ბოლოს იქით მომიხდა მოგზაურობა და იმას შევხვდი, ...მელი

ის ისევ ეგშტრომთან და ბლეიკთან მსახურობდა და ვნახე კიდევაც იმ ოთახში, რომელსაც ეძახდნენ „ჩვენს მისალებს“ და პირდაპირ დუქანში გადიოდა. სწორედ ახლა გადმოსულიყო გემიდან და დამინახა თუ არა, საბრძოლველად მოემზადა. რას იტყვით-მეთქი, იმწუთასვე ვუთხარი მე, რომელსაც ხელი ჩამოვართვი. იმაზე მეტს ვერაფერს, რაც მოგწერეთ, ჯიუტად მომიგო. იმ კაცმა ენა ველარ დაამაგრა-მეთქი, ვკითხე. დარცხვენილმა [illegible], არა! არაფერი არ უთქვამს. თავი ისე დაიჭირა, თითქოსდა რაღაც იდუმალი საქმე გვქონდა ერთმანეთში. საიდუმლოს მცოდნე კაცის იერს მიიღებდა და თვალს ჩამიპაჭუნებდა ხოლმე, თითქოსდა მეუბნებოდა „ჩვენ ვიცით, რაც ვიცით“. საშინლად მელაქუცებოდა, ცდილობდა ჩემთან დაახლოებას და კიდევ რა ვიცი, რას არ აკეთებდა. — სკამზე დაეშვა და თავის ფეხებს დააცქერდა, — ერთხელ იყო და მარტონი დავრჩით, ხოდა, ასე მითხრა თავხედურად, ბატონო ჯეიმზ — ასე მეძახდა, თითქოსდა მისი პატრონის ვაჟიშვილი ვყოფილიყავი, — ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს, აქ უფრო სჯობია, ვიდრე იმ ძველისძველ გემზეო, არა?.. დაშინება მომინდომა! შევხედე მე იმას და ისიც უშმაკურად დამაცქერდა. ნუ შეწუხდებითო, ბატონო, ასე მითხრა მან, ერთი შეხედვით ვცნობ ჯენტლმენს და ვიცი, როგორც უნდა გრძნობდესო თავს ჯენტლმენი. იმედი მაქვს დამტოვებთ ამ სამუშაოზე. არც მე ვიყავი დალხენილი იმ დანჯღრეული ძველი გემის — „პატნას“ გამოო. ღმერთო ჩემო! საშინელება იყო, არ ვიცი, რას ვიტყოდი ან რას ვიზამდი, ბ-ნ დენვერის ხმა რომ არ გამეგონა, დერეფნიდან მეძახდა. საუზმის დრო იყო და ჩვენ ერთად ეზო გავიარეთ, გადავჭერით ბაღი და ბუნგალოში შევედით. ჩვეულებრისამებრ მუსაიფი გამიმართა... მგონია, მე იმას მოვწონდი...“

ჯიმმა იყურა.

— ვიცი, მე იმას მოვწონდი, იმიტომაც ვწუხდი. რა დიდებული კაცია! იმ დილით ხელი მკლავზე წამავლო... ძალიან შინაურულად მექცეოდა — ჯიმს სიცილი წასკდა და თავი ჩაქინდრა. — ჰაი! როცა გამახსენდება იმ გალეული პირუტყვის ლაპარაკი, — ხმა აუკანკალდა, — თავი შემძულდება ხოლმე... მე მგონია, თქვენ გესმით... — თავი დავუქნიე, — მამასავით მიყურებდა, — შემჭყვირა იმან და ხმა ჩაუწყდა, — ხოდა, იმისთვისაც უნდა მეთქვა სიმართლე. სხვანაირად ხომ მე არ შემეძლო?

მერე-მეთქი? ჩავიჩურჩულე ცოტა ხნის მერე.

— გაცლა ვამჯობინე, — წარმოთქვა მან ნელა, — მორჩა და გათავდა.

ბლეიკის ანჩხლი, ბრაზიანი ხმა გვესმოდა, ეგშტრომს ლანძღავდა. მრავალი წელი იყო, რაც ისინი შეამხანაგებულიყვნენ და ყოველდღე კარის გაღებიდან დაკეტვამდე ეს ბლეიკი, ჩია ტანის, ნაზშირივით პრიალა შავთმიანი და მწუხარე წვრილთვალება კაცი, გაუთავებლივ, გულისგამაწვრილებლად, რაღაც მტირალა ხმით, გააფთრებული ტუქსავდა თავის პარტნიორს. ჩხუბი და დავიდარაბა ჩვეულებრივი ამბავი იყო აქ და შემოსულებს მალე აღარც უკვირდათ, ასე ჩაიბურტყუნებდნენ ხოლმე, რა გული გააწყალესო, ან უეცრად წამოვარდებოდნენ და „მისალების“ კარს მიკეტავდნენ. თავად ეგშტრომი, მუდამ საქმიანი, ხმელ-ხმელი ჩალისფერბაკენბარდებიანი გულდინჯი სკანდინაველი განკარგულებებს იძლეოდა, ქვითრებს ავსებდა ან ბარათებს წერდა მაღალი დახლის უკან მდგომარე, და თითქოსდა სრულიად დაყრუებულიყო, სიტყვასაც წყვეტ იტყოდა იმ ლანძღვა-გინების პასუხად. ხანდახან იყო და წყენით იტყოდა, ჩანაკეთო“, მაგრამ სულ ამაოდ. „კარგად ვარ მე ამათთან, — თქვა ჯიმმა — ბლეიკი

კია ცოტათი ხეპრე, მაგრამ ეგშტრომში ძალიან კარგი კაცია", სწრაფად წამოდგა და გამოზომილი ნაბიჯებით ფანჯარასთან სამფეხაზე მდგარ ჭოგრიტთან მივიდა, სანაპიროსთან მოსული ხომალდები მოჩანდნენ იქიდან, მან გაიხედა. „ის ხომალდი ვერ შემოვიდოდა უქარობის გამო მთელი ეს დილა და ახლა უკვე იქ არის, — თქმა მან ღინჯად — უნდა წავიდე". ჯიმ-მეთქი, მივაძახე. ზღურბლზე შედგა და გამოიხედა, ისეთი ბედი გქონდა მომდგარი კარზე-მეთქი. უკან დაბრუნდა, ჩემთან მოვიდა. „მშვენიერი მოხუცებული კი იყო, — თქვა მან, — მაგრამ რა უნდა მექნა? რა უნდა მექნა? — ტუჩები აუთრთოლდა. — აქ ამას რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს", ჰოი! თქვენ... თქვენ-მეთქი, დავიწყე მე, შესაფერისი სიტყვა მინდოდა მეპოვნა, მაგრამ სანამ მივხვდებოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო, ის წავიდა, გარედან ეგშტრომის დაბალი ხმა გავიგონე, გულთბილად ამბობდა იგი: „ეს „სარა ვ. გრეინჯერია", ჯიმი. პირველი უნდა ახვიდეთ იქ როგორმე", იმავე წამს გასჭყივლა ბლეიკმა კაკადუსნაირად, ასე უთხარით იმის კაპიტანს, თქვენი წერილები არის-თქო აქ, მაშინ ის მოვა. გესმით, ბატონო... რა გქვიათ თქვენო? ჯიმმა ეგშტრომს უპასუხა საჩქაროდ, ბიჭური ხალისით, კარგ შეჯიბრებას მოვაწყობო. კიდევაც შეეძლო თავშესაქცევი გაეხადა ეს მოსაბეზრებელი საქმე, ნავებით შეჯიბრება უნდა მოეწყო.

იმ მოგზაურობის ხანს მეტად აღარ მინახავს, მაგრამ მერე კი (ექვსი თვით დაიქირავეს ჩემი ხომალდი) ისევ მომიხდა იქ შევლა. ჯერ კართან არ ვიყავი მისული და უკვე შემომესმა ბლეიკის ლანძღვა-გინება. შევედი თუ არა, ამრეზილად შემომხედა, ეგშტრომმა კი გულბანად გაშილიმა, მომაშურა, თავისი ვეებერთელა ხელი გამომიწოდა. „როგორ მიხარია თქვენი ნახვა, კაპიტანო... სსს... ვიცოდი, მალე უნდა დაბრუნებულიყავით, რას იტყვით, ჩემო ბატონო?.. სსს... ჰოი, ის ყმაწვილკაცი! ჩვენგან წავიდა, მისალებში შემობრძანდით..." კარი გამოიხურა და ახლა ბლეიკის გაწიწმატებული ლაპარაკი ძლივსღა მოისმოდა, თითქოსდა ამჯერად უდაბნოში მოჰყოლოდა ლანძღვა-გინებას... „ხოდა, კი მოიქცა ცუდად. დიდ გასაჭირში ჩაგვაგდო.., უნდა გითხრათ..." საით წავიდა, თუ იცით-მეთქი, ვუთხარი. არ ვიცი, არ შევკითხებივართ, მომიგო ეგშტრომმა. მოწიწებით იდგა ჩემ წინ, უშნოდ ხელებდაშვებული, საათის ვერცხლის ძეწკვი მოუჩანდა ლურჯი ფერის სარჟის დაჭმუჭნული ჟილეტიდან. ასეთმა ადამიანმა არც იცის, სად მიდის, მეწყინა ამ ახალი ამბის გაგონება, შეკითხვის თავიც არ მქონდა, იმან კი განაგრძო: „ის წავიდა... ასე... სწორედ იმ დღეს, როდესაც წითელი ზღვიდან მლოცველების გემი დაბრუნდა; ორი ლაპოტი ჰქონდა დაზიანებული იმას, სამი კვირა იქნება გასული მას შემდეგ". ვინმეს „პატნაზე" ხომ არ უთქვამს რამე-მეთქი? გულისფანცქალით შევეკითხე. შეკრთა და ვითარცა გრძნეულს, ისე შემომხედა, „რაო, დიახ, საიდან იცით, ვილაცები კი ლაპარაკობდნენ ამის შესახებ, ორი კაპიტანი იყო აქ, ვანლოს ნავსადგურის ტექნიკური განყოფილების უფროსი, კიდევ ორი თუ სამი კაცი და მე, ჯიმიც აქ იყო, სენდვიჩით და ჭიქა ლუდით ხელში, რას იზამ, როცა საქმეა, გესმით, კაპიტანო... ადამიანურად ვერ ისაუზმებ, ის იდგა აი იმ მაგიდასთან და სენდვიჩს ჭამდა, დანარჩენები კი იმ ჭოგრიტთან მისულიყვნენ და ნავსადგურში მომავალ გემებს გასცქეროდნენ, ხოლო ვანლოს სახელოსნოების უფროსმა „პატნის" კაპიტანი ახსენა, ერთხელ იმისი გემი შეუკეთებიათ იქ. შემდეგ ისიც გვიამბო, თუ რა ძველი იყო ის გემი და რა დიდძალი ფული დაუჯდათ. იმ გემის უკანასკნელი მოგზაურობა მოიგონა და მერე ჩვენც ჩავერიეთ საუბარში, ერთმა ერთი თქვა, მეორემ სხვა... ისეთი არაფერი... ხან რას მოაყო-

ლებდით სიტყვას და ხან რას, ვიცინოდით კიდევაც. ო'ბრაიენიც იყო აქ, „სარა ვ. გრეინჯერის“ კაპიტანი, სავარძელში იჯდა და ყურს გვიგდებდა, უცებ თავისი ხელჯოხი დაჰკრა იატაკს და დაიღრიალა, არამზადებიო!.. შევხტით და შევყვირალდით. ვანლოელმა გამგემ თვალი ჩაგვიპაჭუნა და ჰკითხა, რაზე გაცხარებულხართო, კაპიტანო ო'ბრაინ? „გაცხარებულხართო, გაცხარებულხართო!“ — ისევ იყვირა იმ მოხუცმა კაცმა, — რას იცინით, რომ იცინით. მათი ხსენებაც კი არ მინდა, გესმით! იმათგან რომელიმე რომ მენახა აქ, სირცხვილით გავთავდებოდი კიდევაც, დიახ, ჩემო ბატონო!“ — შემომხედა, მე კი თავდაბლებით მივუგე: „დიახაც არამზადები არიან! ნამდვილად, კაპიტანო ო' ბრაინ, მეც არ გავაჩერებდი რომელიმე იმათგანს ამ ოთახში, ასე რომ ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ, კაპიტანო ო' ბრაინ. გამაგრილებელ სასმელს ხომ არ მიირთმევთ?“. ჯანდაბას თქვენი გამაგრილებელი სასმელიო, ეგშტრომ, მითხრა იმან თვალების ბრიალით, თუ რამეს დალევა მინდა, თავადაც გეტყვით, ახლავე მივდივარ, აქ აღარ გავჩერდებიო. სხვებსაც სიცილი წასკდათ ამ დროს და სუყველანი გაყვნენ იმ მოხუც კაცს. ხოლო, მაშინ იმ წყეულმა ჯიმმა დადო სენდვიჩი, მაგიდას შემოუარა, ჩემთან მოვიდა, ერთი ყლუპი ლუდიც არ მოუსვამს იმ თავისი ჭიქიდან, ესლა მითხრა, უნდა წავიდეო. ჯერ ორის ნახევარიც არ არის, მე მივუგე, მოწევასაც მოასწრებ-მეთქი. ასე მეგონა, სამუშაოდ მიეჩქარებოდა. და მივხვდი თუ არა, რასაც აპირებდა, ხელები ჩამომივარდა. დიახ! იმისთანა კაცს ყოველთვის ვერ ნახავ, თქვენც იცით, ჩემო ბატონო, პირწავარდნილი ალქაჯია, როცა იალქნიან ნავს მართავს, ყოველგვარ ამინდში მზად იყო რამდენიმე მილი გაეცურა გემის დასახვედრად. ზოგჯერ იყო და ვიღაც კაპიტანი შემოივლიდა ჩვენსას და უპირველეს ყოვლისა ამას იტყოდა: „სად ნახეთ ეს ნაგიჟარი მომმარაგებელი, ეგშტრომ. დილაუთენია ძლივს მოვიკვლევ გზას ამ ნისლში და უცებ პირდაპირ გემის ცხვირწინ არ გამოტყვრა ნავი, სანახევროდ წყლით სავსე, შხეფები ანძამდე სწვდება, ორი შიშნაჭამი ზანგი მიყუჟულა ნავის ძირზე და ის კი, საჭესთან მდგარი, ეშმაკეულივით გაჰყვირის: ჰეი! ჰეი! ვინა ხართ მანდ გემზე! კაპიტანო! ჰეი! ჰეი! თქვენ პირველი გელაპარაკებათ ეგშტრომისა და ბლეიკის კაცი! ჰეი! ჰეი! ეგშტრომისა და ბლეიკის! ალო! ჰეი! თქვენ-მეთქი! — ერთ-ორ პანღურს უთავაზებს იმ ზანგებს, აფრას დაუშვებს, თან მოყვირის, მოღრიალებს, იალქნები შემართეთო, და ნავსადგურში მიმიძღვის, „კაცი კი არა, პირწავარდნილი ეშმაკია. ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ნავის ასეთი მართვა. მთვრალი არ არის ხოლმე, ხომ ასეა? ისეთი წყნარია, ენატკბილიც... გემზე რომ ამოვა, გოგოსავით წითლდება...“ მე თქვენ გეუბნებით, კაპიტანო მარლოუ, ვერავინ აჯობებდა ჯიმს, ყველას ასწრებდა უცხო გემის დახვედრას. ხომალდების სხვა მომმარაგებლებს სხვა რაღა დარჩენოდათ, თავის ძველ მუშტარს უნდა დაყაბულებოდნენ, ხოლო...“

ეგშტრომი ძლიერ აღელვებული ჩანდა.

— დიახ, ჩემო ბატონო. მგონია, არ იტყოდა უარს ზღვაზე ასი მილი გაევლო იმ მინგრეული ნავჭურჭლით, ოღონდ ფირმისთვის გემი ჩაეგდო ხელში. მისი საკუთრება რომ ყოფილიყო ეს დაწესებულება, ამაზე მეტს ვერაფერს გააკეთებდა. ახლა კი..., ასე მოულოდნელად... კი, ეს უნდა იყოს! მივხვდი, ოჰო, ხელფასის მომატება უნდა-მეთქი... ეს ამბავი აწუხებდა. კი ბატონო-მეთქი, ასეც ვუთხარი, აყალმაყალს რას ტეხავ, ჯიმ. მითხარი შენი სათქმელი და თუკი შევძლებთ-მეთქი... ისე შემომხედა, თითქოს ყელში რაღაც ჰქონდა გაჩხერილი და გადაყლაპვას ლამობდა. თქვენთან მე ველარ გავჩერდებიო, მითხრა

მანი რას სულელობ-მეთქი, მე მივუგე. თავი გააქნია და თვალებზე შევატყვეის. ტყვე წასული იყო ჩვენგან, ჩემო ბატონო. ხოდა, მივუტრიალდი და მივდექი კიდევაც: ვის გაურბიხარ? — ვკითხე მე. — რა მოგივიდა? ვინ [illegible] დაგიშავა? ჭკუა გამოგლევია და ისაა, კარგი გემიდან ვირთხაც არ [illegible] უკეთეს ადგილს სად ნახავ. შე ისეთო და ასეთო-მეთქი, ლოინ[illegible] გაუბნებით. უშენოდაც როგორმე იოლად გავალთ-მეთქი, ვუთხ[illegible] შეხტა- შემოტრიალდა, ნახვამდისო, მითხრა მან და თავი ისე დამიკრა, ვითარცა ლორდმა: „თქვენ არა ხართ ცუდი კაცი, ეგშტრომ. ნამდვილად. თქვენ რომ იცოდეთ მიზეზი ჩემი წასვლისა, აღარ დამაკავებდით“. შენს სიცოცხლეში ასეთი ტყუილი ჯერ არ გითქვამს-მეთქი, ვუთხარი. ვიცი, რასაც გეუბნებით. მომიგო. ისე გავცოფდი, რომ გადავიხარხარე კიდევაც. ნუთუ იმდენი დაცლა აღარ შეგიძლია, რომ ერთი ჭიქა ლუდი დალიო, შე საწყალო და სულელო-მეთქი? არ ვიცი, რა მოუვიდა, კარის მიგნებაც კი გაუჭირდა, კი იყო ამაში რაღაც სასაცილო, გეუბნებით, კაპიტანო. თავად დავლიე იმისი ლუდი. კარგი, თუ ასე ძალიან მიგეჩქარება, შენი სადღეგრძელო იყოს, ამ სასმელს მე გამოვცლი-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ ერთი კი დაიმახსოვრე, თუ კიდევ გააგრძელებ მაგ თამაშს, სულ მალე დედამიწაც ველარ დაგიტევს... დიახ-მეთქი. შავმა ალმურმა გადაუარა სახეზე, შეშლილივით გარეთ გავარდა, ბალღს კი შეაშინებდა ნამდვილად.“

ეგშტრომმა მწარედ ამოიხვნეშა და თავისი დაკოჟრილი თითები ქერა ბაკენბარდებზე ჩამოისვა. „იმის მერე კაცი ვერ მიპოვია, რომ გამომდგომოდეს. ხოდა, ჩვენი საქმე სულ უარესად, უარესად და უარესად მიდის. ერთი ეს მითხარით, სად შეხვდით იმ ყმაწვილკაცს?“

„იმ მოგზაურობის ხანს „პატნას“ კაპიტნის თანაშემწე გახლდათ,“ მე მივუგე. ვგრძნობდი, რომ რაღაც მაინც უნდა ამეხსნა იმ კაცისთვის. ცოტა ხანს ეგშტრომი ხმას არ იღებდა და ხელს არ უშვებდა იმ თავის ბაკენბარდებს, მერე კი წამოიძახა, ეშმაკმა დალახვროს, ვის რა ესაქმებაო, არც არავის-მეთქი, დავიწყე მე... ხოდა, ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი. ამით, რას გახდებიო? უეცრად პირში ჩაიტენა თავისი მარცხენა ბაკენბარდი, გაოგნებულიყო. „ჰაი, — შეჰყვირა მან, — ხომ ვუთხარი მე იმას, სულ მალე დედამიწაც ველარ დაგიტევს-მეთქი!“

## თავი 19

მხოლოდ ეს ორიოდე ეპიზოდი გიამბეთ, რათა მეჩვენებინა, თუ როგორ მოქმედებდა ახალი გარემოება თუ ვითარება ჯიმის განწყობილებაზე. მსგავსი ეპიზოდი ბევრი იყო მის ცხოვრებაში, თითებიც არ მეყოფა მათ ჩამოსათვლელად.

ყველა ესენი ერთნაირად იყო ცხებული სისულელესთან წილნაყარი ამაღლებულობით და ამიტომ ფრიად გულის ამაჩუყებელიც შექმნილიყო, წახვიდე და დღიური ლუკმა-პური დააგდო, რათა ხელები გაინთავისუფლო აჩრდილთან საბრძოლველად. პროზაული გმირობაა ეს და მეტი არაფერი. ხშირადაც მოქცეულან ასე (თუმცა ჩვენ ბევრი გვინახავს და ვიცით, რომ წამებული სული კი არა, ნაშიმშილევი სხეულია თავიდათავი უბედურება განკაცხულისა) და ისინი, ვინც მაძღრნი არიან და ასეც იქნებიან ყოველდღე. კიდევაც დაუქრავენ ტაშს ამ მოსაწონ სიშლეგეს. მართლაცდა უბედური იყო ის ყმაწვილკაცი, რადგან უგუნურება არ დაავლებინებდა იმ აჩრდილს, ჭეშმარიტად, შე-

უძლებელია მოცილება სინამდვილის აჩრდილისა. თქვენ შეგიძლიათ პირისპირ დაუდგეთ ან დაუსხლტეთ იმას და მე ისეთებიც მინახავს, ორი თუ სამი, რომლებიც თვალს უკრავენ ნაცნობ აჩრდილებს. როგორც ჩანს, ჯიმი არ იყო თვალის ჩამკვრელთაგანი, მაგრამ ვერც ვერასდროს მივხვდი, რა ესაძირკვლებოდა იმის საქციელს, გაქცევა სურდა იმ აჩრდილისგან თუ მასთან შებრძოლება.

სწორედ ამის გასარკვევად ლავძაბე გონების თვალი, რადგან სათავე ჩვენი ყოველი მოქმედებისა ძნელი მისაკვლევია და ამოუთქმელიც. შეიძლება გაცლა უნდოდა ან ერთგვარი შერკინება. უბრალო ხალხი მას იცნობდა როგორც შარაზვეტიას, რადგან ადამიანის სასაცილო მხარე ყოველთვის თვალსაჩინოა. გამოხდა ხანი და კარგად გახდა ცნობილი, საარაკოც კი შექმნილიყო იმისი სახეტიალო არე (რომლის დიამეტრი, შეიძლება ითქვას, იყო სამი ათასი მილი). სწორედ ასე გადაუვარდება ხოლმე სახელი უცნაური ხასიათის კაცს. ასე, მაგალითად, ბანგკოკში, სადაც მან თავშესაფარი ნახა ძმები იუკერებთან, გემის გამქირავებლებთან და ტიკის ხით მოვაჭრეებთან, კი იყო საცოდავი სანახავი, სამზეოზე რომ დადიოდა და მაგრად ჰქონდა გულში ჩამარხული თავისი საიდუმლოება, რომელიც ცნობილი იყო ყოველი მოროსთვისაც კი მდინარეში. შომბერგმა, წარმოსადეგმა, ბანჯგვლიანმა ელზასელმა, რომელიც იმ სასტუმროს პატრონი იყო, სადაც ჯიმი ცხოვრობდა, იცოდა ყოველი ჭორი და დახლზე იდაყვებდაყრდნობილი თავის სტუმრებს შესანიშნავ სასმელებთან ერთად მიართმევდა მრავალნაირ ვერსიას ამ ცნობილი ამბისას. „იცით, ასეთი დიდებული ყმაწვილი მე ჯერ არ მინახავს, — იტყოდა ამას და ასე გულიანად დაასრულებდა თავის სიტყვას, — ძალიან კარგი ბიჭია". შომბერგის დაწესებულებაში შემთხვევით მოხვედრილთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯიმი მთელი ექვსი თვე გაჩერებულა ბანგკოკში. შემჩნეული მქონდა, რომ ხალხი, სრულიად უცხო, ისე ექცეოდა მას, როგორც მშვენიერ ბალღს. იმისი დინჯი მიხრა-მოხრა და ამასთან ერთად იმისი გარეგნობა, იმისი თმა, იმისი თვალები, იმისი ღიმილი ყველას სამეგობროდ განაწყობდა. და, რაღა თქმა უნდა, არც უჭკუო გახლდათ. გაგონილი მქონდა ზიგმუნდ იუკერისაგან (წარმოშობით შვეიცარიელი იყო), გულისხმიერი კაცისაგან, ვინც საშინლად გაეწვალებინა კუჭის დაავადებას და ისე კოჭლობდა, რომ ერთიანად იგრიხებოდა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე: ის „დიდად ნიჭიერია" მიუხედავად თავისი სიყმაწვილისაო. თქვენც ადექით და ქვეყნის სიღრმეში გაგზავნეთ-მეთქი, ვუთხარი იმას (ძმები იუკერები ტყეების კონცესიას ფლობდნენ იქ). თუ ნიჭიერია, როგორც თქვენ ამბობთ, კარგადაც იმუშავებს, ფიზიკურადაც შეძლებს, დიდებული ჯანმრთელობის პატრონია-მეთქი. ოჰ, ნამდვილად დიდი ამბავია, თუ აქ კუჭი არ დაუავადდა ადამიანსო, — ამოიკვნესა შურით იმ საწყალმა იუკერმა და ჩუმად დახედა თავის დაავადებულ მუცელს. მე რომ მივდიოდი, ჩაფიქრებული ურტყამდა თითებს მაგიდას და ჩურჩულებდა, Es ist ein idee. Es ist ein idee-ო* საუბედუროდ, სწორედ იმ საღამოს მოხდა უსიამოვნო შემთხვევა სასტუმროში.

ვერ გეტყვით, ძალიან ვადანაშაულებ ჯიმს-მეთქი, მაგრამ ნამდვილად კი იყო საწყენი ეს ინციდენტი. ჩვეულებრივად დუქანში ხდება ასეთი ჩხუბი. მოპირდაპირე გახლდათ ვიღაც ელამი დანიელი, სწორედ ასეთი არამზადები წააწერენ ხოლმე თავიანთ სავიზიტო ბარათს: „სიამის სამეფო ფლოტის უფროსი ლეიტენანტი", ამ ჯეილს, რაღა თქმა უნდა, ბედი არ სწყალობდა ბილიარდის თამაშში, მაგრამ წაგებაც არ მოსწონდა, მე მგონია, იმდენი დალია, რამდენიც

* ეს იდეაა. ეს იდეაა (გერმან.)

ეყოფოდა კიდევ უფრო ცუდ ხასიათზე დასადგომად მეექვსე წაგების შემდეგ და ორიოდე ღვარძლიანი სიტყვა უთხრა ჯიმს, მიტჩელს არც გაუგონია იმისი ნათქვამი, ხოლო იმათ კი, ვისაც გაუგონიათ, მალევე დაუვიწყებიათ, ამის შემდგომ მომხდარი ამბის გამო შეშინებულებს. კიდევ კარგი ცურვა სცოდნია იმ დანიელმა, რადგან კარი აივანზე გადიოდა, ხოლო იმის დაბლა მიედინებოდა მენამი, ფართო და შავფერი მდინარე. ჩინელთა ნავიც იქვე ყოფილა თურმე იმ დროს, რალაცის საქურდლად გამოსულიყვნენ ისინი. ხოდა, იმათ ამოიყვანეს სიამის მეფის ოფიცერი, ჯიმი კი, შუაღამე იქნებოდა, ჩემთან ამოვიდა გემზე უქუდოდ. თითქმისდა ყველას სცოდნიაო ამ ოთახში, ასე მითხრა, ჯერ კიდევ ვერც მოესწრო სულის მოთქმა ამ ჩხუბის მერე. საერთოდ კი სწუხდა მომხდარი ამბისა გამო, მაგრამ ამბობდა, აბა, სხვა რა უნდა მექნაო. ყველაზე უფრო იმიტომ იყო თავზარდაცემული, რომ თურმე ყველას სცოდნია იმის საიდუმლო და ისე დადიოდა, თითქოსდა მხრებზე ჰქონდა წამოკიდებული ეს ტვირთი. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ იქ როგორღა დარჩებოდა. ყველანი კიცხავდნენ იმის მხეცურ გამოხდომას, სწორედაც რომ არ შეეფერებოდა საეჭვო მდგომარეობის კაცს, ზოგი ამბობდა, ჭკუა აღარ ეკითხებოდა, ისეთი მთვრალი იყოო მაშინ, სხვანი კი უტაქტობას უკიჟინებდნენ, შონბერგიც კი დიდად აღშფოთებული გახლდათ. „დიდებული ყმაწვილია, — დაბეჯითებით მეუბნებოდა ეს კაცი, — მაგრამ ის ლეიტენანტიც კარგი ახალგაზრდაა. ჩემსას სადილობს ყოველდღე, თქვენც იცით. საბილიარდო ჯოხიც გამიტეხეს, მორჩა და გათავდა. ამ დილით ჯერ იმ ლეიტენანტთან მივედი ბოდიშის მოსახდელად და, მგონია, კარგადაა საქმე, მაგრამ მოდით და გულწრფელი ვიყოთ, კაპიტანო, ყველამ რომ მე აქ ასეთი თამაში გამიმართოს, რა გამოვა! ის კაცი რომ დამხრჩვალიყო! მე კი არ შემიძლია ეს ქუჩა გადავიარო და ახალი საბილიარდო ჯოხი ვიყიდო, ევროპიდან უნდა გამოვიწერო. არა, არა! ასეთი ხასიათით ფონს ვერ გავა!..“ — ფრიად ნაწყენი იყო ეს კაცი.

სწორედ ეს ამბავი იყო ყველაზე უარესი, რაც მას გადახდა მთელი მისი... მისი დევნილობის ხანს, ჩემზე მეტად გულდაშანთული კაცი ვინ იქნებოდა, ვილაც-ვილაცები კი ასე ახსენებდნენ მას: ჰო, დიახ! ვიცი, ვინც არის, სულ აქ არ დაეხეტებოდაო. აქამდე როგორღაც თავს ალწევდა ჩხუბსა და აყალმაყალს იმ საქმის გამო. ხოდა, ამ უკანასკნელმა შემთხვევამ ძლიერ შემაშფოთა, ვაითუ იმისი მეტისმეტი გრძნობიერება დუქნებში დავიდარაბის სათავე გახდეს და მაშინ ხომ დაკარგავს უწყინარი, თუმცა კი ცეტი, დამთხვეული კაცის სახელს და ჩვეულებრივ მაწანწალას დაუძახებენ-მეთქი, კი ვენდობოდი მე იმას, მაგრამ არ მცილდებოდა ის აზრი, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა მართლა ასეთი გამხდარიყო, მგონია, თქვენ მიხვდებით, მე იმას ხელს ვერ ვკრავდი, ბანგკოკიდან ჩემი გემით წამოვიყვანე, გაუთავებელი იყო ჩვენთვის ეს მგზავრობა. დარდით აღარ ვიყავი, როცა ვხედავდი, საკუთარ თავში ჩაკეტილიყო. მეზღვაური, თუნდაც სულ ჩვეულებრივი მგზავრი იყოს, მაინც აკვირდება ყოვლისმხედველი თვალით გემს, საზღვაო ცხოვრებას თავის გარემოში, ვითარცა, ასე მაგალითად, მხატვარი სხვათა ნამუშევრებს, მთელი სულითა და გულით ის აქაა, „გემბანზე“, ეს ჩემი ჯიმი კი მეტწილად მიყუჟულიყო ქვევით, თითქოსდა შემოპარულივით. ისე იქცეოდა, რომ მე აღარ მინდოდა იმასთან ჩვენს პროფესიულ თემებზე საუბარი, როგორც ეს ხდება ხოლმე მგზავრობისას ორ მეზღვაურს შორის. მთელი ეს დღეები ჩვენ სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, იმისი თანდასწრებით მე ძალიან არ მინდოდა რამე ბრძანება მიმეცა ჩემი

თანამემწეებისთვის, ხშირად იყო, ერთად დავრჩენილვართ გემბანზე ან კაიუტაში, მაგრამ ერთმანეთის შეხედვა ვერ გაგვიბედავს.

დე ჯონგისას მოვაწყვე, როგორც თქვენ იცით, და მიხაროდა, ასე თუ ისე ხომ დავაყენე-მეთქი გზაზე, მაგრამ იმაშიც ვიყავი დარწმუნებული, რომ [illegible] სულ უფრო და უფრო უჭირდა გაძლება. დაკარგა ის თავისი სიქველე, რომლის მეშვეობითაც ყოველთვის ახერხებდა შეენარჩუნებინა [illegible] მარცხის შემდეგ. ერთ დღეს ნაპირზე გადმოვედი და ის დავინახე. ნავსაყუდელის წყალი და ზღვა ჰორიზონტისკენ ნელ-ნელა მაღლდებოდა და იქით მდგარი გემები თითქოსდა უძრავად შეფენილიყვნენ ზეცაზე. ჯიმი ელოდებოდა თავის ნავს, რომელსაც აქვე ტვირთავდნენ პატარ-პატარა ფუთებით სწორედ ახლა მიმავალი რომელიღაც ხომალდისთვის. სალამი ვუთხარით ერთმანეთს და უხმოდ დავდექით გვერდიგვერდ. „ღმერთო ჩემო, — უეცრად წამოიძახა იმან, — ვის არ მოკლავს ეს სამუშაო“.

გამიღიმა; გაღიმება ყოველთვის შეეძლო იმას. აღარ ვუპასუხე. კარგად ვიცოდი, თავის მოვალეობას არ გულისხმობდა, თავისუფალ დროსაც ნახულობდა დე ჯონგისას. და მაინც, იყუჩა თუ არა, სრულიად დავრწმუნდი, მართლაც მომაკვდინებელი იყო ეს სამუშაო მისთვის. არც კი შემიხედავს, ისე ვუთხარი, იქნება-მეთქი დატოვოთ ეს მხარე, კალიფორნიაში ან დასავლეთის სანაპიროზე წახვიდეთ, იქნებ რამე მოგიხერხოთ-მეთქი... შემაწყვეტინა, ზიზღის მაგვარი რამ დაეტყო სახეზე, მერედა რა განსხვავებააო?.. მაშინვე მივხვდი, მართალი იყო. რა განსხვავება უნდა ყოფილიყო, შვების მოპოვება იმას არ უნდოდა, მგონია, კი ვგრძნობდი ბუნდად, რაც სურდა ან რასაც თითქოსდა ელოდებოდა, ძნელი იყო იმის ზუსტად განსაზღვრა... რაღაც ხელსაყრელ შემთხვევას ალბათ. ბევრი კარგი შემთხვევა მოვაპოვებინე, მაგრამ ეს შემთხვევები მისი ლუკმა-პურით უზრუნველყოფა იყო და მეტი არაფერი. კიდევ რისი გაკეთება შეიძლებოდა? იმედი წარხოცილიყო და იმ საწყალი ბრაერლის ნათქვამი წამომაგონდა: „ოცდაათი ფუტით ჩაძვრეს მიწაში და დარჩეს იქ“, ასე სჯობს, ვფიქრობდი მე, ვიდრე აუხდენელს ეძიებდეს-მეთქი მიწის ზემოთ. თუმცა არც ამაში ვიყავი დარწმუნებული. ხოლო, იმავე წამს, ნავი ჯერ კიდევ არ მოსცილებოდა სანაპიროს, გადავწყვიტე მივსულიყავი და შტაინს მოვთათბირებოდი იმ საღამოსვე.

მდიდარი და ცნობილი ვაჭარი იყო ეს შტაინი. იმისი „ფირმა“ (დიახ, ფირმა გახლდათ. „შტაინი და კ“), ვიღაც პარტნიორიც ჰყავდა, ვინც იმისი თქმით, „მოლუკის კუნძულების საქმეს განაგებდა“ ვაჭრობდა კუნძულებთან, მრავალი სავაჭრო ცენტრი დაეარსებინა გადაკარგულ ადგილებში ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდად. სიმდიდრე და სახელი არ იყო მიზეზი, რის გამოც რჩევის საკითხავად მივედი მასთან. გამიჭირდა ახლა და ის იყო ყველაზე მართალი კაცი, ვისაც მე ოდესმე ვიცნობდი. ნათელი, გულღია სახე ჰქონდა, მოგრძო და უწვერული, ღრმა ნაოჭებით დასერილი, ზედ მაისფერი დასდებოდა იმ კაცის დარად, ვისაც მჯდომარე ცხოვრება უხდება... თუმცა ამ შემთხვევაში სულაც არ იყო ასე. მეჩხერი თმა უკან გადაევარცხნა და გამოეჩინა ვეება და მაღალი შუბლი. ასე ვფიქრობდი, ოცი წლისა ალბათ ასევე გამოიყურებოდა, როგორც ახლა სამოცი წლისა-მეთქი. სწავლულს მოჰგავდა, ოღონდ ხშირი და სქელი, თითქმის მთლად გაჭაღარავებული წარბები და მტკიცე, გამომცდელი მზერა, შეიძლება ითქვას, არ შეეფერებოდა მეცნიერის გარეგნობას. ის იყო ტანმაღალი, მოშვებული, მცირეოდნავ მოხრილი, სულ მუდამ

გულუბრყვილო ღიმილით გაბადრული კაცი, ვინც თითქოსდა ყოველთვის მზადაა გულისხმიერად მოგისმინოთ. გრძელი მკლავები დიდი ზაფრანისფერი ხელის მტევნებით უბოლოვდებოდა და იმისი მწირი ჟესტები თითქოსდა რაღაცას გისაბუთებდათ, გიხსნიდათ. იმაზე იმიტომ გელაპარაკებით ამდენს, რომ ის იყო კაცი პირდაპირი, ყურადღებიანი და, ამავე დროს, მტკიცე და გაბედული, მისი ეს თვისებები ისე ბუნებრივი ჩანდა, როგორც კარგი ჯანმრთელობა მშვენიერი სხეულისთვის. თავად კი სულაც არ ჰქონდა გაცნობიერებული დიდბუნებოვნება თავისი სულისა. ხანდახან ასე იტყვიან კაცზე, მისი სიცოცხლე მის ხელთააო. მაგრამ იმას ვერ მიუსადაგებდით ამ აზრს, აღმოსავლეთში ყოფნის ხანს იმთავითვე გარემოებათა სათამაშოდ გაეხადა თავისი ბედი. ყველაფერი ეს წარსულში მომხდარიყო და მე ვიცოდი მისი თავგადასავალი და სათავე მისი სიმდიდრისა. საკმაოდ ცნობილი ნატურალისტიც გახლდათ, ანუ, შეიძლება ასეც ვთქვათ, სწავლული კოლექციონერი, ენტომოლოგია იყო მისი სპეციალობა. მთელ ქვეყანაზე გაეთქვა სახელი მისთვის Buprestidae და Longicorns-ის ხოჭოების კოლექციას, ამ საშინელი პაწაწინა ურჩხულებისა, რომლებიც ახლა, მკვდარნი და უმოძრაონი, აღბეჭდილიყვნენ ბოროტების ნიშნით, სახელი გაეთქვა მისთვის პეპლების, ამ მშვენიერი მწერების, კოლექციასაც, რომლებსაც თავიანთი უსიცოცხლო ფრთები გაეშალათ მინის ყუთებში. სახელი გაეთქვათ ვაჭარი კაცისთვის, თავგადასავლების მაძიებლისა და მალაელი სულთნის მრჩევლისთვის (მხოლოდ ასე მოიხსენიებდა სულთანს — „ჩემი საწყალი მუჰამედ ბონზო"). მხოლოდ პეპლების ამ კოლექციის მეშვეობითღა გაიცნეს ევროპელმა მეცნიერებმა, მაგრამ იმათ, ცხადია, არ ეცოდინებოდათ და არც ადარდებდათ ამ კაცის ცხოვრება თუ ბუნება-ხასიათი, მე კი ვიცოდი და სწორედ ამ შესანიშნავი ადამიანისთვის შემეძლო ისევე მომეთხრო ჯიმის გასაჭირი, როგორც საკუთარი.

## თავი 20

გვიან საღამოს შევედი იმის სამუშაო ოთახში, მაგრამ ჯერ ვეებერთელა და თითქმის ჩაბნელებული სასადილო დარბაზი გავიარე. სახლში სიჩუმე იყო. წინ მიმიძღოდა პირქუში იაველი მსახური, თეთრ ქურთუკსა და ყვითელ სარონგში, იმან კარი გამიღო და ხმამაღლა განაცხადა, ო, ბატონოო! ჩურჩულზე მიდგა და ისე გაუჩინარდა, თითქოსდა რაღაც აჩრდილი ყოფილიყო, ვისაც წამით ხორცი შეესხა ჩემი მომსახურების გულისთვის. სავარძელში მჯდომარე შტაინი შემოტრიალდა და თითქოს ამ მოძრაობისდა კვალად სათვალე თავად აეცოცა შუბლზე. მომესალმა წყნარად და ხალისიანად. მხოლოდ ერთი მხარე იყო განათებული ძლიერ ამ ოთახში საჩრდილობლიანი ლამპით, ის რომ სწორედ ის მხარე, სადაც იდგა მისი საწერი მაგიდა, დანარჩენი ნაწილი კი მღვიმესავით მოშავბნელებულიყო. ერთნაირი და ერთი ფერის ყუთებიანი ვიწრო თაროები გასდევდა კედლებს, ოღონდ იატაკიდან ჭერამდე კი არა, ოთხი ფუტის სიმაღლეზე წარმოჩენილიყვნენ მუქი ფერის ზოლებად. ხოჭოების კატაკომბები. ხის დაფები ეკიდა ზემოთ, ერთმანეთს არათანაბრად დაცილებულნი. შუქი მოსწვდომოდა ერთს და ამ სიბნელეში იდუმალება მიენიჭებინა ოქროთი გამოყვანილი ასოებისთვის, Coleoptera. პეპლები დაცული იყო მინის ყუთებში, რომლებიც გამწკრივებულნი იყვნენ სამ რიგად წვრილფეხებიან პატარა მაგიდებზე, რომლებზეც მოეფინათ წვრილი ნაწერით გადამშვენებული მოგრძო ქაღალდები.

— ხედავთ, რა დღეში ვარ, — თქვა მან და შეეხო იმ ყუთს, რომელშიაც ერთი დიდებული პეპელა განრთხმულიყო მოშავო ბრინჯაოსფერი ფრთებით, შვიდი დიუმი იქნებოდა, დაახლოებით, იმათი სიგრძე. ამ ფრთებს გასდევდა თეთრი ხაზები და ულამაზესი ყვითელ-ყვითელი ლაქები, — მხოლოდ ერთი ცალი აქვთ ასეთი თქვენს ლონდონში და მეტი არსად, ჩემს პატარა ქალაქს უნდა ვუანდერძო ეს კოლექცია, თავად ჩემი ნაწილია ეს, საუკეთესო ნაწილი.

დაიხარა და თვალი აღარ მოუცილებია იმისთვის, ზედ ყუთთან მიეტანა ნიკაპი. იმის უკან ვიდექი. დიდებულიაო, ჩაიჩურჩულა მან, თითქოსდა დავიწყებოდა ჩემი იქ ყოფნა. საინტერესო იყო იმ კაცის ცხოვრება. დაიბადა ბავარიაში, ოცდაორი წლის ყმაწვილმა ბევრი გააკეთა 1848 წლის რევოლუციური მოძრაობისათვის. დიდად სახელგატეხილმა გაქცევით უშველა თავს და თავი შეაფარა ერთ ღარიბ რესპუბლიკელ მესაათეს ტრიესტში. აქედან ტრიპოლიში ჩავიდა და თან ჩაიტანა იაფფასიანი საათები... ქურაში გასაყიდად... ვერ იყო კარგი დასაწყისი, მაგრამ ბედმა არ უმტყუნა და ერთ ჰოლანდიელ მოგზაურს გადაეყარა, საკმაოდ სახელოვან კაცს, მგონია, მაგრამ მე არ მახსოვს იმისი გვარი, ისიც ნატურალისტი გახლდათ, თანამშრომლობა შესთავაზა და აღმოსავლეთში წაიყვანა. ცალკ-ცალკე და ერთადაც იმოგზაურეს ოთხი წელიწადი თუ უფრო მეტიც არქიპელაგზე, მწერებსა და ჩიტებს იჭერდნენ კოლექციისათვის. შემდეგ ის ნატურალისტი შინ დაბრუნდა, ხოლო შტაინი, რადგან სახლში არ ჩაესვლებოდა, ერთ ბებერ ვაჭართან დარჩენილა, ცელებესის სიღრმეში მოგზაურობის ხანს შეხვედრია იმას, თუკი რაიმე სიღრმე აქვს ცელებესს. შოტლანდიელი ყოფილა ის მოხუცი, ერთადერთი თეთრი კაცი, ვისაც მაშინ იმ ქვეყანაში ცხოვრების ნება ჰქონდა და უახლოესი მეგობარი გამხდარიყო უაჯოს სახელმწიფოს გამგებლისა, რომელიც დედაკაცი ყოფილა. შტაინს ხშირად უამბია ჩემთვის, იმ ბერიკაცმა, ვისაც ცალი მხარე წართმეოდა, სასახლის კარზე წარადგინა იგი, მალე ამის შემდეგ კიდევ დაეცა დამბლა და მოკვდა. ტანდიდი კაცი იყო, პატრიარქალური თეთრი წვერით, წარმოსადეგი გარეგნობისა, სათათბირო დარბაზში შესულა, სადაც თავი მოეყარათ რაჯებს,პანგერანებსა და ბელადებს, დედოფალიც იქ იყო, მსუქანი, სახედანაოჭებული ქალი (ფრიად ენამჭევრი, ასე თქვა შტაინმა) მაღალ, ბალდახინიან ტახტზე მჯდომარე. ბერიკაცმა ძლივს მიატანა იმას ჯოხის ბაკუნით, მერე შტაინს ხელი მოკიდა და ტახტთან დააყენა, ჩემი ვაჟი არის ეს ყმაწვილი, დედოფალო, რაჯებო, ომახიანად განაცხადა მან, თქვენს მამებთან ვვაჭრობდი მე, მოვკვდები და ის ივაჭრებსო თქვენთან და თქვენს ვაჟებთან.

სწორედ ამ უბრალო ხერხით მოეპოვებინა შტაინს პრივილეგირებული მდგომარეობა, შოტლანდიელის მთელი სავაჭრო უფლებები და გამაგრებული სახლი იმ ერთადერთი სანაოსნო მდინარის პირას. დიდი ხანი არ გასულა და ის ენამჭევრი დედოფალიც მიიცვალა. ტახტის ბევრი მაძიებელი მემკვიდრე გამოჩნდა. შტაინი უმცროსი ვაჟიშვილის პარტიას მიმხრობია, სწორედ ეს კაცი იყო, ვისაც ოცდაათი წლის შემდეგაც მხოლოდ ასე მოიხსენიებდა, ჩემი საწყალი მუჰამედ ბონსოო. მრავალი გმირობა ჩაიდინეს ორივემ, რაღა არ გადახდენიათ თავს და ყველაზე უფრო საოცარი კი ის იყო, რომ მცირერიცხოვან თანამზრახველებთან ერთად შოტლანდიელის სახლში მთელი ჯარის შემოტევას გაუძლეს ერთი თვის მანძილზე. თურმე იქაურ მკვიდრთ დღესაც არ გაუთავებიათ ლაპარაკი მაშინდელ ომზე. შტაინი მაშინაც კი, მგონია, დღენიადაგ ცდილობდა ხელში ჩაეგდო ყოველი პეპელა და ხოჭო, რასაც კი გადააწყდებოდა. რვაწლიანი ომის, მოლაპარაკებების, მრავალი ხანმოკლე დაზავების, უეცარი

ამბოხებების შემდეგ, როცა თითქოსდა საბოლოოდ უნდა ჩამოვარდნილიყო მშვიდობიანობა, იმისი „საწყალი მუჰამედ ბონზო“ სასიამოვნო ნადირობიდან დაბრუნებული და მშვენიერ ხასიათზე მყოფი საკუთარი სასახლის კარიბჭესთან მოკლეს, ცხენიდან რომ უნდა ჩამომხტარიყო, მაშინ. ამის შემდეგ ძლიერ შედგომია წყალი შტაინს, მაგრამ მაინც დარჩებოდა იქ, ცოტა ხნის მერე მუჰამედის დაიც რომ არ მომკვდარიყო („ჩემი ძვირფასი მეუღლე და მეფის ასული“, როგორც საზეიმოდ განუცხადებია მას). იმისგან გოგო ჰყავდა — სამ დღეში გათავებულან დედაცა და შვილიც რაღაც გადამდები ციებცხელებით. ხოლო, წამოსულა იმ ქვეყნიდან, ასეთი საშინელი დანაკლისის შემდეგ იქ რაღა გააჩერებდა. სწორედ ასე გასრულდა იმისი პირველი, თავგადასავლებით აღსავსე ხანა. სრულიად განსხვავებული ყოფილა მისი შემდგომი ცხოვრება და გაუთავებელი მწუხარება რომ არა, შეიძლება ის თავისი ადრინდელი ყოფა სიზმრადაც მოეჩვენებოდა. ცოტა ფული კი ჰქონდა და თავიდან დაიწყო ცხოვრება. დიდი ქონება შეუძენია ამ წლების განმავლობაში. პირველად ბევრს მოგზაურობდა ამ კუნძულებზე, მაგრამ ასაკმა თავისი ჰქნა და ახლა იშვიათად თუ დატოვებდა ქალაქიდან სამი მილით დაცილებულ თავის ვეებერთელა სახლს, ვრცელზე ვრცელი ბაღით, საჯინიბოებით, დამხმარე ნაგებობებითა და ბამბუკის კოტეჯებით შინამოსამსახურეებისა და ხელქვეითებისთვის, რომლებიც აუარება ჰყავდა. ყოველ დილით მიდიოდა ქალაქში ეტლით თავის დაწესებულებაში, სადაც მუშაობდნენ თეთრებიცა და ჩინელებიც. პატარა ფლოტს ჰფლობდა, ეს იყო შხუნები და ადგილობრივი კარჭაპები, გაცხოველებით ვაჭრობდა იმ კუნძულების საქონლით. თუმცა კაცთმოძულე არ გახლდათ, მაგრამ დანარჩენ დროს სულ მარტოდ ცხოვრობდა თავისი წიგნებისა და კოლექციების გარემოცვაში, კლასიფიკაციას უკეთებდა, აბინავებდა ნიმუშებს, მიმოწერა ჰქონდა გამართული ევროპელ ენტომოლოგებთან, აღწერდა თავის საუნჯეს. ასეთი იყო ცხოვრება იმ კაცისა, ვისთვისაც რჩევა უნდა მეკითხა ჯიმზე, თუმცა რამე იმედი არცა მქონია. ძლიერ აღელვებული გახლდით, მაგრამ პატივისცემით შევხედე იმის საქმიანობას, დაძაბული, თითქმის ვნებით უმზერდა თავის პეპლებს, აღარაფერი ახსოვდა, თითქოსდა იმ სათუთი ფრთების ბრინჯაოსფერ ციმციმში, თეთრ ხაზებსა და დიდებულ ლაქებში იმას შეეძლო დაენახა რაღაც სხვა, სუსტი და თან დაღუპვის უარმყოფელი, ისევე, როგორც ნაზი და უსიცოცხლო ქსოვილები, მშვენიერი და სიკვდილით ვერაღბეჭდილი.

— ბრწყინვალეა! — გაიმეორა იმან და ამომხედა, — შეხედეთ, რა მშვენიერია... მაგრამ ეს არაფერი.. შეხედეთ უზადოებას, ჰარმონიას, და იმის ასეთ სინაზეს! და იმის ასეთ სიძლიერეს! იმის ასეთ სიზუსტეს! თავად ესაა ბუნება. ყოველი ვარსკვლავი ასეთია... ყოველი ბალახის ღერო ასეთია... და მძლავრი კოსმოსი თავისი სრულყოფილებით ჰქმნის ამას... შეხედეთ-მეთქი, რა საოცარია, ამ დიდებული შემოქმედის, ბუნების ნასტატარია.

— პირველად მესმის ასეთი საუბარი ენტომოლოგისაგან, — მხიარულად ვუთხარი მე, — ნასტატარიაო! კაცზე კი რაღას იტყვით?

— კაცი კი გვაკვირვებს, მაგრამ ნასტატარი არ უნდა იყოს, — თქვა მან, თვალს ვეღარ აცილებდა იმ თავის ყუთს, — შეიძლება შემოქმედი ცოტათი კი იყოს შეშლილი, რაო? რას იტყვით? ხანდახან ასე მგონია, კაცი იქაა მისული, სადაც ის არც სჭირდებათ, სადაც არც იყო მისი ადგილი; თუ ასე არ არის, მაშინ საწყაულის აღვსებას რად ლამობს? რად დარბის აქეთ და იქით საშინელი ხმაურით, საუბრობს ვარსკვლავეთზე, აშფოთებს ბალახოვან მდელოს?

პეპლებსაც იჭერს-მეთქი, ჩავურთე მე.

გაეღიმა, სავარძელზე გადაწვა და ფეხები გამართა. დაბრძანდითო, მითხრა მან. თავად მე დავიჭირე ეს იშვიათობა ერთ მშვენიერ დილას, სიხარულით არ ვიყავი, თქვენ არ იცით, რა ემართება კოლექციონერს, ასეთ იშვიათობას ხელთ რომ ჩაიგდებს, თქვენ არც შეიძლება ეს იცოდეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც გავიღიმე და მოხერხებულად ჩავჯექი სარწეველა-სავარძელში. ის კედელს მისჩერებოდა და თითქოს იმას მიეპყრო მზერა. და მიამბობდა, თუ როგორ მივიდა ერთხელ, ღამით მასთან იმ „საწყალი მუჰამედის“ მაცნე. ცხრაათი მილის იქით თავის „რეზიდენციაში“ უხმობდა, საცალფეხო ბილიკით უნდა წასულიყო, გაევლო გადახნული მინდორი და ზოგჯერ ტყეც. ადრე დილით გამოვიდა იმ გამაგრებული სახლიდან, ოღონდ ჯერ თავისი პატარა ემა ჩაიკრა გულში და იქაურობის გამგებლობა „მეფის ასულს“, თავის მეუღლეს მიანდო. მომითხრო, თუ როგორ გამოაცილა ქალმა ჭიშკრამდე. გვერდზე მოჰყვებოდა და იმისი ცხენის კისერზე ჩამოედო ხელი; თეთრი კოფთა ეცვა, ოქროს სარჭი გაეკეთებინა თმაში, რევოლვერი ეკიდა მარცხენა მხარეს ტყავის თასმაზე. „მელაპარაკებოდა ისე, როგორც ქალებმა იციან, — თქვა მან, — მეუბნებოდა, ფრთხილად იყავი, როგორმე ეცადე და დაბნელებამდე დაბრუნდიო უკან. ჯავრით აღარ იყო, მარტო მიხდებოდა წასვლა. მოგეხსენებათ ომიანობა იყო, ჩემიანები ფრთხილობდნენ. ტყვიაგაუმტარი დარაბები დახურეს და თოფებიც დატენეს. მეუღლე მთხოვდა, ჩემი დარდი ნუ გექნებაო, კი შევძლებ სახლის დაცვას ვისგანაც არ უნდა იყოსო შენს დაბრუნებამდე. მესიამოვნა, გავუცინე. მიხაროდა, რომ იმას ვხედავდი ასე გაბედულს, ნორჩსა და ძლიერს. მეც ახალგაზრდა ვიყავი მაშინ. ჭიშკართან ხელი მტაცა ხელზე, მომიჭირა დ გამიშვა. გარეთ გამოსულმა იქვე შევაჩერე ცხენი და სანამ ჭიშკარი არ დაკეტეს, არ წავსულვარ. დიდი მტერი მყავდა იმხანად და დიდად წარჩინებული კაციც, დიდი არამზადაც იყო ამავე დროს, თავის ბანდასთან ერთად დაეხეტებოდა იმ არე-მიდამოში. ოთხი თუ ხუთი მილი მივქროდი, წვიმა მოსულიყო ღამე, მაგრამ ნისლი განლეულიყო, განლეულიყო და წარმოეჩინა ნათელი პირი მიწისა, მომღიმარე, ხალისიანი და წმინდა ბალღისამებრ. უეცრად ბითქი გაისმა, მგონია, ოცი თოფი მაინც გავარდა ერთად. ტყვიების გაწივლება გავიგონე და ქუდი გვერდზე მომექცა. პატარა ეშმაკობისთვის მიუმართავთ, გესმით. იმ ჩემს საწყალ მუჰამედს კაცი გამოაგზავნინეს ჩემთან და მერე კი ჩამისაფრდნენ. მივხვდი ყველაფერს და გავიფიქრე, პატარა ხერხი მეც უნდა მოვიშველიო-მეთქი. ჩემმა პონიმ დაიფრუტუნა, შეხტა და შეჩერდა, ნელინელ დავეშვი და იმის ფაფარში ჩავრგე თავი. წავიდა და ცალი თვალით იმისი კისრის ზემოდან ვიმზირებოდი, ხელმარცხნივ, ბამბუკის ტევრში, მცირეოდენი კვამლი გაწოლილიყო. გავიფიქრე, ჰე! მეგობრებო, ცოტა კიდევ უნდა დაგეცადათ, რას ისროდით? ვერ მოქცეულხართ gelungen*, ვერა-მეთქი! მარჯვენა ხელით ნელა, ნელა ამოვაცოცე რევოლვერი. ბოლოს და ბოლოს, ის არამზადები შვიდნი იყვნენ, მეტი ხომ არა. ბალახებიდან გამოძვრნენ, სარგონები აიკეცეს და გამოიქცნენ თავს ზემოთ შუბების ქნევით, ერთმანეთს უყვიროდნენ, ის კაცი მკვდარია და იმისი ცხენი დავიჭიროთო. ამ კარის სიახლოვეზე მოვუშვი და ბახ, ბახ, ბახ... კარგადაც დავუმიზნე. კიდევ ერთს დავადევნე ტყვია ზურგში, მაგრამ ავაცდინე, უკვე შორს იყო. მერე იმ ჩემს ცხენზე გავიმართე და კვლავ ვიხილე მომღიმარე პირი მიწისა, იქვე კი სამი გვამი ეგდო. ერთი ძაღლივით მოკუნტულიყო, მეო-

---

*აქ: ყოჩაღად (გერმან.).



საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ზურგზე იწვა და თვალებზე ხელი აეფარებინა, თითქოსდა აღარც უნდოდა მზის შეხედვა. მესამემ კი სულ ნელა მოხარა ფეხი და მერე ისევ გამართა. გაფაციცებით ვუმზერდი იმას ჩემი ცხენიდან, მაგრამ მეტი აღარ შერხეულა, გაყუჩდა, დიახ. სახეზე დავაცქერდი, სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი ხომ არ ეტყობა-მეთქი. რადგან მცირედმა ჩრდილმა გადაუარა შუბლზე, ეს იმ პეპლის ჩრდილი ყოფილა თურმე. შეხედეთ ამისი ფრთების მოხაზ[illegible] დაფრინავენ ასეთები, მძლავრად მიაპობენ ჰაერს. გავიხედე, სადაცაა მიიმალებოდა. ნუთუ ეს მართალია-მეთქი. და მალე თვალს მიეფარა კიდეც. ჩამოვხტი და სულ ნელა წავედი, ცხენი სადავით წავიყვანე, მეორე ხელში რევოლვერი მქონდა მომარჯვებული, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, ხან მაღლა, ხან დაბლა, მარჯვნივ, მარცხნივ, ყველგან! და ბოლოს დავინახე, ნაგვის გროვაზე იჯდა ათი ფუტის იქით. გული გამალებით მიცემდა. ცხენს ხელი გავუშვი, ცალ ხელში რევოლვერი მეჭირა, მეორეთი ჩემი რბილი ქუდი დავიქავე. ერთი ნაბიჯი. შევდექი, კიდევ ერთი ნაბიჯი. ჰოპა! დავიჭირე! როცა წამოვდექი, ფოთოლივით ვთრთოდი, და როცა ის დიდებული ფრთები გავაშლევინე, მივხვდი, დიდი იშვიათობა ჩამეგდო ხელთ, არაჩვეულებრივი სრულყოფილებით გამოირჩეოდა. თავბრუ დამესხა, ფეხებში ღონე გამომეცალა და იქვე ჩავჯექი. დიდად მსურდა ასეთი პეპელა, როცა იმ პროფესორის კოლექციის შესავსებად ხშირად დავდიოდი. ბევრი ვიარე და რა არ გადავიტანე, ძილშიაც კი ამაზე ვოცნებობდი და ახლა, უეცრად საკუთარი თითებით ვეხებოდი მე, იმას! ერთი პოეტისა არ იყოს („პოეტისაო, ასე წარმოთქვა — „So halt ich's endlich denn in meinen Händen, Und nenn' es in gewissen Sinne mein" ხმადაბლა თქვა უკანასკნელი სიტყვა და ნელა მომაცილა მზერა, გრძელტარიანი ჩიბუხი დატენა საქმიანად და ჩუმად, მერე ცერი დაადო ზემოდან და კვლავ მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

— დიახ, ჩემო კარგო, იმ დღეს მე სანატრელი აღარაფერი მქონდა: ჩემს დაუნდობელ მტერს ხელი მოეცარა, ვიყავი ახალგაზრდა, ღონიერი, მყავდა მეგობარი, საყვარელი მეუღლე („საქვარელიო", ასე ამოთქვა), ბავშვიც, გულში ნათელი მქონდა ჩამდგარი; ისიც კი ამიხდა, რაზედაც ძილშიაც ვოცნებობდი!

ასანთი გაჰკრა, განათდა. იმის ფიქრიან, მშვიდ სახეს ჩრდილმა გადაუარა.

— მეგობარი, ცოლი, ბავშვი, — ნელა წარმოთქვა, იმ პატარა ცეცხლის ალს უმზერდა. ფუო, შეუბერა, ჩაქრა ასანთი. კვნესა აღმოხდა და ისევ იმ მინის ყუთს მიუბრუნდა. ჩუმი თრთოლვა მოეკიდა ნაზსა და მშვენიერ ფრთებს, თითქოსდა შტაინის სუნთქვას წამით სიცოცხლე დაებრუნებინა მისი ოცნების ამ ბრწყინვალე საგნისთვის.

— სამუშაო, — დაიწყო მან უცებ დაბალი, ხალისიანი ხმით და იმ გაფანტულ ფურცლებზე მიმითითა, — მშვენივრად მიდის. ეს იშვიათი ნიმუში უნდა აღვწერო ახლა... რაო! ახალს რას გვეტყვით?

— მართალი თუ გნებავთ, შტაინ, — ძლივსღა ამოვთქვი და ამან თავადვე გამაოცა, — ერთი ნიმუშის აღსაწერად მოვედი...

პეპლისაო? — მკითხა მან უნდობლად და მხიარულად.

— აგრე სრულყოფილი არ უნდა იყოს, — მივუგე და უეცრად ვიგრძენი, ეჭვებში დამრია ხელი, — კაცია

* ხოლო ჩემს ხელთ იყო ის და შეიძლება ითქვას, ჩემი საკუთრება (გერმ.).

— Ach so!* — ჩაიჩურჩულა იმან, მომიტრიალდა, სევდიანი გაუხდა მომღიმარი სახე., ერთხანს მიმზერდა, მერე კი ნელა წარმოთქვა, — დიახ... მეც კაცი ვარ.

იმისი ადამიანობა უკვე იცით; იმდენად გამამხნევებელი იყო მისი ღრმა ბუნებოვნება, რომ ალსარებისთვის მოსული სინდისიანი კაცი ყოყმანს არ დაიწყებდა, არც მე მიყოყმანია დიდხანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმენდა, იჯდა ფეხი ფეხზე გადადებული, ხანდახან იმისი თავი არც ჩანდა თამბაქოს კვამლში, დასტურის ნიშნად რაღაცას ჩაიბურტყუნებდა ხოლმე ამ განუჭვრეტელ ღრუბელში. დავამთავრე. ის გასწორდა, ჩიბუხი დადო, ჩემკენ გადმოიხარა ჩაფიქრებული, სავარძლის სახელურებს ჩამოეყრდნო იდაყვებით და თითები ერთმანეთს გადააჭდო.

— მშვენივრად მესმის. რა რომანტიკოსი ყოფილა.

განვცვიფრდი, დიაგნოზი რა უბრალოდ დასვა-მეთქი. მართლაცდა, სამედიცინო კონსულტაციას ჰგავდა ჩვენი საუბარი — შტაინი თავის მაგიდასთან იჯდა სავარძელში სწავლულის იერით და სრულიად ბუნებრივი ჩანდა ასეთი კითხვა:

რა უნდა ვილონოთ-მეთქი?

ზეაღმართა საჩვენებელი თითი.

— წამალი მხოლოდ ერთია! თავად ჩვენი შეცვლაა საჭირო, — მაგიდას დაჰკრა თითი. დიახაც, უბრალო ჩანდა ეს შემთხვევა და სწორედ ეს უბრალოება... უნდა ყოფილიყო უიმედობის სათავე. ერთხანს ჩუმად ვიყავით. დიახ, მართალი თუ გნებავთ, საკითხავია არა განკურნება, არამედ ის, კაცმა როგორ უნდა იცხოვროს-მეთქი, ვუთხარი მე.

თავი დამიკრა თანხმობის ნიშნად, სევდიანიც ჩანდა ცოტათი:

— Ja! Ja! შეიძლება ამას თქვენი დიდი პოეტის სიტყვები მივუსადაგოთ: საკითხავი აი ეს არის... — გრძნობით დამიქნია თავი, — როგორ უნდა ვიცხოვროთ, ჰა, როგორ!

ადგა, შეჩერდა, მაგიდაზე თითების წვერებით დაყრდნობილი.

— სხვადასხვანაირად შეიძლება ცხოვრება, — კვლავ დაიწყო მან, — იმ მშვენიერმა პეპელამ ნაგვის გროვა ნახა და წყნარად იჯდა იქ თავისთვის, მაგრამ ადამიანიშვილი წყნარად ვერ დაჯდება ნაგვის გროვაზე, ხან რა უნდა და ხან რა — მან ხელი ასწია და მერე დაუშვა, — წმინდანობაც სურს, ხან კი სურს ეშმაკიც იყოს... თვალს დახუჭავს და თავის თავს დიდებულ კაცად დაინახავს... დიდებული კაცი კი ვერც იქნება ვერასდროს... სიზმარშიაც.

მინის სახურავი დახურა, გაიჩხაკუნა ავტომატურმა საკეტმა, ორივე ხელით ასწია ყუთი და მოწიწებით წაიღო, თავის ადგილას მიიტანა; ნათურის შუქით განათებული წრე გადაჭრა, მერე შედარებით სუსტ სინათლეში შეაბიჯა, დაბოლოს — განუჭვრეტელ სიბნელეში გაუჩინარდა. საკვირველი შთაბეჭდილება იყო, ორიოდე ნაბიჯი და დატოვა ეს რეალური და გულშემზარავი სამყარო. იმისი მაღალი ტანი თითქოსდა ხორცისგან განიძარცვა. წელში მოხრილი, უცნაური მოძრაობით უხმაუროდ თავს მოევლო უჩინარ საგნებს, იმის ხმა უკვე შორიდან მესმოდა, სადაც მისცემოდა თავის იდუმალ და არამატერიალურ საქმიანობას, და თუმცა ისე მკვეთრად აღარ, მაგრამ მაინც ომახიანად და გულწრფელად მოისმოდა, მიუხედავად ბგერების დამხშველი მანძილისა.

— მაგრამ სულ თვალდახუჭული ხომ არ იქნებით და ბოლოს მაინც რე-

* აჰ, ასეა! (გერმან.).

ალური დარდი შემოგაწვებათ... გულისტკივილი... ქვეყნის დარდი. გეუბნებით, ჩემო მეგობარო, რა ხასიათზე დადგებით, როცა წარიხოცება თქვენი ოცნების საგანი. მიზეზი კი ეს არის, საკმაოდ ძლიერი არა ხართ, არცა ჭკვიანი საკმაოდ... ja! და მთელი ეს ხანი ასეთი დიდებული ყმაწვილკაცი ბრძანდებით! Wie? Was? Gott in Himmel! შეიძლება კი ასე იყოს? ხა! ხა! ხა!

პეპლების სამაროვანთა შორის მოხეტიალე ჩრდილმა ხარხარი დაიწყო.

— დიახ! დიდებული კი არის ეს საშინელება. კაცი [illegible] გადაეშვება ოცნებათა მორევში. და თუ შეეცდება იქიდან ამოსვლას და არ ეყოფა გამოცდილება, ჩაიხრჩობა კიდევაც, nicht wahr?..** არა! გეუბნებით! გამოსავალი ესაა, უნდა დამორჩილდეთ დამანგრეველ სტიქიონს, ამ ღრმა მორევში მოხვედრილმა უნდა გააქნიოთ ხელები და ფეხები და იქნებ დარჩეთ ზედაპირზე. ხოდა, თქვენ მეკითხებით, როგორ მოვიქცეო?

კიდევ უფრო ძალუმად გაისმა იმისი ხმა, თითქოსდა იმ სიბნელეში თავად სიბრძნე ეჩურჩულებოდა მას, მე გეტყვით თქვენ! აქაც მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვსო.

ჩქარი ფრატუნით სუსტი სინათლის ნაწილში შემოაბიჯა და უეცრად გამოჩნდა მკვეთრად განათებულ ადგილას. დამბაჩასავით პირდაპირ ჩემი მკერდისკენ გამოეწვდინა ხელი; თითქოსდა მჩვრეტდა თავისი ჩაცვივნული თვალებით, მაგრამ სიტყვა აღარ უთქვამს, აწ უკვე გამქრალიყო მისი თავდაჯერებულობა, სიბნელეში აგრე ცხადლივ რომ გამოსჭვიოდა. ჩემი მკერდისკენ გამოწვდილი ხელი დაუვარდა და ნელ-ნელა მომიახლოვდა. ნაზად ჩამომადო ხელი მხარზე. არის რაღაც, სევდიანად თქვა მან, რასაც ვერც ვერასდროს ამოთქვამ, ის ყმაწვილკაცი ამდენ ხანს ცხოვრობდა მარტო და ხანდახან კი ავიწყდება ეს ამბავი... კი ავიწყდებაო. სინათლეს გაენადგურებინა ის თავდაჯერებულობა, სიბნელეში მყოფს რომ ჰქონდა. დაჯდა, იდაყვები მაგიდას დააყრდნო, შუბლზე ხელი მოისვა. „ეს კი უნდა იყოს მართალი... მართალი. დამანგრეველ სტიქიონში დაუყვინთავს... — ყრუ ხმით მელაპარაკებოდა, არც კი მიყურებდა, ხელის გულები სახეზე შემოეწყო, — ასეა. თავის ოცნებას მისდევს და ველარ შეჩერებულა... ხოდა... ewig*... usque ad finen**. — ამ შეუვალმა ჩურჩულმა გადამიშალა ფართო და შეუცნობელი სივრცე, ვითარცა ბუნდად შეფერილი ველი გათენების ხანს... ანუ, შეიძლება სულაც შეღამებისას? კინ იცის, მაგრამ ეს იყო მომჯადოებელი და მაცდუნებელი სინათლე, მოუხელთებელი პოეზიის ბუნდოვანებით რომ ეფინება ხაფანგებს... სამაროვანს. იმისი [illegible] მსხვერპლშეწირვით დიდებული იდეისადმი; შორეულ ქვეყნებში უმოგზაურია, მრავალი გზა, გასაოცარი ბილიკი გამოუკვლევია და სადაც არ მისულა, ფეხი არ შეუშლია, არც სირცხვილი უჭამია და არც სინანული უგრძვნია... მართალი იყო და რომანტიკოსიც. გზა სწორედ ეს იყო, ნამდვილად, მიუხედავად ამისა, ის ცვივა ველი, რომელზეც ადამიანიშვილი დაეხეტება სამაროვანსა და ხაფანგებს შორის, მაინც სევდის მომგვრელი ჩანდა მოუხელთებელი პოეზიის ბუნდოვანი სინათლით განათებული, შუაგულში მიჩრდილული და ბრდღვიალა კიდეებით გარშემოწერილი, თითქოს უფსკრულოვანიდან ამოჭრილი ცეცხლის ენები აბჯვევია გარს დაბლობს, სიჩუმე დავარდნილი და გარინდებული. იმ ყმაწვილისნაირი რომანტიკოსი მე ჯერ არ მინახავს-მეთქი.

---

* როგორ, რანაირად? მამაზეციერო (გერმან.)

** ასე არ არის? (გერმან.)

* მუდამ, უკუნისამდე (გერმან.)

** ვიდრე ბოლო კიდემდე (ლათ.)

ნელა დამიქნია თავი, მერე შემომხედა მოთმინებით და კითხვისთვალით, სირცხვილია, თქვა მან, ჩვენ აქ ორი უსაქმური ბიჭივით ენად გავიკრიფეთ, იმის მაგივრად, რომ ტვინი გავანძრიოთ და რაღაც საშველი ვნახოთ... რაღაც ვუწამლოთ... ამ ბოროტებას... ამ დიდ ბოროტებასო, გაიმეორა მან [illegible]ვებელი ღიმილით. მაგრამ საშველს ვერ ვნახულობდით ამ ჩვენ[illegible]. ჩვენ ვერიდებოდით ჯიმის სახელის წარმოთქმას, თითქოსდა არა [illegible] სისხლისა და ხორცის ყოფილიყო ჩვენი საუბრის საგანი, თითქოსდა ის იყო სული შეცდომილი და მეტი არაფერი, ტანჯული და უსახელო აჩრდილი. „კარგი, — თქვა შტაინმა და წამოდგა, — ამაღამ ჩემსას დარჩით, დილას კი იქნება რამე ხელმოსაჭიდი... ხელმოსაჭიდი ვნახოთ“. გამინათა და წინ გამიძღვა. ჩვენ მიგვაცილებდა იმათი ნათება, რომელიც ირეკლებოდა გაკრიალებულ იატაკზე, აქა-იქ ციმციმს მოილებდა გაპრიალებულ მაგიდაზე, ალიცლიცდებოდა ავეჯის პირზე და შორეულ კუთხეებში დადგმულ სარკეებზე, ორი ადამიანის ჩრდილი და ორი სანთლის ალი წამით უჩუმრად გასხლტებოდა გამჭირვალე სიცარიელეში. წელში მოხრილი ნელა მიმიძღვოდა წინ, გულისხმიერება და სიმშვიდე აღბეჭდოდა სახეზე, თეთრი, მეჩხერი თმა სცემდა მცირეოდნავ მოხრილ კისერზე.

— ის რომანტიკოსი... რომანტიკოსია, — გაიმეორა მან, — და ძალიან ცუდი ამბავია... ძალიან ცუდი... თან ძალიან კარგიცაა, — დასძინა მან.

ნამდვილად ასეა-მეთქი? — ეჭვი გამოვთქვი.

— Gewiss!* — თქვა მან და შეჩერდა აწეული სანთლით ხელში, მე არ მიცქეროდა. — ნამდვილად! თავის სულში აქვს ჩაბრუნებული მზერა. ასე რა სტანჯავს? თქვენთვის და ჩემთვის რა უნდა იყოს... იმის არსებობა?

სწორედ ამ წუთას კი ძნელი იყო დაჯერება ჯიმის არსებობისა, სოფლის მღვდლის ოჯახში რომ დაიწყო და ისე აფარებოდა ადამიანთა ბრბო, ვითარცა მტვრის კორიანტელი და განლეულიყო სიკვდილ-სიცოცხლის ზახილით ამ მატერიალურ სამყაროში, მაგრამ მძლავრზე უმძლავრესად აღვიქვამდი იმის წარუვალ რეალობას! ცხადლივ ვხედავდი ამას, თითქოსდა ამ ჭერმაღალი ოთახების შუქჩრდილების ლაციცში, რაღაც უძირო და გამჭირვალე სიღრმეებში მიმავალნი მივახლოვებოდით აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც მშვენიერების დარად, მოლივლივე და მოუხელთებელი, სანახევროდ ჩაძირული მისხლტის ჩუმ, გარინდებულ, იდუმალ წყლებზე. „იქნება ასეცაა, — განვაცხადე მე და ჩავიცინე, იმწამსვე დავუწიე ხმას, რადგან მკვეთრად გაისმა, — ნამდვილად თქვენც ასეთი ხართ“. თავდახრილმა ზეაწეული სანთლით ხელში კვლავ გააგრძელა გზა. „სწორია... მეც ვარსებობ“, — თქვა მან.

წინ მიმიძღვოდა. თვალყურს ვადევნებდი მის მოძრაობას და ვხედავდი არა ფირმის მეთაურს, საღამო ხანის წვეულებების სასურველ სტუმარს, მეცნიერული საზოგადოებების წევრს, მოგზაური ნატურალისტების მასპინძელს, არამედ ვხედავდი მის ბედ-იღბალს, რომელსაც მტკიცედ და ცოდნით ჩადგომოდა კვალში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია, მისთვის უცხო არ იყო სულგრძელობა, შემართება,მეგობრობა, სიყვარული, ბრძოლა — ყველა ეს ნიშანი ამაღლებული რომანტიკისა. ჩემი ოთახის კართან მომიბრუნდა. „დიახ, — ვუთხარი მე, თითქოსდა კამათი უნდა გამეგრძელებინა, — სხვათა შორის, თქვენ ჭკუა დაკარგეთ და ოცნებობდით იმ ერთ პეპელაზე, ხოლო როცა ერთ მშვენიერ

* რა თქმა უნდა (გერმან.).

დილას კიდევაც გადააწყდით მას, რადას გაუშვებდით ხელიდან ამ დიდებულ შემთხვევას, ხომ ასეა? იმან კი... „შტაინმა ხელი ასწია: — თქვენ თუ იცით, რამდენი კარგი შემთხვევა დავკარგე, რამდენი ოცნება გამიცრუვდა ჩემი ცხოვრების გზაზე. — სინანულით გააქნია თავი. — ზოგიერთი, მგონია, კი იქნებოდა დიდებული, თუკი ამისრულდებოდა. თუ იცით, რამდენი იყო, იქნებ თავადაც კი არ ვიცოდი“, „მშვენიერი იყო თუ არა იმისი [illegible] ყვით, მაგრამ ერთი კი გაუცრუვდა ნამდვილად“, — ვთქვი მე. „ყველას აქვს ერთი თუ ორი შემთხვევა, — თქვა შტაინმა, — და სწორედ ეს არის უბედურება... დიდი უბედურება...“

ზლურბლზე ხელი ჩამომართვა და ჩემს ოთახში შეიხედა ხელაწეულმა.

— ძილი ნებისა, ხვალე კი რაღაც უნდა ვილონოთ, რაღაც პრაქტიკული... პრაქტიკული...

თუმცა იმისი ოთახი იქით იყო, დავინახე, ის უკანვე დაბრუნდა. თავის პეპლებთან უნდა მისულიყო.

## თავი 21

— მგონია, თქვენგან არავის არ გაუგონია პატუსანის შესახებ, — თქვა მარლოუმ კარგა ხნის დუმილის მერე. მთელი ეს ხანი დიდი მონდომებით ეწეოდა სიგარას, — ამას არცა აქვს რამე მნიშვნელობა. ღამისეულ ცარგვალზე რამდენი ციური სხეული დაფრინავს და კაცობრიობამ არც კი იცის, რადგან ეს ბევრს არც აინტერესებს და არც აღარდებს ამ წუთისოფელში. მხოლოდ ასტრონომები იღწვიან ამ საქმეში და ფულს ღებულობენ, ხოლო ისინი სწავლობენ იმათ შემადგენლობას, წონასა და სავალს, მზის გამრუდებას, აბერაციას. სწორედ ასეთი ადგილი იყო პატუსანიც. ბატავიის მმართველ წრეებში მოიხსენიებდნენ მას როგორც მესამეხარისხოვან მხარეს, ისე კი ბევრისთვის არც იყო ცნობილი იმისი სახელი, სულ ცოტამ, ცოტამ თუ იცოდა მისი არსებობა ვაჭარ ხალხში. მაგრამ არც არავინ ყოფილა იქ და, მგონია, არც არავის მოსურვებია პირადად წასვლა იქ მსგავსად იმ ასტრონომისა, ვისაც, წარმოდგენილი მაქვს, შესთავაზებენ ციურ სხეულზე გადასახლებას, რათა ყოველგვარ მიწიერ სიამეს მოკლებულმა სულ ახლოდან დაიწყოს უცნაური ზეცის შესწავლა. თუმცა ციურ სხეულებს და ასტრონომებს არც არაფერი ესაქმებოდათ პატუსანთან. თავად ჯიმი წავიდა იქ. მინდა გაიგოთ, შტაინს მეხუთე სიდიდის ვარსკვლავზეც რომ გაეგზავნა ის, დიდი განსხვავება არც მაშინ იქნებოდა. დასტოვა თავისი მიწიერი ცთომილებანი, თავისი სახელი და სრულიად სხვა სამყაროში ამოჰყო თავი, სადაც გასაქანი მიეცემოდა იმის ნიჭიერებას. სრულიად სხვა და დიახაც ღირსშესანიშნავი იყო ეს სამყარო. ღირსშესანიშნავადაც გამოუჩენია თავი.

შტაინზე კარგად არავინ არ იცნობდა პატუსანს. მმართველ წრეებზე უკეთაც, მე მგონია. ეჭვი არაა, ის მაშინ იყოფილა იქ, იმ თავის პეპლებს რომ დასდევდა, ან მოგვიანებით, როცა ეს გამოუსწორებელი კაცი ცდილობდა ერთი მწიკვი რომანტიზმი შეერია თავისი ვაჭრული სამზარეულოს ხვავრიელ კერძებში. იმ არქიპელაგზე ორიოდე კუთხე თუ დარჩენილიყო, სადაც ის არ ჩასულა მათი ყოფიერების გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ მანამ, სანამ შუქს (ელექტრობას) შეიტანდნენ იქ უფრო უკეთესი მორალისა... და დიახ... დიდი მოგების გულისთვისაც. ჯიმის შესახებ იმ ჩვენი საუბრის შემდეგ, მეორე დილით, საუზმეზე, მან ეს ადგილი ახსენა, როდესაც იმ საწყალ ბრაიერლის ნათქვამი გავიხსენე: კარგი, ჩაძვრეს ოცი ფუტით მიწაში და იქ დარჩეს. ყურადღ-

ლებით შემომხედა, თითქოსდა რაღაც იშვიათი მწერი ვყოფილიყავი. ამის გაკეთებაც შეიძლებაო, შენიშნა მან და ყავა მოსვა. „დავმარხოთ ის როგორღაც, — ავუხსენი მე, — ვერ არის კარგი საქმე, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იმისთვის უკეთესს ვერც ვერაფერს მოიფიქრებ“. დიახ, ის ახალგაზრდაა, მომიგო ფიქრებში წასულმა შტაინმა. სულ ახალგაზრდაა-მეთქი, [illegible] მე მე. „Hön!* პატუსანი ხომ არის, — ისევე განაგრძო მან, — [illegible] მკვდარია“, დასძინა მრავალმნიშვნელოვნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა არ უნდა, მე არ ვიცი ეს ამბავი, მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რომ კარგა ხნის წინათ პატუსანი გამოუყენებიათ რაღაც ცოდვის, დანაშაულის თუ უბედურების დასასამარებლად. შტაინზე ეჭვს ვერ ავიღებთ. მხოლოდ ერთი ქალი არსებობდა მისთვის, ეს იყო მალაელი გოგო, ვისაც ასე ეძახდა, ჩემი მეუღლე მეფის ასული ან, იშვიათად, გულის აჩუყების ხანს, ჩემი ემას დედაო. ხოლო თუ ვინ იყო ის ქალი, პატუსანის გამო რომ ახსენა, ვერ გეტყვით, მაგრამ იმისი ნათქვამიდან მივხვდი, განათლებული, ულამაზესი, ჰოლანდიურ-მალაიური სისხლის ქალი უნდა ყოფილიყო, ვისაც ტრაგიკული ან, შეიძლება, უბრალოდ, სამწუხარო ამბავი გადახდენია. ეჭვი არაა, ეს იყო მისი ქორწინება ვიღაც მალაკელ პორტუგალიელზე, ჰოლანდიელთა დასახლების ფირმის მოსამსახურეზე. შტაინისგან გავიგე, ის არ ყოფილა კარგი კაცი, ბევრი უჩიოდა იმას. მხოლოდ მისი ცოლის ხათრით დაუნიშნავს ის შტაინს პატუსანში, „შტაინი და კ.“-ის სავაჭრო ფილიალის უფროსად. კომერციული თვალსაზრისით ამ დანიშვნას წარმატება არ მოჰყოლია ფირმისთვის. ახლა კი ქალი ცოცხალი აღარ იყო და შტაინს იმ კაცის შეცვლა უნდოდა. ის პორტუგალიელი, სახელად კორნელიუსი, დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე. მისი აზრით, სათანადოდ ვერ შეეფასებინათ და ვერ მიეცათ გასაქანი მისი ნიჭიერებისთვის. სწორედ ეს კაცი უნდა შეეცვალა ჯიმს. „მაგრამ, არა მგონია, იმან დასტოვოს იქაურობა, — თქვა შტაინმა, — რაც უნდა, ისა ჰქნას. მხოლოდ იმ ქალის გულისთვის... რამდენადაც ვიცი, გოგო უნდა ჰყავდეს იმას, ხოდა, ნებას მივცემ კორნელიუსს დარჩეს იმ ძველ სახლში“.

პატუსანი სახელწოდებაა აბორიგენთა სახელმწიფოს შორეული მხარისა, ამავე დროს, მთავარი დაბისაც. დაახლოებით ორმოცი მილით დაცილებულია ზღვას. პირველი სახლები მხოლოდ ორმოცი მილის დაშორებით გამოჩნდება, აგრეთვე, ერთიმეორესთან სულ ახლოს მდებარე, თითქოს მძლავრი დარტყმით გაპობილი ორი გორაც, რომელიც ტყეს დაჰყურებს. მართალი თუ გნებავთ, იმათ შორის მოქცეული ველი ვიწრო ხეობაა და მეტი არაფერი; დაბიდან უსწორმასწორო კონუსისებური ორად გახლეჩილი წვერი ჩანს ერთი მთისა, რომლის ნაწილები მცირეოდნავაა დაცილებული ერთმანეთს. მთვარის ავსების მესამე დღე იყო, ჯიმის სახლის წინ აღმოვჩნდი (ადგილობრივი სტილით აგებული დიდი სახლი იყო, მაშინ იქ ცხოვრობდა), სწორედ გორების მიღმა ამოყო მთვარემ თავი, იმისი მკრთალი ნათელი ჯერ იმ ველზე, ჩაშავებულ მთას დაეფინა, ხოლო, სრულიად მომრგვალებული დისკო უფსკრულოვანის შუაში მოექცა და ისე ნელინელ მოევლო ის წვეროებს, თითქოსდა ჩუმი ზეიმით დასხლტომოდა ჰირამქმულ სამარეს. რა დიდებულიაო, თქვა ჩემ გვერდით მჯდომარე ჯიმმა. რა დიდებული სანახაობაა, არა?

ამ კითხვაში რაღაც სიამაყე დავლანდე, რამაც ღიმილი მომგვარა, თით-

* დიდებულია (გერმან.)

ქოსდა თავად იმისი ხელი ერია ამ არაჩვეულებრივი სანახაობის მოწყობაში. მართლაც რამდენი საქმე მოეგვარებინა პატუსანში! ამ საქმეებში ჩარევა კი თითქოს შეუძლებელი იყო, როგორც შეუძლებელია ჩარევა მთვარისა და ვარსკვლავების ბრუნვაში.

წარმოუდგენელი იყო. მთლად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო მას. ჩვენდა უნებურად მოგვსვლოდა ეს ამბავი შტაინსა და მე. მიზანი კი მხოლოდ ერთი გვქონდა, როგორმე აგვეცილებინა იმ გზას, მის საკუთარ გზას, გეუბნებით. მთავარი მიზანი ეს იყო, თუმცა უნდა ვაღიარო, ცოტათი სხვა რამ მოტივიც მამოძრავებდა. იმხანად მშობლიური სახლის მონახულება მინდოდა და იქნება, ზუსტად ვერ გეტყვით, სწორედ ეს სურვილი იყო თავიდათავი, რათა ის მომეწყო... სადმე მომეწყო-მეთქი, სანამ წავიდოდი სამშობლოში. მივდიოდი იქ, საიდანაც ის მოსულიყო თავისი ჭირ-ვარამით, თავისი ჩუმი სადარდელით, გატანჯული ვითარცა მძიმე ტვირთწამოკიდებული კაცი, ნისლში ქოშინით მომავალი. ვერ გეტყვით, ოდესმე ჩემთვის ნათელი იყო-მეთქი ის ყმაწვილკაცი, იმ დღესაც კი, როდესაც მე ის უკანასკნელად ვნახე; მაგრამ მე ასე მგონია, რაც უფრო ნაკლებად მესმოდა მისი, მით უფრო შეკრული ვიყავი იმასთან სწორედ იმ იჭვნეულობით, მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული ჩვენს ცოდნასთან. უფრო მეტი საკუთარი თავის შესახებაც არ ვიცოდი. და კიდევ, ვიმეორებ, სამშობლოში უნდა გავმგზავრებულიყავი და სამშობლო კი იმდენად შორეული იყო, რომ მისი ყოველი კერა ერთ კერად გარდასახულიყო, სადაც ჩვენთაგან ყველაზე მორიდებულს შეუძლია სული მოითქვას. ჩვენ ათასობით დავძრწივართ დედამიწაზე, ცნობილნიც და უცნობნიც, ვიხვეჭავთ ზღვების იქით სახელს, ქონებას ან ძლივსღა ვშოულობთ ლუკმაპურს, მაგრამ მე მგონია, ყოველი ჩვენთაგანი, ვინც კი სახლში ბრუნდება, თითქოსდა ანგარიშს აბარებს დამხედურთ. ჩვენ ვბრუნდებით და პირისპირ შევეყრებით ჩვენს უფროსებს, ჩვენს ახლობლებს, ჩვენს მეგობრებს, ყველა იმათ, ვისაც ვმორჩილებთ, ვინც გვიყვარს; მაგრამ ისინიც კი, ვისაც არავინ ჰყავს, სრულიად თავისუფალი, მარტოსული, უპასუხისმგებლო და უშვილძირონი არიან, ისინიც კი, ვისაც არ დახვდებათ თავიანთი სისხლი და ხორცი, და ვერ გაიგონებენ ნაცნობ ხმას, ისინიც კი შეეყრებიან მშობლიური მიწის სულს, ზეცას, ჰაერს, ველ-მინდვრებს, მთებს, წყალსა და ხეებს — თავის უტყვ მეგობრებს, მსაჯულებსა და სულისდგმას. რაც გინდათ, ისა თქვით, რათა გაიხაროთ, დაისვენოთ, შეიცნოთ ჭეშმარიტება, უნდა დაბრუნდეთ სუფთა სინდისით. თქვენ შეიძლება ამას ცარიელი სანტიმენტალობა დაარქვათ და, მართლაც, ჩვენთაგან ძალიან ცოტას თუ შეუძლია ნებისყოფა მოიკრიბოს ან უნარი გამოიჩინოს ჩაწვდეს და გააცნობიეროს ნაცნობი გრძნობების სიღრმე. ჩვენ იქ ვნახავთ საყვარელ გოგონებს, ჩვენზე აღმატებულ კაცებს, სინაზეს, მეგობრობას, წარმატებას, სიამოვნებას! მაგრამ ისიცაა სწორი, რომ ეს ჯილდო სუფთა ხელებით უნდა აილო, თუ არა და მკვდარი ფოთლები და ეკლებიღა შეგრჩებათ ხელში. ვფიქრობ, მარტოხელა კაცს, უოჯახოს, ვინც თავის სახლში კი არა, თავის მიწა-წყალზე ბრუნდება, დახვდება სული უხორცო, მარადიული და წარუვალი, ხოლო სწორედ ის ჩახვდება ამ მკაცრი, შვების მომგვრელი ძალის არსებობას, წყალობას მისი საუკუნეობრივი უფლებისას ჩვენს ერთგულებასა და მორჩილებაზე. დიახ! ჩვენთაგან ცოტანი თუ მიხვდებიან, მაგრამ ყველანი კი გრძნობენ, მე ვამბობ, ყველანი-მეთქი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, რადგან ვინც ამას ვერ გრძნობს, არც არის სათვალავში ჩასაგდები. ბალახის ყოველ ღეროსაც აქვს თავისი ადგი-

ლი მიწაზე, სიცოცხლისა და ძალის მომნიჭებელი; ასევე, ადამიანიშვილიც პირმშოა თავისი ქვეყნისა, რომელიც ანიჭებს მას რწმენასა და სიცოცხლესაც. ვერ გეტყვით ჯიმი თუ ხვდებოდა ამას, მაგრამ მე ვიცი, ის გრძნობდა, გრძნობდა ბუნდად, თუმცა კი ღრმად, რაღაც ამდაგვარი შემართებების თუ ილუზიების საჭიროებას, რაც გნებავთ ის დაარქვით ამას, დიდი განსხვავება არაა და არც თავად ამ განსხვავებას აქვს დიდი მნიშვნელობა. თავიდათავი აქ ღირსების გრძნობა უნდა იყოს. სამშობლოში ის აღარასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. არა-მეთქი, აღარასოდეს. თავისი პირ-ვარამის სრული წარმოჩენა რომ შეძლებოდა, ცახცახს დააწყებინებდა ეს აზრი და თქვენც აგაცახცახებდათ. მაგრამ ის არ იყო ასეთი, თუმცა კი შეეძლო თავისებურად გამოემჟღავნებინა თავისი ხვაშიადი. სახლში დაბრუნებაზე რომ გაიფიქრებდა, სისოებას კარგავდა, გაუნძრევლად დაჯდებოდა, თავს ჩაქინდრავდა, გამობერავდა ტუჩებს და იმის პატიოსან და ცისფერ თვალებში კაეშანი ჩაიბუდებდა, მოიღუშებოდა, თითქოსდა მის წინ ასვეტილიყო რაღაც ზიზღის მომგვერლი და საშინელი. წარმოდგენებით ჰქონდა სავსე მაგარი თავის ქალა, რომლის ზემოთაც ქუდივით ეხურა ტალღისებური თმა. თავად მე მოკლებული ვარ წარმოსახვის უნარს (რომ მქონოდა, დღეს უფრო თავდაჯერებული გიამბობდით მის ამბავს) და ვერ გეტყვით, ვფიქრობდი-მეთქი, რომ ჩემი ქვეყნის სული, დუვრის თეთრი კლდეების თავს მოვლენილი მკითხავდა სალსალამათად დაბრუნებულ კაცს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რით დაეხმარეთ თქვენს უმცროს ძმასო. არა, ამგვარი ფიქრებით თავი არ მომიტყუებია, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ის ყმაწვილკაცი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვისზეც არ დამიწყებდნენ გამოკითხვას; ბევრი საუკეთესო კაცი წასულა, გამქრალა, გაცამტვერებულა და ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს ვინმეს, ცნობისმოყვარეობისა ან მწუხარების. ქვეყნის სულს, ვითარცა დიდ თაოსნობათა მეკვლეს, არცა აქვს მრავლის უმრავლესი სიცოცხლის დარდი. ვაი ჩამორჩენილებს! მანამ ვარსებობთ, სანამ ერთად ვართ. ის ყმაწვილკაცი კი ჩამორჩენილიყო გზაში, ვერ იყოჩაღა, მაგრამ ისეთი ძალით შეიცნო ეს მარცხი, რომ გულისამაჩუყებელი შექმნილიყო. ადამიანიშვილის გატანჯული ცხოვრება და სიკვდილი უფრორე გულისამაჩუყებელია, ვიდრე ხის სიკვდილი. შემთხვევით მოვხვდი მე იმასთან და გული ამიჩვილდა. მორჩა და გათავდა. ვწუხდი, ვაითუ გამოსავალი ვერ ნახოს და სმა დაიწყოს-მეთქი. დედამიწა ხომ პატარაა და ვშიშობდი, ერთ დღეს სადმე არ დამხვედროდა თვალებამღვრეული, სახედასივებული, ჭუჭყით შეჭმული მაწანწალა ლანჩაგაცვეთილ ტილოს ფეხსაცმლებში, შემოძენძილი, იდაყვზე გამოხეულ სახელოიანი ტანსაცმლით, ვინც მეტყოდა, ჩვენ ხომ დიდი ხნის ნაცნობები ვართ, ერთი ხუთი დოლარი მასესხეო. თქვენ იცით, რა ენად გაკრეჭილები, რა ხმაჩახრინწულები, რა უდარდელები და ზიზღის მომგვრელნი არიან ეს საფრთხობელები, გამომტყვრალები ღირსეული წარსულიდან, რა უსირცხვილო გამოხედვა აქვთ. კაცი დიდად განიცდის ასეთ შეხვედრას, უფრო მეტად სტანჯავს, ვიდრე სასიკვდილო სარეცელზე განრთხმული მოუნანიებელი ცოდვის ხილვა. მართალი თუ გნებავთ, ეს იყო ერთადერთი საშიშროება, რაც ჩემის აზრით, მას ელოდა, მაგრამ თან არ მჯეროდა ჩემი უსუსური წარმოსახვისა. შეიძლება უარესიც კი მომხდარიყო, რისი განჭვრეტაც მე არ შემეძლო. ის არ მანებებდა იმის დავიწყებას, თუ რა წარმოსახვის უნარით იყო დაჯილდოებული, ძლიერი წარმოსახვის მქონე ხალხს კი შეუძლია ძალზე შორს წასვლა ყოველი მიმართულებით, თითქოსდა მათთვის უფრო

გრძელი სალუზე ბაგირი მიუციათ ცხოვრების შფოთსავსე ნავთსაყუდელში, დიან. ასეა, და ისინი ლოთობასაც იწყებენ. თუმც, ვინ იცის, იქნებ ვამცირებდი კიდეც ჩემი ესოდენი შიშის გამო. რა უნდა გითხრათ? შტაინმაც კი მეტი ვერაფერი თქვა, ის რომანტიკოსიაო. მხოლოდ მე [illegible] ვიტყოდი, ის იყო ერთი ჩვენთაგანი და რომანტიკოსობა რამ [illegible]. ჩემს გაუცნობიერებელ გრძნობებსა და ფიქრებზე იმიტომ [illegible] ასე ბევრს, რომ მიჭირს სათქმელისთვის თავის მოყრა. ჯიმი არსებობდა ჩემთვის და მხოლოდ ჩემი მეშვეობით არსებობს თქვენთვისაც. საკუთარი ხელით გამოვიყვანე და თქვენ წარმოგიდგინეთ. იქნებ სრულიად უმართებულო იყო ჩემი შიში? ვერ გეტყვით... ახლაც კი. შეიძლება თქვენ უკეთ იცოდეთ. არის ასეთი ანდაზა, მაყურებელი უკეთ ხედავსო თამაშს. ასეა თუ ისე, გადაჭარბებული კი იყო. გზას არ აცდენია, არა-მეთქი, პირიქით, საოცრად მიდიოდა, ჯიქურ ვითარცა ბედისწერა, შეუცდომლად, ჩანდა, რომ ფეხი არ შეეშლებოდა. კი უნდა ვყოფილიყავი აღფრთოვანებული, რადგან თავადაც ვიყავი ამ გამარჯვების მონაწილე. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთი კმაყოფილება არ მოუნიჭებია ამას ჩემთვის. ჩემს თავს ვეკითხებოდი, თუ გამოფანტავს-მეთქი ის ნისლი, რომელშიაც დაეხეტებოდა ეს, დიდი თუ არა ღირსშესანიშნავი ყმაწვილი კაცი, ბუნდად და გაურკვევლად რომ ჩანდა და ვისაც ეს ერთი ფიქრი აწუხებდა, ჩამოვრჩენილვარ და როგორმე უნდა დავიკავოო ჩემი მოკრძალებული ადგილი მწკრივში. ამასთან ერთად, უკანასკნელი სიტყვა ჯერ კიდევ არ იყო თქმული და იქნებ არც არასდროს თქმულიყო. მოკლეა ჩვენი წუთისოფელი და სრულად ველარ ვიტყვით ჩვენს სათქმელს, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენს აბდაუბდა საუბარში არის ერთადერთი წარუვალი მიზანი. აღარ დაველოდები ამ უკანასკნელ სიტყვას, რომელიც რომ წარმოითქმება, რომ დაიჭექებს, შეაზანზარებს ცასა და მიწას. დრო აღარ გვრჩება ამ უკანასკნელი სიტყვის წარმოსათქმელად — უკანასკნელი სიტყვისა ჩვენს სიყვარულზე, ჩვენს სურვილებზე, რწმენაზე, სინანულზე, მორჩილებაზე, სულის ამბოხზე. ცა და მიწა არ უნდა შეზანზარდეს. ჩემის აზრით, ჩვენ მიერ მაინც, რაკილა ამდენი ჭეშმარიტება ვიცით თითოეულზე. ბევრი აღარ დამრჩა სათქმელი ჯიმზე. მე მჯერა, დიდებას მიაღწია, თუმცა კი ამ ნათქვამში, უფრო სწორად, მსმენელთა თვალში არა ჩანს ამაღლებული. მართალი თუ გნებავთ, ჩემს სიტყვებს კი არა, თქვენს გონებას ვერ ვენდობი. კი ვიქნებოდი მჭევრმეტყველი, მაგრამ ვშიშობ, თქვენ, ჩემო მეგობრებო, შიმშილით მოაშთვეთ თქვენი წარმოსახვის უნარი და ის აღარ გამოდგება თქვენი სხეულის საკვებად. თქვენი წყენინება მე არ მინდოდა. ილუზიების უქონლობა არა სჯობს? ასე უფრო საიმედოა, არაშემაწუხარი და... მოსაწყენიც. თუმცა თქვენც ხომ გქონდათ ისეთი ხანა, როდესაც სტკბებოდით სიცოცხლით და მომჯადოებელი შუქით გარემოსილნი მიჰყვებოდით დროებას, განცვიფრებულნი შეჰფოფინებდით ყველაფერს, ვითარცა ქვაზე დარტყმით ავარდნილ ნაპერწკლებს, ასეთი მსწრაფლწარმავალნი რომ არიან, ვაგლახ!

## თავი 22

სიყვარული, ღირსება, ნდობა და ამისდაკვალად მოპოვებული სიამაყე, ძალამოსილება, სწორედ ეს არის გმირული მოთხრობის თემა. ჩვენზე ზემოქმედებას ახდენს წარმატებათა კარეგნული მხარე, ჯიმის წარმატებანი კი

არ ყოფილა ასეთი. ოცდაათი მილის ტყემ უსულგულო ქვეყანას დაუმალა ის, ხოლო სანაპიროსთან ქაფმორეულმა ტალღებმა ჩაახშო იმისი დიდების გამოძახილი. ცივილიზაციის ნაკადი თითქოსდა იყოფოდა ხმელეთზე, პატუსანიდან ასი მილის ჩრდილოეთით და აქედან უკვე ცალ-ცალკე მიემართებოდა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. უკან რჩებოდა [illegible]ლები, ბევრი ხეები და ბევრი კაცობრიობა, გადაკარგული [illegible]ვებული ,ვითარცა პატარა და გავერანებული კუნძული ყოვლის წამლეკავი მდინარის ორ ტოტს შუა. ამ ქვეყნის სახელწოდებას ხშირად წააწყდებოდით ძველ მოგზაურთა წიგნებში. მეჩვიდმეტე საუკუნის ვაჭრები პილპილისთვის მოდიოდნენ აქ, რადგან პილპილის ვნება სიყვარულის ცეცხლივით წაკიდებოდათ ჰოლანდიელ და ინგლისელ თავგადასავლების მოყვარულებს ჯეიმზ პირველის ხანაში. პილპილის გულისთვის სად არ მიდიოდნენ! ერთი ტომარა პილპილისთვის შეეძლოთ ერთმანეთისთვის ყელი გამოელადრათ და თვალსაც არ დაახამხამებდნენ, ეშმაკსაც კი მიჰყიდნენ სულს, რომელზეც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ასე ზრუნავდნენ; მხოლოდ ეს ერთი სურვილი ასულდგმულებდათ და არანაირი სიკვდილის შიში არ ჰქონდათ; უცნობი ზღვები, შემზარავი და უცხო სნეულებანი, ჭრილობები, ტყვეობა, შიმშილობა, ჟამიანობა და სასოწარკვეთილება. დიდებისკენ მიმავალი გზა! ღმერთო დიდებულო! ასე ხდებოდნენ გმირები, ასე იმოსებოდა პათეტიკით მათი გმირობა, რადგან შლეგური ვაჭრობა გაემართათ გარდუვალ სიკვდილთან, რომელიც ბაჟს ადებდა ყოველს, მოხუცსა თუ ყმაწვილს. წარმოუდგენელია, მხოლოდ სიხარბე არ უნდა ყოფილიყო თავიდათავი ასეთი ბრმა ძალისხმევისა და მსხვერპლის გაღების. მართლაცდა, მცირე ჯილდოლა ელოდა იმათ, რომლებიც სასწორზე შეაგდებდნენ სიცოცხლეს. შორეულ სანაპიროზე დაყრიდნენ მზეზე თავიანთ ძვლებს, რათა მოპოვებული სიმდიდრე ცოცხლებს მისვლოდათ სახლში. ჩვენ კი ვართ იმათი მემკვიდრეები, მაგრამ ამდენი სად შეგვიძლია, მხოლოდ აღფრთოვანებულნი ვისმენთ იმათ თავგადასავალს, ვინც სავაჭრო აგენტები კი არა, ბედის მაძიებლები იყვნენ, მიდიოდნენ სადღაც გადასაკარგავში დამორჩილებულნი რაღაც შინაგან ძახილს, სისხლში გამჯდარ ლტოლვასა და ოცნებას მომავალზე, გასაოცარნი იყვნენ გასაოცარის მოლოდინში. ყველაფერი ეს ჩაჭდეულიყო იმათ ტანჯვა-ვაებაში, მოლივლივე ზღვაში, უცხო ტომების ზნე-ჩვეულებებსა და იმათი ბრწყინვალე ბელადების დიდებულ ცხოვრებაში.

პატუსანში ბევრი პილპილი ნახეს, იქაური სულთნის სიბრძნემ და მორჭმულობამ მოაჯადოვა ისინი; მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ ამ ქვეყანაში ვაჭრობა რატომღაც ჩაკვდა. იქნებ პილპილი გამოილია. ასე იყო თუ ისე, ახლა არც არავის ჰქონდა ამის დარდი; წარიხოცა დიდება, სულთანი გახდა ერთი დებილი, მარცხენა ხელზე ორ ცერათითიანი ყმაწვილი, მათხოვრული შემოსავლით, მეტი ვეღარ გამოეწოვა თავისი საწყალი ხალხისთვის, თანაც აურაცხელ ბიძებს სულ გაექურდათ.

ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, შტაინმა მიამბო. ყოველი დამისახელა და მოკლედ ამიწერა იმათი ცხოვრება და ხასიათი. რა ცნობები არ ჰქონდა იმას ამ სახელმწიფოზე, და მართალია ოფიციალურ აღწერას მოგაგონებდათ, მაგრამ იმასთან შედარებით ფრიად თავშესაქცევი გახლდათ. დიახაც უნდა სცოდნოდა. ბევრს ვაჭრობდა და ზოგიერთ ოლქში — ასე, მაგალითად, პატუსანში — მხოლოდ იმისმა ფირმამ შეძლო ფილიალის გახსნა ჰოლანდიის ხელისუფალთა საგანგებო ნებართვით. მთავრობა ენდობო-

და ამ წინდახედულ კაცს, რომელიც თავის მხრივ დიდ რისკს სწევდა. სამსახურშიაც ისეთი ხალხი ჰყავდა, ვისაც ესმოდა ეს ამბავი, და ხელფასსაც კარგს აძლევდა. დიდად გულახდილი გახლდათ ჩემთან იმ დილით, საუზმეზე. რამდენადაც იცოდა (უკანასკნელი ცნობა ცამეტი თვის წინ მივიღეთ, იქიდან დააზუსტა იმან), ჩვეულებრივი მოვლენა იყო იქ სიცოცხლისა და ქონების ხელყოფა. პატუსანში შინაომი გაეჩაღებინათ, რაჯა ალანგი იყო ერთ-ერთი მხარის მეთაური. ყველაზე უარესი სულთნის ბიძათაგან, მდინარის მფლობელი, მტაცებელი და მყვლეფელი. მკვიდრ მალაელებს განადგურება ელოდათ, რადგან სრულიად დაუცველნი იყვნენ და ვერც ვერსად მიდიოდნენ. „მართლაცდა, — თქვა შტაინმა, — სად უნდა წასულიყვნენ ან შეეძლოთ კი წასვლა სადმე?“ რაღა თქმა უნდა, იმათ სურვილიც არ ჰქონდათ სადმე წასვლისა. ქვეყანა (მაღალი, გაუვალი მთებით გარშემოზღუდული) წარჩინებულთ ეკუთვნოდა, ხოლო ეს რაჯა, თავადაც უწყოდნენ, სამეფო გვარისა გახლდათ. მოგვიანებით ბედნიერება მქონდა მენახა ეს ჯენტლმენი: ჩიატანის, გაზინზლული და დაჩაჩანაკებული ბერიკაცი, ბოროტი გამოხედვითა და უნებისყოფო პირით, რომლითაც ყოველ ორ საათში ერთხელ ოპიუმის ბურთულას ყლაპავდა, ზრდილობისა და წესიერების, ზნეობის უარმყოფელი, თავშიშველი, ქონიანი თმა პირქუშ, ნაოჭებიან სახეზე სცემდა. აუდიენციის ხანს დარბაზში გამართულ რაღაც ვიწრო ფიცარნაგზე აბობღდებოდა, დამპალ იატაკიდან მიღრინცულ ფარდულს რომ მოგაგონებდათ, დაბლა, ჭუჭრუტანებში, თორმეტ-თხუთმეტი ფუტის სიღრმეში მოჩანდა სახლის ქვეშ შეყრილი ნაგვის გროვები და ხარახურა. სწორედ აქ მიგვიღო მან, როდესაც ჯიმის თანხლებით ვეახლე. დარბაზში ორმოციოდე კაცი იყო, ხოლო დაბლა ეზოში შეიძლება სამჯერ უფრო მეტიც. ჩვენ უკან ხალხი ფუსფუსებდა, შემოდიოდნენ და გადიოდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ, ჩურჩულებდნენ. ცოტა მოშორებით აბრეშუმში გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა იდგა და თვალებდაჭყეტილნი ჩვენკენ იმზირებოდნენ, უმრავლესობა კი მონები და დაგლახავებული მოსამსახურეები იყვნენ, ნახევრად ტიტველნი, შემოძენძილ სარონგებში, ნაცრითა და ჭუჭყით შეჭმულნი. პირველად ვხედავდი ჯიმს ასე გულდინჯს, თავდაოკებულს, შეუვალსა და შთამბეჭდავს. შავფერი სახის ხალხით გარშემორტყმული, ოქროსფერი თმის ტევრით დამშვენებული, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ეს ტანახოვანი ყმაწვილკაცი თითქოს თავისკენ იზიდავდა მზის ნათელს, ფარდაგის კედლებიან და ბამბუკის ჭერიან ჩაბნელებულ დარბაზში რომ შემოდიოდა დარაბების ხვრელებიდან. სულ სხვა სისხლისა და ხორცის არსებას მოგაგონებდათ. მოსული რომ არ გენახათ, შეიძლება გეფიქრათ ციდან ჩამოფრენილაო. მაგრამ ის მიღრინცული ნავჭურჭლით ჩამოსულიყო: იჯდა (გასუსული, მუხლებმიტყუპებული, ვაითუ გადავბრუნდეო)... იჯდა-მეთქი ჩემს თუნუქის ყუთზე, მუხლებზე დაედო რევოლვერი, ჩემი ნაჩუქარი, დამშვიდობებისას, განგების ნებით თუ შლეგური ჩაგონებით ან იქნებ თავისდა უნებური წინდახედულობით დაუტენავი მოჰქონდა. სწორედ ასე ამოჰყოლია მდინარე პატუსანს. ასე პროზაული, ასე დაუდეგარი, ასე სახიფათო მტერი რა უნდა ყოფილიყო. სულ მარტოდ მარტო მოდიოდა, კი იყო უცნაური საბედისწერო ნიშნით აღბეჭდილი მისი საქმენი, მისი მეყსეული და ქვეშეცნეული ლტოლვა — ნახტომი შეუცნობლის წიაღში.

სწორედ ამ დაუდევრობამ დამცა თავზარი. არც შტაინმა და არც მე არ ვიცოდით კარგად, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო იქით, გაღმა, როდე-

საც ჩვენ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ხელი დავავლეთ და ასე ჰაიჰარად იმ კედელზე გადავისროლეთ. იმ წუთას მე მხოლოდ იმისი გაქრობა მეწადა, შტაინს კი სანტიმენტალური მოტივი ამოძრავებდა. მას წესად ჰქონდა სიკეთის სიკეთით გადახდა. მართლაცდა, მთელი თავისი ცხოვრება შეგნებულად იყო განწყობილი ბრიტანეთის კუნძულებიდან ჩამოსულთა მიმართ. მისი აწ განსვენებული კეთილისმყოფელი ხომ შოტლანდიელი გახლდათ და ალექსანდრ მაკ-ნილს უწოდებდნენ. ჯიმი მდინარე ტვიდიდან შორს, სამხრეთში იყო დაბადებული, მაგრამ ამ ექვსი თუ შვიდი ათასი მილის მანძილზე დიდი ბრიტანეთი თუ არ მცირდება, იკუმშება მაინც თვით თავის პირმშოთათვისაც კი და ამ დროს სრულიად უმნიშვნელო ხდება ასეთი დეტალები. შტაინი ყოვლისმიმტევებელი კაცი გახლდათ. ვაითუ ვინმეს გაენდოს კეთილშობილური ზრახვანი-მეთქი და შევევედრე, საიდუმლოდ შეენახა. ვგრძნობდი, რომ არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, თორემ ჯიმს ვერ დავითანხმებდი. ეს ყოვლად დაუშვებელი იყო. ჩვენ სულ სხვა რეალობის წინაშე ვიდექით. იმას თავშესაფარი სჭირდებოდა და სწორედ ასეთი თავშესაფარი — მოპოვებული საფრთხის საფასურად, მეტი არც არაფერი.

სხვა მხრივ მე ზედმიწევნით წრფელი ვიყავი იმასთან და უფრო მეტიც (როგორც იმხანად ვფიქრობდი), ვაზვიადებდი კიდეც საფრთხეს, თურმე ვცდებოდი: პირველივე დღე პატუსანში კინაღამ უკანასკნელი არ გახდა იმისთვის და გახდებოდა კიდევაც, მაგრამ უშიშარი იყო და თავი სულაც არ ადარდებდა, ხოლა, არც დაუტენია ის რევოლვერი. მახსოვს, წასვლის გეგმას რომ ვუხსნიდი, მისი გულისმომკვლელი მორჩილება თანდათანობით იცვლებოდა გაოცებით, ყურადღებით, აღფრთოვანებითა და ბავშვური სიხარულით. სწორედ ასეთი იყო იმისი ოცნების საგანი. ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რით დაიმსახურა ჩემი ასეთი... მომკალით, მაგრამ ვერ გამიგია, რას უნდა ვუმადლოდეო... და ნუთუ შტაინიც, შტაინი, ვაჭარი, ვინც... თუმცა, რაღა თქმა უნდა, თავიდათავი მაინც თქვენ ხართო... სიტყვა გავაწყვეტინე. ლუღლუღებდა მადლობის ნიშნად და ამან ძალიან მატკინა გული, მე ვუთხარი, თუ მაინცადამაინც ვინმეს მადლობელი უნდა ყოფილიყო, ერთი მოხუცი შოტლანდიელისა, ვის შესახებაც არც არაფერი გაუგონია. დიდი ხნის წინათ მომკვდარა ის კაცი, ბევრს აღარც ის ახსოვდა და აღარც იმისი ომახიანი ხმა და რაღაც უცნაური მოუხეშავი პატიოსნება. ნამდვილად ვეღარავის ეტყვით-მეთქი მადლობას. შტაინი თუ დაეხმარა, სწორედ ასევე დახმარებიან მას სიყმაწვილეში, მე კი მხოლოდ ჯიმის სახელი ვახსენე, მეტი არაფერი გამიკეთებია. გაწითლდა. ხელში რაღაც ქაღალდის ნაგლეჯს ატრიალებდა, ჩაიჩურჩულა, თქვენ ყოველთვის მენდობოდითო.

დავეთანხმე, სწორედ ასეა-მეთქი, და ცოტა ხნის მერე დავსძინე, ნეტავი თქვენც მომბაძავდეთ-მეთქი. თქვენ გგონიათ რომ არაო, ძლივს ამოთქვა იმან, შემდეგ კი ჩაიბურტყუნა, პირველად თავი უნდა გამოვიჩინოო. სახე გაუნათდა და უკვე ხმამაღლა წარმოთქვა, არც ინანებთ, მე გავამართლებო თქვენს ნდობას, ხოლა... ხოლა...

სცდებით-მეთქი, მე მივუგე, რა უნდა ჩაიდინოთ, რომ ვინანო-მეთქი, არაფერსაც არ ვინანებ, თუ ვინანებ, ვისი რა საქმეა-მეთქი. მეორე მხრივ მინდოდა იმას გაეგო, ეს გეგმა, ეს... ეს... ცდა სულაც მის სინდისზე უნდა დარჩენილიყო და პასუხსაც ის აგებდა, მეტი არავინ. როგორ? როგორო? — ენა დაება მას, — მეც ხომ სწორედ ეს მინდოდაო. ვთხოვე, სულელურად

ალარ მოიქცეთ-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა, შემდეგ კი გულით დასძინა,
მეც ხომ ვცდილობდი გზის გაკვლევას, ასე არ არისო? შეუძლებელი იყო
მასზე გაბრაზება და კიდევაც გამეღიმა ჩემს უნებურად, ასე ...., ძვე-
ლად ეს გზა უდაბნოში მიდიოდა, განდეგილები ასე ხდებოდნენ-მეთქი, ჯან-
დაბას განდეგილებიო, გრძნობით წამოიძახა მან. უდაბნოს საწინააღმდეგო
კი არაფერი ჰქონდა. დიდად მოხარული ვარ-მეთქი, მივუგე მე. სწორედ იქ
მიეშურებოდა. კი ნახავდა იქ ცხოვრებას. ვბედავდი და ვპირდებოდი ამას.
დიახ, დიახ, ის სულითა და გულით იყო თანახმა. თქვენ ხომ გსურდათ წას-
სვლა და კარის ჩაკეტვა-მეთქი, ალარ ვეშვებოდი მე. მართლაო? შემაწყვე-
ტინა მან და ისე მოიღუშა, თითქოს შავი ღრუბელი დაადგაო თავს. რაც
უნდა ყოფილიყო, საოცრად მეტყველი სახე ჰქონდა. საოცრად-მეთქი! „მა-
რთლაო? — განაგრძო მან პირქუშად. — თქვენ ხომ ვერ იტყვით, ხმაური
ატეხაო ამის გულისთვის. ძლივს ვიკავებდი თავს, მაგრამ... დასწყევლოს
ღმერთმა, კარს თქვენ მიჩვენებთ..." დიახ. მიბრძანდით-მეთქი, მოვუჭერი მე.
საზეიმოდაც შემეძლო დავპირებოდი, რომ უთუოდ მოხდებოდა შურისძი-
ები, მაგრამ დაიკეტებოდა კარი. რაც უნდა ის მოსვლოდა, არავის ალარ შე-
წუხებდა მისი ბედ-იღბალი, რადგან ის ქვეყანა მართალია კარგად დამპა-
ლიყო, მაგრამ მაინც არ მომწიფებულიყო იმდენად, რომ თანაღმობა გა-
მოეჩინა. მოხვდებოდა ერთხელ იქ და თითქოსდა არც უცხოვრია ამ ქვე-
ყანაზე. სხვა საყრდენი არც გააჩნდა, გარდა ორი ფეხისა, რომელზედაც უნ-
და დამდგარიყო, მაგრამ ჯერ კი უნდა ენახა სადმე დასადგომი. „არც უც-
ხოვრიაო... მორჩა და გათავდა, ღმერთმანი!" — ჩაიჩურჩულა თავისთვის.
თვალებანთებული მომჩერებოდა. თუკი გასაგებია ყველაფერი, დავსძინე მე,
პირველივე გზარიში ჩაჯექით და შტაინისას მიდით საბოლოო მითითებისთ-
ვის-მეთქი. ჯერ კიდევ დამთავრებული არ მქონდა სიტყვა, რომ ოთახიდან
გავარდა.

## თავი 23

მხოლოდ მეორე დილით დაბრუნდა. სადილად და ღამის გასათევად
დარჩენილიყო. იქ, ბ-ნ შტაინისთანა დიდებული კაცი ჯერ არ შეხვედრია.
ჯიბეში კორნელიუსისთვის გადასაცემი წერილი ედო („იმ ვაჟბატონს მიართ-
ვით, სამსახური უნდა დატოვოს", უთქვამს მას და წამით წამონთებულა),
ვერცხლის ბეჭედიც მიჩვენა, აღფრთოვანებული იყო. ასეთს იქაური მკვიდ-
რნი ატარებდნენ, სულ გაცვეთილიყო და ძლივს ჩანდა ზარნიშის ნაკვალევი.
სწორედ ამ ბეჭდით უნდა წარდგომოდა ერთ მოხუც კაცს, სახელად
დორამინს, დიდად გავლენიან პიროვნებას, ის იყო ბ-ნი შტაინის მეგობარი
იმ ქვეყანაში, სადაც მას მრავალი რამ გადახდენოდა თავს. ბ-ნმა შტაინმა
ასე უწოდა, ჩემი „თანამებრძოლი". თანამებრძოლიო, რას იტყვით ასე არ
არისო? ბ-ნი შტაინი ხომ დიდებულად საუბრობს ინგლისურად, ცელებეს-
ში ვისწავლეო ეს ენა. კი არის ეს ამბავი სასაცილო, ხომ ასეა? აქცენტიც
აქვს, ღუღღუნებს კიდევაც, თუ შენიშნეთო. სწორედ იმ კარგმა კაცმა, დორ-
ამინმა აჩუქა ეს ბეჭედი, დამშვიდობების ხანს ერთმანეთი დაუსაჩუქრები-
ათ მარადიული მეგობრობის ნიშნად. თვითონ ჯიმს მოსწონს ეს ამბავი, მაგ-
რამ მე რას ვფიქრობ? ძლივს გამოასწრეს იმ ქვეყნიდან, როდესაც ის მუ-
ჰამედი... მუჰამედი... ასე არ ერქვა?.. მოკლეს. მე ყველაფერი ვიცოდი, რა-
ღა თქმა უნდა. რა ვერაგულად ჩაუსაფრდნენო, არა?
ხოდა, ასე მელაპარაკებოდა, ჭამა აღარც ახსოვდა (საუზმეზე მომისწრო),

წამონთებულიყო, თვალებს აკვესებდა, ეტყობოდა ღელავდა. ეს ბეჭედი რწმუნებულობის სიგელს მოაგონებდა გარკვეულწილად („სწორედ წიგნებში რომ გვაქვს წაკითხული, ისე", კმაყოფილებით აღნიშნა მან), ის დორამინი კი ყველაფერს გაუკეთებს. ბ-ნმა შტაინმა ერთხელ იყო და სიკვდილს გადაარჩინა ის კარგი კაცი; სრულიად შემთხვევითო, მითხრა ბ-ნმა შტაინმა, მაგრამ მას, ჯიმს თავისი აზრი აქვს ამის შესახებ. ბ-ნი შტაინი სწორედ ის კაცია, ვინც ბძებს ასეთ შემთხვევებს, ვითომდა რაო. შემთხვევით იყო თუ არა, ეს ამბავი დიდად არგებს მას. სულითა და გულით სურს, რომ იმ ბერიკაცს ჯერ კიდევ არ ჰქონდეს ფეხები გაფშეკილი. ბ-ნმა შტაინმა არ იცის. მთელი წელიწადი ისე გავიდა, ახალი ამბავი არ მოსულია იქიდან; გაუთავებლივ ხოცავენ ერთმანეთს, ბათქაბუთქს გაუმართავენ და ის მდინარე გადაკეტილია. ვერ არის კარგი ამბავი, მაგრამ არა უშავს, კი ნახავს სადმე ხვრელს და გაძვრება.

ლამის შეშინებული ვუსმენდი იმის აბდაუბდა ლაპარაკს. ენას ველარ აჩერებდა იმ ბალღის დარად, ვისაც აღდგომა დღე გათენებია, ზაფხულის არდადეგებზე მიდის და ცელქობას აღარავინ დაუშლის, მაგრამ ზრდასრულ კაცს ასეთ დროს ასეთი საქციელი არ შეეფერებოდა და კი იყო უცნაური, ცოტათი შლეგური, საშიში და სახიფათო. რაღა უნდა მექნა, უნდა შევხვეწებოდი, სიდინჯე გმართებს-მეთქი, რომ დანა-ჩანგალი დააგდო (ჭამა დაეწყო, უფრო სწორად, საჭმლის ყლაპვა უაზროდ) და თეფშის ირგვლივ ხელების ფათურს მოჰყვა. ბეჭედი! ბეჭედი! სად ჯანდაბაშია... ოჰ! აქ არ ყოფილა?!. თავის დიდ ხელში ჩამუჭა და ჯიბეები გაისინჯა. ღმერთო! ვაითუ გამოუვარდეს. თავის მჯიღს დასცქეროდა საგონებელში ჩავარდნილი. რა უნდა ჰქნას? ყელზე ხომ არ ჩამოიკიდოს! იმწამსვე შეუდგა ამ საქმეს. საიდანღაც დააძრო პატარა თოკი (ფეხსაცმლის თასმას ჰგავდა), კი გამოდგებოდა. კარგია! აღარ გაიხსნება! ეშმაკმა უწყის, რა მოხდებოდა... თითქოსდა პირველად დაიჭირა ჩემი მზერა და მიყურდა. შეიძლება თქვენ არ გესმოდეთ, მითხრა მან ბავშვური გულწრფელობით რა დიდი მნიშვნელობა აქვსო ამ ბეჭედს ჩემთვის. მეგობარს უდრის, მეგობარს რა სჯობიაო. კი გაეგება ამისი რაღაც. მტკიცედ დამიკრა თავი, მაგრამ სანამ რამის თქმას დავაპირებდი, ცალ ხელზე თავი ჩამოდო, მეორეთი პურის ნაფშვენების შეგროვებას შეუდგა სუფრაზე... „კარის მიკეტვაო, უკეთესად ვერც იტყვი, — შეჰყვირა იმან, წამოვარდა და ოთახში სიარულს მოჰყვა, იმისმა მხრებმა, თავმა, არეულმა ნაბიჯებმა ის ღამე გამახსენა, როდესაც ასევე დააბიჯებდა და აღსარების ხანს, ახსნა-განმარტების ხანს — რაც გნებავთ, ის დაარქვით — უკანასკნელ ზღვარს მიტანებული მაინც ცოცხლობდა... ცოცხლობდა, ჩემს წინ, საკუთარივე ჩრდილით გარშემორტყმული, საკუთარივე ქვეშეცნეული ძალისხმევით ცდილობდა შვების მოპოვებას იმ ტანჯვა-ვაების წიაღში. ახლაც ისეთივე გუნება-განწყობილება ჰქონდა, თუმცა კი განსხვავდებოდა ამავე დროს. მსგავსად იმისა, როდესაც თქვენი რომელიმე თავქარიანი ამხანაგი დღეს სწორად გიჩვენებთ გზას, მაგრამ ხვალ შეიძლება სულ აგიბნიოთ თავგზა, რადგან ცვლილება არა ეტყობა რა და ისევე იმზირება, ისევე დადის და იმავე ხასიათზეა. ბოლთას სცემდა დაღვრემილი, თვალებს აცეცებდა, თითქოსდა რაღაცას დაეძებდა ოთახში, ასე გეგონებოდათ, ერთი ფეხით უფრო მძიმედ დააბიჯებსო, ვიდრე მეორეთი, იქნებ მისი ფეხსაცმლის ბრალი იყო და ამიტომ ჩანდა იმისი სიარული ასეთი უცნაური. ერთი ხელი ღრმად ჩაეყო ჯიბეში, მეორე კი უეცრად ზეაღმართა. „კარის

მიკეტვა, — ისევ შეჰყვირა მან, — მე ამას ველოდი. ვნახოთ... მე ვიცი.... უკან არ დავიხევ... სწორედ ეს იყო ჩემი ოცნება... ღმერთო! ერთი კი წავიდე აქედან. ღმერთო! ბედი მქონია... თქვენ ნახავთ, მე ვიცი..."

უშიშრად ასწია თავი და უნდა ვაღიარო, პირველად იყო და უკანასკნელად მთელი ამ ჩვენი ნაცნობობის მანძილზე, რომ ჩემთვის მოულოდნელად ცუდი თვალით შევხედე. ნეტარების ბურუსში ასე როგორც დათქმული იყო, ოთახში დააბიჯებდა სულელურად ხელის ქნევითა და ზოგჯერ მკერდზე დაკიდებულ იმ ბეჭედს სინჯავდა. რა ცათა ფრენა შედგომოდა კაცს, ვინც სავაჭრო აგენტად დავნიშნეთ იქ, სადაც არცაა ვაჭრობა, ხომ ასეა? ასე ჯიუტად როგორ აღდგომოდა წინ სამყაროს? კაცმა ასეთი გუნება-განწყობილებით არ უნდა მოკიდოს ხელი საქმეს. ასეთი გუნება-განწყობილება არც თქვენ შეგეფერებათ და არც სხვას-მეთქი, ვუთხარი მე. ჩემ წინ გაჩერდა. თქვენ ასე ფიქრობთ? მკითხა მან, სულაც არ ცდილობდა თავის დაოკებას და, მგონია, უეცრად რაღაც გამომწვევი შევნიშნე იმის ღიმილში. მაგრამ მე ხომ იმაზე ოცი წლით უფროსი ვიყავი. ახალგაზრდობა გამომწვევია, ეს არის იმისი უფლება, აუცილებლობა; თავის დამკვიდრებას ცდილობს და ამ მერყევ სამყაროში ხსენებული დამკვიდრება დიახაც უნდა იყოს გამომწვევი. ოთახის შორეულ კუთხეში მიდგა და მერე დაბრუნდა, ხატოვნად თუ ვიტყვით, ჩემს დასაგლეჯად. თურმე მე ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მე... მეც კი, ვინც იმის მიმართ უსაზღვროდ კეთილგანწყობილი გახლდით..., მეც კი მახსოვდა... მახსოვდა მისი ამბავი.... ის, რაც მას გადახდა. და სხვაზე რაღა უნდა თქვას... სხვაზე... მთელ ქვეყნიერებაზე? ხოდა, გაცლა რომ უნდა, ვისლა უნდა გაუკვირდეს, უნდა წავიდეს, ველარ დარჩება აქ... ღმერთმანი! რომელ გუნება-განწყობილებაზე შეიძლება ლაპარაკი!

— ის კი არაა საქმე, რომ მე მახსოვს და ქვეყნიერებასაც, — ასე შევყვირე, — ეს შენ... შენ გახსოვს.

უკან არ დაუხევია, ფიცხლად განაგრძო.

— დავივიწყო ყველაფერი და ყველანი, ყველანი, — მერე ხმას დაუწია და დასძინა, — მაგრამ თქვენ!

— დიახ, მეც... თუკი ეს გიშველით, — ჩუმად ვუთხარი. ამის შემდეგ რამდენიმე ხანს ხმა აღარ ამოგვიღია, თითქოსდა ძალაგამოცლილები უსიცოცხლოდ ვისხედით. მერე კი წყნარად მითხრა, ბ-ნმა შტაინმა მირჩია, ერთი თვე ან მეტიც დაიცადე, სანამ სახლის აშენებას დაიწყებდეთ, გაიგეთ, თუ შეიძლება იქ დარჩენა, „ნამეტნავად ნუ დაიხარჯებით", ხანდახან კი ხმარობდა ასეთ სასაცილო გამოთქმებს. „ნამეტნავად ნუ დაიხარჯებითო", კარგია... დარჩეს? რაღა თქმა უნდა! აღარ წამოვა იქიდან. ერთი კი ჩავიდეს და... მორჩა და გათავდა. აღარასოდეს აღარ წამოვა. დარჩენა მას არ გაუჭირდება.

— აბა დაუფიქრდით, — ვუთხარი მე, შეშფოთებული ვიყავი ამ მისი მუქარით, — დიდხანს რომ იცხოვრებთ იქ, კი მოგინდებათ დაბრუნება.

— დაბრუნება სად? — მკითხა მან დაბნეულად, კედელზე დაკიდებულ საათს მისჩერებოდა.

ცოტა ხანს ჩუმად ვიყავი.

— მაშ აღარასოდეს დაბრუნდებით? — მე ვუთხარი.

— აღარასოდეს, — გაიმეორა მან სიზმარეულივით, მე არც კი მიმზერდა, უცებ გამოერკვა. — ღმერთო! ორი საათია, მე კი ოთხზე მივემგზავრები.

მართლაც ასე იყო. სწორედ იმ დღეს მიდიოდა შტაინის ხომალდი დასავლეთისკენ. იმას უნდა გაჰყოლოდა ჯიმი, დაყოვნება არ შეიძლებოდა. გე-

მი თავის დროზე უნდა გასულიყო. ჯიმი სასწრაფოდ გაიქცა ბარგის წამოსაღებად, მე კი ჩემს გემზე ავედი, დამპირდა, იქ გამოგივლითო, სანამ თავის ხომალდში ჩაჯდებოდა. სულ მალე მოვიდა, ხელში ტყავის შავი ჩანთა ეჭირა. არ გამოდგებოდა და ამიტომ ჩემი ძველებური სკივრი შევთავაზე. წყალგაუმტარი, ყოველ შემთხვევაში, სინესტე გაუმტარი [illegible]ბოდა. სულ უბრალოდ მოაგვარა ეს ამბავი, თავისი ჩანთა [illegible] კი ჰქონდა იმ სკივრში ჩაბერტყა, სწორედ ასე სცლიან ხორბლის ტომარას. შევამჩნიე, სამი წიგნი ჩავარდა შიგ, ორი პატარა, მუქი ფერის გარეკანში, ერთიც სქელტანიანი, მწვანე, ოქროსვარაყიანი, ნახევარ კრონად ღირებული სრული კრებული შექსპირის თხზულებებისა. ამას კითხულობთ-მეთქი, ვკითხე მე. დიახ, ხასიათზე მოვყავარო, სასწრაფოდ მომიგო მან. კი გამიკვირდა მისი ასეთი შეფასება, მაგრამ შექსპირისთვის აღარ გვეცალა. მძიმე რევოლვერი და ვაზნების ორი კოლოფი იდო მაგიდაზე. გთხოვთ წაიღოთ, ვუთხარი მე, იქნებ იქ დარჩენაში შეგეშველოთ-მეთქი, მაგრამ დამთავრებულიც არ მქონდა სათქმელი, რომ მივხვდი ამ სიტყვების ულმობელობას. იქ ჩასვლაში გიშველით-მეთქი, გადავაკეთე შეწუხებულმა, თუმცა მას სულაც არ მიუქცევია ამისთვის ყურადღება. გულითა და სულით მადლობა მითხრა და გავარდა, კარგად იყავითო, მომაძახა. იმისი ხმა გავიგონე გემის მიღმა, თავის მენავეებს აჩქარებდა. კიჩოსთან მივედი და დავინახე, ნავმა გაუხვია, ჯიმი იმის ცხვირზე იჯდა და იძახოდა, მაგრად მოუსვითო, უძახოდა მენავეებს, ხელში ის რევოლვერი ეკავა, თითქოსდა იმათი თავები ამოეღო მიზანში, არასოდეს არ დამავიწყდება იმ ოთხი იაველის შეშინებული სახეები და ნიჩბების გამალებული ტრიალი. მალე ნავი თვალს მიეფარა. მივბრუნდი და პირველადვე ეს დავინახე, ვაზნები დავიწყებოდა ,ის ორი კოლოფი ისევ ისე იდო მაგიდაზე.

სასწრაფოდ ვბრძანე, კარჭაპი მოამზადეთ-მეთქი, მაგრამ ჯიმის ის მენავეები ასე ფიქრობდნენ, სანამ ეს გიჟი ნავშია, ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო, და ისე გაქანდნენ, რომ მე ნახევარი მანძილიღა მქონდა გავლილი ამ ორ ნავჭურჭელს შორის, ჯიმი კი უკვე იმ ხომალდის მოაჯირზე ძვრებოდა, იმისი სკივრიც აჰქონდათ ზევით. ხომალდზე ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად, მთავარი იალქანი აღემართათ, და საღუზე ჯალამბარი აჭრიალდა, როგორც კი გემბანზე ფეხი დავდგი. კაპიტანი შემომეგება, კოხტა, ტანმომცრო, შერეული სისხლის კაცი, ასე ორმოციოდე წლისა, ცისფერი ფლანელის კოსტიუმში გამოწყობილი, მკვირცხლი თვალებითა და ლიმონისფერი მრგვალი სახით; მეჩხერი შავი ულვაშები ჩამოშლოდა სქელ, მუქ ფერისავე ტუჩებზე, ნაძალადევი ღიმილით მომაშურა. კმაყოფილი და მხიარული სახით მომიახლოვდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, მოცლა არ ჰქონდა. რაღაც ვუთხარი (ჯიმი ჩასულიყო წამით), იმან კი მიპასუხა, ჰო, დიახ, პატუსანიო. მდინარის შესართავთან კი მიიყვანს ამ ჯენტლმენს, მაგრამ იქით „ვეღარ აუყვება“. თითქოსდა გიჟების ლექსიკონიდან ესესხებინა ინგლისური სიტყვები. ხოლო თუკი ბ-ნი შტაინი ეტყოდა, „უნდა აუყვეო“, მაშინ მიუგებდა „თავაზით“ (მგონია, იმას უნდოდა ეთქვა, მოკრძალებითო, თუმცა ეშმაკმა უწყის), „თავაზით ვეტყვი: ვაითუ თქვენს ქონებას საფრთხე დაემუქროს-მეთქი“. თუ არ გაიგონებდნენ მის ნათქვამს, „გადადგომას მოითხოვდა“. თორმეტი თვის წინ უმოგზაურია იქ უკანასკნელად და თუმცა ბ-ნი კორნელიუსი „დიდ პატივს სცემდა“ ბ-ნ რაჯა ალანგსა და იმის ქვეშევრდომებს იმ საშიშრო

გარიგებისათვის, რომელიც „პირს სწვავდათ“. მაინც იმათ გემს მდინარეზე ცეცხლი დაუშინეს ტყიდან ვიღაც „უპასუხისმგებლო პირებმა“. იმის მეზღვაურებს „სული კოჭებში გაეპარათ“, ხოლო ხომალდი კინაღამ მეჩეჩზე არ გარიყა, სადაც „ენით უთქმელი დაღუპვა ელოდათ“. ამ მოგონებამ ბრაზით წამოანთო, ხან თავისივე საუბარით ტკბებოდა და ყოველ[illegible]ადლივ ჩანდა იმის უბრალო, ფართო სახეზე. ხან მიღიმოდა, ხან [illegible] კმაყოფილებით მაკვირდებოდა, თუ როგორ ზემოქმედებდა ჩემზე იმისი მჭევრმეტყველება. ზღვის წყნარი ზედაპირი უეცრად შეთრთოლდა და გემი, მეწინავე იალქანაღმართული და გასამგზავრებლად გამზადებული, თითქოსდა შეჩქვიფებული გაირინდა მოქუფრულ წყალზე. მერე კი კბილების ღრჭიალით კაპიტანმა მამცნო, რაჯა „სასაცილო ოფთარი“ (ოფთარი რამ მოაგონა) გახლდათ. ერთი ვიღაც კი მრავალგზის ცბიერი ყოფილა, „ვიდრე ნიანგი“. ენიღ გაიკრიფა, ცალი თვალი მეზღვაურებისკენ ეჭირა, ის ადგილი შეუდარა „კარგა ხნის მოუნანიებელი მხეცების გალიას“. მგონია, იმას უნდოდა ეთქვა, დაუსჯელი მხეცებისაო. ხოლო, სულაც არ უნდოდა, შეჰყვირა იმან, „საკუთარი ხელით შეემართა გემი გასაძარცვავად“. ღუზა ამოიღეს და შეძახილები შეწყდა, კაპიტანმა ხმას დაუწია. პატუსანის გაგონებაც კი არ მინდაო, გულმოსულმა დასძინა ბოლოს.

მერე კი გავიგე, ერთხელ თურმე სიფრთხილე ვერ გამოუჩენია და შუაგულ ბინძურ ორმოში სწორედ რაჯას სახლის წინ ბოძზე მიუბიათ. ნახევარი დღე და მთელი ღამე დაჰყო ამ დავიდარაბაში. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. შეიძლება ამ მოგონებამ გული დაუშანთა, შემდეგ საჭისკენ მიმავალ მეზღვაურს შეუბღვირა და ისევ მე მომიტრიალდა. ახლა უფრო დინჯად, აუღელვებლად განაგრძო. კი, ბატონო, მიიყვანს ამ ჯენტლმენს მდინარე ბატუ-კრინგის შესართავთან (ქალაქი პატუსანი, დასძინა მან, „ქვეყნის შიგნითაა, ოცდაათ მილზე“). მაგრამ მისი აზრით, წარმოთქვა მან დინჯად და მტკიცედ, ახლა სულაც არ ჰგავდა იმ ენად გაკრეფილ კაცს — ეს ჯენტლმენი „უკვე გვამიაო“. რაო? რას ამბობთ-მეთქი? ვუთხარი მე მრისხანედ. მიჩვენა, ზურგში ასე არტყამენო დანას. გვამადვე ერთი ნაბიჯია იქ ჩასულებისთვისო. ამიხსნა ამაზრზენი თავდაჯერებულობით, თან, ეტყობოდა, სიამოვნებდა თავისი ასეთი გონებამახვილობა. იმის უკან ჯიმი დავინახე, მომღიმარე. ხელი აეწია, მანიშნებდა, არაფერი თქვაო.

მერე კი, სანამ ის შერეული სისხლის კაცი მედიდურად ბრძანებებს იძლეოდა, ლაწუნი გაჰქონდა საიალქნე კავებს და ღრჭიალებდა ჯაჭვი, ჯიმი და მე მთავარ ანძასთან ვიდექით, ხელი ჩამოვართვით და დამშვიდობებისას ნაჩქარევად ორიოდე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. გულში არ ჩამრჩენოდა ის ბრიყვული უკმაყოფილება, იმაზე ზრუნვის ხანს რომ ვგრძნობდი; იმ კაპიტნის აბდაუბდა საუბარმა უფრო მეტი საშიშროება მამცნო, ვიდრე შტაინის ფრთხილმა სიტყვებმა. ამჯერად სრულიად წაიშალა ის მანძილი, რომელიც ყოველთვის გვაცილებდა ერთმანეთთან საუბრისას, მგონია, მე იმას ვუთხარი, ჩემო ბიჭო-მეთქი. იმან კი მადლობის ნიშნად მეგობარი დამიძახა, თითქოსდა იმ განსაცდელს, რაც მას მოელოდა, წაეშალა ყოველგვარი განსხვავება ჩვენს ასაკსა და გრძნობებს შორის. ეს იყო წამი რეალური და უღრმესი დაახლოებისა, მოულოდნელი და სწრაფწარმავალი გაელვება რაღაც მარადიული და სპეტაკი ჭეშმარიტებისა. ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, თითქოსდა ჩვენ ორ შორის უფროსი ის იყო. „კარგი, კარგი, — მომიგო მან სასწრაფოდ და გრძნო-

ბით, — პირობას გაძლევთ, თავს გავუფრთხილდები. დიახ, საფრთხეს მოვერიდები. თუნდაც სულ მცირეოდენს. რაღა თქმა უნდა, თავს უნდა ვუშველო. ნუ დარდობთ, ღმერთმანი! ახლა კარგადაც ვგრძნობ თავს. დიახ, რამდენი ბედნიერებაა ამ სიტყვაში — წადით. სწორედ ვერ გავუშვებ ხელიდან ასეთ დიდებულ შემთხვევას!.." დიდებულ შემთხვევასო! ჰაი, მართლაცდა [illegible] იყო, მაგრამ შემთხვევებს ხომ ადამიანები ქმნიან და მე [illegible]გორც თვითონ მითხრა, მეც კი... მეც კი მახსოვდა... მისი მარცხი, ვერ ვივიწყებდი. მართალიც გახლდათ. ხოლო, გაცლაც ამიტომ სჯობდა.

ჩემი ნავი იმ ხომალდის უკან აშლილ ზვირთებში მოხვედრილიყო და მე ვხედავდი ჯიმს დამავალი მზის სხივებში განათებულს, მაღლა აეწია თავს ზემოთ ქუდი, ბუნდალ მომესმა, თქვენ... გაიგებთო... ჩემზე. ჩემზე თუ ჩემგანო, ვერ გეტყვით, მგონია, იმას უნდა ეთქვა, ჩემზეო. იმის ფერხთით მბრწყინავ ზღვას დავებრმავებინე და ნათლად ვერ ვარჩევდი. ბედად ეს მეწერა, ვერც ვერასდროს დამენახა ჯიმი ნათლად, მაგრამ დამიჯერეთ, არც არავის შეეძლო ასე დამსგავსებოდა „გვამს", როგორც დაიყრანტალა იმ შერეული სისხლის კაცმა. კიდევაც შევძელი იმ ტანმომცრო ბრიყვის გარჩევა, გადამწიფებულ ნესვს რომ მიუგავდა სახე და ჯიმის იღაყვის ქვეშიდან იმზირებოდა. ისიც ხელამართული იდგა, თითქოსდა დასარტყმელად მომზადებული. Absit omen!*

## თავი 24

პატუსანის სანაპირო (დაახლოებით ორი წლის შემდეგ ვიხილე) სევდის მომგვრელად გადაჭიმულიყო ნისლიან-ბურუსიანი ოკეანის გასწვრივ. მეწამულისფერი ბილიკები ყანგის ჩანჩქერებივით ეშვებოდნენ მუქი მწვანე ბუჩქნარისა და კლდეებზე შეფენილი მცოცავი მცენარეების ტევრში. დაჭაობებული ველები გაშლილიყვნენ მდინარეთა შესართავებთან; იქით კი, უკიდეგანო ტყის მიღმა ცისფერ ჯანღში გახვეული მწვერვალები მოჩანდა. მოშორებით კუნძულები იყო მოფენილი, ჩამუქებული, ჩამორეცხილი, მზის სინათლეზე რომ ცხადლივ გამოკვეთილიყვნენ ტალღებით მიმძლავრებული კედლის ნამუსრევივით.

მეთევზეთა სოფელი იყო ბატუ-კრინგის შესართავის ერთ-ერთ ტოტთან. დიდი ხნით გადაკეტილი ეს მდინარე ახლა გაეხსნათ და შტაინის პატარა შხუნა, რომლითაც მე ჩამოვედი, ზღვის სამგზის მოქცევის ხანს ისე აუყვა ზემოთ, რომ იმ „უპასუხისმგებლო პირების" სროლაში არ მოვყოლილვართ. წარსულს ჩაბარებოდა ეს ამბავი, თუკი დავუჯერებდით იმ მეთევზეთა სოფლის მამასახლისს, ვინც ჩვენს გემზე ამოვიდა და ლოცმანობა შემოგვთავაზა. გამომელაპარაკა (იმას ჩემ გარდა კიდევ ერთი თეთრი კაცი ენახა, მეტი არავინ), მომენდო და მეტწილად იმ პირველად ნანახი თეთრი კაცის შესახებ მიამბო. ტუან ჯიმს ეძახდა იმას, შინაურულად ლაპარაკობდა ჯიმზე და მოწიწებითაც, რაღაც უცნაური ნაზავი იყო ეს საუბარი. ამ სოფლის მცხოვრებთ განსაკუთრებით მფარველობდა ეს ბატონი. ცხადი იყო, რომ ჯიმმა არ იცოდა ჯავრის ჩახვევა გულში, აკი დამპირდა, ჩემს შესახებ გაიგონებთო და ამიხდა კიდევაც. კი გავიგონე იმის შესახებ. უკვე ასეთი ხმები დადიოდა ხალხში, ორი საათით ადრე დაწყებულაო მიქცევა, რათა მდინარეს აჰყოლოდა იგი. ეს სიტყვაწყლიანი ბერიკაცი მაშინ თავად მართავდა კანოეს და გაე-

* აქ: ღმერთმა დაიფაროს! (ლათ.)

ოცებინა ამ მოვლენას, ამასთან ერთად, მთელი დიდება იმისმა ოჯახმა მოიხვეჭა. ნიჩბებს იმისი ვაჟი და სიძე მისხდომოდნენ, მაგრამ ამ ღლაპებმა რა იცოდნენ და არც დაკვირვებიან კანოეს ასეთ უჩვეულო სვლას, რამაც თავად არ მიაქცია იმათი ყურადღება ამ საკვირველებას.

ჯიმის ჩამოსვლა ამ მეთევზეთა სოფელში ღვთის მადლი იყო, მაგრამ იმათთვის, ისევე როგორც მრავალი ჩვენთაგანისათვის ამ მადლს საშინელება უსწრებდა წინ. რამდენი თაობა წარიხოცა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი თეთრი კაცი ენახათ მდინარეზე. ხოდა, ამ ყმაწვილკაცის გამოცხადებამ და დაჟინებამ, პატუსანში წამიყვანეთო, შიშის ზარი დასცა იმათ. ფრიად საეჭვოდ მოეჩვენათ იმისი დიდსულოვნება. გაუგონარი მოთხოვნა იყო, პირველად ხდებოდა მსგავსი რამ. რაჯა რას იტყოდა? რა ამბავს დააწევდა მათ? მთელი ღამე ფიქრში გაატარეს, მაგრამ იმათ ახლა უშუალო საფრთხე ამ გასაოცარი კაცისგან ელოდათ და ბოლოს გაამზადეს თავიანთი მოღრინკული ნავჭურჭელი. წივილ-კივილით გააცილეს ისინი ქალებმა. უშიშარმა მოხუცმა ჯადოქარმა დაწყევლა ის უცხოელი.

ის კი იჯდა, როგორც მე გითხარით, იმ თავის თუნუქის სკივრზე, მუხლებზე დაუტენავი რევოლვერი დაედო, დაძაბული გახლდათ — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დამღლელი — და ასე ჩავიდა იმ ქვეყანაში, სადაც იმისი საქმენი საგმირონი ყველას პირზე ეკერა იმ ცისფერი მთის მწვერვალიდან თეთრად ქაფმოდებულ ოკეანის სანაპირომდე. პირველივე მოსახვევში თვალს მიეფარა ზღვა თავისი გაუთავებელი ზათქითა და გრუხუნით, ტალღების სრბოლით — მებრძოლი კაცობრიობის ამ სიმბოლოთი. წინ კი შეურყვნელი ტყეები გადაჭიმულიყო, მზისკენ წვერებაშვერილი, ისეთივე მარადიული ხეებით, როგორიცაა თავად ცხოვრება. ჯიმს კი თავისი ბედ-იღბალი გვერდით ედგა, ვითარცა მანდილმოსხმული აღმოსავლელი პატარძალი, თავისი მეუფის შეხების მომლოდინე. მაგრამ მან მითხრა, რომ ამ კანოეში მოხვედრილი პირველად გრძნობდა ასეთ სასოწარკვეთასა და დაღლილობას. ესღა გაბედა, მალულად ხელი გაიწვდინა და იმის ფეხებთან მოტივტივე ქოქოსის ნაჭუჭით მეტად ფრთხილად წყალს ხაპავდა. მაშინ კი მიხვდა, რა მაგარი იყო თუნუქის სკივრი დასაჯდომად. დევის ჯანისა გახლდათ, მაგრამ რამდენიმეჯერ ამ მგზავრობის ხანს თავბრუ დაესხა, გონს მოსულმა კი ბუნდად გაიფიქრა, მზემ ისე დამწვა ზურგი, ალბათ ბებრები დამასხდაო. თავს იმითირთობდა, ცდილობდა გაერჩია, ნაპირთან დაგდებული ჭუჭყიანი საგანი მორია თუ ალიგატორიო. მალე თავი დაანება ამ საქმიანობას. სახუმაროდ არ ჰქონდა საქმე. ალიგატორი იყო სუყველა. ერთი იმათთაგანი მდინარეში გადმოეშვა და კინაღამ ნავი არ გადააბრუნა. მაგრამ ეს ამბავი მაშინვე დაავიწყდა. კარგა ხანს არაფერი არ შეხვედრია და დიდად გაიხარა, როცა დაინახა ნაპირას მისული მაიმუნის გუნდი და იმათი გამაყრუებელი ჭყავილი გაიგონა. სწორედ ასეთი იყო ის გზა, რომელმაც ჯერაც არნახულ დიდებასთან მიიყვანა. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა მზე, ამ დროს კი სამი ნიჩბოსანი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მიეგვარათ იგი რაჯასთვის.

— მგონია, დაღლილობამ გამომათაყვანა ან იქნებ სულაც ჩამთვლიმა რამდენიმე ხნით, — თქვა მან. პირველად ეს დაინახა, როცა გამოერკვა, ნაპირს უახლოვდებოდა კანოე, ტყე უკან დარჩენილიყო. წინ, მომაღლოდ პირველი სახლები გამოჩნდა, ხელმარცხნივ კი მესერი, იმისმა ნიჩბოსნებმა ადგილი შეარჩიეს, ნაპირზე გადაცვივდნენ და მოკურცხლეს. თავისდა უნებურად ჯი-

მიც მათ მიჰყვა. პირველად ასე გაუელვა თავში, რას გარბიანო. მერე კი აყალმაყალი მოესმა, ჭიშკარი განიხვნა და აუარება ხალხი მოაწყდა. ამავე დროს, მეომრებით სავსე ნავიც გამოჩნდა მდინარის მხრიდან და იმის ციხესიმაგრეს კანოეს დაუპირისპირდა, გზა ყველგან მოჭრილი ჰქონდა.

— თავზარი დამეცა, მშვიდად როგორღა ვიქნებოდი? ის რევოლვერი დატენილი რომ მქონოდა, რამდენიმე კაცი შემომაკვდებოდა, შეიძლება ორი ან სამი, მეც ველარ გადავრჩებოდი ცოცხალი. მაგრამ ის რევოლვერი დატენილი არ იყო.

რად არ იყო-მეთქი, ვკითხე მე.

— ყველას ხომ ვერ ამოვწყვეტდი, თანაც არ მინდოდა შეემჩნიათ, თითქოს საკუთარ სიცოცხლეს დავკანკალებდი, — თქვა მან, ქუში სიჯიუტე გამოკრთა იმის მზერაში. აღარ მითქვამს, იმათ რა იცოდნენ, დატენილი იყო ის რევოლვერი თუ არა-მეთქი. კმაყოფილი გახლდათ ამ თავისი საქციელით... — ასე იყო თუ ისე, — განაგრძო იმან მხიარულად, — შევდექი და ვკითხე, რა გნებავთ-მეთქი. თითქოსდა ენა ჩაუვარდათ მუცელში. დავინახე, ვიღაცები უკვე მიათრევდნენ ჩემს სკივრს. ის გრძელფეხება არამზადა კასიმი (ხვალ გაგაცნობთ იმას) წინ გამოვარდა და მითხრა, რაჯა თქვენ გელოდებათო. კარგი-მეთქი, მე მივუგე: რაჯას ნახვა მეც მინდოდა, ხოდა, ვითომცდა არაფერიაო, ისე გამოვიარე ის ჭიშკარი და ახლა აქ ვარ, — გაიცინა, მერე უცებ წამოენთო. ყველაზე კარგი იცით რა არისო, მკითხა მან, გეტყვით, მთელი ეს არემიდამო დარჩებოდა წაგებული, მე რომ გავეგდეო იმათ.

ასე მიამბობდა თავისი სახლის წინ იმ საღამოს. ხომ გახსოვთ, მაშინ ჩვენ ორ მთას შორის, ხეობიდან ამომავალ მთვარეს ვუმზერდით, თითქოსდა მკვდარი სული ამოდიოდა საძვალედან, ცივი და ზაფრანისფერი, მსგავსი მიცვალებული მზის შუქისა. მომჯადოები იყო მთვარის ის ნათება, მასში ჩაწნულიყო ძალი ვნებაწარხოცილი უხორცო სულისა და კიდევ რაღაც, წილნაყარი მიუწვდომელ იდუმალებასთან. თუ გავიხსენებთ ჩვენი მზის ბრწყინვალებას, რომელიც — რაც არ უნდა თქვან — ჩვენი სიცოცხლის თავიდათავია, ეს არის ძახილი, ხოლო მთვარის შუქი იმისი ექოა და გინდ სასიხარულო იყოს და გინდ სევდის მომგვრელი, მაინც იქნება ბუნდოვანი და შეუცნობელი. მატერიას — რაც, ასეა თუ ისე, ჩვენი საუფლოა — წაჰგვრის სუბსტანციას და ჩრდილებსღა მიანიჭებს შემზარავ რეალობას. ეს ჩრდილები კი ჩვენ გარშემო ფრიად რეალურნი ჩანდნენ, მაგრამ ჩემ გვერდით მდგომი ჯიმი კი გამოიყურებოდა ვაჟკაცურად და თითქოსდა არც არაფერი, არც მომჯადოები ძალი მთვარისა წაჰგვრიდა მას რეალობას ჩემს თვალში. მართლაცდა, შეიძლება ველარაფერი მიმძლავრებულიყო ამ ყმაწვილზე, რაკიღა გაუძლო ბნელი ძალების შემოტევას. მდუმარება გამეფებულიყო irგვლივ, თითქოსდა მთვარის სხივებსაც ისე ჩასძინებოდა მდინარეზე, ვითარცა ტბორზე. მოქცევას თავისი მწვერვალისთვის მიეტანებინა ამ წუთას და ბუნების ეს წამიერი გარინდება გვამცნობდა დედამიწის შორეულ მხარეში გადაკარგული ამ არემიდამოს სრულ გარიყულობას. მოელვარე სანაპიროს გასწვრივ მიმოფანტული სახლები არეკლილიყნენ შეურყვნელი წყლის ზედაპირზე და ისე მიახლებოდნენ მდინარეს, როგორც არეულ-დარეული, ბუნდი, ნაცრისფერვერცხლისფერი, მოქუფრული ჩრდილები და მოგვაგონებდნენ სიზმარეულ ჯოგს უხორცო ცხოველებისას, რომლებიც დასწაფებიან ასეთივე სიზმარეულ და უსიცოცხლო მდინარის წყალს. აქა-იქ მეწამულისფერი ნათელი გამოსჭ-

ვიოდა ბამბუკის კედლებში და გვამცნობდა სითბოსა და სიცოცხლეს, ადამიანთა ყოფნას, ჭერსა და მყუდროებას.

მან მითხრა, ხშირად ვუთვალთვალებ ამ პაწაწინა კოცონების ერთიმეორის მიყოლებით ქრობას. მიყვარს მზერა, თუ როგორ იძინებს ჩვეულებრივი დღის რწმენით მოცული ხალხიო. „მშვიდობიანობაა აქ, ხომ? — [illegible] თქვა მან. მჭევრმეტყველებით ის არ გამოირჩეოდა. მაგრამ რაც [illegible] დიდმნიშვნელოვანი იყო. — შეხედეთ ამ სახლებს, არც ერთი არაა, სადაც მე არ მენდობოდნენ. ღმერთმანი! მე ხომ გითხარით, ფარ-ხმალს არ დავყრი-მეთქი. ჰკითხეთ ყოველ კაცს, ქალსა და ბავშვსაც... — იყუჩა. — დიახ, მე აქ საჭირო ვარ“.

იმწამსვე ვუთხარი, სწორედ ასეთი დასკვნაც უნდა გაგვეკეთებინათ საბოლოოდ-მეთქი. ვიცოდი, ასეც იქნებოდა-მეთქი, ასე დავსძინე. თავი გააქნია. იცოდითო, — მითხრა მან და ნაზად მომკიდა ხელი მაჯაზე, — კიდევაც მართალი იყავითო.

აღფრთოვანება და სიამაყე, თითქმის მოწიწებაც ისმოდა ამ ჩუმად წარმოთქმულ სიტყვებში. „ღმერთმანი! — შეჰყვირა მან, — თუ იცით რა ბევრს ნიშნავს ეს ჩემთვის, — ისევ მომკიდა ხელი მკლავზე. — თქვენ კი მკითხეთ, წასვლას თუ ფიქრობო. ღმერთო დიდებულო! მე! წავიდე! განსაკუთრებით კი ახლა, რაც თქვენ მითხარით შტაინზე... წავიდე! რატომ! სწორედ ამისი მეშინოდა მე. ეს ხომ... ეს ხომ სიკვდილზე უარესი იქნებოდა. დიახ... გეფიცებით. ნუ იცინით. მე უნდა ვგრძნობდე... ყოველდღე, როცა კი თვალს გავახელ... მე მენდობიან. არც არავის აქვს უფლება... იცით თუ არა თქვენ? უნდა წავიდეთო! სად? რის გულისთვის? რისთვის?“

მე ვუთხარი იმას (მართლაცდა ეს იყო ჩემი სტუმრობის მთავრი მიზეზი), შტაინს სურს ახლავე გაჩუქოს სახლი და მთელი საქონელი გარკვეული პირობით, უდავოდ და სრულიად კანონიერად. დიდ უარზე იყო პირველად. „ჯანდაბას შენი მოკრძალება, — დავუყვირე მე, — შტაინი აქ არაფერ შუაშია. შენ იმას გაძლევენ, რაც დაიმსახურე. და ეგ სიტყვები მაკ-ნილისთვის შეინახე.... როცა კი იმქვეყნად ნახავ. იმედი მაქვს, მალე მოხდება ეს ამბავი...“ კარგადაც დავუსაბუთე ყველაფერი, რადგან ეს მისი გამარჯვება, ნდობის მოპოვება, სახელის მოხვეჭა, მეგობრები, სიყვარული — ყველაფერი ეს ხდიდა ბატონკაცად და ამავე დროს დატყვევებულადაც. მესაკუთრის თვალით უმზერდა ამ მშვიდობიან საღამოს, მდინარეს, სახლებს, სიცოცხლეს მარადიული ტყისას, სიცოცხლეს ამ ძველი ტომებისას, ამ მიწის იდუმალებას, საკუთარ გულში ჩაწნულ სიამაყეს; მაგრამ ესეც იყო, ყველაფერი ეს დაუფლებოდა მას და ხელში ჩაიგდო თავისი ფიქრებითა და განცდებით, სანამდისაც კი სისხლი უჩქეფდა ძარღვებში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

კი იყო საამაყო. მეც ვამაყობდი ამ ყმაწვილკაცით, თუმცა კი დარწმუნებული არ ვიყავი, ზღაპრულ სიმდიდრეს ჩაიგდებს ხელში ამ გარიგებით-მეთქი. საოცარია, იმის სიმამაცეზე კი არ ვფიქრობდი, დიახაც, საკვირველი იყო, თუმცა დიდ მნიშვნელობას ამას არც ვანიჭებდი, თითქოსდა ეს ამბავი რაღაც სულ პირობითი ყოფილიყო და ამიტომ ნაკლებ საყურადღებოც. არა, ამ ყმაწვილკაცის სულ სხვა ნიჭით ვიყავი განცვიფრებული. მან თავის არაჩვეულებრივ მდგომარეობას მშვენივრად აუღო ალღო და გამოამჟღავნა დიდი ჭკუა და გონება. სრული მზადყოფნაც! გასაოცარია სწორედ. და ყველაფერი

ეს მეძებრის ყნოსვასავით აღმოაჩნდა. მჭევრმეტყველი არ იყო, მაგრამ იმისი მდუმარებაც ღირსების ნიშნით იყო ცხებული და ბრძენკაცისა გეგონებოდათ იმისი დაულაგებელი საუბარი. ძველებურად წითლდებოდა და ზოგჯერ, რაიმე სიტყვა ან წინადადება რომ წამოსცდებოდა, ცხადლივ გვამცნობდა, როგორ ღრმად, ზარზეიმით ეკიდებოდა თავის საქმეს, რომელმაც [illegible] მიანიჭა იმის ცხოვრებას. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი [illegible] ამ მიწისა და ხალხისადმი რაღაცნაირი მგზნებარე ეგოიზმით, ენით უთქმელი სინაზით.

## თავი 25

— აი აქ ვიყავი სამი დღე დატყვევებული, — ჩამიჩურჩულა მან (როცა რაჯას ვეწვიეთ), მაშინ ჩვენ ნელა მივიკვლევდით გზას ტუნუ ალანგის კარზე ქვეშევრდომთა ჩუმ ხმაურში. — რა ბინძური ადგილია, არა? საჭმელს კი მაშინ მაძლევდნენ, როცა ერთ ამბავს ავტეხავდი, ისიც მხოლოდ ერთი პატარა თეფში ბრინჯი იყო და ნემსის ოდენა შემწვარი თევზი... დასწყევლოს ღმერთმა! შიმშილით კუჭი მეწვოდა, როდესაც ამ გომურში ვიყავი ჩაკეტილი და ეს ვაჟბატონები ჩემ ცხვირწინ ტრიალებდნენ. თქვენი ის დიდებული რევოლვერი პირველივე მოთხოვნისთანავე მივეცი. ხოდა, სული მოვითქვი კიდევაც. სულელურადაც კი გამოვიყურებოდი იმ დაუტენავი იარაღით ხელში.

ამ დროს რაჯასთან მიგვიყვანეს, იმ კაცთან, ვისთანაც ჯიმი ტყვედ იმყოფებოდა. ჯიმს სიდინჯე და ამავე დროს თავაზიანობაც დაეტყო. ჰაი, დიდებული სანახავი კი გახლდათ! ვიხსენებ ამას და მეცინება. მაგრამ შთამბეჭდავად კი გამოიყურებოდა ეს ყმაწვილკაცი. იმ ბებერმა გარეწარმა ტუნკუ ალანგმა ვერ შეძლო თავისი შიშის დამალვა (გმირი ის არ ყოფილა, თუმცა რას არ ყვებოდა თავის სიყმაწვილეზე), მაგრამ ამასთან ერთად ნდობასაც ამჟღავნებდა თავის ტყვედყოფილისადმი. ყური მიგდეთ! იქ, სადაც დიდი ზიზღით უნდა მოკიდებოდნენ, მისი სჯეროდათ. ჯიმს — რამდენადაც მე შემეძლო გამეგო იმისი საუბრიდან — შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან და რჩევა-დარიგებას მოჰყვა. ვიღაც ღარიბ-ღატაკი სოფლელები გაუჩერებიათ გზაზე და გაუძარცვიათ, დორამინისას მიდიოდნენ და მიჰქონდათ კაუჩუკი თუ ცვილი ბრინჯზე გადასაცვლელად. ის დორამინი ქურდბაცაცაა, შეჰყვირა რაჯამ. გამძვინვარებულიყო ის დაჩაჩანაკებული მოხუცი, იგრიხებოდა იმ თავის ჭილოფზე, ხელებსა და ფეხებს იქნევდა, ქოჩორი ჩამოშლოდა შუბლზე — ცოფი მორეოდა მეუფეს. შიშის ზარი დაეცა სუყველას. ჯიმმა ლაპარაკი დაიწყო, დინჯად, აუჩქარებლად და კარგა ხანს აყალიბებდა თავის აზრს იმის შესახებ, რომ კაცს არ უნდა შეუშალო ხელი პატიოსანი გზით მოიპოვოს საკვები თავისთვისა და თავისი ბალღებისთვისაც. მთავარი კი იჯდა იმ თავის ფიცარნაგზე, ვითარცა მკერავი მაგიდასთან, ხელი მუხლზე დაედო, თავი დაეხარა და თვალებზე ჩამოშლილი ჭაღარა თმიდან ჯიმს გამოჰყურებდა. გაჩუმდა ჯიმი, მდუმარება გამეფდა. ყველა გასუსულიყო, ხმა არავის არ ამოუღია, დაბოლოს რაჯამ ამოიოხრა, თავი ასწია და სწრაფად ამოთქვა — აბა ისმინე, შენ, ჩემო ხალხო! ცუღლუტობას თავი დაანებეთო. ჩუმად მიიღეს ეს განცხადება. ერთი ტანვეება კაცი მოვიდა ჩვენთან, რაჯას სანდო კაცი უნდა ყოფილიყო, ჭკვიანი თვალებით, ძვალმსხვილი, ძლიერ შავი, მხიარული და ყურადღებიანი (მერე გავიგე, ჯალათი ყოფილა თურმე), ბრინჯაოს ხონჩით ორი ჭიქა

ყავა მოგვართვა. არ დაღიოთ, სწრაფად ჩამიჩურჩულა ჯიმმა. პირველად ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ერთი კი შევხედე მხოლოდ. თვითონ უცებ გადაკრა, გაუნძრევლად იჯდა, მარცხენა ხელში ეჭირა ლამბაქი. იმწუთას ძლიერ გავბრაზდი. დასწყევლოს ეშმაკმა, ჩავუჩურჩულე, თან თავაზიანად ვუღიმოდი, ასეთ სულელურ განსაცდელში რად ჩამაგდეთ-მეთქი? დავლიე, თქმა არ უნდა, რაღა უნდა მექნა, იმას ხმა არ ამოუღია და მაშინვე წამოვედით. როდესაც ჩვენი ნავისკენ მივდიოდით იმ გონიერი და თავაზიანი ჯალათის თანხლებით, ჯიმმა ესლა მითხრა, ძალიან ვწუხვართ. საფრთხე თითქმის არ იყო, რაღა თქმა უნდა, პირადად მას არც უფიქრია შხამზე. ამის შიში არ უნდა მქონოდაო.. თავად, როგორც ის მიმტკიცებდა, უფრო გამოსადეგი ჩანდა იმათთვის, ვიდრე საშიში, ხოლო... „მაგრამ რაჯას ხომ შენი საშინლად ეშინია. ამას ყველა ხედავს", — ვუმტკიცებდი მე, უნდა ვაღიარო, გაღიზიანებული, მთელი ეს ხანი ჯავრით აღარ ვიყავი, ახლა დამეწყება მუცლის გვრემა-მეთქი. ძალიან ვიყავი გაბრაზებული. „თუკი მინდა სიკეთე დავთესო და ჩემი მდგომარეობა განვამტკიცო, — მითხრა მან, როდესაც ჩემ გვერდით ჯდებოდა ნავში, — საფრთხეს არ უნდა გავექცე, თვეში ერთხელ მაინც. ბევრს სჯერა, რომ მე იმათი გულისთვის საფრთხეში ვიგდებ თავს, ეშინიაო! ასეც იყოს. უფრო იმიტომ ეშინია ჩემი, რომ მე არ მეშინია იმისი ყავისა". მერე ის ადგილი მიჩვენა იმ ჩრდილოეთ მხარეს, სადაც მესრის წამახული სარები იყო გადატეხილი. სწორედ აქ გადავხტი პატუსანში ყოფნის მესამე დღეს, ახალი სარები არც კი დაუყენებიათ, ხომ კარგი ნახტომი იყოო? მკითხა მან, ცოტაც და იმ ჭუჭყიანი მდინარის შესართავიც გავიარეთ. «მეორედ აქ გადავხტი. გამოვქანდი და ისე, მაგრამ ნაპირს ვერ მივაღწიე. მეგონა, აქ მომეღებოდა ბოლო. ფეხსაცმლებიც აქ ჩამრჩა, და მთელი ის ხანი ვფიქრობდი, მე აქ ამ ჭუჭყში ვგორაობ და ისინი მომისწრებენ, იმ თავიანთ გრძელ შუბებს გამირჭობენ-მეთქი. მახსოვს, გული მერეოდა ამ ლაფში ფორთხიალისას. ნამდვილად ისე მერეოდა გული, თითქოსდა ამ ჭანჭრობის წყალი გადამეყლაპოს".

ასე იყო ეს ამბავი, იმის გვერდით ყოფილა ბედი, ლობეს გადავლებოდა და ჭუჭყში ჩაფლულიყო.... ისევ მანდილმოსხმული, მოულოდნელად გამომტყვრალიყო ჯიმი, გესმით, ხოლო, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მაშინვე არ აჩეხეს და მდინარეში არ გადაუძახეს. იმათი ტყვე იყო, მაგრამ წარდგომოდა როგორც მოჩვენება, სული, სასწაული. „რისთვის მოვიდა? რა უყონ? რაღა დროს შერიგებაა? თუ სჯობს ახლავე მოკლან ყოყმანის ცილობლად? მაგრამ მერე კი რა მოხდება?" ის გარეწარი ბერიკაცი ალანგი კინაღამ არ შეიშალა. შიშით აღარ იყო და თავს იმტვრევდა. რა ექნა, არ იცოდა, რამდენიმეჯერ შეწყდა თათბირი, მრჩევლები თავპირისმტვრევით გამოცვივდებოდნენ ხოლმე კარში, აივანზე გამოვარდებოდნენ. ერთი კი, ასე ამბობენ, დაბლა გადახტა, მგონია, თხუთმეტი ფუტის სიმაღლიდან და ფეხიც მოიტეხა. იმ პატუსანელ მეფურ უდიდებულესობას გასაოცარი ჩვეულება ჰქონდა, ბაქიბუქს მოჰყვებოდა გააფთრებული კამათის ხანს, თანდათანობით წამოენთებოდა და ბოლოს ზეზე წამოიჭრებოდა ხანჯლის ქნევით. ასეთი შეფერხების გამო ჯიმის ბედიღბლის განსჯამ დღე და ღამე გასტანა.

ის კი ამ დროს ეზოში დაეხეტებოდა, ზოგი გაურბოდა, ზოგი თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა, მაგრამ ყველა კი უთვალთვალებდა და სინამდვილეში იმ პირველი შემხვედრის, ვეებერთელა დანიანი, ტანსაცმელშემოგლეჯი-

ლი კაცის ხელში იყო ჩავარდნილი. ჯიმი ერთ მილრინჯულ ფარდულში შევიდა და საძინებელ ადგილად გაიხადა. იმ ჭუჭყიან, გამომპალ ეზო-კარს ისეთი ოხშივარი ასდიოდა, ფრიად შეჭირვებულიყო, მაგრამ მადა კი არ დაჰკარგოდა, რადგან — ასე მითხრა — შიმშილის გრძნობა არ გამონელებინა ამ ღირსშესანიშნავ ხანს. ზოგჯერ იყო და „ვიღაც აფორიაქებული ვაჟი" მოევლინებოდა სხდომათა დარბაზიდან, იმასთან მოირბენდა და დაუსრულებელ უაზრო გასაოცარ კითხვებს სთავაზობდა. ამ ქვეყნის დაპყრობა ხომ არ მოსურვებიათო ჰოლანდიელებს? იქნებ შენ, თეთრო კაცო, მდინარეზე დაბრუნება გინდაო? ამ გაღლეტილ ქვეყანაში რამ მოგიყვანაო? რაჯას სურს გაიგოს, თუ შეუძლია ამ თეთრ კაცს საათის შეკეთებაო? მართლაც მოუტანეს ამერიკული ნიკელირებული საათი, უსაქმურობით ჭკუაზე აღარ იყო და ხელი მოკიდა ამ საქმეს. როგორც ჩანს, სწორედ ახლაღა მიხვდა, თუ რა საშინელ დღეში იყო ჩავარდნილი. საათი მოისროლა — როგორც მითხრა — „ცხელი კარტოფილივით" და გარეთ გამოვარდა, არც კი იცოდა, რა უნდა ექნა ან თუ შეეძლო რამე. ცხადი მხოლოდ ეს იყო, მეტს ველარ გაძლებდა. უმიზნოდ დაეხეტებოდა ბოძებზე მდგარი რომელიღაც მინგრეული ბეღლის მაგვარი ნაგებობის უკან და უცებ მესრის ის გადატეხილი ნაწილი დაინახა, ხოდა — თქვა მან — არც ვაციე, არც ვაცხელე, იმწამსვე გაქცევა გადავწყვიტეო, თითქოს მთელი თვე ეფიქროს ამაზე. უდარდელი სახით გაიარ-გამოიარა და ის იყო უნდა გაქანებულიყო, რომ ვიღაც წარჩინებულს შეეჩხა, ორი შუბოსნის თანხლებით მასთან მოსულიყო რაღაცის საკითხავად. „ცხვირწინ" დაუსხლტა იმათ და „ჩიტივით" კი გადაევლო იმ მესერს. მაგრამ ისე დაეხეთქა მეორე მხარეს, რომ ძვლებმა ჰახანი მოილეს და, ეგონა, თავი გავიტეხეო. მაშინვე დადგა ფეხზე. იმ დროს რაღაზე უნდა მეფიქრა. მხოლოდ ეს მახსოვს, თქვა მან, ყურის წამლები ყვირილი გავიგონეო; პატუსანის განაპირა სახლები ოთხას იარდზე იყო; მდინარის განტოტება დაინახა და თავისდა უნებურად იქით გაჰკურცხლა. ქარივით მიჰქროდა და უკანასკნელ მშრალ ადგილს რომ მიატანა, ისკუპა და რბილად ჩაეშვა ლაფში. და როცა მოინდომა ფეხების განთავისუფლება, ვერ შეძლო. მაშინ კი, ასე მითხრა, „გონს მოვედიო", ფიქრი დაიწყო იმ „წყეულ გრძელ შუბებზე". სინამდვილეში კი იმ ეზოში დარჩენილებს ჭიშკართან უნდა მიერბინათ, ქვემოთ, ნავების სადგომთან უნდა ჩამოსულიყვნენ, უნდა გამოეცურათ და კონცხისთვის გარშემოევლოთ, ესე იგი, ბევრად გამოესწრო მათთვის, ვიდრე ეგონა. ამასთან ერთად, მიქცევა იყო. მართალია, წყალი არ დამშრალიყო, მაგრამ არც ბევრი უკლდა და რეალურად მას გარკვეული ხნით საფრთხე არც ელოდა, შორსმსროლი თოფებით თუ მისწვდებოდნენ. მკვიდრ მიწას ექვსი ფუტიღა დაცილებოდა. ვფიქრობდი, სწორედ აქ მომიღებენო ბოლოს, თქვა მან. სასოწარკვეთილი იგრიხებოდა, ხელებით პოტნიდა იმ ჭუჭყს და ესლა მოახერხა, ის საშინელი და ცივი, სლიპინა ლაფი მკერდამდე მოიყარა. თითქმის ნიკაპამდე ჩაფლულიყო, ეგონა, ცოცხლად ვიმარხებიო, შლეგივით დაუწყო ცემა მუშტებით ტალახს. თავი, სახე, თვალები, პირი მთლად მოესვარა. ასე მიამბო, უეცრად ის ეზო გამახსენდაო სწორედ ისე, როგორც იხსენებენ იმ ადგილს, სადაც ბედნიერი წუთები გაუტარებიათ მრავალი წლის წინათ. ასე ვნატრობდიო, მიამბობდა იგი, ნეტავი იქ დამაბრუნა და ის საათი მომცაო შესაკეთებლად. საათი მომცაო, სწორედ ასე ფიქრობდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბრძოდა, გულის კანკალით, ქვითინით იბრძოდა, იბრძოდა, სადაცაა თითქოს თვალები წამოუცვივდებოდა

საბუდიდან და დაბრმავდებოდა. დაბოლოს, ერთი კიდევ მაგრად გაიბრძოლა ამ სიბნელეში, რომ მოეშორებინა ლაფი, განთავისუფლებულიყო, და უეცრად იგრძნო, ნაპირზე მიფორთხავდა. მკვიდრ მიწაზე გაიშოტა და [illegible] კიდევაც ნათელი და ზეცა. მერე რაღაც ბედნიერმა აზრმა გაუელვა. ახლა კი დავიძინებო. ვერ დაიჯერებს, მართლაც დავიძინეო. შეიძლება ეს [illegible] წასთვლიმა ან ოციოდე წამით, ან სულაც წამით, მაგრამ ც[illegible]ვდა. შიშნეულად შეწრიალდა და შეილვიძა. რამდენსამე ხანს იწვა. მერე კი წამოდგა თავიდან ფეხამდე ტალახში ამოსვრილი და ასე გაიფიქრა. სულ მარტოდ-მარტოდ ვარო გადაკარგული ამ ხიშორეზე. მშველელი და შემბრალებელი არავინ მყავს და ნადირივით დამსდევენო. ის განაპირა სახლები ოციარდზე იყო დაცილებული მისგან: სასოწარკვეთილების კივილი ამოხდა თავზარდაცემულ ქალს და ბავშვის გარიდება სცადა. ჯიმი ისევ გარქცა თავქუდმოგლეჯილი მირბოდა, წინდებიღა ეცვა ფეხზე, მოსვრილ-მოთხვრილს დაეკარგა ადამიანის სახე. იმ დაბის ნახევარი გაირბინა. ქალები უფრო მარჯვე გამოდგნენ, სწრაფადვე ეცლებოდნენ გზიდან, კაცები კი არ იყვნენ ასეთი სწრაფნი და ყველაფერი ხელიდან უცვივოდათ, ზარგანხდილნი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ ამ საშინელებას. მიყვებოდა, შიშით აღარ იყვნენ ბალღები, გაირბენდნენ ცოტას და თავიანთი პაწაწინა მუცლებით ეცემოდნენ და ფართხალებდნენო. ორ სახლს შუა გასხლტა და ფერდობზე აიჭრა, ჰკუადაკარგული გადაბობღდა წაქცეული ხეების ბარიკადაზე (პატუსანში ერთი კვირაც არ გავიდოდა იმხანად უომრად), ღობეზე გადაძვრა და სიმინდის ყანაში ლაწალუწი ატეხა, ბიჭი იყო იქ ერთი, ზაფრადაცემულმა ჯოხი გამოუქნია, ჯიმმა ბორძიკით გაიარა ბილიკი, უეცრად რამდენიმე შეშინებულ კაცს გადააწყდა, ძლივსღა ამოთქვა, დორამინ! დორამინო! ახსოვს, მიჰყავდათ, მიათრევდნენ მაღლა, ფერდობზე, პალმებითა და ხეხილით შემორკალულ დიდ ეზოში სავარძელში მჯდომარე ტანახოვან, წარმოსადეგ მამაკაცთან მიიყვანეს. აუარება შეშფოთებულ ხალხს მოეყარა აქ თავი. გაზინზლულ ტანსაცმელში ხელის ფათური დაიწყო, ბეჭედს ეძებდა და უცებ იგრძნო, ზურგზე გაიშხვართა, გაუკვირდა: ვინ დამცაო ძირს, უბრალოდ ხელი გაუშვეს — ხომ იცით? — ხოდა, ფეხზე ველარ გაჩერდა. გორის ძირში ერთი ორჯერ უმისამართოდ გაისროლეს თოფი და სახლების თავზე განცვიფრების ყრუ შეძახილმა გადაიარა. მაგრამ ის უკვე გადარჩენილიყო. დორამინის ხალხი ჭიშკარს ხერგავდა და წყალს ასხამდა იმას ხახაში. დორამინის მოხუცი მეუღლე დაფუსფუსებდა თანალმობით შეძრული და გამყინავი ხმით ბრძანებებს აძლევდა თავის მოახლეებს. „ის მოხუცი ქალი, — თქვა ჯიმმა, — თითქოსდა მისი ვაჟიშვილი ვყოფილიყავი, ისე მევლებოდა თავზე. ვეებერთელა, დიდებულ სავარძელში ჩამაწვინეს, ის ქალი კი ხან გავარდებოდა, ხან შემოვარდებოდა, თან ცრემლებს იწმენდდა და მხარზე მითათუნებდა. ეტყობა, საცოდავი სანახავი ვიყავი, მორივით ვეგდე, არ ვიცი, რამდენ ხანს“.

როგორც ჩანს, დიდად შეთვისებოდა დორამინის მოხუც მეუღლეს. თავის მხრივ ის ქალიც დედობრივ სიყვარულს არ აკლებდა მას. მრგვალ, ყავისფერ ნაზ სახეს წვრილ-წვრილი ნაოჭები უსერავდა, დიდრონი, წითელი ტუჩები ჰქონდა (დღენიადაგ ბეტელს ღეჭავდა), ხშირ-ხშირად ახამხამებდა მოჭუტულ თვალებს. ერთი წუთითაც ვერ ისვენებდა, სულ საქმიანობდა და ბრძანებებს აძლევდა გაუთავებლივ ნათელ ყავისფერკანიან და დიდ შავთვალებიან ყმაწვილქალებს, მისი ქალიშვილები, მსახურები და მონა გოგო-

ები იყვნენ ისინი . თქვენ იცით, როგორ ცხოვრობენ ასეთ სახლებში, დიდ განსხვავებას ვერ შეამჩნევთ. ძლიერ გამხდარი იყო ეს ქალი, იმ თავის ფაშფაშა, ძვირფასი საკინძით შეკრულ სამოსელშიც დაიანდავდით ამ [illegible]-რეს. შიშველ, მუქფერის ფეხებზე ეცვა ჩალის ყვითელი ჩინური ფლოსტები. თავად მინახავს, თუ როგორ დარბოდა აქეთ-იქით და სქელ-[illegible] და ჭალარა თმა მხარზე სცემდა. სახლში საქმე ბევრი [illegible]-და. წარჩინებული წარმოშობისა გახლდათ, ექსცენტრული და გულამაყი. ნაშუადღევს ვეებერთელა სავარძელში ჩაჯდებოდა სწორედ თავისი ქმრის პირდაპირ და ფართოდ გაჭრილ კედელში იმზირებოდა, საიდანაც მოჩანდა მთელი ეს სასახლე და მდინარე.

დაჯდომის ხანს ეს ქალი უთუოდ მოიკეცავდა ფეხს. მოხუცი დორამინი კი იჯდა წელში გამართული, შთამბეჭდავად, ასე მთა თუ იქნება ამართული ველზე. ის იყო უბრალო ნაკოდა, ანუ ვაჭართა წრეს განეკუთვნებოდა, მაგრამ ღირსეულად კი ეჭირა თავი და სახელიანი პიროვნებაც გახლდათ. მეორე ადგილი ეკავა სიძლიერით პატუსანელ ბელადებში. ცელებესიდან იყვნენ გადმოხვეწილნი ისინი (სამოციოდე ოჯახი იქნებოდა თავისი მსახურებით, აქედან ორას კაცს თუ შეეძლო „ხანჯლის მომარჯვება"). მრავალი წლის წინათ აერჩიათ დორამინი თავიანთ მეთაურად. ამ ტომის ხალხი იყო უფრო გონიერი, მარჯვე და შურისმაძიებელიც. სხვა მალაელებზე უფრო მამაცნიც და ჩაგვრას ვერ იტანდნენ. რაჯას საწინააღმდეგო დაჯგუფება შექმნეს. რაღა თქმა უნდა, ვაჭრობის გამო ატეხილიყო დავიდარაბა. თავიდათავი მიზეზი ეს იყო, ხოდა, იმართებოდა კიდევაც ბრძოლა. უეცარი ამბოხებანი, ხან აქ, ხან იქ ავარდებოდა ცეცხლი და კვამლი, ატყდებოდა სროლა, წივილ-კივილი, წვავდნენ სახლებს, რაჯას კარზე მიათრევდნენ ხალხს, ჰკლავდნენ და აწამებდნენ, მხოლოდ ჩვენთან უნდა ივაჭროთო. ერთი თუ ორი დღით ადრე ჯიმის ჩამოსვლამდე, რამდენიმე ოჯახის უფროსი სწორედ იმ მეთევზეთა სოფლიდან, რომელსაც ის მერე განსაკუთრებით მფარველობდა, კლდიდან გადაჩეხეს რაჯას შუბოსნებმა, თურმე ეჭვობდნენ, საკვებად გამოსადეგ ჩიტის ბუდეებს აგროვებენო ისინი ვიღაც ცელებესელი ვაჭრებისათვის. რაჯა ალანგის აზრით, მხოლოდ თავად ჰქონდა ვაჭრობის უფლება თავის ქვეყანაში და ამ მონოპოლიის ხელმყოფელნი სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვაჭრობა მის თვალში ძარცვა-გლეჯის ჩვეულებრივი გამოვლინება იყო და მეტი არაფერი. იმის სისასტიკესა და სიხარბეს მხოლოდ იმისივე სიმხდალე თუ ზღუდავდა, ცელებესელებისა ეშინოდა, თუმცა — სანამ ჯიმი ჩამოვიდოდა — იმდენად არ იყო შეშინებული, რომ დაშოშმინებულიყო. თავის ქვეშევრდომთა მეშვეობით თრგუნავდა მოწინააღმდეგეებს და ზარზეიმით ასეც ფიქრობდა, ეს ჩემი უფლება არისო. მდგომარეობა იმითაც იყო გამწვავებული, რომ ვიღაც უცხოელმა, სისხლნარევმა არაბმა, მგონია, მხოლოდ იმას წმინდა რელიგიური მიზნები ამოძრავებდა, ქვეყნის შიგნით დასახლებულ ტომებს მიაშურა და ააჯანყა („ბუჩქნარის ხალხი", როგორც ჯიმი ეძახოდა იმათ). იგი ორიდან ერთ-ერთ მთაზე გამაგრებულა. სამტრედეს ქორი რომ მოევლება თავს, ისე დამუქრებოდა ქალაქ პატუსანს, მაგრამ ძირითადად ქვეყნის გაშლილი დაუცველი მხარე გაეჩანაგებინა. მთელი სოფლები, მიტოვებულები და გაუდაბურებულები ლპებოდნენ თავიანთ ჩაშვებულ ხიმინჯებზე წყალანკარა მდინარეების პირას, კედლებს სცვიოდა ბალახები, სახურავებს ფოთლები და თითქოსდა ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდა ეს არემა-

დამო ვითარცა ძირშემპალი რაღაც მცენარე. პატუსანის ორმა პარტიამ არ იცოდა, თუ რომელს მოაღგებოდა ეს პარტიზანი გასაძარცვავად, რაჯა მზაკვრობით ცდილობდა თავის შველას, ხოლო ზოგიერთ ბუგელს მოეჩვენებოდა ეს გაუთავებელი შიშიანობა და სადაცაა თავად მოუხმობდნენ იმ არაბს. იმათ შორის განსაკუთრებით ყმაწვილკაცები ცხარობდნენ და [illegible]ნენ, „აქ მოვიწვიოთ ის შერიფალი თავისი ველურებით და რაჯა[illegible] გავაძევოთო“. ძლივსღა აჩერებდა იმათ დორამინი. ბერდებოდა და, მართალია, გავლენა არ დაუკარგავს, მაგრამ სულ უფრო უჭირდა იმათი მოთოკვა. ასე იყო ეს ამბავი, როდესაც ჯიმი რაჯას მესერს გადმოევლო და ბუგების ბელადს მოევლინა, ბეჭედი მიუბოძა და კიდევაც შეიფარეს, შეიძლება ითქვას, შეითვისეს.

## თავი 28

დორამინი გამორჩეული კაცი გახლდათ თავისი რასისა. მე ასეთი ჯერაც არ მინახავს. მალაელის პირობაზე ის მეტად ტანსრული იყო, მაგრამ მსუქანიაო, ვერ იტყოდით, მონუმენტური, შთამბეჭდავი გარეგნობისა გახლდათ, გარინდებული, მდიდრულ, ნაირ-ნაირი ფერის, ოქრონემსულ აბრეშუმებში გახვეული; ვეებერთელა თავი, მეწამულ-ოქროსფერი თავსაბური; დიდი და ფართო სახე, დაღარული, დანაოჭებული; ორი ღრმა ნაოჭი ეშვებოდა განიერი დაბერილი ნესტოებიდან და გარშემოვლებოდა სქელტუჩიან პირს; ხარისებრი კისერი, მომსხო ხაზებიანი მაღალი შუბლი და მტკიცე, ამაყი გამოხედვა, ნახავდით ერთხელ ამ კაცს და აღარც დაგავიწყდებოდათ. გაუნძრევლად მჯდომარე (იშვიათად თუ შეტოკდებოდა) ღირსების განსახიერება გახლდათ. ხმას არასდროს არ აუწევდა. ხრინწიანი და ძალმოსილი ჩურჩულით იტყოდა სათქმელს, თითქოსდა შორიდან რომ მოგესმოდათ ყრუდ. სიარულის დროს, ორი ტანდაბალი, ჯმუხი, წელამდე ტიტველი, თეთრ სარონგიანი და შავქუდიანი ყმაწვილკაცი ამოუდგებოდა მხარში, დაჯდომაში შეეშველებოდნენ ხოლმე და იმისი სავარძლის უკან დადგებოდნენ, სანამ აბრძანებას არ ინებებდა; ნელა, ძლივს-ძლივს რომ მიატრიალებდა თავს მარჯვნივ და მარცხნივ, მაშინ მიეშველებოდნენ ხოლმე წამოდგომაში, მიუხედავად ამისა, სულაც არ ჰგავდა ხეიბარს, პირიქით, მთელ იმის მძიმე მოძრაობაში წარმოჩენილიყო დაურვებული ძალმოსილება. ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოებრივ საქმეებზე ეთათბირებოდა თავის მეუღლეს, მაგრამ არავის, რამდენადაც ვიცი, არ გაუგონია იმათ რამე ეთქვათ ერთმანეთისთვის. ხმის ამოუღებლად, საზეიმოდ ისხდნენ იმ ფართოდ გადახსნილ კედელთან, გაჰყურებდნენ საღამოს ბინდში გადაჭიმულ ვრცელზე ვრცელ ტყეს, უკიდეგანო მუქმწვანე ზღვას, რომლის კიდე შორს ებჯინებოდა იისფერ-მეწამულისფერ მთის ფერდობებს; მოელვარე და ხვეულ მდინარეს, ვეებერთელა ვერცხლისფერ S-ის მსგავს, ყავისფერ ზოლს ორივე მხარეს ჩამწკრივებულ სახლებისას, ხეთა წვეროებს აცილებულ წყვილად ამართულ მთას; ცოლ-ქმარი საოცრად არ ჰგავდა ერთმანეთს, ქალი — მსუბუქი, ტანთხელი, ნაზი, მკვირცხლი, პატარა გრძნეულს ჩამოჰგავდა, დედობრივი ზრუნვით მოცული დასვენების ხანსაც ვერ იცლიდა. კაცი სწორედ ქალის საპირისპირო გარეგნობისა გახლდათ, ვეება, ტანმძიმე, თითქოსდა უხეშად გამოეკვეთათ ქვისგან, იმისი გარინდება ერთსა და იმავე დროს ლმობიერებასაც გვამცნობდა და ულმობელობასაც. მშვენიერი ვაჟიშვილი ჰყავდათ იმ მოხუცებს.

უკვე ხანდაზმულებს შესძენოდათ, შეიძლება არც ისე ყმაწვილი გახლდათ, როგორც გამოიყურებოდა. ოცდაათხი-ოცდახუთი წლის კაცი არც ისე ახალგაზრდაა, თუკი უკვე თვრამეტი წლისა ოჯახის მამა გახლდა. მშვენიერი ქილოფებით კედლებ და იატაკმოფენილ, მაღალ თეთრქვიტკირის დარბაზში შესული, სადაც ეს წყვილი იჯდა და დიდის მოწიწებით გარშემოხვეული ამალა, პირდაპირ დორამინს მიაშურებდა, რათა მეფურად გამოწყობილს ხელზე ეკოცნა და მერე დედის სავარძლის გვერდით დამდგარიყო. შემიძლია ვთქვა, მშობლები აღმერთებდნენ შვილს, მაგრამ ერთხელაც არ შემიმჩნევია ცხადლივ შეეხედათ მისთვის, თუმცა ასე ხდებოდა ოფიციალური მიღების დროს. დარბაზი ჩვეულებრისამებრ გაჭედილი იყო. ზარზეიმური მისალმება და გაგამომშვიდობება, დიდი პატივისცემა გამოხატული ხელის მოძრაობით, სახეზე, ჩურჩულში ყველაფერი ეს ძნელი გადმოსაცემია. კი ღირს ამის ნახვაო, მითხრა ჯიმმა, როდესაც მდინარე გადმოვვლეთ და უკან ვბრუნდებოდით. „თითქოს წიგნიდანაა ეს ხალხი, არა? — საზეიმოდ განმიცხადა მან. — დაინ უორისი, იმათი ვაჟი, ჩემი საუკეთესო მეგობარია (თქვენს მერე), ასეთი არცა მყოლია. ბ-ნი შტაინი იმას დიდებულ „თანამებრძოლს" შეარქმევდა. ბედი მქონია, ღმერთმანი! ბედი მქონია-მეთქი, როდესაც ამათ გადავაწყდი არაქათგამოცლილი. — თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა, მერე გამოერკვა და ასე დასძინა: — რაღა თქმა უნდა, მეც ვიყოჩაღე, მაგრამ... — ისევ იყუჩა, — მგონი, ბედმაც გამიღიმა, — ჩაიჩურჩულა მან, მაშინ მივხვდი, რაც უნდა მექნა...

ეჭვი აღარ იყო, ბედნიერებას ეწია და ეწია ომის მეშვეობით, რადგან, თქმა არ უნდა, ბედნიერებაა ძალის მოპოვება და მერე იმისი მოშველიება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. მხოლოდ ამით თუ შეიძლება ომის გამართლება. ნუ გგონიათ, რომ ჯიმმა უცებ ნახა თავისი გზა. როდესაც ის გამოჩნდა, ბუგელთა საქმე ვერ იყო კარგად. შიშით აღარ იყვნენო, მითხრა მან, ყველა თავის თავზე ფიქრობდა, სხვისი დარდი არა ჰქონდა, ნათლად დავინახე, მაშინვე უნდა ეღონათ რამე, თუ არა და სუყველა ამოწყდებოდა ერთიმეორის მიყოლებით, ის რაჯა ან მაწანწალა შერიფი მოუღებდათო ბოლოს. მაგრამ დანახვა და ქმნა ერთი არაა. ეს იდეა მოუვიდა თავში და მაშინვე უნდა შედგომოდა უკვე ამ ტვინნაღრძობი ხალხის დაყოლიებას, უნდა დაეძლია იმათი შიში და განკერძოებულობა, ბოლოს კი შეძლო. მაგრამ ეს არ კმაროდა. საშუალებებიც უნდა გამოენახა. გამონახა კიდევაც, გაბედული გეგმა შეიმუშავა, მაგრამ საქმე ჯერ სანახევროდ იყო გაკეთებული. თავისი რწმენა უნდა სხვებისთვის ჩაენერგა, რომლებიც რაღაც ფარული და სულელური მიზეზებით უკან იხევდნენ, ბრიყვული ეჭვით ატანილები უნდა მიემხრო და უკუეგდო იმათი ჭკუამიუტანებელი უნდობლობა. დორამინის სიქველენი რომ არა, ვერც ვერაფერს გახდებოდა. დაინ უორისმაც, ამ არაჩვეულებრივმა ყმაწვილკაცმა პირველმა გაიზიარა იმისი რწმენა, დიდი, გასაოცარი და იშვიათი მეგობრები შექმნილიყვნენ ისინი, სწორედ ფერადკანიანსა და თეთრკანიანს შორის შეიძლება მოხდეს ასე, როდესაც რასობრივი განსხვავება ორ ადამიანიშვილს რაღაცნაირი მისტიკური გრძნობით დააკავშირებს ერთმანეთთან. ხალხი ამაყობდა დაინ უორისით, თეთრი კაცივით მეომარიაო. მართალნიც იყვნენ. სწორედ ასეთი ვაჟკაცობით გამოირჩეოდა, საცხადო ვაჟკაცობით და, შეიძლება ვთქვათ, ასეთივე ევროპული გონიერებით. ზოგჯერ კი შეხვდებით ასეთებს და გაოცებული დარჩებით, რაკი ასე მოულოდნელად აღმოაჩენთ თქვენთვის ცნობილ ფიქრებს, ნათელ ხედვას, მიზანმიმსწრაფობას, ალტრუიზ-

მის გამოვლინებას. ტანმაღალი არ იყო დაინ უორისი, მაგრამ გამოირჩეოდა თანაზომიერი აღნაგობით, ამაყი მიხრა-მოხრით, თავაზიანობით, უბრალოებით, მგზნებარებით. მუქი სახე ჰქონდა, მეტყველი შავი თვალები, ფიქრიან გამომეტყველებას რომ იღებდა მოცალეობის ჟამს. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მტკიცე გამოხედვა, ირონიული ღიმილი, დინჯი მოძრაობა გამოხატავდა იმის დიდ ჭკუასა და ძალას. დასავლეთიდან ჩამოსულებს არ შეეძლოთ ჩახვდნენ იმას, რაც იმალება ზედაპირს მიღმა, ხოლო, ასეთი ადამიანების მეშვეობით გებულობენ ისინი აქაურ რასათა და მკვიდრთა ფარულ ნიჭსა და უნარს, მრავალი საუკუნის იდუმალების ბურუსით რომაა მოცული. მას არა მარტო სჯეროდა ჯიმის, კიდევაც ესმოდა მისი, ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული. იმიტომ გიამბობთ დაინ უორისზე, რომ მომხიბლა. იმისმა — შეიძლება ასე ვთქვათ — მზვაობარმა სიმშვიდემ და, ამავე დროს, ჭკუადამჯდარმა მხარდაჭერამ ჯიმის მიზნისადმი. ჩემი პატივისცემა დაიმსახურა, მგონია. მე თავად მეგობრობის ძირისძირს ვხედავდი. თუკი ჯიმი წინამძღოლი გახლდათ, დაინ უორის ჩავარდნოდა ტყვედ. მართლაც და, ყოველმხრივ ტყვე იყო. ჯიმი წინამძღოლი, ეს ქვეყანა, ხალხი, მეგობრობა, სიყვარული მოუცილებელ მცველებად დადგმოდნენ მას. ყოველი დღე თითო რგოლს მატებდა ჯაჭვს იმ უცნაური თავისუფლებისას. დღითი დღე უფრო მეტსა და მეტს ვგებულობდი ამ ამბავზე.

ამ ამბავზე-მეთქი! განა პირველად ვისმენდი, მომისმენია ხეტიალისას, მომისმენია შესვენების ხანსაც (მთელი ეს ქვეყანა მომატარა რაღაც იშვიათი გარეული ფრინველის ძებნისას). მეტიწილი ამ ამბისა მე მომივისმინე იმ წყვილ მთათაგან ერთ-ერთზე, უკანასკნელი ასი ფუტის ამოვლა ოთხზე მომიხდა. ჩვენი თანმხლებნი (მოხალისეები დაგვყვებოდნენ სოფლიდან სოფლამდე) შუა გზაზე დაბანაკდნენ ფერდობის ერთ მოსწორებულ ადგილას. უქარო ამინდი იყო იმ საღამოს და იქიდან ამოდენილი კოცონის საამო სურნელება გვცემდა ცხვირში. ხმებიც აღწევდა ჩვენამდე, საოცრად მკაფიოდ და როგორღაც გამჭვირვალედ, ნათლად. ჯიმი გადაჭრილ ხეზე დაჯდა. ჩიბუხი ამოიღო და გააბოლა. ჩვენ გარშემო შეფენილიყო თოთო ბალახი და მომცრო ბუჩქნარი, ეკალ-ბარდებში კი მოჩანდა ნათხარი მიწა. სუყველაფერი აქედან დაიწყო, თქვა ჯიმმა ხანგრძლივი დუმილისა და ფიქრის შემდეგ. მეორე მთაზე, ორასიოდე იარდის იქით, ქუშად ამომზირალი უფსკრულის გაღმა შავად მოჩანდა მესრის ნამუსრევი, ესღა დარჩენილიყო შერიფ ალის აუღებელი ბანაკიდან.

მაგრამ მაინც აიღეს. ასე უნდოდა ჯიმს. ამ გორის თავზე აათრია დორამინის ძველი არტილერია — ორი ჟანგიანი რკინის შვიდგირვანქიანი ზარბაზანი და კიდევ ბრინჯაოს პატარა ზარბაზნები. ასეთი ზარბაზნები არა მარტო სიმდიდრეა. მათ გასროლაც შეუძლიათ, მცირე მანძილზე, თუკი თავზე ხელს აიღებ და მაგრად დატენი. თავიდათავი მათი ატანა იყო მაღლა. ჯიმმა მიჩვენა, სადაც დაამაგრებინა ბაგირები, ამიხსნა, თუ როგორ დააყენა სახელდახელოდ ძელისგან გამოჩორკნილი ოწინარი, წამახულ პალოზე რომ ტრიალებდა, ჩიბუხით შემომიხაზა ის ადგილები, სადაც მიწაყრილები გაკეთდა. უკანასკნელი ასი ფუტის გავლა მეტად გაჭირდა. მარცხის შემთხვევაში პასუხს თვითონ აგებდა. მთელი ღამე ამუშავა მეომრები. დიდი კოცონები დაანთებინა დაბლა, მთელ სიგრძეზე. მაგრამ აქ, მაღლა, მითხრა მან, ყველას სიბნელეში გვიხდებოდა სირბილი, ამ სიმაღლიდან ფერდობზე შეფენილი

ხალხი ქიანჭველები გეგონებოდათო. იმ ღამეს ბევრჯერ ამოვიდა და ჩავიდა, ციყვივით დახტოდა, მთელ ხაზზე ამხნევებდა, ხელმძღვანელობდა ხალხს მოხუცმა დორამინმა თავის სავარძლიანად ამოაყვანინა თავი გორაზე, [illegible]-ბის სწორ ადგილას დასვეს, ერთ-ერთი კოცონის შუქზე. „გასაოცარი ბერი-კაცია, სწორედაც ბებერი ბელადია, — თქვა ჯიმმა, — იმ თავისი [illegible] ჭრიახი თვალებით. ორი ვებერთელა კაჟიანი დამბაჩა ედო [illegible]-დებული დამბაჩები, აბანოზის ხისტარიანი, მოვერცხლილი, მშვენიერ საკეტიანი, კალიბრით ჯაზაირს მოჰგავს. შტაინის ნაჩუქარია, მგონი... იმ ბეჭდის სანაცვლოდ, ხომ გახსოვთ. ბებერი მაკ-ნილის ნაქონია. იმას კი ღმერთმა უწყის საიდან ჩაუვარდა ხელში. ხოდა, ის კაცი სრულიად გაუნძრევლად იჯდა იქ, კოცონი გაჩაღებულიყო, ხმელ ტოტებს ტკაცატკუცი გაჰქონდა იმის უკან, აურება ხალხი დარბოდა იმის გარშემო, ყვიროდა, ბაგირებს ეწეოდა — ის კი იჯდა ზარზეიმით, ისეთი წარმოსადეგი, დიდებული მოხუცი კაცი, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. ცოცხალი არ გადარჩებოდა, შერიფ ალის ის თავისი წყეული ბრბო რომ გამოეგზავნა და ჩვენიანები გაენადგურებინა. ასე იყო თუ ისე, სასიკვდილოდ გადაედო თავი, თუკი წახდებოდა საქმე. შეცდომა არ უნდა მოგვსვლოდა! ღმერთო! ვხედავდი იმას აქ მჯდომარეს, კლდესავით და მაკანკალებდა. მაგრამ შერიფ ალის უფიქრია, ისინი სულ დაგიჟდნენო, და თავი არ შეუწუხებია, რათა მოსულიყო და ენახა, რასა შვრებიანო. ვერც ვერავინ დაიჯერებდა, თუ შეიძლებოდა ამის გაკეთება. დიახ! მგონია, ის ბიჭებიც, ვინც ოფლგადამსკდარნი ეწეოდნენ და ექაჩებოდნენ ზარბაზნებს, ვერ დაიჯერებდნენ, თუ შეიძლებოდა ამის გაკეთება! თუნდაც დავიფიცებ, არა მგონია, იმათ სჯეროდათ..."

წელგამართული იდგა კვამლადენილი ჩიბუხით ხელში და პატარა ბიჭივით თვალანთებული იღიმებოდა. მე კი ვიჯექი კუნძზე იმის ფეხებთან, ქვემოთ გადაჭიმულიყო ქვეყანა, უკიდეგანო, ტყეები, ქუშად, ზღვასავით მოლივლივე მზის სხივებში; აელვარებული ხვეული მდინარეები, ნაცრისფერი ბურუსით გადაკრული სოფლები, მინდვრები, ვითარცა ნათელი კუნძულები მუქმწვანედ მოშრიალე ხეებში. სევდისმომგვრელი ნათება მოვლებოდა ამ ვრცელ და ერთფეროვან ბუნებას, თითქოსდა უფსკრულოვანს დასცქეროდა სინათლე. მიწა ნთქავდა მზის სხივებს, იქით კი, შორს, სანაპიროს გასწვრივ გამჭვირვალე ბურუსში წარმოჩენილიყო უდაბური ოკეანე, კრიალა და კამკამა, ვითარცა ცამდე აღმართული ფოლადის კედელი.

და მე მასთან ვიყავი, მზით განათებულ გორაზე, იმის ისტორიულ მწვერვალზე. ამაღლებულიყო ის ამ ტყეზე, ამ საუკუნეობრივ სიბნელეზე, უხსოვარი დროის კაცობრიობაზე. ქანდაკებასავით იდგა, მისი ძალუმი სიყმაწვილე განასახიერებდა ძალამოსილებასა და იქნებ კეთილშობილებას იმ რასისას, რომელმაც არ იცის სიბერე და იშვა სიბნელიდან. არ ვიცი რად იყო, რომ ამ ყმაწვილკაცს ყოველთვის რაღაც სიმბოლურად აღვიქვამდი. შეიძლება ეს არის ნამდვილი მიზეზი, რომ ასე მაწუხებს მისი ბედი. არც ის ვიცი, რამდენად სწორია, რომ გავიხსენე ეს შემთხვევა. რომელმაც სულ სხვა მიმართულებით წარმართა მისი ცხოვრება, იმ წუთას ნათლად გამახსენდა ეს ამბავი. სინათლეში ჩაჭდეულ ჩრდილს ჰგავდა ეს.

## თავი 27

ზებუნებრივი ძალა მიენიჭებინა მისთვის ლეგენდას. [illegible] ასე ამბობდნენ, ბევრი თოკი იყო ეშმაკურად გამართული, რაღაც უცნაურ მოწყობილობას ატრიალებდა მრავალი ადამიანი და ზარბაზნები [illegible] მიიწევდა მაღლა, ბუჩქნარში, ვითარცა ტახტი ეკლესიებშიო. მა[illegible] ბრძენთა ბრძენები თავს გააქნევდნენ. რაღაც იდუმალება იმალებოდა ყველაფერ ამაში, რაღა თქმა უნდა, რადგან რა ძალა უნდა ჰქონოდა ასეთ თოკებსა და ადამიანის ხელებს? ყოველ საგანში მეამბოხე სულია ჩაჭდეული, რომლის დამორჩილებაც ჯადოთი და თილისმით თუ შეიძლება. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო მოხუცი სურას, პატუსანის უპატივცემულესი პიროვნების აზრით, ვისთანაც ერთ საღამოს ვისაუბრე. მაგრამ სურა პროფესიონალი მისანიც გახლდათ, ამავე დროს და ვინ არ უხმობდა მას. მრავალი მილის გავლა უხდებოდა, რათა დასწრებოდა ხენა-თესვას. მოსავლის აღებას და დაეშოშმინებინა აბობოქრებული სული საგნებისა. თავისი ეს საქმიანობა ძნელზე ძნელად მიაჩნდა, რადგან ვინ იცის, საგანთა სულები უფრო ჯიუტნი და შეუპოვარნი იყვნენ ადამიანთა სულებზე. მახლობელი სოფლების მკვიდრთა აზრს თუ იკითხავთ, იმათ ასე სჯეროდათ და ამბობდნენ (თითქოსდა ეს ყოფილიყო მთლად ჩვეულებრივი ამბავი ამქვეყნად), ჯიმმა საკუთარი ზურგით აათრია ის ზარბაზნები — ორ-ორი აჰქონდათ ერთად.

ჯიმი გაიგონებდა ამას და განრისხებული ფეხების ბაკუნს მოჰყვებოდა, ჩაიცინებდა, წამოიძახებდა, რა ჭკუა უნდა მოსთხოვო ამ სულელებს? გათენებამდე სხედან და რას არ მიედმოედებიან, და რაც უფრო დიდია სიცრუე, მით უფრო მოსწონთ, გარემოს შეუმჩნეველი ზეგავლენა შეინიშნებოდა ამ მღელვარებაში. ტყვექმნილი იყო გარკვეულწილად, გაცხარებით უარყოფდა ამ ლეგენდებს, ერთხანს ვუსმინე და მერე ვუთხარი, „ჩემო ძვირფასო, ხომ არ ფიქრობ, რომ მე „მჯერა ეს", შეცბუნებულმა შემომხედა: „არა, მე მგონი, არა, — ჰომერული ხარხარი წასკდა. — ასე იყო თუ ისე, ზარბაზნები იქ გაჩნდა და მზის ამოსვლის ხანს დაიქუხეს კიდევაც. ღმერთმანი! ერთი გენახათ, ნაცარტუტად ექციეთ იქაურობა", — წამოიძახა მან. დაინ უორისი იჯდა იმის გვერდით, წყნარად მომღიმარე, ყურს უგდებდა, თვალები დახარა, ფეხი შეარხია, როგორც ჩანს, აგრე წარმატებით რომ აიტანეს მთაზე ზარბაზნები, ჯიმის ხალხმა მტერზე გამარჯვებისა ირწმუნა, ხოდა, იმან გაბედა და ეს ბატარეა ორ, მრავალთმგამოვლილ ბუგელს მიანდო, თავად კი დაინ უორისთან მივიდა და ხეობაში ჩამალულ მოიერიშე რაზმს შეუერთდა. გათენებას ალიაფერი უკლდა, როდესაც ისინი აცოცდნენ მაღლა, გზის ორი მესამედი გაიარეს და სველ ბალახში ჩაწვნენ. მზის ამოსვლას დაუწყეს ლოდინი, სწორედ ეს იყო ბრძოლის დაწყების ნიშანი. მომითხრობ, რა მოუთმენლად და გულის ხეთქვით ელოდებოდა მოახლოებულ განთიადს, მუშაობითა და მათზე ძრომით გახურებული როგორ უჯდებოდა სუსხი ძვალსა და რბილში, შიშით აღარ იყო, ეგონა ფოთოლივით თრთოლვა და ცახცახი დამაწყებინესო ერიშამდე. ჩემს ცხოვრებაში პირველად გაუვლიაო ასე ნელა ნახევარ საათს, განაცხადა მან, თანდათანობით გამოჩნდა ზეცა და ის გარინდებული მეომარი ხალხი მიმოფანტულიყო ფერდობზე და ჩამალულიყვნენ მუქ ქვებსა და ნამიან ბუჩქებში, იმის გვერდით მიწაზე განრთხმულიყო დაინ უორისი. „ერთიმანეთს გადავხედეთ, — თქვა ჯიმმა და ნაზად ჩამოადო ხელი მხარზე თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარს. — გამიღიმა გულიანად და მშვიდად, მე კი ბაგის გახსნას ველარ ვბედავდი, ვაითუ კანკალი ამივარდეს-მეთქი. დამიჯერეთ, არ ვაჭარბებ! ფურ-ღობზე ცოცვის მერე ოფლგადამსკდარი ვიყავი, ხოლა, მიხვდებით კიდევაც, მან მითხრა და მეც მჯერა, დამარცხების შიში არ მქონდაო. მხოლოდ ეს აღარ-დებდა, ვაითუ კანკალი ამივარდეს და ველარ მოვთოკოო თავი. ბრძოლის შე-დეგი არ აწუხებდა. იმ გორის წვერზე უნდა ასულიყო და იქ დარჩენილიყო, რაც არ უნდა მომხდარიყო. უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. მთელი გულით მინდობოდა მას ხალხი! მის სიტყვას..

მახსოვს, აქ ის შეჩერდა, შემომაცქერდა. მერე მითხრა, რამდენადაც ვი-ცი, ერთხელაც არ უნანიათო, რომ მომენდვნენ. ერთხელაც. კი ჰქონდა იმედი, ღვთის შეწევნით, არც ინანებდნენ. ამასობაში კი — ბედი არ გინდა — მიეჩ-ვივნენ და ყველაფერს იმას ეკითხებოდნენ. ამას რას წარმოიდგენდა! რატომ? ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი გამოთაყვანებული ბერიკაცი მოვიდა, პირვე-ლად ხედავდა იმას, თავისი სოფლიდან ამ სიშორეზე იმიტომ მოსულიყო, რა-თა ეკითხა, გაცილებოდა თუ არა ცოლს. გეფიცებით ასე იყოო, დიახ, ასე იყო მისი საქმე... ამას როგორ დაიჯერებდა, თქვენც თუ დაიჯერებთო ამას? ბეტელის ლეჭვით მოკალათდა ის ბერიკაცი, ოხრავდა და იპურჭყებოდა, სა-ათზე მეტი აღარ გაათავა, მესაფლავესავით დაღრეჯილი იჯდა, ჯიმი კი თავს იმტვრევდა ამ დაწყევლილ გამოცანაზე. სულაც არ იყო სასაცილო ეს ამბავი. რა ეთქვა იმ კაცისთვის? კარგი ცოლი თუ არისო? დიახ, კარგი ცოლია, თუმ-ცა მოხუცებულიაო; ხოლა, დაიწყო და აღარ დაასრულა, რაღაცას უყვებო-და სპილენძის ქოთნებზე. თხუთმეტი... ოცი წელიწადი ერთად ცხოვრობდნენ, ზუსტად ვერ ამბობდა. დიდი ხანია, დიდი ხანიაო. კარგი ცოლიაო. ცოტას კი ვცემდიო, ბევრს არა, ცოტას, მაშინ ახალგაზრდა იყოო, ასე იყო საჭირო, ღირსება ხომ უნდა შემენარჩუნებინაო; უცებ სიბერეში ადგა ის ბერიქალი და სპილენძის სამი ქოთანი თავის რძალს, დისწულის ცოლს მისცა და ამის მერე ყოველდღე ხმამაღლა ლანძღავდა და აგინებდა ქმარს, ქურდობა დას-წამა, მტრის სასაცილოდ გაეხადა. სწორედაც. ის ქოთნები კი არ ჩანდა და არ ჩანდა. ჭკუა დაკარგა კაცმა, მიდი და გაიგე რა ხდება. ჯიმს უთქვამს მისთვის. ახლა შენ სახლში წადი, ხოლა მე მოვალ და ყველაფერს მოვაგვარებო. ჰო, თქვენ კი იცინით, მაგრამ მე დაბადება დავიწყევლეო! მთელი დღე მოვუნდი იმ ტყის გავლას, მეორე დღეს კი სულ წითელი კოჭები ვუგორე იმ გაგრიებს, სანამ საქმეს მოვაგვარებდი. შეიძლება სისხლისღვრა მომხდარიყო. ეს წყეული იდიოტები გაიყვნენ. ზოგი ერთის მხარეზე იდგა, ზოგი მეორის, უკვე ნახე-ვარი სოფელი საომრად შემართულიყო. გეფიცებით! სულაც არ ვხუმრობ!.. ყანებში აღარავინ მუშაობდა. ღმერთმა უშველა და დაუბრუნა იმ ბერიკაცს ის დაწყევლილი ქოთნები, რაღა თქმა უნდა... ყველანი შეარიგა, სულაც არ გაძნელებია. რაღა თქმა უნდა, არა. შეეძლო კიდევაც უკან დაეხევინებინა სამ-კვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულები, ერთი კი დაექნია თითი. სამწუხარო ისაა, რომ ძნელია სიმართლის ჩახვედრა. დღემდე არაა დარწმუნებული, ყვე-ლასთან თუ იყო სამართლიანი. ამაზე წუხს. ეს გაუთავებელი ლაპარაკი კი! ღმერთო! თავსა და ბოლოს ველარ გებულობს. სჯობს ისევ ოცი ფუტის სი-მაღლის მესერზე მიიტანოს იერიში. დიახ! ამასთან შედარებით ეს ბავშ-ვური თამაშია და მეტი არაფერი. დროც ბევრი არ დასჭირდება. ჰაი,მოდი და ნუ გაგეცინება — ის სულელი მოხუცი ბაბუად შეეფერებოდა. მაგრამ მეო-რე მხრივ ეს სახუმარო საქმე არ იყო. ყველაფრის შემძლე გახდა მისი სიტყ-

ვა მას შემდეგ, რაც შერიფ ალი დაამარცხეს. დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრაო, გაიმეორა მან, არა, მართლა, ხუმრობა იქით იყოს და, გინდ სამი სიცოცხლის ბედი ყოფილიყო გადასაწყვეტი და გინდ სამი [illegible]რდმოქცეული ქოთანი მქონოდა საშოვნი, სულ ერთი იქნებოდაო.

მან ამიხსნა, ომში თავისი გამარჯვების მორალური შედეგი, რაც მართლაცდა დიდი იყო. ომიანობას მშვიდობა მოჰყვა, სიკვდილიანობას — ხალხის სულიერი შვება, მაგრამ მზის სხივებდაფრქვეული ეს ქვეყანა მაინც განუჭვრეტელ საუკუნეობრივ წყვდიადში იყო დანთქმული. იმისი წკრიალა, ახალგაზრდული ხმა — კი არის გასაოცარი, რა მცირეოდნავ ეტყობოდა დროის მდინარება — მსუბუქად აჟრილიყო ზეცაში და თავს მოვლებოდა მარადჟამ უცვლელ ტყეებს, როგორც იმ ცივ და ცვრიან დილას დიდი ზარბაზნების გრგვინვა-გრიალი, როდესაც ჯიმს ესღა ადარდებდა, როგორმე დაეოკებინა მთელ სხეულში მოდებული კანკალი. მზის პირველი ალმაცერი სხივები დაეცა გარინდებული ხეების კენწეროებს, ერთი გორის წვერმა დაიქუხ-დაიგრუხუნა და თეთრ კვამლში გაეხვია, მეორე კი მოიცვა შიშის ზარმა, საბრძოლო კიჟინამ, მძვინვარე შესაძახილებმა, გაოცებამ, სასოწარკვეთილებამ. ჯიმი და დაინ უორისი პირველნი დაეტაკნენ იმ მესერს. ხალხის თქმით, თითის ერთი წაკარებით შემუსრა კარიბჭე. ის კი, რაღა თქმა უნდა, გაცხარებით უარყოფდა ამას. მთელი ის მესერი — დაბეჯითებით მიხსნიდა იგი — უბადრუკი სანახავი იყო (შერიფ ალის, ძირითადად, მიუდგომელი ადგილმდებარეობის იმედი ჰქონდა). ამასთან ერთად, მრავალ ადგილას შემუსრულიყო და სასწაულითღა იდგა. მხრის ოდნავი შეხება და იქით გადაწვა. ღმერთმანი! დაინ უორისი რომ არა, ვიღაც ჩოფურა, სვირინგებიანი ველური შუბით მიაჭედავდა სარზე, როგორც შტაინი თავის ხოჭოს. მესამე, მგონი, ტამბ იტამი უნდა ყოფილიყო, ჯიმის მსახური, ჩრდილოეთიდან მოსული მალაელი, მთლად უცხო კაცი ამ მხარეში, შემთხვევით მოხვედრილი პატუსანში, რაჯა ალანგს შეუპყრია და ერთ ნავზე გაუმწესებია მენიჩბედ. მაშინვე გაქცეულა და კიდევაც უნახავს საიმედო თავშესაფარი (თუმცა კი ცოტა საზრდო) ბუგელთა დასახლებაში და ჯიმს დასდგომია მსახურად. სრულიად შავი კანი ჰქონდა, სახე ბრტყელი, თვალები გადმოკარკლული და ნაღველმორეული. მეტისმეტად, თითქმის ფანატიკურად ერთგული იყო თავისი „თეთრი ლორდისა“. პირქუში აჩრდილივით დღენიადაგ მასთან იყო, ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, ცალი ხელი ხანჯლის ტარზე ჩამოედო, მრისხანედ იყურებოდა და არავის არ უშვებდა მასთან ახლოს. თავის მარჯვენა ხელად გაიხადა ჯიმმა ის კაცი და მთელი პატუსანი პატივს სცემდა და ფიანდაზად ეგებოდა ვითარცა დიდ გავლენიან პიროვნებას. იმ ბრძოლაში თავი გამოიჩინა შემართებითა და მძვინვარებით. მეწინავე რაზმი უეცრად დაეცა მოწინააღმდეგეს და, ჯიმის თქმით, მართალია დამცველნი შიშით აღარ იყვნენ, მაგრამ „ხუთწუთიანი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, ვიღაც სულელმა ცეცხლი წაუკიდა ფოთლებისა და თივის საყუდარს და ყველამ გაქცევით უშველა თავს“.

სრული იყო, როგორც ჩანს, გამარჯვება. დორამინი გაუნძრევლად იჯდა იმ თავის სავარძელში, ფერდობზე, და ელოდებოდა ბრძოლის დასასრულს. იმის ვეება თავს გარს ზარბაზნების კვამლი ევლებოდა. ხოლო, ეს ამბავი რომ შეატყობინეს, რაღაც დაიბუხუნა. როცა ისიც გაიგო, რომ ვაჟიშვილი უვნებელი გადარჩენილიყო და მდევართა რაზმს ჩადგომოდა სათავეში, ხმა აღარ ამოუღია, მძიმედ შეინძრა, წამოდგომა სცადა. მსახურები იმწამსვე მიეშველ-

ნენ, მოწიწებით მხარში ამოუდგნენ და ისიც დიდი ღირსებით მოცილდა იმ ადგილს, ჩრდილში დაწვა, ტილოს თეთრი ნაჭერი წაიფარა და დაიძინა. შეშფოთებას მოეცვა პატუსანი. ჯიმმა მიამბო, რომ იმ გორიდან ნაცარტყრუად ქცეული მესრისკენ და სანახევროდ დამწვარი გვამებისკენ ზურგით მიტრიალებული ხანდახან ხედავდა, ორივე სანაპიროზე. სახლებშუა მოშიშვლებულ ადგილზე რა ფაცაფუცით დარბოდა ხალხი, გამოცვივდებოდნენ სახლებიდან და წამის შემდეგ ისევ მიიმალებოდნენ. იმის ყურამდე აღწევდა ქვემოდან დაფდაფებისა და დოლების შეუთხავსე ხმა, გააფთრებული ყვირილიც ამოისმოდა იქიდან და განილეოდა კიდევაც. აუარება ალამი ფრიალებდა, თეთრი, წითელი, ყვითელი ჩიტებივით ყავისფერი სახურავების თავზე. თქვენ აღფრთოვანებული უნდა იყოთ-მეთქი, ჩავჩურჩულე მე. მეც გადმომდებოდა იმისი აღტაცება.

— დიდებული... დიდებული იყო! — დაიყვირა იმან და ხელები გაშალა. ამ მისმა უეცარმა ალტყინებამ შემაშფოთა, თითქოსდა ცხადლივ ვიხილე, თუ როგორ უნდოდა გამოემზეურებინა საკუთარი გულის იდუმალებანი მოქუფრული ტყეებისთვის, ფოლადისფერი ზღვისთვის. ჩვენ ქვემოთ კი ქალაქი გარინდებულიყო თითქოსდა მიძინებული მდინარის მიხვეულ-მოხვეულ სანაპიროზე, დიდებულიაო! უკვე მესამედ გაიმეორა მან, ამჯერად ჩურჩულით, თავისთვის.

დიდებულიაო! მართლაცდა დიდებული იყო; მისი მოწოდება გამარჯვებით დაგვირგვინდა. მტერი დამარცხდა და იმის ფერხთით იყო ეს ქვეყანა, ხალხი ბრმად მორჩილებდა, ცეცხლის წიაღიდან დაიბრუნა საკუთარი თავის რწმენა და ეს იყო მისი სულიერი მარტოობის მონაპოვარი. ყველაფერი ეს, როგორც მე გაგაფრთხილეთ, მოთხრობაში კარგავს მომჯადოებლობას. სიტყვას არ ძალუძს იმის ყოვლისმომცველი და მარადიული მარტოსულობის გადმოცემა. თქმა არ უნდა, ვიცი, სულიერ მარტოობას გრძნობდა, იმისი მსგავსნი ხომ არ ცხოვრობდნენ იქ, მაგრამ იმისმა ფარულმა ნიჭიერებამ და ძალამ დააახლოვა ირგვლივ მყოფებთან და ხსენებული მარტოსულობა თითქოსდა მისი ძალამოსილების გამოვლინება იყო მხოლოდ. მარტოსულობა შარავანდით მოსავდა მას. ვერავის შეადარებდით, თითქოსდა ის გამორჩეული ყოფილიყო ადამიანიშვილთაგან და მისი ღირსება მხოლოდ მისივე სახელითა და დიდებით განისაზღვრებოდა. ხოლო მისი სახელი, უნდა გახსოვდეთ, ყველგან ჰქუხდა მრავალი დღის სავალზე ირგვლივ. თქვენ უნდა ბევრჯერ მოგესვათ ნიჩაბი, ჰოკი ან სულაც ხელით გეთრიათ ნავი და მხოლოდ შორეულ ჯუნგლებს მიტანებული ვერ გაიგონებდით იმის ხოტბასა და ქებას. ეს ხოტბა და ქება არ იყო ზარზეიმით წარმოთქმული თაყვანისცემის სიტყვები, რომლითაც სახელშერცხვენილ ქალღმერთს მიმართავენ ყველამ ვიცით რომელს, არ გახლდათ უტიფარი, არცა თავაშვებული, იმ ქვეყნის მდუმარებითა და სევდის არილით იყო მოცული, რომელსაც არ ჰქონდა წარსული და სადაც ჯიმის სიტყვა იყო ყოველი წარმავალი დღის ჭეშმარიტება. მის ხოტბას რაღაც ეცხო იმ მდუმარებისა, რომელიც თან გდევთ ამ უცნობი ქვეყნის სიღრმეში და გაუსრულებლივ ხმიანებს თქვენს გვერდით, გამჭოლავი, ყოვლისმომცველი — გაოცებული და იდუმალებით მოცული ხალხის ტუჩებს რომ წყდებოდა ჩურჩულით.

## თავი 28

შერიფ ალი დამარცხდა და გაიქცა ქვეყნიდან, არსად აღარ შეჩერებულა, მაშინ კი დაიწყეს გამოძრომა იმ საწყალმა სოფლელებმა ჯუნგლებიდან და დაუბრუნდნენ თავიანთ შემპალ სახლებს. დაინ უორისის რჩევით ჯიმმა მათ მამასახლისები დაუნიშნა, ხოლო, კიდევაც გახდა ამ ქვეყნის ნამდვილი მმართველი. იმ ბებერმა ტუნკუ ალანგმა რომ გაიგო ეს ახალი ამბავი, შიშით სული კოჭებში გაეპარა, ასე ამბობენ, იმ გორის ალების ცნობის მოსვლისთანავე პირქვე დაემხო თავისი დარბაზის ბამბუკის იატაკზე და ასე გაუნძრევლად იწვა მთელი ღამე და მთელი დღე, კვნესა-გმინვას მოჰყვა და ვეღარავინ გაბედა იმასთან შუბის ტარის სიახლოვეზე მისვლა. უკვე ხედავდა თავს პატუსანიდან გაძევებულს, მოხეტიალეს, გაძარცვულს, ტანსაცმელშემოგლეჯილს, უოპიუმოდ, უქალებოდ და უთვისტომოდ, ასე შეიქნებოდა კიდევაც პირველივე შემხვედრის მსხვერპლი. შერიფ ალის მერე მისი ჯერიც დადგება, იმ დემონის შემოტევას ვინ აღუდგება წინ? და მართლაც, საკუთარ სიცოცხლეს, ასე გავიგე ჩემი სტუმრობის ხანს, მხოლოდ ჯიმის სამართლიანობას უნდა უმადლოდეს; ბუგელებს ხელი ექავებოდათ, უნდოდათ სამაგიერო მიეზღოთ იმ ოდინდელი შევიწროებისათვის. თავად იმ აუმღვრეველ დორამინსაც იმედი გასჩენოდა, თავისი ვაჟიშვილი პატუსანის მმართველად უნდოდა ენახა. ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის დროს კიდევაც გადმომიკრა სიტყვა და მამცნო ეს თავისი იდუმალი განზრახვა. რა დიდებული თავდაჯერებითა და სიფრთხილით გადამიხსნა გული, ასე მეუბნებოდა, სიყმაწვილეში კი მერჩოდა ღონე, მაგრამ ახლა დავბერდი და დავიქანცეო... შთამბეჭდავი აღნაგობით, პაწაწინა მედიდური თვალების დაკვირვებული, მკაცრი გამოხედვით სწორედაც მოგვაგონებდათ ცბიერ ბებერ სპილოს. ნელა, თანაბარზომიერად და ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა ვეებერთელა მკერდი, თითქოსდა მშვიდი ზღვა დალივლივებდა მძიმედ. ისიც განმიცხადა, უსაზღვროდ მჯერაო ტუან ჯიმის სიბრძნისა. ნეტავი კი დამპირდეს! იმისი ერთი სიტყვაც კმარა!.. თითქოსდა ჰექა-ქუხილის უკანასკნელი გაბრძოლება იყო, ისევ გაისმა დორამინის ჩუმი, ხრინწმორეული ხმა.

ვცადე ამეცილებინა ამ საგანზე საუბარი. ძნელი კი იყო, რადგან ნამდვილად ჯიმს ჩაებარებინა ხელთ მთელი ძალაუფლება; ამ ახალ გარემოში არაფერი ჩანდა ისეთი, რასაც ის ვერ მოიპოვებდა ან ვერ გასცემდა. მაგრამ, გიმეორებთ, ვერც ვერაფერი შეედრებოდა იმ აზრს, დორამინთან საუბრისას რომ მომივიდა თავში — ჯიმი სადაცაა შეიქმნებოდა თავისი ბედის ბატონპატრონი. დორამინი ამ ქვეყნის მომავალს შეეშფოთებინა და იმისმა მოსაზრებამ განმაცვიფრა. ეს მიწაწყალი რჩება იქ, სადაც ღმერთმა მიუჩინა ადგილი, თეთრი ხალხი კი — ასე თქვა მან — მოდის ჩვენთან, მაგრამ კიდევაც მიდის ცოტა ხნის მერე, თავის გზას დაადგებიან, ხოლო, იმათ, აქ რომ ტოვებენ, არ იციან, როდის დაბრუნდებიან ისინი უკან, თავიანთ ქვეყანაში, თავიანთ ხალხთან მიდიან, და ეს თეთრი კაციც ასე იზამსო... არ ვიცი, რამ მაიძულა, რად წარმოვთქვი მტკიცედ, არა, არა-მეთქი. ჩემს წინდაუხედაობას მაშინ მივხვდი, როდესაც დორამინმა მოატრიალა თავისი სახე, სულ დაღარული და უძრავი ვითარცა ვეება ყავისფერი ნიღაბი, და ჩაფიქრებულმა მითხრა, მართლაცდა, ეს კარგი ამბავია, მერე მოისურვა გაეგო, რატომო.

ჩემ გვერდით, მეორე მხარეს, მისი პატარა ტანის მეუღლე იჯდა, მუდამ დედობრივი ზრუნვით შეპყრობილი ქალი. თავდახურული და ფეხებმორთხ-

შული იჯდა, იმ ძოლიავებულ კედელში იმზირებოდა: იმის ქვემოთ თმის ყვე-დავდი და მაღალ ყვრიმალს. რაღაცას ღეჭავდა, შეცოდებოდა ... წვე-ტიან ნიკაპს, თვალს არ აცილებდა იმ ღიღ, გორაკებამდე გადაჭიმულ ... და ასე შეკითხებოდა მტირალი ხმით, ეს ბილლი ასე შორს როგორ წავიდა, თავისი სახლი რად მიატოვა და ასეთ საფრთხეში რად ჩაიგდო თავი? ასე უსახლკარო და უთვისტომოთ იმ თავის სამშობლოში? ... მოხუცი დედა, ვისაც სულმუდამ ემახსოვრებით იმისი სახე?..

სრულიად მოუმზადებელი ვიყავი ამ კითხვისათვის. რაღაც ჩავიბურტ-ყუნე და თავი გავაქნიე, მერე კი მივხვდი, მეტად საცოდავად გამოვიყურებო-დი, ძლიერ გამიჭირდა თავის დაძვრენა. სწორედ ამ წუთიდან გაჰყუჩდა ის ბებერი ნაკოოდა. რაღაც არ ესიამოვნა და ვაითუ სწორედ მე ვიყავი მიზეზი იმისი ჩაფიქრებისა. კია უცნაური, სწორედ იმ საღამოს (პატუსანიდან მივდი-ოდი უკვე) კიდევ ერთხელ დამისვეს ეს კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა. ცხადია, ეს „რატომ" ჯიმის ბედ-იღბალთან იყო დაკავში-რებული. სწორედ ახლა მოვატანე იმისი სიყვარულის ამბავსაც.

მგონია, თქვენ ფიქრობთ, ამ ამბის ჩახვედრას რა უნდაო. მრავალი ასე-თი ამბავი გაგვიგონია, მაგრამ ბევრ ჩვენთაგანს სულაც არა სჯერა სასიყვა-რულო ამბებისა, მეტიწილი ასე ვფიქრობთ, შემთხვევითი უნდა იყოს ეს ამ-ბები, ვნების მოძალება ან აბალგაზრდული გატაცება, რომლის დასასრული დავიწყებაა, თუნდაც ამას თავის დროზე ნამდვილად ნაზი გრძნობები და სი-ნანული ჰქონოდა საფუძვლად. ჩვეულებრივ სწორი უნდა იყოს ეს თვალსაზ-რისი და იქნებ ამ შემთხვევაშიც ასეა... თუმცა, არ ვიცი, ამ ამბის გადმოცემა არც ისე ადვილი იყოს — ჩვეულებრივი თვალსაზრისით ვერ მივუდგე-ბით, როგორც ჩანს, ეს ამბავი ძალიან უნდა ჰგავდეს სხვა ამდაგვართ. მე კი ლანდად ვხედავ სევდიან ქალს, სასტიკი სიბრძნის აჩრდილს, ფიქრში წასულს, სასოწარკვეთილს, აწ მარტოდ დაკრძალულსა და აღბეჭდილს მდუმარებით. ადრე დილით ხეტიალის ხანს გადავაწყდი იმის საფლავს, უსწორმასწორო ყა-ვისფერ ბორცვს, მარჯნის თეთრი ფილებით გარშემოწყობილს, მესრად ჰქონ-და წვრილი ხის სარები, ყვავილებითა და ფოთლებით შემკული, სულ ახალი დაკრეფილი იყო ეს ყვავილები.

ხსენებული აჩრდილი არის თუ არა ნაყოფი ჩემი წარმოდგენისა, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი ღირსშესანიშნავი გარემოება კი იყო ცხადი, ეს საფ-ლავი არ დავიწყებოდათ. თუკი ამასაც დავსძენ, ჯიმმა საკუთარი ხელით გაა-კეთა-მეთქი ეს უბრალო მესერი, თქვენთვის ნათელი გახდება ამ ამბის გარ-კვეული მნიშვნელობა. თანალმობით ეკიდებოდა სხვათა განცდილ-გადატა-ნილს, სხვათა გრძნობებს და ეს მოწმობდა იმის გულისხმიერებას. სინდისი ჰქონდა, რომანტიულობით ცხებული სინდისი. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იმ ვიგინდარა კორნელიუსის მეუღლეს არ ჰყოლია მშველელი, მე-საიდუმლე და მეგობარი გარდა იმ თავისი ქალიშვილისა. ის საბრალო როგორ მისთხოვებია იმ შემზარავ მალაკელ პორტუგალიელს მას შემდეგ, რაც და-ცილებია თავისი გოგოს მამას, ან რა იყო მიზეზი იმათი დაშორებისა — სიკ-ვდილი, ზოგჯერ წყალობასავით რომ მოევლინება კაცს, თუ გარემოებათა უწ-ყალო მიმძლავრება, არ ვიცი, ჩემთვის ეს საიდუმლოა. ცოტა რამ კი მითხრა ამის შესახებ შტაინმა (რომელმაც კი იცოდა ბევრი) და მე ასეთი დასკვნა გა-მოვიტანე, ის არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი ქალი. მამამისი თეთრი ყო-ფილა და დიდი თანამდებობაც სჭერია. ფრიად ჭკვიანიც გამოდგა, ანუ არ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა იმდენად სულელი, რომ თავბრუ დახვეოდა წარმატებით, იცოდა, რომ მის მსგავსთა კარიერა ხშირად სავალალოდ მთავრდებოდა. მგონია, არც ის ქალი იტყუებდა თავს. იმისი ცხოვრებაც სავალალოდ დასრულდა პატუსანში. ჩვენი საერთო ბედი... ნახავთ კი ისეთ კაცს, ჭეშმარიტად გონიერ კაცს ვგულისხმობ, ვინც სულზე უტკბესი ვიღაცის ან რაღაცის [illegible] დაკარგავს ამას და მერე ბუნდადაც აღარ გაიხსენებს?.. ჩვენი [illegible] განსაკუთრებული სისასტიკით სდევს ქალებს. ბატონივით არა სჯის, მაგრამ კი აწამებს ნელ-ნელა, და თითქოსდა ასე ალავსებს თავის იდუმალ და უწყალო საწყაულს სიავისას. შეიძლება კაცმა იფიქროს, ამ მიწაზე საუფლოდ მოვლენილი ის შურის საძიებლადაა მომართული იმათ წინააღმდეგ, ვინც ლამობს დაუსხლტეს მიწიერი სიფრთხილის ხვანჯებს; რადგან მხოლოდ ქალებს შეუძლიათ თავიანთ სიყვარულში ჩააქსოვონ ზოგჯერ რაღაც, შიშის მომგვრელი, ზეცით მონაბერი. გაოცებული ვეკითხები თავს, ქვეყნიერება კი როგორ წარმოუდგენიათ, ისეთივე ფორმისა და სუბსტანციის, ჩვენ რომ ვიცით, ან ჩვენივე ჰაერით სუნთქავენ ისინი? ზანდახან კი წარმოვიდგენ იმათ სამყაროს, უსაზღვროს, გონების მიღმურს, სადაც თრთიან იმათი სიცოცხლის მოყვარული სულები და ბრწყინვა გადასდით შემართებისა და მოთმინების. მაგრამ კი ვეჭვობ, ძალიან ცოტანი არიან ქალები ქვეყნად, თუმცა კი ვიცი, კაცობრიობა თანაბრადაა გაყოფილი ორ სქესად. იმაშიც ვარ დარწმუნებული, ღედაც ისეთი ქალური ქალი უნდა ყოფილიყო, როგორც იმისი ქალიშვილი. ჩემდა უნებურად თვალწინ წარმომიდგნენ ორივე, ჯერ ყმაწვილქალი და იმისი ბალღი, მერე კი ხნიერი ქალი და იმისი ასული, საოცარი მსგავსება და დროის სწრაფი მდინარება, ზღუდედ აღმართული ტყე, შფოთიანობა ამ ორი ეული ადამიანიშვილის გარშემო. სევდიანია იმათი ყოველი წარმოთქმული სიტყვა, ალსარებასავით თქმული მეტწილად, ფაქტების გადმოცემა კი არა, უფრო სულის ძახილია, სინანული, შიში, გაფრთხილებაც, თქმა არ უნდა, გაფრთხილება, რომელიც სრულიად არ ესმოდა უმცროსს, სანამ უფროსი არ მოკვდა.. ამ დროს ჯიმიც გამოჩნდა. მაშინ კი, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ კი გაიგო, განსაკუთრებით ის, თუ რა არის შიში. სახელით იხსენებდა იმას ჯიმი, რაც ძვირფას, პატიოსან თვალს ნიშნავს. ხომ მშვენიერია, ყველაფერი შეეძლო ამ ყმაწვილკაცს. ბედს თუ უბედობას არ დაგიდევდათ. ჯუელს* ეძახდა იმას და ისე ამბობდა, როგორც „ჯეინს“, შინაურულად, ტკბილად. სულ ათი წუთი იყო, რაც იმისას მივედი და პირველად მაშინ გავიგე ამ ქალის სახელი. ჯიმმა კინაღამ ხელი არ მომაგლიჯა, ისე ჩამომართვა, მერე კიბეებზე აირბინა, კართან დადგა, გადმოხურულის ქვეშ და ბიჭივით გახარებულმა დაიძახა: „ჯუელ! ჯუელ! ჩქარა! მეგობარი ჩამომივიდა...“ მერე უცებ იმ ბნელ აივანზე მდგარი მომიბრუნდა და მგზნებარედ ჩამჩურჩულა: „გესმით... ეს... ისე არ გეგონოთ... ვერ გეტყვით, ისეთ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მისადმი... ხოლო, კი გაიგებთ... სწორედ ისე...“ აღელვებული მეჩურჩულებოდა, ვიდრე სახლში თეთრად არ გაკრთა ვიღაც, ჩუმი შეძახილები გაისმა და ბავშვური, მაგრამ ძალამოსილი სახე გამოჩნდა, დახვეწილნაკვთებიანი და დიდად ყურადღებიანი, მე გამომცქეროდა მიბუნდვილი ოთახის სიღრმიდან. ამ ქალის სახელმა კი გამაოცა, რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ მოგვიანებით დავუკავშირე ეს ამბავი ერთ საკვირველ ჰორს, რომელიც მოგ-

* Jewel (ინგლ.). — ძვირფასი ქვა, პატიოსანი თვალი.

ზაურობისას მომითხრეს ერთ პატარა დასახლებაში მდინარე პატუსანიდან 230 მილის დაშორებით, მაშინ შტაინის შხუნით ვმოგზაურობდი. ხოლო, რაღაც საქონლის წამოსაღებად იქ შევიარეთ, ნაპირზე გადასული სახლად დარჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ ამ საზიზღარ ადგილას ერთადერთი საქმეც ერთ აქაური უმნიშვნელო მოხელე იყო. ის იყო ტანდიდი, ჩასუქებული [illegible] მალ-მალე მოხამხამე, ქონიან ტუჩებგადმობრუნებული შერეული [illegible] მაკაცი. ბამბუკის სავარძელზე გადაშოტილი დამხვდა, ამაზრზენად გაეღიღა გულმკერდი, გაოფლილ კინკრიხოზე რაღაც დიდი მწვანე ფოთოლი დაედო, მეორე ასეთივე ფოთოლი ხელში დაეკავებინა და ზანტად ინიავებდა... პატუსანს გაგიწევიათ? ჰო, დიახ. შტაინის სავაჭრო კომპანია. კი იცის. უფლება აქვთ. თუმცა რა მისი საქმეა. ახლა ცუდად არ უნდა იყვნენ იქ. მერე უდარდელად დასძინა. სიტყვა გააბრტყელა: „ვიღაც თეთრი ვიგინდარა ჩამობრძანებულა,გავიგე...ჰო,რაო, რას იტყვით? თქვენი მეგობარია? რას ამბობთ!.. ხოლო, მართალი ყოფილა ეს ამბავი, ის **შარახვეტია** აკლდა იქაურობას... რა უნდა? კი უნახავს გზა იმ გაიძვერას. ჰო? მე კი არ ვიცოდი. პატუსანში... ყელებს სჭრიან ერთმანეთს... თუმცა რა ჩვენი საქმეა“, შეჩერდა და ამოიოხრა. „ფუ! ღმერთო დიდებულო! რა სიცხეა! რა სიცხეა! ხოლო, კი უნდა იმალებოდეს რაღაც ამ ამბავში...“ ცალი გამოცივებული თვალი მოჭუტა (ქუთუთოები სულ უთრთოდა). მეორეთი კი მძვინვარედ მე შემომცქეროდა: „ყური დამიგდეთ, — საიდუმლოდ წარმოთქვა მან, — თუკი... გესმით... გესმით... თუკი იმან, ნამდვილად, რაღაც ძვირფასი ხელთ ჩაიგდო... მწვანე ფერის... მწვანე ფერის, შუშისას კი არ ვგულისხმობ... გესმით?.. მე აქ მთავრობის კაცი ვარ... ხოლო, უთხარით იმ გაიძვერას... ჰა, რაო? თქვენი მეგობარია?.. — ისევ ისე განრთხმულიყო სავარძელში, „თქვენ არ მითხარით, ასეაო; კარგი ქენი, რომ გადმოგიკარით, მგონია, თქვენც არ იტყვით უარს რაღაც-რაღაცებზე, ხომ? ნუ მაწყვეტინებთ. მხოლოდ ეს უთხარით, კი ვიცი ეს ამბავი, მაგრამ ჩვენი მთავრობისთვის არ მომიხსენებია. ჯერ არა. გესმით? რისთვის მოვახსენო? ჰა? უთხარით, ჩემთან ჩამოვიდეს, თუკი ცოცხალს გამოუშვებენ იქიდან. გაფრთხილება მართებს. ჰა? სიტყვას გაძლევთ, არაფერს ვკითხავ. მეც სუ... ხო გესმით? თქვენც... კი უნდა დაგრჩეთ რაღაცა. მცირეოდენი გასამრჯელო შეწუხებისათვის. ნუ მაწყვეტინებთ. მე ამ მთავრობის კაცი ვარ, მაგრამ არ მინდა მოვახსენო. საქმე საქმეა. გესმით? კი ვიცნობ წესიერ ხალხს და კარგადაც გადაუხდიან, კი შემიძლია იმდენი ფული მივცე, იმ ჯეელს ცხოვრებაში არ ექნება ნანახი. ვიცი ვინც ბრძანდება.

ახლა ორივე თვალებდაჭყეტილი მომჩერებოდა. გაოცებული ვიდექი იმის წინ და ვფიქრობდი, გიჟია თუ მთვრალი-მეთქი. გახვითქულიყო, ხვნეშოდა, კვნესოდა, თან ისეთი ამაზრზენი სიმშვიდით იქექებოდა, რომ აღარ შემეძლო იმისი ცქერა და წამოვედი. მეორე დღეს. შემთხვევით, ამ არემიდამოს ერთ-ერთი პატარა რაჯას ხალხს გამოველაპარაკე, თურმე მთელ ამ სანაპიროზე ხმა დადიოდა, იმ საკვირველ პატუსანელ თეთრ კაცს არაჩვეულებრივი ქვა, ენით უთქმელი სილამაზისა და სიდიდის ფასდაუდებელი ზურმუხტი ჩაუგდიაო ხელში. აღმოსავლეთში სწორედ ზურმუხტი ითვლებოდა, როგორც ჩანს, საარაკო ქვად. იმ თეთრი კაცის საკუთრება არისო ახლა ეს განძი, ასე მიამბეს, იმისთვის კი განგებას არაჩვეულებრივი ძალა და მზაკვრობა მიემადლებინა და რომელიღაც შორეული ქვეყნის მთავრობისთვის დაეტყუებინა ეს ქვა, მერე გამოქცეულა, პატუსანში გადმოხვეწილა თავპირისმტვრევით, საშინელი სისას-

ტიკით ხალხი დაუშინებია, ვერა ძალა ვერ აღდგომია წინ. მეტიწილი ამ ამბის მცოდნე ხალხიდან იმ აზრისა იყო, რომ იმ ქვას, როგორც ჩანს, უბედურება მოჰქონდა — სუკადანელი სულთნის სახელგანთქმული [illegible] არ იყოს, ძველად მისი გულისთვის დიდი ომიანობა და შფოთიანობა ჩამოვარდნილა იმ ქვეყანაში. ხოლო, შეიძლება სულაც ის ქვა იყო. თუმცა ვინ [illegible]დაცდა საარაკო, ვეება ზურმუხტის ამბავი სწორედ იმ დროიდან [illegible] ხალხში, როდესაც პირველი თეთრკანიანები გამოჩნდნენ ამ არქიპელაგზე; და იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ამაში, რომ ამ ორმოცი წლის წინათ ჰოლანდიის ხელისუფლებამ საგანგებო კვლევა-ძიებას მიმართა. ეს განძი, — მითხრა იმ საწყალი პატარა რაჯას კარზე მწერლად მომუშავე ერთმა მოხუცმა კაცმა, რომელმაც იმ საკვირველი ჯიმის მითი მიამბო, ისეთი განძია, — მითხრა მან და თავისი ბეჩავი, ნახევრად დაბრმავებული თვალებით მომაჩერდა (მოწიწებით დამჯდარიყო კაიუტის იატაკზე), — ქალის ხელში შეინახებაო უკეთ. მაგრამ ყველა ქალი ვერ იზამს ამას. ის უნდა ახალგაზრდა იყოს, — მან ღრმად ამოიოხრა, — და არ უნდა იწვოდესო სიყვარულის ვნებით. სკეპტიკურად გააქნია თავი, მაგრამ ასეთი ქალი, ეტყობა, არსებობდა ნამდვილად. მაღალ-მაღალ გოგოზე მოეთხროთ იმისთვის, ის თეთრი კაცი ხელის გულზე ატარებს იმ გოგოს და არასოდეს უშვებსო მარტო გარეთ. ასე ამბობენ, თითქმის მთელი დღეები არ შორდება მას. ერთად დადიან, დაუფარავად, რაღაც უცნაურად მკლავგაყრილები, მაგრამ ეს კი უნდა იყოსო ტყუილი, დასძინა მან. რადგან ასე აქ ბევრი ვერ მოიქცევა. მეორე მხრივ, ნამდვილად, იმ თეთრი კაცის განძს თავის მკერდში მალავსო.

## თავი კთ

ასეთი ხმები დადიოდა ჯიმის, აწ უკვე უღელდადგმული კაცის სალამო ხანის სეირნობის შესახებ. ზოგჯერ მეც თან ვახლდი იმასთან ერთად და ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა კორნელიუსის დანახვაზე, ვინც თავისი, კანონიერი მამის უფლებას შეეჭირვებინა და სულ ჩვენს ახლომახლო დაეხეტებოდა ტუჩებმოღრეცილი, თითქოს სადაცაა კბილების ღრჭიალსაც მოჰყვებოდა. თქვენ, ალბათ შეგიმჩნევიათ ტელეგრაფის ბოძებისა და საზღვაო-საფოსტო გზებიდან სამასი მილის იქით ჩვენი ცივილიზაციის უტილიტარული ხრიკები ჰქრება და კვდება და ადგილს უთმობს შეურყვნელი ფანტაზიის ზეობას, რომელიც თავის მხრივ უსარგებლოა, ხშირად კი მომჯადოები, ხოლო ზოგჯერ მასში ჩაჭდეულია ღრმა ჭეშმარიტება ხელოვნების ნაწარმოების მსგავსად. რომანტიკამ თავის ხვანჯებში გაახვია ჯიმი, სწორედ ეს არის გარკვეული წილი სიმართლე, დანარჩენი სუყველა კი სიცრუეა. თავის განძეულობას ის არ მალავდა. მართალი თუ გნებავთ, დიდადაც ამაყობდა იმით.

ახლა კი მახსენდება, კაცმა რომ თქვას, არც ისე ბევრჯერ მინახავს ის გოგო. განსაკუთრებით არ მავიწყდება მისი კრიალა ზეთისფერი სახე, ყორნისფერი თმის ტევრი, რომელიც მხრებზე სცემდა კოხტა თავზე დაკოსებული მეწამულისფერი ქუდიდან. მოძრაობა ლაღი, აუჩქარებელი ჰქონდა, მღელვარების ხანს მუქწითლად შეეფერებოდა მთელი სახე. ჯიმი და მე რომ ვსაუბრობდით, შემოვიდოდა, ერთი შემოგვხედავდა და იმწამსვე გავიდოდა უხმოდ. მიხრა-მოხრით ეს ტანმშვენიერი ქალი, ფიქრიანი კი ჩანდა; საოცრად შერწყმულიყო მასში მოკრძალება და გაბედულება. საამური ღიმილი მალევე შეეცვლებოდა

ჩუმი, დაოკებული მღელვარებით, თითქოსდა რაღაც საშიშროების მოგონება დღენიადაგ უშფოთებდა გულს. ხანდახან იყო და ჩვენთან ჩამოჯდებოდა, პაწაწინა ხელზე ფაფუკ ლოყას ჩამოდებდა და გვისმენდა; ნათელი, [illegible] თვალებით ტუჩებზე გვაცქერდებოდა, და ასე გეგონებოდათ, ყოველი [illegible] რაღაც ხორცშესხმულ საგნად წარმოუდგებოდა მას. დედას იმისთვის წერა-კითხვა უსწავლებია, ჯიმის შემწეობით ინგლისურსაც დაუფლებია და [illegible]ლოდაც ლაპარაკობდა, ჯიმის ბაძავდა, იმისავით მოკლედ და ბიჭური კილოთი გამოთქვამდა სიტყვებს. თვალისჩინი გამხდარიყო მისი ეს ყმაწვილკაცი და კიდევაც დამსგავსებოდა მას სიარულში, ხელის ჩამორთმევაში, თავის მიტრიალებაში, გამოხედვაში. ჯიმისადმი იმისი თაყვანისცემა ისეთი ძალუმი შექმნილიყო, რომ თითქმის ხორცშესხმული ჩანდა; ასე გეგონებოდათ, ამ გრძნობას რაღაც არსებობა მოუპოვებია სივრცეში და სურნელებასავით გარშემოხვევიაო ჯიმს, თითქოსდა მზის სხივებში ჩაწნულიყო მფეთქავი, ძალუმი და ვნებიანი ჰანგები. მგონია, თქვენ ფიქრობთ, ესეც რა რომანტიკოსი ყოფილაო, მაგრამ სცდებით. სრულიად საღი გონებით გადმოგცემთ ჩემს შთაბეჭდილებას, სწორედ მაშინ გადავყრივარ თურმე ჩემს გზაზე სიყმაწვილესა და უცნაურ, შფოთიან რომანს. დიდი გულისყურით მოვეკიდე იმის... შეიძლება ვთქვათ... ბედნიერებას. ეჭვნარევი სიყვარულით უყვარდა ეს ყმაწვილკაცი იმ გოგოს, მაგრამ ამ ეჭვიანობის მიზეზი რა იყო, ვერ გეტყვით. ეს მიწა-წყალი, ეს ხალხი, ეს ტყეები ამ გოგოს თანამზრახველნი შექმნილიყვნენ და გულდაგულ მწყემსავდნენ იმ ყმაწვილკაცს, რაც ამ ამბავს ანიჭებდა სიცხოვლეს, იდუმალებასა და მომხიბვლელობას, ერთი სიტყვით, საშველი არსად იყო, თავის ძალმოსილების ტყვე გახლდათ, ის ქალი კი მზად იყო თავი გაეწირა იმისთვის და ამავე დროს ბეჯითად დარაჯობდა თავის ნადავლს, თითქოსდა ძნელი იყო ამ ახალგაზრდა კაცის შენარჩუნება. ტამბ იტამიც კი, ვინც თავაწეული სულ უკან დასდევდა თავის თეთრ ბატონს, გამძვინვარებული და იანიჩარივით კრისით, ცულითა და შუბით შეიარაღებული (ჯიმის თოფიც თან ჰქონდა), ის ტამბ იტამიც-მეთქი ღებულობდა უწყალო გუშაგის იერს და თუნდაც თავის სიცოცხლეს ანაცვალებდა თავის ტყვეს. საღამოობით, გვიანობამდე რომ ვისხედით, ეს მდუმარე კაცი ლანდივით მდუმარედ დააბიჯებდა წინ და უკან აივნის ქვემოთ, ხან კი გავიხედავდი და უეცრად დავინახავდი ჩრდილში ასვეტილს. ჩვეულებისამებრ რამდენიმე ხანში ასევე უჩუმრად სადღაც გაქრებოდა, მაგრამ წამოვდგებოდით თუ არა, ისევ გვეახლებოდა, თითქოსდა მიწიდან ამოძვრაო, მზად იყო ჯიმის ყოველგვარი ბრძანება შეესრულებინა. ის გოგოც, მგონია, მანამ არ წვებოდა დასაძინებლად, სანამ ჩვენ იქ ვიყავით. ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად დამინახავს, ის და ჯიმი წყნარად გამოვიდოდნენ გარეთ და გადმოეყრდნობოდნენ უხეშად ნაკეთებ მოაჯირს — ერთმანეთს მიახლოებული ორი თეთრი ლანდი; ყმაწვილკაცს ქალისთვის წელზე შემოეხვია ხელი, ის კი თავით მხარზე მიყრდნობოდა. ღამისეულ სიჩუმეში ჩამესმოდა იმათი ჩურჩული, გულდასაწველი, ნაზი და სევდიანი, თითქოსდა ორ ხმაზე ესაუბრებოდა თავის თავს ერთი არსება. მოგვიანებით კი, ქინქლების ასარიდებელი ბადის ქვეშ, ჩემს ლოგინში რომ ვწრიალებდი, მესმოდა მცირე ხმაური, სულთქმა, ჩახველება — და ვიცოდი, ისევ იქ იყო ტამბ იტამი. თუმცა კი (თეთრი ბატონის წყალობით) მას ჰქონდა სახლი, ითხოვა ცოლი, სულ ცოტა ხნის წინ კი მამაც გახდა, მაგრამ, მგონია, ჩემი იქ ყოფნის ხანს ღამე აივანზე წვებოდა დასაძინებლად ყოველი შემთხვევისათვის. ძნელზე ძნელად თუ ათქმევინებდი რამეს ამ ერთგულსა და პირქუშ მცველს. ჯიმიც კი იმისგან ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულ და მოკლე პასუ-

ხებს ლებულობდა, თითქოსდა ასე მიგვანიშნებდა, ჩემი საქმე არ არისო ლაპარაკი, ყველაზე ვრცელი სიტყვა ერთხელ დილით წარმოთქვა. როცა ეზოში მომავალი კორნელიუსისკენ გაიშვირა ხელი, აგერ ნაზარეველი* მეფისო. არა მგონია, მე მომმართავდა ასე, თუმცა კი მის გვერდით ვიდექი. თითქოსდა ეს ჰქონდა მიზნად, აღშფოთებით მიეპყრო სამყაროს ყურადღება ამ კაცისთვის. მერე ჩურჩულს მოჰყვა ძაღლებსა და დამწვრის სუნზე, [illegible]. ეს ვეებერთელა ოთხკუთხედი ეზო სწორედაც იბუგებოდა მზეში, მის ბრდღვიალა ნათელში ბანაობდა, ხოლო კორნელიუსი აქეთ მოიპარებოდა ამ სივრცეში. თითქოსდა რაღაც იდუმალი, საზიზღარი განზრახვით ამაზრზენ ხოჭოს მიუგავდა სიარული, რის ვიივაგლახით რომ მოძრაობს და მოათრევს თავის ტან-ფეხს. მგონია, პირდაპირ იქით მიეშურებოდა. სადაც სუროდა. მაგრამ რაკი ცალი მხარი წინ ჰქონდა გამოწეული, იფიქრებდით, გეზად მიდისო, ხშირად დამინახავს, ნელინელ დაეხეტებოდა ფარდულებს შორის. თითქოსდა კვალში ჩადგომოდა ვიღაცას, ჩაივლიდა აივნის ქვემოთ და მალულად ამოგვხედავდა; აუჩქარებლად შემოუვლიდა რომელიღაც ქოხმახს და გაუჩინარდებოდა. თავისუფლად რომ დადიოდა აქ, ჯიმის სულელურ დაუდევრობასა თუ იმის დიდ სიძულვილს მოწმობდა, რადგან ამ კორნელიუსს ფრიად საეჭვო (მკაცრად თუ არ ვიტყვით) მონაწილეობა მიუღია ერთ ამბავში, რომელიც შეიძლებოდა საბედისწეროდ დასრულებულიყო ამ ყმაწვილკაცისთვის. თუმცა, მართალი თუ გნებავთ, უფრო მეტი სახელი კი მოუხვეჭავს იმის მერე და ბედის დაცინვა თუ იყო, რომ იგი, ვინც ოდესღაც ესოდენ ზრუნავდა სახელზე, ახლა მოჭადოებული ცხოვრებით ცხოვრობდა.

თქვენ უნდა იცოდეთ, ჩამოსვლის მერე სულ მალე დაუტოვებია დორამინის სახლკარი, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ომის დაწყებამდე. მიუტოვებია, რათა საფრთხეში არ ჩაეგდო იგი. მოვალეობის გრძნობას შეეჰირვებინა, შტაინის საქმისთვის ხომ უნდა მიმეხედაო, მითხრა მან, ხომ ასე იყო? ხოდა, სულაც ფეხებზე დაიკიდა საშიშროება, გადმოჰქრა მდინარე და კორნელიუსთან დადგა საცხოვრებლად. ეს უკანასკნელი კი როგორ გადარჩა იმ არეულობაში, ვერ გეტყვით. შეიძლება, რაკი შტაინის წარმომადგენელი გახლდათ, დორამინი მფარველობდა გარკვეულწილად. ასე იყო თუ ისე, მრავალ სასიკვდილო განსაცდელს დაუსხლტა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იმისი საქმენი, მოქცევა და მოხერხება აღბეჭდილი იყო იმ სიბილწით, ყოველთვის რომ ეცხო ამ კაცს. იმის დასახასიათებლად შეიძლება ეს ვთქვათ, შინაგანად ხომ იყო ფლიდი, ხოდა, გარეგნულადაც ეტყობოდა ეს, ისევე როგორც ზოგს სახეზე დაჩნევია დიდბუნებოვნება, სიქველე და სიკეთე, ბუნებით გახლდათ ასეთი და ყოველი იმისი საქციელი, გრძნობა და ვნება ამით იყო შეფერილი, გააფთრდებოდა ბილწურად, მოიწყენდა ბილწურად, იმის თავაზიანობასა და იმის აღშფოთებას სიბილწის ნიშანი ეცხო. დარწმუნებული ვარ, სიყვარული უბილწესი გრძნობათაგანი იყო იმისთვის, თუმცა თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ შეყვარებული საზიზღარი მწერი? ამ კაცის საზიზღარი ხასიათი, მისი სიბილწე იმდენად საშინელი იყო, რომ იმის გვერდით სხვა შემზარავი ადამიანი სიკეთის განსახიერებად წარმოგიდგებოდათ. იმას არც აქვს რაიმე ადგილი ამ მოთხრობაში, არც უკანა ფონზეა და არც წინაზე, სადღაც დაძრწის, იდუმალი და ბინძური, შხამს ანთხევს სიყმაწვილის სურნელებასა და უზაკველობას.

ასეა თუ ისე, იმისი მდგომარეობა ძალზე უბადრუკი იყო, თუმცა შეიძლება

* მუსულმანების მიხედვით, ქრისტიანი.

სწორედ ამაში ნახულობდა თავისთვის სარგებელს, ჯიმმა მიამბო, პირველად კი შემხვდა რაღაც საძაგელი გულითადობით, მეგობრულადო. „ეს ჯეილი თითქოსდა სიხარულით ცას ეწია, — ხიზლით წარმოთქვა ჯიმმა, — ყოველ ძალით შემოვარდებოდა ჩემსას და ორივე ხელს ჩამომართმევდა... ჯანდაბას ჩემი თავი! მაგრამ არც არასდროს ვიცოდი, მექნებოდა თუ არა საუზმე. თუკი ორ დღეში მივიღებდი საკვებს, სიხარულით არ ვიყავი, ის კი ყოველ [illegible]-რიშზე მაწერინებდა ხელს, რომ დაიხარჯა ათი დოლარი. ასე მეუბნებოდა, ბ-ნი შტაინი ტყუილად ხომ არ შეგინახავსო. დიახ, შეიძლება ვთქვათ, სულ მშიერი ვყავდი. წუწუნებდა, ქვეყანა არეულიაო, დაიწყებდა თმის გლეჯასა და დღეში ოცჯერ პატიებას მთხოვდა, ბოლოს შევეხვეწე, ამაზე ნუ წუხხართ-მეთქი. თავბედს ვიწყევლიდი. სახლის ნახევარი სახურავი ჩამოქცეულიყო, ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულიყო, გამხმარი ბალახები ამოჩრილიყო ყველგან და დაგლეჯილ ფარდაგებს გაჰქონდათ ფართხუნი კედლებზე. სულ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბ-ნ შტაინს ამ უკანასკნელი სამი წლის ფული ემართა მისი, მაგრამ დავთრები დახეოდა და ზოგიც დაკარგოდა. ასე გადმომიკრა, ჩემი განსვენებული ცოლის ბრალიაო ყველაფერი. გარეწარი! დაბოლოს ავუკრძალე, შენი განსვენებული ცოლის სახელს ნუღარ ახსენებ-მეთქი. ჯეელს ამაზე ქვითინი უვარდებოდა. ვერა და ვერ გავიგე, საქონელი სად გამქრალიყო, საწყობში მხოლოდ ვირთხები დაშლიგინებდნენ გასახვევი მოყავისფრო ქაღალდების ნაგლეჯებსა და ძველისძველი ტომრების ნახევებში. ყველა მეუბნებოდა, იმას ბევრი ფული აქვსო სადღაც ჩამარხული, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ვერაფერიც ვერ ვათქმევინე. ცუდი დღე დამადგა იმ დაწყევლილ სახლში. კი ვცდილობდი შტაინის საქმეები მომეგვარებინა, მაგრამ სხვაც მქონდა გასაკეთებელი რაღაც-რაღაცები. დორამინს რომ შევაფარე თავი, ის ბებერი ტუნკუ ალანგი შეშინდა და რაც წამართვეს, ყველაფერი დამიბრუნეს. თუმცა ეს სხვისი ხელით გააკეთეს და სრულიად იდუმალ, ერთი ჩინელის მეშვეობით, ვისაც პატარა დუქანი გაეხსნა აქ, მაგრამ ბუგელებისგან რომ წამოვედი და კორნელიუსთან გადმოვედი საცხოვრებლად, აშკარად დაიწყეს ლაპარაკი, ცოტა ხანიც და რაჯა იმას მოაკვლევინებსო. სასიამოვნო ამბავი ვერ იქნებოდა, ხომ? ვერც ვერაფერი შეუშლიდა ხელს, თუკი ამას მართლაც მოინდომებდა. უფრო უარესი კი ის იყო, რომ ვგრძნობდი, ვერც შტაინს წავდგომოდი და ვერც საკუთარ თავს. ჰო! მთელი ექვსი კვირა ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი".

## თავი ვი

თხრობა განაგრძო, არ ვიცი, ეს დღეები რამ გადამატანინაო. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ვხვდებით, რამაც მისცა საამისო ძალა. დიდი თანაგრძნობით მოკიდებოდა უმწეო გოგოს ბედს, ხომ უნდა დაეცვა იმ „გულდედალი, ვერაგი გარეწრისაგან". როგორც ჩანს, კორნელიუსი შავ დღეს აყენებდა ამ გოგოს, ერთი ეს იყო, რომ არ ცემდა, ვერ ბედავდა და იმიტომ, მე მგონია. დღენიადაგ ამას აძაგებდა, მამა დამიძახეო, „და პატივისცემითაც... პატივისცემითაც", დასჭყიოდა და ცხვირწინ უტრიალებდა პატარა, ჩაყვითლებულ მუშტს. „პატივცემული კაცი ვარ მე, შენ კი ვინა ხარ? ერთი მითხარი, შენ ვინა ხარ-მეთქი? შენ გგონია, ვიღაცის შვილს გავზრდი და არ მოვითხოვ, პატივისცემა გმართებს-მეთქი? კიდევაც უნდა გიხაროდეს, თუკი დაგაძახებინებ. აბა მოდი და მითხარი: მამიკოო.... არა? მე შენ გიჩვენებ სეირს". ხოლდა, მოჰყვებოდა იმ მკვდარი ქალის ლანძღვა-გინებას, ვიდრე ის გოგო თავზე ხელს არ იტაცებ-

და და არ გავარდებოდა გარეთ. ის კი გამოენთებოდა, დასდევდა სახლის გარშემო და ფარდულებს შორის, ბოლოს სადმე კუთხე-კუნჭულში მიამწყვდევდა. გოგო მუხლებზე დაეცემოდა და ყურებში თითებს დაიცობდა, კაცი კი ცოტა მოშორებით წინ დაუდგებოდა და ნახევარი საათი მაინც ანთხევდა ბოღმას. „დედაშენი კუდიანი იყო, ტყუილების გუდა... შენც კუდიანი ხარ!" — დასჩხაოდა გაუთავებლივ, მერე მიწას ან ტალახს (ტალახს რა გამოლევდა ამ სახლთან) წამოუსვამდა ხელს და თმაზე დააყრიდა თუ დაასხამდა. ხანდახან კი გოგო ზიზღით აღვსილი, ხმის ამოუღებლად თავად დაუდგებოდა წინ პირქუში და შეუვალი სახით და ერთ-ორ სიტყვას ჩაურთავდა, მაშინ ის კაცი ნესტარნაკრავივით მოჰყვებოდა ხტუნვასა და გრეხას. ჯიმმა მითხრა, საშინელება იყოო. მართლაცდა ეს ამბავი კი უნდა ყოფილიყო უცნაური ამ გადასაკარგავში. გაუთავებელი გამხდარიყო ეს წამება და გამკითხავი არავინ ჩანდა. პატივცემული კორნელიუსი (ინჩი ნეილუსი, როგორც ეძახდნენ მას მალაელები მრავალმნიშვნელოვნად ტუჩების ბერვით) მეტად იმედგაცრუებული კაცი გახლდათ. ვერ გეტყვით, რა სარგებელს გამოელოდა იმ თავისი ქორწინებიდან, მაგრამ კი იყო ცხადი, ხელს არავინ უშლიდა და ისიც ქურდობდა, ფლანგავდა და იტაცებდა შტაინის სავაჭრო კომპანიის საქონელს როგორც კი შეეძლო, და ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე (შტაინი კი კარგად ამარაგებდა აქაურ საწყობებს, სანამ მისი კაპიტნები უარს არ იტყოდნენ აქ ჩამოსვლაზე), და მაინც მისთვის ეს იყო მცირეოდენი საზღაური, რაკი ასე ფიქრობდი, მსხვერპლად თავისი პატიოსანი სახელი მიეტანა. ჯიმი დიდი სიამოვნებით მიბეგვავდა ამ კაცს და კიდევაც მიიყვანდა სიკვდილის პირამდე, მეორე მხრივ, ეს დავიდარაბა ისე გაუსაძლისად ზემოქმედებდა მასზე, უნდოდა სადღაც გადახვეწილიყო, რათა არაფერი არ გაეგონა და გოგოს თავმოყვარეობას გაფრთხილებოდა. გოგო ჯავრით აღარ იყო, ხმას არ იღებდა, სასოწარკვეთილი მკერდზე დაიწყობდა ხელებს და გაქვავდებოდა, ჯიმი კი მივიდოდა მასთან და საბრალოდ ჩაილუღლუღებდა: „ახლა კი... მართალია... მაგრამ იქნებ ცოტა რამე შეჭამოთ", ან შეეძლო სხვანაირადაც გამოეხატა თავისი თანაგრძნობა. კორნელიუსი კი ამ დროს გაიძურწებოდა კარიდან, დაიწყებდა წინ და უკან სიარულს, თევზივით დამუნჯებული, ბოროტად, უნდოდ, მალულად მომზირალი. „ამას ბოლო უნდა მოეღოს, — უთხრა ერთხელ ჯიმმა გოგოს, — ოღონდ ერთი სიტყვა მითხარი", და იცით, იმან რა უპასუხა? იმან თქვა, — ჯიმმა შთამბეჭდავად წარმოთქვა ეს სიტყვები, — დარწმუნებული ვარ ის კაცი დიდად უბედურია, ასე რომ არ იყოს, კი მეყოფოდა გამბედაობა იმის მოსაკლავად, საკუთარი ხელით მოვუღებდიო ბოლოს. „წარმოგიდგენიათ! ეს საბრალო გოგო, თითქმის ბავშვი, იძულებულია ასე ილაპარაკოს!" — შეძრწუნებით წამოიძახა მან. თითქოსდა შეუძლებელი იყო იმისი ხსნა არა მარტო იმ გარეწრისაგან, საკუთარი თავისგანაც კი! ძლიერ ეცოდებოდაო ის გოგო, ამას ვერ ვიტყვი, რაღაც სიბრალულზე მეტი იყო ეს გრძნობა, გარკვეული დარდი და კაეშანი მის ასეთ ბედ-იღბალზე, ასეთ დროს ამ სახლის მიტოვება და ღალატი ერთი იყო იმისთვის. დაბოლოს, იმასაც მიმხვდარიყო, რომ, აზრი აღარ ჰქონდა აქ დარჩენას, ვერ მიაკვლევდა ვერც ანგარიშებს, ვერც ფულს და ვერც სიმართლეს, მაგრამ მაინც არ მიდიოდა, რამაც ისე გააცხელა კორნელიუსი, რომ თუმცა გაგიჟებით არ გაგიჟებულა, ერთგვარი გამბედაობა მაინც შეემატა. ამავე დროს გრძნობდა, საფრთხე იდუმალ ყოველმხრივ შემოჯარვოდა მას. დორამინმა ორჯერ გამოუგზავნა ერთგული კაცი და შემოუთვალა, ველარ გიშველი, თუ ისევ არ გადმოხვალ მდინარეზე და ისევ ბუგილებს არ შეაფარებო თავს ადრინდელივით, სულ სხვადასხვა ხალხი მო-

დიოდა იმასთან, უფრო ხშირად ბნელი ღამით, ვუბნებოდნენ. შეთქმულებასაც გიწყობენ, მოგკლავენო. ზოგი არწმუნებდა, მოგწამლავენო, ზოგი — აფთონში გაგიყრიან დანას, ზოგი კიდევ — მდინარიდან, ნავიდან გესვრიანო. ყოველი მათგანი უმტკიცებდა, შენი კარგი მეგობარი ვარო. ეს საკმარისი იყო, მითხრა მან, ამ დროს ვინ არ დაკარგავდაო მოსვენებას. რაც ესმოდა, [illegible] არ იყო ძნელი აღსასრულებელი, პირიქით. მაგრამ ჭორად გა[illegible]ვდინებელ საფრთხეზე წარმოუდგებოდა, ყოველ ბნელ კუნჭულში ჩამსაფრებიან, გარშემომეხვევიანო. თუნდაც მაგარი ნერვების კაცსაც დაეცემოდა თავზარი, დაბოლოს ერთხელ, ღამით, თავად კორნელიუსმა, დიდად შეშფოთებულმა, იდუმალ, ზარზეიმითა და მლიქვნელურად ერთი გეგმა გააცნო, ასი დოლარით, ოთხმოცითაც, ოთხმოცითაც კი, ის, კორნელიუსი იშოვნიდა ერთგულ კაცს, რომელიც ჯიმს სალსალამათს გადაიყვანდა მდინარეზე. მეტი დაცდა აღარ შეიძლება, თუ ჯიმს რამედ უღირს სიცოცხლე. ოთხმოცი დოლარი რა სახსენებელიაო? რაღაც გროშებია, უმნიშვნელო თანხაა. ამ დროს კი თავად ის, კორნელიუსი აქ უნდა დარჩეს, სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდოს თავი და ასე დაამტკიცოს ერთგულება ბ-ნ შტაინის ყმაწვილი მეგობრისადმი. იმ კაცის მანჭვაგრეხის გაძლება არ გინდოდაო, მითხრა ჯიმმა, თმას იგლეჯდა, მკერდში მუშტებს იბაგუნებდა, ხან კი მუცელზე ხელებს დაიწყობდა და აქეთ-იქით მოჰყვებოდა რწევას, ცოტაც და ცრემლებიც წასკდებოდა თვალებიდან. შენი სისხლი შენს კისერზე იყოსო, დასჭყივლა მან ბოლოს და გარეთ გავარდა. საკითხავია, რამდენად გულწრფელი გახლდათ კორნელიუსი, იქნება ეს თვალთმაქცობა იყო და მეტი არაფერი. ჯიმმა აღიარა, წავიდა ეს ჯეელი და ერთი წამითაც არ მომიხუჭავს თვალიო. ბამბუკის იატაკზე გაშლილ თხელ ლეიბზე იწვა და მაღლა, კავებს უმზერდა, რაღაც შრიალი ესმოდა ფარღალალა ჭერიდან. ვარსკვლავმა ჩამოიჭვრიტა უეცრად რომელიღაც ხვრელიდან. გარშემო ჯარავდა ფიქრები და სწორედ იმ ღამეს მოუვიდა თავში აზრად შერიფ ალის დამარცხების გეგმა. ბევრჯერ უფიქრია ამის შესახებ, როდესაც წამით სულს მოითქვამდა და შტაინის აბურდულ საქმეებში კირკიტს თავს დაანებებდა, მაგრამ ახლაღა ჩახვდა — როგორც მითხრა მან — თავის საქნელ-გასაკეთებელს. ცხადად იხილა იმ მთის წვეროზე ატანილი ზარბაზნები. წამონთებული და აგზნებული იწვა, რაღა დააძინებდა. წამოვარდა და ფეხშიშველი აივანზე გავიდა. ჩუმად სიარულს მოჰყვა და იმ გოგოს წააწყდა, გარინდებული მიყრდნობოდა კედელს, თითქოსდა ვიღაცას დასდარაჯებოდაო. სულაც არ გაკვირვებია მისი აქ ყოფნა, ისეთ გუნება-განწყობილებაზე ყოფილა მაშინ, არც შფოთიანი ჩურჩულით წარმოთქმულმა შეკითხვამ გაოცა, სად უნდა იყოსო კორნელიუსი. უბრალოდ უპასუხა, აბა რა ვიციო. გოგომ წამოიკვნესა და კამპონგში შეიჭვრიტა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჯიმი ისე იყო ატაცებული ამ ახალი იდეით, რომ თავი ვეღარ შეიკავა და სუყველაფერი მოუთხრო გოგოს. იმან მოუსმინა, მცირეოდნავ ხელი ხელს შემოჰკრა და ჩურჩულითვე აშცნო თავისი აღტაცება, მაგრამ დამფრთხალი იდგა მთელი ეს ხანი. როგორც ჩანს, მისი მესაიდუმლე შექმნილიყო ეს გოგო და თავის მხრივ ნამდვილად ბევრ და რიგიან რჩევა-დარიგებასაც აძლევდა პატუსანის საქმეებზე. მრავალჯერაც უთქვამს ჩემთვის, ცუდად არც არაფერი ურჩევიაო იმას. ხოდა, დაწვრილებით რომ უხსნიდა ამ თავის გეგმას, უცებ გოგომ ხელი მოუჭირა მკლავზე და გაქრა. საიდანღაც კორნელიუსი გამოტყვრა და ჯიმი რომ დაინახა, თითქოსდა თოფი ჰკრესო, წაბარბაცდა, შემდეგ კი იმ ბინდში გაირინდა. მერე შიშნაჭამი კატასავით ფრთხილად გადმოდგა ნაბიჯი, ვიღაც მეთევზეებმა ჩამოიარესო აქ... თევზით,

აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან, თევზს ჰყიდდნენო... გესმით... ღამის ორი საათი სწორედ კარგი დრო უნდა ყოფილიყო თევზის გასაყიდად!

ჯიმს თითქოსდა არც გაეგონოს ეს ნათქვამი, არც კი დაფიქრებულა. სხვაგან ჰქროდა იმისი გონება, ესლა ამოთქვა გულისგარეთ: „ჰოო!“ იქვე მდგარი დოქიდან წყალი მოსვა და მიატოვა ის ჭკუაარეული კორნელიუსი, ვინც აივნის ჭიებით შეჭმულ მოაჯირს მიყრდნობოდა, თითქოსდა სა[illegible]ცებოდა. ჯიმი კი უკან დაბრუნდა, იმ თავის ლეიბზე დაწვა და ფიქრებს მიეცა. ჩუმი ფეხის ხმა გაიგონა მალე, მერე ყველაფერი მიჩუმდა და მთრთოლვარე ჩურჩული მოესმა კედლის მიღმიდან, გძინავთო? არა, რა იყოო? ცოცხლად მიუგო მან და გაიგონა, უცებ მოსწყდა კედელს ის, ვინც შიშნეული ჩურჩულით მოსდგომოდა, ისევ გამეფდა მდუმარება, ბრაზით წამოენთო ჯიმი, გარეთ გავარდა და დაინახა, კორნელიუსი გაიქცა და კიბეს რომ მიატანა, შემბალ სახელურს ჩაეჭიდა, გაოცებულ-შეშფოთებულმა ჯიმმა გასძახა, რა ჯანდაბა გინდაო, თუ მიხვდით იმას, რაც მე გითხარითო? გამოსძახა კორნელიუსმა, ცხროიანივით ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს, არაო! მრისხანედ დაუყვირა ჯიმმა, მეტი დარდი არა მაქვსო, მინდა და კიდევაც ვიცხოვრებო პატუსანში. „შენ აქ მ-მ-ოკვდები“, — მიუგო კორნელიუსმა, ისე ცახცახებდა, ხმაც წართმეოდა, ყველაფერი ეს სულელური და აღმაშფოთებელიც ჩანდა და ჯიმმა არ იცოდა, გაეცინა თუ გაბრაზებულიყო. „ჯერ შენ განახავ გაცამტვერებულს და მერე“, — დაუყვირა იმან რისხვით, თუმცა სიდაცაა გაეცინებოდა კიდევაც, ნახევრად ხუმრობით (თავისი ფიქრებითაც იყო აგზნებული) გაჰყვიროდა, — აბა ერთი ვინმემ თითი დამაკაროსო! აჩრდილივით მოჩანდა კორნელიუსი მოშორებით და როგორღაც თავისი უბედურების, ტანჯვა-ვაებისა და გასაჭირის განსახიერებად წარმოუდგა, გზაზე გახირული, თავი ველარ მოთოკა, იმ დღეებში დაწყდომამდე ჰქონდა ნერვები, ხოდა, კიდევაც მრავალი სახელით შეამკო ის კაცი, შე არამზადავ, ტყუილების გუდავ, საცოდავო გარეწაროო. მართლაც, ვერ მოქცეულა ჩვეულებისამებრ, თავადაც აღიარა, ველარ მოვზომე, ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავიო; დავუყვირე, თუნდაც მთელი პატუსანი დამიდგეს-მეთქი! ხოდა, მისდგა და მისდგა, მოჰყვა ლანძღვასა და მუქარას. კი იყო ჩემი ყვირილი ზარდამცემი და სასაცილოცო, თქვა მან. ყურის ბიბილოები წამოუწითლდა ამის გახსენებაზე. ჭკუა დაეკარგა და ის იყო... იმის გვერდით მჯდომარე გოგომ თავი დამიკრა სასწრაფოდ და ცოტათი დაღვრემილმა ბავშვური ზარზეიმით მითხრა, მე ყველაფერი მესმოდაო. ჯიმმა გაიცინა და გაწითლდა. დაბოლოს, თქვა მან, რამაც მე გამაჩერა, სიჩუმე იყოო, სრული, სამარისებური სიჩუმე; ის კაცი, ვისაც ბუნდად ვხედავდი სიბნელეში, მოაჯირს გადაკიდებოდა შემაძრწუნებლად გარინდებულიო. ჯიმი გონს მოვიდა და ყვირილს თავი დაანება, დიდად გაოცებულა ამ თავისი საქციელით. რამდენიმე ხანს აყურადებდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა. თითქოსდა იმ კაცს სული ამოხდომოდა ამ ჩემს ღრიალშიო, თქვა მან, სირცხვილით დაიწვა, ხმა აღარ ამოუღია, ისე შევარდა ოთახში და ისევ დაეგდო. თითქოსდა წასდგომოდა კიდევაც ეს გაავთრება, რადგან იმ ღამეს ბავშვივით მაგრად ეძინა. მთელი კვირები ასე არ სძინებიაო. მაგრამ მე არ დამიძინიაო, ჩაურთო გოგომ, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს ხელზე ლოყა ჩამოედო, ვდარაჯობდიო. ბრდღვიალი მოიღეს იმისმა დიდრონმა თვალებმა, ჩუმად და დაძაბულად შემომცქეროდა.

# თავი 31

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დიდი გულისყურით ვუსმენდი [illegible] ამ დეტალს ოცდაოთხი საათის შემდეგ შეუძენია რაღაც მნიშვნელობა. [illegible] კორნელიუსს არც კი უხსენებია იმღამინდელი შემთხვევა. მგონია, კი [illegible]-დებითო ამ ჩემს მინგრეულ სახლში, პირქუშად ჩაიჩურჩულა მან, [illegible] წუთას გამოჩენილიყო, როდესაც ჯიმი კანოეში ჯდებოდა, დორამინის კამპონგში უნდა წასულიყო. ჯიმმა თავი დაუქნია, არც კი შეუხედავს მისთვის. თქვენ ეს ამბავი გართობთო, ისევ ჩაიჩურჩულა გაჯავრებულმა კორნელიუსმა. ჯიმმა მთელი ის ღამე მოხუც ნაკოდასთან დაჰყო, სათათბიროდ მოსულ ბუგელთა დასახლების მამასახლისებს მოუწოდებდა გადამწყვეტი მოქმედებისაკენ. სიამოვნებით იხსენებდა თავის მჭევრმეტყველურ და მტკიცე სიტყვას. სწორედ მაშინ ჩავუნერგე მე იმათ გაბედულება და არც შევმცდარვარ, თქვა მან. შერიფ ალის უკანასკნელი თავდასხმის დროს დასახლების შემოგარენი გაუჩანაგებია და რამდენიმე აქაური ქალი წაუყვანია ტყვედ იმ თავის ბანაკში. ამ თათბირის წინადღეს კი შერიფ ალის კაცები უნახავთ ბაზრის მოედანზე, მედიდურად გახვეულნი თავიანთ მოსასხამებში იკვეხნიდნენ, ჩვენი ბატონის მეგობარი არისო რაჯა. იმათთაგან ერთი კი ხეების ჩრდილში დამდგარიყო და თავის გრძელ თოფის ლულაზე დაყრდნობილი გაიძახოდა, ილოცეთ და მოინანიეთო, მსმენელებს ურჩევდა, უცხოელები დახოცეთო, რადგან ზოგი, ასე ამბობდა იგი, ურწმუნოა, ზოგი უფრო უარესიც, მუსულმანობას შეფარებული სატანას შვილებიაო. ისიც გახდა ცნობილი, რაჯას ხალხიდან რამდენიმემ ხმამაღლა დაუჭირაო მხარი. თავზარი დასცემოდა უბრალო ხალხს, ჯიმი კი ფრიად ნასიამოვნები დარჩა იმ დღეს და მზის ჩასვლამდე ისევ გადმოჭრა მდინარე.

მან შეძლო ბუგელების დარწმუნება, შეტევა უნდა დაიწყოთო, თავის თავზე იღებდა მთელ პასუხისმგებლობას; ხოდა, ამ წარმატებას აღუფრთოვანებია და გულში ნათელი ჩასდგომია, ამიტომაც შეეცადა თავაზიანი ყოფილიყო კორნელიუსთან. ამის პასუხად კი კორნელიუსმა თითქოს სიხარულით ჭკუა დაკარგა და, როგორც ჯიმმა მითხრა, გულის ამრევი გახდა იმისი ყალბი წრიპინი და ჩაცინება, მანჭვა-გრეხა და თვალების ჭუტვა. დაბოლოს, უეცრად ნიკაპზე იტაცა ხელი, სახე მაგიდასთან მიიტანა და შეშლილი თვალებით მიაჩერდა. ის გოგო აღარ გამოჩენილა და ჯიმიც მალე დაწვა. როდესაც წამოდგა და ძილი ნებისა უსურვა კორნელიუსს, იგი წამოვარდა, სკამი გადააბრუნა და დაიხარა, თითქოს რაღაცას ეძებდა მაგიდის ქვეშ. ხრინწიანი ხმით ამოთქვა იქიდან, ძილი ნებისაო. ჯიმი გაოცებული შეჰყურებდა კორნელიუსს, მალე ის წამოდგა, შეშინებული, სულელურად თვალებგადმოკარკლული, მაგიდის კიდეს წაეპოტინა. რა დაგემართათ? ცუდად ხომ არა ხართო? ჰკითხა ჯიმმა. დიახ, დიახ, დიახ, საშინელი მუცლის გვრემა მჭირსო, მიუგო იმან, და ჯიმის აზრით ეს სრული სიმართლე იყო. ხოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც გულში ჩაედო ამ კაცს, უნდა ვიფიქროთ დამალვა ვერ შეძლო და ასე უგვანოდ გამოამჟღავნა თავი.

ასეა თუ ისე, თვლემამორეულ ჯიმს თითქოსდა ძილში ჩაესმა საყვირის გულშემზარავი ხმა, გაიღვიძე! გაიღვიძეო! და იმდენად ძლიერი იყო ეს ძახილი, რომ თუმცა ძილად იყო მიგდებული, მაინც გაიღვიძა. მეწამული ნათელი შერთვოდა ჰაერს და თვალს უბრმავებდა. ხვეული, სქელი და შავი კვამლი გარშემობურვოდა ღეთრად შემოსილი არამიწიერი არსების თავს, იმის მკაცრ,

გადაფითრებულ სახეს. ორიოდე წამის შემდეგ ის გოგო იცნო. ზეაწეულ ხელში ეპყრა ჩირაღდანი და დაჟინებით, გაუთავებელი ერთფეროვნებით იმეორებდა, ადექი! ადექი! ადექიო!

უეცრად წამოვარდა და იმავე წამს იმან რევოლვერი მიაჩერა ხელში. მისი საკუთარი რევოლვერი, ლურსმანზე რომ ეკიდა, ამჯერად დ[illegible]ხმის ამოუღებლად სტაცა ხელი, ჩირაღდნის შუქზე ჰუტავდა და ახამხამ[illegible]ებს. გაოცებული იყო, რა მოუვიდაო.

გოგომ უთხრა სწრაფად და ჩურჩულით, თუ შეძლებ ამით ოთხ კაცს გაუმკლავდეო? სიცილით მიყვებოდა ამ ამბავს, როდესაც იხსენებდა თავის თავაზიან მზადყოფნას. და როგორც ჩანს, კარგადაც გამოუხატავს. რასაკვირველია... რა თქმა უნდა... რასაკვირველია... მიბრძანეთო. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამოღვიძებული, მაგრამ დიდი გულისხმიერება გამოუჩენია, სიტყვის უთქმელად მომართულიყო იმის საშველად. გოგო ოთახიდან გავიდა და ისიც მიჰყვა, შეშფოთება დაეტყო გასასვლელში ბებერ დედაკაცს, ვინც მზარეულად ჰყავდათ, თუმცა კი იმდენად დაჩაჩანაკებულიყო, რომ ძლივსღა ესმოდა ადამიანის საუბარი. წამოდგა და თრევა თრევით გამოჰყვა იმათ, რაღაცას ჩიფჩიფებდა უკბილო პირით. აივანზე ჯიმი იდაყვით მცირეოდნავ წამოედო საიალქნე ტილოს ჰამაკს, ცარიელს — კორნელიუსისა იყო.

პატუსანის ფილიალი, შტაინის სავაჭრო კომპანიის ყველა ასეთი ფილიალის მსგავსად, თავდაპირველად ოთხი ნაგებობისგან შედგებოდა. ამათგან ორი იყო სარების, დალეწილი ბამბუკების და შემპალი ლერწმების გროვა, კუთხის ბოძები აქეთ-იქით გადაქცეულიყო საცოდავად. შტაინის წარმომადგენლის სახლის პირდაპირ მდებარე საწყობი კი დღემდის დაუზიანებელი იდგა. ეს იყო გრძელი ქოხი, თიხისა და ტალახისგან აგებული, ერთ ბოლოში ჰქონდა მკვიდრი, ფართო ფიცრული კარი, ჯერ კიდევ ანჯამებზე დამაგრებული, გვერდითა კედელში ოთხკუთხა ხვრელი დაეტანებინათ. ხის სამ რიკულიან სარკმლის მაგვარი რაღაც. სანამ კიბეზე ჩავიდოდა, გოგომ უკან მოიხედა და სწრაფად უთხრა, ძილის დროს უნდა დაგსხმოდნენო თავს. ჯიმმა მიამბო, სახტად დავრჩიო ამ სიტყვებზე. ძველი ამბავი იყო ეს. გული გაწყალებოდა ამ გაუთავებელი გაფრთხილებით, ახლა კი მოგკლავენო. ყელში ამოს[illegible]ოდა უკვე ამდენი შიშიანობა. მოსმენაც კი აღარ შეეძლო. ასე მითხრა, კიდევაც გავბრაზდიო გოგოზე, რად მომატყუა-მეთქი. იმიტომ გამოჰყვა, ასე [illegible]ონა, ამ გოგოს მისი დახმარება სჭირდებოდა და ახლა ისე იყო ნაწყენი, კინაღამ უკანვე დაბრუნდა. „იცით თქვენ, — ჩაფიქრებით მამცნო მან, — მგონია, მთელი ის კვირეები ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი." თქვენს ჭკუაზე როგორ იქნებოდით-მეთქი შევუგდე მე.

მაგრამ ის გოგო აღარ შეჩერებულა და ისიც ჩაჰყოლია ეზოში. მთელი ღობე უკვე კარგა ხნის ჩამოქცეული იყო; მეზობელთა კამეჩები დასეირნობდნენ აქ ყოველ დილით ხვნეშა-ხვნეშით, აუჩქარებლად; სადაცაა ჯუნგლი შემოიჭრებოდა ამ არემიდამოში. ბალახის ტევრში შედგნენ ჯიმი და ის გოგო. განუჭვრეტელ წყვდიადში მოქცეულიყო სინათლის ის წრე, რომელშიაც ისინი იდგნენ და იმათ ზემოთ ვარსკვლავებს გაჰქონდათ ბრდღვიალი. ასე მითხრა მან, დიდებული ღამე იყო, ციოდა, მდინარიდან ნიავი მოჰქროდაო. როგორც ჩანს, იმას შეემჩნია ბუნების შვების მომგვრელი სილამაზე. უნდა გახსოვდეთ, სასიყვარულო ამბავს გიყვებით ახლა მე. საამურად ფშვინავდა ეს სასიყვარულო ღამე. ხანდახან ალამივით ატკაცუნდებოდა ჩირაღდნის ალი და ერთხანს მხოლოდ ეს ხმა ისმოდა. „თარ[illegible]ლში გელოდებიან, — ჩაიჩურ-

ჩულა გოგომ, — ნიშანსლა ელოდებიან“. ნიშანი კი ვინლა უნდა მისცესო, ჰკითხა მან. გოგომ ჩირაღდანი გააქნია, განათდა, იწვიმეს ნაპერწკლებმა. „შენ კი ისე მოუსვენრად გეძინა, — განაგრძო იმან ჩურჩულით, — მე გდარაჯობდი მძინარეს“. შენო! შეჰყვირა ყმაწვილკაცმა და ირგვლივ მიმოიხედა. შენ გგონია მხოლოდ ამ ღამით გდარაჯობდიო, უთხრა გოგომ რაღაც სევდანარევი სასოწარკვეთილებით.

ასე მითხრა, თითქოსდა მკერდზე დამკრესო, ოხვრა აღმოხდა. რა პირუტყვი ვყოფილვარო, გაიფიქრა მან, და სინანულმა მოიცვა. გული აუჩუყდა, აღფრთოვანებული და ბედნიერი იყო ახლა. ნება მიბოძეთ, კვლავ შეგახსენოთ, რომ ეს სასიყვარულო ამბავია. რაღაც სულელური მდგომარეობა შეიქმნა, თუმცა ეს სულელური მდგომარეობა გულს არ გირევდათ. მგზნებარების ნიშნით აღბეჭდილიყო ეს სულელური მდგომარეობა ჩირაღდნის შუქზე, თითქოსდა აქ მოსულებს ერთი მიზანიღა ჰქონდათ, დამალული მკვლელებით გარშემორტყმულებს ერთმანეთისთვის გული გადაეშალათ. შერიფ ალის მოგზავნილებს — როგორც შენიშნა ჯიმმა — ვაჟკაცობის არა ეცხოთ რა, თორემ ამაზე უკეთეს დროს ვერც ნახავდნენ თავდასხმისათვის. გული უფრთხიალებდა — შიშით კი არა — რაღაც შრიალი მოესმა ბალახიდან და სწრაფად გადაჰრა ის განათებული წრე. რაღაც ბნელი, მოუხელთებელი გასხლტა და ჩაიჩუმქრა. ხმამაღლა დაიძახა: კორნელიუს! კორნელიუსო! მდუმარება გამეფდა, ოც ფუტზეც აღარ ისმოდა იმისი ხმა. გოგო ისევ მიუახლოვდა. გაიქეციო! ასე უთხრა, ის ბერიქალი სულ ახლოს მისულიყო მათთან, იმისმა მორღვეულმა სხეულმა პატარ-პატარა ნახტომებით მოატანა სინათლის კიდეს; იმისი ბურტყუნი, კვნესანარევი ხვნეშა გაიგონეს. „გაიქეცი! — შფოთიანად გაუმეორა გოგომ, — ამ შუქმა და ხმებმა დააფრთხო ისინი. იმათ იციან, ახლა ღვიძავს... იციან, რომ ხარ ტანბრგე, ძლიერი, უშიშო...“ ხოდა, თუ ასეთი ვარ... — დაიწყო ჯიმმა, მაგრამ გოგომ მაშინვე შეაწყვეტინა. „დიახ, ამაღამ შეშინდნენ, მაგრამ ხვალ ღამით კი როგორღა იქნება; შემდეგი ღამით? კიდევ ღამით... და კიდევ მრავალი, მრავალი შემდეგი ღამით? შევძლებ კი ყოველთვის თვალთვალს?“ — ქვითინი აუვარდა გოგოს, სიტყვა ველარ დაძრა ყმაწვილკაცმა.

ჯიმმა მითხ..., ასე დამცრობილად, ასე უილაჯოდ არც არასდროს მიგრძნიაო თავი. სიმა...ცეს რაღას ვაქნევო? ფიქრობდა იგი. სრული უიმედობა დაეუფლებოდა, გაქცევაც კი აღარ შეეძლო, და თუმცა გოგო გაუთავებლივ ჩასჩურჩულებდა ცხროიანივით აკანკალებული, დორამინთან წადი, დორამინთან წადიო, მიხვდა, რომ ვერსად გაექცეოდა მარტოსულობას, რომელიც უასკეცებდა ყოველგვარ საფრთხეს, მიხვდა, რომ მხოლოდ ეს გოგო იყო მისი ხსნა. ასე მეგონა, მითხრა ჯიმმა, დავცილდებოდი თუ არა ამ გოგოს, ყველაფერი ღასრულდებოდაო. ხოდა, სულ ასე ხომ არ იქნებოდნენ ამ შუაგულ ეზოში, ასე გაიფიქრა, ავდგები და იმ ფარდულში შევალო. ის გოგოც გაჰყვა, ჯიმს არც დაუშლია მისთვის, თითქოსდა უკვე შეუმუსრავი ძაფებით იყვნენ შეკავშირებულნი. მე უშიშარი ვარო... ხომ? კბილებში გამოსცრა მან. გოგომ მკლავზე წაავლო ხელი, აქ დამიცადე, სანამ არ დაგიძახებო, უთხრა და ჩირაღდნით ხელში ფარდულის კუთხეს მიაშურა. ის კი მარტოდ დარჩა ამ სიბნელეში, კარისკენ იყურებოდა, ჩქამიც არ ისმოდა იქიდან. მხოლოდ ის ბერიქალი მოიკვნესოდა სადღაც, იმის უკან. მერე კი გაიგონა გოგოს შეკივლება, მიდი, ხელი ჰკარიო! რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარს ეცა და შეგლიჯა, დიდად

გაოცებულმა დაინახა დაბალი, გვირაბის დარი სამყოფლო, განათებული მოციამციმე, ზაფრანისფერი სინათლით. კვამლის ბოლქვები მოიხვეოდა და შუა იატაკზე დადგმულ ხის ყუთზე ეშვებოდა, თითქოს სადაცაა წამოიშლებოდა ზედ დაფენილი რაღაც ჭინჭები და თივა, მაგრამ მხოლოდ შარიშური [illegible] ორპირ ქარში. გოგოს ჩირაღდნიანი ხელი სარკმლის გისოსებში [illegible] ყმაწვილკაცმა დაინახა მოტიტვლებული მკლავი და [illegible], რომელიც რკინისებურად ჩასჭიდებოდა ჩირაღდანს და აქეთ [illegible] მორეულ კუთხეში თითქმის ჭერამდე ეყარა ძველი ჭილოფების გროვა. ეს იყო და ეს.

ჯიმმა ამიხსნა, მწარედ იმედგაცრუებული დავრჩიო. იმისი კაჟკაცობა ხომ მრავალგზის გამოიცადა გაფრთხილებით, იმ რამდენიმე კვირაში იმდენჯერ გადაუკრეს სიტყვა საშიშროებაზე, რომ ახლა გულისფანცქალით მოელოდა რეალობასთან, რაღაც ხელმოსაჭიდთან შეყრას. „იქნებ ერთი-ორი საათით მაინც მეგრძნო შვება, — მითხრა მან, — ღმერთმანი! ეს რამდენიმე დღე საკირე მენთო გულში", ბოლოს იფიქრა, ახლა კი გადავაწყდიო განსაცდელს, მაგრამ ნურას უკაცრავად! არც ალი, არც კვალი. წელან კარი რომ გაიღო, კი ზეალმართა იარაღი, მაგრამ ახლა დაუშვა. „ესროლე! თავი დაიცავი!" — სასოწარკვეთილი ხმით დაუყვირა გოგომ გარედან. ბნელში მდგარს მთელ სიგრძეზე გაეწვდინა მკლავი იმ ხვრელში და ვერ ხედავდა, რა ხდებოდა შიგნით, ვერც იმას ბედავდა, რომ ჩირაღდანი გაეწია და ფარდულისთვის შემოევლო, აქ არავინააო ზიზღით დაიგრგვინა ჯიმმა და ის იყო ბოროტად უნდა ახარხარებულიყო, რომ შეჩერდა, რადგან ვიღაცის მზერა იგრძნო იმ ჭილოფების ზემოდან. თვალის თეთრონის გაკვესებაც შეუნიშნავს იმავე წამს. „გამოდი!" — მძვინვარედ დაიღრიალა მან, თუმც ჯერ მთლად არ იყო დარწმუნებული რა ხდებოდა. ხოლო, მუქსახიანი თავი, თავი უსხეულო, გამოჩნდა იმ გროვაში, თავი უცნაურად წარმოჩენილი, თვალმოუცილებლივ მისკენ ქუშად მაცქერალი, წამიც და ის გორა შეინძრა, იქიდან კაცი გადმოეშვა ღრენა-ღრენით, ჯიმს უნდა სცემოდა. იმის უკან ის ჭილოფების გროვა ამოიბურცა და დაიშალა. კაცმა იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და მის თავს ზემოთ გაიელვა მჯილში მოქცეულმა ხანჯალმა. ბრინჯაოსფერ ტანზე ქათქათა თეთრად გამოჩნდა თეძოებზე მკვიდრად შემოჭერილი ნაჭერი, ნამიანივით უბრიალებდა შიშველი სხეული.

ჯიმმა ყველაფერი ეს შენიშნა, ასე მიამბო, ენით უთქმელი შვება დამეუფლა, შურისძიების ალტაცება ვიგრძენიო. განგებ დააყოვნა სროლა, წამის მეათედით, სანამ ის კაცი სამ ნაბიჯს გადმოადგამდა, მაგრამ უსასრულოდ გაგრძელებულა ეს დრო. არ ჩქარობდა, რადგან სიამოვნებდა ეთქვა თავისთვის, ეს კაცი მკვდარიაო, ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში. მოახლოების ნება მისცა, რადგან ამას უკვე არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა. მკვდარი იყო ის კაცი, ხედავდა მის გამობერილ ნესტოებს, გადმოკარკლულ თვალებს, მოღრეცილ სახეს, ხოლო, გაისროლა.

გრგვინვა-გრიალით გაისმა სროლის ხმა იმ დახშულ სივრცეში, უკან გადადგა ნაბიჯი. დაინახა, ზეაღმართა იმ კაცმა თავი, ხელები გამოიწვდინა და ხანჯალი დაუვარდა, მერე კი დარწმუნდა, სწორედ პირში მოუხვედრებია, ცოტა ზევით წასულა ტყვია და მომაღლოდ გაუნგრევია თავის ქალა, მისკენ გამოქანებული კაცი ისევ შეტორტმანდა, უეცრად სახე დაეღრიჯა, ხელებით ჰაერს წაეპოტინა და პირქვე დაეცა, სწორედ ჯიმის შიშველ ფეხებთან

მოადინა ზღართანი. ჯიმმა მითხრა, ერთი წვრილმანიც არ გამომპარვიაო. მშვიდი ყოფილა და აუმღვრეველი, არც მრისხანება, არც შეჩქვიფება არ უგრძვნია, თითქოსდა ყველაფერი გამოისყიდა ამ კაცის სიკვდილმა. ცამცამი შეწყვიტა, მეწამულისფრად შეიკრა ჩირაღდნის ალი და კუპრისფერი კვამლით გაივსო ფარდული. ჯიმმა მტკიცედ გადააბიჯა გვამს და რევოლვერი ხმაზე, თითქმის ტიტლიკანა კაცს მიუშვირა, რომელიც ბუნდად გამოჩნდა ფარდულის მეორე ბოლოში. ის იყო ჩახმახისთვის უნდა გამოეკრა, რომ იმან მთელი ძალით მოისროლა მოკლე, მძიმე შუბი და მორჩილად ჩაცუცქდა, კედელს ზურგით მიეყრდნო და შეტყუპებული ხელები მუხლებშუა მოიქცია. სიცოცხლი თუ გინდაო, უთხრა ჯიმმა. იმას ხმა არ ამოუღია. რამდენი ხართო? კიდევ ორნიო, ტუან, ჩურჩულით მიუგო კაცმა, მონუსხულივით უმზერდა რევოლვერის ლულას გაფართოებული თვალებით. მართლაც, კიდევ ორნი გამოძვრნენ იმ ჰილოფების ქვემოდან, აღარაფერი ჰქონდათ გამოწვდილ ხელებში.

## თავი 32

ჯიმი მოხერხებულ ადგილას დადგა და სუყველანი გარეთ გამორეკა, მთელი ეს ხანი იმ პაწაწინა ხელს ზეაღმართული ეჭირა ჩირაღდანი. ხმის ამოუღებლად დაემორჩილნენ ის სამნი, მომართულებივით მოაბიჯებდნენ. მერე კი ჩაამწკრივა ისინი. ერთმანეთს ჩაეჭიდეთო! ასე უბრძანა. ასეც ჰქნეს. ვინც პირველი ხელს გაუშვებს ან თავს მოატრიალებს, იმ წამსვე მოკვდება, თქვა მან. ახლა კი გასწითო! წამოვიდნენ დაძაბულად, ისიც გამოჰყვა, იმის გვერდით კი ის გოგო იყო, თეთრ სამოსელში, წელამდე სცემდა ყორნისფერი თმა, ჩირაღდანი მოჰქონდა. ტანაშოლტილი და მოქნილი თითქოსდა მოსხლტოდა მიწაზე, მხოლოდ აბრეშუმისებრი შარიშური ისმოდა მაღალი ბალახისა. შესდექითო! დაიყვირა ჯიმმა.

ციცაბო იყო მდინარის სანაპირო, სუსხმა მოატანა, სინათლე დასცემოდა მუქად აპრიალებული შეურყვნელი წყლის კიდეს. მარჯვნივ და მარცხნივ სახლების ჩრდილები გამოჩნდა მკვეთრად წარმოჩენილი სახურავებითურთ. „ჩემი სალამი მიართვით შერიფ ალის, სანამ თავად არ მოვალ“, უთხრა იმათ ჯიმმა. არც ერთის თავი არ შეტოკებულა. გადახტითო! — დაუღრიალა იმან. სამი დგაფუნი ერთ დგაფუნად შეირწყა, შხეფები წამოიშალა, შავად მიირწეოდა იმათი თავები და გაუჩინარდნენ, ერთხანს მკაფიოდ მოისმოდა ჩქაფუნი და ხვნეშა, ყვინთვა-ყვინთვით მიცურავდნენ, რადგან დიდი შიში ჰქონდათ უკანასკნელი გასროლისა. ჯიმი მიუბრუნდა გოგოს, უხმოდ და ყურადღებით მაცქერალს. თითქოსდა სადღაცაა ამოუვარდებოდა გული საგულედან, ყელში რაღაც მოაწვა. შეიძლება სწორედ ამიტომაც ვერ ამოიღო ხმა კარგა ხანს. გოგომაც შემოხედა, მერე მდინარეში მოისროლა ანთებული ჩირაღდანი, ცეცხლოვანმა ზოლმა მკვეთრად გასერა ღამე, დაივსო და დაინთქა ავი შიშინით, ზეცაზე ისევ მშვიდად და ნაზად ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

ჯიმს ჩემთვის არ უთქვამს, რა უთხრა იმ გოგოს, როდესაც ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა. არა მგონია, ძალიან მჭევრმეტყველი ყოფილიყო. დაწყნარებულიყო ბუნება, ღამის ფშვინვალა ესმოდათ, ერთი იმ ღამეთაგანი იყო, რომელიც სინაზის თავშესაფარი ხდება, სწორედ ასეთ წამს ჩვენი სულები

მოიხსნიან ბნელ საბურველს და დიდებულად მგრძნობიარენი შეიქმნებიან; იმ დროს სიჩუმე უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე საუბარი, ასე მიამბო იმ გოგოზე: „ცოტათი შეშინებული კი იყო, უკვალოდ არ ჩაუვლია იმ ... ძრელვარებას, გესმით. ხოდა თავისი დაემართა, საშინლად დაღლილი დაქანცული იყო... ხოდა... ხოდა... ეშმაკმა დალახვროს... შევუყვარდი, თქვენც ხედავთ ... არ ვიცოდი, რაღა თქმა უნდა... აზრადაც არ მომსვლია..."

წამოდგა და აღელვებული წინ და უკან მოჰყვა სიარულს. „მეც... ძალიან მიყვარს. ვერც კი გამომითქვამს. რაღა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. სულ სხვა თვალით შეხედავთ საკუთარ საქციელს, როცა კი მიხვდებით, რომ თქვენი არსებობა აუცილებელია... გესმით, სრულიად აუცილებელია... სხვა ადამიანისთვის. საოცარია. ერთი იფიქრეთ, რა იყო მისი სიცოცხლე: საშინელება და მეტი არაფერი! ხომ ასეა? და მე აქ ვნახე ეს გოგო... თითქოსდა სასეირნოდ წახვალთ და უეცრად გადააწყდებით ვიღაცას — უდაბურსა და ბნელ ადგილას წყალში იხრჩობა. ღმერთმანი! დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. დიახ, მართალიც მჯერა, კი უნდა ვიყო ამისი ღირსი..."

უნდა გითხრათ, რომ გოგო წასულიყო და ჩვენ მარტონი ვიყავით. ... მკერდზე ხელი დაიკრა: დიახ, ვგრძნობ და მჯერა, კი უნდა ვიყო ღირსი ამ ბედნიერების! ამ უნარით იყო დაჯილდოებული — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველაფერს, რაც მას გადახდენოდა თავს. სწორედ ასე უყურებდა თავის სიყვარულს, იდილიურს, მცირეოდნავ საზეიმოსა და ჭეშმარიტს, რადგან იმისი რწმენა სიყმაწვილის შეურყვნელი ცეცხლით იყო განათებული. ცოტა ხნის მერე, კიდევ ერთხელ შეხვედრის ხანს მითხრა: „უკვე ორი წელია რაც აქ ვარ და ახლა, გეფიცებით, ვერც კი წარმომიდგენია, თუკი შეიძლება სადმე სხვაგან ცხოვრება. გარესამყაროს შესახებ გაფიქრებაც კი მზარავს, რადგან, გესმით, — განაგრძო მან, თან თავის ფეხის წვერს დასცქეროდა, რომლითაც გამხმარ ტალახს ჩიჩქნიდა (მდინარის სანაპიროზე ვიყავით მაშინ,) — რადგანაც არ დამვიწყებია, რატომაც ვარ აქ მოსული, არა-მეთქი!"

ვცდილობდი არ შემეხედა მისთვის, მგონია, ოხვრა გავიგონე მისი, ხმა აღარ ამოგვიღია რამდენიმე ხანს. „გულწრფელად გითხრათ, — დაიწყო მან კვლავ, — თუკი შეიძლება ასეთი ამბის დავიწყება. მგონია, მოვახერხებ და აღარც ვიფიქრებ. ჰკითხეთ ყოველ კაცს აქ... — ხმა შეეცვალა.—კი არის უცნაური, — ჩუმად, ნაღვლიანად განაგრძო მან, — რომ ყველანი, აქაური ხალხი, აქაური ხალხი-მეთქი, ვინც ჩემთვის სულსა და გულს არ დაიშურებს, ვერასდროს ვერაფერსაც ვერ მიხვდება, არა? ვერასდროს-მეთქი, თუ ჩემი არ გჯერათ, მე იმათ ვერ მოვუხმობ. ძნელია ამაზე რატომღაც ფიქრი. ხომ სულელი ვარ? კიდევ რაღა უნდა მინდოდეს? თუკი იმათ ჰკითხავთ, ვინ არის მამაცი, ვინ არის მართალი კაცი, ვის არის სამართლიანი, ვის ანდობთ თქვენს სიცოცხლეს, ისინი გეტყვიან, ტუან ჯიმსო. და ისინი ვერც ვერასდროს გაიგებენ ჭაშმარიტებას, ჭეშმარიტებას..."

სწორედ ასე მითხრა მან ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის ხანს. მთელი გულისყურით ვუსმენდი, ვგრძნობდი, უფრო მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ მცირეოდნავაც ვერ მისწვდენოდა სათქმელის ძირისძირს. მზის მცხუნვარება მიწა დაეშაშრა, დაუდგრომელ მტვრად ექცია და ახლა ტყის მიღმა ეშვებოდა: ოპალისფრად შეიფერა ზეცა, თითქოს გარშემოვლებოდა შუქჩრდილებისაგან დაცლილ ქვეყნიერებას და მიენიჭებინა აუმღვრეველი და სევდის მომგვრელი დიდებულება. ყურს რომ ვუგდებდი იმას, ჩემდაუნებურად ცხად-

ლივ ვხედავდი, თანდათანობით მუქდებოდა მდინარე, ჰაერი, ჯიქურ მოეშურებოდა ღამე და სიჩუმეში ახვევდა არემიდამოს, უჩინარს ხდიდა პირს მიწისას, სულ უფრო და უფრო ღრმად ნთქავდა ბუნებას, თითქოს გაუთავებლივ [illegible]-დით შეუმჩნეველ, შავფერ მტვერს.

— ღმერთმანი, — მოულოდნელად წარმოთქვა მან, — არის [illegible]-დესაც კაცი შეიძლება ვერ იყოს თავის ჭკუაზე; მაგრამ ისიც [illegible]-თან დასამალი არც არაფერი მაქვს. მე გითხარით, მორჩა, გათავდა-მეთქი... ის დაწყევლილი ამბავი აღარ მაწუხებს... უკვე ვივიწყებ... დამიჯერეთ! გულმშვიდად ვფიქრობ ამაზე. ბოლოს და ბოლოს რას გავხდი? არაფერს. მგონნია, თქვენ ასე არ ფიქრობთ და...

მართალი არა ხართ-მეთქი, ჩავიჩურჩულე.

— არა უშავს, — თქვა მან, — მე კმაყოფილი ვარ... თითქმის. პირველივე შემხვედრს უნდა შევხედო სახეში, ეს მინდა. მეტი არაფერი, რათა რწმენა დავიბრუნო. თუმცა ისინი ვერც მიხვდებიან ჩემი სულის მოძრაობას. ხომ ასეა? ყური დამიგდეთ! ცუდი არ უნდა იყოს, რაც მე შევძელი.

ცუდი არ უნდა იყოს-მეთქი, დავუდასტურე.

და მაინც, არ ისურვებდით თქვენს საკუთარ ხომალდზე გეხილეთ, ხომ ასეაო?

ჯანდაბას! დავუყვირე მე, გეყოფათ-მეთქი.

— ოჰო! ხომ ხედავთ, — მომაძახა იმან აუღელვებლად. — მიდით და ერთი სცადეთ, ვინმე აქაურს უთხარით ეს ამბავი. იტყვიან, ეს ვინ სულელი და მატყუარა მოთრეულაო, შეიძლება უარესიც თქვან, იმიტომაც ვძლებ აქ. რაღაც-რაღაცები კი გავუკეთე იმათ, მაგრამ მე იმათ უფრო მეტი გამიკეთეს.

ჩემო კარგო, შევძახე მე, თქვენ ყოველთვის გამოუცნობი დარჩებით-მეთქი იმათთვის. ცოტა ხანს ვიყუჩეთ.

გამოუცნობიო, გაიმეორა მან, თვალებდახრილი იდგა, ხოლო, სამუდამოდ უნდა დავრჩე აქ.

მზე თვალს მიეფარა, თითქოს წყვდიადით ავსებდა აქაურობას ნიავის ყოველი გაფრთხილება, ლობეს გაყოლებული ბილიკის შუაგულში მოჩანდა უძრავად მდგარი, ხმელ-ხმელი, დადარაჯებული ლანდი ტამბ იტამისა, ცილფეხა გეგონებოდათ ის. ბინდში ჩაფლულ სივრცეში რაღაც თეთრი შევნიშნე, წინ და უკან მოძრავი, საყუდარს შეყენებული ბოძების უკან, საღამოს შემოვლაზე გაეშურა ჯიმი, ტამბ იტამი კი უკან გაჰყვა. მარტო წავედი სახლისკენ, უცებ იმ გოგომ გადამიჭრა გზა, ეტყობა, კარგა ხანს მელოდებოდა.

მიჭირს თქმა, ზუსტად რისი გაგება უნდოდა ჩემგან. როგორც ჩანს, სულ უბრალო რამ მოსურვებოდა, სულ უბრალო, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი ამქვეყნად, ასე, მაგალითად, შეუძლებელია ზედმიწევნით აღწერა ღრუბლის მოხაზულობისა. იმას უნდოდა ჩემი დასტური, მტკიცება, დაპირება ახსნა — ზუსტად ვერ გეტყვით, რა, სახელს ვერ ვარქმევ. ჩამობნელებულიყო იმ საყუდრის ქვეშ და ლანდადღა ვხედავდი იმას, იმის სამოსელს, იმის ბაისფერ ოვალურ სახეს, მოელვარე კბილებს; ჩემკენ მობრუნდა და შემომანათა თავისი დიდრონი შავ-შავი თვალები, სადაც თითქოს რაღაცა კრთოდა უძირო ჭაში ათრთოლებული წყალივით. რა უნდა იყოსო იქ, ჰკითხავდით საკუთარ თავს: ბრმა ურჩხული თუ ლაციცი სამყაროსეული არილისა? ამ აზრმა გამიელვა თავში — ნუ იცინით — ვერ არის ზუსტი შედარება, მაგრამ იმისი ბავშვური გულუბრყვილობა უფრო მეტ იდუმალებას ანიჭებდა მას, ვიდრე სფინ-

ქსის ბავშვური გამოცანები, რომლებსაც გამვლელებს ეუბნებოდა. ჯერ კიდევ თვალის ახელამდე ჩაუყვანიათ ეს გოგო პატუსანში. აქ გაიზარდა, არც არაფერი უნახავს, არც არაფერი სცოდნია, არც არავითარი აზრი [illegible] რამეზე. ვეკითხები ჩემს თავს, იმისთვის თუ არსებობდა რამე ამ [illegible]მოს იქით. რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ამ გარესამყაროზე, [illegible] მხოლოდ ორი ადამიანით შემოიფარგლებოდა ამ მხრივ იმის[illegible] მოტყუებული ქალი იყო, მეორე კი კაცი, გულბოროტი ტაკიმასხარა. ხოლო სწორედ იქიდან მოსულიყო იმისი მიჯნურიც, დიდად მომხიბლავი. მაგრამ რა მოუვიდოდა თვითონ, იმ უცხო მხარეში რომ დაბრუნებულიყო ჯიმი. ის სამყარო ხომ სულ მუდამ უკან უხმობს თავის შვილებს. სწორედ ამის გამო აფრთხილებდა დედა სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე...

მაგრამ მტაცა იმ გოგომ ხელი და როგორც კი შევჩერდი, იმწუთსავე მომაცილა, გაბედული იყო და მორცხვიც. შიში არაფრის ჰქონდა, მაგრამ გულს უღრღნიდა საშინელი ეჭვები და გაურკვევლობა — გულმამაცი ადამიანი ასე მიიკვლევს გზას სიბნელეში. მეც ხომ იმ უცხო სამყაროს ვეკუთვნოდი და ყოველ წუთს შემეძლო ჯიმის წაყვანა. მე ვიყავი, შეიძლება ასე ვთქვათ, ნაზიარები იმ სამყაროს იდუმალებასა და იმის ჩანაფიქრს, გახლდით ხორცშესხმული წარმომადგენელი საიდუმლო მხარისა, და იქნებ კიდევაც აღჭურვილი იმისი უფლებამოსილებით! მგონია, ის გოგო ფიქრობდა, ჩემი ერთი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, რომ ჯიმი დასხლტომოდა იმის მკლავებს. დიახაც, დარწმუნებული ვარ, ჩემი და ჯიმის ხანგრძლივი საუბრის ხანს საშინელი წინათგრძნობა სტანჯავდა. ამ ნამდვილად გაუსაძლისი წვა-ღაგვისას შეიძლება ჩემი მოკვლაც კი გაივლო გულში, მაგრამ იმისი აბობოქრებული სული ვერ შეგუებოდა მისივე შექმნილ შემაძრწუნებელ სურათს. სწორედ ასეთია აქ ჩემი შთაბეჭდილება, მეტს ვერაფერს გეტყვით. თანდათანობით გავაცნობიერე ეს ამბავი, სულ უფრო და უფრო ნათელი შეიქმნა ყოველივე და გავვერცდი, თავზარი დამეცა. მელაპარაკებოდა ის გოგო და მე მჯეროდა მისი, მაგრამ სიტყვები არ მყოფნის, რომ გადმოგცეთ, რას ვგრძნობდი იმისი ჩქარი და მღელვარე ჩურჩულის, ნაზი, ვნებით ათრთოლებული ხმის გაგონებისას. ხან უეცრად სუნთქვა შეეკვროდა და მუდარით გამოიწვდიდა თეთრ მკლავებს, ბოლოს დაბლა რომ ჩამოუვარდა; ცახცახი მოერია იმის ჰაეროვან სხეულს ვითარცა ტანწვრილ ხეს ქარში, ძირს დახარა ფერმკრთალი ოვალური სახე და ველარ ვარჩევდი იმის ნაკვთებსა და სევდიან უძირო თვალებს; ფრთებივით გაშლილიყო ამ სიბნელეში იმისი ვეებერთელა სახელოები. მდუმარედ იდგა თავზე ხელებშემოჭდობილი.

## თავი 33

საშინლად მეტკინა გული, იმ გოგოს სინორჩემ, გულუბრყვილობამ, მშვენიერებამ, ველური ყვავილის მომხიბვლელობამ და ნაზმა ძალამოსილებამ, გულის ამაჩუყებელმა ვედრებამ, უსუსურებამ ისევე იმოქმედა ჩემზე, როგორც იმისმა ჩუმმა და ბუნებრივმა შიშმა. სწორედ ჩვენსავით ჰქონდა შეუცნობლის შიში, იმისი გულუბრყვილობა ძალზე აფართოვებდა ამ შეუცნობლის საზღვრებს. მე ვიყავი განსახიერება შეუცნობლისაც, საკუთარი თავისაც, ადამიანებისაც, მთელ იმ სამყაროსიც, სადაც სულაც არ ადარდებდათ ჯიმი და არც სჭირდებოდათ იგი. მინდოდა კიდევაც მეთქვა იმისთვის, თუნდაც დავე-

ფიცებ, გულქვაობა აზასიათებს იმ დიდ ქვეყანას-მეთქი. მაგრამ ესეც გამახსენდა, ჯიმიც ხომ არის პირმშო იმ იდუმალებით მოცული შეუცნობლისა, რომელმაც შვა ამ გოგოს შიში და მე, თუმცა კი ვიყავი აქ ჩამოსული, ვერც ვერაფერს ვაიძულებდი იმ ყმაწვილკაცს. ამ ფიქრმა მერყეობა დამიყენა. უიმედო და საწყალობელი ჩურჩული აღმომხდა. ვიუარე, ჯიმის წასაყვანად არ მოვსულვარ-მეთქი.

ბიბლიოთეკა

მაშ რისთვის ვიყავი ჩამოსული? გოგო შეირხა და ისევ გაირინდა, მარმარილოს ქანდაკება გეგონებოდათ ამ ღამეში. შევეცადე მოკლედ ამეხსნა: მეგობრობა, საქმეები-მეთქი; თუკი მაქვს რამე სურვილი, მხოლოდ ეს, რომ აქ დარჩეს-მეთქი... ისინი ყოველთვის გვტოვებენო, ჩაიჩურჩულა გოგომ. კვნესა აღმოხდა, თითქოსდა ეს მწარე სიბრძნე ამოეთქვას იმ სამარეს, რომელსაც მოწიწებით ამკობდა ყვავილებით... ვერაფერი, მე ვუთხარი, ვერ დაგაცილებთ ჯიმს-მეთქი.

ახლა მტკიცედ ვარ დარწმუნებული, მაშინაც ასე ვიყავი დარწმუნებული, მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა გარემოებათა კვალობაზე. ამიტომ ჩემს რწმენას ვეღარაფერი შემატა იმ გოგოს სიტყვებმა. თითქოსდა თავისთვის ჩაიჩურჩულა: შემომფიცაო მან. თქვენ სთხოვეთ-მეთქი, შევეკითხე მე.

მომიახლოვდა, არა, არასდროსო! გოგომ მხოლოდ ის სთხოვა, გამეცალეო. სწორედ მდინარის პირას, იმ ღამით მომხდარა ეს ამბავი, როდესაც ჯიმმ კაცი მოკლა — იმის მერე, რაც გოგომ ჩირაღდანი მოისროლა წყალში და ყმაწვილკაცი მას შესცქეროდა. სინათლე ბევრი იყო და მართალია საფრთხეს თავი დააღწიეს... მაგრამ სულ ცოტა ხნით... სულ ცოტა ხნით. ჯიმმ უთხრა, კორნელიუსის ანაბარად ვერ დაგაგდებო. მაინც თავისას ამბობდა გოგო, დაიჟინა, უნდა წახვიდეო. მან უპასუხა ,არ შემიძლია..· შეუძლებელიაო. კანკალებდა, ამას რომ ეუბნებოდა, გოგოსაც გადასდებოდა ეს კანკალი... დიდი წარმოსახვის უნარი არ სჭირდებოდა ამ სურათის წარმოდგენას — ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ. გოგოს ბიჭის დარდიც ჰქონდა. მგონია, გოგო ამ ყმაწვილკაცში მსხვერპლს ხედავდა, რადგან, თვითონ იმაზე უკეთ იყო მიხვედრილი საშიშროებას. თუმცა კი ყმაწვილკაცს მხოლოდ იქ ყოფნით მოენადირებინა იმისი გული, იმისი ფიქრის საგანი გამხდარიყო და სულით და გულით მას მიელტვოდა, გოგოს ვერ წარმოედგინა, თუ იგი შეძლებდა რამე წარმატების მოპოვებას. ცხადია, მაშინ ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის შეძლებდა რამეს. მართლაცდა, რა შეეძლო. მე ვიცი, სწორედ ასეთი იყო კორნელიუსის აზრი. კიდევაც აღიარა ეს ჩემთან, რაკი ცდილობდა როგორმე თავი დაეძვრინა — შერიფ ალის შეთქმულებაში ურწმუნოს მოსაცილებლად მასაც ხომ მიუძღვოდა წვლილი. შერიფ ალის, როგორც ეს ახლა ნათელია, ზიზღი ჰქონდა ამ თეთრი კაცისადმი და მეტი არაფერი. ჯიმის მკვლელობას რელიგიური საფუძველი უნდა ჰქონოდა ძირითადად, მე მგონია. ჩვეულებრივ ასეთი იყო მათი ღვთისმოსაობა (და პატივსაცემიც გარკვეულწილად), თავიდათავი ეს უნდა ყოფილიყო. კორნელიუსიც ამ აზრისა გახლდათ. „მოწყალეო სერ, — ქედდადრეკილი მეუბნებოდა ის მაშინ, ჩემთან საუბრის სხვა შემთხვევა მას არც ჰქონია, — მოწყალეო სერ, მე რა ვიცოდი, რა ვიცოდი, ვინ იყო ის? როგორ შეძლო, რომ ხალხმა დაუჯერა? ან ბ-ნი შტაინი რას ფიქრობდა, ამ ბიჭს რომ აგზავნიდა სალაპარაკოდ თავის ძველ მსახურთან? მზად ვიყავი ოთხმოც დოლარად გადამერჩინა იგი, მხოლოდ ოთხმოც დოლარად, ხოლა, ეს

სულელი რაღატომ არ გაგვეცალა? დანაზე ხომ არ წამოვეხეოდი ამ უცხოელის გულისთვის?“ ასე მოჰყოლოდა ჩემ წინ მანჭვა-გრეხას, ფიანდაზად მეგებოდა და ხელებს იშვერდა, თითქოსდა სადაცაა მუხლებზე უნდა მომხვეოდა, ოთხმოცი დოლარი რას მიქვიანო? ეს რა ფულია, მეტს არც მოვთხოვდიო მე, მოხუცი კაცი, ვისაც ცხოვრება გამიმწარა იმ ქალმა, იმ ეშმაკის კერძმა, სანამ მოკვდებოდაო. და ატირდა. თუმცა მე სიტყვა მისწრებს, ჯერ ხომ იმ გოგოს გამოველაპარაკე და მერედა შევხვდი კორნელიუსს.

სულაც არ ფიქრობდა თავის თავზე, როდესაც ეაჯებოდა ჯიმს, დამტოვეანდა სულაც წადიო აქედან. საშიშროება ელოდა ამ ყმაწვილკაცს და მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, თუმცა შესაძლოა საკუთარი თავის გადარჩენასაც ესწრაფოდა ქვეშეცნეულად; ხომ გახსოვთ, როგორ აფრთხილებდა დედა, მისი ახლახან დასრულებული ცხოვრებიდანაც მრავალი გაკვეთილი მიეღო, ცხოვრებიდან, რომელსაც დასტრიალებდა გოგოს ფიქრი, ხოდა, ფეხებში ჩაუვარდა იმ ყმაწვილკაცს — სწორედ ასე მითხრა — იქ, მდინარესთან. ვარსკვლავების ჩუმი ნათება მოვლებოდა ამ არემიდამოს და გამოეჩინა მდუმარე ჩრდილები, გაშლილი სივრცეები და მთრთოლვარე ზედაპირი მდინარისა, რომელიც ზღვასავით ფართო ჩანდა. მან გოგო ხელში აიყვანა და ისიც გაყუჩდა. მძლავრი ხელები, საამური ხმა, ვეება მხრები, თავისი საბრალო უთვისტომო პატარა თავით რომ შეეძლო მიყრდნობოდა, სწორედ ეს სჭირდებოდა, დიდად სჭირდებოდა დარდიან გულს, შფოთსავსე ფიქრებს — დაუდგრომელ სიყმაწვილეს ამ გარკვეულ წამს. რაო, რა გნებავთ? ყველაფერი გასაგებია... გასაგებია იმისთვის, ვინც ტვინდახშული არ ცხოვრობს ამ მზისქვეშეთში. ხოდა, გოგო კმაყოფილი იყო, ხელში რომ აიყვანა და გააჩერა. „თქვენ იცით... ღმერთმანი! სრულ სიმართლეს გეუბნებით, გასართობად კი არ მინდა ეს გოგო!“ — აკანკალებული მეჩურჩულებოდა ჯიმი თავისი სახლის ზღურბლზე მდგარი. არ ვიცი, რა გითხრათ, მაგრამ ერთი კი ცხადია, საძრახი არც არაფერი იყო ამ რომანში; თავიანთი ცხოვრების ძნელბედობის ხანს ერთად შეიყარნენ რაინდი და ასული და ერთმანეთს შეფიცეს სიყვარული აჩრდილებით დასახლებულ ნანგრევებში. ვარსკვლავები დასციმციმებდნენ თავს, იმათ შორეულ და უღონო ნათებას ვერ გარდაესახა ჩრდილები სახეებად და ვერ წარმოეჩინა მდინარის მეორე ნაპირი. მეც სწორედ აქედან ვუსმენდი იმის სრბოლას იმ ღამეს; ჩუმი იყო და შავი ვითარცა სტიქსი, მეორე დღეს წამოვედი და სულ მახსოვდა, როგორ ცდილობდა ის გოგო იმ ბიჭის გადარჩენას, როგორ ევედრებოდა, წადი, სანამ ჯერ კიდევ დროაო. თავად გოგომ მომითხრო წყნარად, გულმშვიდად, თეთრ ლანდად გარინდებულმა, ასე მითხრა, ტირილით არ მინდოდა მოვმკვდარიყავიო, მეგონა, მომეყურა-მეთქი.

ტირილით არ გინდოდათ მომკვდარიყავით-მეთქი? გავიმეორე მე. დედაჩემივითო, მაშინვე ამიხსნა მან. არც კი შერხეულა ის თეთრი ლანდი, დედაჩემმა ბევრი იტირაო სიკვდილის წინ, დასძინა მან. თითქოსდა გასაოცარი სიმშვიდე ამოზიდულიყო მიწის წიაღიდან, გარშემოგვხვეოდა შეუმჩნეველი ღამისეული ნაკადივით და წაეშალა ნაცნობი გრძნობების სამანი, თითქოსდა ფეხქვეშ, შუაგულ წყალში მდგომარეს ნიადაგი გამომცლოდა, და უეცრად საშინელება, განუჭვრეტელი სიღრმის საშინელება ვიგრძენი. გოგო ახსნა-განმარტებას მოჰყვა, დედასთან ყოფნისას, სწორედ იმ უკანასკნელ წუთებში, როდესაც იმასთან სულ მარტოდ დარჩენილიყო, იძულებული გახდა სარეცელს

მოსცილებოდა და კარს მიყრდნობოდა ზურგით, რათა კორნელიუსი არ შემოეშვა. ის კი არ ჩერდებოდა, მუშტებს ურტყამდა კარს და ხანდახან იძახდა ხრინწიანი ხმით, შემომიშვი! შემომიშვით! ოთახის შორეულ კუთხეში დაგებულ ჰილოფზე იწვა მომაკვდავი ქალი, უკვე ენა წართმეოდა და ხელის წამოწევაც აღარ შეეძლო, მან თავი უკან გადასწია და მკლავებ შეფრხიალე ფართ-ქოსდა ანიშნებდა, არა! არაო! ხოდა, ამისი შემხედვარე ქალიშვილს ჯერ კიდევ ძალი და ღონე ჰქონდა, მისწოლოდა კარს. „ცრემლები გადმოსცვივდა და... მოკვდა კიდევაც“, მშვიდად დასძინა გოგომ და არც იმისმა თეთრად გარინდებულმა სხეულმა, არც სიტყვებმა ისე არ მომიკლა გული, როგორც იმისმა ხმამ; თვალწინ დამიდგა ენით უთქმელი შემზარაობა ამ სურათისა. ამან შემუსრა ჩემი ოდინდელი შეხედულება არსებობაზე, დამატოვებინა თავშესაფარი, რომელშიაც შეიყუჟება ხოლმე ადამიანი რამე განსაცდელის ჟამს, ვითარცა კუ თავის ჯავშანში. ნგრევა-უბედურების ვრცელ საუფლოდ წარმომიდგა წამით მთელი ქვეყნიერება, როდესაც იგი, მართალი თუ გნებავთ, ჩვენი დაუღლელი შრომისა და რუდუნების წყალობით არის მცირეოდენ სიამეთა მომნიჭებელი ისეთი მზიური ადგილსამყოფელი, როგორის წარმოდგენაც კი ძალუძს ადამიანის გონებას. მაგრამ — ეს იყო წამიერი სისუსტე — მაშინვე ჩავძვერი ჩემს ჯავშანში. ასე უნდა — გესმით? თუმცა კი ასეთი ფიქრების ქაოსში დანთქმულმა და მცირეოდენი ხნით თავგზააბნეულმა, მგონია, ლაპარაკის უნარი დავკარგე. მაგრამ კი დამიბრუნდა სულ მალე, რადგან ეს უნარი გვაზიარებს სინათლესა და წესრიგს და გვშველის კიდევაც. თუმცა სანამ რამეს ვიტყოდი, იმან ნაზად ჩაიჩურჩულა: „შემომფიცა, არც არასდროს მიგატოვებო, მაშინ ჩვენ მარტონი ვიდექით იქ! შემომფიცა!..“ — „და თქვენ.. .თქვენა გგონიათ, რომ ის მართალს არ გეუბნებოდათ?“ საყვედურით ჩავეკითხე გულწრფელად აღშფოთებული. რად არ სჯეროდა იმ გოგოს? რატომ ჩასჭიდებოდა ამ თავის უნდობლობას, რატომ ეპოტინებოდა ამ თავის შიშს, თითქოსდა ეს უნდობლობა და შიში მისი სიყვარულის დარაჯები შექმნილიყვნენ. საშინელება იყო. კი სჯობდა ამ წმინდა გრძნობისაგან შეექმნა თავისი მშვიდობიანი და შეუვალი თავშესაფარი, თუმცა არ იცოდა როგორ და რა ხერხით. მალე დაღამდა, სულ ჩამობნელდა იქ, სადაც ჩვენ ვიდექით; ის გოგო არც განძრეულა, ისე გაუჩინარდა სევდით შეპყრობილი, ვით უხორცო. და უცებ ისევ გავიგონე იმისი წყნარი ჩურჩული, სხვებსაც შეუფიცავთო; თქვა იმ თავისი სევდიანი ფიქრებისა და შეძრწუნების დასტურად. შემდეგ უფრო ჩუმად დასძინა, მამაჩემივითო. ერთხანს იყუჩა, სული მოითქვა: კიდევ, იმ ქალის მამასავითო... თურმე რა სცოდნია! მაშინვე მივუგე, ოხ! ის ყმაწვილკაცი ასეთი არ არის-მეთქი. მგონია, იმას არ უნდოდა შემკამათებოდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე იმისი სიზმარეული ჩურჩული მომწვდა ყურამდე: ის სხვანაირია, უკეთესიაო? ის... „ჩემს პატიოსან სიტყვას ენდეთ, — შევაწყვეტინე მე, — დიახაც უკეთესია“. ორივემ იდუმალ დავუწიეთ ხმას. ჯიმის მუშების ქოხმახებთან (შერიფის ციხესიმაგრიდან განთავისუფლებული მონები იყვნენ ისინი მეტწილად) ვიღაცამ გამყინავი, გაუთავებელი სიმღერა წამოიწყო, მდინარის იქით კოცონი აინთო, დიდი (დორამინისა უნდა ყოფილიყო), ბურთივით მომრგვალებული და ყოველმხრივ გარშემოზღუდული წკვარამი ღამით. „ის უფრო ერთგულია?“ ჩაიჩურჩულა გოგომ. დიახ-მეთქი, მე მივუგე. „სხვებზე უფრო ერთგულია?“ გაიმეორა მან სიტყვების დამარცვლით. „აქ არც არავინაა, —

მე ვუთხარი, — ვინც დაეჭვდებოდა მის სიტყვაში... ვერც ვერავინ გაბედავდა... თქვენ გარდა.“

მგონია, ახლა კი შეირხა, სხვებზე მამაციც არისო, განაგრძო მან შეცვლილი ხმით. შიში ვერც ვერასდროს ვერ მოგაცილებთ იმ ყმაწვილკაცს-მეთქი, ვთქვი მე ცოტათი შეშფოთებულმა. იმ მომღერალმა ბოლოში [illegible] და გაისრულა, მერე ხმები მოისმა შორიდან. მათ შორის [illegible] მდუმარებამ გამოლცა. „თქვენ იმან რა გითხრათ? თუ გითხრათ იმან თქვენ რამე?“ — შევეკითხე მე. გოგომ არ მიპასუხა. თუ გითხრათ-მეთქი რამე? აღარ ვეშვებოდი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მე ამის თქმა შემიძლია? ვიცი კი რამე? მესმის კი რამე? — შეჰყვირა იმან ბოლოს. შრიალი გაისმა. მგონია, ხელებს ასავსავებდა, — არის რაღაც, რისი დავიწყებაც არ შეუძლია.

— მით უკეთესი თქვენთვის. — პირქუშად დავსძინე მე.

— რა არის? რა უნდა იყოს-მეთქი? — ხვეწნა-ვედრებით მეკითხებოდა. — იმან მითხრა, შიშმა დამჯაბნაო. როგორ დავიჯერო! გიჟი უნდა ვიყო,| ეს რომ დავიჯერო. თქვენ სულ რაღაცას იხსენებთ! თქვენ სულ რაღაცაზე ფიქრობთ. რა უნდა იყოს? ის რაღაც მითხარით! რა არის? ცოცხალია თუ მკვდარი? მე მძულს ის. რა ულმობელია, თუ აქვს იმას სახე და ხმა... რა უბედურებაა? თუ ხედავს ჯიმი იმას... თუ ესმის მისი ხმა? ალბათ სიზმარში ელანდება, როცა კი მე ვერ მხედავს... მაშინ ადგეს და წავიდეს. ჰოი! ვერც ვერასდროს ვაპატიებ მას. დედაჩემს კი შეეძლო პატიება... მაგრამ მე, ვერასოდეს! რაიმე ნიშანს ელის... უხმობენ?

საოცარი განცდები ჰქონდა იმ გოგოს, იმ ყმაწვილკაცის სიზმრებსაც კი არ ენდობოდა და ასე ეგონა, მე შევძლებდი ამის ახსნას! სწორედ ასე, საბრალო მოკვდავი, მონუსხული ერთი აჩრდილისაგან, ცდილობს გაათქმევინოს მეორე აჩრდილს გულშემზარავი საიდუმლოება იმ აჯა-ვედრებისა, რომელიც იმ სხვა სამყაროდან შეჰღაღადებს ამ ქვეყნის ენებებში დანთქმულ გაშეშლებულ სულს. თითქოსდა მიწა მეცლებოდა ფეხქვეშ, და ეს ყველაფერი ისე მარტივი ჩანდა; მაგრამ თუკი სულები, გამოხმობილი ჩვენი შიშითა და მღელვარებით, ერთმანეთს ერთგულებას შეჰფიცავენ ჩვენ წინ — გონდაბნეული ჯადოქრების წინ, —მაშინ მე, მე-მეთქი, ერთადერთ კაცს თქვენ შორის, ხორცშესხმულო ადამიანებო, ასეთი გამოცანის წინაშე უიმედობა დამრევს ხელს და კანკალი მომეკიდება. რაღაც ნიშანი, რაღაც ძახილი! რა ბევრის მთქმელი იყო ამ გოგოს მღელვარება შეუცნობლის პირისპირ. სულ ორიოდე სიტყვა! საიდან იცოდა ან როგორ შეძლო ამისი ამოთქმა, ვერ წარმომიდგენია. ქალები ხომ შთაგონებას წამის ზეგავლენით ჰპოვებენ, რომელიც ჩვენთვის შემზარავია, სულელური ან არარაობაა სულაც. იმის გაფიქრებამაც კი, ამ გოგოს თურმე ხმა ჰქონია-მეთქი, თავზარი დამცა. საიდანღაც ჩამოვარდნილ ქვას რომ შეეყვირა ტკივილისაგან, ამაზე უფრო სასწაულებრივი არ იქნებოდა. სიბნელეში წარმოთქმულმა ამ რამდენიმე სიტყვამ წარმომიჩინა წკვარამ ღამეში მოხეტიალე ამ ორთა ტრაგიკული ყოფა. აბა იმ გოგოს რას გავაგებინებდი. უხმოდ ვიტანჯებოდი ამ ჩემს ულონობაზე, და ჯიმიც... საბრალო ყმაწვილკაცი! ვის სჭირდებოდა ის? ვის ახსოვდა? რაც უნდოდა, ის მოიპოვა. მისი არსებობაც კი დავიწყებოდათ იმხანად. იმათ ხელთ იყო საკუთარი ბედ-იღბალი, ორივესთვის ასეთი ტრაგიკული.

უძრავად იყო ის გოგო და ცხადია ელოდებოდა, იქნებ ორიოდე სიტყვა

შეაწიოსო თავის ძმას, ჩამოსულს დავიწყებული აჩრდილების სამეფოდან. ჩემმა პასუხისმგებლობამ და იმისმა ურვამ სულით ხორცამდე შემძრა. არაფერს დავიმშვიდებდი, ოღონდ კი სიმშვიდე მიმენიჭებინა იმისი ნაზი სულისთვის, რომელიც იტანჯებოდა შეუცნობელის შიშით, ვითარცა ჩიტი სასტიკი მავთულებით მოწნულ გალიაში. სულ ადვილია ამისი თქმა: ნუ გეშინიათ! და ძნელიცაა ამავე დროს, ნეტავი ვიცოდე, რა მოკლავს შიშს? მოჩვენებას როგორ დაახლით გულში ტყვიას, როგორ მოკვეთავთ თავს, როგორ ეცემით ყელში? სიზმარში კი კარგად იზამთ ამას და გამოღვიძებულს, ოფლად გაღვრილს და აკანკალებულს კიდევაც გიხარიათ ხსნა, მაგრამ ასეთი ტყვია ჯერ არ ჩამოუსხამთ, არც ასეთი დაშნა გაუკეთებიათ, არც ამის მქნელი კაცი დაბადებულა; ჭეშმარიტების აღფრთოვანებული სიტყვებიც კი თქვენს ფერხთით ეცემა ტყვიის ნაჭრებივით... ასეთი გულის მომკვლელი შეხვედრის ხანს თქვენ გჭირდებათ მოჯადოებული და მოწამლული ისარი, იმდენად შერყვნილი სიცრუით, რომ ვერც კი იპოვით მიწაზე. ეს სიქველენი სიზმრისათვის უნდა მოიხმაროთ, ბატონებო!

გულდამძიმებულმა დავიწყე შეგონება, გარკვეულწილად გამძვინვარებულმაც უეცრად ჯიმის მკაცრმა ხმამაც მოატანა ეზოს მეორე ბოლოდან, ვილაც უხმოდ მდგარ ცოდვილს ჰკიცხავდა. არც არავინაა, — ვუთხარი ნათლად, ჩურჩულით, — არც არავინაა-მეთქი იმ უცნობ ქვეყანაში, ვინც, როგორც იგი ფიქრობს, ბედნიერებას მოსტაცებდეს, არც არავინაა გინდ ცოცხალი და გინდ მკვდარი, არც სახეა, არც ხმა, არც ძალა, მას რომ ჯიმს წაჰგვრიდა. შევჩერდი, სული მოვითქვი, იმან კი ჩაიჩურჩულა, ასეც მითხრაო. სიმართლე უთქვამს-მეთქი, მე მივუგე. არაფერიაო, ამოიკვნესა მან, უეცრად მომიტრიალდა და ძლივს გასაგონად დასძინა: „რატომ ჩამოხვედით იქიდან? ის ასე ხშირად გახსენებთ თქვენ. კიდევაც მეშინია თქვენი. თქვენ... ის გჭირდებათ?" შეფარული რაღაც მრისხანება ისმოდა ჩვენს აჩქარებულ ჩურჩულში. „მე აღარასოდეს ჩამოვალ აქ, — ვუთხარი გულისტკივილით, — და მე ის არ მჭირდება. არც არავის სჭირდება". არც არავისო, გაიმეორა მან ეჭვით. „არც არავის, — დავუდასტურე მე უცნაურად წამონთებულმა, — თქვენის აზრით, ის ძლიერი, ბრძენი, მამაცი, დიდებული ყმაწვილკაციაა... რატომ არ გინდათ დაიჯეროთ, რომ გულმართალიცაა? ხვალ მივდივარ და მორჩა. აღარასოდეს შეგაწუხებთ იქიდან მოღწეული ხმა. თქვენ არ იცით და ის ქვეყანა ისე დიდია, რომ ვერც კი გაიგებს ამ ყმაწვილკაცის დაკარგვას. გესმით? მეტად დიდია! იმისი გული თქვენ გეკუთვნით. თქვენ კი უნდა გრძნობდეთ ამას, თქვენ ეს უნდა იცოდეთ".

— დიახ, მე ვიცი, — ამოთქვა მან მტკიცედ და მშვიდად, თითქოსდა ქანდაკებამ ჩაიჩურჩულაო.

ვიგრძენი, ვერც ვერაფერი შევძელი, და რა იყო ის, რაც მსურდა, ზუსტად ვერ გეტყვით ახლაც. იმხანად რაღაც აუხსნელი გზნებით გახლდით წამონთებული, თითქოსდა რაღაც უდიდესი და აუცილებელი ამოცანა მქონდა გადასაწყვეტი — ეს იყო წუთიერი ზეგავლენა ჩემს ფიქრებსა და გრძნობებზე. ყოველ ჩვენთაგანს გვქონია სიცოცხლეში ისეთი წუთი, ისეთი გუნება-განწყობილება გარემოებით წარმოქმნილი, დაუძლეველი, შეუცნობელი — თითქოსდა ამისი სათავე ყოფილიყო პლანეტათა იდუმალი შეჯახება. იმ ყმაწვილკაცის გული, როგორც მე ვუთხარი, იმ გოგოს ეკუთვნოდა. გულიცა და თავადაც, ოღონდ კი დაეჯერებინა. კი უნდა მეთქვა იმისთვის, რომ ამქვეყნად არც არავინ იყო მის გარდა, ვისაც სჭირდებოდა იმ ყმაწვილკაცის გული, გონება და

ხელი. ასეთია საერთოდ ბედი კაცისა და, მგონია, საშინელებაა ამისი თქმა. გოგო უხმოდ მიგდებდა ყურს და ახლა იმის უმოძრაობაში შევნიშნე უარყოფა და დიდი უნდობლობა. ამ ტყეების მიღმა სამყარო რა თქვენი სადარდებელია-მეთქი? ვუთხარი მე. მრავლის უმრავლესი ხალხი ცხოვრობს იმ ვრცელ და უცნობ ქვეყანაში, მაგრამ იმ ყმაწვილკაცს თავის სიცოცხლეში იქიდან აღარ მოუვა ხმა ან რაიმე ნიშანი. არც არასდროს. თავს ველარ ვიკავებდი, არც, არასდროს! არც არასდროს! გაოცებული ვიხსენებ, რა დაჟინებით გავიძახოდი ამას. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოსდა ყელში ვწვდი მოჩვენებას. მართლაცდა, მთელი ეს რეალობა თავისი წვრილმანებით სიზმარი გეგონებოდათ. რად ეშინოდა იმ გოგოს? ხომ იცოდა, ის ყმაწვილკაცი იყო ძლიერი, მართალი, ბრძენი, მამაცი. სწორედაც. ნამდვილად. და უფრო მეტიც. დიდი იყო... ძლეთამძლე... და ქვეყნიერებას ის მაინც არ სჭირდებოდა, დაევიწყებინათ, აღარც კი იცოდნენ მისი არსებობა.

შევჩერდი, მდუმარება გამეფებულიყო პატუსანში, სადღაც, მდინარის შუაგულიდან კანოეს გვერდზე ასხლეტილი ნიჩბის ხმა მოისმოდა და თითქოს სასრულისუქონელს ხდიდა ამ სიჩუმეს. რატომო, ჩაიჩურჩულა გოგომ. ცოფი მომერია, საშინელი ბრძოლის დროს მოდის ხოლმე ასე კაცს. სადაცაა ფი მომერია, საშინელი ბრძოლის დროს მოხდის ხოლმე ასე კაცს. სადაცაა რითო! გაოგნებული ვიყავი, იმან კი განებივრებული ბავშვივით ფეხი დაჰკრა მიწას. „რატომ? მითხარით“, გინდათ იცოდეთ-მეთქი? ჩავეკითხე მე გამძვინვარებული. დიახო! დაიყვირა. „იმიტომ, რომ ის არც ისე კარგია“, — დაუნდობლად მივუგე მე. სიჩუმე ჩამოვარდა და დავინახე, მეორე ნაპირზე ცეცხლმა იბრდღვიალა, სინათლის წრე მოდიდდა, თითქოსდა ვეება გაოცებულმა თვალმა გამოიხედაო და უეცრივ მეწამულისფერ წერტილად დაიმცროო, მაშინღა მივხვდი, რა ახლოს მდგარა ჩემთან, როცა მკლავზე ჩამეჭიდა. ხმის აუწევლად ასე მამცნო დიდად ზიზღმორეულმა, გულდათუთქულმა და სასოწარკვეთილმა:

— იმანაც ასე მითხრა... თქვენ ცრუობთ!

— ეს ორი უკანასკნელი სიტყვა მშობლიურ ენაზე წარმოთქვა. „ყური მიგდეთ!“ შევეხვეწე მე, იმას სუნთქვა შეეკრა, მოიცილა ჩემი მკლავი. „არც არავინ, არც არავინ შეიძლება იყოს საკმაოდ კარგი“, — გავცხარდი მე. იმისი სულთქმა და ქვითინი მომესმა. თავი ჩავქინდრე. რას გახდები? ნაბიჯები ახლოვდებოდა, სიტყვის უთქმელად გავეცალე...

## თავი 34

მარლოუმ ფეხი გამართა, სწრაფად წამოდგა, შებარბაცდა, თითქოსდა სივრცეში ქროლვის მერე დაშვებულიყოს აქ. ზურგით მოაჯირს მიეყრდნო და მიმოფანტულ შეზლონგებს დააცქერდა. ამ მისმა მოძრაობამ ხალხი გამოაფხიზლა, თითქოსდა შეჩქვიფებული, ერთი თუ ორი წელში გასწორდა, ჯერ კიდევ აქა-იქ ბჟუტავდა სიგარები. მარლოუმ გამოხედა იმათ, შორეული, გაუთავებელი სიზმრებიდან დაბრუნებულს მიუგავდა თვალები. ჩახველება გაისმა, წყნარად, უდარდელად შეაგულიანა ვიღაცამ, მერეო.

— არაფერი, — მიუგო მარლოუმ, ცოტა არ იყოს შემკრთალმა, — იმან უთხრა იმ გოგოს და მორჩა. გოგომ არ დაუჯერა და მეტი არც არაფერი. ჩემდა თავად არ ვიცი, რა მმართებს ამის გამო, სიხარული თუ წუხილი, რომ

მკითხოთ, ვერ გეტყვით, რისი მჯეროდა... მართლაცდა, დღემდე არ ვიცი და ვერც ვერასდროს გავიგებ. მაგრამ იმ საწყალ ყმაწვილკაცს თავად თუ სჯეროდა? სიმართლე უპირველეს ყოვლისა... თქვენ იცით, Magna est veritas et... გაიმარჯვებს კიდეც, როგორც კი შემთხვევა მიეცემა. ხომ არსებობს კანონი, რაღა თქმა უნდა... და ეს კანონი განაგებს თქვენს ბედიღბალს კამათლის გაგორებისას. სამართლიანობა კი არ არის ადამიანების მსახური, არამედ შემთხვევა, თამაში, ბედი — მწე და მშველელი მოთმინე დროისა, რომლის ხელთაა ზუსტი სასწორი. ჩვენ ორმა ერთი და იგივე ვთქვით. ოღონდ თუ იყო სიმართლე.... ერთმა თუ შეძლო მაინც ამის თქმა... იქნებ არც ერთმა?

მარლოუმ იყუჩა, ხელები გულზე დაიკრიფა და შეცვლილი ხმით განაგრძო...

— იმ გოგომ თქვა, სცრუობთო. ბედკრული. კარგი... მოდი, ბედს მივანდოთ ამის გარკვევა, რომლის შემწეც დროა, ვერაფრით რომ ვერ ავაჩქარებთ, ხოლო მტერი სიკვდილია, რომელსაც ლოდინი არ უყვარს. უკან დავიხიე, ცოტათი კი შევშინდი, უნდა ვაღიარო. დავმარცხდი... რაღა თქმა უნდა. ესლა შევძელი, ურვა გავუძლიერე იმ გოგოს, როდესაც რაღაც საიდუმლო გარიგების, რაღაც აუხსნელი და გაუგებარი შეთქმულების შესახებ გადავუკარი სიტყვა, წყვდიადში რომ ამყოფებდა იმას სულ მუდამ. სულ უბრალოდ, ბუნებრივად, უცილობლად მომხდარა ეს ამბავი იმ გოგოსა და იმ წმაყვილკაცის შეწევნით! თითქოსდა თავად ვიხილე ძალი უწყალო ბედისა. ჩვენა ვართ იმისი მსხვერპლნი... და იარაღიც. მზარავდა გოგოზე ფიქრი, რომელიც იქ იდგა გაუნძრევლად. სულ ახლოს მოისმა ჯიმის მტკიცე ნაბიჯების ხმა, იმას ყელიანი, თასმებით შეკრული ფეხსამოსი ეცვა. არ დავუნახივარ. რაო? შუქი არ არისო! თქვა მან ხმამაღლა, გაოცებულმა. ჰეი, რას შვრებით თქვენ ორნი მაგ ბნელშიო? მგონია, მალე შეამჩნია ის. შენ ხარო, გოგო! შეჰყვირა მხიარულად. ჰო, მე ვარ, ბიჭო! იმწამსვე უპასუხა იმან საკვირველი სითამამით.

ჩვეულებრივ ასე ხვდებოდნენ ერთმანეთს, რიხიანად ესალმებოდა ის გოგო, ხმამაღლა, თუმცა კი ტკბილად, საყვარლად, საამურად და ბავშვურად. დიდად მოსწონდა ეს ჯიმს. უკანასკნელად მესმოდა იმათი მხიარული მისალმება და გული დამეთუთქა. მაღალი, ტკბილი ხმა ჰქონდა იმ გოგოს, საყვარელი, სასიამოვნო, მაგრამ ახლა უეცრად ჩაკვდა და იმისი ხუმრობანარევი შეძახილი კვნესასავით ჩამესმა. საშინელება იყო. მარლოუს რა უნდოდაო? — ჰკითხა ჯიმმა. — ქვევითკენ წავიდა, არა? რად ვერ მოვუსწარიო... სადა ხართ, მარლოუ?

არ მიპასუხია. სახლში შესვლა არ მინდოდა... ასე ჩქარა მაინც. ნამდვილად არ შემეძლო. ჯიმმა რომ დამიძახა, პატარა ჭიშკართან ვიყავი მისული, საიდანაც ახალგაწმენდილ მიწის ნაკვეთზე გავედი. არა, იმათი ნახვა არ შემეძლო. სწრაფად, თავდახრილი მივდიოდი დატკეპნილ ბილიკზე. მცირეოდენი აღმართი შემხვდა, რამდენიმე მოჭრილი ხე ეგდო აქ. ბუჩქნარი გაეკაფათ, ბალახი დაეწვათ. ჯიმს ყავის პლანტაციის გაშენება უნდოდა ამ ადგილას. ის მაღალი, ორთავიანი გორა წამომართულიყო, იმისი ნახშირივით ჩაშავებული წვერები მოჩანდა ამომავალი ყვითელბაკმიანი მთვარის შუქზე, სწორედ ამ, ექსპერიმენტისათვის გამზადებულ ნაკვეთს დასცემოდა იმისი ჩრდილი, მრავალი ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებდა ჯიმი. აღფრთოვანებული ვიყავი მისი სიყოჩაღით, სიქველითა და მოხერხებით, დიახაც რეალური ჩანდა ეს გეგმები, რაკილა ესაძირკვლებოდა მისი სიყოჩაღე და შემართება. თავი ავწიე და დავი-

ნახე, ხეობის ფსკერზე შეფენილ ბუჩქნარში გასხლტა შუქმომფინარე მთვარე. თითქოსდა ეს კრიალა დისკო ზეციდან მიწაზე ჩამოშვებულიყო, ჩაგორებულიყო ამ უფსკრულოვანში და ახლა ისევ ასხლტომას ლამობდა ეკალბარდებში გაბმული; ფერდობზე აზიდულ ხის ტოტს გაეხაზა იმისი სიმრგვლე, თითქოსდა მღვიმეში მოქცეულიყო ეს მნათობი და იქიდან აფრქვევდა თავის სევდის მომგვრელ სხივებს აქა-იქ გაფანტულ ჩაშავებულ ბილიკებს; მძიმე ჩრდილები განრთხმულიყვნენ ჩემს ფერხთით და ერთვოდნენ ბილიკზე მონანავე ჩემს საკუთარ ლანდს, დაბოლოს, სულ მუდამ ყვავილების თაიგულებით მორთული ეული საფლავის ჩრდილს გადავაწყდი. მთვარის სხივებს გარდაჭდობილი ყვავილებისთვის მიენიჭებინა უცხო იერი, ჩვენს თვალს არც უნახავს მსგავსი ფერები, ვერც ჩვენი მეხსიერება მოიგონებს ამის მსგავს რამეს, თითქოსდა ეს არაამქვეყნიური ყვავილები ადამიანიშვილის ხელით არ იყო მოკრეფილი, თითქოს მიცვალებულთათის იყო განკუთვნილი მხოლოდ, იმათი ძალუმი სურნელება თბილ ჰაერში ჩაწნულიყო და ისე გაესქელებინა და დაემძიმებინა, ვითარცა საკმევლის კვამლს. მოშავბნელებული ბორცვის ირგვლივ გარშემოწყობილი თეთრი მარჯნები თავის ქალასაგან გაკეთებული კრიალოსანივით ანათებდნენ. ისეთი მდუმარება ჩამოწოლილიყო ირგვლივ, რომ შევდექი თუ არა, ყოველგვარი ხმა მიწყდა, თითქოსდა ჩქამიც აღარ ისმოდა დედამიწის ზურგზე.

დიდებული სიჩუმე დავანებულიყო, თითქოსდა სამარედ გადაქცეულიყო მთელი სამყარო, და მე იქ ვიდექი ერთხანს, ჩემი ფიქრები ძირითადად მიმართული იყო ცოცხლებისაკენ, რომლებიც დასამარებულან მივარდნილ კუთხეებში, დასცილებიან კაცობრიობას და მაინც განწირულნი არიან გაიზიარონ იმისი ტრაგიკული თუ ტრაგიკომიკური ბედი. შეიძლება იმის ღირსეულ ბრძოლებში ჩაებნენ კიდევაც, ვინ იცის? კაცის გულმა შეიძლება მთელი ქვეყნიერება დაიტიოს. ტვირთის წამოსაკიდებლად კი ეყოფა სიმამაცე, მაგრამ მოიხმობს კი ვაჟკაცობას იმის მოსაცილებლად?

მგონია, სანტიმენტალობამ დამრია ხელი. ერთი კი ვიცი, იმდენხანს ვიდექი იქ, რომ სრული მარტოობა ვიგრძენი საბოლოოდ და ყველაფერი ის, რაც მანამდე მენახა ან გამეგონა, თვით ადამიანური მეტყველებაც კი, ასე მეგონა, წარხოცილიყო სრულიად და მხოლოდ ჩემს მეხსიერებას შემორჩენოდა, თითქოსდა ადამიანიშვილთაგან უკანასკნელი მე ვყოფილიყავი. უცნაური მელანქოლიური ზმანებების ტყვე შევიქენი, ნახევრად ცნობიერად რომ წამოქელყელავდნენ მსგავსად იმ ზმანებებისა, რომელთა თავიდათავი, ასე მგონია, არის შორეული და მიუწვდომელი, ბუნდი ნათება ჭეშმარიტების. ეს მხარე, მართლაცდა, გახლდათ გადაკარგული, გადავიწყებული, უცნობი არემიდამო დედამიწისა, სწორედ მე მომიხდა ჩასვლა ამ ბნელით მოცულ ქვეყანაში და ასე ვგრძნობდი, ხვალ იქიდან რომ წამოვიდოდი, ისიც შეწყვეტდა არსებობას და მხოლოდ ჩემს მეხსიერებაში იცოცხლებდა, სანამ თავად მე არ მივეცემოდი დავიწყებას. ისეთი გუნება-განწყობილება ახლაც მაქვს და იქნებ ამ გუნება-განწყობილებამ მაიძულა მომეთხრო თქვენთვის ეს ამბავი, მეცადა თქვენთვის გადმომეცა იმისი არსი, იმისი რეალობა, იმისი ჭეშმარიტება, წამით წარმოჩენილი ილუზიათა მეშვეობით.

კორნელიუსი გამოტყვრა უცბად, თითქოსდა ბალახით გადაბურული ტაფობიდან მატლივით შემოგრაგნილიყო. მგონია, იმის სახლი სადღაც აქვე ლპებოდა, თუმცა არც ერთხელ არ მინახავს, იმ მხარეს არ გავივლია. ჩემკენ

გამოეწყო ბილიკით და იმისი გასვრილი, თეთრი ფეხსაცმელები მოჩანდა ჩამუქებულ მიწაზე. შეჩერდა, დაიწყო სლუკუნი და მანჭვა-გრეხა, მაღალი ქვაბუნა ქუდი ეხურა თავზე. იმისი გალეული, გამხმარი სხეული მთლად ჩაჯერ-გულიყო შავი მაუდის კოსტიუმში. მხოლოდ ზეიმსა და დღესასწაულებზე ჩაიც-ვამდა ამ სამოსს. გამახსენდა, პატუსანში ჩემი ყოფნის მეოთხე [illegible] მთელი ეს ხანი ბუნდად ვგრძნობდი, ჩემთან საუბარი სურდა, [illegible] ჩენილიყო პირისპირ. მოუთმენლობა დასტყობოდა მუშტისხელა ჩაყვითლებულ სახეზე, შორიახლოს დაძრწოდა, მაგრამ მოახლოებას სიმხდალე ვერ აბედვინებდა, ამავე დროს, მეც ზიზღს მგვრიდა ამ ბინძურ არსებასთან დალაპარაკება. მიუხედავად ამისა, კიდევაც მოახერხებდა ამას, მაგრამ ასეთი ჩვევა ჰქონდა, შეხედავდით თუ არა, გასხლტებოდა იმავე წამს. ჯიმის მკაცრ მზერასაც უსხლტებოდა, ჩემსასაც, თუმცა კი ყურადღებასაც არ ვაქცევდი, ტამბ იტამის პირქუში, მზვაობარი გამოხედვაც თავგზას აკარგვინებდა. სულ გასასხლტომად იყო მომართული, რამდენჯერაც არ შეხედავდით, გაგეცლებოდათ მოღრეცილი, მხარზე მიხუტებული თავით, უნდო ბუზღუნით შვრებოდა ამას, ხან კი ხმის ამოუღებლად. გაწამებული კაცის იერით; თუმცა ვერც ვერაფერი შენიღბავდა იმის ქვებუდანობასა და სიბილწეს, სწორედ ასევე არ შეუძლია საშინლად მახინჯი სხეულის დამალვა ტანისამოსს.

ვერ გეტყვით, მიზეზი რა იყო, შეიძლება უკიდურესი უიმედობა დამეუფლა იმ შიშიანობის აჩრდილთან დამარცხების შემდეგ, მას მერე ერთი საათიც არ იყო გასული, ხოლო წინააღმდეგობის გაუწევლად დავმორჩილდი ამ კაცს. იმისი აღსარება უნდა მომესმინა, რომელზეც პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა. ძნელი კი იყო, მაგრამ ზიზღმა, ენით უთქმელმა ზიზღმა, გამოწვეულმა ამ კაცის ხილვით, გამიადვილა ეს განსაცდელი. თუმცა რა სახსენებელი იყო იგი, ჯიმზე ვფიქრობდი მხოლოდ და მიხაროდა, რომ თავისი ბედის ბატონ-პატრონი შექმნილიყო, იმან კი მითხრა, კმაყოფილი ვარო... თითქმის, ბევრი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა ამის თქმას, მეც... თუმც მაქვს უფლება საკმაოდ კარგი აზრისა ვიყო საკუთარ თავზე, მაინც ვერ გავბედავდი. ვერც თქვენთაგან ვინმე, მე მგონია?...

მარლოუ გაჩუმდა, თითქოსდა პასუხის მოლოდინში, მაგრამ ყველანი დუმდნენ.

— სავსებით სწორია, — ისევ დაიწყო მან, — არავინ იცის სიმართლე, სანამ არ გამომზეურდება ჩვენთვის საშინელი, სასტიკი მარცხის მეშვეობით. მაგრამ ის ხომ ერთი ჩვენთაგანი იყო და ასე თქვა, კმაყოფილი ვარო... თითქმის. წარმოგიდგენიათ! კმაყოფილი ვარო თითქმის. ცოტა შეიძლება კიდევაც შევეშურებოდა მისი მარცხისა. კმაყოფილი ვარო თითქმის. ამის მერე რაღას უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა, სულ ერთი იყო, ვინ უყურებდა ეჭვით, ვის სჯეროდა მისი, ვის უყვარდა, ვის ეზიზღებოდა... დიდი ამბავი, თუ კორნელიუსს სძულდა იგი.

ბოლოს და ბოლოს, ეს ერთგვარი აღიარება იყო. კაცის შეფასება შეიძლება მის ავისმსურველთა და, ასევე, მეგობრების მეშვეობით, ხოლო, არც არავის შერცხვებოდა ასეთი მტრის ყოლა, ჯიმს რომ ჰყავდა. თუმცა დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოთ მას, ასე ფიქრობდა ჯიმი და მეც ვიზიარებდი იმის შეხედულებას, მაგრამ ჯიმი სულ უბრალო მიზეზის გამო უგულებელყოფდა ამ კაცს.

— ჩემო ძვირფასო მარლოუ, — თქვა მან, — თუკი სწორი გზით მივდივარ,

ჩემთან ვის რა ხელი აქვს. დიახ. ახლა თქვენ უკვე კარგა ხანია დაჰყავით აქ და შეგეძლოთ რაღაც-რაღაცების დანახვა. როგორ გგონიათ, რამე საშიშროება თუ მომელის აქ? ყველაფერი ჩემს ხელთაა, ღმერთმანი, მტკიცედაც მჯერა ჩემი თავისა. ვთქვათ, იმ კაცს შეეძლო მოვეკალი, ამაზე უარესს ხომ ვეღარაფერს დამმართებდა, მაგრამ, ვფიქრობ, ამის გამკეთებელი აქ არ არის, არ შეუძლია, ეს თქვენც იცით... ჩემი ხელით რომ მივცე [illegible] მივუშვირო მაინც. ასეთი კაცია ის. და ვთქვათ... ვთქვათ და შეძლოს, მერედა რა? იმისთვის კი არ მოვსულვარ აქ, რომ საკუთარ სიცოცხლეს დავკანკალებდე... ხომ ასეა? იმიტომ მოვსულვარ, რათა კედლით შემოვიზღუდო და კიდევაც დავრჩე აქ...

სანამ სრულიად არ დაკმაყოფილდებით-მეთქი, მოვუჭერი მე.

მაშინ ჩვენ ნავის კიჩოზე ვისხედით, საყუდრის ქვეშ; ოცი ნიჩაბი ერთდროულად გადგაფუნდებოდა წყალზე, ათი ერთ მხარეს, ათიც მეორეზე, უკან კი ტამბ იტამი მოკალათებულიყო და უხმოდ იმზირებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, მდინარეს გაჰყურებდა და ცდილობდა ეს გრძელი კანოე დინების შუაგულისკენ მიემართა. ჯიმი თავდახრილი იჯდა და, მგონია, ჩვენი უკანასკნელი საუბარი გალევაზე იყო. მდინარის შესართავამდე მიმაცილა; წინადღით წასულიყო შხუნა, მიქცევასთან ერთად ქვემოთ ჩასულიყო და მე კიდევ ერთი ღამე მომიხდა იქ დარჩენა, ხოლა, ახლა ის მიმაცილებდა.

ჯიმი ცოტათი გამწყრალი იყო ჩემზე, კორნელიუსი რად მიხსენაო. მართალი თუ გნებავთ, ბევრი არც მილაპარაკია. რა საშიში უნდა ყოფილიყო ეს არაკაცი, თუმცა კი, რაც შეეძლო, გაბერილიყო სიძულვილით. ყოველ წუთს ასე მომმართავდა, „პატივცემულო სერ," თავისი „განსვენებული მეუღლის" საფლავიდან ჯიმის სახლის ჭიშკრამდე სულ სლუკუნ-სლუკუნით მიმყვა. ჩემზე უბედური კაცი არც კი დადის ამქვეყნად, ჭიაყელასავით გადათელილ გასრესილიო, მეაჯებოდა, აბა ერთი შემომხედეთო, მე კი სულაც არ მინდოდა იმისკენ გახედვა, ცალი თვალით მაინც ვხედავდი იმის მლიქვნელურ ლანდს, ჩემი ლანდისავე უკან რომ მოსხლტებოდა, ხელმარჯვნივ, ცაში დაკიდებული მთვარე კი თითქოსდა აუმღვრევლად და დაჟინებით უმზერდა ამ სანახაობას. კორნელიუსი ცდილობდა ჩემთვის აეხსნა — როგორც გითხარით — თავისი მდგომარეობა იმ ღირსსახსოვარ ღამეს, რა სჭობდა მისთვის, იმან რა იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა. მე გადავარჩენდი იმას, პატივცემულო სერ! სულ ოთხმოც დოლარად გადავარჩენდიო, თავმოკატუნებული ჩამჩიჩინებდა და გვერდიდან აღარ მცილდებოდა. თავად გადაირჩინა თავი, მე მივუგე და თქვენც გაპატიათ-მეთქი. თითქოსდა ჩახითხითება ჩამესმა და მივბრუნდი, იმწამსვე გასაქცევად მოემზადა. რა გაცინებთ-მეთქი? ვკითხე მე და შევჩერდი, „თქვენ სცდებით, პატივცემულო სერ! — შემომჭყივლა იმან, მგონია, ვეღარ შეძლო თავისი გრძნობების მოთოკვა. — თავად გადაირჩინა თავიო! ნეტა რა იცის, რა გაეგება იმას, პატივცემულო სერ... არც არაფერი, ვინა ბრძანდება? იმას აქ რა უნდა... იმ სახელიან ქურდს? იმას აქ რა უნდა-მეთქი? თვალებში ნაცარს აყრის ყველას, თქვენც ნაცარს გაყრით თვალებში, პატივცემულო სერ, მაგრამ მე ვერ შემომაყრის. დიდი სულელი ვინმე კი არის, პატივცემულო სერ", ხიხინით ჩამეცინა, ქუსლებზე შევტრიალდი და გზა განვაგრძე. გამომეკიდა და დაჟინებით ჩურჩული დამიწყო: პატარა ბავშვივითაა და მეტი არც არაფერი... პატარა ბავშვივითააა... პატარა ბავშვივითააო. რაღა თქმა უნდა, სიტყვაც არ დამიძრავს, ხოლა, რომ დამინახა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, რადგან უკვე იმ გან-

შეუდგა. ბილწურ სლუკუნს აყოლებდა თავის სათქმელს. ამდენმა უბედურებამ ცოტათი კი შემაქანაო. კი იმედოვნებდა, იმდენ სიკეთეს ვიზამდი, დავივიწყებდი იმის ნათქვამს ამ მღელვარების ხანს. თავისდა უნებურად წამოროშა რალაც-რალაცები, მაგრამ თქვენ, პატივცემულო სერ, ალბათ არ იცით, რომ არის ხელმოცარვა, ბედის უკუღმართობა და ამდენი მარცხიო. ასეთი შესავალის მერე კი გადამიშალა თავისი გულის დარდი, მაგრამ ისე ღელავდა და შიშით ენა ებმოდა, რომ კარგა ხანს ვერ მივხვდი რა სურდა. ჯიმთან სიტყვა შემაწიეთო. მგონია, რალაც ფულზეც მეუბნებოდა. რამდენიმეჯერ გავიგონე ერთი და იგივე, მცირეოდენი სარჩო... კარგი საჩუქარიო. თითქოსდა რალაც საზღაური უნდოდა და ესეც დასძინა გულიანად, სიცოცხლე რალად უნდა კაცს, ვისაც ყველაფერი უნდა წაართვანო. ხმა აღარ ამომილია, რალა თქმა უნდა, მაგრამ არც ყურები დამიხშვია. თავიდათავი ეს ყოფილა, თანდათანობით გახდა ნათელი, გარკვეულ თანხას თხოულობდა იმ გოგოს სანაცვლოდ. მისი გაზრდილია. სხვისი შვილია. ზედ გადაყვა... ახლა კი მოხუცდა... კარგი საჩუქარი. ხოლო, პატივცემულო სერ, თუკი სიტყვას შემაწევთო... გაოგნებული შევყურებდი, ის კი, მე ვფიქრობ შეშინდა, ვაითუ გამომძალველი ვეგონოო და საჩქაროდ დათმობაზე წავიდა. მიიღებს თუ არა იმ „კარგ საჩუქარს“, იმ წუთასვე, ასე განმიცხადა მან, დათანხმდება, რომ იზრუნოს იმ გოგოზე „სრულიად უსასყიდლოდ... როდესაც ის ჯენტლმენი სახლში დაბრუნებას მოისურვებს“, იმის ჩაყვითლებულ, დანაოჭებულ სახეს სიხარბე დაეტყო. შემპარავად მეუბნებოდა, ნურაფრის დარდი ნულარ ექნება... ჩვეულებრივი მეურვე ეყოლება იმას... გარკვეული თანხაო...

ვიდექი და მიკვირდა. გამოძალვა მისი ხელობა იყო, როგორც ჩანს. უეცრად შევნიშნე, რალაც თავდაჯერებულობა ჩანდა იმის ბეჩავ მიხრა-მოხრაში, მთელი თავისი ცხოვრება ასეთი იყოო თითქოს. მგონია, იმან ასე გაიფიქრა, მშვიდად მინდოდა განმესაჯა იმისი წინადადება, ამიტომ სულ ფიანდაზად გამეგო. სამშობლოში გამგზავრების ხანს ყოველმა ჯენტლმენმა გარკვეული საზღაური უნდა გაიღოსო, დაიწყო მან მიკიბულ-მოკიბულად. ის პატარა ჰიშკარი მივუკეტე. „ამ შემთხვევაში, ბ-ნო კორნელიუს, — ვუთხარი, — ამისი იმედი ნუ გექნებათ“. რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, რაო, დაიჭყივლა მერე. რაო და, ვუთხარი მე ჰიშკრის აქეთა მხარეს მდგომარემ, იმას ხომ თქვენთვის ნათქვამი აქვს? ის არც არასდროს დაბრუნდება სახლში-მეთქი. ჰოი! ეს მეტისმეტიაო, შეჰყვირა იმან. ამის მერე აღარ მოუმართავს ჩემთვის, „პატივცემულო სეროო“. ერთხანს იყუჩა, მერე კი თქვა დაბალი ხმით და თავზედურად: „არც არასდროსო... ჰა? ის... ის... ის ჩამოვიდა ეშმაკმა უწყის საიდან... ჩამოვიდა აქ.. ეშმაკმა უწყის რატომ... უნდა გადამთელოს და მომკლას... უნდა გადამთელოს (ორივე ფეხი მიწას დაჰკრა)... აი ასე გადამთელოს და რატომ, არავინ იცის.. უნდა მომკლას...“ სულ ჩაუწყდა ხმა, ხველა აუვარდა, ლობეს მოუახლოვდა და მიიხრა, თვინიერად და საწყალობლად, აწი აღარ გადავეთელინებიო. მოთმინება, მოთმინებაო, ჩაიჩურჩულა მან და მკერდზე ხელი დაიკრა. აღარც მეცინებოდა იმაზე. უეცრად თავად წასკდა ხარხარი: „ჰა! ჰა! ჰა! აბა ენახოთ! აბა ვნახოთ! რაო! მომტაცოს! ყველაფერი წამგლიჯოს! ყველაფერი! ყველაფერი!“ თავი ცალ მხარეზე მიიდო, ხელები ჩამოუშვა! შეიძლებოდა გეფიქრათ, ძალიან უყვარდა ის გოგო, ხოლა, განადგურებულიყო და გული გაშანთვოდა იმისი დაკარგვით. უეცრად თავი ზეაღმართა და შეიგინა. „დედას ჰგავს... იმ თავის

ტყუილების გუდა დედასა ჰგავს. სწორედაც. სახითაც. სახითაც. ეშმაკის კერძი!“ შუბლით ლობეს მიეყრდნო და ასე მოჰყვა ლანძღვას პორტუგალიურად. ძლივს მესმოდა იმისი ხმა, იმისი წუწუნი და სლუკუნი, მხრები აცახცახებოდა, თითქოსდა გული ერევაო. შემაძრწუნებელი, უგვანო სანახავი იყო და საჩქაროდ მოვცილდი. რაღაცა მომაძახა, ჯიმს შესახებ რაღაც, მგონია, მაგრამ სახლთან ახლოს ვიყავით და ხმამაღლა ვერ გაბედა. ეხლა გავარჩიე გარკვევით, პატარა ბავშვივითააო და მეტი არც არაფერი... ბავშვივითააო.

## თავი 35

მაგრამ მეორე დილით, მდინარის პირველსავე მოსახვევთან თვალს მიეფარა პატუსანის სახლები და სუყველაფერიც. გაილია ფერები, ლანდები, აზრი და მნიშვნელობა, ვითარცა დიდებული ნახატი ტილოზე, რომელსაც ხანგრძლივად უყურებ და მერე ზურგს შეაქცევ. გულზვაობა, შიში, ზიზღი, იმედები, ყველაფერი ისევე ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც ვიხილე — ცხოვლად და აწ მარადჟამს გარინდებულ სურათხატებად. ზურგი შევაქციე იმ ნახატს და უკანვე გამოვბრუნდი იმ სამყაროში, სადაც ერთ მოვლენას ცვლის მეორე, ადამიანს — ადამიანი, სადაც ციმციმებენ სინათლეები, სადაც სუფთა ნაკადად მიედინება ცხოვრება მიუხედავად იმისა, ჰუჰყს გადააწყდება თავის გზაზე თუ ქვა-ღორღს. შიგ ჩაყვინთვას მე არ ვაპირებდი, იმდენი უნდა მეყოჩაღა, რომ ზედაპირზე გამეჩერებინა თავი. ხოლო რაც შეეხება ქვეყანას, საიდანაც წამოვედი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეიცვლებოდა იქ რამე. ტანვეება, დიდებული დორამინი და მისი გაჩხინკული, დედობრივი ზრუნვით აფორიაქებული მეუღლე, თავიანთ წინ გადაჭიმულ ქვეყანას რომ გასცქერიან და იდუმალ შეჰფოფინებენ მშობლის პატივმოყვარე ოცნებებს; ტუნკუ ალანგი, სახედალარული და დღენიადაგ გაკვირვებული; დაინ უორისი, ჭკვიანი და მამაცი, მთელი არსებით ჯიმს მინდობილი, მტკიცე გამოხედვით, მეგობრულად მომღიმარე; გოგო, შიშითა და ეჭვით ალსავსე, სიყვარულის მახეში გაბმული; ტამბ იტამი, პირქუში და ერთგული; კორნელიუსი, შუბლით ლობეზე მიყრდნობილი, მთვარე დანათის, კი, სწორედ ასეა, თითქოსდა მათი არსებობა ჯადოსნურ კვერთხს მორჩილებს, მხოლოდ ის ერთია ცოცხალი, რომელსაც სუყველანი გარშემოხვევიან, მაგრამ მის გამო ეჭვები მაწვალებს, ვერავითარი ჯადოსნური კვერთხი ვერ გააქვავებს მას ჩემ თვალწინ, ის ერთი ჩვენთაგანია.

ჯიმმა, როგორც გითხარით, გამომაცილა იმ ქვეყანაში, რომელიც მან უარყო. ჩვენი გზა დროდადრო თითქოს პირველყოფილი, ხელუხლებელი ბუნების წიაღში გადიოდა. მზის ქვეშ ელვარებდა უდაბური სივრცე, მთად ასვეტილ ტყეებს შორის ოხშივარი ასდიოდა მთვლემარე წყალს და მდინარის მძლავრი დინება ნავს მიაქანებდა, მიაპობდა ჰაერს. რომელიც ჩასქელებულჩახუთებულიყო მაღალი ხეების ტევრში.

სადაცაა უნდა დავცილებოდით ერთმანეთს, განშორების ჩრდილი წამოგვდგომოდა თავს, ძლივსღა ვაბრუნებდით ენას, თითქოს ამ უკიდეგანო ბუნებას ჩაეხშო ჩვენი ხმა. ნავი მიქროდა; გვერდიგვერდ ვისხედით და მხურვალე ჰაერისაგან მოთენთილები ძლივსღა ვსუნთქავდი. სუნი ჭანჭრობისა და ჭაობებისა, სუნი ნოყიერი, შეურყვნელი მიწისა თითქოსდა სახეს გვისერავდა და უცებ, მოსახვევთან, თითქოს ვეებერთელა ხელს გადაეწიოს მძიმე ფარდა, გადა-

ეხსნას დიდი ჭიშკარი, სინათლე გადმოიღვარა, ჩვენ ზემოთ ზეცა მოდიდდა, შორეულმა შრიალმა მოაღწია ჩვენს ყურამდე, გრილი ჰაერი გარშემოგვეხვია, გაგვევსო ფილტვები, ფიქრები მალი გახდა, სისხლი აგვიჩუხჩუხდა, ხინ[illegible]მა იმძლავრა, ლურჯად ჩამუქებულ ზღვის კიდესთან დაეშვა ტყე და გაილია.

ღრმად ვსუნთქავდი და ვტკბებოდი თვალსაწიერით, სულ სხვა [illegible] მოვხვედრილიყავით, სიცოცხლის ფეთქვა დაეტყო მთელ ამ [illegible] შეურყვნელი ოკეანის ძალამოსილება იგრძნობოდა უკვე. ზეცა და წყალი გადაიშალა ჩემ წინ. გოგო არ ცდებოდა — ნიშანი და ძახილი იყო ეს, რომელმაც შემძრა სულით ხორცამდე. თვალი მოვავლე ამ სივრცეს ვითარცა ხუნდებახსნილმა კაცმა, მოკრუნჩხულ ტან-ფეხს რომ გამართავს და მოპოვებული თავისუფლებით აღფრთოვანებული მოჰყვება სირბილსა და ხტუნვას. „რა სილამაზეა! — შევყვირე მე და მაშინღა შევხედე ჩემ გვერდზე მჯდომარე ცოდვილს. თავჩაქინდრულმა ასე წარმოთქვა, დიახო, თავი აღარ აუწევია, ვაითუ ამ უძირო ცაზე ჩემი რომანტიკული სინდისის უარყოფა ვიხილოო.

იმ დღის ყოველი წვრილმანი მახსოვს. თეთრი ფერის სანაპიროს მივადექით. გორაკი გამოჩნდა ერთი, იმისი წვერო ტყით იყო დაბურული, ხოლო ძირი ხვიარა მცენარეებს დაეფარა მთლიანად. ჩვენ წინ ზღვა გადაჭიმულიყო, ჩუმი და მუქლურჯი, ცოტათი ზეაწეულ ჰორიზონტს ებჯინებოდა იმისი ზოლი, დაახლოებით, ჩვენი თვალების დონეზე. წყლის ბუნდ ზედაპირს მთრთოლვარე ბრწყინვალება გადასდიოდა, თითქოსდა ბუმბულივით შეძრაო ნიავქარმა. მთაგორიანი კუნძულები ჩარიგებულიყო ფართო ყურეს პირდაპირ, იმათი მოხაზულობა ზუსტად არეკლილიყო ფერმკრთალ სარკისებრ წყლის ზედაპირზე. მაღლა, უფერული მზის სხივებით მოფრქვეულ ზეცაში შავი ფრინველი დაფრინავდა ერთი, ფრთების უღონო ფართხუნით ხან დაეშვებოდა და ხან ავიდოდა მაღლა ერთსა და იგივე არემიდამოში. გამურული, მიღრინკული წნული ქოხები იდგა წაფერდებულ, აწოწილ და ჩაშავებულ ხიმინჯებზე და საკუთარ გადმოპირქვავებულ გამოსახულებებს ჩაჰყურებდა წყალში. პატარა კანოე მოცილდა იმათ, პატარა ტანის ორი კაცი იჯდა შიგ, შავფერი სახისანი, გამეტებით სცემდნენ ნიჩბებს მკრქალ წყალს, კანოე კი თითქოს ძლივს ჩოცურავდა აპრიალებულ სივრცეში. მეთევზეთა სოფელი იყო ეს სალოდავი ქოხები. სატრაბახოდ ჰქონდათ აქაურ მაცხოვრებლებს საქმე, თავად თეთრი ლორდი მფარველობდა მათ, ის ორნი კი კანოეში იყვნენ—მოხუცი მამასახლისი და იმისი სიძე. სანაპიროზე გადმოსხდნენ და ჩვენკენ გამოეშურნენ, თეთრ ქვიშნარზე მოაბიჯებდნენ, გაჩხინკულნი, მუქყავისფერნი, თითქოსდა ბოლში გამოყვანილნი, მოტიტვლებულ მხრებსა და მკერდზე ნაცრისფერი ლაქებით, თავი საგულდაგულოდ შეეხვიათ, თუმცა კი ჭუჭყიანი თავსაფრებით. იმწუთსავე ამცნო იმ მოხუცმა კაცმა ჯიმს თავისი საჩივარი, გამხდარ ხელს იწევდიდა, ნდობით უმზერდა იმას თავისი ბებრული ნახევრად დაბრმავებული თვალებით. ცნად გაკრეფილიყო. რაჯას ხალხი თავს არ ანებებდა იმათ; ჩხუბი მოსვლიათ კუს კვერცხების გამო, იმ კუნძულებზე რომ აგროვებდნენ, ხოდა ახლა ნიჩაბს დაყრდნობილი თავის ყავისფერ, გაძვალტყავებულ ხელს ზღვისკენ იშვერდა. ერთხანს თვალდახრილი უსმენდა იმას ჯიმი, მერე კი დაყვავებით უთხრა, ცოტა დაიცადე და მოგისმენო. მორჩილად მოგვცილდნენ და შორიახლოს ჩაცუცქდნენ, ნიჩბები წინ დაიწყვეს, ქვიშაზე; მოთმინებით მოეპყროთ ჩვენთვის თავიანთი მუქვერცხლისფერი თვალები. ბუმბერაზი ზღვა გადაჭიმულიყო შორს, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, და სადღაც ინთქმებოდა თვალსაწიერის

მილმა, საიდანლაც გვითვალთვალებდა ეს უკიდეგანო დედა-ბუნება ჩვენ, ოთხ ქონდრისკაცს, განმარტოებულს აელვარებულ ქვიშნარზე.

— უბედურება ისაა, — პირქუშად წარმოთქვა ჯიმმა, — რომ ამ სოფლის გლახაკი მეთევზეების უკვე რამდენიმე თაობა რაჯას პირად მონებად არიან მიჩნეულნი... ხოლა, იმ ბებერ არამზადას არაფრით ა[illegible] გაგება, რომ...

გაყუჩდა.

— რომ თქვენ ყველაფერი შეცვალეთ, — ჩავურთე მე.

— დიახ. ყველაფერი შევცვალე, — ჩაიჩურჩულა მან, მოლუშულიყო.

— შემთხვევა არ გაუშვით ხელიდან, — ასე დავსძინე.

— ნუთუ? — თქვა მან, — კი, მგონია, ასეა. დიახ, ისევ ვირწმუნე საკუთარი თავისა... კარგი სახელი... ხანდახან კი ვნატრობ... არა! ის უნდა შევინარჩუნო, რასაც მივაღწიე. მეტს არც მოველი, — ზღვისკენ გაიქნია ხელი, — იქიდან არა, ყოველ შემთხვევაში, — ქვიშას ფეხი დაჰკრა, — ჩემი საზღვარი აქ არის, ნაკლები არ მინდა.

ნაპირს გავყევით ისევ.

— დიახ, მე ყველაფერი შევცვალე, — განაგრძო მან და ცალი თვალით იმ მორჩილად ჩაცუცქებულ ორ მეთევზეს გახედა. — თუ გიფიქრიათ, რა მოხდებოდა, მე რომ გავცლოდი აქაურობას. ღმერთო ჩემო! თუ გესმით! რა იქნებოდა და ნამდვილი ჯოჯოხეთი. არა! ხვალვე მივალ და ვცდი, დავლევ იმ რეგვენი ტუნკუ ალანგის ყავას, ერთ ამბავს ავტეხავ იმ დამპალ კუს კვერცხებზე. არა, ვერ ვიტყვი, კმარა-მეთქი. არც არასდროს. მე უნდა ვიარო, უნდა ვიარო ერთი მიზნისკენ, მტკიცედ მჯერა, ფერს ვერ მაცვლევინებენ. ჩემი რწმენა აქვთ იმათ და ამ რწმენას უნდა ჩავებღაუჭო, რომ არ დავიღუპო, — წყლის ზედაპირს უმზერდა, თითქოს სათქმელს ეძებდა იქ, — და შევინარჩუნო ურთიერთობა იმათთან, — უეცრად ხმას დაუწია და აჩურჩულდა. — იმათთან-მეთქი, ვისაც შეიძლება, ვერც ვეღარასოდეს ვნახო... ასე... ასე... ასე, მაგალითად, თქვენთან.

ამ სიტყვებზე წამოვენთე. ღვთის გულისთვის, მივუგე, ჩემი გაღმერთება რად გინდათ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ-მეთქი. მადლიერებას, სიყვარულსა ვგრძნობდი იმ დევნილისადმი, რომლის თვალშიაც რჩეული ვიყავი, რომელმაც გამომარჩია უმნიშვნელო ბრბოში. რაც უნდა იყოს, დასაკვეხი რა მქონდა! წამოწითლებული სახე მივატრიალე. ჩამავალი მზის ქვეშ მეწამულისფრად გიზგიზებდა ჩამუქებული ზღვა, თითქოს კოცონიდან ამოყრილი ნაკვერჩხლებიაო, და უსასრულო მდუმარებით გარინდებული ელოდებოდა ცეცხლოვანი ბურთის მოახლოებას. ორჯერ მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ შეჩერდა, დაბოლოს, თითქოს მიაკვლია სათქმელის ფორმულას:

— ერთგული დავრჩები, — ამოთქვა მან წყნარად, — ერთგული დავრჩები, — ისე გაიმეორა, არც შემომხედა, ზღვას გასცქეროდა, ლურჯი ფერი გალეულიყო და ალისფრად გარდასახულიყო დამავალი მზის ბრდღვიალში. ჰოი! რა რომანტიკოსი იყო, რომანტიკოსი. შტაინის სიტყვები წამომაგონდა: „დამანგრეველ სტიქიონში ჩაუყვინთავს!.. თავის ოცნებას მისდიოს და აღარ შეაჩეროს ეს დევნა... ხოლა usque ad finem* ის რომანტიკოსი იყო,

* აქ: ასე, სამუდამოდ (ლათ.)

სრული სიმართლეა, ვინ იცის, რა სახეები, რა ხილვები, რა წარმოდგენები, რა პატიება ამოიკითხა მზის ჩასვლის ხანს!.. შხუნას მოსწყდა პატარა ნავი და აქეთ გამოეშურა ნელა, თანაბარზომიერად ადი-ჩადიოდა ორი ნიჩაბი; ჩემს წასაყვანად მოდიოდნენ. ჯუელიც ხომ აქ არისო, თქვა მან. დიდებული სიჩუმე დავანებულიყო მიწაზე, ცასა და ზღვაზე და სრულად აფორიაქებდა ჩემს ფიქრებს, ამიტომაც შევკრთი იმისი ხმის გაგონებისას, ჯუელიც ხომ აქ არისო. დიახ-მეთქი, ჩავიჩურჩულე მე.

— შემიძლია არც გითხრათ, რამდენს ნიშნავს ის გოგო ჩემთვის, — დასძინა მან, — თქვენც ხომ ნახეთ. მოვა დრო და ისიც მიხვდება...

მეც ვიმედოვნებ-მეთქი, შევაწყვეტინე. იმას სჯერაო ჩემი, ამოთქვა ჯიმმა, მერე კი ასე თქვა სულ სხვა ხმით, როდისღა ვნახავთო ერთმანეთს?

— არც არასდროს, თუ აქედან არ წამოხვალთ, — მივუგე და მზერა ავარიდე. თითქოსდა არც გაკვირვებია, ერთხანს გარინდებული იდგა.

— მშვიდობით მაშინ, — თქვა ცოტა ხნის მერე, — შეიძლება ასეც სჯობდეს.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ჩავჯექი ნავში, რომელიც მელოდებოდა ნაპირზე ცხვირით მოყრდნობილი. შხუნაზე იალქნები აღემართათ ქარის მიმართულებით, რწევა-რწევით იდგა მეწამული ფერის ზღვაზე, წითლად შეფერილიყო იალქნები. სამშობლოში მალე გაემგზავრებითო? მკითხა ჯიმმა, როგორც კი ნავში ჩავდგი ფეხი. ერთ წელიწადში, თუ ცოცხალი ვიქენი-მეთქი, მე მივუგე. ქვიშაზე გაიხრიალა ნავმა და ატივტივდა, ნიჩბები აღიმართა და ტლაშუნი მოადინა წყალზე, ერთხელ, ორჯერ... ნაპირზე მდგარმა ჯიმმა ხმამაღლა დაიძახა. ჩემგან გადაეცითო იმათ... ასე დაიწყო. მენიჩბეებს ვანიშნე, შეჩერდით-მეთქი და დავუცადე გაკვირვებულმა. ვის უნდა გადავცე? წყალში სანახევროდ ჩაყურყუმალავებული მზე მინათებოდა სახეზე, წითლად არეკლილიყო დამავალი სხივები იმის თვალებში, ჩუმად მიმზერდა... არაფერი... არაფერიო, თქვა მან და აიქნია ხელი, გასწითო. სანამ შხუნაზე არ ავედი, აღარ გამიხედავს ნაპირისაკენ.

მზე უკვე ჩასულიყო. ბინდი ჩამოწვა აღმოსავლეთით და შავად შეიფერა მთელი სანაპირო, რომელიც განუჭვრეტელ ბუნდ კედლად აღმართულიყო, თითქოსდა ციხე-სიმაგრეაო ღამის. დასავლეთი კი ოქროსფერ-მეწამულისფრად ავარვარებულიყო, ვეება, მრუმე ღრუბელი დაკიდებულიყო იქ და მუქნაცრისფერი ჩრდილი ჩამოეფინა წყალზე. ჯიმი დავინახე, თვალს არ აშორებდა მიმავალ შხუნას.

წამოვედი თუ არა, ის ორი ნახევრად ტიტველი მეთევზე წამოდგა, რაღა თქმა უნდა, თავიანთ აწეწილ-დაწეწილ, დუხჭირ და გაუხარებელ ცხოვრებას ავედრებდნენ თეთრ ლორდს და, რასაკვირველია, ისიც ყურს უგდებდა თანალმობით შეძრული, რადგან თავად იმისი ბედის ნაწილი იყო მათი ამბავი. იმ ბედისა, რომელსაც მიელტვოდა... იმათაც, მე ვფიქრობ, ბედი ჰქონიათ და, დარწმუნებული ვარ, არც გაუშვებდნენ ხელიდან. იმათი მუქფერი ტან-ფეხი მალე შეერია სიბნელეს, კარგა ხნის მერე კი იმათი მწესი და მშველელისაც. თავით ფეხამდე თეთრი იყო ჯიმი და ამიტომ ცხადლივ მოჩანდა, იმის უკან ის ციხე-სიმაგრე აღმართულიყო, იმის ფერხთით კი ზღვა განრთხმულიყო, ბედნიერი შემთხვევაც იმის გვერდით იმყოფებოდა... ისევ რიდეჩამოფარებული. თქვენ რაღას იტყვით? ისევ რიდეჩამოფარებული იყო? არ ვიცი. ის თეთრი ლანდი, სანაპიროსა და ზღვის მდუმარებაში მდგარი, თვალუწვდენელი იდუმა-

ლების შუაგული იყო ჩემთვის. ზეციდან დაშვებული ბინდბუნდი მალიად შემოევლო თავზე, მის ფეხქვეშ გაწოლილი ქვიშის ზოლიც ბინდმა შთანთქა, თავადაც ბალღივით ჩანდა უკვე, ეულ წერტილად, პაწაწინა თეთრ წერტილად, თითქოსდა სწორედ იმას მოეზიდა მთელი სინათლე, რაც დარჩენილიყო ამ ბინდით მოცულ სამყაროში... და უცებ გაქრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი 36

მარლოუმ ამ სიტყვებით დაასრულა თხრობა, მსმენელები წამოდგნენ და იმან ისინი დაბნეული, ჩაფიქრებული მზერით გააცილა. წყვილებად ან მარტო გამოვიდნენ, აღარ შეჩერებულან აივანზე, არც მოსმენილის შესახებ გაუგრძელებიათ ერთმანეთთან საუბარი, თითქოსდა ის დაუსრულებელი ამბავი და თავად მთხრობელის ხმის ინტონაციაც შეუძლებელს ხდიდა ყოველგვარ მსჯელობასა და კამათს. თითქოსდა თითოეულს თავად მიჰქონდა თავისი წილი შთაბეჭდილება რაღაც საიდუმლოს მსგავსად. იმ დამსწრეთაგან მხოლოდ ერთმა კაცმა შეიტყო ამ ამბის დასასრული. ორი წელიწადი იყო გასული ამის შემდეგ და უკვე სამშობლოში ჩასულს მიუვიდა სქელი კონვერტი, რომელზედაც მარლოუს წაეწერა მისამართი მაღალი და სწორკუთხა ასოებით.

ხოდა, ამ რჩეულმა კაცმა გახსნა წერილი, დახედა, შემდეგ დადო და ფანჯარასთან მივიდა. მაღალი შენობის ზედა სართულზე იყო მისი ოთახი და იმის წინ, კრიალა მინის მიღმა, მთელი არემიდამო ჩანდა, თითქოსდა შუქურას სარკმლიდან იმზირებოდა. სახურავები აპრიალებულიყვნენ, ხოლო ჩაბნელებული კიდეები და კუთხეები გაუსრულებლივ მიჯრილიყვნენ ერთი მეორის მიყოლებით ვითარცა ქუშად გარინდებული ტალღები, იმის ფერხთით კი ქალაქის სიღრმიდან მოისმოდა ბუნდი და გაუთავებელი გუგუნი. ეკლესიათა გუმბათები, აურაცხელნი, მიმოფანტულნი, აღმართულიყვნენ როგორც შუქურები მეჩეჩებს შორის; წვიმის წვეთები შერთვოდნენ ზამთრის საღამოს ბინდს, ეება საათმა დაჰკრა კოშკზე, მჭახედ, მძლავრად, ამაზრზენად შეძრა ჰაერი და გაილია. მძიმე ფარდა ჩამოუშვა იმ კაცმა.

ხეებში ჩამალული ტბორივით ჩასძინებოდა მოჩრდილული ლამპის შუქს, ნოხს ჩაეხშო იმისი ნაბიჯების ხმა, გასრულებულიყო ჟამი მისი ხეტიალისა. სადღა იყო იმედივით უსასრულო ჰორიზონტები, სადღა იყო ტყეში დავანებული მქრქალი ნათელი, ზარზეიმური ვითარცა ტაძრებში, მთებს იქით, ტალღების მიღმა მარადჟამ აღმოუჩენელი ქვეყნების ძიებაც დასრულებულიყო, საათმა დაჰკრა! მორჩა, გათავდა! მორჩა, გათავდა!.. მაგრამ ლამპის ქვეშ გადაშლილმა იმ წერილმა დაუბრუნა ხმები, ხილვები, წარსულის სურნელება, მიმქრალი სახეების ტევრი, შორეული ზღვების სანაპიროზე მწველი და ვნების ამშლელი მცხუნვარე მზის ქვეშ გაგონილი ხმები მოეახლა და ჩაქვდა. ამოიოხრა და წასაკითხავად დაჯდა.

სამი განცალკევებული ხელნაწერი დაინახა ჯერ. მრავალი ფურცელი ასოებით გადაშავებული და ერთად შეკრული; ფართო, ოთხკუთხა, მონაცრისფრო ქაღალდი, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა ეწერა უცხო ხელით, და მარლოუს ახსნა-განმარტებითი წერილი, საიდანაც გადმოუვარდა კიდევ ერთი ბარათი, დრო-ჟამისგან გაყვითლებული და კიდეებგაცრეცილი. ეს ბარათი გვერდზე გადადო და მარლოუს წერილს მიუბრუნდა, სწრაფად გადაიკითხა პირველი სტრიქონები და ნებისყოფას მოუხმო, რათა ნელა განეგრძო კითხვა, ასე ფეხ-

აკრეფილი და თვალებდაცეცებული უახლოვდება კაცი ჯერარნახულ ქვეყანას.

„...არა მგონია, არ გახსოვდეთ, — ჩაჰკირკიტებდა ის წერილს, — მხოლოდ თქვენ ერთმა გამოიჩინეთ გულისყური იმ ყმაწვილკაცისადმი, ამიტომაც გწერთ მის შესახებ, თუმცა მახსოვს, არ დამეთანხმეთ, მისი ბედი მის ხელთ არის-მეთქი, რომ გითხარით. მარცხი უწინასწარმეტყველეთ, თქვენც [illegible] მობეზრებოდა და შეზიზღებოდა მოპოვებული დიდება, თავის თავზე [illegible] მოვალეობა, სიყვარული, რომელსაც ესაძირკვლებოდა სიბრალული და სიყმაწვილე. თქვენ მაშინ თქვით, რომ ძალიან კარგად გესმით „ასეთი ამბები", რასაც თანა სდევს მოჩვენებითი კმაყოფილება და უცილობელი იმედგაცრუება. თქვენ თქვით — თუ გახსოვთ — რომ „იმათთვის სიცოცხლის მიძღვნა („იმათთვის" გულისხმობდა კაცობრიობის ნაწილს, ყავისფერ, ყვითელ და შავკანიანებს) და მხეცისთვის სულის მიყიდვა ერთია". თქვენი აზრით, „ასეთი ამბები" მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გასაგები და კარგა ხანს გასტანოს, როდესაც მისი საფუძველია ჩვენი საკუთარი მტკიცე რასობრივი რწმენა, რომლის სახელითაც მკვიდრდება წესრიგი და ზნეობა ეთიკური პროგრესისა. „ჩვენ გვჭირდება ეს ძალა, — ასე ბრძანეთ თქვენ, — ჩვენ გვჭირდება რწმენა ამ იდეების აუცილებლობისა და სამართლიანობისა, რათა ღირსეულად და შეგნებულად გავწიროთ ჩვენი სიცოცხლე. უამისოდ ესაა მხოლოდ დავიწყება, ასეთი მსხვერპლად შეწირვა არაფრითაა უკეთესი დაღუპვაზე." სხვანაირად რომ ვთქვათ, თქვენ მიმტკიცებდით, რომ რიგითი მებრძოლები უნდა ვიყოთ, თუ არადა ჩირადაც არ ღირს ჩვენი სიცოცხლე. შეიძლება! თქვენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს — პირდაპირ გეუბნებით — თქვენ ხომ ერთხელ თუ ორჯერ ისეთ მივარდნილ ადგილას იყავით და ისე კარგადაც გამოაღწიეთ იქიდან, რომ ფეხიც არ აგრევიათ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჯიმისთვის თავიდათავი მთელი კაცობრიობა კი არა, საკუთარი თავი იყო და საკითხავი ის არის, ბოლოს და ბოლოს ხომ არ მოუპოვებია მას უფრო დიდი რწმენა, ვიდრე ესაა კანონები წესრიგისა და პროგრესისა.

მტკიცებით არც არაფერს ვამტკიცებ. იქნებ თვითონვე შეგექმნათ საკუთარი აზრი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ. დიდი სიმართლეა, რაც უნდა იყოს, ამ ჩვეულებრივ სიტყვაში: „ამოუცნობი". შეუძლებელია ნათლად გარჩევა იმ ყმაწვილკაცისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვათა თვალით უნდა შევხედოთ მას. უყოყმანოდ მინდა გაცნობოთ ყველაფერი, რაც კი ვიცი იმ უკანასკნელი ეპიზოდის შესახებ, რომელიც, როგორც ის იტყოდა, „გადახდენია თავს". ვინ იცის, შეიძლება სწორედ ეს იყო ის ღირსშესანიშნავი შემთხვევა, უკანასკნელი და შესაფერისი გამოცდა, რომელსაც, ასე მგონია, სულ მუდამ ელოდა, რათა შემდგომ ამისა გაეგზავნა ჩარჩოში ჩასმული ცნობა უმწიკვლო ქვეყნიერებისადმი. თქვენ გახსოვთ, იქიდან რომ მოვდიოდი, სულ ბოლო წუთს იმან მკითხა, მალე თუ მოინახულებთო სამშობლოს, და უცებ ყვირილი დამადევნა. იმათ უთხარითო!.. ველოდებოდი, გაკვირვებული და იმედიანიც, და ესლა გავიგონე: არა, არაფერიო, ხოდა, სულ ეს იყო, მეტი არც არაფერი იქნება, არც რამე ცნობა გარდა იმისა, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია გადმოთარგმნოს ფაქტების ენიდან, რაც ხშირად უფროა იდუმალებით ცხებული, ვიდრე სიტყვათა ურთულესი შეკავშირება. თუმცა, მართალი თუ გნებავთ, კიდევ ერთხელ სცადა გამოეთქვა თავისი ხვაშიადი, მაგრამ ვერ მოახერხა, დახედავთ ამ მონაცრისფრო ფურცელს და მიხვდებით. წერა უცდია. თუ ამჩნევთ ამ ჩვეულებრივ ხელს? ზარათს აწერია: „ფორტი, პატუსანი". მგონია,

თავისი სახლის გამაგრება გადაუწყვეტია და კიდევაც შეუსრულებია ეს განზრახვა. ჩინებული გეგმა ჰქონია: ღრმა თხრილი, მიწაყრილი და მესერი, კუთხეებში კი ზარბაზნები; სახლი დაცული იყო ყოველი მხრით. დორამინს მიეცა მისთვის ის ზარბაზნები. ასე რომ, ყოველმა კაცმა იმისი პარტიიდან იცოდა, რომ იყო საიმედო ადგილი, სადაც უეცარი საშიშროების [illegible] ერთგულსა და მომხრეს შეეძლო თავი შეეფარებინა. ყველაფერი ეს ეფუძნებოდა სწორ ალღოსა და იმ ყმაწვილკაცის მომავლის რწმენას, ვისაც ის „ჩემს ხალხს" ეძახდა — შერიფის ტყვეობიდან განთავისუფლებულებს — იმათ უნდა აეღოთ მიწა პატუსანში, ჩაედგათ ქოხები მისი ციხესიმაგრის გარშემო. ხოლა, ამ ციხესიმაგრეში ის იქნებოდა თავისი თავის ბატონ-პატრონი. „ფორტი, პატუსანი", უთარიღოა ეს ფურცელი, თქვენ ხედავთ. ვის რად სჭირდება აღნიშნვა დღისა და რიცხვის? შეუძლებელია იმის მიხვედრაც, ვისთვის უნდოდა მიემართა, როდესაც კალამს იღებდა ხელში. შტაინისთვის.., ჩემთვის... მთელი ქვეყნისთვის... ან იქნებ ეს იყო ამაო და შიშნეული ძახილი თავის ბედთან პირისპირ დარჩენილი მარტოსული კაცისა? „საშინელი ამბავი მოხდა", დაუწერია მას, სანამ პირველად დააგდებდა კალამს; შეხედეთ ამ სიტყვების ქვეშ ისრის წვერივით წამახულ მელნის ლაქას.. ცოტა ხნის მერე ისევ უცდია წერა და ტყვიასავით დამძიმებული ხელით შემდგომი სტრიქონი დაუჯღაბნია: „ახლავე უნდა..." კალამი ისევ დღაბნიდა და ამჯერად აღარ გაუგრძელებია წერა. სულ ეს არის, უფსკრულოვანი დაუნახავს — ვერა თვალი, ვერა ხმა გადასწვდებოდა იმას. კი შემიძლია ამის მიხვედრა. შეძრული იყო რაღაც გამოუცნობით; შეძრული იყო თავისივე პიროვნებით — ჯილდოთი იმ ბედისწერისა, რომლის დაუფლებასაც ასე ცდილობდა.

კიდევ ერთ წერილს გიგზავნით, ძალიან ძველ წერილს. საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული საწერი მოწყობილობის ყუთში. მამას გამოუგზავნია იმისათვის, თარიღის მეშვეობით ვგებულობთ, რომ „პატნაზე" მისვლამდე რამდენიმე დღით ადრე მიუღია. სამშობლოდან გამოგზავნილი უკანასკნელი წერილი უნდა ყოფილიყო. მთელი ეს წლები ინახავდა ამ განძს. ის კეთილი მოხუცი მღვდელი ალმერთებდა თავის მეზღვაურ ვაჟიშვილს. გადავათვალიერე, თავიდან ბოლომდე ამ გრძნობის გამოხატულება იყო და მეტი არაფერი. ის ამცნობს თავის „ძვირფას ჯეიმზს", შენი ის უკანასკნელი დიდი წერილი „გულწრფელი და საინტერესო" იყოო. მამას არ უნდოდა, რომ ის „ადამიანის შეფასებაში აჩქარებულიყო და სიმკაცრე გამოეჩინა". ჩვეულებრივ რჩევა-დარიგებას და ოჯახურ ამბებს გადმოგვცემდა ეს ოთხი ფურცელი. ტომი „მღვდლად იკურთხა". კერის ქმარმა „დიდი ზარალი ნახა". იმ მოხუცი კაცის წერილი ერთი აზრით იყო გამთბარი, სჯეროდა განგების და სამყაროსეული ოდინდელი წესრიგის, თუმცა კი ცხოვლად ეხმაურებოდა მცირეოდენ საშიშროებასა და მცირეოდენ წყალობასაც. თითქოსდა კიდევაც ხედავდა იმას: „ჭაღაროსანი, ნათელი გაღასდის სახეზე, ზის იმ თავის მყუდრო სამუშაო ოთახში, გახუნებულ კედლებს შორის, წიგნების გარემოცვაში, სადაც ორმოცი წელიწადია კეთილსინდისიერად მისცემია მარტივ ფიქრებს რწმენასა და ღირსებაზე, ცხოვრების წესსა და სიკვდილის გარდუვალობაზე; სწორედ აქ დაუწერია თავისი ქადაგებანი, სწორედ აქედან ესაუბრებოდა თავის ბიჭს, სადღაც, ქვეყნის დასალიერში მყოფს. მაგრამ მანძილი რა მოსატანია? ღირსება ერთია ქვეყნად, ასევე ერთია რწმენა, ცხოვრების წესი და ღირსეული სიკვდილიც. იმედი აქვს რომ იმისი „ძვირფასი ჯეიმზი" არც არასდროს დაივიწყებს იმას, „ერთხელ

აყოლილი ცდუნებას ვაითუ სულაც გაირყვნას და დაიღუპოს კაცი საბოლოოდ. ამიტომ, კარგად უნდა გახსოვდეს, რა მიზეზიც არ უნდა გქონდეს, ნუ იზამ იმას, რაც შენი აზრით, უკეთურებაა“. შემდეგ რამდენიმე სიტყვა იყო საყვარელ ძაღლსა და პონიზე: „ყველა ბიჭუნას რომ დაგასეირნებდათ“, ის ცხენი იმდენად დაბერებულიყო, რომ თოფით მოკლეს. უფალმა შეგიწყალოსო, ასე დასძენს ის ბერიკაცი. სიყვარულით გახსენებენო დედა და დები... აი, რა იყო ნათქვამი იმ გაქექილ, გაყვითლებულ წერილში, მისი სათუთი ხელიდან რომ გადმოფრთხიალდა ამდენი წლის შემდეგ. ჯიმს პასუხი არ გაუგზავნია, მაგრამ ვინ იცის, რა სიტყვებით მიმართავდა ის იმ მშვიდ, ფერმკრთალ მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც დედამიწის იმ კუთხის მკვიდრნი არიან, სადაც არც საშიშროებაა და არც დავიდარაბა, ისე, როგორც საფლავში, ჰაერიც აქ შეურყვნელი ზნეობითაა გაჯერებული. გასაოცარიცაა, როგორ უცხოვრია იქ იმას, ვისაც ამდენი რამ „გადახდა თავს“. იმათ კი არც არაფერი გადახდენიათ, არც არასდროს გადაყრიან მოულოდნელ საფრთხესა და არც არასდროს დაპირისპირებიან ბედისწერას. ყველანი ესენი აქ არიან, წარმოჩენილნი მამის საამური საუბრით, ყველანი, ძმები და დები, იმისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, ნათელი, გულუბრყვილო თვალებით რომ იმზირებიან, და მე თითქოსდა ვხედავ იმ ყმაწვილკაცს, როგორც იქნა დაბრუნებულს. და ის მოჩანს არა როგორც თეთრი წერტილი საიდუმლოს წიაღ, არამედ ასვეტილი აუმღვრეველ სახეებს შორის, შეუვალი რომანტიკოსი, სულ მუდამ ჩუმი და პირქუში.

ამ ამბის გასრულება შეგიძლიათ ამოიკითხოთ კონვერტში ჩადებულ რამდენიმე ფურცელზე. თქვენ დამეთანხმებით, ეს ამბავი ისე რომანტიულია, რომ ჯიმი ვერც კი წარმოიდგენდა თუნდაც მთლად შლეგურ ოცნებებში თავისი ბიჭობის ხანს. და ამავე დროს, ჩემი აზრით, გარკვეული სიღრმე და შემაძრწუნებელი ლოგიკა ჩანს ამაში, თითქოსდა ჩვენს წარმოდგენასღა შეუძლია წარმოგვიჩინოს მეუფება ყოვლისშემძლე ბედისწერისა. ფიქრებს სადავეს თუ მივუშვებთ, ჩვენვე დაგვიბრუნდება უკან, ცეცხლთან მოთამაშეს უნდა ახსოვდეს, ცეცხლისგანვე დაიღუპება. ეს გასაოცარი თავგადასავალი, იმდენად გასაოცარი, რამდენადაც მართალი, გარდუვალ შედეგს წარმოადგენს. რაღაც იმდაგვარი კი უნდა მომხდარიყო; იმეორებთ ამას და გიკვირთ, როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს ჩვენს დროს, მაგრამ მოსახდენი მოხდა და მისი ლოგიკურობა არცაა სადავო.

ისე გიამბობთ, თითქოსდა თავად ვყოფილიყავი მხილველი ამ უკანასკნელი ამბებისა, თანამიმდევრული არ იქნება ჩემი თხრობა, მაგრამ ერთმანეთს ისე დავუკავშირე ნაწილები, რომ კი უნდა იყოს ყველაფერი გასაგები. ნეტავი ვიცოდე, თავად კი როგორ მოყვებოდა ამას. ჩემთვის იმდენი აქვს მოთხრობილი, რომ ხანდახან ასე მგონია, სადაცაა შემოვა ჩემსას და თავისებურად მომიყვება, უდარდელი და შთამბეჭდავი ხმით, ჩქარ-ჩქარა, მცირეოდნავ შეშფოთებული, მცირეოდნავ ნაწყენი, მცირეოდნავ შეჭირვებული, თუმცა ზოგჯერ ჩაურთავს ისეთ სიტყვებსა და წინადადებებს, რომ ცხადლივ გვამცნობს თავის მეობას, მაგრამ მაინც ვერც ვერასდროს შევძლებთ რაიმეს გარკვევას. ძნელი დასაჯერებელია, რომ ის აღარასოდეს მოვა. ვერც ვერასდროს გავიგონებ იმის ხმას, ვერც ვერასდროს ვნახავ იმის შერუჯულ ვარდისფერ სახეს, შუბლზე თეთრი ზოლით, მის ბავშვურ თვალებს, უძირო ცისფერს, ჟამჟამად მღელვარებისაგან ჩამუქებულს.

## თავი 37

ყველაფერი ეს დაიწყო ერთი კაცის გმირობით, გვარად ბრაუნისა, რომელმაც იყოჩაღა და ზამბოანგის ყურედან ესპანური შხუნა მოიტაცა. სანამ თავად არ ვნახე, სრული წარმოდგენა არც მქონდა ამ ჯილდოზე. სულ მოულოდნელად გადავეყარე იმას რამდენიმე საათით ადრე, ვი[illegible]ებდა თავის მედიდურ სულს. საბედნიეროდ იმდენი ძალა და [illegible] ჰქონდა, რომ ასთმური შეტევის შუალედებში, მთელი სხეულით აკანკალებული ბოროტად აღფრთოვანებულიყო ჯიმის ხსენებაზე. დიდად ახარებდა ის აზრი, რომ „ბოლოს კი მიეზღო, რისი ღირსიც იყო ის გლახა“. აღდგომა დღე გათენებოდა ამ საქმის მქნელს. როგორმე უნდა გამეძლო იმის ჩაცვივნული, სასტიკი, ნაოჭებით გარშემორტყმული თვალების ბრწყინვისათვის, ისე ვერც ვერაფერს გავიგებდი; ხოდა, ვუძლებდი და ვფიქრობდი, ხშირად სიავკაცე სიგიჟის ტოლიამეთქი. უკიდურესი ეგოიზმი ესაძირკვლება ამას, ჟინიანობა და სხვისთვის ვნების მიყენების სურვილი ასაზრდოებს, რაც სულს სიმშვიდეს უკარგავს, ხოლო სხეულს მოჩვენებით ძალას მატებს. ამ ამბავში, აგრეთვე, კორნელიუსის საცხადო მზაკვრობა ჩანს, ნასაზრდოები მდაბალი და გაულეველი ზიზღით, კარგადაც მოუხერხებია, ისე წარმართულიყო შურისძიება, როგორც სურდა.

— შევხედე იმას და იმ წუთას მივხვდი, რა სულელიც ბრძანდებოდა, — სუნთქვა ეკვროდა მომაკვდავ ბრაუნს, — ეგეც კაცი იყო რაღა! ჯანდაბას! თვალთმაქცობაში ვერავინ შეედრებოდა. ხომ შეეძლო პირდაპირ ეთქვა, თავი დამანებე, ეს ჩემი ნადავლიაო! დასწყევლოს! ნაღდი კაცი ასე იზამდა! ეგ სულწაწყმედილი! იმის ხელში ვიყავი, მაგრამ ვაჟკაცობა არ ეყო ჩემს მოსაკლავად. არა! ისე გამიშვა, ვითომც არაფერი!., — ბრაუნი მძიმედ სუნთქავდა. — ფლიდი... გამიშვა... და კიდევაც მოვუღე ბოლო, — ისევ შეეკრა სუნთქვა. — ვიცი, დიდი დღე არ მიწერია, მაგრამ გულმშვიდად ვკვდები. თქვენ.., გესმით... თქვენი სახელი არ ვიცი... ხუთ გირვანქა სტერლინგსაც მოგცემდით, რომ...რომ მქონდესმეთქი... ამ ახალი ამბისთვის... თუ არადა მე ბრაუნი არა მრქმევია... — საზარლად ჩაიცინა, — ჯენტლმენი ბრაუნი.

ამბობდა ამას და სული ეხუთებოდა, ჩაყვითლებული, გადმოკარკლული თვალებით მომჩერებოდა, სახე ჰქონდა განაწამები, მოყავისფრო-მოგრძო, მარცხენა ხელს იქნევდა, ჰალარაშერეული, აბურდული წვერი ლამის მუხლებამდე სცემდა, ჭუჭყიანი, დახეული საბანი ეხურა ფეხებზე. ბანგკოკში მივაკვლიე იმას იმ მოუსვენარი შომბერგის, სასტუმროს პატრონის მეშვეობით, გამანდო, სადაც შეიძლებოდა იმისი ნახვა. ვიღაც შარახვეტიას და ლოთს, თეთრ კაცს, ვინც აქაურ მკვიდრთა შორის ცხოვრობდა სიამელ ქალთან ერთად, დიდ პატივად მიუჩნევია უკანასკნელი თავშესაფარი მიეცა სახელგანთქმულ ჯენტლმენ ბრაუნისთვის. სანამ იგი სულთმობრძავი მელაპარაკებოდა იმ თავის გაზინზლულ ოთახში, ის სიამელი ქალი, ვეებერთელა შიშველფეხებიანი, ბრიყვული, უხეში სახით, ბნელ კუთხეში მოკალათებულიყო და გაუთავებლივ ბეტელს ღეჭავდა. ხანდახან წამოდგებოდა და კართან მოსულ ქათმებს დაუქშევდა. მთელი ეს ქოხი ზანზარებდა, როცა ის დადიოდა. აქვე იყო გონჯი, ჩაყვითლებული ბალღი, შიშველ-ტიტველი, მუცელგამობერილი. პაწაწინა წარმართული კერპის დარი, საწოლის ფეხთით მდგარი, თითი ბოლომდე პირში ჩაედო და წყნარად უმზერდა მომაკვდავს.

წამოგზნებული ლაპარაკობდა ეს კაცი, ხანდახან უცებ სიტყვას გაწყვე-

ტდა, თითქოსდა ვიღაცის უჩინარი ხელი ყელში სწვდაო, და მომაჩერდებოდა უხმოდ, ეჭვითა და შეშფოთებით, თითქოს შიშობდა, ვაითუ წავსულიყავი, ვეღარ გაესრულებინა თხრობა და გამოუთქმელი დარჩენოდა თავისი ბრიყვული აღფრთოვანებაო. მგონია, იმავე ღამეს მომკვდარა, მაგრამ მე უკვე ყველაფერი ვიცოდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა ამჯერად თავი დავანებოთ იმ ბრაუნს.

ამ ამბამდე რვა თვით ადრე სამარანგში ჩავედი და ჩვეულებისამებრ შტაინს მოვინახულე. აივანზე რომელიც ბაღს გადაჰყურებდა, ერთი მალაელი ვნახე, შინაურულად მომესალმა. გამახსენდა, პატუსანში მყავდა ნანახი, ჯიმის სახლში, სხვა ბუგელებთან ერთად მოდიოდა იქ სალამოობით, ისხდნენ და თავიანთ საომარ ამბებს იკვეხნიდნენ, თან სახელმწიფო საქმეებზე მსჯელობდნენ. ჯიმმა ერთხელ მიჩვენა ეს კაცი და მითხრა, პატივცემული ვაჭარია, ნავების მფლობელიო. იმას თურმე „თავი უსახელებია ციხე-სიმაგრის აღებისას“. ძალიან არც გამკვირვებია იმისი ნახვა, რადგან სამარანგში მომავალი პატუსანელი ვაჭრები წესისამებრ შტაინისას შეივლიდნენ ხოლმე. მივესალმე და სახლში შევედი. შტაინის ოთახის კართან სხვა მალაელს გადავაწყდი, ტამბ იტამი იყო.

იმწამსვე ვკითხე, აქ რასა შვრები-მეთქი; თავში გამიელვა, იქნება ჯიმი იყოს-მეთქი ჩამოსული სტუმრად. უნდა გითხრათ, ფრიად გამახარა და ამაღელვა ამ აზრმა. ტამბ იტამმა ისე შემომხედა, თითქოს არც იცოდა რა ეთქვა. ტუან ჯიმია ამ ოთახში-მეთქი? მოუთმენლად შევეკითხე. „არა, — ძლივს ამოთქვა იმან და თავი ჩაქინდრა, მერე უცებ წამოენთო, — იმას არ უნდოდა ბრძოლა“ ორჯერ გაიმეორა. ეტყობა, მეტის თქმა არ შეეძლო, იქით მივწიე და ოთახში შევედი.

შტაინი, მაღალ-მაღალი და წელში მოხრილი, მარტო იდგა იმ თავისი პეპლების ყუთებს შორის. ოჰ! თქვენ ხართ, ჩემო მეგობარო? მომაძახა იმან, სევდიანად მომჩერებოდა სათვალეებიდან. მუქფერი ალპაგის პალტო, ფოლაქებშეუკრავი, მუხლებამდე სცემდა. პანამა ქუდი ეხურა თავზე. ღრმა ნაოჭები დამჩნეოდა ფერმკრთალ სახეზე. რა მოხდა? ვკითხე შეშფოთებულმა, ტამბ იტამი აქ რამ ჩამოიყვანა-მეთქი... წამოდით და ის გოგო ნახეთ, წამოდით და ის გოგო ნახეთ, აქ არისო... თქვა მან და ფაცაფუცით გასვლა დააპირა. ვცადე შემეჩერებინა, მაგრამ დადუმებულიყო და ჩემს მღელვარე შეკითხვებს არც უგდებდა ყურს. ის აქ არის, ის აქ არისო, იმეორებდა შეჩქვიფებული, სულ ორი დღეა, რაც ჩამოვიდა, ჩემისთანა ბერიკაცს, უცხოს — Sehen Sie — რა შეუძლია... წამოდით... ყმაწვილ გულს პატიება არ ძალუძსო... ვხედავდი, დიდად შეწუხებულიყო. სიცოცხლის ძალა იმათშია, სასტიკი ძალა სიცოცხლისო, ასე ლუღლუღებდა და წინ მიმიძღოდა. მივყვებოდი გულმოკლული და შეშფოთებული. სასტუმრო დარბაზის კართან გამაჩერა. „იმ ყმაწვილკაცს ძალიან უყვარდა ეს გოგო“, — თქვა მან კითხვის კილოთი და მე თავი დავუკარი, სასოწარკვეთილებამ ჭკუა დამაკარგვინა, ხმა ვეღარ ამოვიღე... „საშინელებაა, — ჩაიჩურჩულა მან, — ამ გოგოს ჩემი არ ესმის. მისთვის მე მხოლოდ უცხო ბერიკაცი ვარ. შეიძლება თქვენ... ის ხომ გიცნობთ. დაელაპარაკეთ. ასეთ დღეში როგორ უნდა დავტოვოთ უთხარით აპატიოს. რა საშინელებაა“. თქმა არ უნდა, მივუგე მე, გაგულისებული ვიყავი ამ ბნელში ხელის ფათურით, თქვენ კი აპატიეთ-მეთქი? რაღაც უცნაურად შემომხედა. ახლა კი

გაიგებთო, მითხრა მან და კარი გააღო, სწორედაც ხელი მკრა და ისე შემაგდო.

თქვენ იცით, შტაინის სახლი დიდია, ორი ვეებერთელა მისაღებით. იქ არავინ ცხოვრობდა და არც იყო გამოსადეგი საცხოვრებლად. სუფთა, უკაცრიელი ოთახები იყო, პრიალა ავეჯით სავსე, თითქოსდა ამ ავეჯზე არც მოხვედრიათ ადამიანის თვალი. ძლიერ სიცხეშიაც აქ სიგრილე იყო და შემოსულს მიწისქვეშა გვირაბში ეგონებოდა თავი. ერთი ოთახი გავიარე და მეორეში შევედი, გოგო დავინახე წითელი ხის დიდი მაგიდის ბოლოში მჯდომარე. ზედ ჩამოედო თავი და ხელებით სახე დაეფარა. მქრქალად მოჩანდა იმისი ანარეკლი გაპრიალებულ იატაკზე, ვითარცა ყინულზე. ჩამოშვებული იყო ლერწმის შტორები და უცნაური ბუნდი მწვანე ნათება შემოდიოდა ხეთა ტევრიდან. ძლიერი ქარი იჭრებოდა აქ ხანდახან და ფრთხიალი გაჰქონდათ კარ-ფანჯრების გრძელ ფარდებს. თითქოსდა თოვლისა იყო ის გოგო; თეთრფეროვანი მბრწყინავი ლოლუებივით წკარუნობდა იმის თავს ზემოთ ვეებერთელა ბროლის ჭაღი. თავი ასწია და გამომხედა. შემამცივნა; თითქოსდა ეს დიდი დარბაზი სუსხიანი თავშესაფარი იყო სასოწარკვეთილებისა.

მაშინვე მიცნო. შევჩერდი თუ არა, ასე მითხრა წყნარად: „იმან მიმატოვა. თქვენ ყველანი გვტოვებთ. თქვენთვის თქვენივე მიზნებია მთავარი". სახე გალეოდა, თითქოსდა მთელი ძალა სიცოცხლისა იმისი გულის რომელიღაც მიუდგომელ კუნჭულში ჩაბუდებულიყო.

— იმასთან ერთად მაინც მოვმკვდარიყავი, — განაგრძო მან, ქანცგამოცლილმა ხელი ჩაიქნია, თითქოსდა რაღაც გაუგებარის, შეუცნობლის მოსაცილებლად, — მაგრამ არ მოინდომა! დაბრმავებულივით იყო... მე კი სულ ველაპარაკებოდი, თავს არ ვანებებდი, სულ მის წინ ვტრიალებდი, ისიც სულ მე მიმზერდა! პოი! სასტიკნი, ვერაგნი ხართ, ცრუ და უწყალონი, ასე რამ გაგაბოროტათ? ან იქნებ გიჟები ხართ სულაც?

ხელი მოვუჭირე ხელზე, იმას არ უპასუხია, გავუშვი და უღონოდ ჩამოუვარდა. იმისი ასეთი გულცივობა, უფრორე შემაძრწუნებელი, ვიდრე ცრემლები, კივილი და საყვედური, თითქოსდა უარყოფდა დროსა და ნუგეშისცემას. გრძნობდით, რაც არ უნდა გეთქვათ, ამ ჩუმ და გარინდებულ ტანჯვა-ვაებაში ვერ შეაღწევდა.

შტაინმა თქვა, ყველაფერს გაიგებთო. გავიგე. გავიგე ყველაფერი. გაოცებული, თავზარდაცემული ყურს ვუგდებდი იმის მკაცრ, მოღლილ თხრობას. მიამბობდა და ვერ მიეკვლია ჭეშმარიტებისათვის, შემებრალა ისიც და ის ყმაწვილკაციც. კიდევ კარგა ხანს ვიდექი გაქვავებული, თხრობა რომ დაამთავრა. ხელზე დაყრდნობილი, თვალებგამოლამებული იყურებოდა, ხანდახან ქარი შემოიჭრებოდა ამ მომწვანო ბინდში და აწკარუნდებოდა ჭაღი. თითქოსდა თავის თავს ეჩურჩულებოდა გოგო:

— სულ მე მიმზერდა! ჩემს სახეს ხედავდა, ჩემი ხმა ესმოდა, ჩემი ვარამი! მის ფერხთით რომ ვიჯექი იმის მუხლზე მიყრდნობილი და ის თავზე მადებდა ხელს, ჯერ კიდევ მაშინ ჩაბუდებულიყო იმის გულში უწყალობა და სიშლეგე, თავისი დროის დადგომის მომლოდინე. ხოდა, ის დროც დადგა!.. მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და მაინც ველარ მხედავდა... დაბრმავებულიყო, დაყრუებულიყო, შეუბრალებელი შექმნილიყო, თქვენ ყველანი ასეთი ხართ. ვერა, მე იმას ვერ დავიტირებ, ვერასდროს, ვერასდროს-მეთქი. ერთ ცრემლსაც ვერ გადმოვაგდებ, ვერა. ისე წავიდა ჩემგან, თითქოსდა სიკვდილზე უა-

რესი ვყოფილიყავი. ისე გაიქცა, თითქოსდა წყევლა-კრულვა დასდევნებოდა, სიზმარში გაგონილი..

თვალდაუხამხამებლად იდგა, თითქოსდა იმ ყმაწვილკაცის სახის მძერწველი, იმისი მკლავებიდან რომ წარეტაცნა რაღაც სიზმარეულ ძალას. ხმის ამოუღებლად თავი დავუკარი, არც კი შეტოკებულა. საჩქაროდ გამოვედი.

იმ დღეს კიდევ შევხვდი, ნაშუადღევს. მასთან საუბრის შემდეგ მინდოდა შტაინი მენახა, მაგრამ სადღაც წასულიყო. საშინელი ფიქრებით მოცული ბაღში გავედი სახეტიალოდ, შტაინის დიდებულ ბაღში, ტროპიკული ქვეყნების რა მცენარესა და რა ხეს არ ნახავდით აქ. ნაკადულს ჩავუყევი და კარგა ხანს ჩრდილში ვიჯექი ხელოვნური ტბორის სიახლოვეს, სადაც ფრთებშეჭრილი წყლის ფრინველები ყვინთავდნენ და შხეფებს ისროდნენ აქეთ-იქით. შრიალი გაჰქონდა ჩემ უკან კაზუარინის ხის ტოტებს და ფიჭვნარის ხმაურს მომაგონებდა ჩემს სამშობლოში.

ეს სევდის მომგვრელი და შფოთსავსე შარიშური კარგად ეხმიანებოდა ჩემს ფიქრებს. იმ გოგომ მითხრა, რაღაც სიზმარეულმა ძალამ წარმტაცაო იგი — ვერაფერი ვუპასუხე — როგორც ჩანს, არ იქნებოდა პატიება ასეთი დანაშაულისა. თუმცა თავად კაცობრიობას ბრმად არა სწამს თავისი რაღაც სიზმარეული ზეობისა და ძალამოსილებისა, რომელსაც კიდევაც მიჰყავს ის ზომაგადასული სისასტიკისა და ზომაგადასული ერთგულების მოშავბნელებულ ბილიკებზე? ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტების ძიება რაღაა?

წამოვდექი, უკან უნდა წამოვსულიყავი, როდესაც შტაინის პალტოს მოვკარი თვალი მცენარეების ტევრში და სულ მალე, ბილიკზე რომ გავუხვიე, შევხვდი კიდევაც იმასა და გოგოს. პაწაწინა ხელი მკლავში გამოედო მოხუცი კაცისთვის და გვერდზე მოჰყვებოდა. ფართოფარფლიანი პანამა ქუდი ეხურა შტაინს და გოგოს ჩამოსცქეროდა, ჭაღაროსანი, მამობრივად, გულთბილად და რაინდული მოწიწებით. გვერდზე მივდექი, ისინი ჩემ პირდაპირ შედგნენ. შტაინი თავის ფეხებთან მიწას ჩასცქეროდა, გოგო კი, ტანსარო და ჰაეროვანი, პირქუშად იმზირებოდა შავ-შავი, ნათელი და უძრავი თვალებით სადღაც ჩემ უკან. Schrecklich, ჩაიჩურჩულა შტაინმა, საშინელებაა! საშინელებაა! რა ქნას კაცმა? მგონია, შველას მთხოვდა იგი, მაგრამ გოგოს სინორჩე და მთელი მომავალი ცხოვრება უფრო საჭიროებდა შველას; და უცებ მივხვდი, თუმცა სათქმელი აღარაფერი მქონდა, გოგოს გულისთვის მაინც უნდა დამეცვა ის ყმაწვილკაცი. კი უნდა აპატიოთ-მეთქი, ასე დავასრულე ბოლოს ჩემი სიტყვა და მომეჩვენა, რომ ჩემი ხმა ჩაიხშო, ჩაიკარგა უგრძნობელ ყრუ სივრცეში. ჩვენ ყველას გვჭირდება პატიება-მეთქი, დავსძინე მე ცოტა ხნის მერე.

— მე კი რა ვქენი? — ძლივს ამოთქვა იმან.

— თქვენ არასდროს არ გჯეროდათ მისი,— მე მივუგე.

— ისეთივე იყო როგორც სხვები, — ნელა წარმოთქვა მან.

— ის სხვებს არა ჰგავდა, — ვუთხარი მე, მაგრამ იმან ისევ განაგრძო, თანაბარი და ცივი ხმით: მატყუარა იყოო. უცებ შტაინმა გააწყვეტინა. არა! არა! არა! ჩემო საბრალო ბალღოო!.. მის მკლავზე ჩამოდებულ ხელს ხელი გადაუსვა. არა! არა! მატყუარა არ იყო! მართალი იყოო! მართალი! მართალიო! სცადა იმ გოგოს გაქვავებული სახისთვის შეეხედა.

— თქვენ ვერა ხვდებით, ჰაი! რად ვერ ხვდებით?.. საშინელებაა, — მე მომიბრუნდა, — მოვა დრო და მიხვდება.

— თქვენ აუხსენით? — ვკითხე მე და დავაცქერდი. გზა განაგრძეს.

გავყურებდი იმათ. ბილიკს მიხვეტავდა იმისი კაბის კალთები, გაშლილი ჰქონდა შავი თმა. წელგამართული მსუბუქად მიაბიჯებდა იმ მაღალ-მაღალი ნელა მიმავალი კაცის გვერდით, რომლის უფორმო პალტოც შავად ნაკეცებად ეშვებოდა მოხრილი მხრებიდან. თვალს მიეფარნენ იმ კორომს იქით (თქვენ ალბათ გახსოვთ), სადაც თექვსმეტნაირი ბამბუკი ხარობს; მცოდნე თვალი მათ კარგად გაარჩევს ერთმანეთისაგან. ჩემდათავად მე მოჯადოებული ვიყავი ამ ტანაშოლტილი და მშვენიერი, ნიავქარში ამღერებული ხეებით, რომელთაც ზემოდან ედგათ წამახული ფოთლების თითქოსდა ნაკრტენით გაწყობილი გვირგვინები, იმათი სიმსუბუქე, ძლიერება და სილამაზე მომაგონებდა აუმღვრეველი ხავერიელფეროვანი სიცოცხლის ხმას. მახსოვს, კარგა ხანს ვიდექი, წამოსვლა არ მინდოდა იმ კაცივით, ვინც ტკბება ბუნების საამური ფშვინვით. ზეცა იყო მარგალიტისებრ მონაცრისფრო, ტროპიკებში იშვიათად იცის ასეთი ღრუბლიანი დღე და მოგონებები გარსშემომეჯარნენ, მომეახლნენ შორეული ნაპირები და შორეული ხმები.

იმავე დღეს დავბრუნდი ქალაქში, თან წავიყვანე ტამბ იტამი და მეორე მალაელი. სწორედ ამ კაცის გემით გამოქცეოდნენ ისინი თავზარდაცემულ-შეშინებულნი იმ უბედურებას. თითქოსდა იმ განსაცდელის ჟამს სრულიად გამოცვლილიყვნენ. გული გაქვავებოდა გოგოს, ხოლო ტამბ იტამი ენას ვეღარ აკავებდა პირში. იმისი დაღვრემილობაც დაბნეულ მორჩილებად გარდასახულიყო, თითქოსდა საკუთარი თვალით უნახავს, როგორ დაკარგა ყოვლისშემძლე თილისმამ ძალა გადამწყვეტ წუთს. იმ ბუგელმა ვაჭარმა, მორცხვმა, გაუბედავმა კაცმა ძალზე გასაგებად გვითხრა თავისი სათქმელი. ორივე, როგორც ჩანს, იმ ამბის შეუცნობელმა იდუმალებამ შეძრა, დიდი, ენით უთქმელი გაკვირვებით.

მარლოუს ხელმოწერით მთავრდებოდა ეს წერილი. იმისმა რჩეულმა მკითხველმა ლამპას აუწია და მარტოდმარტო, ტალღებივით აყალყებული ქალაქის სახურავებს ზევით, ზღვაში აღმართული შუქურას გუშაგივით მიუბრუნდა ამ მოთხრობის ფურცლებს.

## თავი 38

დასაწყისი ამ ამბისა, როგორც უკვე გითხარით, იმ კაცთანაა დაკავშირებული, ვისი სახელიც ბრაუნია, — ასე გვამცნობდა პირველი სტრიქონი მარლოუს მოთხრობისა. — წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში თქვენ უნდა გქონდეთო გაგონილი იმის შესახებ. ეს გარეწარი ცნობილი გახლდათ ავსტრალიის სანაპიროზე, იმიტომ კი არა ,რომ ხშირად ნახავდით იქ, უფრო იმიტომ, რომ მეტროპოლიიდან სტუმრად ჩასულებს ამ კაცის თაღლითური ამბების მოყოლით უმასპინძლდებოდნენ. ხოლო ამ ამბებიდან, რომლებსაც ყვებოდნენ იორკის კონცხიდან ედენის ყურემდე, სულ უმნიშვნელოც კი საკმარისი იქნებოდა იმის ჩამოსახრჩობად, თუკი სათანადო ადგილას განაცხადებდნენ. არც ] იმის თქმას ივიწყებდნენ, ვიღაც ბარონეტის ვაჟიშვილი უნდა იყოსო. ასე იყო თუ ისე, სიმართლე ეს გახლდათ: ოქროს ციებ-ცხელების დასაწყისისთანავე გამოპარულა ინგლისური გემიდან და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში თავისი სისასტიკით გაუთქვამს სახელი. შიშის ზარს სცემდა პოლინეზიის კუნძულებს, აქაურ მკვიდრთ იტაცებდა, ხან კი დაუდარაჯდებოდა მარტოდ მიმავალ თეთრ ვაჭარს, სულით ხორცამდე გაცლიდა და ამის მერე შესთავაზებდა დუელს სანადირო თოფებით სანაპიროზე, რაც მსგავს ვითარებაში საკმაოდ პატიოსან

საქციელადბაც კი ჩაითვლებოდა, მაგრამ ამ დროს იმისი მოპირდაპირე შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი იყო უკვე. ჩვენი დროის მეკობრე გახლდათ ბრაუნი, საცოდავი გარკვეულწილად, როგორც მისი უფრო სახელოვანი წინამორბედნი; მაგრამ იმით განსხვავდებოდა თავისი თანამედროვე ძმებ-გარეწრებისაგან, ვთქვათ, დიდგულა ჰაიესისაგან ან ენამოთაფლული პიზისაგან, ან სუნამოთი აყროლებული, მორთულ-მოკაზმული არამზადისაგან, სახელად ბინძური დიკისაგან, რომ ახასიათებდა საშინელი ავკაცობა და დიდი ზიზღით იყო გამსჭვალული მთელი კაცობრიობისადმი საერთოდ და კერძოდ თავისი მსხვერპლისადმი. დანარჩენები იყვნენ რეგვენი და გაუმაძღარი ცხოველები, მაგრამ იმ ბრაუნს სხვა რამ ამოძრავებდა, მგონია. თითქოსდა იმიტომ ძარცვავდა კაცს, რათა წარმოეჩინა თავისი მდაბალი აზრი მისადმი, შეეძლო კიდევაც მოეკლა და დაესახიჩრებინა ვიღაც ჩუმი, უწყინარი უცხოელი, ისეთი სისასტიკითა და მძვინვარებით სჩადიოდა ამას, რომ ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული ადამიანიც კი შეძრწუნდებოდა. თავისი დიდების ხანს ჰფლობდა შეიარაღებულ ორჩხომელს, იმასთან მსახურობდა ნაირნაირი ჯურის ხალხი, კანაკები, ვეშაპებზე მონადირე გემებიდან გამოქცეული მეზღვაურები და ტრაბახობდა კიდევაც, არ ვიცი რამდენად მართებულად, კარგა ცნობილი ქოქოსით მოვაჭრე ფირმა ჩაფინანსებსო. შემდეგ კი, როგორც მითხრეს, ვიღაც მისიონერის ნორჩ ცოლთან ერთად გაქცეულა. კლეპემიდან ყოფილა ის ქალი, სიყვარულს გაუტაცნია, მისთხოვებია გულჩვილ, ფეხმტკივან მისიონერს და უეცრად მელანეზიაში მოხვედრილს გზა-კვალი არევია. ბნელითაა მოცული ეს ამბავი. ის გოგო იმხანად ავად ყოფილა და კიდევაც მომკვდარა ბრაუნის ხომალდზე ამბობენ (და ეს არის სწორედ ყველაზე საოცარი მთელ ამ ამბავში), გულდაშანთული, დარდით ჭკუა-დაკარგული დასტიროდაო იგი ცხედარს. სულ მალე ამის შემდეგ ბედმა უმტყუნა. მალაიტას კლდეებზე დაიმსხვრა იმისი ხომალდი და ერთხანს გაქრა, თითქოსდა ისიც დაიღუპა მაშინ. შემდეგ ხმა დაირხა, ნუკა-ჰივაში არისო, სადაც ერთი ძველი, მთავრობის მიერ ჩამოწერილი ფრანგული შხუნა უყიდია. რას ფიქრობდა, როდესაც ამ გემს ყიდულობდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი კი იყო ცხადი, უზენაესი კომისრების, კონსულების, სამხედრო ხომალდების სამხრეთის ზღვებში გამოჩენისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების შემდეგ იმის მსგავს ჯენტლმენებს ასპარეზი შეკვეცოდათ. ნათელი იყო, თავისი მოღვაწეობა უფრო შორეულ დასავლეთში უნდა გაეგრძელებინა. მართლაც, ერთი წლის მერე გაბედული საქმე წამოუწყია, თუმცა არც ისე მომგებიანი, ნახევრად კომიკური ამბავი გადახდენია თავს მანილას ყურეში, მთავარი მონაწილენი ყოფილან სახიომწიფო ფულის გამფლანგველი გუბერნატორი და სამართალს გამოქცეული ხაზინადარი. ამის მერე იმ თავისი დამპალი შხუნით დაძრწოდა და ხელჩართული ებრძოდა ბედისწერას, სანამ ბოლოს თავის გზაზე შემდგარი ჯიმს მიდგომია ბნელი ძალების ეს ბრმა მეგაირახტრე.

შემდეგ ისიც მიამბეს, ესპანურმა საპატრულო კატარღამ დაატყვევა ის, ვიღაც აჯანყებულთათვის იარაღი მიჰქონდაო. თუ ასეა, ვერ მიემხვდარვარ, მინდანაოს სანაპიროზე რა უნდოდა. ჩემი რწმენით, იქაური სოფლების დაშინება მოსურვებია რატომღაც. მთავარი ის არის, რომ იმ კატარღამ დარაჯები ჩაუყენა ხომალდზე და აიძულა ზამბოანგას მიმართულებით წასულიყო. რაღაც მიზეზის გამო ამ ორივე ნავჭურჭელს ახალ ესპანურ დასახლებაში შევლა მოუხდა, მაგრამ, რაც უნდოდათ, არ გამოსვლიათ. იქ არა მარტო სამოქალაქო მოხელე იმ-

ყოფებოდა, არამედ კეთილნახელავი, მკვიდრი სანაპირო შხუნაც, რომელიც ღუზაზე იდგა პატარა ყურეში და ბევრადაც სჯობდა იმის საკუთარ ხომალდს, ამიტომაც ბრაუნმა მისი გატაცება გადაწყვიტა.

ბედი არ უმართლებდა — როგორც თვად მითხრა, იმ საწყალს, რომელსაც მთელი ოცი წელიწადი აბუჩად იგდებდა, ბევრი ვერაფერი გამოემეტებინა მისთვის, გარდა ვერცხლის დოლარებით სავსე ერთი პატარა პარკისა, რომელიც ისე გადაემალა თავის კაიუტაში, რომ „თავად ეშმაკიც კი ვერ მიაგნებდა." მეტი არც არაფერი ებადა, სულ ეს იყო. სიცოცხლე მობეზრებოდა, სიკვდილისა არ ეშინოდა, მაგრამ ეს კაცი, ვისაც შეეძლო სიცილ-ხარხარით გაყროდა სიცოცხლეს, შიშით ჭკუას კარგავდა ციხის ხსენებაზე. ცივი ოფლი დაასხამდა, აცახცახდებოდა, ტან-იოგში დაიშლებოდა, სწორედ ასეთი ძრწოლა აიტანს ხოლმე ცრუმორწმუნეს, როცა მოჩვენების მკლავებში მომწყვდეულს წარმოიდგენს თავს. სამოქალაქო მოხელე კი იმის ხომალდზე ავიდა, რათა წინასწარი ჩხრეკა ჩაეტარებინა და ისე გადაუღვია თავი მთელი დღე, რომ უკვე ბნელში დაბრუნებული, სანაპიროზე დიდი სიფრთხილით მიდიოდა, ვაითუ ბრაუნის იმ პატარა პარკმა რიწკინი დაიწყოსო. შემდგომ იმისა, რაკილა სიტყვის კაცი გახლდათ, რაღაც სასწრაფო დავალება მისცა იმ საპატრულო კატარღას (მეორე დღის საღამოს, მე მგონია) და გაგზავნა კიდევაც. იმ კატარღის უფროსს არ შეეძლო ბრაუნის შხუნაზე თავისი ხალხი დაეტოვებინა, ამიტომ სანამ წავიდოდა, ყველა იალქანი დახსნა, ტილოს ნაფლეთიც არ დაუტოვებია გემზე, ხოლო ბრაუნის ორი ნავი ბუქსირით წაიყვანა და ნაპირს მიაყენა იქიდან ორი მილის დაშორებით,

იმ ბრაუნთან ერთი კაცი იმყოფებოდა, სოლომონის კუნძულებიდან იყო, ჯერ კიდევ ბალღი ჩავარდნოდა ტყვედ იმას და ახლა უკვე მისი ერთგული, მთელ იმ ჯგუფში ყველაზე მარჯვეც გახლდათ. ხოდა, ამ ჯეილმა ხუთასი და კიდევ უფრო მეტი იარდი გასცურა, საკაბოტაჟო გემს მიაღწია, თან მიჰქონდა ერთი ბოლო ბაგირისა — იმ ხომალდის მთელი თოკეულობა ამის გაკეთებას მოანდომეს. ზღვა წყნარი იყო და ისე ბნელოდა, როგორც „ძროხის მუცელში", ასე უთქვამს ბრაუნს. სოლომონის კუნძულელი იმ სანაპირო ხომალდზე აძვრა, კბილებში ის თოკი ჰქონდა. გემის მეზღვაურები — ყველანი ტაგლასელები — ნაპირზე გადასულიყვნენ და ველურთა ერთ-ერთ სოფელში ღრეობა გაეჩაღებინათ. ვახტზე მყოფმა იმ ორმა კი რომ შეიღვიძა უეცრად და ეშმა იხილა თვალებაბრიალებული, გემბანზე ელვასებრ მოხტუნავე, — მუხლებზე დაეცა, შიშით სული კოჭებში გაეპარათ, პირჯვრის წერასა და ლოცვას მოჰყვნენ. სოლომონის კუნძულელს კამბუზში გრძელი დანა უპოვია, ჯერ ერთი მოუკლავს და მერე მეორე ისე, რომ არც კი შეუწყვეტინებია იმათთვის ლოცვა-ვედრება; იმავე დანით გულდაგულ გადაუჭრია თოკი, ხოდა, იმისი ერთი ბოლო იმწამსვე წყალში გადაუსვრია. შემდეგ კი ფრთხილად გასძახა თავისიანებს, ბრაუნის არამზადებმა კი, იმედით რომ მიეპყრათ ყური მისთვის, მაშინვე ნელ-ნელა გასწიეს ის ბაგირი. ხუთი წუთიც არ იყო გასული და ის ორი შხუნა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა.

ბრაუნის ხალხს აღარ დაუყოვნებია, იმ წუთას გადამსხდარან ნადავლ გემზე და თან გადაუტანიათ იარაღი და ყოველგვარი აღკაზმულობა. თექვსმეტნი იყვნენ სულ: ორი გამოქცეული მეზღვაური, გაძვალტყავებული დეზერტირი იანკის სამხედრო გემიდან, ორი გულუბრყვილო, ქერათმიანი სკანდინაველი, ვიღაც მულატი, ერთი თავაზიანი ჩინელი, რომელიც მზარეულად ჰყა-

ვდათ, და კიდევ სამხრეთის ზღვებში მოხეტიალე ვიგინდარები, არაფრის დარდი რომ არ ჰქონდათ ამ ქვეყანაზე. ბრაუნმა ყველანი დაიმორჩილა, და სწორედ ეს ბრაუნი იყო, ვისაც სახრჩობელასიც არ ეშინოდა, მაგრამ [illegible] ესპანური ციხე მოლანდებოდა და გამოქცეულიყო. აღარ აცალა თავის ხალხს საკმარისი სურსათის გადმოზიდვა ნადავლ გემზე. წყნარი ამინდი [illegible] გასჯდომოდა ჰაერს, თოკები მოუშვეს და იალქნები გაშალეს, ნაპირიდან [illegible]ქარი უბერავდა, მაგრამ სოველი ტილო არც კი გატლაშუნებულა. იმათი ძველი შხუნა რბილად მოსცილდა იმ ახალს, მოპარულს, ჩუმად გაერიდა და შეერთო ჩაშავებულ სანაპიროს, ღამეს მისცა თავი.

წამოვიდნენ. დაწვრილებით მიამბო ბრაუნმა ამ თავის მოგზაურობაზე მაკასარის სრუტეებში. ცუდ დღეში ჩავარდნილან. ცოტა ჰქონდათ სურსათი და წყალი, ველურთა რამდენიმე ნავჭურჭელზე გადამსხდარან და მცირეოდენი იქიდან წამოუღიათ. იმ ნაქურდალი ხომალდით ბრაუნი, რაღა თქმა უნდა, ვერც ერთ ნავსადგურში ვერ შევიდოდა. ფული არ ჰქონდა რამეს საყიდლად და არც საბუთები საჩვენებლად, ვერც ვინმეს მოატყუებდა, ვინ დაუჯერებდა. ჰოლანდიურ დროშიანი ერთი არაბული ორჩხომელი ნახეს, მოულოდნელად წაადგნენ თავს, ბოლო ლაუტთან იდგა ღუზაზე, ცოტაოდენი ჭუჭყიანი ბრინჯი, ბანანების შეკვრა და ერთი კასრი წყალი გამოართვეს იმათ. სამი დღე ქარიშხალი დაშტიალობდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოვარდნილი, და იავის ზღვაში მიაქროლებდა შხუნას. მუქ-ყვითელი ტალღები სცემდა ამ გარეწრებს. თავიანთი ჩვეულებრივი გზით მიმავალი საფოსტო გემები დაუნახავთ; ჩაუვლიათ თავთხელ წყალში ღუზაზე მდგარი, მძიმე, ჩაჟანგებული, ევროპული გემების გვერდით, გამოდარებასა თუ მოქცევას რომ ელოდნენ; ერთხელ ინგლისურმა ქვემეხიანმა გემმა, თეთრმა, ორ ატყორცნილ ანძიანმა, იმათ წინ ჩაიარა, სულ ახლოს; მეორედ კი ჰოლანდიური კორვეტი გამოჩნდა იმათ უკან, შავი და ვეებერთელა, ნელ-ნელა გაუჩინარდა ნისლში. შეიძლება არც ერთი გემიდან არ შეუმჩნევიათ, ხოდა, ასე მიცურავდა ეს ჩამომდნარი ხალხი, შიმშილითა და შიშით თავის ჭკუაზე აღარ იყვნენ. ბრაუნს მადაგასკარში უნდოდა ჩაღწევა, სადაც, ასე ვარაუდობდა და არცთუ უსაფუძვლოდაც, ტამატავში შეეძლო გაეყიდა ეს შხუნა ისე, რომ შეკითხვები არ დაესვათ მისთვის ან იქნებ ყალბი საბუთებიც ეშოვა. მაგრამ სანამ თვალუწვდენელ ინდოეთის ოკეანეს მისცემდნენ თავს, სურსათი უნდა მოემარაგებინათ და წყალიც.

შეიძლება გაგონილი ჰქონდა პატუსანის შესახებ ან შეიძლება სულაც შემთხვევით რუკაზე ამოუკითხავს პატარა ასოებით გამოყვანილი სახელწოდება და გაუგია ამ ველურ სახელმწიფოში ერთი დიდი სოფლის არსებობის ამბავი. მდინარეზე, ზემოთ, სრულიად დაუცავი უნდა ყოფილიყო ეს მხარე. სანაოსნო გზა არ გადიოდა აქ და არც წყალქვეშა კაბელები იყო. პირველი არ იქნებოდა ასეთი საქმე ბრაუნისათვის, მაგრამ ადრე რაღაცის მოსახვეჭად შვრებოდა ამას, ახლა კი სრული აუცილებლობის წინაშე დამდგარიყო, სიცოცხლე სასწორზე ჰქონდა შეგდებული... და თავისუფლებაც. თავისუფლებაც! დარწმუნებული იყო, საკვებს იშოვიდა აქ — ხორცეულს, ბრინჯს, ტკბილ კარტოფილს; მოსალხენად მოემზადნენ ის გაწვალებული გარეწრები. სანოვაგით გაავსებდნენ ხომალდს და, ვინ იცის, იქნებ ფულიც ჩაეჩხრიალებინათ ჯიბეში! ბელადებსა და სოფლის მამასახლისებს მიეძალებოდნენ. ასე მითხრა მან, უარს მეტყოდნენ და ქუსლებს მივუწვავდით კიდევაც. მჯერა. იმის ხალხსაც

სჯეროდა მისი. სიხარულის ყიჟინა არ დაუცდიათ, იმათ ხმაური არ უყვარდათ, მგლურად შეუდგნენ საქმეს.

ამინდიც ხელს უწყობდა. რამდენიმე დღითაც რომ ჩავარდნილიყო ქარი, საშინელი ამბავი დატრიალდებოდა ამ ხომალდზე, მაგრამ [illegible] და ზღვის ქარების შეწევნით ერთი კვირაც არ იყო გასული, [illegible] გამოვლეს და ბატუ კრინგის შესართავთან ჩაუშვეს ღუზა, [illegible] სროლაზე მეთევზეთა სოფელი გამოჩნდა.

იმათგან თოთხმეტნი ჩასხდნენ იმ შხუნის გრძელ ნავში (იმდენად დიდი იყო, რომ ტვირთის გადასაზიდავადაც იყენებდნენ) და მდინარეს აუყვნენ, ორნი კი შხუნაზე დარჩნენ სადარაჯოდ, სადაც ათი დღის სამყოფი სურსათი იყო კიდევ. მოქცევამაც და ქარმაც უშველა და ერთ ნაშუადღევს იმ დიდმა, თეთრმა ნავჭურჭელმა, დახეული იალქნით აღჭურვილმა, რაკი ზღვიდან უბერავდა ქარი, პატუსანს მიატანა იმ თოთხმეტი რჩეული არამზადითურთ, რომლებიც მშიერი თვალებით წინ იცქირებოდნენ და იაფფასიანი თოფების ჩახმახები შეეყენებინათ. ბრაუნი ფიქრობდა, გამოვჩნდები და მაშინვე თავზარი დაეცემათო. მიაღწიეს სოფელს და მოქცევაც დასრულდა. რაჯას იმ მესრის მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოსდა მიტოვებული ჩანდა მდინარის ორივე ნაპირას გამწკრივებული სახლები. ზევით ორი კანოე გამოჩნდა, სწრაფად მომავალი. ბრაუნი გაოცდა, არ მოელოდა ასეთი დიდი დასახლების ნახვას. მდუმარება გამეფებულიყო, ქარიც ჩაიკარგა, სადღაც სახლებს შუა, ორი ნიჩაბი ამოიღეს და ისევ ზევით აუყვნენ მდინარეს, შიგ დაბაში უნდა გადმომსხდარიყვნენ მანამ, სანამ იმის მაცხოვრებლებს წინააღმდეგობის გაწევა მოაფიქრდებოდათ.

როგორც ჩანს, ბატუ კრინგთან მდებარე იმ მეთევზეთა სოფლის მამასახლისმა მოახერხა და დროზე შეატყობინა იმათ მოახლოებული საფრთხე. როდესაც ის გრძელი ნავი გაუსწორდა მეჩეთს (დორამინმა ააგებინა ეს ფრონტონებიანი და მარჯნით გაწყობილი შენობა), იმის წინ აუარება ხალხი შეჯგუფებულიყო. მთელ მდინარეზე გაისმა ყვირილი და გონგების ხმაც, სადღაც ზევით გაისროლეს ორი ზარბაზანი, წყლის შხეფებმა გაიბრწყინეს მზის სხივებში. ბრბო ღრიალებდა იმ მეჩეთის წინ და თოფებს ისროდა მდინარისკენ, ორივე მხრიდან მოსდგომოდნენ იმ ნავს. ბრაუნის ხალხმაც ატეხა სროლა, ნიჩბები აეწიათ.

წყალუხვობის ხანს ამ მდინარეში მიქცევა სულ მალე იწყება და შუაგულ წყალში მოხვედრილი, თითქმის მთლად კვამლით დაფარული ნავი დინებამ უკან წაიღო. სანაპიროს ორივე მხარეს კვამლი შეიკრა და სახურავებს ქვემოთ ჩამოშვებული დაგრძელდა მთის ფერდობს მიახლოებული ღრუბელივით, საომარი კიჟინა, ჰაერს შერთული გონგების ხმაური, დოლების ყრუ ცემა, მძვინვარე შეძახილები, თოფების სროლა საშინელ ღრიანცელად შერწყმულიყო; შემცბარი ბრაუნი საჭეს ჩაფრენოდა, ბოლმა ახრჩობდა, ამ ხალხმა თავდაცვა როგორ გაბედაო. ორი კაცი დაუჭრეს, დაინახა, რომ უკან დასახევი გზაც მოეჭრათ ქვემოთ ტუნკუ ალანგის მესრიდან მოწყვეტილ ნავებს. ექვსი იყო და სულ მეომრებით სავსე. ყოველმხრიდან გარშემორტყმულმა ერთი ფშანის ყელი შენიშნა (სწორედ აქ ჩამომხტარიყო ჯიმიც). წყალი ახლა მაღალზე იდგა და აქ შემოიყვანეს თავიანთი გრძელი ნავი, თვითონ ნაპირზე გადმოსხდნენ. ბევრი აღარ უფიქრიათ, იქვე პატარა გორაზე გამაგრდნენ, 900 იარდით იყვნენ დაცილებული იმ მესერს და მშვენიერი პოზიციაც ჩაეგ-

დოთ ხელში. ფერდობი მოტიტვლებული იყო, მაგრამ აქ, წვეროზე რამდენიმე ხე იდგა. მოჭრეს, ჩახერგეს და კიდევაც მზად იყვნენ ღამის დადგომამდე; რაჯას ნავები კი მდინარეზე დარჩნენ, საოცარი ნეიტრალიტეტი დაიჭირეს. მზე ჩავიდა, მრავალი კოცონი გააჩაღეს ნაპირზე და ორ რიგად ჩამწკრივებულ სახლებს შორისაც, გამოჩნდა სახურავების შავფერი კიდეები, ტანწერწეტი პალმები, ხეხილის ტევრი. ბრაუნის ბრძანებით, გამაგრებული ადგილის გარშემო ბალახს ცეცხლი წაუკიდეს, ირგვლივ ჩაეშვა ფერდობზე ცეცხლის პატარ-პატარა ენები, გაიწელა, ჩაჰყვა მალიად დახვეულ კვამლის ბოლქვებს, აქა-იქ მძვინვარედ იბრიალეს ხმელმა ბუჩქებმა. ცეცხლი აიგზნო და მოსუფთავდა, მოიწმინდა მთელი ის არე, მაგრამ ტყის პირსა და ჩაჭაობებულ ფშანს მიტანებული დაივსო და გაქრა. ცეცხლი ამ მხარეს შეეჩერებინა ნესტგამჯდარი ჯუნგლის ვიწრო ზოლს, ამ გორასა და რაჯას მესერს შუა მოქცეულს. ტკაცატკუცი გაჰქონდა ბამბუკებს. ვარსკვლავები ციმციმებდნენ ბნელ, ხავერდოვან ცაზე. ჩაშავებულ მიწას კვამლი ეფინებოდა, მიიკლაკნებოდა ნება-ნება, ვიდრე არ წარიტაცა ზღვიდან მოვარდნილმა ნიავქარმა. ბრაუნის აზრით, მოქცევა დაიწყებოდა თუ არა, ის ნავები შემოვიდოდნენ ფშანში და მაშინვე შემოუტევდნენ. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული იყო, რომ იმ გრძელი ნავის წაყვანას მაინც შეეცდებოდნენ, რომელიც იქვე ეგდო, გორის ძირას, მუქად, ვეებად წარმოჩენილი ტალახიანი წყლის შავად აპრიალებულ ზედაპირზე. მაგრამ ძვრაც არ უქნიათ იმ ნავებს. იმ მესერსა და რაჯას სახლს შორის, წყალზე იმათი სინათლეები მოჩანდა. ეტყობა, ღუზაზე იდგნენ და ისე უმკლავდებოდნენ დინებას. სხვა სინათლეებიც იყო, მოძრავი, ერთი ნაპირიდან მეორისკენ ჯვარედინად სერავდნენ მდინარეს. ნაპირზე მდგარი სახლების კედლებზე შუქი ლაციცებდა მდინარის მოსახვევამდე. შორს, სიღრმეშიაც ციმციმებდნენ სინათლეები, ოღონდ ბევრი აღარ. დიდი კოცონები დაენთოთ და იმათ ცეცხლს წარმოეჩინა ნაგებობები, სახურავები, ჩაბნელებული ხიმინჯები, სანამდისაც კი მისწვდებოდა მზერა. ვეებერთელა იყო ეს დასახლება. თოთხმეტი თავზე ხელაღებული მომხდური გაშოტილიყო იმ მოჭრილი ხეების მიღმა, თავს წამოსწევდნენ ხოლმე, რომ თვალი მოევლოთ მდინარის აყოლებით რამდენიმე მილზე გადაჭიმული ამ დასახლებისათვის, სადაც თითქოსდა ათასობით გამძვინვარებული ადამიანი ჩასაფრებოდა მათ. ხმას აღარ იღებდნენ. ხანდახან გულის გამგმირავი ყვირილი ესმოდათ ან სადღაც შორიდან თოფის გასროლა. იმათ ირგვლივ კი დავანებულიყო სიწყნარე, სიბნელე და სიჩუმე. თითქოსდა კიდევაც დავიწყებოდათ ისინი, ასე გეგონებოდათ, აღელვებულ, ძილგამფრთხალ ხალხს იმათი დარდი არც ჰქონდა, თითქოსდა დახოცილები იყვნენ უკვე სუყველანი.

## თავი 39

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმლამინდელ ამბებს, რადგან მაშინდელი ვითარება არ შეცვლილა ჯიმის ჩამოსვლამდე. კვირაზე მეტი იყო, რაც ჯიმი ქვეყნის სიღრმეში იმყოფებოდა და პირველად მომხდურებს წინააღმდეგობა დაინ უორისმა გაუწია. ამ მამაც და ჰკვიან ჭაბუკს („ვისაც თეთრი კაცივით შეეძლო ბრძოლა“) უნდოდა საჩქაროდ დაემთავრებინა საქმე, მაგრამ თავისი ხალხი ვერ დაიყოლია. ჯიმისთანა სახელი მას არ ჰქონდა, არც უძლეველ მეომრად იყო ცნობილი. საცხადო და შეუვალი ჭეშმარიტება, უდავო სამართლიანობა და, ასევე, გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ჯიმის პიროვნებას-

თან იყო დაკავშირებული. დაინ უორისი უყვარდათ, ეხლობოდნენ, შეჰფოფინებდნენ, მაგრამ ის მაინც ერთი იმათთაგანი იყო, ჯიმი კი [illegible]. უფრო მეტიც, თეთრი კაცი გახლდათ ძლიერმოსილების დაუ[illegible]ობის სიმბოლო. სწორედ ისეთი ფარული ფიქრებით იყვნენ შემართულნი იმ დასახლების თავკაცები, რომლებმაც ჯიმის ფორტში მოიყარეს თავი [illegible] მდგომარეობის განსასჯელად. თითქოსდა იქ, იმ თეთრი კაცის [illegible]ან, უნდოდათ მოეხმოთ სიბრძნისათვის და ვაჟკაცობისათვის. შეიძლება ბრაუნის გარეწრები კარგად ისროდნენ ან იქნებ ბედი სწყალობდათ — დამცველთაგან ნახევარი დუჟინი დაიჭრა. დაჭრილები ახლა აივანზე იწვნენ და თავიანთ დიაცნი უვლიდნენ. პირველი განგაშისთანავე დასახლების ქვედა ნაწილში მცხოვრები ქალები და ბავშვები ფორტში გამოხიზნეს. ჯუელი მარჯვედ და გაბედულად ხვდებოდა განსაცდელს. „ჯიმის ხალხი“ მას მორჩილებდა, სულ აქვე მდებარე თავიანთი ადგილსამყოფელი დაეტოვებინათ და ციხე-სიმაგრეში შემოსულიყვნენ, ფორტის მცველებად დადგნენ. ლტოლვილნი ამ გოგოს გარშემოხვეოდნენ და მთელი ეს ხანი, სანამ მარცხი არ მოუვიდათ, იგი გამოირჩეოდა დიდი საბრძოლო შემართებით. გინდ თუ არა მოახლოებული საფრთხის შესახებ, დაინ უორისმა მას მოახსენა, რადგან, თქვენ უნდა იცოდეთ, ჯიმი ერთადერთი კაცი იყო მთელ პატუსანში, ვინც დენთის მარაგს ფლობდა. შტაინთან მას ხშირი მიმოწერა ჰქონდა, ვისაც ჰოლანდიის ხელისუფლების საგანგებო ნებართვით შემოეტანა პატუსანში ხუთასი კასრი დენთი. დენთის საწყობად გადაუქცევიათ მორებისაგან აგებული, ირგვლივ მიწამოყრილი ქოხი; ჯიმის არყოფნისას იმისი გასაღები იმ გოგოს ჰქონდა. თათბირი ღამის თერთმეტ საათზე დაიწყო, ჯიმის სასადილო ოთახში. გოგომ მხარი დაუჭირა დაინ უორისის რჩევას, რომ დაუყოვნებლივ და მხნედ შეეტიათ. ასე მიამბეს, ის გოგო გრძელი მაგიდის თავში, ჯიმის ცარიელი სავარძლის გვერდით დამდგარა, მგზნებარე საომარი სიტყვა წარმოუთქვამს და კიდევაც დაუმსახურებია მამასახლისების მოწონების ჩურჩული. მოხუცი დორამინი ერთ წელზე მეტი იქნებოდა, რაც არ უნახავთ იმ თავისი ეზოს ჭიშკრიდან გამოსული და ახლა ძლივს გამოიყვანეს ფორტში. იგი იყო, რა თქმა უნდა, აქ მთავარი. თათბირზე მყოფნი სამშვიდობოდ განწყობილნი როგორღა იქნებოდნენ, ხოლო, იმ ბერიკაცის სიტყვა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩემი აზრით, იმან იცოდა თავისი ვაჟიშვილის ცეცხლოვანი შემართების ამბავი და ველარ გაბედა წარმოეთქვა ეს სიტყვა. მაინც დაცდა არჩიეს. ვიღაც ჰაჯი სამანი გამოსულა ვრცელი სიტყვით, უთქვამს: „ის გამძვინვარებულ-გაშმაგებული ხალხი მაინც განწირულია სასიკვდილოდ. ან იმ გორაზე დარჩებიან და შიმშილით ამოწყდებიან, ანდა იმ თავიანთ ნავთან დაბრუნებას მოინდომებენ და იმ ფშანის იქით ჩასაფრებულნი ამოხოცავენ, ანდა ბრძოლით გზას გაიკვლევენ, ტყეს მისცემენ თავს და სათითაოდ დაიღუპებიან ყველანი“. ხოლო, ასე ასაბუთებდა, ხერხი სჯობია იმ ბოროტ უცხოელებთან ბრძოლაში, შეიძლება არც მიემართოთ ხელჩართულ შეტაკებას. დიდი მოწონებით შეხვედრიან იმის სიტყვას, განსაკუთრებით პატუსანელები, ისინი შეშფოთებული იყვნენ იმ ძნელ წუთებში რაჯას ნავების უმოქმედობით. მრავალნაცადი კასიმი იყო რაჯას წარმომადგენელი იმ თათბირზე, ცოტას ლაპარაკობდა, საამური, არაფრისმთქმელი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. თითქმის ყოველ წუთში ამ თათბირის ხანს მსტოვრები შემოდიოდნენ და ამცნობდენ იმათ მომხდურთა მოქმედებას. საშინელი და გულისშემძვრელი ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა: ვეებერთელა ხომალდი დგასო მდინარის შესართავში, დიდი ზარბაზნებით აღჭურვილი, ხალხიც ბევრი ჰყავთ — თეთრები, შავები, სისხლისმსმელები არიანო სწორედ. ჩასხდებიან უამრავ ნავში, მოვლენ და ყველას დაგვხოცავენო. მოახლოებულმა საფრთხემ უბრალო ხალხს შიშით ჭკუა დაკარგვინა. ერთხელ იყო და ეზოში ქალებმა კივილი ატეხეს, ბავშვები ტიროდნენ — ჰაჯი სამანი გავიდა იმათ დასამშვიდებლად, მერე კი ფორტის მცველებმა თოფები დაუშინეს რაღაც მოძრავ საგანს მდინარეზე და კინაღამ ერთი სოფლელი არ მოკლეს, რომელსაც სახლიდან რაღაც-რაღაცები წამოეღო, კანოეთი წამოეყვანა თავისი დიაცები და ერთი დუჟინი ქათამი. აირივნენ და დაირივნენ. ჯიმის სახლში კი თათბირი გრძელდებოდა. ის გოგოც იქ იყო. პირგამეხებული იჯდა დორამინი, უმზერდა სიტყვით გამოსულებს და ბუღასავით ნელ-ნელა ქშინავდა. არაფერს ამბობდა, არც მაშინ უთქვამს რამე, როცა კასიმმა განაცხადა, რაჯას ნავები უკან უნდა წავიყვანოთ, ხალხი არ გვყოფნის ჩვენი პატრონის დასაცავადო. დაინ უორისი ერიდებოდა მამის თანდასწრებით თავისი აზრის გამოთქმას, თუმცა გოგო ეხვეწებოდა, ჯიმის სახელით ილაპარაკეო. ჯიმის ხალხიც კი შესთავაზა დამხმარედ, ასე სულითა და გულით უნდოდა მომხდურთა გაყრა. იმან კი უარის ნიშნად თავი გააქნია მას მერე, რაც ერთხელ თუ ორჯერ დორამინს გახედა. დაბოლოს თათბირი დასრულდა. ასე დაუდგენიათ, ფშანის სიახლოვეს რამდენიმე სახლში ხალხი უნდა ჩაეყენებინათ და ჩუმად ეთვალთვალათ მტრის ნავისთვის, აშკარა ყურადღება არ უნდა გამოეჩინათ, რათა იმ გორაკზე მოკალათებული გარეწრები მოტყუებულიყვნენ და ქვემოთ ჩამოსულიყვნენ ნავში ჩასასხდომად, აი მაშინ კი ტყვიას დაუშენდნენ და ბევრ მათგანს დახოცავდნენ, რაღა თქმა უნდა. იმათთვის კი, ვინც გადარჩებოდა, გზა უნდა გადაეჭრათ, ხოლო მდინარის შესართავთან დარჩენილები აქამდე არ უნდა მოეშვათ, ამიტომ დორამინმა უბრძანა დაინ უორისს, ნაწილი შეიარაღებული ბუგელებისა ქვემოთ, მდინარეზე ჩაეყვანა, პატუსანიდან ათ მილზე დაბანაკებულიყო და კანოებით გადაეკეტა მდინარე. ერთი წამითაც არ შემიძლია დავიჯერო, დორამინს მტრის მაშველი ძალის მოსვლისა ეშინოდა-მეთქი. ჩემი აზრით, ესღა აწუხებდა, როგორმე საფრთხეს გაერიდებინა თავისი ვაჟიშვილი. ქალაქში შემოჭრის ასაკვეთად გათენებისთანავე უნდა აეგოთ დამცველი ნაგებობა ქუჩის ბოლოში, მარცხენა სანაპიროზე. მოხუცმა ნაკოდამ განაცხადა, თავად მე ვუხელმძღვანელებო ყველაფერს. გოგოს მეთვალყურეობით დაუყოვნებლივ შეუდგნენ დენთის, ტყვიებისა და ფისტონების გახაწილებას. სულ სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნეს რამდენიმე კაცი ჯიმის მოსაძებნად, ზუსტად სად იყო, არ იცოდნენ. დილაუთენია გაეშურნენ ისინი, მაგრამ კასიმს უკვე მოესწრო მოლაპარაკების დაწყება ალყაშემორტყმულ ბრაუნთან.

ეს მარჯვე ელჩი და რაჯას ერთგული კაცი თავის პატრონთან უნდა დაბრუნებულიყო, ფორტიდან წამოსულმა გზად კორნელიუსიც აიყვანა თავის ნავზე, ვინც ჩუმ-ჩუმად დაძრწოდა ხალხით სავსე ეზოში. კასიმს თავისი გეგმა ჰქონდა და თარჯიმნად სჭირდებოდა იგი. გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ საგონებელში ჩავარდნილ ბრაუნს ბუჩქნარით შეფენილი ჭაობიანი ხევიდან ხმა ამოესმა, მახვეწარი, აკანკალებული, უცნაური — ინგლისურად მიმართავდნენ, ეაჯებოდნენ, ამოგვიშვით, კარგი სიტყვა გვაქვს სათქმელი, ოღონდ კი ხელი არ გვახლოთო. ნათელი ჩაუდგა გულში ბრაუნს. თუკი სალაპარაკოდ მოდიან, მაშინ აღარც დევნილი მხეცები ვყოფილვართო. იმ მეგობრუ-

ლმა ძახილმა იმწამსვე ახსნა დაძაბულობის საშინელი ხუნდები. მანამდე კი ბრმასავით იჯდა და არ იცოდა, საიდან მიაყენებდნენ მომაკვდინებელ დარტყმას. ჯერ შორს დაიჭირა თავი. ხმამ ამცნო: „თეთრი ვარ, ღარიბ-ღატაკი, დაჩაჩანაკებული მოხუცი კაცი, დიდი ხანია აქ ვცხოვრობ“. ცივი, უსიამოვნო ნისლი განრთხმულიყო გორის კალთებზე. ცოტა ხანს კიდევ გასძახოდნენ ერთმანეთს, დაბოლოს ბრაუნმა დაუძახა, ამოდი, ოღონდ მარტო! მაგრამ მართალი თუ გნებავთ — ასე მითხრა მან და თან იწრიხ-იგრიხებოდა იმ თავისი უილაჯობის გახსენებისას — არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა ამასო. მაინც ვერაფერს ხედავდნენ რამდენიმე იარდის იქით და ვერც ვერანაირი მუხანათობა გააუარესებდა იმათ მდგომარეობას. თანდათანობით გამოჩნდა კორნელიუსი თავის ჩვეულებრივ ტანსაცმელში, შემოძენძილ პერანგსა და შარვალში, ფეხშიშველი, კიდეებმომტვრეული კორპის ჩაჩქანი ეხურა თავზე. ფეხებ-ფეხებით მიუახლოვდა იმათ გამაგრებულ ადგილს და შედგა გაფაციცებით მაცქერალი. მოდი, ნუ გეშინიაო! დაუყვირა ბრაუნმა. იმისი ხალხი მისჩერებოდა მოსულს. სიცოცხლის ხსნის მთელი იმათი იმედი უეცრად ეს გამხმარი, მორძგვალი ბერიკაცი გახდა, ვინც ხმის ამოუღებლად ძლივს გადმოძვრა მორზე და აკანკალებულმა, სახემოღრეცილმა უნდობლად გამოხედა ამ წვერმოშვებულ, თავგზააბნეულ, თავზეხელაღებულ და უძინარ ხალხს.

ნახევარ საათში ყველაფერი გამოკითხა ბრაუნმა კორნელიუსს და გაიგო პატუსანის ამბები. იმწამსვე გამოცოცხლდა. იქნებ სულაც, სულაც დამში მოეყვანა საქმე. მაგრამ კორნელიუსს ჯერ ეს უთხრა, რამე საჭმელი ამომიგზავნეთ თქვენი კეთილი ნების დასტურად და მერე კიდევ ვილაპარაკოთო. კორნელიუსი წავიდა, ჩაფოფხდა იმ ფერდობზე, რომელიც რაჯას სასახლისკენ ეშვებოდა და ცოტა ხნის მერე ტუნკუ ალანგის კაცები ამოვიდნენ იმათთან და მოუტანეს ცოტაოდენი ბრინჯი, პილპილი და გამხმარი თევზი. სულ არაფერს ჯობდა. მოგვიანებით კი კორნელიუსი დაბრუნდა კასიმის თანხლებით, გულკეთილი და გულმართალი კაცივით რომ მოდიოდა მუქ-ლურჯ მოსასხამში გახვეული, სანდლები ეცვა ფეხზე. ფრთხილად ხელი ჩამოართვა ბრაუნს და სამივენი ცალკე დასხდნენ მოსალაპარაკებლად. ბრაუნის ხალხი გამხიარებულიყო და ერთმანეთს ზურგზე უტყაპუნებდნენ ხელს, დროდადრო ყოვლისმცოდნე თვალით გამოხედავდნენ ხოლმე თავიანთ კაპიტანს. უკვე საჭმლის გაკეთებას შესდგომოდნენ.

კასიმის არ უყვარდა დორამინი და მისი ბუგელები, მაგრამ უფრო მეტად ახალი წესები შეზიზღებოდა. ასე ფიქრობდა, ჯიმის დაბრუნებამდე ეს თეთრები და რაჯას კაცები შეძლებდნენ ბუგელებზე შეტევას და იმათ დამარცხებას. მერე კი, მისი აზრით, ხალხი განუდგებოდა იმ თეთრ ყმაწვილკაცს, ჩაგრულთა ქომაგს, და მისი ბატონობაც დასრულდებოდა. ამ თავის ახალ მოკავშირეებსაც გაუსწორდებოდნენ მერე. მეგობრები იმათ აღარ დასჭირდებოდათ. ეს კაცი კარგად ერკვეოდა ადამიანებში, ბევრი თეთრიც ჰყავდა ნანახი და მიმხვდარიყო, ახალმოსულნი დევნილნი და უსამშობლონი იყვნენ. შეუვალი და მკაცრი სახე ჰქონდა ბრაუნს. პირველად რომ მოესმა კორნელიუსის მავედრებელი ხმა, ესლა ინატრა, იქნებ მშვიდობით დავაღწიოთო თავი აქაურობას. ნახევარი საათიც არ გასულიყო და უკვე სხვაგან ქროდა იმისი გონება. ფრიად შეჭირვებული მოსულიყო აქ, უნდოდა მოეტაცა საჭმელი, რამდენიმე ტონა კაუჩუკი ან ხის წებო, ცოტაოდენი დოლარები და მომაკვდინებელ საფრთხეს კი გადაერჩენოდა. ახლა კი, კასიმს რომ უგდებდა ყურს, იმაზე დაიწყო ფიქრი, იქნებ სულაც მთე-

ლი ეს ქვეყანა მივიტაცოო. ვიღაც წყეულ ჯეელს უკვე მოეხერხებინა რაღაც ამდაგვარი სრულიად მარტოდ. თუმცა მთლად კარგად ვერ დაუბოლოვებია ეს საქმე. ხოდა, შეიძლება შეუამხანაგდეს, ერთად იბრძოლონ, ყველაფერი მიი-ლონ, რისი მიღებაც კი შეუძლიათ, და მერე გასწიონ თავიანთ გზაზე. კასიმთან მოლაპარაკების ხანს გაიგო, რომ იქაურებს ასე ჰგონებიათ, [illegible]ფუ-რება ხალხი ჰყავთო ამათ. კასიმი სთხოვდა და ევედრებოდა: [illegible] შენი ხალხითა და ზარბაზნებით სავსე ხომალდი მდინარეში შემოიყვანე, ნუღარ და-აყოვნებ, რაჯას სამსახურში ჩადექიო. ბრაუნი თითქოსდა თანახმა იყო, მაგრამ ორმხრივი უნდობლობა ესაძირკვლებოდა ამ მოლაპარაკებას. იმ დილას ის თა-ვაზიანი და ყოჩაღი კასიმი რაჯასთან სათათბიროდ სამჯერ ამოსულა, სამჯერ ამოჰყოლია გრძელ ფერდობს. ამ გარიგების ხანს ბრაუნი ერთგვარი ქუში სია-მოვნებით ფიქრობდა იმ თავის საცოდავ მილრინქულ შხუნაზე, კარგად შეია-რაღებული გემივით რომ იდგა და სინამდვილეში ნაგვის გროვა იყო იმისი ტვირთი, ხოლო იმის მრავალრიცხოვან მეზღვაურებს წარმოადგენდა ერთი ჩი-ნელი და ერთიც ლევუკელი კოჰლი კაცი — ყოფილი მარგალიტების მაძიებე-ლი. ნაშუადღევს კიდევ ამოუტანეს საჭმელი და გარკვეულ თანხასაც შეპირდ-ნენ, ჭილოფებითაც მოამარაგეს და კარვები მოიწყო იმისმა ხალხმა. შეწვნენ და ხვრინვა ამოუშვეს, საშინელი მზე აღარ დასწვავდათ. ბრაუნი კი ყველას თვალწინ მორზე ჩამომჯდარიყო და ქალაქსა და მდინარეს გაჰყურებდა. აქ დიდ ნადავლს ჩაიგდებდნენ ხელში. კორნელიუსი ისე მოწყობილიყო ამ ბანაკში, რო-გორც საკუთარ სახლში, გაუთავებლივ ეჩურჩულებოდა ბრაუნს, უჩვენებდა ადგილმდებარეობას, რჩევა-დარიგებას აძლევდა, თავისებურად უხატავდა ჯიმის ხასიათსა და უყვებოდა ამ უკანასკნელი სამი წლის ამბავს. ბრაუნი უდარდე-ლად იყურებოდა აქეთ-იქით, ყურადღებით ისმენდა იმის ყოველ სიტყვას და ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა კაცი უნდა ყოფილიყო ეს ჯიმი. რაო, რა ჰქვია? ჯიმი! ჯიმი! მერედა რაო? „ასე ეძახიან მას, — ზიზღით წარმოთქვა კორნელი-უსმა, — ტუან ჯიმი, ანუ ლორდი ჯიმი". „ვინ არის? საიდან ჩამოვიდა? — ჰკითხა ბრაუნმა. — რა კაცია? ინგლისელია?" — „დიახ, დიახ, ის ინგლისელია. მეც ინგლისელი გახლავარ, მალაკიდან. ის სულელია. მოკლავთ იმას და მეფე გახდებით აქ. ყველაფერი ხომ მისია", — აუხსნა კორნელიუსმა. მგონია, იმას სხვასთან მოუხდება თავისი ქონების გაყოფაო, ცოტათი ხმას აუწია ბრაუნმა. „არა. არა. პირველი შემთხვევისთანავე უნდა მოკლათ, მერე კი, რასაც გნებავთ, იმას იზამთ, — უმტკიცებდა სახეწამოწ ლებული კორნელიუსი, — დიდი ხანია აქ ვცხოვრობ და მეგობრულად გირჩევთ ამას".

მეტი წილი იმ დღისა ასეთ საუბარსა და პატუსანის თვალიერებაში გაატა-რა ბრაუნმა, თავის სამსხვერპლოს უთვალთვალებდა, იმისი ხალხი კი ამ დროს ისვენებდა. იმავე დღეს დაინ უორისის კანოები ერთი მეორის მიყოლებით გას-ხლტნენ იმ ფშანიდან და ქვევით ჩაუყვნენ მდინარეს, ზღვისკენ გადაუჭრეს ბრაუნს გზა. მაგრამ ბრაუნმა არ იცოდა ეს ამბავი და კასიმმა, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე რომ ავიდა იმ გორაზე, ყველაფერი ილონა, რათა იმას არ გაეგო ეს ამბავი. კასიმს უნდოდა იმ თეთრი კაცის ხომალდი მდინარეს ამოჰ-ყოლოდა და ამ ახალმა ცნობამ ვაითუ მხნეობა დააკარგვინოსო. აღარ მოსცი-ლებია ბრაუნს, გაუთავებლივ ეხვეწებოდა, „ბრძანება" გააგზავნეო, და ამავე დროს ერთგულ მოციქულსაც სთავაზობდა, ვინც სრულიად იდუმალ (როგორც ის ამბობდა) ხმელეთით მდინარის შესართავთან მივიდოდა და ხომალდზე აი-ტანდა ამ „ბრძანებას". ბრაუნმა ერთხანს იფიქრა, მერე თავისი წიგნაკიდან ერთი ფურცელი ამოხია და უბრალოდ დაწერა: „საქმე კარგადაა, დიდი მოგე-

ბა გვექნება, ეს კაცი დააკავეთ“, კასიმმა ამ საქმისთვის ერთი მოსულელო ყმაწვილი შეარჩია, იმან დავალება ასრულა და ჯილდოდ ეს მიიღო: უცებ ხელი ჰკრეს და თავით შხუნის გამოცარიელებულ ტრიუმში [illegible] იმ ყოფილმა მარგალიტების მაძიებელმა და ჩინელმა, მერე კი სასწრაფოდ ლუკი დახურეს. თუ რა მოუვიდა იმას, ბრაუნს არ უთქვამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი 40

ბრაუნს უნდოდა როგორმე დრო გაეყვანა და აჰყვა კასიმის დიპლომატიას. ბოლომდე მიყვანა საქმისა, თავისდა უნებურად ფიქრობდა იგი, სწორედ იმ თეთრი ყმაწვილკაცის დახმარებით შეიძლებოდა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ის ყმაწვილკაცი (დიდი მოხერხებული უნდა ყოფილიყო, რაკი ასე კარგად შეძლო ამ ველურების მოთოკვა) უარყოფდა დასახმარებლად გამოწვდილ ხელს, რომლის მეშვეობითაც აღარ დასჭირდებოდა დაყოვნება, სიფრთხილე, საშიში ხრიკების მოშველიება — მეტი რაღა დარჩენოდა მარტოხელა კაცს. ხოდა, ბრაუნი თავის ძალას შესთავაზებდა. უარს ვინ ეტყოდა. მთავარი იყო ერთმანეთისა გაეგოთ. რასაკვირველია, გაიყოფდნენ მონაგარს. ფრიად აღელვებინა იმ აზრს, რომ იქ ფორტი იყო — სრულიად მზად და იმის ცხვირწინ — ნამდვილი ფორტი, არტილერიით (როგორც კორნელიუსმა უთხრა). ერთი კი მივიდეს იქ და მერე... ბევრი არ უნდა მოითხოვოს. მაგრამ არც მთლად ცოტა. სულელი არ უნდა ყოფილიყო ის ყმაწვილკაცი, როგორც ჩანს. ძმებივით იმუშავებენ, იმუშავებენ, ვიდრე... დრო არ მოვა და რაღაცაზე ველარ მორიგდებიან. ერთი გასროლა და მორჩა. ქუში მოუთმენლობით წამონთებულიყო, ერთი ის ყმაწვილკაცი ნახოს და დაელაპარაკოს. თითქოსდა უკვე მისი იყო ეს ქვეყანა, შეუძლია დაგლიჯოს, ყველაფერი გამოსწოვოს და ბოლოს მოისროლოს. მანამდე კი ეს კასიმი უნდა მოატყუოს. ჯერ ერთი საჭმელს ვინ ამოუტანს. შეიძლება სხვა მხრივაც დასჭირდეს ეს კაცი. მთავარი ეს იყო, საკვები ჰქონოდა ყოველდღე. გარდა ამისა, იქნებ რაჯასაც ამოუდგეს მხარში და თავბედი დააწყევლინოს იმ ხალხს, ვინც გაბედა და სროლა აუტეხა. ხელები აჰქავებოდა საომრად.

კი ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ბრაუნის სიტყვებით გადმოგცეთ ძირითადად ბრაუნისგანვე მოსმენილი ამ ამბის ეს ნაწილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები იმ გამძვინვარებული კაცისა, ვისაც უკვე სიკვდილი სწვდომოდა ყელში და ჩემთვის თავისი გული გადაეშალა, მამცნობდა იმის ენით უთქმელ სისასტიკეს, საკუთარივე წარსულისადმი მიმართულ საშინელი ნაცვალგების გრძნობას და ბრმა რწმენას საკუთარი ნებისას, რომლის ჭეშმარიტება უდავო იყო მისთვის და კიდევაც მიმართულიყო მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. სწორედ ასეთ გუნება-განწყობილებაზე უნდა გახლდეთ სისხლისმსმელ ავაზაკთა ბუნდის მეთაური, ვისაც მედიდურად შეურქმევია თავის თავისთვის „ღვთის რისხვა“. თქმა არ უნდა, თანდაყოლილი უწყალობა ამ კაცისა კიდევ უფრო გაეძლიერებინა ხელმოცარვას, ბედის უკუღმა ტრიალს და უკანასკნელ მარცხს, ასევე, იმ უიმედო მდგომარეობას, რომელშიაც ის მოხვედრილიყო, მაგრამ მთავარი მაინც ეს იყო, თავის გულში უკვე დაეგეგმა ვერაგული კავშირი და კიდევაც გადაეწყვიტა იმ თეთრი ყმაწვილკაცის ბედ-იღბალი, თავის ეშმაკურ ბადეში გაეხვია კასიმიც და სინამდვილეში ერთი სურვილი ამოძრავებდა, თითქმის თავის საწინააღმდეგოც, იავარეყო ჯუნგლის ეს ქალაქი, რომელმაც ურჩობა გაუბედა, გვამებით მოეფინა აქაურობა და გადაებუგა. ვისმენდი იმის უწყალო, ჩახ-

რინწულ ხმას და თვალწინ წარმომიდგა, როგორ დაჰყურებდა იქაურობას იმ მთიდან და ოცნებობდა მკვლელებისა და მძარცველების სათარეშოდ გაეხადა ეს არემიდამო. მონაკვეთი იმ ფშანის ახლოს უდაბური ჩანდა, თუმცა კი ყოველ სახლში ფხიზლობდა შეიარაღებული ხალხი. უცებ დაბალი და ხშირი ბუჩქნარით შეფენილ, ხნარცვებიან, ბილიკებით დასერილ ადგილ[illegible] იქა-იქ გროვა-გროვად ეყარა ნაგავი, გამოჩნდა კაცი, რომელიც სულ [illegible]მორიბოდათ აქედან, და დაცარიელებულ ქუჩას გამოჰყვა; უსიცოცხლო იყო ის დარაბებმიხურული ჩაბნელებული სახლები. შეიძლება ეს იყო ერთი იმათთაგანი, ვინც მდინარის მეორე მხარეს გახიზნულიყო და ახლა რაღაც საოჯახო ნივთის წამოსაღებად დაბრუნებულიყო. როგორც ჩანს, თავი სამშვიდობოს ეგონა, რადგან იმ ფშანის იქით მდებარე გორა შორს ჩანდა, ქუჩის მოსახვევში საჩქაროდ აგებული პატარა ღობის მიღმა კი მრავალ იმის მეგობარს მოეყარა თავი. ნელა მიდიოდა. ბრაუნმა ის დაინახა და მაშინვე იმ დეზერტირ იანკის მოუხმო, ეს კაცი იმის მოადგილეობას სწევდა. თოფის მიწაზე თრევით მიუახლოვდა ეს აწოწილი, ტანმორღვეული, სახებრიყვი ჯეელი. როცა კი გაიგო, თუ რას სთხოვდნენ, ბოროტი, მზვაობარი ღიმილით მოეღრიცა ტუჩები და ორმა მსხვილმა ნაოჭმა გაუსერა ჩაყვითლებული, დაჭიმული ტყავის მსგავსი ლოყები. დიდებული მსროლელი გახლდათ და კიდევაც თავი მოჰქონდა ამით. ერთ მუხლზე ჩაიჩოქა, წაქცეული ხის ტოტებში ლულა გაჰყო, დაუმიზნა და გაისროლა, მაშინვე წამოდგა და გაიხედა. იმ კაცმა თავი მოატრიალა სროლის ხმაზე, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა, შებარბაცდა და უცებ ხელებსა და მუხლებზე დაეცა. თოფის გრიალს სიჩუმე მოჰყვა, ის მარჯვე მსროლელი თვალს არ აცილებდა თავის მსხვერპლს და ბოლოს თქვა: „ამ შავტუხას ჯანმრთელობის დარდი აღარ ექნებათ მის მეგობრებს". მალ-მალე ატოკებდა ის ოთხზე შემდგარი კაცი კიდურებს, თითქოსდა ასე უნდოდა გაქცევა. გაოცებისა და შიშის ყვირილი აღმოხდა სახლებში შემალულ ხალხს. პირქვე ჩაემხო ის კაცი და აღარ განძრეულა. „კი ნახეს, თუ რა შეგვძლებია ჩვენ, — მითხრა ბრაუნმა, — ანაზდეული სიკვდილის შიშის ზარმა დარიათ ხელი. სწორედ ეს გვინდოდა. ჩემს ერთ კაცზე ორასი მოდიოდა და იმ ღამეს კი გავუჩინე იმათ საფიქრალი. ასე შორს თუ შეიძლებოდა გასროლა, რა იცოდნენ. იმ საცოდავ რაჯას კაცს კინაღამ თვალები არ წამოუცვივდა ბუდიდან".

თქვა ეს და სცადა აკანკალებული ხელით დუჟი მოეწმინდა ჩალურჯებული ტუჩებიდან: „ერთზე ორასი მოდიოდა. ერთზე ორასი მოდიოდა... შიშის ზარი... შიშის ზარი... შიშის ზარი უნდა დასცემოდათ, მე გეუბნებით..." თავადაც გადმოცვენაზე ჰქონდა თვალები. უკან გადავარდა, ჰაერს ეპოტინებოდა თავისი გალეული თითებით, ისევ წამოჯდა, მოხრილი, ბანჯგვლიანი, თითქოსდა ზღაპრული მხეცკაცი ყოფილიყო, საწყალობლად პირი დააღო და საშინელმა კრუნჩხვებმა დაუარა მთელ სხეულში, ისევ დაიწყო ლაპარაკი. ამ სურათს რა დამავიწყებს.

მერე კი, რათა მოწინააღმდეგეს სროლა დაეწყო და მიმხვდარიყვნენ, იმ ფშანის გასწვრივ ბუჩქებში თუ იყვნენ ჩასაფრებულნი, ბრაუნმა უბრძანა იმ სოლომონის კუნძულელს ჩასულიყო ნავთან და ნიჩაბი ამოეტანა; სწორედ ასე გზავნით თქვენ ძაღლს წყალში გადაგდებული ჯოხის წამოსაღებად. მაგრამ ხელი მოეცარათ. ისე დაბრუნდა ის კაცი, ერთხელაც არ გაუსროლიათ. იქ არავინ უნდა იყოსო, ასეთი აზრი გამოთქვა ერთმა. ვითომ მასეაო, შენიშნა იანკიმ. კასიმი ამ დროისათვის უკვე წასულიყო, დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ყველაფერს, რაც ნახა. ნასიამოვნები დარჩა, მაგრამ ცოტა შეშფოთებულიც. კა-

სიმს ღალატი არ დაუშლია და კაცი გაუგზავნა დაინ უორისს,ასე ურჩევდა, ამ თეთრი ხალხის ხომალდს უნდა დახვდეთ, ცნობა მაქვს, მალე ამოუყვებიანო მდინარეს, დიდი გემი არ უნდა იყოსო და იმის შეჩერებას სთხოვდა. გარკვეული მიზანი ჰქონდა ამ ორმაგ თამაშს, ბუგელთა გაყოფილი ძალები შესუსტებინა ბრძოლით. მეორე მხრივ, სწორედ იმავე დღეს ასე აცნობა ქალაქში თავმოყრილ ბუგელთა მამასახლისებს, ვცდილობ დავარწმუნო ეს მომხდურნი, გაგვეცალეთ-მეთქი; ფორტში კი დაბეჯითებით სთხოვდა, რაჯას ხალხს, ღვინთი უნდა მოგვცეთო. კარგა ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც რაჯა ალანგს ტყვია-წამალი ჰქონდა, ახლა იმ ძველისძველ მუშკეტებს ჟანგი სჭამდა მისალებ დარბაზში. ფრიად შეეჩქვიფებინა ხალხი ღია მოლაპარაკებას იმ გორასა და სასახლეს შორის. ბჭობდნენ, დროა რომელიმე მხარეს დავდგეთო. სადაცაა დაიწყებოდა სისხლისღვრა და დიდი განსაცდელი გადახდებოდათ თავს. ჯიმის მეცადინეობით ყველას ხვალინდელი დღის რწმენა გასჩენოდა, ხოდა, ამ საღამოს წესრიგისა და მშვიდობიანობის სოციალური მანქანა შეიძლება შემუსრულიყო და სისხლით მოთხვრილიყო. მდაბიოთ უკვე ბუჩქებისთვის შეეფარებინათ თავი, ანდა მდინარეს აჰყოლოდნენ მაღლა, წარჩინებულებმა კი არჩიეს რაჯასთვის მიეგოთ პატივი. მაგრამ რაჯას კარზე მყოფი ყმაწვილები მუჯლუგუნებით შეხვდნენ, უხეშად მოექცნენ. შიშითა და დაბნეულობით ლამისაა ჭკუიდან გადასული ტუნგუ ალანგი კი ან პირქუშად დუმდა ან გააფთრებული მოჰყვებოდა იმათ ლანძღვა-გინებას, ხელცარიელი მოსვლა როგორ გაბედეთო. რაღას იზამდნენ, თავზარდაცემულნი წამოვიდნენ. მხოლოდ მოხუცმა დორამინმა მოუყარა ხალხს თავი და იმ თავისი პირვანდელი სამოქმედო გეზისთვის აღარ გადაუხვევია. სახელდახელოდ აღმართული მესრის იქით, იმ თავის მაღალ სავარძელში მჯდომარე, დაბალი, ყრუ ხმით ბრძანებებს იძლეოდა, აღუშფოთველი გახლდათ, თითქოსდა სმენა დახშეოდა ამ გაწამაწიაში.

ბინდი ჩამოწვა, აღარ ჩანდა ის გვამი, ხელებგაშლილი და განრთხმული, თითქოსდა მიწაზე ლურსმნებით დაჭედილი. ღამე გარშემობურვოდა პატუსანს, ზემოდან კი მილიარდი ვარსკვლავი დასციმციმებდა დედამიწას. ქალაქის დაუცველ მხარეს, ერთადერთ ქუჩაზე ისევ დაანთეს კოცონები, იმათი შუქი ელაციცებოდა სწორკიდეებიან სახურავებს, მოწნული კედლების ნაწილს, ხოლო აქაიქ მთლიანად წარმოეჩინა ხიმინჯებზე მდგარი ქოხმახები; შუქჩრდილებით მოცული ნაგებობების ეს ზოლი ციალ-ციალით მიჰყვებოდა ზემოთ მდინარეს და სადღაც იქით, სიბნელეში ებჯინებოდა შუაგულს ამ მიწისას. სრულ მდუმარებაში აცეკვებულიყვნენ ცეცხლის ენები და იმ გორის მოშავბნელებულ ძირს მიახლოებოდნენ; მაგრამ მდინარის მეორე მხარეს, იმ წკვარამში მხოლოდ ერთი კოცონი ენთო — მდინარის პირას, ფორტის პირდაპირ. თითქოსდა მრავალი ფეხის ხმა, ბრბოს ყვირილი და ძახილი, ან ვეებერთელა ჩანჩქერის გრგვინვა-გრიალი შენივთებულაო, ისეთი ხმაური მოისმოდა იქიდან. და აი მაშინ, აღიარა ჩემთან ბრაუნმა, ზურგით თავისი ხალხისკენ რომ იჯდა და უმზერდა ამ სურათს, მიუხედავად იმ თავისი სიძულვილისა, მიუხედავად რწმენისა საკუთარი თავისადმი, ისეთმა გრძნობამ მოიცვა, თითქოსდა ქვის კედელს გადასწყდომოდა და თავითაც შეჯახებოდა. ამ დროს იმისი ნავი მზად რომ ყოფილიყო, იქნებ გაქცევაც ეცადა, მაგრამ მაშინ ან მდინარეზე წამოეწეოდნენ ან შიმშილით სული ამოხდებოდათ ზღვაში. ფრიად საეჭვო იყო, თავი გაეღწია სამშვიდობოს. ასე იყო თუ ისე, არც კი უცდია. წამით ესეც კი გაიფიქრა, მოდი, ქალაქში შევიჭრებით, მაგრამ ბოლოს ხომ უნდა მოხვედრილიყო იმ განათებულ ქუჩაში და ძაღლებივით დახოცავდნენ იმ სახლებიდან. ერთ ჩვენიანზე ორასი კაცი მო-

დისო, გაიფიქრა მან, იმისი ხალხი კი ამ დროს მბჟუტავი ნაკვერჩხლების ორ გროვას შემოსხდომოდა, ჭამდნენ უკანასკნელ ბანანებსა და წვავდნენ შემორჩენილ ბატატს, კასიმის წყალობით რომ ჰქონდათ, მთელემარე კორნელიუსიც იყო იმათ შორის.

შემდეგ თეთრთაგან ერთ-ერთს გაახსენდა, რომ იმ ნავში [illegible] დარჩენილი და რაკი იცოდა, სოლომონის კუნძულელი კაცი [illegible]რუნებულიყო, ასე განაცხადა, წავალ და ამოვიტანო. სხვებმაც განიქარვეს კაეშანი. ბრაუნიც დაეთანხმა, ჯანდაბას, წადიო. მისი აზრით, სულაც არ იყო საშიში ამ ღამით ფშანთან ჩასვლა. იმ კაცმა გადააბიჯა მორს და გაქრა. ცოტა ხნის მერე გაიგონეს, როგორ ჩაძვრა იმ ნავში და მალე გადმოძვრა კიდევაც. მომაქვსო, დაიყვირა იმან. იმავე წამს სროლის ხმა გაისმა გორის ძირას. დაჭრილი ვარო, დაიღრიალა იმ კაცმა. მომხედეთ, მომხედეთო, დაჭრილი ვარო, და მაშინვე ატყდა თოფების სროლა. გრგვინვა-გრიალმა მოიცვა მთელი ის გორა, თითქოსდა პატარა ვულკანის ამოფრქვევა დაწყებულიყო და როდესაც ბრაუნმა და იმ იანკიმ ლანძღვა-გინებითა და მუშტების ტრიალით შეაჩერეს შიშის ზარით გამოწვეული ეს ბათქაბუთქი, იმ ფშანიდან გაუთავებელი კვნესა ამოისმა, ამას მოჰყვა გულის მომკვლელი მოთქმა და ამის მსმენელთ შხამნასვამივით სისხლი გაეყინათ ძარღვებში. შემდეგ კი ფშანის იქიდან ძლიერი ხმა გაისმა. სიტყვები ვერ გაიგეს. ნუ ისვრით, დაიყვირა ბრაუნმა, რა უნდა იყოსო?.. თუ გესმით იმ გორაზე, თუ გესმით, თუ გესმითო? სამჯერ გაიმეორა ხმამ. კორნელიუსმა გადმოუთარგმნა და მერე უთხრა, ჩქარა უნდა უპასუხოთო. გვითხარით, დაიყვირა ბრაუნმა, ჩვენ გისმენთო. შემდეგ იმ უცნობმა, როგორც ჩანს, იმ უდაბური ადგილის კიდეში მდგარმა მაცნეს მაღალფარდოვანი კილოთი განაცხადა, პატუსანში მცხოვრებ ბუგელებსა და იმ გორაზე მოკალათებულ თეთრ ხალხსა და მათ ბანაკში მყოფთა შორის არ შეიძლება იყოს ნდობა, არც შეწყალება და მოლაპარაკება და არცა მშვიდობაო. ბუჩქი შეინძრა, მისდა უნებურად გაისროლა იმ იანკიმ და დააყოლა, დასწყევლოს ღმერთმაო. კონდახი მიწას დაჰკრა. კორნელიუსმა გადაუთარგმნა მაცნეს ნათქვამი, ორჯერ დაიყვირა იმ გორის ძირში დაჭრილმა კაცმა, ამიყვანეთ, ამიყვანეთო, და კვნესას მოჰყვა. იმ ჩაბნელებულ ფერდობს რომ ჩაჰყვა და სანამ იმ ნავში დაძვრებოდა, დიდი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ თამბაქოს პოვნამ ისე გაახალისა, რომ ყველაფერი დაავიწყა და ნავის კიდეზე შეხტა. ის თეთრი ნავი მომაღლოდ იყო, ხოდა, იმის კიდეზე მდგარი გამოჩნდა კიდევაც, ამ ადგილას ის ფშანი სულ შვიდი იარდის სიგანისა იყო და მოხდა ისე, რომ ვიღაც ყოფილა ჩამალული ბუჩქებში მეორე ნაპირას.

მაცნე ტონდანოდან პატუსანში სულ ახლახან ჩამოსული ბუგელი გახლდათ, იმ დღეს მოკლული კაცის ნათესავი. იმ სიშორიდან მიზანში მოხვედრებამ მართლაც დააშინა იქაური მოსახლეობა. სულაც არ უფიქრია ამ კაცს, მიმწვდებიანო აქ, და კი დაეცა თავისი მეგობრების თვალწინ, ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვოდა. ასეთი სისასტიკის მნახველები ჯავრით ალალ იყვნენ. სწორედ დორამინისა იყო მაშინ მოკლული კაცის ნათესავი, სახელად სილაპა, სულ რამდენიმე ნაბიჯის იქით, იმ მესრის მიღმა. თქვენ იცნობთ ამ მოდგმას და კი დამეთანხმებით, რომ იმ ყმაწვილმა არაჩვეულებრივი სიქველე გამოამჟღავნა, როდესაც მოციქულობა შეკისრა შეუთავაზა ბუგელებს და მარტოდ წამოვიდა კიდევაც იმ ღამეს. ის მოტიტვლებული ადგილი ცოცვით გადმოვლო, ხელმარცხნივ გადმოუხვია და სწორედ იმ ნავის პირდაპირ შეჩერდა, დაბლა ჩამოსული ბრაუნის კაცის ყვირილმა შეაკრთო. მჯდომარემ თოფი მხარზე მოიგდო და როცა

ის კაცი გადმოხტა ნავიდან და კარგადაც გამოჩნდა, ჩახმახს თითი გამოჰკრა და სამი ტყვია მუცელში ჩააქედა იმ საბრალოს. შემდეგ პირქვე ჩაემხო და გაიფიქრა, ცოცხალი ვერ გადავრჩებიო, როცა ხელმარცხნივ ბუჩქებში ტყვიები აწრიალდა. სწორედ ამის მერე წარმოთქვა მან ის თავისი სიტყვა, ლამის მოკეცილმა, საფარში ჩამალულმა. თქვა უკანასკნელი სიტყვა და გვერდზე გადახტა, ერთხანს მიწაზე იყო გაკრული, შემდეგ სრულიად ყუნწმოცლილი იმ წახლებთან დაბრუნდა. საშინლად გაუოქვამს იმ ღამეს სახელი.

იმ გორაზე კი სასომიხდილი არამზადები ჩაჰყურებდნენ მბჟუტავ ნაკვერჩხლებს. თავჩაქინდრულები, ტუჩებმოკუმულები ყურს უგდებდნენ ქვემოთ თავიანთი ამხანაგის გოდებას; ძლიერი კაცი იყო და დიდხანს კვდებოდა. ჯერ ხმამაღლა გმინავდა, მერე ჩუმი კვნესაღა მოისმოდა, ხანდახან კი ისევ შეჰყვირებდა, რასაც ამაზრზენი, გაუთავებელი ვალალი მოსდევდა.

— რაღა აზრი აქვს? — თქვა ბრაუნმა, არც კი შეტოკებულა. იმ იანკის უმზერდა, ვინც წყევლა-კრულვით იქ ჩასვლას ლამობდა. კარგით, უხალისოდ უარი თქვა თავის განზრახვაზე დეზერტირმა. დაჭრილს აღარაფერი ეშველება. იმისი ყვირილი კი დააფიქრებს სხვებს. კაპიტანო, წყალიო! ცხადლივ მოისმა იმ თოფნაკრავი კაცის ყვირილიც და კვნესაც.

— ჰაი, წყალი. წყალი მოუვლის მაგას, — ჩაიჩურჩულა ბრაუნმა თავისთვის, — ბევრი ექნება სულ ცოტა ხანში. მოქცევა დაიწყო.

დაბოლოს მოქცევამ იმძლავრა, შეწყდა ის გმინვა-ვაება. სადაცაა უნდა გათენებულიყო, ბრაუნი კი იჯდა და ხელზე ნიკაპჩამოდებული პატუსანს გასცქეროდა, ასე გაჰყურებენ ხოლმე მიუვალ მთას. უცებ, სადღაც დაბაში ზარბაზანი გაისროლეს. რა უნდა იყოსო? ჰკითხა მან თავის გვერდით აწრიალებულ კორნელიუსს. ყური მიუგდო კორნელიუსმა, ყრუ ხმები მოისმოდა დასახლებიდან, მდინარის გაყოლებაზე ქვევით დიდ დოლს დაჰკრეს, პატარებიც აჰყვნენ, ჰაერმა ზრიალი მოიღო. ის მოვიდაო, თქვა კორნელიუსმა. რაო? უკვე? დარწმუნებული ხართო? ჰკითხა ბრაუნმა. დიახ, დიახ, დარწმუნებული ვარ, აბა ერთი ყური მიუგდეთო. ასე რად აბრახუნებენო? გაუკვირდა ბრაუნს.

— უხარიათ, — ჩაიხითხითა კორნელიუსმა, — დიდი კაცია, მაგრამ იმდენივე იცის, რაც ბალღმა. ასეთი ხმაური კი იმიტომ ატეხეს, რომ ასიამოვნონ, მეტი ვეღარაფერი მოუფიქრებიათ.

ყური მიგდეთ, უთხრა ბრაუნმა, როგორ უნდა მივიდესო კაცი იმასთან? ის თვითონ მოვაო აქ, გიიუცხადა კორნელიუსმა. რას ამბობ? თითქოსდა სასეირნოდო, ისე ამოვა აქ? კორნელიუსმა საჩქაროდ დაუკრა თავი ამ სიბნელეში. დიახ, პირდაპირ აქ მოვა და დაგელაპარაკებათ, სულელია და იმიტომ, თავადაც ნახავთ, რა სულელიაო. ბრაუნმა არ დაუჯერა.

— აი ნახავთ, აი ნახავთ, — გაუმეორა კორნელიუსმა, — იმას არ ეშინია. იმას არც არაფრის ეშინია. მოვა აქ და გიბრძანებთ, შენ და შენიანები აქედან უნდა წახვიდეთო, იმის ხალხს თავი უნდა დაანებოთ. პატარა ბავშვივითაა. პირდაპირ თქვენთან მოვა.

ვაგლახ! მართლაცდა კარგად იცნობდა ჯიმს... „ეს მძორი", უკვე ასე ეძახდა ბრაუნი მას.

— დიახ, ნამდვილად, — განაგრძო იმან მგზნებარედ, — და მერე, კაპიტანო, თქვენ ესტყვით იმ მაღალ-მაღალ თოფიან კაცს და მოაკვლევინებთ, მოკლავთ იმას და ყველა შიშით ქკუას დაკარგავს, ხოლო, რასაც მოისურვებთ, იმას იზამთ, როცა გნებავთ, მაშინ წახვალთ. ხა! ხა! ხა! ლიღებულია...

კინაღამ არ ცეკვავდა მოუთმენლობისა და აღფრთოვანებისაგან. ბრაუნმა

კი მხარზემოდან რომ გამოხედა იმას. თავისი ხალხი დაინახა განთიადის უწყალო ზეცის ცვრით დასველებულები, გაციებულნი ნაკვერჩხლებთან, ნავებში მჯდომარენი, დაღლილ-დაქანცულები, ზარდაცემულნი და შემოძონძილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი 41

სანამ განთიადმა არ იმძლავრა, სულ უკანასკნელ წუთამდე [illegible]ლა კოცონები დასავლეთის ნაპირზე; და მერე ბრაუნმა ჭრელტანსაცმლიან ხალხში, მეწინავე სახლებთან უძრავად მდგომარე კაცი დაინახა, ჩაცმული ევროპულად, ჩაჩქანი* ეხურა, სულ თეთრები ეცვა. აი ის, შეხედეთ! შეხედეთ! თქვა წამონთებულმა კორნელიუსმა. ბრაუნის ხალხი ყველა ფეხზე წამოვარდა და იმის უკან შეჯგუფდა, თვალები ამღვრეოდათ. გორას ამოჰყურებდნენ ჭრელჭრელ ტანსაცმლიანი, მუქფერი სახის ადამიანები და იმათ შუაგულში ის თეთრად ჩაცმული კაცი. ბრაუნი ხედავდა ცალი მიშვერილი მკლავი ზემოთ აეწიათ და თვალებს იჩრდილავდნენ, მეორე ხელს კი აქეთ იშვერდნენ. რა უნდა ექნა? გარეშემო მიმოიხედა, ყოველმხრივ გაუვალ კედლად აღმართულიყო ტყე და შემოსტყუმოდა ამ უთანასწორო ბრძოლის სარბიელს. კიდევ ერთხელ შეხედა თავისიანებს. სიძულვილი, დაქანცულობა, სიცოცხლის წყურვილი — ყველაფერი ერთად მოსძალებოდა... მაინცდამაინც აქ უნდა ჩახონ სამარე... საკირე ენთო გულში. ის თეთრსამოსლიანი კაცი, როგორც განსახიერება ამ ქვეყნის ძლიერებისა, ჭოგრით იყურებოდა აქეთ. ბრაუნი მორზე შეხტა და ხელები ზე აიშვირა. ფერადტანსაცმლიანი ხალხი ორჯერ შემოეხვია იმ თეთრ კაცს და ორჯერ მიდგა უკან, ვიდრე იგი თავს დაეღწევდა მათ და ნელა წამოვიდოდა ფშანისკენ. ბრაუნი მანამ იდგა იმ მორზე, სანამ ჯიმი, ეკალჯაგებში რომ შეიმალებოდა და გამოჩნდებოდა, სულ ახლოს არ მოვიდა იმ ფშანთან; მაშინ ჩამოხტა და იმის შესახვედრად ქვემოთ დაეშვა.

ერთმანეთს შეხვდნენ, არ მგონია, იმ ადგილის შორიახლოს ან შეიძლება სულაც იმ ადგილას, სადაც ჯიმმა თავის ცხოვრებაში მეორედ გააკეთა სასოწარკვეთილი ნახტომი — ნახტომი, რომელმაც პატუსანში ამოაყოფინა თავი, მოაპოვებინა რწმენა, სიყვარული და ნდობა ხალხისა. პირისპირ შედგნენ, იმათ შუა ის ფშანი მიედინებოდა. სანამ სიტყვას დაძრავდნენ, ერთმანეთს დაჟინებით შესცქეროდნენ, ცდილობდნენ ჩახვედროდნენ ერთმანეთის სათქმელ-საქმნელს. მათივე თვალებში უნდა გამოჩენილიყო მათი შეურიგებლობა. ვიცი, ბრაუნს დანახვისთანავე შესძაგდა ჯიმი. მაშინვე წარეხოცა ყოველი იმედი. სწორედაც არ მოელოდა ასეთი კაცის ნახვას, ხოდა, შესძაგდა... ეს სახელოვანი(?) [illegible], დაკრეფილი ფლანელის პერანგიანი, ქოლოთაწყვეტილიანი, გამხდარი, მზით შეტრუსული კაცი გულში წყევლიდა იმის სიყმაწვილესა და თავდაჯერებულობას, იმის ხასხასა თვალებსა და აუმღვრეველობას. ძალიან სჭირდებოდა ეს ყმაწვილკაცი მას! სულაც არ ჰგავდა იმას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. ძნელი [illegible] იმის მხარეს — ის გაბრუებული, შეუვალი, ძალმოსილი, ყოვლისშემძლე! არც მშიერ-მწყურვალი, არცა სასოწარკვეთილი იყო და არც ჩანდა, არც არაფრის შიში ჰქონდა. ჯიმის ჩაცმულობის სისუფთავე, იმის თეთრი ჩაჩქანი, ტილოს კრაგები და თეთრივე ფეხსაცმლები ჭკუას აკარგვინებდა ბრაუნს, რადგან ყოველივე ეს იმის თვალში ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე იყო მიუღწეველი და ზიზღის მომგვრელი.

---

* [illegible]

— ვინა ხართ? — ჰკითხა ბოლოს ჯიმმა თავისი ჩვეულებრივი ხმით.

— ბრაუნი გახლავართ გვარად, — ხმამაღლა მიუგო იმან, — კაპიტანი ბრაუნი. თქვენ ვინღა ხართ?

ჯიმმა ერთხანს იყუჩა, თითქოსდა არც გაუგონია რა.

— აქ რამ მოგიყვანათ?

— გნებავთ იცოდეთ, — მწარედ უთხრა ბრაუნმა, — [illegible]ლია, შიმშილმა. თქვენ კი რა გინდათ აქ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ კი შეცბა ის ჯეელი, მითხრა ბრაუნმა, რომელსაც თავიანთ უცნაურ გაბაასებას მამცნობდა, იმათ შუა ის [illegible] მიედინებოდა. მხოლოდ, მაგრამ ორ საპირისპირო პოლუსზე კი იდგნენ, სულ სხვადასხვაგვარად უყურებდნენ ცხოვრებას და იმიტომ, მთელი კაცის მოდგმაც ხომ ასეა. „ხოდა, შეცბა ის ჯეელი და წამოენთო. პასუხის ღირსადაც არ მთვლიდა, მე მგონია. ასე ვუთხარი: მკვდარი თუ გგონივარ, ვისაც გინდ მოისყიდი და გინდ არა, მაშინ ცუდად გვქონია საქმე-მეთქი. ჩემს კაცს იმ წვეროზე მთელი ეს ხანი მიზანში ჰყავხარ ამოღებული, ჩემს ნიშანსღა ელოდება. გასაბრაზებელი რაღაა, რაკი საკუთარი ნებით მობრძანებულხარ-მეთქი. მოდი შევთანხმდეთ. მე ვუთხარი. მკვდარი ვართ ჩვენ ორივე, ერთ ბედში ვართ მე და შენ. თავიდათავი ეს არის. თანაბარნი ვართ-მეთქი სიკვდილის წინაშე. ისიც ვუთხარი, ვირთხასავით კი ვარ ხაფანგში გაბმული, მაგრამ ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და იცოდე: ხაფანგში გაბმული ვირთხაც იკბინება-მეთქი. იმ წუთასვე [illegible], სულაც არ გავეკარები ამ ხაფანგს და რაღას მიკბენს. დაიცადე, სანამ ის ვირთხა არ მოკვდება. ასე მივუგე, ასეთი თამაში შენს მეგობარ ველურებს კი მოეწონებათ, მაგრამ თეთრ კაცს შენ ვირთხასავით ვერ მოექცევი-მეთქი. დიახ. ლაპარაკი მინდოდა მე იმასთან. შეწყალებას არ ვთხოვდი, არა. ჩემი ამხანაგები კი... როგორიც არ უნდა ყოფილიყვნენ... ადამიანები იყვნენ, იმასავით. ხოდა, ყველას ეს გვინდოდა, როგორღაც ბოლო მოეღებოდა ამ ამბავს. დასწყევლოს ღმერთმა, ვუთხარი ხის ბოძივით გაუნძრევლად დაყუდებულს, — ნუთუ ყოველდღე იქეთ აქ ბინოკლით და თვალს მადევნებ, ჩვენგან რამდენი დარჩენილა ფეხზე. მიდი და ის ჯოჯოხეთის მეგობრები შემოაგრიხე, ან გაგვიშვი, რომ აქ ლია ზღვაში ამოგვხდეს შიმშილით სული ღვთის [illegible]! შენც ხომ თუნდაც ერთი თეთრთაგანი იყავი, თუმცა კი იმას ამბობ, რომ ეს შენი ხალხია და იმათი ეკუთვნი. ხომ ასეა? ნეტავი რა შემოგაძლიათ ასეთი, ეშმაკმა უწყის აქ რა დაგიკარგავს? ჰა? შენ არ გინდა ჩვენი აქ [illegible] ჩამოხვევა, არა? [illegible] მოდიხართ. შენ არ გინდა ჩვენი [illegible] შეხვედრა. ჰო! კი გპირდებით, სანამ ბოლოს მოგვეღებოდეთ, სეირს გიჩვენებთ, მეგობრებო. სიმხდალე არისო ამ უწყინარ ხალხზე თავდასხმა. იმათ უწყინარობას რას ვაქნევ, როდესაც შიმშილით ვკვდები და რას გულისხმობს, მაგრამ მე მხდალი არა ვარ. და შენც ნუ იქნები. წამოასხი ისინი აქ. ანდა, ეშმაკსაც წაუღია იმათი თავი, კი შევძლებთ ამ უწყინარი დასახლების განახევრებას, ბევრსაც გაუყოლიებთ!"

მიამბობდა ამას ბრაუნი, საშინელი სანახავი იყო, ჩონჩხად ქცეული, ოთახში მოქცეული იწვა მილეული ლოგინზე იმ ფარდულის ქოხში, თავს წევდა და ასე მიმზერდა ბოროტეული ზიზღით.

— ხოდა, ასე ვუთხარი... ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა, — დაიწყო მან კვლავ სუსტი ხმით, მაგრამ მერე და მერე [illegible] და მძვინვარებით ისროდა სიტყვებს. — ტყეს ხომ არ მივეცემით თავს და ბუჩქნარს ხომ არ მოვყვებით ეს გაძვალტყავებული ხალხი, სანამ [illegible] არ შევეჩვევით [illegible] მეთქი!...

მეტის ღირსი არცა ხართო, ასე უთქვამს იმას.

— შენ კი რისი ღირსი ხარ-მეთქი, — დავუყვირე, — დამდგომიხარ და მელაყბები შენს პასუხისმგებლობაზე, ამ ხალხის უცოდველობასა და შენს მოვალეობაზე. შენ ისევე მიცნობ მე, როგორც მე შენ. საჭმლის გულისთვის მოვედი აქ. გესმის?.. საჭმელი გვინდა ჩვენ, კუჭი გვიხმება შიმშილით. შენ კი რატომღა მოხვედი? რა დაგიკარგავს? მოდით, შეგვებრძოლეთ ან წადით იქ, საიდანაც მოსულვართ, იქ წავალთ-მეთქი...

თუნდაც ახლავე შეგებრძოლებიო, მომიგო მან და თავის პაწაწინა ულვაშზე ხელი გადაისვა. მერედა მესროლე და გაათავე, მე ვუთხარი, ხელს ვინ გიშლის. ვინ დამწყევლა ასე. ხოდა, მიდი. მაგრამ მარტო არა ვარ იმ ნავჭურჭელზე... და მადლი უფალს, არც ისეთი კაცი ვარ, საფრთხეს გავეცალო და ისინი ბედის ანაბარად დავაგდო-მეთქი, განვუცხადე მე. ერთხანს ფიქრობდა და მერე მოისურვა გაეგო ჩემი ამბავი (იქაურიო, თქვა მან და მდინარისკენ თავი გააქნია). იმიტომ შევხვდით, რომ ჩვენი ცხოვრების ამბავი მოვუყვეთ ერთმანეთს? შეგიძლია დაიწყო-მეთქი. დიახ, ჩემო ბატონო, მაგრამ არა მსურს ამისი მოსმენა. შენთვის შეინახე. ვიცი, ბევრად ვერ მჯობნებდი, თუმცა ისე ლაპარაკობ, თითქოს ფრთები გესხას და ფეხს არ აკარებდა ჭუჭყიან დედამიწას, დიახ ჭუჭყიანს. მე კი ფრთები არ მაქვს.იმიტომ ვარ აქ. რომ ჩემს ცხოვრებაში ერთხელ შევშინდი. გნებავს იცოდე, რისა შემეშინდა? რისა და ციხისა. შეგიძლია იცოდე, ესა მტანჯავს, გსიამოვნებს? მე არ გეკითხები ამ გადასაკარგავში რამ ჩამოგიყვანა-მეთქი, სადაც რაღაც ხეირი კი უნდა გენახა. შენი ბედი ეს ყოფილა, ჩემი კი... ისღა დამრჩენია, გთხოვო, აქვე მომკლა ან გამიშვა და შიმშილით მომელება ბოლო ჩემს გზაზე-მეთქი...

მთელ იმის მოშვებულ სხეულს კანკალი მოკიდებოდა და ისეთი გზნებითა და მრისხანებით წამონთებულიყო, ასე იფიქრებდით, ამ ქოხში დადარაჯებულ სიკვდილს უკან დაუხევიაო, თითქოსდა იმისი შლეგური მედიდურობის ნეშტი წამომართულიყო იმ ძონძებსა და სილატაკეში ვითარცა შავბნელი შემზარაობა სამარისა. შეუძლებელია იმისი თქმა, რამდენს ცრუობდა ის მაშინ ჯიმთან, რამდენს ცრუობდა ის ახლა ჩემთან... საკუთარ თავთანაც სულ მუდამ. პატივმოყვარეობა ბოროტ ხრიკებს უშვრება ჩვენს მეხსიერებას, მაგრამ სულ პატარა მიზეზია საჭირო, რომ ჭეშმარიტმა გრძნობებმა გააცოცხლოს იგი. მათხოვარივით მდგარი იმ ქვეყნის კარიბჭესთან, ამ ქვეყანას სახეში ულაწუნებდა, აფურთხებდა, იკლებდა ლანძღვა-გინებით, ანთხევდა ბოღმას. ყველა მოინელა — კაცი, ქალი, ველური, ვაჭარი, მაწანწალა, მისიონერი და ჯიმიც — ასე სახებრიყვმა გლახაკმა. რა იყო იმისი ზარზეიმურობა in articulo mortis*, იმისი თითქმისღა სიკვდილის მერმინდელი ილუზია. მთელი დედამიწა გამითელავსო ფეხქვეშ. ხოდა, მომყოლოდა კვეხნას ეს მომაკვდინებელ მარწუხებში მომწყვდეული კაცი, მე კი ჩემდა უნებურად მახსენდებოდა იმისი წარსული ამბები, როდესაც თავისი ზეობის ხანს, ერთი წელი თუ უფრო მეტიც, ჯენტლმენი ბრაუნი თავისი ხომალდით მთელი დღეები მწვანე სარტყლით გარშემოვლებულ კუნძულის ირგვლივ ტრიალებდა, სადაც თეთრ ნაპირზე შავად მოჩანდა მისიის შენობა; ხანაპიროზე გადადიოდა ხოლმე ეს ჯენტლმენი ბრაუნი და იმ რომანტიკოსი ქალის მოხიბვლას ცდილობდა, ვისთვისაც მელანეზიაში ყოფნა გაუსაძლისი გამხდარიყო, ხოლო მის ქმარს იმედს აღუძრავდა, კი მოვაქცევო ჭეშმარიტების გზაზე. ეს საწყალი კაცი გაიძახოდა, ამ კაპიტანს როგორ არ უმართ-

* სიკვდილის ჟამს (ლათ.).

ლებსო ცხოვრებაში... „ღმერთს ავედრებდა ჯენტლმენ ბრაუნს", — ასე უთქვამს ერთხელ ვილაც თვალებმობრეცილ შარახვეტიას. — ხოდა, სწორედ ეს კაცი იყო, ვინც მომაკვდავ ქალთან ერთად გაიქცა და ცრემლებით დაალტო იმისი ცხედარი, „ბავშვივით კი იქცეოდა, — გაუთავებლივ მეუბნებოდა იმისი შემწე, — თუნდაც იმ ბეჩავმა კანაკებმა დანით გული გამიპონ, იმ ამბისა ვერაფერი გამიგია და რა ვქნა. უწყით თუ არა თქვენ ჯენტლმენო, ის ქალი რომ ხომალდზე ამოიყვანა, ისე ცუდად იყო, ვერც კი ცნობდა; იწვა ის ზურგზე განრთხმული და საშინლად თვალებაპრიალებული ჭერს მისჩერებოდა... ხოდა, მოკვდა. წყეული ციებ-ცხელება სჭირდა, მე მგონია..." სწორედ მაშინ გამახსენდა ეს ამბები, როდესაც ჩალურჯებულ ხელს ისვამდა აბურდულ წვერზე, იწრიხ-იგრიხებოდა იმ თავის აყროლებულ ლოგინში და მიამბობდა, სავონებელში ვიყავი ჩავარდნილი, იქნებ როგორმე მენახა იმ ყმაწვილკაცის უზაკველ გულთან მიმავალი გზაო. მართლაც, შეშინებით ჯიმს ვერ შეაშინებდა, მაგრამ კი გამოჩნდა გზა, რომელიც მიუახლოვებდა „იმის გროშ-კაპიკის საღირალ სულს, ამოატრიალებდა და თვალწინ გადაიშლიდა... ღმერთმანი!"

## თავი 42

ვფიქრობ, ეს გზა იხილა და მეტი არაფერი. მგონია, კი დააბნია იმან, რაც დაინახა, ამიტომ წყვეტდა თავის მოთხრობას ასეთი შეძახილებით: კინაღამ არ დამისხლტა ხელიდან... იმისი ვერა გავიგე რაო..., ვინ იყო? და შემომხედავდა გამძვინვარებული, ისევ განაგრძობდა თავის ზარზეიმურ და იქედნურ თხრობას. იმ ფშანს გაღმა-გამოღმა მდგომარე ამ ორთა გაბაასება ახლა რაღაც მომაკვდინებელ დუელად წარმომიდგება, თვად ბედისწერა ჩამოსცქეროდა იმათ თავისი ცივი თვალებით, მცოდნე ამ ამბის დასასრულისა. ვერა, იმან ვერ შეძლო ჯიმის სულის ამოტრიალება, მაგრამ ეს კი მტკიცედ მჯერა, იმ სულს, იმისთვის ესოდენ მიუწვდომელს, სრულად უნდა ეგემნა ამ ორთაბრძოლის სიმწარე. მსტოვრები იმ ქვეყნისა, რომელიც მან უარყო, კვალში ჩადგომოდნენ და თავს აღარ ანებებდნენ. თეთრი ადამიანები იყვნენ ესენი, „იქიდან", სადაც, ასე ფიქრობდა, თვად არ იყო ცხოვრების ღირსი. ყველაფერი ერთად წამოსწეოდა — მუქარა, შფოთიანობა, საშიშროება, შრომას აღარ ანებებდნენ. მგონია, სევდანარევი ბოღმა და თავდაოკება გამოსჭვიოდა ჯიმის იმ ორიოდე სიტყვაში, რომელმაც თავგზა აუბნია ბრაუნს, გაუძნელა ამ ყმაწვილკაცის შეცნობა. ზოგ-ზოგი დიდი ადამიანი თავის სიდიადეს იმ უნარს უნდა უმადლოდეს, რომ შეუძლია სხვათა ბუნება-ხასიათში შენიშნოს ის თვისებები, რომლებიც გამოადგება თავისი მიზნებისათვის, და ბრაუნიც, თითქოსდა მართლაც დიდი ყოფილიყო, დაჯილდოებული გახლდათ იმ სატანისეული უნარით. შეეძლო მიეკვლია მსხვერპლის გარკვეული თვისებებისათვის, ასე გამანდო იმან, ჯიმი არ იყო იმათთაგანი, ვისი მოლორებაც პირფერობით შეუძლიათო, და ამისდა კვალად, შეეცადა თავი ეჩვენებინა დევნილ, მრავალჭირგადახდილ, მაგრამ მხნე კაცად. რა დანაშაული უნდა იყოსო ორიოდ თოფის კონტრაბანდით გატანა, ეუბნებოდა ის ჯიმს, პატუსანში კი სამათხოვროდ იყო ჩამოსული და ვინ გაბედავდა ამის უარყოფას? ხოდა, იმ წყეულმა აქაურმა ხალხმა ორივე მხრიდან ტყვიები დაუშინა ისე, რომ არც უკითხავთ რამე. დაჟინებით ეუბნებოდა ამას მაგრამ მართალი ეს იყო, დაინ უორისს რომ არ ეყოჩაღნა, შავი დღე დაადგებოდა სუყველას; სწორედ ბრაუნმა არ მითხრა, ნაპირზე გადავედი თუ არა, მინდოდა ცეცხლი დამეშინა და ყველანი დამეხოცა მარჯვნივ და მარცხნივ, ვისაც

კი დავინახავდით. ანუ, უნდოდა აქაური მოსახლეობის დაშინება. ძალთა უთანასწორობა იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ფონს გასვლაო — მიმტკიცებდა ის ხვნეშითა და ხველებ-ხველებით. მაგრამ ჩემთვის კი არ უთქვამს ეს ამბავი. ხოდა, თუ რა დღეში ჩავარდნილიყვნენ ეს ნამგზავრი დაღლილ-დაქანცული, ნაშიმშილევი გარეწრები, შეხედავდნენ [illegible] ხეზედ შეტყობით, ბრაუნმა ერთი გამყინავად დაუსტვინა, მა[illegible]ლხი მორზე შედგა და ჯიმმა შეძლო იმათი დანახვა. კი, მართალია, კაცი მოკლეს... დიახ... მაგრამ ომი იყო, სისხლისმღვრელი ომი... ჩასაფრებულები ესვრიან ერთმანეთს. ხოდა იმ ჯეელმა მაშინვე განუტევა სული, შიგ გულში მოხვდა ტყვია და იმიტომ, იმ ფშანთან გაგორებულ კაცს კი არ ჰქონია ბედი. ყველას ესმოდა, ექვსი საათი კვდებოდა ის უბედური, ტყვიებით დაცხრილული. სიკვდილი სიკვდილისა წილ... ყველაფერი ეს ნათქვამი იყო ქანცგაწყვეტილი, თავზე ხელაღებული კაცის კილოთი, ვისაც დღენიადაგ დასდევს უბედობა და უკვე აღარც აწუხებს ის ამბავი, თუ სად გარბის. ესეც კი უთხრა ჯიმს რაღაც უხეში, სასოწარკვეთილი გულწრფელობით, ნუთუ შენ, პირდაპირ გეუბნები, ვერ მიმხვდარხარ, რომ ამ გადასაკარგავში როცა სიცოცხლის გადარჩენაზე მიდგება საქმე, კაცს სულაც აღარა აქვს იმისი დარდი, სამი დაიხოცება, ოცდაათი თუ სამასიო. ეშმაკ ჩასჩურჩულა ეს სიტყვები ყურში. ეს რომ გაიგონა, შეკრთაო, მეტრაბახებოდა ბრაუნი. სულ მალე დაანება თავი ალალ-მართალი კაცის როლის თამაშს: იდგა იქ და ვეღარაფერს მეუბნებოდა... მეხნაკრავივით გაშეშებულიყო... მე კი არა, მიწას ჩასცქეროდაო. ხოდა, ასე ეკითხებოდა ჯიმს, ნუთუ შენს ცხოვრებაში საეჭვო არაფერი არ გაგიკეთებია, ან იქნებ სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ასე უწყალოდ ექცევი კაცს, ვისაც თავის დაღწევა უნდა ამ დაწყევლილი ადგილიდან და მზადაა ყველაფერი იღონოსო... და ა. შ. თავის უკმეხ საუბარს რა არ მოაყოლა, შენი სისხლი და ხორცი ვარ, ერთი ბედისა ვყოფილვართ მე და შენო, ამაზრზენად გადმოუკრავს სიტყვა რაღაც საერთო დანაშაულის შესახებ, საიდუმლოებით რომაა მოცული, ხოდა ასე, ურთიერთში გადაწნული მათი გული და გონება.

დაბოლოს, ბრაუნი მიწაზე გაიშოტა და თვალთვალი დაუწყო ჯიმს. ფშანის იქითა მხარეს იდგა ჯიმი, ჩაფიქრებული, წკეპლას ირტყამდა ფეხზე. დადუმებულიყო სახლები, თითქოსდა ყამიანობას წარეხოცა სიცოცხლის ნიშანწყალი, მაგრამ სინამდვილეში მრავალი უჩინარი თვალი მოსჩერებოდა ფშანის გაღმა-გამოღმა მყოფ ორ კაცს, იქვე მიგდებულ თეთრი ფერის ნავს და მესამე კაცის გვამს, სანახევროდ ჭაობში ჩაფლულს. ისევ დაცურავდნენ კანოები მდინარეზე, რადგან პატუსანს დაბრუნებულიყო რწმენა ამქვეყნიური კანონიერებისა თეთრი ლორდის დაბრუნებასთან ერთად. მარჯვენა სანაპიროზე, სახლების ბანებზე, ნაპირზე დაბმულ ტივებსა და ხიმინჯებიანი ქოხმახების სახურავებზეც ხალხი გამოფენილიყო, ხოლო ისინი, ვინც შორს იყვნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ცდილობდნენ დაენახათ ის გორა რაჯას ციხესიმაგრის იქით. ტყით შემოსაზღვრულ და მდინარით ორად გაყოფილ მთელ ამ არემიდამოში მდუმარება ჩამოწოლილიყო. იძლევით პირობას, დატოვოთო სანაპირო? ჰკითხა ჯიმმა. ბრაუნმა ხელი ჩაიქნია, სხვა რა გზა ჰქონდა. იარაღს ჩამაბარებთო, განაგრძო ჯიმმა. ბრაუნი წამოჯდა და გამოხედა.

— იარაღი ჩავაბაროთ! მხოლოდ მაშინ, როცა დაგვხოცავთ და ხელიდან გაგვიგლეჯთ(?) — გაგვივარდება. ხომ არ გგონია, შიშმა ჭკუა დამაკარგვინა. ჰოი, არა! ქვეყნად ესღა დამრჩენია და ძონძები, და კიდევ რამდენიმე ზარბაზანი ხომალდზე; იქნებ

მაღაგასკარზე გავყიდო, თუკი იქამდე მივაღწიე — სამათხოვროდ ხელი უნდა გავიშვიროთ ყოველი გემისკენ.

ჯიმმა აღარაფერი უთხრა. დაბოლოს, ის წკეპლა მოიქნია და გადააგდო, თითქოსდა თავისთვის ჩაილაპარაკა, არ ვიცი, რისი ძალა შე[illegible].

— არ იცი! ხოდა, გინდა იარაღი ჩაგაბარო, კარგი ამბავია მართლაც, — დაუყვირა ბრაუნმა, — შეიძლება შენ ერთი გითხრან იმათ[illegible] თავბედი დამაწყევლინონ.

ახლა კი დამშვიდდა.

— ძალა ალბათ შეგწევს, თუ არადა რა აზრი ჰქონდა ჩვენს საუბარს? — განაგრძო მან, — აქ რაღატომ მოხვედით? დროის გასატარებლად?

— კარგი, — მიუგო ჯიმმა, უეცრად ასწია თავი კარგა ხნის დუმილის შემდეგ. — ან გზა გექნებათ, ან ომი.

ქუსლებზე შეტრიალდა და წავიდა.

ბრაუნი მაშინვე ფეხზე წამოვარდა, მაგრამ მანამდე არ წამოსულა, სანამ ჯიმი პირველ სახლებს იქით არ მიიმალა, მეტი აღარც უნახავს ის ყმაწვილკაცი. უკან, გორაზე ასვლისას, კორნელიუსს შეხვდა; ქვემოთ მოდიოდა მხრებში თავჩარგული. ბრაუნის პირდაპირ შედგა. რად არ მოკალითო? ჰკითხა მან უსიამოვნო, უკმაყოფილო ხმით. რადა და გამომადგებაო, გაუღიმა ბრაუნმა. არასოდეს, არასოდეს! გაკაპასებით უპასუხა კორნელიუსმა, დამიჯერეთ, მე აქ დიდი ხანია ვცხოვრობო. ბრაუნი გაოცდა. ბევრი რამ გაუგებარი იყო მისთვის მის წინააღმდეგ ამხედრებული ამ დაბის ცხოვრებიდან. დაღვრემილი კორნელიუსი მდინარისკენ დაეშვა. თავის ახალ მეგობრებს ტოვებდა. ცუდი პირი უჩანდა მოვლენებს და პირქუში სიჯიუტით შეგუებოდა ამ ამბავს, თითქოს კიდევ უფრო დამცრობოდა პაწაწინა, ჩაყვითლებული სახე და ძირს რომ ჩადიოდა, ალმაცერად იყურებოდა აქეთ-იქით, აკვიატებული ფიქრი ვერ მოეცილებინა.

შემდგომი ამბები სწრაფად, ელვისებურად მოხდა, ისე ამოხეთქილიყო ადამიანთა გულებიდან, ვითარცა ნაკადი ბნელი ქვაბოვანიდან, და ჯიმს აწ უკვე, ძირითადად, ტამბ იტამის თვალით ვხედავთ. გოგოს თვალიც არ მოსცილებია იმას, მაგრამ იმისი სიცოცხლე გადაწნულიყო იმ ყმაწვილკაცისას, გრძნობების მთელი გამა ესაძირკვლებოდა ამ გოგოს მაშინდელ ყოფას: ვნება-წამება, განცვიფრება, მრისხანება, მეტადრე კი შიში და სიყვარული, რომელმაც პატიება ვერ შესძლო. ხოლო იმ სანდო მსახურს თუ გავიხსენებთ, იმ კაცს მხოლოდ ერთგულება ამოძრავებდა, ერთგულება და რწმენა თავისი ლორდისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ გაოცებაც არ შეგვიძლია და რაღაც იდუმალების გრძნობით ვხვდებით ამ მარცხს. იმას მხოლოდ ეს ერთი ედგა თვალწინ და ამ გაწამაწიაში მხოლოდ იმ ერთს შეჰფოფინებდა, დარაჯობდა, ემორჩილებოდა, ზრუნავდა...

დაბრუნდა მისი ბატონი იმ თეთრ კაცთან საუბრის შემდეგ და ნელა გაუყვა ქუჩას მესერშემოვლებული ადგილისაკენ. ზეცის კარი გაღებოდათ, უკან მობრუნებულს რომ ხედავდნენ იმას, რადგან ყველას ეშინოდა, ვაითუ მოკლანო და, ამავე დროს, ისიც აღარდებდათ, თუ რა მოხდებოდა მერე. ჯიმი ერთ-ერთის სახლში შევიდა, სადაც მოხუცი დორამინი იმყოფებოდა და კარგა ხანს დარჩა ბუგელების ბელადთან, რაღა თქმა უნდა, იმაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი, თუ რა უნდა გაეკეთებინათ შემდგომ, მაგრამ არავინ დასწრებია იმათ ლაპარაკს. მხოლოდ ტამბ იტამი მდგარა იმ კარის სიახლოვეს და თავისი ბატონის ნათქვამი გაუგონია: „დიახ, მე ვაცნობებ ხალხს ჩემს სურვილს, მაგრამ შენ, ო, [illegible]

რაძინ, სხვებზე უფრო ადრე გაცნობე პირისპირ საუბრისას, რადგან შენ ისევე კარგად იცი ჩემი გულის ამბავი, როგორც მე შენი და იმ შენი დიდი სურვილისა. და შენ ისიც კარგად იცი. ჩემი ფიქრის საგანი ხალხის კეთილდღეობაა და სხვა არაფერი". შემდეგ იმისმა ბატონმა ფარდა გადასწია. გამოვიდა და მან, ტამბ იტამმა, თვალი მოჰკრა მასაც დორამინს: თავის სავარძელში იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, იატაკს ჩასცქეროდა. შემდეგ ტამბ იტამი თავის ბატონს გაჰყვა ფორტში, სადაც სათათბიროდ მოიწვიეს ბუგელთა თავკაცები და პატუსანის წარმოგზავნილები. ტამბ იტამის აზრით, ბრძოლა უნდა ყოფილიყო. იმ კიდევ ერთი გორის აღებას რა უნდოდაო, შეჰყვირა იმან სინანულით. მაგრამ ქალაქში ბევრს იმედი ჰქონდა, ის გულმხეცი უცხოელები დაინახავდნენ საბრძოლოდ შემართულ ამდენ მამაცს და გაეცლებოდნენ. მართლაცდა, კარგი იყო რომ გაცლოდნენ. ჯერ კიდევ გათენებამდე აცნობეს ხალხს ჯიმის ჩამოსვლა ფრონტში ზარბაზნის გასროლით და დოლის ცემით, პატუსანში მაშინვე განქარდა შიშის ზარი, ისე დაიმსხვრა, როგორც ტალღა კლდეზე და დარჩა მღელვარების, ცნობისმოყვარეობისა და გაუთავებელი მითქმა-მოთქმის მოჩუხჩუხე ქაფი. თავდასაცავად ემზადებოდნენ და მცხოვრებთა ნახევარი გახიზნეს თავიანთი სახლებიდან. მდინარის მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე იყვნენ ახლა ისინი, ფორტის გარშემო ტრიალებდნენ და გაღმა მხარეს, თავიანთი სახლებისაკენ იცქირებოდნენ, რადგან ყოველ წუთს მოელოდნენ იქ ცეცხლის გაჩენას. წამოგზნებულ ხალხს ამ საქმის დროულად გასრულება სურდა. ლტოლვილებისათვის საკვები მიჰქონდათ ჯუელის მითითებით, არავინ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა იმათი თეთრი კაცი. ვიღაცამ თქვა, შერიფ ალისთან ბრძოლა უფრო ადვილი იყოო, მაშინ ბევრს არც არაფერი ადარდებდა, მაგრამ ახლა კი გასჩენოდათ დასაკარგავი. მდინარეზე მიმოდიოდნენ კანოები და დაბის ორივე მხრიდან ხალხი ყურადღებით აკვირდებოდა მათ. შუაგულ დინებაში ბუგელთა ორი სამხედრო ნავი იდგა მდინარის სადარაჯოზე, კვამლი მიიხვეოდა მაღლა თითოეული მათგანიდან, — ბრინჯს ხარშავდნენ სადილად, შუადღე იყო. ჯიმმა ბრაუნთან და დორამინთან საუბრის შემდეგ გადაჭრა მდინარე და თავის ფორტში გადავიდა. ხალხი გარშემოეხვია და ძლივსღა გაიკვლია გზა თავისი სახლისკენ. იმისი ნახვა ვერ მოესწროთ, რადგან ღამე ჩამოსულიყო, ნავსადგომში დახვედროდა გოგო, რომელმაც ორიოდე სიტყვა უთხრა და მანაც მაშინვე მეორე სანაპიროს მიაშურა თავკაცებთან და შეიარაღებულ ხალხთან მოსალაპარაკებლად. მხიარული შეძახილებით შეხვდნენ მას, ერთმა ბერიქალმა გულიანად გააცინა ხალხი, რაკი ჯიქურ გაიკვლია გზა და ბუზღუნ-ბუზღუნით ეს უთხრა ჯიმს, ჩემი ორი ვაჟია დორამინთან და მიხედე, იმ ყაჩაღებმა რამე არ ავნონო. რამდენიმე ახლო მდგომმა სცადა განზე გაეყვანა, მაგრამ იგი უძალიანდებოდა და გაჰყვიროდა: „თავი დამანებეთ, რას შვრებით, მუსულმანებო? რა გაცინებთ? თუ ის გარეწრები არ არიან სასტიკი და სისხლისმსმელი კაცის მკვლელები?" თავი დაანებეთო, თქვა ჯიმმა და როდესაც ყველამ იყუჩა, ასე წარმოთქვა ნელა: არც არავის დაუშავდებაო რამე. სახლში შევიდა და მერეღა გასრულდა კმაყოფილების ჩურჩული, შვებით ამოისუნთქა ხალხმა.

ეჭვი აღარ იყო, რომ მას ზღვისკენ ბრაუნის გაშვება გადაეწყვიტა. საკუთარივე ბედისწერა წამოსდგომოდა თავს. პირველად დასჭირდა თავისი ნების დაცვა, რადგან მოწინააღმდეგეები ჰყავდა ამჟამად. „ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ, პირველად ჩემი ბატონი სდუმდა, — მითხრა ტამბ იტამმა, — დაბნელდა და მაშინ სანთლები დავდგი იმ გრძელ მაგიდაზე. მამასახლისები გვერდიგვერდ ისხდნენ, ქალბატონი კი ჩემი ბატონის ხელმარჯვნივ იდგა".

ჯიმმა სიტყვა თქვა, თითქოსდა იმისი სიმტკიცე კიდევაც გაეორკეცებინა ამ უჩვეულო სიძნელეებს. ის თეთრი კაცები გორაზე პასუხს მოელიან. მის მშობლიურ ენაზე ელაპარაკა იმათი მეთაური და კარგადაც გაიგო ყველაფერი. შეცთომილი ადამიანები არიან ისინი და ტანჯვა-ვაებამ იმდენად დააბრმავა, რომ ველარ არჩევენ სიკეთესა და ბოროტებას. მართალია, უკვე დაიღუპა რამდენიმე, მაგრამ იმათ ნუთუ სხვებიც უნდა მიჰყვნენ? ასე განუცხადა თავის მსმენელებს, ხალხის წარმოგზავნილებს. თქვენი კეთილდღეობა ჩემი კეთილდღეობაა, თქვენი დანაკლისი ჩემი დანაკლისია, თქვენი ჭირი ჩემი ჭირიაო, მიმოიხედა და შეათვალიერა თავისი სახეგაქვავებული მსმენელები. გახსოვდეთ, ჩვენ ერთად გვიბრძოლია და გვიშრომიაო. კი იციან იმისი ვაჟკაცობის ამბავი... ჩურჩულმა შეაწყვეტინა სიტყვა... არც არასდროს მოუტყუებია ისინი. უკვე მრავალი წელიწადია ერთად ცხოვრობენ. მას უყვარს დიდი სიყვარულით ეს მიწა-წყალი და აქაური ხალხი, ის მზადაა თავისი სიცოცხლით აგოს პასუხი, თუკი ის თეთრი, წვეროსანი ხალხი რაიმე ზიანს მიაყენებს იმათ აქედან წასვლისას. კი არიან ისინი ბოროტნი, მაგრამ ბოროტი ბედისწერაც დევნის მათ. ცუდად ხომ არასოდეს ურჩევნია იმას რამე, არა? განა მისმა სიტყვებმა უბედურება მოუტანა როდისმე ხალხს? იკითხა მან. ასე სჯერა, სჯობს გაუშვან ის თეთრი ხალხი და მათი თანამზრახველნი, ნუ წაართმევენ სიცოცხლეს. დიდი საჩუქარი არც უნდა იყოს ეს იმათთვის.

— თქვენ ხომ გამოსცადეთ, ყოველთვის გჯეროდათ ჩემი, ამიტომ გთხოვთ გაუშვათ, — ის დორამინს მიუბრუნდა. მოხუცი ნაკლოდა არც შეტოკებულა.

— მაშინ, — უთხრა ჯიმმა, — უხმე დაინ უორისს, შენს ვაჟიშვილს და ჩემს მეგობარს. ამ საქმეში მე ველარ ვიქნები მეთაური.

## თავი 48

მეხდაკრავივით იდგა ტამბ იტამი იმისი სკამის უკან. ამ განცხადებამ დიდი გაოცება გამოიწვია. გაუშვით, თავიანთ გზაზე წავიდნენ, ასე სჯობს, მე თქვენ არც არასდროს მომიტყუებიხართო, დაიჟინა ჯიმმა. სიჩუმე ჩამოვარდა. ბინდგადაკრული ეზოდან ხალხის დახშული ჩურჩული და ფეხის ხმა მოისმოდა. დორამინმა ასწია მძიმე თავი და თქვა, ადამიანის გულის ამოკითხვა ისევე შეუძლებელია, როგორც ცისთვის ხელის შევლებაო, მაგრამ... ასე იყოსო. სხვებმაც ასე დაასრულეს: „ასე სჯობს... გაუშვათ, წავიდნენ“ და ა. შ. ბევრმა კი უბრალოდ წარმოთქვა, „ჩვენ გვჯერა ტუან ჯიმის“.

ხალხის ეს სიტყვები სწორედაც გამოვლინება იყო მისდამი რწმენისა, იმის სამართლიანობისა. ეს გარემოება კი ამაღლებდა მას საკუთარ თვალში და უტოლდება უცდომელ ადამიანებს, რომლებიც სულ მუდამ თავიანთ სიმაღლეზე დგანან. შტაინის სიტყვები: რომანტიკოსი! რომანტიკოსო! — თითქოსდა ზარივით რეკდა იმ სივრცეში, რომელმაც სამუდამოდ ჩაიხუტა იგი და არც არასდროს დაუბრუნებს უსულგულო სამყაროს, სადაც არად მიიჩნევენ იმის ნაკლსა თუ ღირსებას, სადაც იმის მგზნებარე გრძნობიერებას, გაჯერებულს დიდი ტანჯვა-ვაებითა და მარადიული განშორებით, არც კი შეამკობენ ცრემლებით. სწორედ ამ წუთიდან იმისი უკანასკნელი სამი წლის ალალმართალი სიცოცხლე, პირისპირ რომ შეეჩეხა კაცთა ყველობას, შიშსა და მძვინვარებას, ნათლით შეიმოსა, და ამიტომ უკვე აღარ მეჩვენება იგი ისეთი, როგორიც სულ ბოლოს ვნახე — თეთრი წერტილი, რომელსაც შთანთქავს მქრქალი ნათელი იმ

დალურჯმილი სანაპიროსი და მოშავბნელებული ზღვისა; არა, ის უფრო დიდია და იმისი სულიერი სიმარტოვე ღირსია უფრო მეტი სიბრალულისა, ვიდრე ის გოგო, ვისაც ყველაზე მეტად უყვარდა ეს ყმაწვილკაცი და კიდევაც რჩებოდა მისთვის სასტიკი და ამოუხსნელი გამოცანა.

ცხადია, ჯიმმა დაუჯერა ბრაუნს. არც იყო მიზეზი, ეჭვით მოკიდებოდა მის ნათქვამს, რომლის სიმართლესაც თითქოსდა ამტკიცებდა იმისი უხეში გულახდილობა, როდესაც რაღაც ვაჟკაცური გულწრფელობით აღიარებდა თავის უზნეო საქმეთ და ამ საქმეთა შედეგს. რა იცოდა ჯიმმა ამ კაცის ენით უთქმელი ეგოიზმის ამბავი, ვინც დაინახავდა თუ არა თავის გაცუდებულ და შემუსრულ ნებას, ცოფი ერეოდა. თუმცა კი დაუჯერა ჯიმმა ბრაუნს, მაგრამ შიშობდა, ვაითუ გაუთვალისწინებელი რამე მომხდარიყო და მაინც დაღვრილიყო სისხლი. ამიტომ. წავიდნენ თუ არა მალაელი თავკაცები, ჯუელს დაუძახა და საჭმელი მოატანინა. სასწრაფოდ უნდა წასულიყო ფორტიდან, თავად უნდა ჩადგომოდა სათავეში ქალაქს. გოგომ დაუშალა, დაღლილ-დაქანცული ხარო, მაგრამ მან ძიუგო, ძოხდება რამე და ჩემს თავს ვერასდროს ვერ ვაპატიებო ამას. „ამ ქვეყანაში ყოველი ადამიანის სიცოცხლეზე მე ვაგებ პასუხს“, — თქვა მან. პირველად მოწყენილი იყო, გოგო ემსახურებოდა მას — ჯამ-თეფშებს (სასადილო სერვიზი შტაინს ეჩუქებინა ჯიმისთვის) თავად გამოართმევდა ხოლმე ტამბ იტამს. ცოტა ხნის მერე გამხიარულდა ჯიმი და ასე უთხრა გოგოს, კიდევ ერთი ღამე მოგიხდებაო ფორტის მეთაურობა. „არ გვიწერია ძილი, ჩემო საყვარელო, — თქვა მან, — სანამ ჯერ კიდევ გასაჭირშია ჩვენი ხალხი“. მერე კი ხუმრობით დასძინა, ნამდვილი ვაჟკაცი შენ ყოფილხარო: „შენი და დაინ უორისის ჩანაფიქრისამებრ რომ მოქცეულიყავით, არც ერთი ის გლახაკი არ იქნებოდა ცოცხალი დღეს“. „ასე ცუდები არიან ისინი?“ ჰკითხა გოგომ. „კაცი ცუდს სჩადის ხანდახან, თუმცა კი სხვებზე უარესი არ უნდა იყოს“, თქვა ჯიმმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

ტამბ იტამი თავის პატრონს ჩაჰყვა ნავმისადგომთან. წყნარი, უმთვარო ღამე იყო და შუაგული მდინარისა ჩაბნელებულიყო, მხოლოდ კიდეებში ირეკლებოდა ორივე ნაპირზე დანთებული კოცონები „ვითარცა რამაზანის* ღამეს“, როგორც თქვა ტამბ იტამმა. ლუზაზე დამაგრებული სამხედრო ნავები გარინდებულიყვნენ ჩაშავებულ. მოჩქაფუნე წყალზე. მთელი ღამე კანოეთი დაჰყავდა თავისი პატრონი ტამბ იტამს ან ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ნაპირზე, ადი-ჩადიოდნენ ქუჩებში, ყველგან ენთო კოცონები, დაბაშიაც და დაბის გარეთაც, ველმინდვრებში ხალხი ჩამდგარიყო სადარაჯოზე პატარ-პატარა ჯგუფებად. ტუან ჯიმი ბრძანებებს აძლევდა და ყველანი ემორჩილებოდნენ. დაბოლოს, ისინი რაჯას მესერს მიადგნენ, სადაც ჯიმის ერთი რაზმი დაბანაკებულიყო იმ ღამით. მოხუცი რაჯა ადრე დილით გაქცეულიყო და თან წაეყვანა მეტი წილი თავისი დედაკაცებისა. ჯუნგლის რომელიღაც სოფლის ახლოს, ჩანჩქერთან ერთი სახლი ჰქონდა და იქ დადგა. კასიმი დარჩენილიყო, იმ თათბირს ესწრებოდა და საქმიანი და გულმამაცი კაცის სახით ამცნობდა იმათ წინადღის მოლაპარაკების შედეგს. ცხადია, უკმაყოფილო იქნებოდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ იღიმებოდა, დიდად ფრთხილობდა და ძალიან გაუხარდა, როდესაც ჯიმმა მკაცრად უთხრა, ამაღამ ჩემს ხალხს შემოვიყვანო რაჯას მესერში. დასრულდა თათბირი, ჯიმი წასასვლელად გამზადებულ თავკაცებს ხმამაღლა მადლობას ეუბნებოდა და არწმუნებდა, ხელს არავინ ახლებსო რაჯას ქონებას მისი არყოფნის ხანს.

* რამაზანი — მუსულმანების მარხვა.

ათი საათი იქნებოდა, როდესაც ჯიმმა თავისი ხალხი შეიყვანა იქ. ეს მესერი ამაღლებულ ადგილას იყო და ფშანის შესართავს დასცქეროდა. ჯიმის ბრძანებით, იქამდე უნდა დარჩენილიყვნენ იქ, სანამ ბრაუნი ქვევით არ ჩაივლიდა. პატარა კოცონი დაანთეს ბალახით შეფენილ, მოსწორებულ ადგილზე და სარებით გაწყობილი ღობის მიღმა და ტამბ იტამმა თავისი ბატონისთვის [illegible] დასაკეცი სკამი მოიტანა. ჯიმმა უთხრა, დაღლილი ხარ და [illegible] ტამბ იტამმა ჭილოფი დაიგო და იქვე, შორიახლოს მიწვა, მაგრამ ვერ დაიძინა, თუმცა კი იცოდა, ჯერ კიდევ გათენებამდე ფრიად მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად უნდა წასულიყო. იმისმა ბატონმა ხელები ზურგზე დაიწყო, თავი დახარა და ასე სცემდა ბოლთას კოცონის წინ, დაღვრემილიყო. ტამბ იტამს არ უნდოდა ჯიმს გაეგო, რომ ეღვიძა, და ამიტომ, მოუახლოვდებოდა თუ არა იგი, მაგრად დახუჭავდა თვალებს. დაბოლოს, თავს წამოადგა ბატონი, დახედა და წყნარად უთხრა, დროა.

ტამბ იტამი მაშინვე ადგა და მომზადებას შეუდგა. მდინარეს უნდა ჩაჰყოლოდა, ერთი საათით ან უფრო მეტითაც ბრაუნის ნავისთვის უნდა გაესწრო და ეცნობებინა დაინ უორისისათვის, რომ იმას თეთრები უვნებლად გაეტარებინა. ჯიმი სხვას არც ანდობდა ამ დავალებას. ვიდრე ტამბ იტამი გაეშურებოდა, უფრო ფორმალურად, ვიდრე აუცილებლობის გამო (ყველამ კარგად იცოდა, ჯიმისა და მისი სიახლოვის ამბავი) რაიმე ნივთი მოითხოვა იმის დასტურად და ნიშნად, რომ მისგან იყო გაგზავნილი, ეს იმიტომ, ტუან, თქვა მან, რომ მნიშვნელოვანი დავალებით მივდივარ, თქვენი სიტყვები უნდა გადავცე იმათ. იმისმა ბატონმა ჯერ ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი, მერე მეორეში, დაბოლოს შტაინის ნაჩუქარი ის ვერცხლის ბეჭედი წაიძრო თითიდან, ყოველთვის თან რომ დაჰქონდა, და ტამბ იტამს მისცა. როდესაც ტამბ იტამი დავალების შესასრულებლად გაეშურა, ბრაუნის ბანაკში ჯერ კიდევ ბნელოდა, მხოლოდ ერთი კოცონის ალი ლიცლიცებდა იმათივე მოჭრილ ხის ტოტებს შორის.

გუშინ, ჯერ კიდევ კარგად არ მოსაღამოვებულიყო, როდესაც მან ჯიმისგან დაკეცილი ბარათი მიიღო, ის წერდა: „გზა ხსნილი გაქვთ. დილის მოქცევისთანავე გასწიეთ. შენი ხალხი გააფრთხილე. ფშანის ორივე მხარეს, ბუჩქებში, და იმ მესრის მიღმა, შესართავთან, ბევრნი არიან კარგად შეიარაღებულნი. ვერც ვერაფერს გახდებოდით, მაგრამ, არა მგონია, სისხლისღვრა გინდოდეთ".

ბრაუნმა წაიკითხა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია ბარათი, მერე იმის მომტანს, კორნელიუსს მიუბრუნდა და დამცინავად უთხრა, მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობაროო. იმ დღეს კორნელიუსი ფორტში იყო და მთელი ნაშუადღევი ჯიმის სახლთან დაძრწოდა. ჯიმმა გადაწყვიტა იმისთვის გაეტანებინა ბარათი, რადგან ინგლისური იცოდა, ბრაუნსაც იცნობდა, ხოლო იმისი ხალხი არ ესროდა ამ კაცს როგორც ვიღაც მალაელს, მოახლოებულს ბინდბუნდში.

კორნელიუსმა ბარათი გადასცა ბრაუნს, მაგრამ წასვლას არ აპირებდა. ბრაუნი პატარა კოცონთან იჯდა, სხვები კი იწვნენ. შემიძლია რაღაც გითხრათ თქვენი მოსაწონი, პირქუშად ჩაიჩურჩულა კორნელიუსმა. ბრაუნმა ყური არც ათხოვა. „თქვენ ის არ მოკალით, — განაგრძო იმან, — მერედა რა? თქვენ შეგეძლოთ რაჯასთვის ფული წაგერთმიათ, გაგეძარცვათ ბუგისელთა სახლები და ახლა კი დარჩით ხახამშრალი". წადი, მომწყდიო, დაუღრინა ბრაუნმა, არც კი შეუხედავს მისთვის, მაგრამ კორნელიუსი გვერდით მიუჯდა. კვლავ აჩურჩულდა, ხანდახან კი იდაყვზე ავლებდა ხელს. მის სიტყვებზე წელში გასწორდა ბრაუნი და შეიგინა. გაიგო, თურმე დაინ უორისის შეიარაღებული ხალხი მდინარის შესართავთან ყოფილა. ბრაუნს ჯერ არა იგონა, განწირული

გაყიდული ვარო, მაგრამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დარწმუნდა, საშიში აქ არაფერიაო. ხოლო კორნელიუსმა უდარდელად შენიშნა, მდინარიდან სხვა გასასვლელიც არის, ის გზა მე კარგად ვიციო. რას ამბობო, უთხრა ბრაუნმა და ყურები ცქვიტა. კორნელიუსმაც მოუთხრო, თუ რა მომხდარიყო ქალაქში, არც იმ თათბირის ამბავი დაივიწყებია, გაუთავებლივ ჩასჩურჩულებდა ბრაუნს ყურში, თითქოსდა ეშინოდა სხვები არ გაეღვიძებინა. „იმას ჰგონია, ის კაცი უვნებელი გავხადეო, ხომ?" — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ბრაუნმა... „დიახ. ის სულელია. პატარა ბავშვივითაა. ხოლა, ჩამობრძანდა და გამძარცვა, — ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა კორნელიუსს. — ყველაფერი იღონა და ახლა ხალხს მისი სჯერა, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ აღარ დაუჯერონ. მერე რაღას იზამს? ხოდა ის ბუგელი დაინი მდინარის შესართავთან ჩაგსაფრებიათ, კაპიტანო. ეს ის კაცია, ვინც ამ გორაზე ამოგრეკათ ჩამოსვლისთანავე". ბრაუნმა მშვიდად მიუგო, კარგი იქნებოდა, თუ გვერდს ავუვლიდითო იმათ. მაშინ კორნელიუსმა სრულიად აუღელვებლად დასძინა, შემიძლია მდინარის ის ტოტი გიჩვენოთ, სადაც თქვენი ნავი თავისუფლად გაივლისო სწორედ უოროსის ბანაკის უკან. „ოღონდ უხმაუროდ, — თქვა მან ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, — რადგან სულ ახლოს ჩავუვლით იმათ ბანაკს. ძალიან ახლოს. თავიანთი ნავები აუთრევიათ და ნაპირზე დაბანაკებულან". ჰო, თაგვივით წყნარად ვიქნებით, მაგის დარდი ნუ გექნებაო, მიუგო ბრაუნმა. კორნელიუსმა მოსთხოვა, მეგზურად თუ წამიყვანთ, მაშინ ჩემი კანოე თქვენს ნავს უნდა მიაბათო. „მე მალე უნდა დავბრუნდე", — ასე აუხსნა ბრაუნს.

გათენებას ორი საათი უკლდა, როდესაც მზვერავებმა შეატყობინეს მესერში მყოფთ, ის თეთრი ყაჩაღები გორაკიდან ჩამოდიანო. თითქოსდა განგაშზეო, იმწუთასვე წამოიშალა შეიარაღებული ხალხი მთელ პატუსანში, თუმცა სიჩუმე გამეფებულიყო ორივე სანაპიროზე და მხოლოდ კოცონთა ბრდღვიალი გვამცნობდა აქაურ მცხოვრებთა ღვიძილსა და შფოთიანობას, მქისე ნისლი დასცემოდა წყალს და გარშემოვლებოდა განუჭვრეტელი ბუნდნაცრისფერი ნათება. როდესაც ბრაუნის ის გრძელი ნავი ფშანიდან გასხლტა და მდინარეში გავიდა, ჯიმი რაჯას მესრის წინ იდგა, დაბალ ადგილას, სწორედ აქ დადგა პირველად ფეხი პატუსანს პირველად ჩამოსვლისას. ჩრდილი გამოჩნდა იმ ნაცრისფერ ბინდში, ეული, ვეება, მაგრამ ძლივს შესამჩნევი. ჩურჩული მოისმა. საჭესთან მჯდომარე ბრაუნმა ჯიმის ნათქვამი გაიგონა: „გზა თავისუფალია. დინებას მიენდეთ, სანამ ნისლი არ გადავა. დიდხანს აღარ მოგიწევთ ლოდინი". დიახ, მალე ინათებსო, უთხრა ბრაუნმა.

ოცდაათ-ორმოცამდე მუშკეტიანი კაცი ჩამოსულიყო იმ მესრის წინ და გარინდებულიყო. შტაინის აივანზე რომ კარჭაპის მფლობელი ბუგელი ვნახე, ისიც იმათ შორის მდგარა; ასე მითხრა, იმ ალაგს გაუსწორდა ის ნავი და მთავარი წამოიმართაო. „თუ ერთი დღე ზღვაში დაცდა მოგიხდათ, — დაუძახა იმათ ჯიმმა, — ვეცდები რამე გამოგიგზავნოთ, მოზვრის ხორცი, ცოტაოდენი ბატატი... რასაც შევძლებ". ჩრდილი ისევ მიემართებოდა. კარგი, გამოაგზავნეთო, მოესმა პასუხი ამ ნისლში. მრავალმა კარგად გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ ვერ მიხვდნენ იმათ მნიშვნელობას, და მალე ბრაუნი და იმისი ხალხი განქარდა, გაქრა, ისე, რომ ჩქამიც აღარ გაუღიათ.

ხოლა, ასე მიეშურებოდა ბრაუნი პატუსანიდან ნისლით გარშემობურვილი, კორნელიუსი იჯდა იმის გვერდით იმ გრძელ ნავში. „კი შეიძლება ცოტაოდენი მოზვრის ხორცი მოგართვან, — უთხრა კორნელიუსმა, — ჰო, დიახ.

მოზვრის ხორცი. ბატატი. ასეც იქნება, რახან იმან თქვა. ის ყოველთვის მართალს ამბობს. ყველაფერი მომტაცა, რაც მქონდა. თუმცა, მგონია, შენ მოზვერი გირჩევნია მთელ იმათ ავლადიდებას“. ენას კბილი დააჭირა, თორემ ნავიდან გადაგისვრით ამ ნისლში, მიუგო ბრაუნმა. ნავი თითქოსდა გაჩერებულიყო, ირგვლივ არაფერი ჩანდა, მდინარის წყალიც კი. ნისლის სისველე გასჯდომოდა იქ მსხდომთა წვერებსა და სახეს, დაბლა მიწვეთილიყო. ჩვენც გავხდით, მითხრა მე ბრაუნმა. ყოველ მათგანს ასე ეგონა, მარტოდმარტო მიცურავ ნავით და უკან მომყვება სულთქმა და ჟუჟუნი, ბურტყუნი აჩრდილებისა. „გადამისვრით, ხომ? მაგრამ მე კი ვიცი სადაც ვარ, — პირქუშად ამოთქვა კორნელიუსმა, — მე აქ დიდი ხანია ვცხოვრობ“. ამ ნისლში რა უნდა გაარჩიო, უთხრა ბრაუნმა, უკან გადაწოლილიყო და საჭეზე უქმად ედო ხელი. კი გავარჩევ, ჩაიღუღუნა კორნელიუსმა. „ძალიან კარგი, — უთხრა ბრაუნმა, — ხოდა, უნდა დავრწმუნდე, რომ არ გვატყუებ“. კორნელიუსმა რაღაც ჩაიბუზღუნა. ხომ არ დაიღალეთ, ნიჩბები მოუსვითო, უთხრა მან ბრაუნს ცოტა ხნის შემდეგ. „არა, ღმერთმანი, — დაიღრიალა უეცრად ბრაუნმა, — ეი, აბა, ჩქარა მოუსვით“. დიდი ხმაური გაისმა ამ ნისლში, ცოტა ხნის შემდეგ კი უჩინარმა ნიჩბებმა ტლაშუნი მოადინეს წყალში. მეტი არც არაფერი შეცვლილა, წყლის შხეფების წამიერი გაბრწყინება რომ არა, ასე გეგონებოდათ, საჰაერო ბურთივით მიფრინავთო ღრუბლებით გარშემობურვილი, მითხრა ბრაუნმა. ამის მერე კორნელიუსს კრინტი აღარ დაუძრავს, მხოლოდ ვიღაცას ჩაუბურტყუნა, თქვენს ნავზე ჩემი კანოეა გამობმული და იქიდან წყალი ამოხაპეო. თანდათანობით თეთრად შეიფერა ნისლი და წინ ნათელი გამოჩნდა. ხელმარცხნივ კი ჩამობნელებულიყო და ბრაუნმა თითქოსდა უკან დახეულ ღამეს მოჰკრა თვალი, ფოთლებშემოსილი, გადმოშვერილი ვეება ტოტის ქვეშ მოხვდნენ, ჩუმად მწვეთავი სიმწვანე მოევლოთ თავზე. ხმა აღარ ამოუღია კორნელიუსს, ისე ჩასჭიდა ხელი საჭეს.

## თავი 44

მგონია, იმათ აღარაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. მდინარის რომელიღაც ვიწრო განტოტებაში შევიდა ნავი და ახლა ფხვიერ ნაპირს ნიჩბებს აბჯენდნენ და ისე მიიწევდნენ წინ. მოშავბნელებულიყო, თითქოსდა ვეებერთელა შავფერი ფრთები გაწრთხმულიყო ამ ნისლოვანეულის ზემოთ და ხის წვეროებს შუა დავანებული მთელი სივრცე ამოევსო სიშავით. სველის მომგვრელი ნისლის მსხვილ წვეთებად იღვრებოდა იმათ ზემოდან ფოთოლთა ტევრი. კორნელიუსმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ბრაუნმა თავის ხალხს უბრძანა, თოფები დატენეთო. „სანამ აქედან წავიდოდეთ, კი გექნებათ საშუალება სეირი უჩვენოთ იმათ, თქვე საპყრებო, — უთხრა მან თავის ბრბოს, — აბა, თქვენ იცით, არამზადებო“. ჩუმი ღრენა გაისმა პასუხად, კორნელიუსი შეწრიალებულიყო, ვაითუ ქანოე დამიზიანდესო.

ტამბ იტამი უკვე დანიშნულების ადგილას მისულიყო. ნისლმა ცოტათი კი შეუშალა ხელი, მაგრამ შეუსვენებლივ უსვამდა ნიჩბებს და მდინარის სამხრეთ ნაპირს მიუყვებოდა. თანდათანობით ინათა, მკრალი შუქი მოეფინა ბინდში დანთქმულ მდინარის ნაპირებს, დაილანდა აყვეტილი ხეები და მათი დაკლაკნილი ტოტები. სქელი ნისლი გაწრთხმულიყო წყალზე ჯერ კიდევ, მაგრამ გუშაგნი ფხიზლად იყვნენ. როგორც კი ტამბ იტამი მოუახლოვდა პანაკს, ძირის-

ფერი ნისლიდან ორნი გამოსხლტნენ და გამოსძახეს. მან უპასუხა. მაშინვე მოცურდა კანოე, ახალი ამბები ამცნო მენიჩბეებს: ყველაფერი მოგვარებულიყო, საშიშროებამ გაიარა. კანოეთი მოსულებმა იმის ნავს ხელი გაუშვეს და მაშინვე გაუჩინარდნენ. იმან კი ისევ განაგრძო გზა, სანამ ჩუმი ლაპარაკი არ მოესმა. ნისლი უკვე განლეულიყო და ქვიშნარზე პატარ-პატარა [illegible] დაინახა, იქით კი წვრილი ხეების ტევრი და ბუჩქნარი. საგუშაგო[illegible] კვლავ გამოსძახეს. ტამბ იტამი ვარო, დაიყვირა, ერთი ორჯერ მაგრად მოუსვა ნიჩბები და კანოე ნაპირზე შეაგდო. დიდ ნაბაკში მოსულიყო. ჯგუფ-ჯგუფად ჩაცუცქებულიყო ხალხი და დილაადრიან ჩურჩულით სჯა-ბაასი გაემართათ. კვამლის წვრილი ზოლები ნელინელ ერთვოდა რძისფერ ნისლს. პატარა კარვები დაედგათ აქ მეთაურებისთვის მომაღლოდ. მუშკეტები პირამიდებად ეწყო, გრძელი შუბები კი კოცონების ახლოს, ქვიშაში ჩაერჭოთ.

ტამბ იტამი მედიდურად მიუახლოვდა იმათ და მოითხოვა, დაინ უორისთან მიმიყვანეთო. ბამბუკის ტახტზე იწვა მისი თეთრი ლორდის მეგობარი ჯოხებით გაწყობილ და ჭილოფებით გადახურულ კარავში. დაინ უორისს ეღვიძა. უხეშად გამოწალდულ სამლოცველოს დამსგავსებოდა იმისი საყუდარი, რომლის წინაც კოცონს გაჰქონდა ტკაცატკუცი. გულთბილად მიესალმა ტამბ იტამს ნაკოოდას ერთადერთი ვაჟიშვილი. ტამბ იტამმა ჯერ ის ბეჭედი გაუწოდა, მოციქულის სიტყვების ჭეშმარიტების დასტურად. იდაყვზე დაყრდნობილმა დაინ უორისმა უბრძანა, მითხარი, ახალი რა არისო. წესისამებრ ამ სიტყვებით დაიწყო: „კარგი ამბავია". და მერე ტამბ იტამმა ჯიმის დანაბარები ზუსტად გადასცა. ყველა თავკაცი თანახმაა, ის თეთრი ხალხი უვნებლად უნდა გავატაროთ მდინარეზე. დაინ უორისმა ერთი-ორი შეკითხვა დაუსვა და მაშინ ტამბ იტამმა ყველაფერი უამბო, რაც იმ თათბირზე მომხდარიყო. დაინ უორისმა ბოლომდე ყურადღებით მოუსმინა, თან იმ ბეჭედს ათამაშებდა ხელში, შემდეგ კი მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე წამოიცვა. როცა ტამბ იტამმა ლაპარაკი დაამთავრა, იმან უთხრა, წადი შეჭამე რამე და დაისვენეო. ბრძანება გასცა, ნაშუადღევს პატუსანში უნდა დავბრუნდეთო. ამის მერე დაინ უორისი ისევ დაწვა. თვალებგახელილი იყო, იმისი მსახურები კი ამ დროს ცეცხლთან ფუსფუსებდნენ, საჭმელს უმზადებდნენ მას, ტამბ იტამიც იქვე დამჯდარიყო, ხალხს ერთი სული ჰქონდა, გაეგო ქალაქის ამბები და ისიც უამბობდა. მზეს თანდათანობით შთაენთქა ნისლი. გუშაგნი გაფაციცებით გასცქეროდნენ მდინარეს, სადაც წუთი წუთზე უნდა გამოევლო თეთრების ნავს.

ხოლო, სწორედ მაშინ იძია შური ბრაუნმა იმ სამყაროზე, რომელმაც იმას მთელი ოცი წლის ბილწი და თავზე ხელაღებული თარეშის შემდეგ ჩვეულებრივი მძარცველობაც კი არ დაანება. ეს იყო ენით უთქმელი სისასტიკე და ამისი მოგონება, აწ უკვე სასიკვდილო სარეცელზე გაკრულსაც შვებას ჰგვრიდა, რადგანაც ასე გაეცა პასუხი თავხედურ გამოწვევაზე. იმ კუნძულის მეორე მხარეს გადმოსხდნენ, სწორედ ბუგელთა ბანაკის პირდაპირ და აქეთ გამოემართნენ. კორნელიუსმა მაშინვე, გადმოსხდომისთანავე, გასხლტომა დააპირა, მაგრამ ვინ გაუშვებდა, მცირეოდენი და ჩუმი გაბრძოლების შემდეგ დამორჩილდა და იქით გაუძღვა იმ ბრბოს, სადაც მეჩხრად იყო მცენარეები. ბრაუნმა ზურგს უკან გადაუგრიხა გაჩხინკული ხელები და კინწისკვრით წინ გაიგდო. კორნელიუსი თევზივით უხმოდ მიდიოდა გლახაკი, თუმცა კი ერთგული თავისი მიზნისა, ბუნდად რომ წარმოჩენილიყო წინარე. ტყის კიდეს მიტანებული

ბრაუნის ჯეილები გაიშალნენ, ხეებს ამოეფარნენ და დაიცადეს. მთელი ბანაკი გადაჭიმულიყო იმათ თვალწინ და არც არავინ ჩანდა აქეთ მაცქერალი ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, კუნძულის უკან თეთრი კაცები იმ ვიწრო განტოტებას მიაგნებენო. ბრაუნის აზრით, შესაფერისი წამი დამდგარიყო და დაიღრიალა, აბა დასცხეთო. ერთხმად გაისმა თოთხმეტი გასროლა.

ტამბ იტამმა მითხრა, გაოცება ისეთი დიდი იყო, რომ [illegible] დაჭრილებს რაღა უნდა ექნათ, სხვები კი კარგა ხანს არც შეტოკებულანო ამ პირველი ბათქის შემდეგ. მერე ერთმა შეჰყვირა და ამ შეყვირებისთანავე ყველას აღმოხდა გაოგნების და შიშის ზარის ღრიალი, ჭკუადაკარგულები ერთმანეთში აირივნენ და ნაპირზე მოჰყვნენ სირბილს, თითქოსდა წყლის დანახვაზე თავზარი დასცემიათო. ზოგი კი გადაეშვა მდინარეში, მაგრამ მრავალმა ეს ქნა მხოლოდ უკანასკნელი ბათქის შემდეგ. სამჯერ დაუშინა ტყვია ბრაუნის ხალხმა იმათ, ამ დროს კი მხოლოდ ბრაუნი იდგა ყველას დასანახავად, იგინებოდა და ღრიალებდა, დაბლა დაუმიზნეთ! დაბლა დაუმიზნეთო!

ტამბ იტამმა თქვა, პირველი გასროლისთანავე მივხვდი, რაც მოხდაო. თუმცა დაჭრილი არ იყო, მაგრამ ძირს დაცემული მკვდარივით იწვა, გაუნძრევლად და თვალებდაჭყეტილი. პირველი გასროლისთანავე დაინ უორისი თავისი ტახტიდან წამოიჭრა და ღია ნაპირზე გავარდა, მეორე ბათქი სწორედ მაშინ გაისმა და კიდევაც შიგ შუბლში მოხვდა ტყვია. ტამბ იტამმა დაინახა, მიწაზე დაენარცხა ფართოდ ხელებგაშლილი. მხოლოდ მაშინ, ასე დასძინა მან, დამრია ხელი შიშმა, მანამდე არაო. ის თეთრი ხალხი წავიდა ისე, როგორც მოვიდა — უჩინრად.

ბოროტ ბედისწერასთან ასე გაუსწორებია ანგარიში ბარუნს. გესმით, მძვინვარების ამ გულშემზარავ ბობოქრობაში წარმოჩენილიყო დასტური მისი ზეობისა, თითქოსდა ადამიანიშვილს მოუხვეჭავს რაღაც უფლება — თუნდაც აბსტრაქტული — რომლის არილშიც გაუხვევია თავისი ჩვეულებრივი სურვილები. ეს არ იყო ბრიყვულ-ვერაგული სასაკლაო, ეს იყო ჭკუის სწავლება, ნაცვალგება — გამოვლინება ჩვენი უცნობი და შემაძრწუნებელი თვისებისა, რომელიც, ვაითუ, არც იმდენად ღრმადაა ჩაბუდებული ჩვენი სულის სიღრმეში, როგორც ჩვენ ვფიქრობთ.

შემდგომ ამისა ტამბ იტამისათვის შეუმჩნევლად წავიდნენ ის თეთრი კაცები და გაქრნენ, მიეფარნენ თვალს, ასევე გაქრა შხუნაც, ვითარცა მოპარული განძეულობა. მაგრამ ამბობენ, რომ ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ ის თეთრი კარაპი რომელიღაც სატვირთო ხომალდის მეზღვაურებს აუტანიათ თავიანთ გემბანზე. გადარჩენილთაგან ორმა, გაძვალტყავებულ-ჩაყვითლებულმა, თვალებგადმოკარკლულმა ჩონჩხმა ასე ამოთქვა, ჩვენი უფროსი ეს, მესამეაო, რომელმაც განაცხადა, ბრაუნი გახლავართო გვარად. თურმე იმისი შხუნა, როგორც იმას უთქვამს, იავური შაქრით დატვირთული, გაბზარულიყო და კიდევაც გამოსცლოდათ ფეხქვეშ. იმ გემს ექვს კაციანი ჯგუფი მართავდა. ხოდა, ეს სამნი გადარჩენილიყვნენ. აქედან ორი იმათ გადამრჩენელ გემზევე მომკვდარა. ბრაუნი კი ცოცხალი გახლდათ და კიდევაც შევხვდი იმას, ისიც შემიძლია დავადასტურო, რომ საკუთარი თავის ერთგული დარჩა ბოლომდე.

როგორც ჩანს, იმ კუნძულიდან წამოსულებს თავი არ შეუწუხებიათ, რომ კორნელიუსის ნავი თავიანთი კარაპისათვის მოეხსნათ და იგი უნავოდ დააგდეს. თავად კორნელიუსს ბრაუნმა სროლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე პანღური ამოჰკრა და გააგდო. მკვდრებს შორის გაშხვართული ტამბ იტამი წა-

მოდგა და ის ნაზარეველი იხილა, აქეთ-იქით დარბოდა ნაპირზე გვამებსა და ნაკვერჩხლად ქცეულ კოცონებს შუა, წკმუტუნებდა. უეცრად მეინჯერსთან მიიჭრა და იქვე მიგდებულ ერთ-ერთ ბუგელთა ნავს დაუწყო [illegible] იქნებ წყალში ჩავუშვათო. „ხოლდა, მანამდე იდგა იქ, სანამ მე არ დამინახა", მითხრა ტამბ იტამმა, — დასცქეროდა იმ მძიმე კანოეს და თავს იქექავდა [illegible] მას რა მოუვიდა-მეთქი, ვკითხე მე. ტამბ იტამი დამაცქეროდა [illegible]ლად გაიქნია მარჯვენა ხელი.

— ორჯერ დავცარი, ტუან, — თქვა მან, — თავისკენ წამოსული რომ დავინახე, მაშინვე მიწაზე დაენარცხა ყვირილითა და ტლიკვების ყრით. ზაფრანაცემი ქათამივით კრიახებდა, სანამდე გრძნობაზე იყო, მერე კი დაწყნარდა, ჩემ თვალწინ დალია სული.

გაისრულა ეს საქმე ტამბ იტამმა და აღარ დაუყოვნებია. იცოდა, როგორმე პირველს უნდა მიეტანა ეს შემზარავი ცნობა ფორტში. თქმა არ უნდა, დაინ უორისის რაზმიდან ბევრი გადარჩა ცოცხალი, მაგრამ იმ გაწამაწიაში მხოლოდ ზოგიერთმა შეძლო მდინარის გადაცურვა, სხვანი კი ბუჩქნარში ჩაიმალნენ. არავინ იცოდა, რა მოხდა ან ვინ იყვნენ თავდამსხმელები — იქნებ ისევ დაბრუნებულიყვნენ ის თეთრი გარეწრები, ან, ვინ იცის, იქნებ მთელი ქვეყანაც დაეპყროთ უკვე. დიდი ღალატის მსხვერპლად წარმოიდგინეს თავი და ასე ფიქრობდნენ, განწირულნი ვართო. ამბობენ, ზოგი მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაბრუნებულა უკან. ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც მაშინვე გადაწყვიტეს პატუსანში წასვლა, იმათი ერთ-ერთი კანოე მდინარეზე იდგა, საგუშაგოდ და კარგად ჩანდა ბანაკიდან. მართალია, პირველად წყალში გადაეშვნენ და მეორე ნაპირზე გაცურეს, მაგრამ მალე დაბრუნდნენ თავიანთ ნავზე და თავზარდაცემულნი მდინარეს აუყვნენ. მხოლოდ ერთი საათით მიასწრო იმათ ტამბ იტამმა.

## თავი 45

როდესაც ტამბ იტამი გააფთრებული უსვამდა ნიჩბებს და ქალაქს უახლოვდებოდა, ხალხი თავიანთი სახლების წინ პატარა მოედნებზე გამოფენილიყო, დაინ უორისის ნავებს ელოდებოდნენ. ქალაქი საზეიმოდ მორთულიყო, ბავშვებს აქა-იქ ჯერ კიდევ არ გაეშვათ ხელიდან შუბები და თოფები, დადიოდნენ ან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ნაპირზე. დილიდანვე ღია იყო ჩინური დუქნები, მაგრამ ბაზრის მოედანზე არავინ ჩანდა, გუშაგი ისევ იდგა კუთხეში ფორტთან და როდესაც ტამბ იტამი დაინახა, ეზოში მყოფთ შესძახა. ფართოდ გაეღეს ჭიშკარი. ტამბ იტამი ნაპირზე გადმოხტა და თავპირისმტვრევით გამოიქცა. პირველი, ვინც შეხვდა, გოგო იყო, კიბეზე ჩამოდიოდა.

ტამბ იტამი, თავგზააბნეული, აქოშინებული, ტუჩებაკანკალებული და შეშლილი თვალებით იდგა იმის წინ და ხმას ვეღარ იღებდა. ბოლოს, სწრაფად ამოთქვა: „დაინ უორისი მოკლეს და ბევრი სხვანიც". გოგომ ხელები გაასავსავა და პირველად ეს დაიძახა, ჭიშკარი ჩაკეტეთო. იმ ფორტში მყოფთა მეტი წილი თავ-თავის სახლებში წასულიყო, მაგრამ ვინც დარჩენილიყო, ტამბ იტამმა გააფრთხილა, ფხიზლად იყავითო. გოგო შუაგულ ეზოში დამდგარიყო, იმის გარშემო კი ყველა გარბი-გამორბოდა. დორამინიო, სასოწარკვეთილებით შეჰყვირა იმან, როცა ტამბ იტამმა გვერდით ჩაუარა. ხოლდა, ისიც მყისვე მიუხვდა სათქმელს და უპასუხა: დიახ, მაგრამ პატუსანის მთელი დენთი ჩვენ-

თინაათ. გოგო მკლავზე წაეტანა და სახლისკენ მიუთითა. იმას დაუძახეთო, ჩაიჩურჩულა აკანკალებულმა.

ტამბ იტამმა კიბეზე აირბინა. იმის ბატონს ეძინა. „ეს მე ვარ, ტამბ იტამი, — დაიყვირა მან კართან, — ამ ახალ ამბავს დაცდა არ შეუძლია". და როცა ჯიმმა ბალიშზე თავი მოატრიალა და თვალი გაახილა, მაშინვე [illegible] „დღე, ტუან, ცუდი დღეა, დაწყევლილი დღეა". იდაყვზე დაეყრდნო იმისი ბატონი და ყური მიუგდო — სწორედ ასე იცოდა დაინ უორისმა. ხოლო მაშინ დაიწყო მოყოლა ტამბ იტამმა, ცდილობდა დალაგებით მოეყოლა. „პანგლიმათ", ასე იხსენიებდა დაინ უორისს. ხოლო, მან თქვა: „პანგლიმამ თავისი მენავეების მეთაურს უხმო და უთხრა, რამე აჭამეთ ტამბ იტამს..." მაშინ მისი ბატონი ლოგინიდან წამოიჭრა და ისეთი შეშლილი თვალებით შეხედა, რომ სიტყვები ყელში გაეჩხირა.

— მითხარი, — თქვა ჯიმმა, — ის მკვდარია?

— შენ დღეგრძელი იყავ, — შესძახა ტამბ იტამმა, — მაგრამ საშინელი ღალატი იყო. პირველი გასროლა გაიგონა თუ არა, მაშინვე გამოვარდა და დაეცა...

მისი ბატონი ფანჯარასთან მიიჭრა და მუშტი ჰკრა დარაბას. ოთახი განათდა. მაშინ მან მტკიცე ხმით უბრძანა, თან ძლიერ ჩქარობდა: დაუყოვნებლივ დაადევნეთო ნავები, მიდით ამა და იმ კაცთან და კიდევ იმასთან — ასე აცნობეთო... ამას რომ ამბობდა, თავის ლოგინზე დაჯდა და დაიხარა ფეხსაცმლის ზონრების შესაკრავად. უცებ იმას გამოხედა, რას გაჩერებულხარო, ჰკითხა სახეწამოწითლებულმა, დროს რაღად კარგავო. ტამბ იტამი არც კი შერხეულა: „მაპატიე, ტუან, მაგრამ.. მაგრამ..." — დაიწყო მან ენის ბორძიკით. მაგრამ რაო? დაუღრიალა ბატონმა, გამძვინვარებით შეხედა, ორივე ხელით საწოლის კიდეს ჩასჭიდებოდა. „შენი მსახურისთვის ახლა ხალხში გასვლა საშიშია", — მიუგო ტამბ იტამმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

მაშინ კი მიხვდა ჯიმი. ერთი სამყარო უარყო რაღაც თავისდაუნებური ნახტომის გამო და ახლა მეორეს ჯერი დამდგარიყო, საკუთარი ხელით რომ შეიქმნა და თავზე უნდა დამხობოდა. შენი მსახურისთვის ახლა ხალხში გასვლა საშიშიაო! მგონია, სწორედ იმ წუთას გადაწყვიტა უდრტვინველად დაჰხვედროდა უბედურებას. ის კი ზუსტად ვიცი, სიტყვის უთქმელად გამოვიდა თავისი ოთახიდან და იმ გრძელი მაგიდის თავში დაჯდა, სწორედ აქ აგვარებდა ხოლმე საქვეყნო საქმეებს და ყოველდღიურად ქადაგებდა ჭეშმარიტებას; მთელი სიცოცხლე ეს შექმნილიყო მისთვის. ბნელმა ძალამ ორჯერ როგორ უნდა წაჰგვაროს მშვიდობა იმის სულს. გაქვავებული იჯდა, ტამბ იტამმა მოწიწებით ამცნო თავდასაცავად ვემზადებითო. მისი საყვარელი გოგო შემოვიდა და გამოელაპარაკა, მაგრამ მან ხელით ანიშნა, ჩუმად იყავიო, და კიდევაც დასცა თავზარი ამ მუნჯური მოწოდებით. გოგო აივანზე გამოვიდა და ზღურბლზე ჩამოჯდა თითქოსდა თავისი სხეულით უნდა აფარებოდა გარედან მოწეულ საშიშროებას.

რას ფიქრობდა ის ყმაწვილკაცი, რა აგონდებოდა? ვინ იცის? ყველაფერი გათავებულიყო და იმან, ვინც ვერ აღასრულა თავისი ვალი, კვლავ დაკარგა ადამიანთა ნდობა. სწორედ მაშინ იყო, მე ვფიქრობ, რომ სცადა მიეწერა ვიღაცისთვის და ვერ შეძლო. მარტოობამ მოიცვა იგი. ადამიანებმა მას ჩააბარეს თავიანთი სიცოცხლე... მხოლოდ მას; და მაინც ვერასდროს, როგორც ის

ამბობდა, ვერ გაუგებდნენ. ჩამიჩუმი არ ისმოდა იმ ოთახიდან. მოგვიანებით, საღამოსკენ, კართან მივიდა და ტამბ იტამს დაუძახა. რაო? ასე [illegible], ბევრს ტირიან? ბევრსაც მძვინვარებენო, მიუგო ტამბ იტამმა. [illegible] მას. შენ იციო? ასე ჩაიჩურჩულა.

— დიახ, ტუან, — უთხრა ტამბ იტამმა, — შენმა მსახურმა [illegible]მაცაა დაკეტილი ჭიშკარი. ჩვენ ვიბრძოლებთ.

— ვებრძოლებით! რისთვის? — იკითხა მან.

— ჩვენი სიცოცხლისთვის.

— სიცოცხლეს რას ვაქნევ, — თქვა მან. ტამბ იტამმა გაიგონა გოგოს შეკივლება კართან.

— ვინ იცის, — წარმოთქვა ტამბ იტამმა, — გაბედულად და მოხერხებულად თუ მოვიქცევით, იქნებ გავიქცეთ კიდეც. ხალხი ძლიერ შეშინებულია.

გარეთ გამოვიდა, თან ნავებსა და გაშლილ ზღვაზე ფიქრობდა. მარტო დატოვა ჯიმი და ის გოგო.

გული არა მაქვს, ველარ ვწერ, რაც იმ გოგომ მიამბო, როდესაც ერთი საათი და უფრო მეტიც თავს ევლებოდა იმას და ასე ეპოტინებოდა თავის ბედნიერებას. თუ ჰქონდა რამე იმედი იმ ყმაწვილკაცს... რას მოელოდა, რას ფიქრობდა... ვერ გეტყვით. შეუდრეკელი შექმნილიყო, შეუვალი, თითქოსდა იმისი სულის მოუსაფრობა ამოზიდულიყო მისივე არსებობის წიაღიდან. გოგო ყურში ჩასძახოდა, იბრძოლეო! ველარ მიმხვდარიყო, რომ აღარაფერი იყო საბრძოლო. სხვა გზით უნდოდა დაემტკიცებინა იმ ყმაწვილკაცს თავისი ძალმოსილება და ასე გამკლავებოდა ბედით ბედისწერას. ეზოში გამოვიდა და გოგოც გამოჰყვა იმას, თმეგაშლილი, შეშლილი სახით, კვნესით გამობარბაცდა და კარს მიეყრდნო.

— ჭიშკარი გააღეთ, — ასე ბრძანა ჯიმმა. მერე მიუბრუნდა იქ მყოფ თავისიანებს და სახლში გაუშვა. რამდენი ხნით, ტუან? გაუბედავად ჰკითხა ერთმა. სამუდამოდო, მიუგო იმან პირქუშად.

იმ გოდებისა და წივილ-კივილის შემდეგ, რომელიც თითქოსდა მწუხარების სამეფოდან მოეტანა ქარს, სიჩუმე გამეფებულიყო მთელ დაბაში. ჩურჩული ისმოდა, ხალხს მითქმა-მოთქმა, ეჭვები და შიში უღრღნიდა გულს. ყაჩაღები შეიძლება უკან დაბრუნდნენო დიდი გემით. იქნებ სხვებიც წამოიყვანონ და ნაცარტუტად აქციონო მთელი ეს ქვეყანა. საშინელი უბედურების დროს რაღა ჭკუა მოეკითხებოდა ხალხს, შიშმა დარია ხელი და ცუდმა წინათგრძნობამ ჭკუა დააკარგვინა.

მზე სადაცაა ტყის მიღმა უნდა ჩასულიყო, როდესაც დაინ უორისის ცხედარი დორამინთან კამპონგში მოასვენეს. ოთხმა შემოიტანა, თეთრ სუდარაში გახვეული, მოხუც დედას რომ ჩაეგზავნა ჭიშკართან ვაჟიშვილის დაბრუნების ხანს. დორამინის ფეხებთან დაასვენეს და ბერიკაცი დიდხანს უხმოდ დასცქეროდა იმას მუხლებზე ხელებდაწყობილი. პალმის ხის წვეროები ნაზად ირხეოდნენ. შრიალი გაჰქონდათ იმის თავზე ზემოთ ხეხილის ფოთლებს. ყველა აქ იდგა, იმის გარშემო, იარაღში ჩამჯდარი, როდესაც ნაკოდამ თვალები ასწია როგორც იქნა. ნელა მიმოავლო მზერა ხალხს, თითქოსდა ვიღაც ნაცნობის სახე უნდოდა დაენახა. ფოთლების შარიშურს შერთვოდა ხალხის ჩურჩული.

აქ იყო ის მალაელიც, რომელმაც ტამბ იტამი და ის გოგო სამარინდაში ჩამოიყვანა. სხვებსავით არ იყო გამძვინვარებული ის, მითხრა მან, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად გაოცებულ-თავზარდაცემული იყო „ბედისწერის ანაზდეული მძლავრობით, რომლის ფრთებიც ჩვენს თავზეა განრთხმული საავდრო ღრუბლებივით". მან მიამბო: როდესაც დაინ უორისს დორამინის ნიშანზე სუდარა მოხადეს, ყველამ იხილა ის, ვისაც მეტწილად თეთრი ლორდის მეგობარს ეძახდნენ. მცირეოდნავ გახელილი თვალებით იწვა, თითქოსდა სულ მალე უნდა გამოეღვიძა. დორამინი ოდნავ გადმოიხარა. გეგონებოდათ, ძირს [illegible] და ეძებსო. თავით ფეხამდე დაათვალიერა გვამი. შეიძლება ნაჭრილობევს მიკვლევა უნდოდა. პაწაწინა წერტილი დასტყობოდა იმის შუბლს. ერთი სიტყვაც არ უთქვამს არავის, სანამ ვიღაც არ დაიხარა და გაცივებული თითიდან ვერცხლის ბეჭედი არ წაართო, ჩუმად რომ გაუწოდა დორამინს. მაშინღა გადაუარა ტალღასავით სასოწარკვეთილმა და შიშნეულმა ჩურჩულმა ხალხს, რადგან ბეჭედი იცნეს. მოხუცი ნაკოოდა დააცქერდა იმას და უეცრად საშინელი ყვირილ აღმოხდა მკერდის სიღრმიდან. ეს იყო ღრიალი მწუხარებისა და მძვინვარების, დაჭრილ ხარს რომ აღმოხდება, და ამ უსიტყვო სიშმაგემ და ვაებამ ყველას შიშის ზარი დასცა. მერე კი ირგვლივ სიჩუმე გამეფდა და იმ ოთხმა ცხედარი გვერდზე გადაიტანა. ხეების ქვეშ დაასვენეს და მაშინვე შენივთდა იქაური ქალების წივილ-კივილი. მზე ჩადიოდა. ამ გოდებაში ხანდახან მონოტონური ხმები ისმოდა, ორი მოხუცი კაცი წამღერებით კითხულობდა ლოცვას ყურანიდან.

სწორედ ამ დროს ჯიმი ზარბაზნის ლაფეტს დაყრდნობოდა და მდინარეს გაჰყურებდა სახლისკენ ზურგშექცეული; ის გოგო კარის ზღურბლზე იდგა, სული ეხუთებოდა თითქოსდა ნარბენს, იმას უყურებდა იქიდან. ტამბ იტამი თავის ბატონთან იდგა და მოთმინებით ელოდა მოსახდენს. უცებ ჯიმი ფიქრებიდან გამოერკვა, მიუბრუნდა იმას და უთხრა, უკვე დროა, უნდა დასრულდეს ეს ამბავი.

— ტუან? — უთხრა ტამბ იტამმა და მკვირცხლად წადგა ფეხი წინ. თუ რას გულისხმობდა მისი ბატონი, მან არ იცოდა, მაგრამ როგორც კი ჯიმი შეინძრა, გოგო შეკრთა, დაბლა ჩამოვიდა. თითქოს არავინ ჩანდა ეზოში. გოგომ ერთი წაიბორძიკა და შუა ეზომდე რომ მივიდა, ჯიმს დაუძახა, ვინც თითქოსდა გულმშვიდად უჭვრეტდა იმ მდინარეს. ის მოტრიალდა და ზურგით ზარბაზანს მიეყრდნო. ხომ იბრძოლებო? დაუყვირა გოგომ.

— რისთვის ვიბრძოლო, — ასე უთხრა, — არაფერი არ დამიკარგავს.

იგი გოგოსაკენ წამოვიდა.

გაიქეცით, ისევ დაუყვირა გოგომ.

სად გავიქცეთ, მიუგო იმან და შეჩერდა, ის გოგოც შედგა, უხმოდ მისჩერებოდა.

შენ იქ მიხვალო? ჩუმად ამოთქვა გოგომ. მან თავი დახარა.

— ჰაი! — შეჰკივლა გოგომ, თვალი აღარ მოუცილებია. — გაგიჟებულხარ ან ცრუობ. ის ღამე თუ გახსოვს, მე გევედრებოდი, თავი დამანებე-მეთქი, შენ კი მითხარი, არ შემიძლიაო. ეს შეუძლებელი, შეუძლებელიაო! ხომ გახსოვს, ასე არ მეუბნებოდი, არც არასდროს მიგატოვებო. რატომ? დაპირება მე შენთვის არ მითხოვია. შენით დამპირდი, ხომ გახსოვს?

— კმარა, შე საბრალო, — მიუგო იმან, — მე შენი რა ღირსი ვარ.

ტამბ იტამმა თქვა, სანამ ის ყმაწვილკაცი ლაპარაკობდა, ის გოგო ხმამაღ-

ლა იცინოდა, თითქოსდა აღარც იყოო თავის ჭკუაზე. იმისმა ბატონმა თავზე ხელი იტაცა. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ ეცვა, ოღონდ უქუდოდ იყო. გოგომ უცებ შეწყვიტა სიცილი.

— უკანასკნელად გეუბნები, — მუქარით დაუყვირა მან, — ღირსავ თავს თუ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განზრახვას ვეღარაფერი შემაცვლევინებს, — თქვა ჯიმმა და ამ სიტყვებში უკანასკნელად გამომჟღავნდა მისი ყოვლისმომცველი ეგოიზმი. ტამბ იტამმა დაინახა, გოგო მოსწყდა ადგილს, ხელებგაშლილი იმასთან მიიჭრა და გულში ჩაეკრა.

— ჰოი! არ გაგიშვებ! — დაიკივლა იმან. — შენ ჩემი ხარ!

ქვითინებდა, აღარ სცილდებოდა. პატუსანის უკიდეგანო ზეცა თითქოსდა სისხლს ანთხევდა, ვეება წითელი მზე ხის წვეროებში შეყუჟულიყო, იმის ქვემოდან კი ბოროტად იმზირებოდა მოქუფრული ტყე.

ტამბ იტამმა უეცრად დაინახა, ჯიმი გოგოს მკლავებზე წაეტანა, მისი მოცილება უნდოდა. გოგოს იმის ხელებზე გადმოუვარდა თავი, მიწაზე დაეფინა იმისი თმა. „მოდი აქ", დაუძახა ბატონმა და ტამბ იტამი მიეშველა, მიწაზე დააწვინეს გოგო. ძლივს გააშვებინა ჯიმმა თითები. ერთხანს სახეში ჩასცქეროდა., მერე უცებ ადგილიდან მოსწყდა და ნავების სადგომისკენ გაქანდა. ტამბ იტამი დაედევნა და უკან რომ მოიხედა, დაინახა, გოგო ძლივს დადგა ფეხზე, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და მუხლებზე დაეცა. „ტუან! ტუან! — დაუძახა ტამბ იტამმა ჯიმს. — მოიხედე". ის კი უკვე კანოეში ჩამდგარიყო და ხელში ნიჩაბი მოემარჯვებინა. უკან აღარ მოუხედავს. სწორედ ამ დროს ტამბ იტამიც გადაახტა იმასთან და კანოე გაცურდა. ერთხანს გოგო მუხლებზე იდგა, ხვეწნამუდარის განსახიერება იყო, მერე კი ზე წამოიჭრა. ვერაგი ხარო! დაადევნა ჯიმს.

— მაპატიე! — გამოსძახა იმან.

— არასოდეს! არასოდეს! — დაუყვირა გოგომ.

ტამბ იტამმა ჯიმს ნიჩაბი გამოართვა; როგორ შეიძლებოდა უსაქმოდ მჯდარიყო, როდესაც ლორდს ნიჩაბი მოემარჯვებინა. მეორე ნაპირს რომ მიატანეს, იმისმა ბატონმა აუკრძალა, მეტს ნუღარ გამომყვებიო. მაგრამ ტამბ იტამი მაინც მიჰყვებოდა შორიახლოს, ასე აუყვა დორამინის კამპონგის ფერდობს.

ბნელდებოდა. ჩირაღდნები გამოჩნდა აქა-იქ. შემხვედრნი იმწამსვე შიშნეულად გვერდზე დგებოდნენ და გზას უთმობდნენ ჯიმს. დიაცთა მოთქმა მოისმა ზემოდან. მთელი ეზო სავსე იყო შეიარაღებული ბუგელებითა და მათი მომხრეებით. მთელი პატუსანი მოსულიყო აქ.

არ ვიცი, თავი რად მოეყარათ, ომისთვის ემზადებოდნენ. შურისძიებისთვის თუ საშინელი თავდასხმის მოსაგერიებლად? მრავალმა დღემ გაიარა, სანამ თავზარდაცემულმა ხალხმა თავი არ დაანება იმ წვეროსანი და შემოძენძილი თეთრი ხალხის დაბრუნების ლოდინს. დინამდვილებით ვერც ვერასდროს გაიგეს, რა კავშირი ჰქონდა ჯიმს იმათთან. სამუდამოდ ჩრდილით მოცული დარჩენილა მათთვის საბრალო ჯიმი.

დორამინი, ბუმბერაზი და უნუგეშო, მარტოდმარტო იჯდა იმ შეიარაღებული ხალხის წინაშე თავის სავარძელში, მუხლებზე ორი კაჟიანი დამბაჩა ედო, ჯიმი რომ გამოჩნდა, ვიღაცამ შეჰყვირა და ყველა იმისკენ მიტრიალდა,

გზა უტიეს, ხოლო, გამოიარა იმან, ყველამ თვალი აარიდა, მოდიოდა და მოჰყვებოდა ჩურჩული: „ბოროტი სული", „მოგვალორა..."

ჩირაღდნების სინათლეში რომ შემოვიდა, უეცრად ქალებმა [illegible]ას თავი დაანებეს. დორამინს თავი არ აუწევია და ჯიმი ერთხანს ჩუმად იდგა იმის წინ. შემდეგ მარცხნივ გაიხედა და გამოზომილი ნაბიჯებით [illegible]. დაინ უორისის დედა ცხედრის თავთან ჩაცუცქებულიყო. სახე[illegible]არა, გაშლილი თმა. ჯიმი ნელა მიუახლოვდა, სუდარა გადახადა და დახედა თავის მკვდარ მეგობარს. შემდეგ ისევ დაახურა სიტყვის უთქმელად. ნელა გამობრუნდა უკან.

— მოვიდა! მოვიდა! — მატულობდა ჩურჩული იმისი მოახლოებისდა კვალად. ყველაფერი მის კისერზედაა, დაიძახა ვილაცამ. მან გაიგონა და ხალხისკენ მიტრიალდა. დიახ, ჩემს კისერზედ არისო. ვილაცებმა უკან დაიხიეს. ჯიმი კი დორამინის წინ დადგა, ერთხანს შეიცადა, მერე კი ჩუმად ამოთქვა: „დამწუხრებული მოვედი". კვლავ შეჩერდა. „მოვედი უიარაღოდ, მე მზად ვარ", — ასე დაასრულა.

ამ ჯმუხმა მოხუცმა კაცმა, უღელში გაბმულ ხარისებრ რომ ჰქონდა თავი დახრილი, წამოდგომა დააპირა, თან მუხლებზე დაწყობილ იმ თავის კაჟიან დამბაჩებს სტაცა ხელი და ყელიდან მძვინვარე, არაადამიანური ხროტინი ამოუვიდა. ორი მსახური ეშველებოდა იმას წამოდგომაში, ხალხმა დაინახა, მუხლზე დაუვარდა ის ბეჭედი, გადმოუგორდა და იმ თეთრი ყმაწვილკაცის ფეხთით დაეცა. საბრალო ჯიმმა დახედა თილისმას, რომელმაც განუხვნა მას დიდების, სიყვარულისა და გამარჯვების კარიბჭე ამ კედელივით ალმართულ ტყის ტევრში, მთელ ამ მხარეში, რომელსაც გარშემორტყმოდა თეთრი ქაფოვანი ზოლი და იმისი სანაპირო დამავალი მზის შუქზე დამსგავსებოდა ღამის სამჭედროს. დორამინი ბარბაცებდა, ფეხზე დადგომას ლამობდა იმ ორთა მეშვეობით. იმისი პაწაწინა თვალები აკვესებდა გაუსაძლის ვაებასა და მრისხანებას, ჯიმი კი იდგა გაუნძრევლად და თავშიშველი იმ ჩირაღდნების ბრდღვიალში და პირდაპირ სახეში მისჩერებოდა ბერიკაცს, რომელმაც მძიმედ მოხვია მარცხენა ხელი კისერზე თავდახრილ ჭაბუკს, მტკიცედ ზეაღმართა მარჯვენა და ტყვიით გაუპო მკერდი თავისი ვაჟიშვილის მეგობარს.

ხალხი უკან მიდგა, როგორც კი დორამინმა ხელი ასწია, ხოლო გასროლის შემდეგ ისევ წინ მოაწყდა. ამბობენ, რომ იმ თეთრმა კაცმა მედიდური და შეუდრეკელი მზერა მიმოავლო იმათ სახეებს მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ კი ხელი ტუჩებზე აიფარა, წინ გადმოქანდა, დაეცა და მოკვდა.

გასრულდა ეს ამბავი. ღრუბელთა ჩრდილს შერთვია ის ყმაწვილკაცი, შეუცნობელი, დავიწყებული, ვისაც შენდობა არა ჰქონია, დიდი რომანტიკოსი. დაუდგრომელი სიყმაწვილის დღეებშიაც კი ვერ ინატრებდა ასეთ ზეობას! რადგან, დიახაც, შესაძლებელია, წამით ის თავისი უკანასკნელი, მედიდური და შეუდრეკელი მზერა რომ მიმოავლო, სწორედ მაშინ მართლაც პირისპირ შეეყარა ბედნიერებას, როგორც რიდე ჩამოფარებულ აღმოსავლელ პატარძალს.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ იგი, ვისაც უჩინრად მოუხვეჭავს დიდება, ვინც დასხლტომია დიდი სიყვარულის ხვანჯებს იმ თავისი ამაღლებული ეგოიზმის ნიშანსა და ძახილზე. ცოცხალ ქალს გამოქცევია, რათა ეზეიმა თა-

ვისი უწყალო შეუღლება ჩრდილებით შესუდრულ იდეალთან. ნეტავი ახლა თუ არის კმაყოფილი? ვინ იცის? ის ერთი ჩვენთაგანი იყო და მე ერთხელ თავდებად დავუდექი იმას. ვითარცა აჩრდილს შთავბერე სული, სხვაგვარად როგორ დავამკვიდრებდი იმის მარადიულ ყოფას? ხომ არ შევცდი? ის აღარ არის, მაგრამ არის დღეები, როდესაც მისი არსებობის რეალობა მომეახლება მთელი ძლიერებით, ხანდახან კი, პატიოსნებას გეფიცებით, ჩემი თვალსაწიერის მიღმა ქრება ვითარცა სული განუხორციელებელი, ამ მიწიერ ვნებათა ბურუსში გახვეული და მომართული შეეხმიანოს ჩრდილებით მოცული თავისი სამყაროს ძახილს.

ვინ იცის? ისე წავიდა, შეუცნობელი დარჩა, ხოლო ის საბრალო გოგო. ჩუმი, სასომიხდილი, შტაინისას ცხოვრობს. მთლად დაბერებულა ის შტაინი ამ ბოლო დროს. თავადაც გრძნობს ამას და ხშირად ამბობს: „დროა თადარიგი დავიჭირო, უნდა წავიდე, დავტოვო აქაურობა...“ და სევდამორეული იშვერს ხელს იმ თავისი პეპლებისკენ.

1899, სექტემბერი — 1900, ივლისი

# ინგლისური პოეზია

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა დარეჯან კაპანაძემ

### პერსი ბიში შელი

#### ჯეინს

მე ბავშვივით მჯერა,
ვარსკვლავებთან ამიტაცებს მაღლა ღამე,
კვლავ შენი ხმის ჟღერა
და გიტარის კვნესა ისმის ახლა წამერთ,
სავსე მთვარის სხივებს
ვეწაფები ბედისაგან კრული ხარბად,
უსიცოცხლო სიმებს
შენ შთაბერე მშვენიერი სული ალბათ.

არ მომძლავრდეს ნეტავ
სუნთქვა მთიდან მობერილი ცივი ქარის,
ფერხთით ცვარს რომ ვხედავ,
მელოდიის გაბნეული მძივი არის,
დაილალო თუნდა,
კვლავ იმღერე, სანამ ნათობს ცაზე მთვარე;
უგალობო უნდა
მას, რაც ასე ტკბილია და ასე მწარე.

### ედმუნდ სპენსერი

#### XXX სონეტი

შენ ყინული ხარ, თეთრი და მზრალი,
ჩარაზული გაქვს ტრფობისთვის გული;
მე — სიყვარულის მგზნებარე ალი,
სულის შემძვრელი, არ სიტყვად თქმული.
მაგრამ ყინული ვერ უძლებს სითბოს,
ზამთრის სამოსი მზის გულზე დნება;
შენ კი ცეცხლში ხარ ნაწრთობი თითქოს,
ვერ გიმორჩილებს მიჯნურის ვნება.
ვერც მე გამტეხავს სიცივე შენი,
ვერ შემაჩერებს მსუსხავი ფრაზა;
ყველა ტკივილის უსიტყვოდ მთმენი
ვერ შეგელევი სიცოცხლის ფასად —
თუ სიყვარული თავად ღმერთია,
მსხვერპლად რას მომთხოვს, ეგ სულ ერთია.

## LXIII სონეტი

მე არასოდეს მწყალობდა ბედი,
ბევრჯერ დამესო ლახვარი მწარე;
დრომ საწუხარი მომიგო მეტი
და უძლურების ცრემლები ვღვარე.
ბოლოს ზღვასა და ცისკიდურს შორის
ვპოვე ნაპირი საამოდ წყნარი —
ასე ნანატრი და ასე შორი
განიხვნა ჩემი სამოთხის კარი.
ბედნიერია ამქვეყნად მწირი,
თუკი აღთქმული ელირს [illegible]
თუკი უფალმა აქმარა [illegible]
შეიფარა და სადგომი მისცა;
თუ თასის ფსკერზე ჰპოვა ნექტარი
და ტანჯვის შემდეგ — ძილი ნეტარი.

## LXXIV სონეტი

ელისაბედი — საამო ჰანგი,
თუ ასოების ღვთიური წყობა?
ამ სახელს გულით ვატარებ, რაკი
ეკუთვნის იმას, ვინც ქვეყნად მშობა.
ელისაბედი — დედოფალს ჰქვია,
ვარ მადლიერი მსახური მისი:
სასახლის კარი აქვს ჩემთვის ღია,
უხვი წყალობის გამხდარა ღირსი.
ელისაბედი — ქალღმერთთა დარი,
ჩემთვის ძვირფასი ყველაზე მეტად;
მან გამაცოცხლა ნახევრად მკვდარი,
ბნელში ჩამოდგა სინათლის სვეტად.
ერთი სახელის სამი იერი,
მე მისგან სამგზის ვარ ბედნიერი.

---

შენიშვნა: ელისაბედი ერქვა პოეტის დედას; ბრიტანეთის მაშინდელ დედოფალს და აგრეთვე ე. სპენსერის სატრფოს, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა.

# დევიდ ჰერბერტ ლორენსი

## ბლის ქურდები

ხემ ნაყოფით დაიმშვენა
ხშირფოთოლა ტალალები;
ვის მოუწევს წლეულს ლხენა? —
ჩნდება დარდი დანანების.

სამი ჩიტი ვნახე მკვდარი,
სისხლი სწვეთდათ ყვავილებზე;
დასტიროდათ მხოლოდ ქარი,
მეც უნებურ დავიკვნესე.

ხეს სდარაჯობს ტურფა ქალი,
მიჟუჟუნებს ეშხის თვალებს;
ვიქვათ, მოვწყვიტე მისი ბალი,
მიწას მეც თუ მიმაბარებს?

## ზამთრის ზღაპარი

პირველი ფიფქი ცამ ჩამოფანტა გუშინ,
ღამით ფერდობებს წაეფარათ თოვლის ნამქერი;
ზამთრის სიცივე შემომეპარა გულში,
ახალ ნაკვალევს უჩვეულო სევდით დავცქერი.

მოგონებებმა რად ამაღელვა ნეტავ,
ან მასზე ფიქრი აგრერიგად რატომ მაწუხებს?
ბურუსში ქალის ნაცნობ სილუეტს ვხედავ,
ვგრძნობ მის სხეულზე შემოჭდობილ ყინვის მარწუხებს.

აჩრდილთან ერთად განა წარსულიც მოვა,
გარდაუვალია განშორების მწარე სიტყვები;
ცა მოიქუფრა, ისევ დაიწყო თოვა
და მე ეული გაუკვალავ ბილიკს მივყვები.

## ახალგაზრდა ცოლი

გულს შემოეგზნო აშლილი ვნება
და შენი ტრფობით დააჩნდა ბზარი.
ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდება,
მიმზერ ღიმილით, მშვიდი და წყნარი,
მაგრამ არ მოგაქვს ნანატრი შვება.
ეჭვი აცოცხლებს ღამეულ ლანდებს
და ამოუცნობ ჩვენებებს ბადებს;
მზის გულზე შავად მოცოცავს ჩრდილი,
კრთიან ხეები და აღარ ართობთ,
ირგვლივ ჩიტების გალობა ტკბილი,
არ შეჰხარიან ცისფერ ტატნობს —
ჩრდილმა იმათაც დაუფრთხო ძილი,
ცბიერი ღამის სამალავს ეხეტავ
ყოველ ნაპრალში და ბუჩქის ძირში.
სიმღერა მაინც შემეძლოს ნეტავ,
რომ გავმხნევდე და გავფანტო შიში.
კვნესის უხილავ საკრავთა ჩმები,
თითქოს შორს სადღაც ქვითინებს ქალი;
მოზღვავებული სევდისგან ვკრთები —
ნუთუ სიკვდილის შეირხა ზარი?
თუ მაღლა ცაში ტოროლა მღერის,
ტკბილხმოვანებით მგოსანთა დარი?
ნუთუ ყვავილი, წარმტაცი ფერის,
ყელს იღერებს და სხვა ყვავილს
სწვდება?..

...გულს შემოეგზნო აშლილი ვნება
და შენი ტრფობით დააჩნდა ბზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იულიუს ბარჩ-ივანა

# დიქტატორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სლოვაკურიდან

თარგმნა მაკა ნაჭყებიამ

XX საუკუნის სლოვაკური ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, იულიუს ბარჩ-ივანს (1909-1953) დიდ ხანს არ უცოცხლია, მაგრამ მან მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა.

იგი თორმეტი პიესის ავტორია, მისი დრამატურგია ყოველთვის პრობლემატურ საკითხებს ეხებოდა; მისი ინტერესების სფეროში მოქცეულია პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები. პიესა, რომლის თარგმანიც იბეჭდება, დაწერილია 1937 წელს, როდესაც ჩეხოსლოვაკიის პირველი რესპუბლიკა (1918-1939) ბოლო წლებს ითვლიდა. პიესას იმთავითვე რთული ბედი ერგო, იგი მაშინვე აკრძალა ცენზურამ და არც კლეროფაშისტურ სლოვაკიაში (1939-1945), არც შემდგომ კომუნისტური რეჟიმის დროს არ დადგმულა. როგორც თავად მკითხველიც ხედავს, პიესა მიმართულია დიქტატურისა და ანარქიის წინააღმდეგ.

მთარგმნელისაგან

პიესა სამ მოქმედებად, ექვს სურათად

1937 წ.

მოქმედნი პირნი

ლუის ალვარესი, დიქტატორი
მარია, მისი მეუღლე
გენერალი ალონზო
თავდაცვის მინისტრი
შინაგან საქმეთა მინისტრი
პროპაგანდის მინისტრი
ვაჭრობის მინისტრი
ფინანსთა მინისტრი
გენერალი ტერენო
დაცვის I ოფიცერი
დაცვის II ოფიცერი
დაცვის III ოფიცერი
დაცვის IV ოფიცერი
I ანარქისტი
II ანარქისტი
მცველთა რაზმი, მასა.

## პირველი მოქმედება

### სურათი პირველი

დიქტატორის კაბინეტი. მარცხნივ, წინ, სავარძლები, მათ უკან ბუხარი, წინ შირმა, შირმის უკან გასასვლელი. უკანა პლანზე — აივანზე გასასვლელი. მარჯვენა მხარეს, უკან, გასასვლელი, რომლითაც არ სარგებლობენ. წინ საწერი მაგიდა. ნაშუადღევია.

ვაჭრობის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი (მარცხნიდან შემოდიან).

### გამოსვლა პირველი

ვაჭრობის მინისტრი. დღეს ბელადს დიდი წარმატება ჰქონდა. (ხალხის ხმაური). ხალხი ლამის შეიშალა აღფრთოვანებით.

ფინანსთა მინისტრი. ახლაც შეშლილებივით არიან. თანაც წარმატება ძალიან ძნელი მოსაპოვებელი იყო.

ვაჭრობის მინისტრი. რატომ?

ფინანსთა მინისტრი. ტაში მხოლოდ იმ ადგილებიდან ისმოდა, სადაც წამომწყებნი იდგნენ.

ვაჭრობის მინისტრი. ეგ არაფერი, ტაში ხომ მაინც იყო.

ფინანსთა მინისტრი. როგორ მოგეწონათ ბელადის სიტყვა?

ვაჭრობის მინისტრი. როგორც პატრიოტი, ვეთანხმები, როგორც ვაჭრობის მინისტრი, ზოგიერთ რამეს არ ვიზიარებ.

ფინანსთა მინისტრი. მაშ, შეგვიძლია ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ. შეხედეთ, რამდენი პასუხგაუცემელი კორესპონდენციაა მის მაგიდაზე.

ვაჭრობის მინისტრი. ეს ის საქმეებია, პატარა ადამიანები დიდებს რომ აწუხებენ.

ფინანსთა მინისტრი (საათს დახედავს). თუ მალე არ მოვა, ეროვნულ ბანკში თათბირზე დავაგვიანებ.

ვაჭრობის მინისტრი. ბარემ გულახდილად თქვით, რომ სახლში ახალგაზრდა მეუღლე გელოდებათ და მაგიტომაც გეჩქარებათ.

ფინანსთა მინისტრი. ეგეც მართალია.

ვაჭრობის მინისტრი. მართლა, როგორი იყო თქვენი საქორწილო მოგზაურობა? ხომ არაჩვეულებრივია იტალია?

ფინანსთა მინისტრი. ნამდვილად.

ვაჭრობის მინისტრი. რამდენი დეპეშა დაგადევნათ უფროსმა?

ფინანსთა მინისტრი. არც ერთი.

ვაჭრობის მინისტრი. მშურს თქვენი.

### გამოსვლა მეორე

იგივენი და პროპაგანდის მინისტრი

პროპაგანდის მინისტრი (მარცხნიდან შემოდის). შესანიშნავია. ხალხი მხოლოდ ახლა იშლება. უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა, უფროსის დღე-

ვანდელი დაბადების დღე მართლაც სამაგალითო გამოვიდა, რა სიტყვა იყო!.. რას იტყვით, ბატონებო?

ვაჭრობის მინისტრი (ყოყმანით). ჩინებული იყო...

ფინანსთა მინისტრი. მართლაც გენიალური აზრები გამოთქვა.

პროპაგანდის მინისტრი. ცოტას გაალიზიანებს ჩვენს მტრებს, დარწმუნდებიან, რომ არ გვძინავს.

ვაჭრობის მინისტრი. ჰმ, ეგეც საჭიროა.

პროპაგანდის მინისტრი. ჰო, მართლა, როგორ დამთავრდა მოლაპარაკება ჩვენს მეზობლებთან იარაღის შეკვეთის თაობაზე?

ვაჭრობის მინისტრი. ცუდად. ჩაიშალა.

პროპაგანდის მინისტრი. რა თავხედობაა.

ვაჭრობის მინისტრი. ან მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორული უნდობლობა.

პროპაგანდის მინისტრი. უნდობლობა? ლაფეტის საწარმო ხომ მთელ ქვეყანაზეა ცნობილი. არ არსებობს ფაბრიკა, მისთვის კონკურენციის გაწევა რომ შეეძლოს.

ფინანსთა მინისტრი. გეთანხმებით, ოღონდ ერთის დავიწყება არ შეიძლება: ჩვენმა პოლიტიკამ მოგვცა დირექტივა მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ვიქონიოთ. ამით კი მსოფლიოსთვის ზურგი შეგვაქცევინა. მაგრამ იმის დამატება კი დაავიწყდა, რომ არა გვაქვს გაკვირვების საფუძველი, თუკი მსოფლიო ახლა ჩვენ შემოგვაქცევს ზურგს.

პროპაგანდის მინისტრი. ეს მხოლოდ ეჭვებია.

ვაჭრობის მინისტრი. შემთხვევა შემთხვევას მისდევს. ამ უკანასკნელ ხანს უცხოეთმა ექვსი დიდი შეკვეთა გააუქმა.

პროპაგანდის მინისტრი. შეგიძლიათ ამისი ახსნა?

ვაჭრობის მინისტრი. რატომაც არა. ძალიან ადვილად...

### გამოსვლა მესამე

**იგივენი, დიქტატორი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, I ოფიცერი**

I ოფიცერი. ბელადი!

ვაჭრობის მინისტრი (**რაღაცას ეჩურჩულება პროპაგანდის მინისტრს**).

დიქტატორი (**მარცხნიდან შემოვა. მას თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები მოჰყვებიან. საწერი მაგიდისკენ მიდის**). დაბრძანდით, ბატონებო, და მომიტევეთ, რომ კაბინეტში გხვდებით. მაგრამ ჩვენი დღევანდელი თათბირი მხოლოდ კარგი და გულითადი მეგობრების საუბარი უნდა იყოს. უკანასკნელი მიტინგის წარმატებამ წამაქეზა გკითხოთ, როგორ გესახებათ ჩვენი ერის მომავალი და მჯერა, რომ ამ ჩვენი საუბრის შედეგი გაანათებს იმ გზას, რომლითაც მომავალში ვივლით. ჩემი დღევანდელი სიტყვა უკვე მოისმინეთ, მაშ გთხოვთ, გამაცანით თქვენი შენიშვნები, ბატონებო!

თავდაცვის მინისტრი. დღევანდელი სიტყვით თქვენ თავი წარმოიჩინეთ როგორც გამორჩეული ერის გამორჩეულმა ბელადმა.

დიქტატორი. გმადლობთ, ბატონო მინისტრო, მაგრამ მე ხოტბის შესხმა არ მითხოვია. კრიტიკა მაინტერესებს,

პროპაგანდის მინისტრი. თქვენი სიტყვა უეჭველად იპოვის ცოცხალ გამოხმაურებას უცხოეთში.

თავდაცვის მინისტრი. უცხოეთი ჩვენზე აზრს შეიცვლის. ჩვენ მხოლოდ მსოფლიოს დამშინებლის როლს ვთამაშობდით. ქვეყანა დარწმუნებული იყო, რომ გამოსავალს ვეძებდით და არა ომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა მინისტრი. ჩვენ კი ომი გვინდა?

დიქტატორი: რა გაქვთ მხედველობაში, ბატონო მინისტრო?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ის, რაც ვთქვი, წინამძღოლო, ბოლოს და ბოლოს უნდა მოვიპოვოთ რწმენა. და ვიცი რწმენა ხალხსაც უნდა ჰქონდეს. გვინდა ომი?

დიქტატორი: ჩემმა სიტყვამ შეგიქმნათ ამ კითხვის დასმის საფუძველი?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბელადო, თქვენს სიტყვაში პირდაპირ ომზე არ იყო ლაპარაკი. მაგრამ რომც ყოფილიყო, ორი მიზანი ექნებოდა დასახული, დაგვერწმუნებინა ჩვენი მეზობლები, როგორი შესაძლებლობები და ძალა გვაქვს, ანდა...

I ოფიცერი (გამოაცხადებს). გენერალი ალონზო.

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, ალონზო

ალონზო. (მარცხნიდან შემოდის): დიდება ბელადს!

დიქტატორი. მობრძანდით, გენერალო!

ალონზო: მაპატიეთ, ბელადო, რომ დამაგვიანდა, მაგრამ...

დიქტატორი. არა უშავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი. შემიძლია განვაგრძო?

დიქტატორი: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ვიმეორებ, ან გინდოდათ დაგვერწმუნებინათ ჩვენს შესაძლებლობებსა და ძალაში, ანდა მათი აშკარა გამოწვევა გსურდათ.

ალონზო. აშკარად მეორე შემთხვევაზე იყო ლაპარაკი, ბატონო მინისტრო.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ომზე?

ალონზო. დიახ.

შინაგან საქმეთა მინისტრი, რა თქმა უნდა. აბა, რას ვუზამთ ამდენ იარაღს? ერთადერთი, გამოფენას თუ მოვაწყობთ, ეს კი ბევრ არაფერს მოგვცემს, ოღონდაც, ბატონებო, როდესაც შეიარაღების გეგმა მტკიცდებოდა, არ ყოფილა ამაზე ლაპარაკი, რომ იარაღი ომისთვის იყო განკუთვნილი. ნუ ფიქრობთ, რომ ხალხი ხმას მისცემდა გეგმას, რომელიც ჩვენს ვაჭრობას ანადგურებს, აკოჭლებს მრეწველობის დანარჩენ დარგებს, ტვირთად აწვება მოქალაქეებს, აფერხებს კულტურის განვითარებას და გვაიძულებს, რომ ყველაფერში ევროპის სახელმწიფოებს მხოლოდ კუდში მოვექცეთ. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ომისკენ მიდის.

ალონზო. ერს სურს, რომ მისი ოცნებები საქმედ იქცეს.

თავდაცვის მინისტრი. ვისაც ოდნავი პატრიოტიზმი მაინც გააჩნია, ვერ მოითმენს, რომ ჩვენს ძველისძველ მტრებს სამაგიერო არ გადავუხადოთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი, ეს თქვენი აზრია, ბატონო ბელადო? მაშინ მე მეტი შეკითხვები აღარ მექნება.

დიქტატორი, ჩემი? არა, ბატონებო, სიამოვნებით მოვისმინე თქვენი აზრები, ოღონდ ძალიან მწყდება გული, რომ ერთმანეთს ვერ გავუგეთ.

თავდაცვის მინისტრი. როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატორი. დღევანდელ სიტყვაში ვთქვი, რომ დღეს [illegible] ჩვენი კონსოლიდაცია. სამწუხაროა, რომ ეს მხედველობიდან გამოგრჩათ. მართალია, აუცილებლად მიმაჩნია ერის საკუთარ ძალაში დარწმუნება, ბოლოს და ბოლოს ეს ძალა ჩვენ მივეცით მას. ისიც მინდა, რომ ომისათვის მომზადებული იყოს, რადგან არ ვიცით, რას გვიმზადებს მომავალი. მაგრამ ის, რომ დღესვე მოვკიდო ხელი ამ სახიფათო წამოწყებას და ვიცოდე, რომ შედეგი შეიძლება საეჭვო იყოს..

თავდაცვის მინისტრი. ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ალონზო. თქვენ ომის წინააღმდეგი ხართ?

დიქტატორი. არა, არა. ეს კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ ომი ახლა არ მინდა. მერე, როდესაც შინაგანად უფრო ძლიერი ვიქნებით...

ალონზო. ამას შეიძლება წლები დასჭირდეს...

დიქტატორი. ათწლეულებიც.

ალონზო. ბელადო, შეუძლებელია, რომ ეს თქვენი საბოლოო სიტყვა იყოს!

დიქტატორი, გენერალო, ჩემს ერზე მე ვაგებ პასუხს.

თავდაცვის მინისტრი, ერი მზადაა ომისთვის.

ალონზო. და დარწმუნებულია, რომ მისგან გმირობას ელით.

პროპაგანდის მინისტრი. თქვენ მიერ პროვინციაში წარმოთქმული ყველა სიტყვა ამ აზრს გამოხატავდა.

დიქტატორი. მაშ ასე! ამიტომაც გაიგეთ არასწორად ჩემი ნათქვამი! პროვინციაში ჩემგან ფარულად ხდება ჯარისკაცების დაქირავება? ბატონო პროპაგანდის მინისტრო, ამაზე თქვენ აგებთ პასუხს.

პროპაგანდის მინისტრი. ბელადო, ეს...

ალონზო. ბატონი მინისტრი ჩემს ბრძანებას ასრულებდა.

დიქტატორი. თქვენს ბრძანებას ასრულებდა... **(მასთან მიდის).** ეს თქვენ შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეთ.

ალონზო. მე უნდა გამოვთქვა ის, რასაც გრძნობს ჩემი ჯარი. ჯარს კი ყელში აქვს ამოსული ცარიელი სიტყვები, რომლებიც არასოდეს მოიტანენ შედეგს. მათ სურთ სისხლი დაღვარონ ერის უკეთესი მომავლისა და მისი დიდებისათვის. ასეთ მსხვერპლზე კი მე არ შემიძლია უარის თქმა.

დიქტატორი, ახლავე წადით, გენერალო, და სახლში დაელოდეთ ჩემს განკარგულებებს.

ალონზო **(სალამს მისცემს და წავა).**

დიქტატორი. ბატონებო, ის, რაც აქ მოხდა, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. საუბარს ხვალ გავაგრძელებთ. მხოლოდ პროპაგანდის მინისტრს ვთხოვ, დარჩეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო. **(დანარჩენები გადიან.)**

### გამოსვლა მეხუთე

*დიქტატორი, პროპაგანდის მინისტრი*

დიქტატორი: როდის მიიღეთ გენერალ ალონზოს ბრძანება?

პროპაგანდის მინისტრი. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ.

დიქტატორი. როგორ ხორციელდებოდა აგიტაცია პრო[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდის მინისტრი. გენერლის ჩანაფიქრის მიხედვით, კერძოდ, თქვენი ჩანაფიქრის მიხედვით.

დიქტატორი. ჩემი?

პროპაგანდის მინისტრი. მე მაშინ გენერალმა მითხრა, რომ თქვენი განკარგულებაა ხალხის ფარულად მომზადება ომისათვის. არც პრესას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ არაფერი და ოფიციალურად არც თქვენ უნდა ყოფილიყავით ინფორმირებული.

დიქტატორი. რატომ უნდა გაკეთებულიყო ყოველივე ეს ფარულად?

პროპაგანდის მინისტრი. უცხოეთს რომ არ გაეგო ამის შესახებ.

დიქტატორი. მხოლოდ უცხოეთი უკვე გასაგებია... ბატონო მინისტრო, ჩვენი რევოლუციის წამყვანი პიროვნება იყავით. ამ წუთში ამან გადაგარჩინათ. მაგრამ მომავლისთვის არ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ მსგავს სიტუაციაში ასევე მეგობრულად დავშორდებით ერთმანეთს. კარგად ბრძანდებოდეთ!

(პროპაგანდის მინისტრი გადის.)

### გამოსვლა მეექვსე

*I ოფიცერი, დიქტატორი*

I ოფიცერი (შემოვა).

დიქტატორი: ჩემი მეუღლე მელოდება?

I ოფიცერი. დიახ, ბელადო.

დიქტატორი: სთხოვეთ შემოვიდეს.

I ოფიცერი. ბელადო, საიდუმლო პოლიციის ცნობა მოვიდა.

დიქტატორი. მნიშვნელოვანი?

I ოფიცერი. ფრიად. ანარქისტების მეთაური, პროფესორი როცხი ქალაქში ნახეს. პოლიცია დაეძებს, რადგან დარწმუნებულია, რომ თქვენზე თავდასხმას აპირებს.

დიქტატორი. ეს ის არის, ჩემზე საშინელი წარუმატებელი თავდასხმა რომ მიიწერეთ. მაშ გააძლიერეთ დაცვა და ყველა განსაკუთრებული ღონისძიება მიიღეთ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

(I ოფიცერი გადის.)

### გამოსვლა მეშვიდე

*დიქტატორი, მარია.*

მარია (შემოვა). საღამო მშვიდობისა, ლუის. ბრაზდებით, რომ მოვედი?

დიქტატორი. არა, ძვირფასო. გელოდებოდით, როგორც ცისარტყელას ქარიშხლის შემდეგ. დაბრძანდით.

მარია. რომ ვერ შევამჩნიო, რაოდენ აღელვებული ხართ?

დიქტატორი. მძიმე დღე მქონდა.

მარია. უნდა დაისვენოთ.

დიქტატორი. ახლა? (**გაიცინებს.**) არ მოხერხდება.

მარია. გუშინ თქვით, რომ სწორედ დღევანდელი მიტინგის, თქვენი დაბადების დღის შემდეგ იქნებოდა ეს შესაძლებელი.

დიქტატორი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ ეგ გუშინ—[illegible]

მარია. მოხდა რამე?

დიქტატორი. არაფერი განსაკუთრებული. შევიტყვე, რომ ალონზო ომის პროპაგანდას ეწეოდა პროვინციაში, რასაკვირველია, ჩემგან ფარულად.

მარია. რას უზამთ?

დიქტატორი. არ ვიცი, ჯერ არ ვიცი. ერთი წლის წინ კისერს მოვუგრეხდი, დღეს კი არ ვიცი, რა ვქნა. რაღაცნაირად გავტყდი, აღარ შემიძლია, და სწორედ ახლა, როცა გასაოცრად ბევრი ძალა მჭირდება, რათა იმ ბინძური საქმიანობის შედეგები ავცდეთ.

მარია. ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ გამბედაობაა საჭირო. გახსოვთ, როგორ ვიმხნევებდით თავს რევოლუციის დღეებში, როგორ ვეუბნებოდით ერთმანეთს: არ შეგეშინდეს, მხოლოდ გამბედაობაა საჭირო, უნდა გაიმარჯვო, ეს ხომ კეთილი საქმეა, რისთვისაც იბრძვი...

დიქტატორი. ეს მართლაც კეთილი საქმეა.

მარია. ლუის, თქვენ ალბათ მუშაობით გადაიღალეთ...

დიქტატორი. არა, არა, არა. ეს უფრო მეტია. სამწუხაროდ, მეტი. დავანებოთ მაგას თავი, ძვირფასო. ისეთი ძვირფასია ჩემთვის წუთები, როდესაც ერთად ვართ. იცით, ვინ მინდა ვიყო? მეთევზე. სადმე შორს, ზღვის ნაპირას. მეთევზე, რომელსაც უყვარს ზღვა და სივრცეები, არა ჰყავს მოწინააღმდეგეები, არ უტრიალებს თავში პრობლემები, არ ჰპარავს საკუთარსავე თავს იმ სილამაზეს, რომელიც მისი ცოლის თვალებში იმალება. და შეუძლია არამარტო იმუშაოს, არამედ იოცნებოს კიდეც. და შეუძლია იყოს ბედნიერი... (**ტელეფონი**). დიახ, დიახ... რასაკვირველია.. სთხოვეთ შემოვიდეს (**დაკიდებს ყურმილს**). ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი.

მარია. წავიდე?

დიქტატორი. რატომ? დარჩი.

**გამოსვლა მერვე**

**იგივენი, შინაგან საქმეთა მინისტრი**

შინაგან საქმეთა მინისტრი (**შემოვა**). მაპატიეთ, ბატონო ბელადო, რომ გამოუძახებლად გეახელით, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს თქვენთან.

დიქტატორი. გთხოვთ, ბატონო მინისტრო!

შინაგან საქმეთა მინისტრი. საქმე გენერალ ალონზოს ეხება.

დიქტატორი. მარიას წინაშე საიდუმლოებები არა მაქვს, გთხოვთ, დაბრძანდით.

შინაგან საქმეთა მინისტრი. შემიძლია გულახდილად ვილაპარაკო?

დიქტატორი. მხოლოდ გულახდილად, ბატონო მინისტრო. ფარისევლები ისედაც საკმაოდ მყავს გარშემო.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბელადო, ძალიან მძიმე სიტუაციაში იმყოფებით.

დიქტატორი. მხედველობაში ალონზოსთან [illegible] გაქვთ?

შინაგან საქმეთა მინისტრი. მხედველობაში ის ძლიერ მნიშვნელოვანი საქმიანობა მაქვს, რომელსაც იგი მთელი წელიწადია ეწევა და რომლის შესახებაც თქვენ არაფერი იცით.

დიქტატორი. არ მჯერა.

შინაგან საქმეთა მინისტრი. სამწუხაროა. მაგალითად, დღეს მიტინგის შემდეგ წამომწყებთა ის დეპუტაცია მიიღო, რომლის მიღებაზეც თქვენ უარი თქვით.

დიქტატორი. ეგ არაფერს ნიშნავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს ბევრს ნიშნავს. მან ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვა ეს პოპულარობა ძალიან სწორი ხერხებით. ხალხს არ სჭირდება ისეთი ბელადი, რომელიც მხოლოდ მირაჟია და განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოჩნდება ხოლმე. ხალხს მისი დანახვა უნდა, უნდა მას ხელით შეეხოს, როგორც სინამდვილეს, უნდა ჩაისუნთქოს მისგან ის, რისი მიცემაც არ შეუძლია საპროგრამო გამოსვლებს. რა ხეირი აქვს მას ისეთი ბელადისაგან, რომელიც ხანდახან გამოჩნდება ხოლმე თავისი ზღაპრული სასახლის აივანზე და მოწყალებასავით უბოძებს რამდენიმე სიტყვას?

დიქტატორი. კონკრეტულად! ეს მე მეხება? დღეს მიჭირს აზროვნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. თქვენ გეხებათ, ბატონო ბელადო, თქვენ დაკარგეთ ის პოპულარობა, რომელმაც სახელმწიფოს სათავეში მოგაქციათ. ბრძოლა გელოდებათ, თუკი ამის სურვილი გაქვთ.

დიქტატორი. ალონზოსთან?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ალონზოსთან. ისევ უნდა მოინადიროთ ხალხის გული. ყოველი შესაძლებელი ხერხით. მაგრამ უნდა იჩქაროთ. ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრძანდებით.

დიქტატორი. სულ ეს არის?

შინაგან საქმეთა მინისტრი. სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა.

დიქტატორი (ცივად). გმადლობთ. ამისათვის არ ღირდა თავის შეწუხება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. (წამოდგება).

მარია. ბატონო მინისტრო, გთხოვთ, ნუ წახვალთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ქალბატონო, მე არ გახლავართ სასიამოვნო თანამოსაუბრე.

მარია. ყოველ შემთხვევაში, კარგი მეგობარი ბრძანდებით და მე სწორედ იმ კარგ მეგობარს ვთხოვ.

დიქტატორი. მარია, ნუ გავიწყდებათ...

მარია. გარკვეული წესები. არ მაინტერესებს ისინი. არც თქვენი აზრი. ეს მნიშვნელოვანი ამბავია. ვგრძნობ ამას.

შინაგან საქმეთა მინისტრი. გთხოვთ, ქალბატონო.

მარია. ნუ უსაყვედურებთ ლუისს აჩქარებას. გამოფიტულია, ნერვები აქვს დაძაბული. და კიდევ, სანთლის ქვემოთ სიბნელეა ხოლმე.

დიქტატორი. მარია...

შინაგან საქმეთა მინისტრი. რა გნებავთ, ქალბატონო?

მარია. იცნობთ ალონზოს?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ყველა ჩვენგანზე უკეთესად.

მარია. საშიში მოწინააღმდეგეა?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ჯერ ძალაუფლება არა აქვს ხელში, ვერ ამჟღავნებს, რაც შეუძლია, მაგრამ ერთხელაც...

დიქტატორი. ერთხელაც, ერთხელაც ...ერთხელაც გვაჩვენებს სეირს, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა მინისტრი. ძალზე ლოგიკურია ამის მოლოდინი. ამ ამბავში ჩახედული ადამიანისათვის თქვენი საქმე წასულია.

დიქტატორი (**გაჩერდება**). არა, არა. თავგზა ამებნა, ჩემივე თავი დავკარგე.

მარია. ლუის...

დიქტატორი. დიახ, დიახ, რა საჭიროა თავის მოკატუნება...

შინაგან საქმეთა მინისტრი. მე ვგრძნობდი ამას, შინაგანი ბრძოლა განადგურებთ, ძალას გაცლით, იმ გონებას გიხშობთ, რომელიც ურთულესი პრობლემების გადაწყვეტისას ბრწყინავდა, იმ საღ და ცივ აზროვნებას გაკარგვინებთ, რომელიც თქვენს ყველაზე ფიცხელ მოწინააღმდეგესაც კი აჩერებდა. ბელადო, ეს მხოლოდ დეპრესიაა. თქვენ მებრძოლი ხართ, გზა უნდა განაგრძოთ...

დიქტატორი. თუკი უკვე გვიანია?

შინაგან საქმეთა მინისტრი. არ არის გვიანი. როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია (**ხმას უმაღლებს**), ახლაც შეგიძლიათ სასწაულის ჩადენა. მიეცით ახალი დირექტივა ხალხს, დასახეთ პოლიტიკის ახალი მიმართულება. ოქროს და არა სისხლის ასოებით უნდა დაიწეროს ერის მომავალი ისტორია.

დიქტატორი. ბრძოლა?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბრძოლა.

დიქტატორი. არა. არ დავნებდები (**ყურმილს იღებს**). გენერალ ალონზოს ბინასთან შემაერთეთ. გენერალი ალონზოა? ახლავე მობრძანდით ჩემთან სასახლეში. გმადლობთ (**დაკიდებს ყურმილს**). მარია, ტირით? არ იტიროთ, უკვე ყველაფერი კარგადაა.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ალონზოს გინდათ შეუთანხმდეთ?

დიქტატორი. (**იცინის**). შევეუთანხმდე?

მარია. ლუის, ალონზო უეჭველად დათანხმდება თქვენს ყველა მოთხოვნას, წავიდეთ აქედან...

დიქტატორი. სად? გმირი ხომ უფრო ლამაზად კვდება, ვიდრე ლაჩარი. როგორ თქვით? ქვეყნისათვის სიმშვიდის მოტანა. დიახ, სხვებისა და საკუთარი თავისთვის. დიახ, თუნდაც გარშემო სულ ტურების ყმუილი იდგას, რომლებიც მსუქან ლეშებს ელოდებიან. ვცადოთ, ჩემო მეგობარო (**ყურმილს იღებს**). მანქანა კარებთან მიაყენეთ. არ მინდა ალონზომ დაგინახოთ.

მარია. ისე ვღელავ თქვენზე.

დიქტატორი. ამიტომ, ძვირფასო. ცოტა ხანში მოვალ შინ. რვაზე ოპერაში უნდა ვიყოთ. მომყევით. გაგაცილებთ, რადგან გზა არ იცით (**წინ მიუძღვება**).

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბრაზობთ ჩემზე, ქალბატონო..

მარია. არა, თქვენი მადლობელი ვარ (**ხელს გაუწოდებს. მინისტრი ხელზე ემთხვევა. გადიან**).

### გამოსვლა მეცხრე

### I და II ანარქისტები

I ანარქისტი (**მარჯვნიდან შემოდის, მას მეორე მოჰყვება).** ზურგს უკან დაიმალე.

ბიბლიოთეკა

II ანარქისტი (**იგივე მსახიობი, რომელიც დიქტატორს თამაშობს, დაიმალება)**

I ანარქისტი. იარაღი შემოწმებული გაქვს? პროფესორის ბრძანება არ დაგავიწყდეს, თუ შეშინდები, ერთ საათში ამქვეყნად აღარ იქნები, როგორმე უნდა მოახერხო, კარებთან ვიდგები... (**ხმაური გარედან).** ყურადღებით იყავი... (გადის.)

### გამოსვლა მეორე

### II ანარქისტი, დიქტატორი, ალონზო

დიქტატორი (**მარჯვნიდან შემოდის. ტელეფონის ზარი).** გენერალი ალონზო? (**ყურმილს დაკიდებს).**

ალონზო. (**შემოდის მიესალმება.)**

დიქტატორი. ახლოს მოდით, გენერალო.

ალონზო. საბჭოს სხდომაზე ჩემი ნათქვამის გამო დამიბარეთ?

დიქტატორი. დიახ, დიახ, რასაკვირველია. გთხოვთ დაბრძანდეთ. სიგარეტს ინებებთ?

ალონზო. გმადლობთ, არ ვეწევი (**დაჯდება).**

დიქტატორი. წარმოიდგინეთ: ვთქვათ, გითხარით, ეს სიგარეტი ტანალიის გუბერნატორობაა-მეთქი? მაშინ აიღებდით?

ალონზო. გმადლობთ, არც მაშინ მოვწევდი.

დიქტატორი. არ დაგავიწყდეთ, გენერალო, რომ მე გიმასპინძლდებით.

ალონზო. რა თქმა უნდა, მესმის. ჩემი თავიდან მოშორება გსურთ. ლაჩრული ჟესტია. მაგრამ მე არ დაგნებდებით ამაში ცდებით, ბელადო.

დიქტატორი. მეტს აღარ შევცდები.

ალონზო. ვიცი, რომ ჩემი გეშინიათ. კარგი იქნებოდა, თქვენგან შორს ვყოფილიყავი. გინდათ წამართვათ ყველა შესაძლებლობა. წამართვათ სახელი, რომელიც სამართლიანად მოვიპოვე ხალხში...

დიქტატორი. სიცრუით, ეშმაკობით, მავნებლური საქმიანობით...

ალონზო. ბელადო, ამის გულისთვის...

დიქტატორი. ჩუმად იყავით, გენერალო, გავიწყდებათ, რომ ძალაუფლება ჯერ კიდევ ჩემს ხელშია.

ალონზო. ერთი სიტყვაა საკმარისი თქვენი ძალაუფლების დასამშვიდებლად. ჯარი ჩემს მხარეზეა და ხალხიც, ეგ ხომ თქვენც მოგეხსენებათ.

დიქტატორი (**დუმს, იღიმება).**

ალონზო. შეგაცბუნათ ამან? ახლაც შესძლებდით ამ კითხვაზე თქვენთვის დამახასიათებელი, საარაკო „დიახ, დიახ, რასაკვირველია" გეპასუხათ?

დიქტატორი. როგორ არა, ძვირფასო გენერალო. დიახ, დიახ, რასაკვირ-

ველია, ვიცი ამის შესახებ და ამიტომაც კიდევ უფრო ხაზგასმით მოვითხოვ: მოსწიეთ სიგარეტი,

**ალონზო.** საკმარისია წამი, ერთადერთი ბრძანება და ჯარი ალყას შემოარტყამს თქვენს სასახლეს. ჩემი ჯარი, გასაგებია? ჯარი, რომელიც უჯერებს მხოლოდ მეომარს და არა..,

**დიქტატორი.** და არა მე, ეგეც ვიცი. მეცოდება თქვენი ჯარი, გენერალო, დიდხანს ვერ შეძლებს თავისი საყვარელი მეთაურის ნახვას, რადგანაც...

**ალონზო.** რადგანაც?

**დიქტატორი.** რადგანაც თქვენ მოსწევთ ამ სიგარეტს, გენერალო.

**ალონზო.** გინდათ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა მაიძულოთ?

**დიქტატორი,** საერთოდ კი იცით, რომელი ნაბიჯი იქნებოდა თქვენთვის უკანასკნელი? თუ აქედან გახვალთ და ხელში მოკიდებული სიგარეტი არ გეჭირებათ, თქვენი პირველი ნაბიჯი თქვენივე უკანასკნელი ნაბიჯი იქნება.

**ალონზო,** კარგი ნამუშევარია. ოღონდ ამის განსახორციელებლად თქვენ ძალიან მხდალი ბრძანდებით. იცით, რა მოჰყვებოდა მაგას? მთელი ხალხი ფეხზე დადგებოდა და ჩემი ჯარისკაცები ნაკუწებად გაქცევდნენ.

**დიქტატორი.** არ ყოფილხართ ჭკვიანი, გენერალო. ისეთ რამეებზე ზრუნავთ, რაც თქვენი სიკვდილის შემდეგ შეიძლება მოხდეს.

**ალონზო.** მართლა?

**დიქტატორი.** მართლა, მაშ, მოუკიდეთ სიგარეტს, გენერალო! **(სანთებელას ამოიღებს, უკიდებს სიგარეტს.)** შესანიშნავი სიგარეტია, ტანალიის საუკეთესო თამბაქოსაგანაა დამზადებული. სიამოვნება ჯერ კიდევ წინა გაქვთ.

**ალონზო. (უყურებს დიქტატორს, მერე აიღებს სიგარეტს და მოუკიდებს).** ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს **(გავა).**

**დიქტატორი (ნაპოლეონის ჟესტი. სიცილი).**

გამოსვლა მეთერთმეტე

დიქტატორი, I და II ოფიცრები

**დიქტატორი (ყურმილს იღებს).** ნომერ პირველი და მეორე.

I და II ოფიცრები **(შემოვლენ).**

**დიქტატორი.** ამწუთში აქედან გავიდა გენერალი ალონზო, გაჰყევით მას და თვალი არ მოაცილოთ. არ დაუშვათ, რომ დღეს საღამოს მინისტრთა თათბირზე მოვიდეს. ყოველივეზე მომაწოდებთ ინფორმაციას.

I და II ოფიცრები **(სალამს მისცემენ, გავლენ).**

გამოსვლა მეთორმეტე

დიქტატორი, II ანარქისტი.

**დიქტატორი (რეკავს).** გენერალ ტერენოს ბინაა? გენერალო, ბელადი გელაპარაკებათ. რაც შეიძლება სწრაფად მოდით ჩემთან. თქვენთვის სასიხარულო ცნობა მაქვს. უკანა შემოსასვლელით შემოდით. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა **(დაკიდებს ყურმილს).** ალარ შემიძლია... არა, არა, ალარ შემიძლია **(წელა გავა აივანზე).**

### გამოსვლა მეცამეტე

ალონზო, II ანარქისტი, I და II ოფიცრები

II ანარქისტი (ცოტა ხანს სიჩუმეა. მერე ჩურჩულით) ანტონიო, ანტო-ნიო! (ცოტა ხნის მერე.) წასულა.

ალონზო (შემოდის აღელვებული, ხედავს, რომ არავინაა კაბინეტში. ხა-წერ მაგიდასთან მიდის, ქაღალდებს ათვალიერებს, რაღაცას ეძებს).

I და II ოფიცრები (შემოდიან). გენერალო ალონზო, თქვენ დაპატიმ-რებული ბრძანდებით.

ალონზო (ფიცხად) ხმა ჩაიგდეთ!

I ოფიცერი. ჩვენ მოგვყევით, თუ სკანდალი არ გინდათ.

ალონზო. მე მინდა სკანდალი!..

I ოფიცერი. ხვალ დილით ატიაში უნდა გაემგზავროთ. იქ ნავი გელოდე-ბათ, რომელიც ტანალიაში ჩაგიყვანთ. მოგვყევით.

ალონზო. არც ერთი ნაბიჯი! არ გაბედო მოახლოება.

I ოფიცერი. (იარაღს მოიმარჯვებს). მაშ, მომყევით, სამხედრო ნაბიჯით!

ალონზო. (დუმილის შემდეგ). ძაღლები... (გადის).

I და II ოფიცრები. (უკან მიჰყვებიან).

### გამოსვლა მეთოთხმეტე

დიქტატორი, II ანარქისტი

II ოფიცერი .(გარედან). თქვენი ბრძანება შესრულებულია, ბელადო!

II ანარქისტი (სცენაზე გამოდის, კარებისკენ შეტრიალებული, საიდანაც დიქტატორი უნდა შემოვიდეს; ხელში იარაღი უჭირავს).

დიქტატორი. (მარცხნიდან შემოდის. უკვე სხვა მსახიობი უნდა იყოს).

II ანარქისტი. (ტყვიას ესვრის. დიქტატორი დაეცემა და ანარქისტი მას ზირმის უკან გაათრევს.)

### გამოსვლა მეთხუთმეტე

II ანარქისტი III და IV ოფიცრები

III და IV ოფიცრები (შემოდიან)

III ოფიცერი. (გაკვირვებული.) სად არის ბელადი? მგონი ამწუთას შე-მოვიდა კაბინეტში.

IV ოფიცერი. ალბათ გენერალ ტერენოს ელოდება ლურჯ სალონში.

III ოფიცერი. მაშ გენერალი ალონზო უკვე მშვიდობიანად მოეიშორეთ?

IV ოფიცერი. ცოტა ხნით მაინც.

III ოფიცერი. თამამი საქციელია, მომწონს წინამძღოლი, უკვე დიდი ხა-ნია უნდა გაეკეთებინა.

IV ოფიცერი. ნაღდი კაცია, არ იცი, დღეს აქ როდემდე უნდა ვიყოთ აყუ-დებულები?

III ოფიცერი. დიდხანს არა, ოპერაში მიდის. აბა, წამო, თორემ მოგვის-წრებს აქ და შავ დღეს დაგვაყრის. (გადიან).

### გამოსვლა მეთექვსმეტე

II ანარქისტი, მარტო

II ანარქისტი გამოდის სცენაზე, პალტოს იკრავს, დიქტატორისკენ ეცემა- გაჭრილი ვაშლივით ჩგავს მას. მსახიობი აგრძელებს თავისი როლის [illegible] მოათრევს გვამს სცენაზე, გვერდზე მიუდებს იარაღს. ხელში ჩვეულებრივი რევოლვერი უჭირავს. ჭაერში გაისვრის. მერე იარაღს გადააგდებს.

### გამოსვლა მეჩვიდმეტე

II ანარქისტი, როგორც დიქტატორი, III და IV ოფიცრები, მცველები.

დიქტატორი. (დგას გაოგნებული, იყურება წინ. ჩაირთვება საგანგაშო სირენა. კარი იღება).

III და IV ოფიცრები (მათ დაცვა მოჰყვებათ):

III ოფიცერი. რა მოხდა, ბატონო ბელადო?

IV ოფიცერი. მკვდარი, მკვდარი. (დანარჩენები აჩოჩქოლდებიან.)

III ოფიცერი. ბელადო, რამე ხომ არ შეგემთხვათ? დავუძახო ექიმს?

დიქტატორი. (უარის ნიშნად თავს გააქნევს.)

III ოფიცერი. მაინც როგორ უნდა მომხდარიყო ეს? გაჩხრიკეთ სასახლე. აქ მხოლოდ დაცვის მეორე ოფიცერი დარჩება. წადით!

დაცვის ერთ-ერთი წევრი. ბელადო, როგორც კი შევძელით, ისე ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას, გამოიჩინეთ მოწყალება ჩვენდამი.

დიქტატორი. (ანიშნებს, რომ წავიდნენ).

IV ოფიცერი. მხოლოდ სასახლის ჩრდილოეთ მხრიდან შეეძლო შემოსვლა, მიტინგის დროს. ამ კარით გადით და ეხლა მაინც დაამტკიცეთ კაცური საქციელით, რომ ამ ადგილას შემთხვევით არ მსახურობთ. (მცველები გადიან).

III მცველი. პოლიციას დავუძახებ. (ყურმილს იღებს).

დიქტატორი. (ხელში სწვდება და ყურმილს დააგდებინებს.)

III ოფიცერი: გვამი გავიტანოთ?

დიქტატორი. (თავს დაუქნევს).

III და IV ოფიცრები. (გვამი გააქვთ).

### გამოსვლა მეთვრამეტე

დიქტატორი, III და IV ოფიცრები

III ოფიცერი. (დაბრუნდება). მომიტევეთ, ბელადო, მინდა ვიცოდე· ხომ არაფერი დაგიშავდათ. როგორც ჩანს, ამ იარაღით მოჰკალით იგი. ეტყობა, შეტაკებაში რევოლვერები შეგეცვალათ. ასეა?

დიქტატორი. (თავს უქნევს).

III ოფიცერი. გაზეთები ამ ამბით აივსება. გმირულად მოიქეცით. ვამა-

ყობ თქვენით, ბელადო, და მთელი ერი იამაყებს ამით. შესანიშნავია იცოდე, რომ ჩვენი ბელადი გმირია. რატომ არაფერს ამბობთ, ბელადო?

IV ოფიცერი. მაპატიეთ, ბელადო, გენერალი ტერენოა აქ. შეგიძლიათ მისი მიღება?

დიქტატორი. (**წამი გავა, სანამ რამეს იტყვის. ნაპოლეონის ჟესტი, იგივე, რაც პირველ დიქტატორს ჰქონდა. მერე ნელა, ხაზგასმით**). დიახ, დიახ, რასაკვირველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფარდა**

## სურათი მეორე

**დიქტატორის სასახლის მიხაღები დარბაზი. მარჯვნივ თავმჯდომარის მაგიდა, შუაში და მარცხნივ გასასვლელი. თავმჯდომარის მაგიდის პირდაპირ დიქტატორის პორტრეტი, ნატურალური ზომისა.**

### გამოსვლა პირველი

**პროპაგანდის მინისტრი და თავდაცვის მინისტრი.**

პროპაგანდის მინისტრი. გაუგებარი ამბავია. წაიკითხეთ საღამოს გაზეთების საგანგებო გამოშვება? ყველგან პირველ გვერდზე დიდი ასოებითაა დაბეჭდილი სტატიების სათაური: „ბელადი — ერის უდიდესი გმირი". შესანიშნავია! მეც ვფიქრობ, რომ გმირობაა არ დაგაბნიოს ასეთმა ბოროტმოქმედებამ და მოკლა მტერი. მაგრამ როგორ მოხვდა იქ ის მტარვალი? ამაზე ხმას არავინ იღებს, ისევ სასიამოვნო მიზანი დგას პროპაგანდის მინისტრის წინაშე — ახსნას ყოველივე ეს და რაიმე მიზეზი მოიგონოს ხალხისთვის. საშინელებაა, უკვე დღეს მიღუღს ტვინი იმაზე ფიქრით, როგორ გამოეხმაურებიან ამ მოვლენას უცხოეთის გაზეთები. საშინელი სირცხვილია. ბელადის სასახლეში ანარქისტი შეიპარა. სკანდალი!

თავდაცვის მინისტრი. ეს თავხედობაა! და სულ იმ ბატონების ბრალია, რომლებიც პარპაშობენ ბელადის სასახლეში და ფრიად უხამსი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკურად აქტიური პიროვნების უსაფრთხოებაზე.

პროპაგანდის მინისტრი. სათანადო ყურადღება არც მოქალაქეთა დაცვას ექცევა, არ ზრუნავენ ამაზე.

თავდაცვის მინისტრი. ბელადის დღევანდელი ნაბიჯი გონივრული არ იყო, არ შეიძლება არ იფიქრო იმაზე, რა სურს ჯარს. რით დამთავრდა თქვენი გუშინდელი შეჯახება დიქტატორთან?

პროპაგანდის მინისტრი. მე ჩემმა დიდმა დამსახურებამ გადამარჩინა, მაგრამ საბრალო ალონზო... იმას კი გადაეხადა ყველაფერი.

თავდაცვის მინისტრი. რა შეემთხვა?

პროპაგანდის მინისტრი. გადააყენეს. ახლა ტანალიის გუბერნატორია. ასეთი იყო ბელადის ბრძანება

თავდაცვის მინისტრი. **(წამოხტება):** ბელადისა? ალონზო ტანალიაში? ეს ხომ... შეასრულა ეს განკარგულება?

პროპაგანდის მინისტრი. ცუდი ინფორმატორები გყავთ. იძულებული იყო მიეღო, ხვალ გაემგზავრება.

თავდაცვის მინისტრი. მაშინ ლაჩარი ყოფილა და ღირსია, რომ ადამიანმა სახეში შეაფურთხოს.

პროპაგანდის მინისტრი. არა, არა... რატომ? ტანალია ლამაზი მხარეა.

თავდაცვის მინისტრი. ნუ მაგიჟებთ. ზღაპრულია თქვენთვის, ანდა ვინმე სხვისათვის, მაგრამ ალონზოსათვის? ალონზოსათვის, რომელიც ყველასათვის უკვე მომავალი...

პროპაგანდის მინისტრი. ცოტა ხმადაბლა, ძვირფასო მეგობარო!

თავდაცვის მინისტრი. მერე რა? ეს სასახლე დგას და ეცემა ჩვენთან ერთად. აქ ჩვენ ვართ ბატონები.

პროპაგანდის მინისტრი. სულაც არ მინდა, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. ბელადის ეს ნაბიჯი კი ენერგიული იყო. ეს უნდა ვაღიაროთ. მე მხოლოდ იმის მეშინია... **(ჩურჩულებს).**

**გამოსვლა მეორე**

**იგივენი, ფინანსთა მინისტრი, ვაჭრობის მინისტრი, IV ოფიცერი.**

IV ოფიცერი **(კარებში აცხადებს).** ბატონი ვაჭრობის მინისტრი, ბატონი ფინანსთა მინისტრი.

ფინანსთა მინისტრი. დიდება ბელადს, ბატონებო.

ვაჭრობის მინისტრი. დიდება ბელადს.

ფინანსთა მინისტრი. თავდასხმის შემდეგ ხომ არ გილაპარაკნიათ ბელადთან?

პროპაგანდის მინისტრი. არა.

ვაჭრობის მინისტრი. ყოჩაღური ნამუშევარია. მის პოპულარობას ძალიან შეუწყობს ხელს.

თავდაცვის მინისტრი. იმ მეორე ნამუშევარზე თუ გსმენიათ რამე?

ვაჭრობის მინისტრი. ახ, საწყალი ალონზო. უკვე შემცვლელიც ჰყავს. ტერენოა აუდიენციაზე.

თავდაცვის მინისტრი. ხოო? ტერენო? ფუჰ!

ფინანსთა მინისტრი. რატომ ფუჰ? ტერენო ძალიან სასიამოვნო ადამიანია, ოღონდაც სამხედრო არ არის.

თავდაცვის მინისტრი. და ალონზოს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, ეგეც უნდა დაგემატებინათ.

ფინანსთა მინისტრი. სწორედ მაგაშია საქმე! ბელადი თანდათანობით პატივისცემის გრძნობას აღმიძრავს. დაბოლოს, ქალაქში ჭორი დადის, რომ თავდასხმა ალონზომ მოაწყო.

თავდაცვის მინისტრი. ეგ არ არის მართალი...

ფინანსთა მინისტრი. მართალიც რომ იყოს..

თავდაცვის მინისტრი. გთხოვთ დაასრულოთ აზრი.

ფინანსთა მინისტრი. ვამბობდი, რომც იყოს მოწინააღმდეგე, ალონზო მაინც უკვე დასჯილია, შეიძლება მერე ჩვენი რიგიც დადგეს.

თავდაცვის მინისტრი. არასოდეს! ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ალონზო საბჭოს სხდომაზე არ იქნება?

პროპაგანდის მინისტრი. არა.

თავდაცვის მინისტრი. მაშ ვაიძულოთ ბელადი, რომ უარი თქვას ალონზოს დანიშვნაზე.

პროპაგანდის მინისტრი. სწორია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა მესამე

იგივენი, შინაგან საქმეთა მინისტრი.

IV ოფიცერი (აცხადებს). ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი!

შინაგან საქმეთა მინისტრი. (შემოვა). დიდება ბელადს!

ფინანსთა მინისტრი. მაშ, უკვე ყველანი ვართ.

თავდაცვის მინისტრი. რას ველოდებით?

შინაგან საქმეთა მინისტრი. თუ არ ვცდები, ბელადს.

თავდაცვის მინისტრი. რა აზრისა ხართ ალონზოს გადაყვანაზე სხვა თანამდებობაზე?

შინაგან საქმეთა მინისტრი. გაინტერესებთ?

თავდაცვის მინისტრი. დიახ, ძალიან.

შინაგან საქმეთა მინისტრი. მე კი სწორედ თქვენი აზრი მაინტერესებს.

თავდაცვის მინისტრი. როგორც ჩანს, პასუხს ვერ მივიღებ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბელადის განმარტებას დაველოდოთ. და წინადადებაც მაქვს — ტაშით შევეგებოთ. ამას იმ გმირული საქციელით იმსახურებს, რომლის წყალობითაც მთელს ერს თავისი თავი შეუნარჩუნა (ყველა დუმს).

თავდაცვის მინისტრი. მეც მექნებოდა წინადადება, ჩვენი უკმაყოფილება ალონზოს გადაყენების თაობაზე იმით გამოვხატოთ, რომ არ ავდგეთ, როდესაც შემოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ თქვენმა ოფიცრებმა უნდა იცოდნენ ზრდილობიანი მოქცევა, ბატონო მინისტრო.

თავდაცვის მინისტრი. მოვითხოვ უკან წაიღოთ თქვენი თავხედური სიტყვები!

შინაგან საქმეთა მინისტრი. არავითარ შემთხვევაში. და ისიც საკითხავია, თავხედობაა ეს თუ არა. ვისაც წარმოდგენა არა აქვს ზრდილობაზე, არც თავხედობაზე შეიძლება ჰქონდეს იგი.

თავდაცვის მინისტრი (ხმალს იშიშვლებს).

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, დიქტატორი, ტერენო

IV ოფიცერი. (კარს აღებს). ბელადი!

(ყველა გაქვავდება).

თავდაცვის მინისტრი (ხმალს ქარქაშში ჩააგებს).

დიქტატორი (შემოვა. მხოლოდ მაყურებელმა უნდა იგრძნოს მისი გაუბე-

დობა და არაჩვეულებრივი გამბედაობა, გაჩერდება — იქ მყოფთ უყურებს, მერე თავმჯდომარის მაგიდისკენ მიდის). სალამი, ბატონებო.

ტირენო (გაჩერდება ისე, თითქოს აქ არც იყოს მისი ადგილი).

შინაგან საქმეთა მინისტრი. დიდება ბელადს, დიდება!

დანარჩენები. დიდება!

დიქტატორი. მადლობას გიხდით, ბატონებო, სიმპატიის გამოხატვისათვის. დაბრძანდით, გთხოვთ. (დასხდებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის მინისტრი. (დიქტატორის წინ გაჩერდება): მე მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას საბჭოს სხდომაში, თუ დასაწყისშივე გაირკვევა გენერალ ალონზოს ამბავი.

დიქტატორი (ხმადაბლა). დასხედით, ბატონო მინისტრებო.

თავდაცვის მინისტრი. ვიმეორებ ჩემს მოთხოვნას. გენერალი ალონზო გადაიყვანეს მინისტრთა საბჭოს თანხმობის გარეშე. ამიტომ ვფიქრობ...

დიქტატორი. ნუ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო. დაბრძანდით.

თავდაცვის მინისტრი. არ დავჯდები, ასეთი პასუხით არც თქვენგან დავკმაყოფილდები, ბელადო. კონკრეტულ პასუხს მოვითხოვ. ხოლო თუ მას ვერ მივიღებ...

დიქტატორი. ნუ მჭევრმეტყველობთ, ბატონო მინისტრო. ეს ჩემი სპეციალობაა და მე მას უკეთ ვფლობ. თუ საჭიროდ ჩავთვლი, მოგცეთ ახსნა-განმარტება გენერალი ალონზოს შესახებ, მოგცემთ, ხოლო თუ არა, არა. თუ ეს არ გაწყობთ, გთხოვთ, ჩვენ ნუ შეგვიშლით ხელს (გაოგნება).

დიქტატორი (აგრძელებს). დღევანდელი დღე ჩემი ცხოვრებისთვის ბევრს ნიშნავს და ამიტომ მინდა, რომ იგი ჩემი ხალხისთვისაც მნიშვნელოვანი იყოს. დავრწმუნდი, რომ იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ, შეიძლება დავეცე და ეს დაცემა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. ამისი არ მეშინია და თუკი გარდუვალია, მინდა შევეწირო იმ იდეას, რომელიც ჩემს ერს ჭეშმარიტ დიდებას მოუტანს და ამას მთელი ქვეყნიერება დაინახავს.

პროპაგანდის მინისტრი. ეს დღევანდელი რეჟიმის კრიტიკად უნდა მივიღოთ?

დიქტატორი. დიახ, თუკი ესოდენ გულახდილი ბრძანდებით.

ფინანსთა მინისტრი. არ დაგავიწყდეთ, ბელადო, რომ ამით საკუთარ თავსაც აკრიტიკებთ.

დიქტატორი. არ მავიწყდება, ოღონდ ნება მომეცით განვაგრძო. მინდა ხალხს ოცნებები ავუსრულო. ის დირექტივები, რომლებმაც დღემდე მოგვიყვანეს, რამოდენიმე ადამიანის სუბიექტური აზრი იყო რაღაც გაურკვეველი დიდებისკენ მიმავალ გზაზე. დღეს კი ვაღიარებ, რომ ღირსი ვიყავი იმ ანარქისტს მოეკალით მეც და თქვენც, რადგანაც ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას ხალხს, რომელზეც უნდა გვეზრუნა. მხოლოდ ის გვაწუხებდა, როგორ გვეიძულებინა ისინი, რომ ტაში დაეკრათ და პატრიოტული ალტაცებით ჩვენი აზროვნებისთვის თავი ექნიათ. ბატონებო, ეს არაა პოლიტიკა არც დღევანდელობისთვის, არც მომავლისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბრავო!

დიქტატორი. ისე გვსურდა აღგვეზარდა ახალი თაობა, რომ დედის რძის გარდა არ სცოდნოდა არაფერი ჭეშმარიტი და მარგარინზე დაგვემყარებინა მომავალი თაობების სიჯანსაღე. წაგვერთმია ხალხისთვის ყველაფერი, რაც ახარებდა, დაგვეპატარავებინა მისი კუჭი, გამოგვეფიტა ტვინი, თავში ჩვენი აზრების

გადმომცემი რეპროდუქტორი ჩაგვედგა და გვერწმუნა, რომ ეს მას უზომოდ მოსწონს. და ასე ბევრსაც მივაღწიეთ, კუჭგამხმარი ხალხი აღფრთოვანებისაგან კანკალებდა, როდესაც ჩვენს პროპაგანდულ სიტყვებს ისმენდა [illegible] დიადი მომავლის შესახებ. რატომ? რადგანაც მათ უკან მცველები იდგნენ, ხოლო მათ კი საკმაოდ ჰქონდათ მუცლები ამოყორილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდის მინისტრი: მხოლოდ მაგიტომ?

თავდაცვის მინისტრი. ხალხის რწმენას დასცინით.

ვაჭრობის მინისტრი. ეს თქვენი იდეოლოგიის მარცხია, ბელადო, რაღაც აბსურდია.

დიქტატორი. ბატონო მინისტრო, ჩემი ნათქვამი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება აბსურდი, თუკი ის, რასაც აქამდე ვაკეთებდით, ნორმალური იყო. ხალხი ხომ ჩვენ ისე გვიყურებდა, როგორც იპოქონდრიულ გიჟებს. საფრთხეს იქ ვხედავდით, სადაც არ იყო. მილიარდები შეიარაღებაზე მიდიოდა, იმას, რასაც კუჭს წავგლეჯდით, იარაღს ვახმარდით. ვარწმუნებდით მათ, რომ მთელ ქვეყნიერებას ვძულვართ და ასე ვასწავლიდით მთელი ქვეყნიერების სიძულვილს, რომელიც გაოგნებული ადევნებდა თვალს ჩვენი პოლიტიკის სიშმაგეს. არა, ბატონებო, აქ უკვე უნდა შევჩერებულიყავით.

პროპაგანდის მინისტრი. მაშ რა გნებავთ?

დიქტატორი. დღევანდელი დღე გაფრთხილება იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ დღესდღეობით არსებული რეჟიმისთვისაც. დაუბრუნეთ ხალხს ის, რაც წაართვით. ნუ ახრჩობთ ხალხის აწმყოს აბსტრაქტული მომავლისათვის. მიეცით ხალხს ის, რაზეც ოცნებობს. ბედნიერება და სიმშვიდე!

პროპაგანდის მინისტრი. რა სიმშვიდე?

ფინანსთა მინისტრი. ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ვაჭრობის მინისტრი. სიგიჟეს.

თავდაცვის მინისტრი, ზუსტი სიტყვაა, მეც ამის თქმას ვაპირებდი, კონკრეტულ პასუხს მოვითხოვ. როგორ უნდა გავიგოთ თქვენი დღევანდელი სიტყვა?

დიქტატორი. მშვიდობა გვინდა.

თავდაცვის მინისტრი. თითქოს ომი იყო! (**გადაიხარხარებს**).

დიქტატორი. ეხლა არა, მაგრამ მე მომავალს ვგულისხმობ. არ მინდა ხალხს ომის საშიშროება ემუქრებოდეს. ნათელი და სპეტაკი უნდა იყოს ის გზა, რომელიც მას მომავლისკენ წაიყვანს. დაე, მომავლის რწმენა დაუბრუნდეს მას, ხოლო ის კი მისი ოცნებებისა და ნების გამომხატველი იქნება: მშვიდობა!

თავდაცვის მინისტრი. სენტიმენტალური სიტყვის მცდელობა დღეს უკვე გქონდათ მიტინგის შემდეგ. მაგრამ მაინც ძალიან მოულოდნელად შეტრიალდა საქმე.

დიქტატორი. შესაძლოა. მაგრამ ახლა ჩემთვის მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რასაც ჩემი სინდისი მიბრძანებს.

თავდაცვის მინისტრი. თქვენი სინდისი ჩუმად იქნებოდა, იპოზიცია რომ არ ჩამოგეშორებინათ.

დიქტატორი. ჯერ არ დამიმთავრებია, ბატონო მინისტრო. რკინის ხელით განვახორციელებ ჩემს იდეას. ის კი ყველას შეეხება, ვინც წინ აღუდგება.

თავდაცვის მინისტრი. ჩემთან აპირებთ ასეთი ტონით ლაპარაკს?

ვაჭრობის მინისტრი. ვგონებ, ბელადო, რომ ძალზე ფანტასტიკური წარმოდგენა გაქვთ თქვენს ძალაზე.

დიქტატორი. (გაუკვირდება· დუმს). არა, მე არ ვცდები, ბატონებო. და არც ჩემს სიტყვებს წავიღებ უკან, იძულებულები იქნებით, ეს თქვენ გააკეთოთ.

ფინანსთა მინისტრი. იძულებულები?

დიქტატორი. გასაგებად გამოვთქვამ აზრს. მაშ, ვაგრძელებ. (უკვე დიქტატორივით ლაპარაკობს, შთაგონებით). ხვალიდან ლაფეტის საამქროები ერთი წლით დაიხურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის მინისტრი. როგორღა განხორციელდება შეიარაღების გეგმის დამთავრება?

დიქტატორი. კრახს განიცდის. მუშები სამუშაოდ გადავლენ გაუქმებულ რკინიგზებზე, რომლებსაც უკვე დიდი ხანია უნდა განეახლებინათ თავისი მუშაობა. ისევ შევქმნით ჩვენს მრეწველობას, ბატონო მინისტრო.

ფინანსთა მინისტრი. ფინანსები?

დიქტატორი. განისაზღვრება გადასახადი ქონებიდან. ის, ვისი ქონებაც ასი ათას ფრანკს აღემატება, ვალდებული იქნება პროცენტები იხადოს და ამით სახელმწიფოს მშენებლობას დაეხმაროს. ასეთნაირად წლიური მოგება გადასახადებიდან ხუთი მილიარდი ფრანკით გაიზრდება. ოღონდ, ჩემო ბატონებო, კარგი მაგალითი უნდა მისცეთ ხალხს· თქვენს მილიონებს შვეიცარული ბანკის სეიფებში ნუ შეინახავთ, რადგან არც თქვენ იქნებით გამონაკლისი.

შინაგან საქმეთა მინისტრი· კიდევ რას მოიცავს თქვენი გეგმა?

დიქტატორი. ავაშენებთ საავადმყოფოებს, ლაბორატორიებს, ქველმოქმედების დაწესებულებებს, პირველ რიგში კი ფაბრიკებს, ხოლო ყველა კერძო ფაბრიკა სახელმწიფოს ხელში გადავა. მათი მმართველები სახელმწიფო მოხელეები იქნებიან, მოგების ისეთივე წილით, როგორც მუშები.

თავდაცვის მინისტრი. ჯარი?

დიქტატორი. ჯერჯერობით დარჩება.

თავდაცვის მინისტრი. დარჩება? ნუთუ უკვე ისე შორს წავედით, რომ ჯარის აუცილებლობაში ეჭვი გვეპარება?

დიქტატორი. არა. დღეს ჯერ არა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ვნახავთ, იყო თუ არა სწორი ეს გზა, რომელსაც დღეს დავადექით. აღდგება პრესის თავისუფლება, დაე, ხალხის ყველა ფენა გამოცოცხლდეს (პროპაგანდის მინისტრი იცინის)· დაე, იცხოვროს ხალხმა ისე, როგორც მას სურს. და უკვე აღარ მივაჩერდებით მის კუჭს, მტკიცედ დარწმუნებულნი, რომ იქ მხოლოდ კონსერვებსა და წითელი ჭარხლის მარმალადს წავაწყდებით. დაე, იქცეს ადამიანი ისევ ადამიანად, — იყოს მოაზროვნე, მგრძნობიარე, თავისუფალი! დაუბრუნდეს სიმშვიდე და ბედნიერება — ყველაზე უმნიშვნელოსაც კი ჩვენს სახელმწიფოში. მე მოვრჩი, ბატონო მინისტრებო!

პროპაგანდის მინისტრი. ეს საკითხი უეჭველად განიხილება პარლამენტში, არა?

დიქტატორი. არა, ბატონო მინისტრებო, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მისცემს ხალხი ხმას იმას, რაც დღეს დავიწყეთ.

თავდაცვის მინისტრი. მაგრამ ეს ხომ...

დიქტატორი· დიქტატურაა, ძვირფასო მეგობარო, სრული ჭეშმარიტებაა.

ფინანსთა მინისტრი. თქვენს მიერ წამოყენებული ფინანსური გეგმა ნამდვილად ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშეა შედგენილი.

დიქტატორი. შესაძლებელია მისი განხორციელება?

ფინანსთა მინისტრი. ყველაფერი შესაძლებელია, თუკი მონდომება იქნება.

დიქტატორი. მაშ, მეც ეს მინდა! გაქვთ რაიმე შენიშვნები ჩემი გამოსვლის მიმართ?

თავდაცვის მინისტრი. ჩვენ? (გაიცინებს).

დიქტატორი. არაფერი, ჩემო ბატონებო? მაშ, მოვრჩით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის მინისტრი. მივიღებ რაიმე განმარტებას გენერალ ალონზოს ამბავთან დაკავშირებით?

დიქტატორი. აჰა, დიახ, რასაკვირველია. გენერალი ბოლო დროს ავადმყოფობს და ტროპიკული ჰავა უეჭველად უშველის. ამიტომაც გავაგზავნე ტანალიაში. მისი შემცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში გენერალი ტერენო გახლავთ.

თავდაცვის მინისტრი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ბრიყვები ვართ, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული სახეებით უსმინონ თქვენს წინადადებებს და განმარტებებს? და შეგიძლიათ გვათამაშოთ, როგორც გნებავთ?

დიქტატორი. ასე მიმაჩნია. ვთვლი, რომ თქვენ თოჯინები ხართ ჩემს ხელში. მე კი სპექტაკლს ვდგამ. ამბობთ იმას,რაც მე მსურს, ისე, როგორც მე მსურს. ხტუნაობთ, ტირით, იცინით ისე, როგორც მე მინდა.

ფინანსთა მინისტრი. ეს უდავოდ სიახლეა, ბელადო.

თავდაცვის მინისტრი. დღესვე მოვიწვევ გენერალთა თათბირს.

დიქტატორი. ღამე მშვიდობისა, ბატონებო. არ გაგიკვირდეთ, თქვენს პალტოებს თუ ვერ იპოვით, ამაღამ ჩემი სტუმრები ბრძანდებით და ეს მე საოცრად მახარებს (ზარს დარეკავს).

თავდაცვის მინისტრი. ჩვენს დაპატიმრებას აპირებთ?

დიქტატორი. სასახლეს არ დატოვებთ მანამდე, სანამ ხვალინდელი გაზეთები არ გამოაქვეყნებენ ჩემს რეფორმას იმ შენიშვნით, რომ მას აღფრთოვანებით ეთანხმება მინისტრთა საბჭო. კიდევ ერთხელ ღამე მშვიდობისა, ბატონებო.

IV ოფიცერი (კარებში გამოჩნდება. მინისტრები ერთმანეთის მიყოლებით გადიან.).

დიქტატორი (მათ გამყურებს. როდესაც უკანასკნელიც გავა, შეხედავს სურათს. გულხელს დაიკრეფს და თავაწეული შემყურებს).

ფარდა

## მეორე მოქმედება

### სურათი მესამე

 სცენა ისეთივე, როგორც მეორე სურათში.

#### გამოსვლა პირველი

მინისტრები: პროპაგანდის, შინაგან საქმეთა, ვაჭრობის, ფინანსთა, თავდაცვის. გენერალი ტერენო.

თავდაცვის მინისტრი. რა უსიამოვნოა ეს მოლოდინი.

პროპაგანდის მინისტრი. დეპუტაციებს იღებს.

ფინანსთა მინისტრი. ჩვენ ალბათ ბოლოსთვის შემოგვიტოვებს.

ვაჭრობის მინისტრი. ერთი წლის წინათ, როდესაც თავისი პროგრამა გაგვაცნო, დავცინოდით. მართლაცდა რკინის ხელით განახორციელა. ჩვენ ნამდვილი თოჯინები ვართ მის ხელში.

ბიბლიოთეკა

ტერენო. და თან რა სულელები, ხალხიც კი დაგვცინის.

თავდაცვის მინისტრი. გრძნობთ ამას არა, გენერალო?

ტერენო. მე ჯარისკაცი ვარ და ეს არასოდეს არ მავიწყდება.

თავდაცვის მინისტრი. მახარებს ეს, გენერალო. ხელს ჩამომართმევთ?

ტერენო. რა გნებავთ?

თავდაცვის მინისტრი. არმიის მომავლის უზრუნველყოფა.

ტერენო. თქვენად მიგულეთ **(ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს).**

ვაჭრობის მინისტრი. ვგონებ, აქ ოპოზიციას ეყრება საფუძველი.

თავდაცვის მინისტრი. თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ?

ვაჭრობის მინისტრი. მე არ შემიძლია დავეთანხმო მეოცნების გეგმას, რომელიც ორი ათასი წლით იმაზე ადრე დაიბადა, ვიდრე უნდა დაბადებულიყო.

თავდაცვის მინისტრი. სწორია, ბატონო მინისტრო, დანარჩენ ბატონებთანაც შემიძლია უკვე გულახდილი ვიყო. **(შინაგან საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი საუბრობენ, მათკენ მიდის).** ბატონო მინისტრო, თქვენ ისევ თქვენს ძველ თვალსაზრისზე დგახართ?

შინაგან საქმეთა მინისტრი. დიახ.

თავდაცვის მინისტრი. თქვენ ხომ პატრიოტი ბრძანდებით. უნდა ხედავდეთ, რომ ერის დაღუპვა ახლოვდება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს ფრაზებია! არ მსურს შავად დავინახო ის, რაც თეთრია. რეფორმამ უცხოეთის პატივისცემა იმიტომ დაგვიბრუნა, რომ ნამდვილი საქმე დაინახა. ეს იყო და არის ისტორიაში ყველაზე გაბედული ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობის შექმნისათვის.

თავდაცვის მინისტრი. თქვენ ბელადის აზრების შესანიშნავი რეპროდუქტორი ბრძანდებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ იდეების უკან ხალხი დგას და ამას თქვენ კენჭისყრის დროს დაინახავთ.

თავდაცვის მინისტრი. მე მგონი, ბატონო მინისტრო, თქვენ გულახდილი არა ხართ და გეშინიათ თქვენი პირადი მრწამსის გამჟღავნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. მე მძულს ყველა, ვისაც ადამიანთა სისხლის დაღვრა სურს ხალხის დიდებისათვის. და რაც ამ საკითხს შეეხება, ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა.

## გამოსვლა მეორე

**იგივენი, ალონზო, IV ოფიცერი**

IV ოფიცერი. გენერალი ალონზო!

**(წამოძახილები):** ალონზო! აქ რას აკეთებს? ეს ხომ შეუძლებელია.

ალონზო **(შემოვა).** მიხარია, ბატონებო, თქვენი დანახვა **(გარს შემოერტყმიან).**

თავდაცვის მინისტრი. ბელადის მოთხოვნის თანახმად გამოცხადდით?

ალონზო. მოვედი, რადგან საჭირო ვარ აქ. (ტერენოს) გენერალო, ბრძოლამ უნდა გაგვაერთიანოს. მინდა, რომ ჩვენ მეგობრები ვიყოთ.

ტერენო. შეგიძლიათ იქონიოთ ჩემი იმედი (ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ).

ალონზო. ბატონებო, იმიტომ ვარ აქ, რომ სამშობლო საფრთხეშია. ენერგიული ნაბიჯია საჭირო. თუ ზეგინდელი კენჭისყრა ისე განხორციელდება, როგორც აგიტატორების მიერ დაგეშილმა ხალხმა უნდა ჩაატაროს, მსოფლიოს წინაშე უიარაღოდ აღმოვჩნდებით ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში. მთელი ძალით წინ აღვუდგები ბელადის გეგმას, ჯარის მოსპობა არ შეიძლება.

ტერენო. გუშინ საყოველთაო განიარაღება განხორციელდა.

ალონზო. ჯარი?

თავდაცვის მინისტრი. ჯარიც განაიარაღეს.

ალონზო. ეგ როგორ დაუშვით? დედაკაცები ყოფილხართ.

თავდაცვის მინისტრი. რისი გაკეთება შეგვეძლო? გენერლები თოფების მუქარის ქვეშ იძლეოდნენ ბრძანებებს თავიანთ ჯარისკაცთა განსაიარაღებლად.

ალონზო. ასე... მაშ ყველაფერი დაკარგულია. სად არის იარაღი?

თავდაცვის მინისტრი. საიდუმლო სამალავში. ოღონდ არ ვიცით, სად.

ალონზო. უნდა გამოვიკვლიოთ.

თავდაცვის მინისტრი. ვერ დავადგინეთ ვერც ერთის ვინაობა, ვინც განაიარაღებას ეწეოდა. ვერც ერთი სახელი ვერ გამოვარკვიეთ, რომ ეს ჩვენი ძიების ამოსავალი წერტილი გამხდარიყო.

შინაგან საქმეთა მინისტრი (მათთან მივა). გენერალო, ტანალიაში წესრიგი დაამყარეთ, აქ რაღასთვის ჩამოხვედით, რევოლუციის მოსახდენად?

ალონზო (გაკვირვებული). რევოლუციის მოსახდენად? არა. პირიქით, ხელი მინდა შევუშალო. ბელადმა უარი უნდა თქვას თავის გეგმაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი. თუ არ დაგეთანხმდათ?

ალონზო. მაშინ რევოლუცია მოხდება. მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. გააღეთ ფანჯარა!

ალონზო. (გააღებს. ბრბოს ხმაური, ხალხის წამოძახილები: დღეგრძელობა ბელადს! დიდება მარადიულ მშვიდობას! გაბოროტებით მიხურავს ფანჯარას).

შინაგან საქმეთა მინისტრი. გესმით? აქ რევოლუცია არ მოხდება.

ალონზო. მაგრამ ტყუილუბრალო სისხლისღვრა იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი. უიარაღოდ? რატომ? იმიტომ, რომ სამ ბატონს არ მოსწონს ის, რაც ხალხს უნდა?

თავდაცვის მინისტრი. (აწყვეტინებს საუბარს). როგორი სიტუაციაა ტანალიაში?

ალონზო. ჯარის მიერ დამყარებული სიმშვიდე სუფევს.

პროპაგანდის მინისტრი. დახოცილებიც არიან?

ალონზო. კი, დახოცილებიც ბევრია.

შინაგან საქმეთა მინისტრი. რატომ?

ალონზო. ბელადის ბრძანების თანახმად.

პროპაგანდის მინისტრი. იქ სისხლისღვრა და აქ კი მარადიული მშვიდობა?

შინაგან საქმეთა მინისტრი. მართალს ამბობთ, გენერალო?

ფინანსთა მინისტრი. მაშ ეს იმის დაცინვაა, რასაც აქ აკეთებს.

ალონზო. ვშიშობ, რომ მართალი ბრძანდებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი. არა, არა, გენერალო, ეს სიცრუეა.

ალონზო. ბატონო მინისტრო!

შინაგან საქმეთა მინისტრი. ჩამოხვედით, რათა ბელად[illegible] ააშხედროთ აქაურობა. მაგრამ ის კი არ ვიცი, მომგებიანია თუ არა ბრძოლის ასეთი მეთოდი, ვისაც სხვისი ამოსვრა სურს ტალახში, თვითონაც დაისვრის ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალონზო. შეურაცხყოფაზე არ გპასუხობთ, ბატონო მინისტრო. მაგრამ როგორც გაიძარტება, ეს უნდა იკმაროთ **(ქაღალდს აწოიდებს)**.

პროპაგანდის მინისტრი. ეს რა არის?

ალონზო. ბელადის ბრძანება, რომელიც კურიერმა გადმომცა.

შინაგან საქმეთა მინისტრი **(კითხულობს)**. ყოველი საშუალების გამოყენებით უნდა იქნას ჩახშობილი. **(სახე შეეცვლება)**.

ფინანსთა მინისტრი. და იცით რატომ?

ვაჭრობის მინისტრი. აქ რომ არაფერმა დააბრკოლოს მისი გეგმის განხორციელება.

ტერინო. და ხელს აძლევს, რომ ცნობები ტანალიიდან მხოლოდ სამ დღეში ჩამოვა.

ფინანსთა მინისტრი. უფრო ადრეც რომ ჩამოაღწიონ ცნობებმა, სისხლის ღვრა ტანალიაში ჯარის მოშორების ახალი მიზეზი იქნება.

ალონზო. **(შინაგან საქმეთა მინისტრს)**. ბატონო მინისტრო, ხელს არ ჩამომართმევთ? ბოლოს და ბოლოს ჩვენ რაღაც ძალას წარმოვადგენთ, თუ ერთად ვიქნებით. თქვენ პატრიოტი ხართ და იგრძნობთ, რომ შეუძლებელია...

**გამოსვლა მესამე**

**იგივენი, დიქტატორი.**

დიქტატორი. **(ბოლო სიტყვების წარმოთქმისას კარებში გაჩერდება)**. რა არის [illegible]ული?

ალონზო. **(დუმს)**.

დიქტატორი. არ მივიღებ პასუხს?

ალონზო. ბელადო, ნება მომეცით აგიხსნათ, რატომ ვიმყოფები აქ.

დიქტატორი. არა! **(თავმჯდომარის მაგიდასთან მიდის)**. ბატონებო, მე მომახსენეს, რომ მოხვედით აქ ჩემთვის დაბადების დღის მოსალოცად. გსურთ ჩემთვის რაიმეს თქმა?

თავდაცვის მინისტრი **(წინ წამოვა)**. სიამოვნებით მოგილოცავთ თქვენი გეგმის განხორციელებას, მაგრამ არა გვსურს მხოლოდ ზრდილობიანი ჯენტლმენების როლში ვიყოთ. დიდი პატივისცემით ვაღიარებთ იმ იდეების სიდიადეს, რომლებიც თქვენ მიმდინარე წელს განახორციელეთ, ოღონდ გვაპატიეთ, რომ შიშით ვუყურებთ თქვენი გეგმის დასრულებას და სამშობლოს ინტერესების გათვალისწინებით გეკითხებით, აპირებთ თუ არა მუდმივი მშვიდობის იდეის განხორციელებას, თუკი ზეგინდელი კენჭისყრისას ხალხი თქვენს სურვილს დაეთანხმდება?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. დიახ, ბატონებო, და ამ საქმეში ვერანაირი დაბრკოლება ვერ შემაჩერებს.

ᲢᲔᲠᲔᲜᲝ. ამით ხალხს საყრდენსა და ძალას წაართმევთ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ხალხის ძალა და საყრდენი შემოქმედებით მუშაობაშია.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ესე იგი შეთანხმების მი[illegible]ლი ცდა ამაო იქნება?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. მე ვერ დამაბრკოლებს წვრილმანები, რომლებიც წარუმატებლობას მიწინასწარმეტყველებენ, რადგანაც ჩემი იდეის შედეგი ძალზე დიდია. მუდმივი მშვიდობის გეგმა ჩემი ხალხიდან მომდინარეობს და ჩემი ერი უჩვენებს მსოფლიოს ისეთ მაგალითს, რომელიც მიბაძვის ღირსი იქნება.

ᲢᲔᲠᲔᲜᲘᲝ. რა ელის ჯარს?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ამ შეკითხვას პასუხს მომდევნო დღეები გასცემენ. ხალხის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

IV ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ. (შემოვა და დიქტატორს წინ დაუდებს ქაღალდს. გავა).

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. სამწუხაროა, რომ სიტუაცია ტანალიაში თქვენს გეგმებს არ ეხმიანება, ბელადო.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. (კითხულობს). რატომ?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. ტანალიაში დიდი მღელვარება იყო.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. მაგიტომ ხართ აქ, გენერალო?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. მსურს პირადად მოგახსენოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება წარმატებით იქნა ჩახშობილი.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა, გენერალო. თქვენ აქ რევოლუციის მოსახდენად ჩამობრძანდით. ეს სწორედ შენიშნა ბატონმა შინაგან საქმეთა მინისტრმა (შეშფოთება).

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. მე?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. თქვენ, ნუ უარყოფთ, ეს ამაო არის. მომეცით ქაღალდი, რომელიც ცოტა ხნის წინ ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს აჩვენეთ.

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. საგანგებო აუდიენციაზე გადმოგცემთ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა. ახლავე მომეცით. (ცოტა ხანში) თქვენი განჩრეკა მოგიხდეთ? ნუ მაიძულებთ.

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ (ქაღალდს მისცემს).

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ (დახედავს). გენერალო, ეპოლეტები კარგად გაქვთ დაკერებული?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. არ მესმის.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ჩვენ ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. რატომ იყო ამხელა მსხვერპლი ტანალიაში აჯანყების ჩახშობისას?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. თქვენ უბრძანეთ ცეცხლი დაეშინათ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. ეს საჭირო იყო.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. დიახ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. და პირველი გასროლა ჰაერში?

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ (მერყეობს) დიახ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა, გენერალო, ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა აჯანყებულიყვნენ. ეგ თქვენ გჭირდებოდათ, რომ შემდეგ მათთვის სროლა შეგძლე-

ბოდათ, ჩემი სახელით დაგეღვარათ სისხლი და გეჩვენებინათ ხალხისთვის, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, სიცრუეა. ყველაფერზე ინფორმირებული ვარ, ბატონებო, მაგრამ ამ ქაღალდზე ყოველი სიტყვაა, რაც აქ იყო გამოთქმული ჩემს მოსაზრებამდე. არ მაწუხებს, რომ ამას ბრძოლის უპატიოსნო საშუალებად ჩამითვლით, მაგრამ მე მხოლოდ ასე შემიძლია გავიგო მართალი თქვენ შესახებ, რადგან ლაჩრები ხართ საიმისოდ, რომ პირში მითხრათ რამე (წასვლა უნდა).

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. შესაძლოა ეს საათი ჩვენი ერისთვის საბედისწერო გამოდგეს: ჩვენი გზები ერთმანეთს კვეთს. რატომ არ გსურთ მიმართოთ გამოსავალს, რომელიც ჩვენ დაგვაახლოვებდა?

ᲢᲔᲠᲔᲜᲝ. დღევანდელი ვითარება მაინც დატოვეთ. ჯარს ხომ თავისი მისიის შესრულება სახელმწიფოს მშენებლობაშიც შეუძლია. ოღონდ ჯარი ჯარად დარჩეს. სამყარო ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული თქვენი იდეისთვის, რარიგ ლამაზიც არ უნდა იყოს იგი.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ხალხს თავისუფლება და სამუშაო მივეცი. მშვიდობასაც მივცემ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ხალხი ყოველ კრიტიკულ მომენტში თავისი მოწინააღმდეგის წინაშე იკანკალებს. თუ მსოფლიო ჩვენი მაგალითისამებრ არ განიარაღდება, ჩვენს მტრებს ნებისმიერ წუთში შეეძლებათ ჩვენი განადგურება.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. თვალი ადევნეთ საზღვარგარეთის გაზეთებში სტატიებს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ჩემი იდეა. იცით, რომ მთელი მსოფლიო თანაგვიგრძნობს, ჩვენს მომავალში თავის მომავალს ხედავს.

ᲢᲔᲠᲔᲜᲝ. მაგრამ თანაგრძნობა ჩვენი მომავლის გარანტია ვერ იქნება.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ჩვენი სრული განიარაღება ევროპისათვის ულტიმატუმი იქნება და მე მჯერა, რომ იგი მას შეასრულებს.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. მაგრამ თუ მოტყუვდებით?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ბატონებო, არ გდებთ ბრალს იმაში, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოდიხართ. მე გებრძვით. დღეს უკვე იმდენად ძლიერი ვარ, რომ აშკარა ბრძოლაში შემიძლია ჩაბმა. თუ არჩევნებისას ხალხი დამარწმუნებს, რომ მცდარ გზაზე ვდგავარ, უკან დავიხევ. თუ არადა, ჩემი თვალსაზრისი მოგეხსენებათ. საჭიროა ჯარის ლიკვიდაცია, როგორც პირველი ნაბიჯი იმისა, რომ კაცობრიობა მსოფლიო მშვიდობას მიუახლოვდეს (გავა.ხიჩუმე).

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. მაშ რა, ბატონებო? (თითს ტუჩებზე მიიდებს. ხელს წინ გაიწვდის. დანარჩენები მის ხელისგულზე თავის ხელებს დებენ. ყველანი შინაგან საქმეთა მინისტრს უყურებენ).

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ (მათ წინ გაჩერდება). გაუმარჯოს ბელადს! (გავა).

### ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

სცენა იგივე, როგორც პირველ სურათში

### ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

I ოფიცერი, დიქტატორი, ალონზო.

I ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ (იცხადებს) გენერალი ალონზო (გავა).

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ (წერას აგრძელებს).

ალონზო (შემოდის და სამხედრო სალამს აძლევს).

დიქტატორი (არ პასუხობს).

ალონზო (ისევ მისცემს სალამს).

დიქტატორი. მოუთმენელი ბრძანდებით, გენერალო. მესმის თქვენი. ერთ საათში თქვენი მატარებელი გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალონზო. ეგ არ ვიცოდი.

დიქტატორი. სამაგიეროდ მე ვიცი. საღამოს თქვენი გემი მიემგზავრება. ტანალიაში დაბრუნდებით. მხარეში, სადაც ასეთი უნიჭო ფალსიფიკატორები ცხოვრობენ.

ალონზო. არ მესმის.

დიქტატორი. ისევ? გინდათ უარჰყოთ, რომ ჩემი პირადი ხელმოწერის ფალსიფიკაციას აკეთებდით? თუ თავის გამართლება გნებავთ?

ალონზო. არ შემიძლია გულახდილად ვილაპარაკო იქ, სადაც ყოველ ჩემს სიტყვას ჯაშუშები აღნუსხავენ.

დიქტატორი. მხოლოდ ეს გაწუხებთ? მოდით ახლოს. პირველ თაროზე, მარჯვნივ, ღილაკს იპოვით, დააჭირეთ მას თითი. ასე. მაშ, გთხოვთ, მიკროფონი უკვე გამოთიშეთ. შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

ალონზო. ვაღიარებ, რომ თქვენი ხელმოწერის ფალსიფიკაცია გავაკეთე.

დიქტატორი. მე ეგ არ მაინტერესებს. საბუთი ხელში მაქვს.

ალონზო. მაგრამ სულაც არ ვნანობ. კიდევ სხვა მრავალი სიმდაბლე და ვერაგობა უნდა ჩამედინა, რათა თქვენ ჯოჯოხეთში გამემგზავრებინეთ.

დიქტატორი. ეხლა უკვე საინტერესო ხდებით, გენერალო.

ალონზო. მე მარტო არა ვარ. ნახავთ, რომ მეც შემიძლია რაღაც. ტანალიაში არ დავბრუნდები. აქ დავრჩები, სანამ ჩემი სამშობლოს ბედი არ გადაწყდება. მიიღეთ ეს მხედველობაში.

დიქტატორი. თუ ერთ საათში არ გაემგზავრებით, უფრო სწორად ორმოცდაათ წუთში, დაგაპატიმრებთ.

ალონზო. არ მეშინია. სიცოცხლის გარდა ვერაფერს წამართმევთ. ხოლო ჩვენ, ჯარისკაცებს, სიკვდილისა არ გვეშინია.

დიქტატორი, განგებ ეძებთ შემთხვევას, რომ ამაში დარწმუნდეთ.

ალონზო. შეიძლება. რისთვის ვიცხოვრო, თუ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ, ემხობა.

დიქტატორი. მოვრჩეთ, გენერალო. ტყუილად ვკარგავთ დროს (დაჯდება).

ალონზო. კიდევ ერთი, გენერალთა საბჭო შემრიგებლურ წონასწორობას გვთავაზობს.

დიქტატორი. თაგვები წრუწუნებენ.

ალონზო. მოითხოვენ კანონის გამოცემას, რომელიც აკრძალავს ნებისმიერ რეფორმას სამხედრო სამინისტროს თანხმობის გარეშე.

დიქტატორი. ცოტა ხნის წინ წყალობას ითხოვდით. აბა უყურეთ, ეხლა კი უკვე მოითხოვთ. სასიამოვნოა. მეტი არაფერი?

ალონზო. არა.

დიქტატორი. მაშ სამხედრო დიქტატურა?

ალონზო. დიახ.

დიქტატორი. (გაიცინებს.)

ალონზო. მაშ არა?

დიქტატორი. კეთილი მგზავრობა, გენერალო.

ალონზო. როგორც გენებოთ.

დიქტატორი. ერთი წუთით, გენერალო. კარგი არ იქნებოდა, რომ დამე-პატიმრებინეთ. მაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ დღესვე გაემგზავრებით ბრაზი-ლიაში? (სიჩუმე). ეს უკვე სერიოზული თამაშია. ყოველი თქვენი სიყალბის სა-ბუთი მაქვს და ახლა გამახსენდა, რომ ცისფერი სალონის [illegible] გამორთეთ და არა ჩემი კაბინეტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალონზო. თქვენ სატანა ხართ.

დიქტატორი. ჰმ! მაშ როგორ?

ალონზო. გავემგზავრები (სალამს მისცემს. გავა).

გამოსვლა მესამე

II ოფიცერი, დიქტატორი.

II ოფიცერი. (შემოდის).

დიქტატორი. გენერალთა თათბირის შესახებ მომახსენე.

II ოფიცერი. ზუსტად ვერაფერი შევიტყვეთ. ვიცი მხოლოდ ის, რომ ოპოზიცია მზადდება. რამდენიმე ლაპარაკი მოვისმინეთ ტელეფონით.

დიქტატორი. მერე?

II ოფიცერი. შეხვდნენ სასტუმრო „პალასში". შეხვედრა უეჭველად დიდი ხნის დათქმული იყო. საიდუმლო გადამცემი აქვთ და კონტაქტში არიან ქალაქში არსებულ ყველა ყაზარმასთან.

დიქტატორი. ეგ არ უშველით. პოლიცია რას შვრება?

II ოფიცერი. განუწყვეტლად განაგრძობს მუშაობას. ხვალინდელი მი-ტინგისათვის საჭირო ყველა საგანგებო მატარებელი უკვე ჩამოდგა. როგორც ჩანს, ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია სრულიად ეთანხმება თქვენს იდე-ას.

დიქტატორი. მეგობარო, შესაძლოა ხელში მთელი სამყაროს ბედი გეჭირავს. გამიხარდებოდა, თუ ორ დღეში გენერლობას მოგილოცავდი.

II ოფიცერი. ბელადო, ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით.

დიქტატორი. ყურადღებით იყავი! თუ გენერლები ამალამ რაიმე მოქ-მედებას გადაწყვეტენ, სასწრაფოდ დააპატიმრეთ. ალონზოც, თუ არ გაემგზავ-რება. დაველოდები შენს ცნობებს ტელეფონით.

II ოფიცერი (სალამს მისცემს გადის.)

გამოსვლა მეხამე

დიქტატორი, I ოფიცერი.

I ოფიცერი (შემოვა). ბელადო, ერთი მანდილოსანი თქვენთან აუდიენ-ციას ითხოვს.

დიქტატორი. მანდილოსანი? აქ როგორ მოხვდა?

I ოფიცერი. ბელადო, იგი თქვენი ყოფილი მეუღლეა, რომელსაც გაე-ყარეთ.

დიქტატორი (გაშეშდება). არა, ეს შეუძლებელია, (ცდილობს თავშეკავებული იყოს). უთხარი, უთხარი მას, რომ დღეს არ შემიძლია მისი მიღება.

I ოფიცერი. მაგრამ ქალბატონი ძალიან ითხოვს, რომ მიიღოთ.

დიქტატორი. არა, არა, არა. წადი, ეს შეუძლებელია! არ გესმის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გამოსვლა მეოთხე**

იგივენი, მარია.

მარია (შემოვა). საღამო მშვიდობისა, ლუის.

I ოფიცერი (გადის.)

დიქტატორი (ჩუმად). საღამო მშვიდობისა.

მარია, ბრაზდებით, რომ მოვედი?

დიქტატორი, არა, რატომ?

მარია. არ არის სასიამოვნო, როდესაც უეცრად წარსულიდან აჩრდილი გამოგეცხადებათ.

დიქტატორი (არ პასუხობს)

მარია. ისე უცნაურად მიყურებთ და აქ ყველაფერი ისეთი უცნაურია. უცხო, ცივი, გამყინავი.

დიქტატორი. აქ არაფერი შეცვლილა.

მარია. არაფერი?

დიქტატორი. არაფერი.

მარია. მაგიდა ყოველთვის ამ ადგილას იდგა. სავარძლებიც აქ იყო. სიგარეტებიც მაგიდაზეა. ოღონდ ადამიანი, რომელიც აქ ცხოვრობდა, მბრძანებლობდა და განკარგულებებს იძლეოდა, სხვა იყო, სულ სხვა.

დიქტატორი, ამას რატომ ამბობთ?

მარია. ამ წელიწადმა სულ შეგცვალათ. თითქოს თქვენს სხვა, უცხო ნაკვთებს ვხედავ. დიახ, დიახ, ეს კვალი იმ ერთი წლის მკაცრმა და ქანცის გამწყვეტმა ბრძოლამ დაგამჩნიათ; ან.., არა, არა... მაპატიეთ.

დიქტატორი. არ მესმის თქვენი.

მარია. წუთით ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემ წინ სრულიად უცხო ადამიანი დგას. სრულიად უცხო.

დიქტატორი (გაიცინებს). საინტერესო აზრია. დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი;

მარია, დიახ. მაგიტომაც.

დიქტატორი. რა გნებავთ, ქალბატონო?

მარია. ქალაბატონო? ჩემი სახელი დაგავიწყდათ? თუ მისი წარმოთქმის უფლებასაც კი არ აძლევთ თავს?

დიქტატორი. მაპატიეთ ქალბატონო, მაგრამ...

მარია. ალბათ ასე სჯობს.

დიქტატორი. ჩვენი გაყრა ხომ კანონიერად მოხდა და ძალაშია.

მარია, გასაოცარი ხართ. ამდენი საქმისას პოულობთ დროს, რომ მიაქციოთ ყურადღება წვრილმანებს, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში ნამდვილად არავითარ როლს არ თამაშობენ.

დიქტატორი. ცდებით, ცდებით, ქალბატონო, რადგანაც...

მარია. რადგანაც? ეს ისევე გტკიოდათ, როგორც მე...

დიქტატორი. დავანებოთ ამას თავი, რა საჭიროა მაგაზე ლაპარაკი?

მარია. მაგრამ მე სწორედ მაგის გაგონებას ვისურვებდი

დიქტატორი. რა გნებავთ, ქალბატონო?

მარია. ესეც ასე. ვერ გრძნობთ, რომ ყოველი სიტყვით აღრმავებთ უფსკრულს ჩვენ შორის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატორი. ასე ჯობს, ქალბატონო.

მარია. მართალი ბრძანდებით. დიდხანს არ მოგაბეზრებთ თავს ოღონდ კიდევ ერთი რამ.

დიქტატორი. გთხოვთ! **(სავარძელზე მიუთითებს).** სიგარეტს ხომ არ ინებებთ?

მარია. ოდესღაც ერთ ადამიანს შევპირდი, რომ აღარ მოვწევდი. არ სიამოვნებდა.

დიქტატორი **(სანთებელას ჩააქრობს).** გმადლობთ.

მარია. დღეს ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩემთვის აღარ დაგირეკავთ, დაუნდობლად ძალზე დაუნდობლად გამომიცხადეთ, რომ მეტად აღარ გჭირდებით. მითხარით, რომ მე ხელს გიშლით და რომ გზის გაგრძელება მარტო გსურთ. იმ საღამოს ვერ ვაზროვნებდი. შეშლილივით დავრბოდი ოთახიდან ოთახში, ვეძებდი რისი ხელის ჩაჭიდებასაც შევძლებდი, რაღაცას, რაც შესძლებდა იმ საშინელი, უმოწყალო სიტყვების ახსნას...

დიქტატორი. ვიცი, რომ ამით დიდი ტკივილი მოგაყენეთ.

მარია. მხოლოდ ტკივილი? მას შემდეგ სიცოცხლე სულ ზედმეტი გახდა ჩემთვის, ისეთი სულელური და ზედმეტი. მე ხომ იმ რწმენამ გადამარჩინა, რომ მოვიდოდა დღე, რომელიც გვაჩუქებდა იმაზე მეტ დროს, ვიდრე ხანმოკლე საუბარი ტელეფონით იმის საბოლოო გაწყვეტაზე, რაც ჯერ კიდევ გვაკავშირებს, და რომ იმ დღეს შეგხედავდით თვალებში და ჩემი ცხოვრების აზრისათვის უსიცოცხლო აპარატთან კი არ ვიბრძოლებდი, არამედ ცოცხალ ადამიანთან.

დიქტატორი. მაგიტომ მობრძანდით?

მარია. ერთი რაღაცის სათქმელად მოვედი. ერთადერთი სიტყვისთვის. რადგანაც უკვე მაშინ რაღაცას ვგრძნობდი და თქვენთან საუბარმა ამაში დამარწმუნა. **(ადგება).** ადამიანი, რომელმაც დამირეკა, ჩემი მეუღლე არ იყო.

დიქტატორი. როგორ?

მარია. არა, არა. რადგანაც მას მე ვიცნობდი. მისი გული ჩემთვის ღია იყო, მას არ შეეძლო ჩემი მოტყუება. როდესაც მეხვეოდა, მკოცნიდა, ჩემი იყო, მთლიანად ჩემი. ჩემით ცხოვრობდა. მას არ შეეძლო ამის ჩადენა, რაც თქვენ ჩაიდინეთ. მე მას ვუყვარდი... ლუის, მე მაქვს უფლება თქვენგან განმარტება მოვითხოვო.

დიქტატორი. ქალბატონო, ასახსნელი არაფერი მაქვს.

მარია. რა საჭიროა ის იდუმალება, რომელშიც იმ დღიდან მოყოლებული იბურებით?

დიქტატორი. ეს იდუმალება არ არის.

მარია. ვიცი. ეს მსხვერპლია ხალხის მომავლისათვის. ასე იუწყებოდნენ გაზეთები. ამ სტატიებს თქვენ წერდით თუ პროპაგანდის მინისტრი?

დიქტატორი. რამდენადაც ვიცი, მათში არაფერი იყო შეურაცხმყოფელი, და ისინი საჭირო იყო.

მარია. საჭირო, რათა ხალხის წინაშე ახალი ბრწყინვით გექიაფათ. და მე?

ჩემზე არ ფიქრობდით? მხოლოდ თოჯინა ვიყავი, რომელიც ელემენტარულად წარსულის უჯრაში გადაიდო, რადგანაც ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, დიახ, ქალბატონო, ეს რაღაც იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, იმაზე დიდი, ვიდრე სიყვარული თქვენდამი ანდა ნებისმიერი სხვა ქალისადმი მქონდა.

ᲛᲐᲠᲘᲐ, მაშ თქვენ მე დაუფიქრებლად მომიშორეთ, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, დიახ, სწორედ ისე, როგორც თქვენ ბრძანებთ.

ᲛᲐᲠᲘᲐ, მაშ რაღატომ მატყუებდით? იმ იმედით ვცხოვრობდი, რომ ეს დროებითი გადაწყვეტილება იყო, რომ ფუჭად არ ველოდებოდი დღეებისა და თვეების მანძილზე ტელეფონის ზარს, ტყუილუბრალოდ არ ვიჯექი სახლში, როდესაც მეგონა, რომ თავისუფალი იყავით და შეიძლება მობრძანებულიყავით შინ, მოგენახულებინათ თქვენი წიგნები, თქვენი ოთახი, თქვენი ძაღლი... როგორ შეიძლება ქალი ასეთი სულელი იყოს..., არა, მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს ასეთი სულელი. სანამ ერთად ვიყავით, რამდენჯერაც მომიტინგეები ჩაივლიდნენ ჩვენს ფანჯრებთან წამოძახილით „დიდება ბელადს!" მეღიმებოდა, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემი იყავით. ეხლა კი სიამოვნებით გამოვაღებდი ფანჯრებს და დავუყვირებდი მათ: რაში მესაქმება თქვენი ბელადი, დამიბრუნეთ ჩემი ქმარი...

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(ტელეფონი რეკავს).** დიახ, დიახ, რა თქმა უნდა **(დაკიდებს ყურმილს).**

ᲛᲐᲠᲘᲐ. რა დროზე დარეკა ტელეფონმა, პასუხის გაცემას აგარიდათ. **(პაუზა),** ლუის, არასოდეს არ გიფიქრიათ ჩემზე? არასოდეს?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა, არასოდეს, ქალბატონო.

ᲛᲐᲠᲘᲐ. თქვენ მე უკვე აღარ გიყვარვართ?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა, ქალბატონო.

ᲛᲐᲠᲘᲐ. ეს სიცრუეა, სიცრუე! თვალებში მიყურეთ და ისე მითხარით ეს

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(შეტრიალდება. სიჩუმე).** თქვენი მეუღლე, ქალბატონო...

ᲛᲐᲠᲘᲐ. მოკვდა, ეს უკვე ვიცი.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(სწრაფად შემობრუნდება).** რა თქვით?

ᲛᲐᲠᲘᲐ. თქვენ მოჰკალით იგი!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(აღელვებულია).** არ მესმის თქვენი.

ᲛᲐᲠᲘᲐ, თქვენში მოჰკალით ის, ვისაც მე ვუყვარდი. უკვე ვიცი რომ უნდა წავიდე. აქ აღარავინა მყავს.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ცუდად ნუ იფიქრებთ ჩემზე, ქალბატონო.

ᲛᲐᲠᲘᲐ. არა, თქვენც ხომ მხოლოდ თოჯინა ხართ, ისევე, როგორც მე. ვიღაც თამაშობს ჩვენით, გვიყურებს და დაგვცინის. გვგონია, რომ ვტირით, რადგან გული გვტკივა, მაგრამ ეს მხოლოდ მას სურს ვიგრძნოთ, რომ მხოლოდ ადამიანები ვართ, თოჯინები, დამსხვრეული გულებით, რომლებიც არასოდეს, არასოდეს არ გაგვიმთელდება **(თავის ბეჭედს მოიხსნის).**

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა! დაიტოვეთ იგი, ქალბატონო,

ᲛᲐᲠᲘᲐ. რისთვის? მე კი ჩემი დამიბრუნეთ!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არ ვიცი, სად მაქვს.

ᲛᲐᲠᲘᲐ, ვხედავ, რომ არ ატარებთ. მართალი ხართ. მაგრამ მე ის მინდა.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(მტკიცედ).** უახლოეს დროში მიიღებთ მას, ქალბატონო!

მარია. ვიცი, მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა სათქმელადაც მოვედი აქ, სამუდამოდ თქვენთან დარჩება (**შეხედავს მას და გავა**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გამოსვლა მეხუთე

**დიქტატორი, I ოფიცერი**

I ოფიცერი (**შემოდის**).

დიქტატორი, კიდევ ვინმე იცდის?

I ოფიცერი. დეპუტაცია თქვენი სამშობლოდან, ბელადო.

დიქტატორი. რამდენნი არიან?

I ოფიცერი. მიღებას მხოლოდ მეთაური ითხოვს.

დიქტატორი. სხვა არავინ არ მელოდება?

I ოფიცერი. არა.

დიქტატორი. შემოიყვანე. (**ოფიცრის გასვლამდე**) მინონისაგან ხომ არ მოსულა რაიმე ცნობა?

I ოფიცერი. ჯერჯერობით არაფერი, ბელადო!

დიქტატორი (**თავს დაუქნევს**).

I ოფიცერი (**გავა.**)

### გამოსვლა მეექვსე

**დიქტატორი, ანარქისტი — დეპუტაციის მეთაური.**

ანარქისტი. (**შემოვა, შეჩერდება, სალამს მისცემს.**)

დიქტატორი. ახლოს მობრძანდით, მეგობარო!

ანარქისტი. ბელადო, თქვენი მშობლიური სოფლის მოკითხვას გადმოგცემთ.

დიქტატორი. გმადლობთ.

ანარქისტი. მშობლიური ბერეტო სალამს გიძღვნით!

დიქტატორი (**შეცხება**). ბერეტო? გეშლებათ, მეგობარო, მე ორიაში დავიბადე.

ანარქისტი. ხომ არ ცდებით, ბელადო?

დიქტატორი. ეს რა აზრები გებადებათ? ეს ხომ ყოველი სკოლის მოწაფისთვისაც კი ცნობილია...

ანარქისტი. მაპატიეთ, ბელადო, მაგრამ...

დიქტატორი. არ მესმის, რა გინდათ! აქ როგორ მოხვდით, გაქვთ ვინმეს სარეკომენდაციო ბარათი ან საბუთები?..

ანარქისტი. დიახ.

დიქტატორი. ბერეტოდან?

ანარქისტი. დიახ.

დიქტატორი. ხომ არ ინებებდით ახსნას, რატომ?

ანარქისტი. ბერეტოში ყველა დარწმუნებულია, რომ ვინმე გუილელმო მენოტი...

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, მენოტი? ეს ის ანარქისტი იყო, რომელიც თავდაცვისას მოვკალი.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. დიახ, ოღონდ ბერეტოში ხალხი ფიქრობს, რომ ის ანარქისტმა მოჰკლა ბელადი და მისი ადგილი დაიკავა,

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, სულელური აზრია **(იცინის).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, დიახ, ძალზე სულელური.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, მაშ, მეგობარო, როდესაც სახლში დაბრუნდებით, თქვენიანებს გადაეცით, რომ გულიელმო მენოტი დიდი ხანია მიწაში განისვენებს,

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. დიახ, ოღონდ ისაა საინტერესო, რომ არამარტო ხალხს, არამედ მის ცოლსაც და ვაჟიშვილსაც სჯერათ, რომ იგი ცოცხალია,

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(დუმს, მერე წამოხტება და ზარის დარეკვა უნდა).**

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, არა. შენ ამას არ იზამ, გულიელმო!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, მართალი ხარ, ჩამიჭირე,

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ესეც ასე. ფუი, ოფლმაც კი დამასხა. აქ რამე დასალევი ხომ არა გაქვს? დამეთანხმე, ასე უფრო კარგად ვილაპარაკებთ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ილაპარაკე! როგორაა ჩემი ვაჟი?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. იზრდება, მაგრადაა. კარგი ვაჟკაცი დადგება. სამწუხაროა, რომ არ შეგიძლია მისი ნახვა.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ჯანმრთელადაა?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, ბულასავითაა. რას ტირი, ავად რატომ უნდა იყოს?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ცოლი?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, ისიც კარგად არის.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ მიხსენებენ ხოლმე?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. როგორ არა, ყველას მკვდარი ჰგონიხარ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, შე ნაძირალავ!

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ასე სჯობია ბიჭო **(დაჯდება, სიგარეტს აიღებს, მოუკიდებს).** გაკვირვებული ხარ, არა?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, მოშორდი აქედან! რა გინდა?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. მინდა, რომ გამაგდო. ჰმ, კარგი სიგარეტი გაქვს, რაც მართალია, მართალია, ამიტომაც ვიხდით ასეთ მაღალ გადასახადებს, მისმინე, მაშინვე მიცანი, როგორც კი შემოვედი?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. რას მაწვალებ? მითხარი, რა გინდა და ჯანდაბამდე გზა გქონია!

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, ეს არც ისეთი ადვილი სათქმელია, ამისათვის მთელი წელი ვემზადებოდი! მთელი წელი! იმიტომ, რომ ვგრძნობდი, შენ ეს შესძელი, მხოლოდ მაშინ გავქრი, როდესაც შენი მეორე გასროლის ხმა გავიგე. საიდუმლო გასასვლელით გავიქეცი...

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, რისთვის მოხვედი?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. **(უახლოვდება).** ანგარიშის გასასწორებლად, მეგობარო,

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ჩემთან? მკვლელობისაკენ წამაქეზეთ, რევოლვერი მომაჩეჩეთ ხელში და მემუქრებოდით, რომ მომკლავდით, თუკი არ მოვკლავდი დიქტატორს. მოვკალი, გავაკეთე ეს, ახლა რაღა გინდა?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, მოიცა, შვილო! და მერე?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, რა მერე?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. შეასრულე ის, რასაც შენგან ჩვენი ორგანიზაცია მოითხოვდა?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. რამდენიმე შეშლილის და სულელის ოცნება, ანარქისტებო! თქვენ გინდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება! ხა! მაგრამ ამისთვის ჩემი ცხოვრება უნდა შემეწირა და სხვა ადამიანი მომეკლა. ჩემი ცხოვრება უნდა შემეწირა, სანამ თქვენ სახლებში თბილად ისხედით ბუხართან. არა, ბატონებო, ჩემი სიცოცხლის ფასად ვიყიდე ის, რაც მე მინდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. შენ ჩვენ მოგვატყუე; გვიღალატე...

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. რაღა გინდა? მოგიყვე იმის შესახებ, თუ როგორ მეცინებოდა, როდესაც თქვენზე ვფიქრობდი? როგორ ვხარხარებდი, როცა წარმოვიდგენდი, რომ დათქმულ ნიშანს ელოდებოდით. როგორ აქეზებდით იმ სულელებს, რომლებიც თქვენს ანკესზე წამოეგნენ, რომ ხალხისთვის უკეთესი მომავალი გინდოდათ. არა, ეს მე მინდოდა. და ამისთვის მოვამზადე კიდეც გზა.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ჯერ ბოლოში არ გასულხარ!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არა! მაგრამ ახლა მე ვერავინ გამაჩერებს. მხოლოდ ღმერთი, ღმერთს კი ის უნდა, რაც მე.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. აბა ჩვენ?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ძაღლებო! წუმპუნი და ყეფა იქაც შეგიძლიათ, სადაც ხართ, მაგრამ ჩემს წინააღმდეგ აღდგომა კი...

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, გგონია, ვერ გავბედავთ?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. გაგგლეჯ, შე!

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, კარგი, მაგრამ შენი ვაჟი...

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ჩემი შვილი აქ რა შუაშია?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. მოკვდება.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. (**დუმილი**). რა გინდა?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ანარქისტების სახელით მოვედი. გვიღალატე და ამისათვის პასუხს აგებ!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, პასუხს ვაგებ?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, მოკვდები, მიტინგზე, ხვალ. ასე გადაწყვიტა ვიწრო საბჭომ. მე ვაიძულე ისინი შენთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ, რადგანაც მარტო მე ვიცი შენი ღალატის ამბავი. მე თვითონ შევასრულებ განაჩენს!

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, წარმატებას გისურვებ. ახლა კი წადი. წადი!

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ოი, მეგობარო, ასე ადვილად თავიდან ვერ მომიშორებ. წერილობითი თანხმობა უნდა მომცე, რათა უფლება მქონდეს ხვალინდელ მიტინგზე შენს ახლოს ვიყო, პირველ რიგებში, წამომწყებთა შორის. სიტყვას მომცემ, რომ მანამდე არაფერი შემემთხვევა, სანამ არ მოგკლავ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ასე გძულვარ?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ, ასე მძულს მოღალატეები.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. თუკი ამაზე არ დაგთანხმდები?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. დაპატიმრებისას ყველაფერს ვიტყვი. საბუთები მაქვს.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. მაშინ მარტო მე არ დავიღუპები.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. როგორც გინდა! მაგრამ მაშინ შენი იდეა დაიღუპება. და მოკვდება გუილელმო მენოტი, ანარქისტი და მკვლელი და არა ხალხის საყვარელი წინამძღოლი. მსოფლიო სიცილით მოკვდება, როცა გაიგებს, რომ ერთ-ერთ უდიდეს ერს მთელი წლის მანძილზე ნაძირალა მართავდა.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. (**დაჯდება და წერს, ცოტა ხნის მერე**) რა გქვია?

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘ. ანტონიო კარნო! უკვე დაგავიწყდა?

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. მართლაც! ლამაზი სახელი გაქვს, აი, ინებე.

ანარქისტი (დაჯდება). გმადლობთ, მშვიდობით, გუილელმო.
დიქტატორი. მშვიდობით, ანტონიო, და კარგად დამიმიზნე!
ანარქისტი (გავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეშვიდე

დიქტატორი, I ოფიცერი

დიქტატორი (მხოლოდ ახლა დაეუფლება ღელვება. ტელეფონით რეკავს). შემაერთეთ პროპაგანდის მინისტრთან. კაბინეტიდან გავიდა? სად შეიძლება იყოს? (ცოტა ხანში). შინაგან საქმეთა მინისტრთან შემაერთეთ. ლაპარაკობს ბელადი, ძალიან გთხოვთ, მეგობარო. რაც შეიძლება სწრაფად მოხვიდეთ კაბინეტში. გმადლობთ (საქაღალდეებში იქექება. უცბად გაშეშდება). არა, არა, ეს შეუძლებელია!

ოფიცერი (შემოვა). ბელადო. ოფიცერი ვენტინი თავმდაბლად გთხოვთ მიღებას.

დიქტატორი (ძლივს). შემოვიდეს.
I ოფიცერი. (გავა).

გამოსვლა მერვე

დიქტატორი, მესამე ოფიცერი

III ოფიცერი (შემოვა, გაჩერდება, სალამს არ მისცემს.)
დიქტატორი, რა გინდა?
III ოფიცერი. მიკროფონის გამორთვა დაგავიწყდათ.
დიქტატორი. ვიცი, რა გინდა?
III ოფიცერი. თქვენ ანარქისტი გუილელმო მენოტი ხართ.
დიქტატორი. ბოლოს და ბოლოს მეტყვი თუ არა, რა გინდა?
III ოფიცერი. მე...

დიქტატორი. დაგეხმარები. ჩუმად ყოფნა გინდა. იმასაც მეტყვი, რა ფასად.

II ოფიცერი. მილიონი შვეიცარიული ფრანკი ლოზანის რომელიმე ბანკში.

დიქტატორი. ძალზე ბრძნული გადაწყვეტილებაა. გეთანხმები ოღონდ რით დამიმტკიცებ, რომ ამას არავინ გაიგებს?

III ოფიცერი. გადმოგცემთ შენიშვნებს, რომლებსაც მიკროფონის მოსმენისას ვაკეთებდი.

დიქტატორი. როგორ დამიმტკიცებ, რომ ამ ჩანაწერების პირები არ არსებობს?

III ოფიცერი. მაგის დრო არ იყო.
დიქტატორი. ეს უნდა ვიკმარო, როგორც საბუთი?
III ოფიცერი. უკეთესს ვერაფერს შემოგთავაზებთ.
დიქტატორი. სამწუხაროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ოფიცერი. რა ბრძანეთ?

დიქტატორი. სამწუხაროა, უფრო სწორედ, ეს საქმე მარტო მე არ მეხება, არამედ შენც.

III ოფიცერი. არა მგონია.

დიქტატორი. ფიქრობ, რომ შენზე სულელი ვარ. არა, მეგობარო, მაჩვენე ის ჩანაწერები!

III ოფიცერი. სანამ არ მექნება...

დიქტატორი. მოიტა აქ! (რევოლვერს მკერდზე მიაბჯენს).

III ოფიცერი (ქაღალდებს ამოიღებს).

დიქტატორი (ქაღალდებს გამოართმევს და სილას გააწნავს).

III ოფიცერი. იმისთვის...

დიქტატორი. ხმა გაიკმინდე! (ჩანაწერებს ათვალიერებს). ლაპარაკის მხოლოდ პირველი ნაწილია ჩაწერილი. მერე რას აკეთებდი?

III ოფიცერი. გენერალ ალონზოს დავურეკე.

დიქტატორი. რაო?

III ოფიცერი. რათა მოვეძებნე დღეს საღამოს, თვითონ თუ არ გამოვცხადდებოდი.

დიქტატორი. კარგად მოგიფიქრებია! მაგრამ გენერალმა ალონზომ მხოლოდ შენი გვამილა რომ იპოვოს? (იცინის.) მერე?

III ოფიცერი. თქვენ ამას არ იზამთ.

დიქტატორი. დარწმუნებული ხარ?

III ოფიცერი (აკანკალდება).

დიქტატორი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ცოლ-შვილი გყავს.

III ოფიცერი. რა ჩაიფიქრეთ?

დიქტატორი. უბრალოდ ვფიქრობ, რომ თუ მოინდომე, კიდევ მოახერხებდი მათ ნახვას...

III ოფიცერი. რა უყავით მათ?

დიქტატორი. არაფერი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მიკროფონი ჩართული იყო, ტელეფონით მათი დაპატიმრების ბრძანება გავეცი.

III ოფიცერი. გააუქმეთ თქვენი ბრძანება.

დიქტატორი. შეუძლებელია.

III ოფიცერი. გააუქმეთ, თორემ დერეფანში გავალ და ყველაფერს ვიტყვი...

დიქტატორი. დამიზნება კარგად ვიცი. დამშვიდდი.

III ოფიცერი. გააუქმეთ ბრძანება. ყველაფერს გავაკეთებ.

დიქტატორი. დაჯექი, აიღე ქაღალდი და წერე (აიღებს ქაღალდს). მე ქვემორე ხელის მომწერი, ჯუზეპე ვენტინი, ვაღიარებ, რომ შეგნებულად ვიმზადებდი მზაკვრულ ხრიკებს ბელადის, ლუის ალვარესის პიროვნების წინააღმდეგ... (დიქტატორის პორტრეტს შეხედავს.) წერე, — ლუის ალვარესის პიროვნების წინააღმდეგ და ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას ვცდილობდი ყველა შესაძლო საშუალებების გამოყენებით. ხელმოწერა... (მისკენ დაიხრება). საკმარისია.

III ოფიცერი. ეს ხომ სასიკვდილო განაჩენია!

დიქტატორი. არ იქნება, თუ ჭკვიანურად მოიქცევი. (დარეკავს).

III ოფიცერი. ვინ გამოიძახეთ?

დიქტატორი. ოფიცერი მერლინო, როგორც მოწმე, მოაწერს ხელს შენს განცხადებას.

I ოფიცერი (**შემოვა**).

დიქტატორი, ოფიცერო მერლინო, თქვენს მეგობარს ჩემი მოკვლა სურდა.

I ოფიცერი. ეს შეუძლებელია.

დიქტატორი. სამწუხაროდ, ასეა. ოღონდაც ამის განხორციელება ვერ მოახერხა. მისი დანაშაულის წერილობითი განაცხადი მაქვს, წაიკითხეთ იგი, ოფიცერო ვენტინი, მართალია ის, რაც აქ დაწერეთ?

III ოფიცერი, დიახ.

დიქტატორი. ხელი მოაწერეთ, როგორც მოწმემ.

I ოფიცერი (**ხელს აწერს**).

დიქტატორი. ოფიცერ ვენტინის სიკვდილით დასჯას არ მოვითხოვ, მაგრამ ახლავე უნდა იქნას დაპატიმრებული.

I ოფიცერი. როგორც თქვენ ბრძანებთ. (**გავა**).

III ოფიცერი. რა მელის მე?

დიქტატორი. თუ ჩუმად იქნები, ოდესმე იხილავ იმ ბანკს ლოზანაში. (**ტელეფონის ზარი**). მზადა ხართ? (**ყურმილს დაკიდებს, თავს დაუქნევს**). შეგიძლია წახვიდე.

III ოფიცერი (**გავა.**)

**გამოსვლა მეცხრე**

**შინაგან საქმეთა მინისტრი, დიქტატორი, I ოფიცერი.**

I ოფიცერი (**აცხადებს**). მიკროფონთან ოფიცერი ბერტინი დავაყენე.

დიქტატორი. კარგი,

I ოფიცერი, მაპატიეთ, ბელადო, ამას რომ გეკითხებით, მაგრამ რა ელის ვენტინის?

დიქტატორი. სამსახურიდან დათხოვა, ამაზე მსუბუქი სასჯელი მისთვის არ მეგულება, რატომ მეკითხები?

I ოფიცერი, ჩემი მეგობარია, ბელადო,

დიქტატორი. კარგად მოგეხსენებათ რომ სიკვდილით ჯერ არავინ დამისჯია,

I ოფიცერი. გმადლობთ, ბელადო. შინაგან საქმეთა მინისტრი გელოდებათ,

დიქტატორი. შემოვიდეს,

I ოფიცერი. (**გავა.**)

შინაგან საქმეთა მინისტრი (**შემოდის**).

დიქტატორი. საღამო მშვიდობისა, მეგობარო,

შინაგან საქმეთა მინისტრი, დიდება ბელადს!

დიქტატორი. გთხოვთ, დაბრძანდით.

შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც ვხედავ, კარგ ხასიათზე ბრძანდებით,

დიქტატორი. შესანიშნავზე,

შინაგან საქმეთა მინისტრი. უკვე მოგეხსენებათ, რომ ჯარმა იარაღი მიიღო?

დიქტატორი (**ტელეფონში**). მინიოს ჯერ არ დაურეკავს? არ არის მისგან

ცნობები? როგორც კი მოვა, მაშინვე ჩემთან გამოაგზავნეთ (ყურმილს დაკიდებს).

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბევრი არ ყოფილა, მაგრამ აჯანყების მოსაწყობად საკმარისია. არ იცოდით ეს?

დიქტატორი. ვიცი, ვიცი, მაგრამ...

შინაგან საქმეთა მინისტრი. ხასიათი წაგიხდათ. რისთვის იბრძოდით?

ბიბლიოთეკა

დიქტატორი. ხვალინდელი მიტინგის გადადება მინდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ბელადო...

დიქტატორი. სხვა გამოსავალი არ არის.

შინაგან საქმეთა მინისტრი. კაპიტულაცია? ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდით, გინდათ ტალახში გადაისროლოთ. იცოდეთ, ბელადო, რომ ეს ჩემთვისაც დიდი სირცხვილი იქნება. დაფიქრდით ამაზე.

დიქტატორი. არა, ეს უკვე გადაწყვეტილია.

შინაგან საქმეთა მინისტრი. რატომ?

დიქტატორი. არ შემიძლია გითხრათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ნერვებმა გიღალატეს?

დიქტატორი. მაქვს იმის საბუთი, რომ ხვალინდელ მიტინგზე მომკლავენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. მაშ საქმე თქვენს სიცოცხლეს ეხება?

დიქტატორი. დიახ, სიცოცხლეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი. უნდა იცოდეთ, რას უფრო დიდი ფასი აქვს, სიცოცხლეს თუ იდეის გამარჯვებას. დიახ, დიახ! აქ გრძნობები უნდა გამოირიცხოს. სასწორზე ადამიანის სიცოცხლე უნდა დაიდოს და არ უნდა იფიქროთ იმაზე, რომ იგი თქვენია. ხოლო მეორე თასზე კი ის უნდა დადოთ, რისთვისაც ცხოვრობდით.

დიქტატორი. რას ფიქრობთ ჩემზე?

შინაგან საქმეთა მინისტრი. ცხოვრებას მოწყდით. ასკეტი ბერის შთაბეჭდილებას სტოვებდით, რომელიც მზადაა თავისი თავი მსხვერპლად შეწიროს თავისი იდეების საკურთხეველს.

დიქტატორი. ეხლა კი ხვდებით, რომ ლაჩარი ვყოფილვარ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. არა, არა. რადგანაც იმ მიტინგს არ გადადებთ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ ელემენტარულად წინ უნდა იაროთ, თქვენ კი არა, იმ იდეამ თქვენში. ის გიბრძანებთ და მოგიწოდებთ ამისკენ, ის მიგაქროლებთ, როგორც ქარიშხალი. ეს ის წამია, როდესაც ქმნილება თავის შემქმნელს დაეუფლება და მას თავის თოჯინად აქცევს. ჩვენ ყველანი ხომ თოჯინების თეატრს ვთამაშობთ, სულერთია, გვინდა ეს თუ არა.

დიქტატორი. ყოყმანიც კი არ შემიძლია? ეს ხომ ისეთი ადამიანური და ბუნებრივია, ამისათვის ერთადერთი აზრის გაელვებაც საკმარისია.

შინაგან საქმეთა მინისტრი. თოჯინებს არა აქვთ ფიქრის უფლება. მხოლოდ თამაში და ცეკვა ძალუძთ. მაშ?

დიქტატორი. მაშ თამაშს ვაგრძელებთ, ბოლომდე! ტრაგედიები მთავარი გმირის სიკვდილით მთავრდება, არა?

შინაგან საქმეთა მინისტრი (**გაიღიმებს**). ოღონდ მთავარ გმირამდე იგივე ბედი შეიძლება მეორეხარისხოვან პერსონაჟებსაც ეწიოთ, მაგალითად, მათ თანამოაზრეებს

დიქტატორი. გიყვართ შექსპირი?

შინაგან საქმეთა მინისტრი. სიგიჟემდე, ბელადო, შექსპირი ჩემი ძველი საყვარელია.

დიქტატორი. იქნებ ოდესმე მოგვეცეს დრო მასზე სალაპარაკოდ.

შინაგან საქმეთა მინისტრი. იქნებ.

დიქტატორი. ნახვამდის, მეგობარო.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ნახვამდის (**გავა**)

**I ოფიცერი, II ოფიცერი, დიქტატორი**

I ოფიცერი. მინონი გეახლათ, ბელადო,

დიქტატორი. შემოუშვით (**I ოფიცერი გავა**).

II ოფიცერი. (**შემოდის**).

დიქტატორი. მაშ რა?

II ოფიცერი. გენერალი ალონზო გაიქცა.

დიქტატორი. ასე... გაიქცა. დუგახრჩობ, შე...

II ოფიცერი. ჯარი მოულოდნელად თავს დაგვესხა. მოკლეს მცველები, რომლებსაც გენერლის წაყვანა ევალებოდათ.

დიქტატორი. სისხლი, სისხლი... ო, წყეული! სად არის ალონზო?

II ოფიცერი. არ ვიცი, გვაპატიეთ, ბელადო, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო.

დიქტატორი. მჯერა, მჯერა. მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს! კარგი! ისე წესრიგია?

II ოფიცერი. ქალაქში ყველგან. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალინდელ მიტინგამდე გენერლები ხელისუფლებას ვერ ჩაიგდებენ ხელში.

დიქტატორი. შენი იმედით ვარ.

II ოფიცერი. ეს ჩემთვის საკმარისია, ბელადო, შეიძლება წავიდე?

I ოფიცერი (**შემოვარდება**). ბელადო! შინაგან საქმეთა მინისტრს თავისავე მანქანაში თავს დაესხნენ!

დიქტატორი. მერე? (**გაშეშდება. დუმილის შემდეგ**). მოკვდა?

I ოფიცერი. მოკლეს.

დიქტატორი. მაგრამ... მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი იყო. მხოლოდ და მხოლოდ. მთავარი გმირი თამაშს განაგრძობს, განაგრძობს ბოლომდე.

ფარდა

## მესამე მოქმედება

### სურათი მეხუთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა იგივე, როგორიც მეორე და მესამე სცენაში.

### გამოსვლა პირველი

ალონზო, I ოფიცერი

ალონზო. აქ არავინ არის?

I ოფიცერი. ბატონი მინისტრები ჯერ არ მოსულან.

ალონზო. ბელადი?

I ოფიცერი. დეპუტაციებს იღებს.

ალონზო. შეიძლება დავრეკო?

I ოფიცერი (არ პასუხობს.)

ალონზო. რატომ არ მპასუხობ?

I ოფიცერი. არ ვიცი, თუ მაქვს თქმის უფლება...

ალონზო. როგორც გინდა!

I ოფიცერი. ელექტრო და სატელეფონო ქსელის ხაზები დაზიანებულია. მიზეზი კი მიკვლეული არ არის.

ალონზო (გაიცინებს). იცის ბელადმა, რომ აქა ვარ?

I ოფიცერი. არა, გენერალო. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი დაპატიმრება მომიწევდა.

ალონზო. მაშინ რატომ არ მაპატიმრებ?

I ოფიცერი. გენერალო, მყავს მეგობარი, დაცვის ოფიცერი. იგი გუშინ დააპატიმრეს ბელადის წინააღმდეგ მოწყობილი ვერაგული ხრიკების გამო.

ალონზო. რა ჰქვია?

I ოფიცერი. ჯუზეპე ვენტინი.

ალონზო. სად არის?

I ოფიცერი. გენერალო, თამაშში მეც შემოვდივარ.

ალონზო. სად არის?

I ოფიცერი. აქ, სასახლეში. თქვენთან უნდა ლაპარაკი.

ალონზო. საით მიდის ეს გასასვლელი? (მარცხნივ მიუთითებს).

I ოფიცერი. უკანა კიბისკენ.

ალონზო. მაშ მოიყვანე, სწრაფად.

I ოფიცერი. მაგრამ...

ალონზო. ნუ ბუზღუნებ! წადი და აქ არავინ არ შემოუშვა!

I ოფიცერი (გავა.)

### გამოსვლა მეორე

**ალონზო, I და III ოფიცრები.**

III ოფიცერი (**ფრთხილად შემოსრიალდება**). გენერალის [illegible] ოფიცერი ჟუზეპე ვენტინი გამოცხადდა.

ბიბლიოთეკა

ალონზო. შენ დამირეკე გუშინ?

III ოფიცერი. დიახ, გენერალო.

ალონზო. აბა გისმენ, თქვი!

III ოფიცერი, გუშინ ბელადს თავისი მიკროფონის გამორთვა დაავიწყდა. მისი ორი კერძო საუბარი მოვისმინე:

ალონზო. რა გაიგე?

III ოფიცერი. ერთი წლის წინ მოწყობილი თავდასხმისას დაღუპული არა ანარქისტი, არამედ ლუის ალვარესი.

ალონზო. გაგიჟდი?

III ოფიცერი. მე იმიტომ დამაპატიმრა, ...ილოდა, ეს რომ გავიგე.

I ოფიცერი (**შემოვა**). ფრთხილად! (**გავა**).

ალონზო. გამომყევი! (**მარცხნივ წავლენ**).

### გამოსვლა მესამე

**პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები, ალონზო.**

პროპაგანდის მინისტრი. (**პირველი შემოდის, მას დანარჩენები მოჰყვებიან. ყველანი შეცვლილები, შეშინებულები არიან**): ეს საშინელებაა.

ვაჭრობის მინისტრი. ალონზოს ნახელავს ჰგავს. არ მინდა ამის დაჯერება.

ფინანსთა მინისტრი. სავსებით შესაძლებელია.

ვაჭრობის მინისტრი. საიდუმლო სამალავთა გეგმის მოპოვება უნდოდა.

პროპაგანდის მინისტრი, საცოდავი ქამინო. თავისი უკომპრომისობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ფინანსთა მინისტრი. გუშინ დიდი შეცდომა დავუშვით. არ უნდა დამორჩილებულიყავით ალონზოს. ეხლა უკვე თავს ველარ დავაღწევთ მის ძალას.

ვაჭრობის მინისტრი. არა, ეს საბედისწერო შეცდომა იქნებოდა.

ფინანსთა მინისტრი. პირველი თუ მეორე?

ვაჭრობის მინისტრი. სწორედ მაგაზე ვფიქრობ, უეჭველად უარს ვიტყვი სავარძელზე, თუ ალონზო გაიმარჯვებს.

პროპაგანდის მინისტრი. რატომ?

ვაჭრობის მინისტრი. რატომ? მთელი სამყარო ჩვენ წინაალმდეგ ალდგება. შეკვეთები უცხოეთიდან მინიმუმამდე შეიზღუდება, ჩვენი მრეწველობა ვაჭრობასთან ერთად ჩიხში მოექცევა. თანდათან მწყობრიდან გამოვა ყველა ფაბრიკა, რომელიც გამოვაცოცხლეთ...

ფინანსთა მინისტრი (**დაამატებს**). იქნება რამდენიმე კრახი ბირჟაზე,

ჩვენი ფრანკი გაუფასურდება, მთელი ევროპის ნდობას დავკარგავთ, სესხს ვერავისგან მივიღებთ... აჰ, დავანებოთ მაგას თავი. ნამდვილად თქვენ მოგბაძავთ, ძვირფასო მეგობარო, თუკი...

ვაჭრობის მინისტრი. თუკი ამას თქვენი მეუღლე არ აგიკრძალავთ.

ფინანსთა მინისტრი. რაებს ლაპარაკობთ. ნუთუ ხუმრობის ხასიათზე ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდის მინისტრი. ქალაქში ხმები დადის, რომ ალონზომ ძალიან გაიმტკიცა პოზიციები.

ვაჭრობის მინისტრი. ლაფეტის საწარმოები დაეხმარნენ, უმაგისოდ გაკოტრდებოდნენ. და ხელოვნური ცხიმებისა და სურსათის მწარმოებელი კონცერნის ფაბრიკები, რომლებიც არ გადაეცა სახელმწიფოს.

ფინანსთა მინისტრი. ბუნებრივია, პატრიოტული შემართებით და ხალხის დიდებაზე ზრუნვით,

ვაჭრობის მინისტრი. და მომავალი ომის შემდეგ საიმედო მომმარაგებლის პერსპექტივით.

პროპაგანდის მინისტრი. რისი გაკეთება შეგვეძლო? ალონზოს წინააღმდეგ ავმხედრებულიყავით? მაშინ ბელადის ხელში თოჯინებად დავრჩებოდით.

ფინანსთა მინისტრი. ჯერ არ იცნობთ ალონზოს სიმხეცეს? არაფერი უკეთესის იმედს არ გვპირდება. იმას, რასაც ბელადი აკეთებდა, დახვეწილობა და საზრიანობა მაინც ჰქონდა. მაგრამ ეს, ეს...

ალონზო (შემოვა). საღამო მშვიდობისა, ბატონებო. გულითადად მოგესალმებით.

პროპაგანდის მინისტრი. გამარჯობათ.

ფინანსთა მინისტრი. ნება მომეცით კითხვა დაგისვათ, გენერალო, ვინ მოჰკლა მინისტრი ქამინა?

ალონზო. მე მეკითხებით ბატონო მინისტრო?

ფინანსთა მინისტრი. თქვენ არ მყავხართ მხედველობაში, მაგრამ მოხარული ვიქნებოდი, რომ არ იყოს მართალი ის, რასაც ლაპარაკობენ.

ალონზო. ამას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. ბოლოს და ბოლოს თქვენ გაიცნობთ იმ ადამიანს. გენერალი გახდება.

ფინანსთა მინისტრი. ეს ხომ აღიარებაა?

ალონზო. მერე რა? არ მოგწონთ, ბატონებო?

ფინანსთა მინისტრი. როგორ არა! უზომოდ მოგვწონს, გპირდებით, რომ მოთმინებით დაველოდებით იმ წუთს, როდესაც ჩვენც იგივე ბედი გვეწევა.

ალონზო (იცინის). ეხლაღა მივხვდი ყველაფერს. ლაპარაკობთ დარწმუნებული, რომ ჩვენს საუბარს ბელადი ისმენს. მიკროფონები კი გამორთულია, ხაზი დაზიანებული. შეგიძლიათ სრულიად თამამად თქვათ, რასაც ფიქრობთ.

ფინანსთა მინისტრი. მხოლოდ ამის თქმა გვსურდა, გენერალო, კომედიას არ ვთამაშობთ, გვისმინოს ვისაც უნდა.

ალონზო. მაშინ თქვენ სიტუაციის მნიშვნელობა ვერ შეგიფასებიათ. სახელმწიფო გადატრიალება ახლოვდება. ორი პარტია იბრძვის ხელისუფლებისათვის. ორივე გამოიყენებს ყოველნაირ შესაძლებლობას, რათა ძალაუფლება მოიპოვოს და ჩამოიშოროს თავისი მოწინააღმდეგეები. თქვენ მე მომეხმარეთ, ულაპარაკოდ უნდა დაეხმაროთ იმას, რასაც ვაკეთებ. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩემთან ერთად დგახართ და ჩემთან ერთად დაეცემით.

### გამოსვლა მეოთხე

იგივენი, I ოფიცერი.

I ოფიცერი (შემოვა). გენერალო, მოვედი, რათა შევიტყო ოფიცერ ვენტინისათვის გამოტანილი განაჩენი.

ალონზო. ახ, ვენტინი! ძალიან ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ ვენტინი დაუყოვნებლივ უნდა იქნას დახვრეტილი.

I ოფიცერი. ეს თქვენი ბრძანებაა?

ალონზო. არა, ბელადის.

I ოფიცერი. ბელადი განაჩენს არ გააუქმებს?

ალონზო. სამწუხაროდ არა. მის სიკვდილს მოითხოვს.

I ოფიცერი. ვეცდები ვთხოვო.

ალონზო. ვერაფერს მიაღწევ, მეც უარი მითხრა.

I ოფიცერი. პირადად თქვენთვის მინდა რაღაცის თქმა, გენერალო.

ალონზო. ჩემთვის?

I ოფიცერი (იგრძნობა, რომ მნიშვნელოვან საქმეს წყვეტს). დიახ.

ალონზო. კარგი. წამო! (გავლენ მარცხენა გასასვლელიდან).

### გამოსვლა მეხუთე

პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები.

ფინანსთა მინისტრი. ასეთი ხერხით იმხრობს ალონზო თანამოაზრეებს.

პროპაგანდის მინისტრი. განა ბრძანება წინამძღოლის გაცემული არ არის?

ფინანსთა მინისტრი. ბოლო წუთებში სახელს არ დაისვრის სიკვდილის უაზრო განაჩენით.

პროპაგანდის მინისტრი. რა ვილონოთ?

ვაჭრობის მინისტრი. ის, რაც ასეთ სიტუაციაში ჭკვიანურია. ჩუმად ვიყოთ და ვიცადოთ.

### გამოსვლა მეექვსე

იგივენი, თავდაცვის მინისტრი, ალონზო.

თავდაცვის მინისტრი. (შემოვა). სად არის ალონზო?

პროპაგანდის მინისტრი. ეს წუთია გავიდა.

თავდაცვის მინისტრი. ბელადს უკვე ელაპარაკა?

ვაჭრობის მინისტრი. არა.

ფინანსთა მინისტრი. ნამდვილად ეშინია მისი.

თავდაცვის მინისტრი. ალონზოს? ჰაჰაჰა.. შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა დღეს ალონზოს საიდუმლო სამალავების გეგმა გადმოსცა. მთელი კონფისკერებული იარაღი ხელში გვაქვს და კიდევ ალონზოს უნდა ეშინოდეს?

პროპაგანდის მინისტრი. სად არის გენერალი ტერენო?

თავდაცვის მინისტრი. თავის ჯარისკაცებთან ერთად უახლოესი საიდუმლო სამალავისკენ წავიდა. როგორც იარაღი ჩამოვა, ქალაქი ჩვენს ხელში იქნება.

პროპაგანდის მინისტრი. თუკი გვიან არ იქნება.

ალონზო (შემოდის).

თავდაცვის მინისტრი. რა ხდება?

ალონზო. ყველაფერი წესრიგშია. გარეუბანში წამომწყებთა ასეული დავაკავეთ, საიდანღაც სამხრეთიდან. მათ ჩამოვართვით უნიფორმები. ჯარისთვის ბელადის მიმდევართა ტანისამოსში ჩვენი ხალხი იქნება, რომლებიც კრიტიკულ მომენტში ჩაერევიან.

პროპაგანდის მინისტრი. გენიალურია...

ფინანსთა მინისტრი. როდის?

ალონზო. მე თვითონ მივცემ ნიშანს. მიკროფონში დავიძახებ — დიდება ბელადს.

ფინანსთა მინისტრი. თუ დაცვამ და პოლიციამ გაჯობათ?

ალონზო. ნუ გავიწყდებათ მისი პრინციპები. მას სისხლი არ უნდა. მისი ხალხი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევა.

თავდაცვის მინისტრი. თხუთმეტი წუთიღა დაგვრჩა. ცოტა ხნის წინ გამოსცეს ბრძანება, რომ ბელადი გარეთ კი არ გამოვა სიტყვით, არამედ სასახლის ეზოში.

ალონზო. რატომ?

პროპაგანდის მინისტრი. თავდასხმის ეშინია.

ვაჭრობის მინისტრი. შესაძლოა.

ფინანსთა მინისტრი. ეზოში კი მხოლოდ ჩვენ და მისი ამალა ვიქნებით. ჩვენი მხრიდან ნამდვილად არ იქნება მკვლელობის მცდელობა.

თავდაცვის მინისტრი. ბატონო მინისტრო, მე არ მსურს მკვლელთა ბანდის წევრი ვიყო.

ალონზო. ნუ ბრაზდებით, ბატონო მინისტრო. მიზეზი არა გვაქვს ნახსენებ გამოსავალს მივმართოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ბელადი ყველა ჩვენს პირობას მიიღებს.

## გამოსვლა მეშვიდე

**იგივენი, დიქტატორი, I, და II ოფიცრები.**

დიქტატორი (შემოდის). სალამი, ბატონებო.

მინისტრები (თავს დაუკრავენ.)

დიქტატორი (ალონზოს). აქ რას აკეთებთ, გენერალო?

ალონზო. თქვენ ეს ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც მე.

დიქტატორი. რატომ არ გაემგზავრეთ?

ალონზო. არ მინდოდა.

დიქტატორი. ჩემი ხელმოწერის ფალსიფიკაციას აკეთებთ, მიმართავთ უბინძურეს საშუალებებს, ხოცავთ ხალხს, რომლებიც არ გაწყობთ, სიბინძურესა და სისხლში ხართ ამოსვრილი. უკვე კმარა. თქვენთვის ჩამოხრჩობაც კი ცოტაა, უვარგისო, ნაძირალავ...

ალონზო. (ხმალს იშიშვლებს).

დიქტატორი. დაცვის ოფიცრებო!

I და II ოფიცრები (შემოვლენ).

დიქტატორი, განაიარაღეთ!

ალონზო (ხმალს გადაუგდებს მათ).

დიქტატორი, აგლიჯეთ ეპოლეტები.

ალონზო. ფრთხილად! ხმალი თქვენი იყო, მისი ტარება არ მსურს და არც ვატარებ, მაგრამ ეპოლეტები სხვამ მიბოძა...

დიქტატორი. აგლიჯეთ ეპოლეტები! (ოფიცრები არ იძვრიან). ლაჩრებო, გეშინიათ? (არც მაშინ იძვრიან ადგილიდან). გაეთრიეთ!

I და II ოფიცრები (გავლენ).

დიქტატორი (დუმილის შემდეგ). გენერალთან მარტო მინდა დარჩენა.

მინისტრები (გავლენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მერვე

დიქტატორი, ალონზო.

დიქტატორი, რა საფასურს ითხოვთ, რომ უარი თქვათ თქვენს გეგმაზე?

ალონზო. მე შეთანხმებას არ ვაპირებ.

დიქტატორი. ფული გინდათ?

ალონზო (არ პასუხობს).

დიქტატორი. საწყენია.

ალონზო. თქვენთვის თუ ჩემთვის?

დიქტატორი. ამ გამოცანის გამოცნობა ძალიან ადვილია.

ალონზო. დარწმუნებული ხართ, რომ ამ სიტუაციის ბატონი ბრძანდებით?

დიქტატორი. ასი პროცენტით.

ალონზო. მაშ რატომ გინდათ შეთანხმების მიღწევა?

დიქტატორი. საქმე ჩემს იდეას ეხება.

ალონზო. ის მაინც ხომ იცით, რომ იგი ისეთივე მიუღებელია ჩემთვის, როგორც თქვენ.

დიქტატორი. და მაინც ვცადე შეთანხმების მიღწევა, არ მინდა სისხლი დაიღვაროს.

ალონზო. ეგ არ მოხერხდება.

დიქტატორი. არ უნდა დამეპატიმრებინეთ.

ალონზო. რატომ დამაპატიმრეთ?

დიქტატორი. შეცდომა დავუშვი. მაპატიეთ.

ალონზო. ახლა რატომ არ მაპატიმრებთ?

დიქტატორი. ახლა?

ალონზო. დიახ, ახლა!

დიქტატორი. ვთქვი, რომ ეს შეცდომა იყო, შეცდომა კი ისაა, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლება.

ალონზო. არ მიგაჩნიათ, რომ ადგილები უნდა გავცვალოთ და მე ავიღო ხელში დიქტატი?

დიქტატორი. გაქვთ ორი ათასი თოფი, ოთხმოცი ტყვიამფრქვევი, ათიც მძიმე ტყვიამფრქვევი. საარტილერიო ტყვიები სრულებით არ გაგაჩნიათ, საბრძოლო მასალაც — ძალიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ ის, რაც ერთი წლის წინ დაუტოვეს ლაფეტის საამქროებს, როგორც საქონელი, რომელიც უცხოეთმა შეიძინა.

ეროვნული

ალონზო. კარგადა ხართ ინფორმირებული.

დიქტატორი. სულ ტყუილად მოჰკალით შინაგან საქმეთა მინისტრს საიდუმლო სამალავების გეგმას მასთან ვერ იპოვით.

ალონზო, დღეს დილით მე ისინი მისმა მდივანმა ჩამაბარა.

დიქტატორი. დღეს დილით ყველა საიდუმლო სამალავის გეგმა გავანადგურე.

ალონზო. ეს არ არის მართალი.

დიქტატორი. როგორ არა, გენერალო.

ალონზო. ამას ნორმალური ადამიანი არ ჩაიდენდა. გაგიჟდით? ხალხი მეზობლების ანაბარა დატოვეთ იარაღისა და თავდაცვის გარეშე...

დიქტატორი. კმარა! ხალხზე არ ვწუხვარ. მხოლოდ მაშინ შევშინდებოდი, ყოველ მათგანს ხელში იარაღი რომ ეჭიროს და მათ თქვენ ედგეთ სათავეში.

ალონზო (დუმს).

დიქტატორი, მე მგონი დროა, გონივრულად დავიწყოთ საუბარი.

ალონზო. ჩანს, სხვა გამოსავალი არ არის.

დიქტატორი. გთხოვთ.

ალონზო. ცოტა ხანში საზეიმო მიტინგზე გამოხვალთ სიტყვით. ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იქნება ალაფრთოვანოთ ხალხი მარადი მშვიდობის იდეით, მაგრამ ეტყვით, რომ ცდებით, სცნობთ ამას და გინდათ, რომ ერის გზა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული თქვენი იდეისთვის.

დიქტატორი. ამას სერიოზულად ფიქრობთ?

ალონზო. სრულიად სერიოზულად.

დიქტატორი. ბრიყვო!

ალონზო. ფრთხილად! აქამდე ძალებს ვსინჯავდით, ეხლა კი ბრძოლის დრო დგება!

დიქტატორი, მაშ ვიბრძოლებთ.

ალონზო. ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვაა?

დიქტატორი. ამაში ეჭვი გეპარებათ? მაშ მშვიდად გავანადგურო ის, რაც სიცოცხლისკენ შემოვაბრუნე?

ალონზო. მიპასუხეთ!

დიქტატორი. არა!

ალონზო (**რევოლვერს ამოიღებს.**)

დიქტატორი, ჩემი მოკვლა გინდათ?

ალონზო (**რევოლვერს წინ დაუდებს**). თქვენ თვითონვე გააკეთეთ ეს!

დიქტატორი. არასოდეს!

ალონზო. ეჭვი მეპარება.

დიქტატორი (**რევოლვერს უკან გადაუგდებს**).

ალონზო. დღევანდელ მიტინგის შემდეგ გააკეთეთ ეს, სადაც ხალხი შეიტყობს, რომ თქვენმა გეგმამ კრახი განიცადა.

დიქტატორი. ვაღიარებ, რომ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ ნუ წუხდებით. ნახვამდის, გენერალო (**გადის**).

ალონზო, ნახვამდის, გიულელმო მენოტი

დიქტატორი. ასე...

ალონზო **(სიცილით)**. უკვე სხვაგვარად წარიმართება ჩვენი საუბარი?

დიქტატორი. სცდებით, გენერალო, გულიელმო მენოტი ისეთივე უკომპრომისოა, როგორც დიქტატორი ლუის ალვარესი.

ალონზო. გინდათ მინისტრთა საბჭო გაგაკვირვოთ [illegible] ხალხის ბელადი ლუის ალვარესის მკვლელია?

დიქტატორი. ამის დამტკიცება შეგიძლიათ?

ალონზო. ოფიცერმა ვენტინომ ყველაფერი გამიმხილა.

დიქტატორი. ოფიცერმა ვენტინომ ხელი მოაწერა განცხადებას და აღიარა, რომ ჩემ წინააღმდეგ ბერაგულ ხრიკებს ამზადებდა.

ალონზო. მაშ რატომ დაახვრეტინეთ იგი?

დიქტატორი, მე დავახვრეტინე? მე... ასე! არამზადავ!

ალონზო **(იცინის)**. ეს ჭკვიანური სვლა იყო, მან თქვენი სამი ოფიცერი მომაპოვებინა.

დიქტატორი **(მიდის კარისკენ)**. დაცვის ოფიცრებო! **(სიჩუმე)** დაცვის ოფიცრებო! მინიონ! ბეპო!..

ალონზო. ტყუილად ირჯებით, თქვენს დაცვას უკვე აღარა ჰყავს ოფიცრები.

დიქტატორი **(გაშმაგებული ყვირის)**. არის აქ ვინმე?

IV ოფიცერი **(შემოდის)**. ბელადო, მინიონმა და ბეპომ ცოტა ხნის წინ დატოვეს სასახლე.

დიქტატორი **(დახურავს კარს)**.

ალონზო. კომედია დამთავრდა! ყველაფერი ამაოა! ათ წუთში იწყება მიტინგი, იცით, რას მოვითხოვ თქვენგან.

დიქტატორი. დიახ, ხალხის დაბრუნებას მონობაში, სიბნელეში,სიძულვილში, რამდენიმე საუკუნით უკან, რათა ჩემი ერის ყველაზე უმნიშვნელო წარმომადგენლებმაც კი შესძლოს ჩემთვის სახეში შეფურთხება. ყველას, ვისაც ერთი წუთით მაინც დავუბრუნე რწმენა და სიცოცხლე. რას მომცემდით ამის სანაცვლოდ? რაღაც ძალიან დიდი უნდა იყოს, ამაზე მე ჩემი ღირსებით ვაგებ პასუხს.

ალონზო.. ღირსებით?

დიქტატორი. დიახ, გენერალო! **(ალონზო დუმს)**. დუმხართ, მაშ მე ჩემს ბრძოლას ბოლომდე მივიყვან. ანარქისტი გულიელმო მენოტი პატიოსნად შემოვიდა ამ ერისა და მსოფლიოს ისტორიაში, ანარქისტი გულიელმო მენოტი იქიდან ისევე პატიოსნად წავა **(ფანჯარას გახსნის)**. ხედავთ... ხალხს.., იქ, ხედავთ იმ პატარა არსებებს, იმ ჭუჭყიან ბრბოს, მთრთოლვარე გულებს, მადლიერებს სიყვარულის ნამცეცისთვის, იმ მათხოვარს, იმ მუშებს, იმ მოხუც სათვალეებიან ჩინოვნიკს, იმ უმუშევარს მოდუნებული კუნთებით **(ყვირილი გარედან: „დიდება ბელადს!")**. ყოველ მათგანზე, პირველიდან უკანასკნელამდე, მე ვაგებ პასუხს. ეს მართლაც ამაოა, გენერალო.

ალონზო. მინისტრთა საბჭო ახლავე შეიტყობს, ვინა ხართ.

დიქტატორი არ დაგიჯერებენ.

ალონზო. ლუის ალვარესის მეუღლე ბეჭედს მოითხოვს, რომლის დაბრუნებაც თქვენ ვერ შესძლებთ.

დიქტატორი. ეს არის თქვენი კოზირი?

ალონზო. დაიხ! **(ბეჭედს ამოიღებს)** იცით, სად ვიპოვე?

დიქტატორი. მომეცით რევოლვერი, გენერალო,

ალონზო. გინდათ...

დიქტატორი. მიტინგის შემდეგ, როგორც თქვენ თქვით.

ალნოზო. შეასრულებთ იმას, რასაც მოვითხოვ?

დიქტატორი, ყველაფერს!

ალონზო. გული მწყდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

დიქტატორი. არ არის.., არ არის **(რევოლვერს ათამაშებს, მერე ჯიბეში ჩაიდებს).** ბოლოს და ბოლოს ღირსეული სიკვდილი ყველა დიდი ადამიანის ოცნებაა, მე კი ნამდვილად ვიყავი დიდი ადამიანი. ვიყავი. და თუმცა უნდა წავიდე, რამდენიმე წლით მაინც გადავარჩინე ჩემი ხალხი ომს. ორმოცმილიონიანი ერი, რომელსაც ოცი ათასი თოფი აქვს, იძულებული იქნება კიდევ დიდხანს განახორციელოს მშვიდობიანი პოლიტიკა. ეს კი ჩემი კოზირი იქნება, გენერალო! **(გავა. კარებში მინისტრები დგანან მდაბლად თავდახრილნი.)**

### გამოსვლა მეცხრე

**ალონზო, მინისტრები**

თავდაცვის მინისტრი **(მას სხვები აჰყვებიან).** რა ხდება?

ალონზო. ყველაფერი წესრიგშია.

თავდაცვის მინისტრი. შეთანხმებას მიაღწიეთ?

ალონზო. გამარჯვებას.

ვაჭრობის მინისტრი. ნუთუ ეს შესაძლებელია?

ალონზო. ყველა ჩვენი მოთხოვნა მიიღო.

თავდაცვის მინისტრი. თვითონ რას მოითხოვს?

ალონზო. არაფერს.

თავდაცვის მინისტრი. ამის იქით რაიმე ინტრიგა ხომ არ იმალება?

პროპაგანდის მინისტრი. ყოველთვის დახვეწილი მოწინააღმდეგე იყო.

ალონზო. შემპირდა, რომ მიტინგზე იმას იტყვის, რასაც მოვითხოვთ.

ფინანსთა მინისტრი. გაუგებარია. სხვა გამოსავალი ჰქონდა?

თავდაცვის მინისტრი. გადაწყვეტილება რომ შეიცვალოს და თავის იდეაზე ილაპარაკოს?

ალონზო. ნიშანს მივცემ, ოღონდ საწყენია, რომ ტერენოს გზა ამაო ყოფილა. დიქტატორს ყველა საიდუმლო სამალავი გაუნადგურებინებია.

თავდაცვის მინისტრი. ეს მართალია?

პროპაგანდის მინისტრი. ეხლა რაღა იქნება?

### გამოსვლა მეათე

**იგივენი, ტერენო, IV ოფიცერი**

ტერენო **(შემოვა, უკიდურესად დაღლილი.)**

ალონზო. როგორც იქნა! რა ხდება? ვერაფრის გადარჩენა ვერ მოხერხდა?

ტერენო. გადარჩენა? რატომ?

ალონზო. სამალავები ხომ უნდა აეფეთქებინათ.

ტერენო. უნდა აეფეთქებინათ, მაგრამ ქსელი დაზიანებული იყო, ყველაფერი წესრიგში დავხვდა, ას ორმოცდაათი ადამიანის სიცოცხლედ დაგვიჯდა ეს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი დივიზიისთვის გვაქვს შეიარაღება.

ალონზო (მივარდება მას). ნუთუ მართალია?

IV ოფიცერი (აცხადებს). ბატონებო, მიტინგი იწყება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდა

სურათი მეექვსე

ხასახლის ეზო, მარცხნივ კიბეები, ზევით მიკროფონი, კიბის წინ, მარჯვნივ ჭიშკრებამდე თავისუფალი ადგილი. ჭიშკრები ჩაკეტილია. გარეთ ხალხის ბრბო. წამოძახილები: „გვინდა ბელადის დანახვა! ბე-ლა-დი! დიდება ბელადს!.. დიდება მას!.. გვინდა მარადიული მშვიდობა! სკანდირება: მარა-დიუ-ლი მშვი-დო-ბა!"

გამოსვლა პირველი

პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები.

პროპაგანდის მინისტრი. არ დამშვიდდებიან, სანამ მას არ იხილავენ.

ფინანსთა მინისტრი. უნდა დაენახოს.

პროპაგანდის მინისტრი. თუ უარს იტყვის?

ვაჭრობის მინისტრი. მაშინ ნამდვილად შეშინებული ყოფილა.

ფინანსთა მინისტრი. რას ფიქრობთ, რით დამთავრდება დღევანდელი დღე?

პროპაგანდის მინისტრი. ეგ რომ ვიცოდე...

გამოსვლა მეორე

იგივენი, თავდაცვის მინისტრი, ტერენო

თავდაცვის მინისტრი (ტერენოსთან ერთად შემოდის. გარეთ ისევ ყვირილია.) „დიდება ბელადს!" ჩვენებიც მათთან ერთად ჭყივიან?

ტერენო. სხვა გზა არ არის, თორემ თავიანთი მშვიდობისმოყვარე პრინციპების მიუხედავად დაგლეჯდნენ მათ.

თავდაცვის მინისტრი. ველარ ითმენთ, ბატონებო?

ვაჭრობის მინისტრი. არა, უკვე მივეჩვიეთ ლოდინს.

ტერენო. ვშიშობ, რომ ჩვენებმა ვერ მოახერხეს წინა რიგებში მოხვედრა.

თავდაცვის მინისტრი. ეგ ცუდი იქნებოდა. მაშინ რჩევას ვერ შევძლებდით. ტერენო, ალონზომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ყველაფერი ერთ კარტზე დადო.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. რომელზე?
ᲢᲔᲠᲔᲜᲝ. ბელადის შეპირებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამოსვლა მესამე**

**იგივენი, ალონზო, IV ოფიცერი.**

ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. სად არის უფროსი? მიტინგი უკვე უნდა დაწყებულიყო!
ᲢᲔᲠᲔᲜᲝ. ხომ არ გაიქცა?
ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ეს ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა.
ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ოღონდ ლაჩრული, განა ასე არ მიგაჩნიათ?
ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. წავალ მის მოსაყვანად.
IV ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ **(აცხადებს).** ბელადი მოდის.

**გამოსვლა მეოთხე**

**იგივენი, დიქტატორი.**

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(მათ წინ შედგება. მის უკან მისი ამალა მოდის).** სალამი, ბატონებო **(თავს დახრის).**
ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ბელადო, ხალხს თქვენი ნახვა სურს.
ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არ არის საჭირო. აბა დაფდაფები!
**(ცოტა ხანში გაისმის დაფდაფების ხმა. მინისტრები ლაპარაკობენ).**
ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. **(დიქტატორს მიუახლოვდა და რაღაცას ეუბნება.)**
ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(ღიმილით პასუხობს. დაფდაფების ხმა მიწყდება).** ბატონო პროპაგანდის მინისტრო, აიღეთ სიტყვა!
ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ **(მიუახლოვდება მიკროფონს).** თანამებრძოლო ძმებო!
ᲮᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲓᲐᲜ. რომელი თანამებრძოლები?... ჩვენ ბრძოლა არ გვინდა... დაე მარადიული მშვიდობა იყოს... დიდება ბელადს! **(ყვირის მთელი მასა.)** ძირს პროპაგანდის მინისტრი! მოშორდი! დაიკარგე აქედან!..
ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ **(ღიმილით უქნევს მას თავს. იგი უკან გაიწევა, დიქტატორი მიკროფონს უახლოვდება).** ჩემო ერო, მოგმართავს შენი ბელადი. **(საშინელი ღრიალი).** ბე-ლა-დი! ბელადის დანახვა გვინდა!.. ბე-ლა-დი! ბე-ლა-დი! **(მომდევნო წუთებში შემოარღვევენ ჭიშკრებს მარჯვენა მხარეს და ბრბო ეზოში შემოიჭრება.)**
ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. **(გაშმაგებულია. მცველებს ანიშნებს).** მოაშორეთ აქედან! გაყარეთ!
ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. არ გაინძრეთ! **(დაცვა შეჩერდება).**
ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. არა გაქვთ იმის უფლება, რომ ეს ბრბო თქვენ ახლოს მოუშვათ.
ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ. ბრბო? ეს ჩემი ხალხია **(ცალკეული წამოძახილები):** ბელადო, შენთან მოვდივართ, უნდა დაგინახოთ შენ...).
ᲐᲚᲝᲜᲖᲝ. ბატონებო, ამას ხელი უნდა შევუშალოთ.

ტერენო. ჩვენ გეგმას ხაზი გადაესვა.

ფინანსთა მინისტრი. უკვე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

თავდაცვის მინისტრი. ყურადღება! რაც უფრო მალე მორჩება...

ტერენო. ბრბოს აღტყინება რომ ვერ მოასწროს... (ყველა ფერი დიქტატორის ზურგს უკან ხდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატორი (ღიმილით მიმართავს მათ). შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ბატონებო (ხმაური თანდათან მიწყდება. ხალხის სახეებზე მოლოდინია აღბეჭდილი. ბელადს უყურებენ. მიკროფონს მიუახლოვდება. სიჩუმე. ხმა ხალხიდან. ღმერთმა დაგლოცოს, ბელადო! ჩუმი ხმაური. (დიქტატორი ტკივილით გაიღიმებს). ჩემო ერო! ჩემთან მოხვედი, რადგანაც გრძნობ, რომ ჩემი ხარ და მე შენ გეკუთვნი (წარმოუდგენელი აღფრთოვანება. წამოძახილები): დიდება! ნურავისი ნუ გეშინია! ჩვენ შენთანა ვართ! ჩვენი იმედი გქონდეს! (დიქტატორი თავს გააქნევს. სიჩუმე). მე გესალმები შენ და ყოველ თქვენგანს, ვინც აქ მოვიდა, მსურს ხელი ჩამოვართვა, თვალებში ჩავხედო და ვუთხრა: მეგობარო, კარგი ჰქენი, აქ რომ მოხვედი, რადგანაც აქა ხარ საჭირო, აქ არის საჭირო შენი ხელები და შენი გული, რომ ერთად შევძლოთ გზის გაგრძელება, რომელსაც უკეთესი მომავლისკენ მივყავართ.

ალონზო (მას მიუახლოვდება. მინისტრები ნერვიულად ჩურჩულებენ).

დიქტატორი. (შეათვალიერებს მას. აგრძელებს). ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, რომელმაც ხვალინდელი ნაბიჯის გადადგმა მაიძულა, ერთი წელი, რომლის მანძილზეც შენ, ჩემო ერო, დაინახე და შეგეძლო თავისუფლად განგესაჯა, რა შეუძლია გააკეთოს შენი კეთილდღეობისათვის წყნარმა შემოქმედებითმა მუშაობამ. და ასე დგახარ ხვალინდელი დღის წინაშე, როცა უნდა გადაწყვიტო, წარსულის გზით წახვალ ომის იდეით საეჭვო დიდებისაკენ, თუ მშვიდობიანი საქმიანობის გზას აირჩევ და ასე ივლი ახალი მომავლისკენ (წამოძახილები: დიდება... სისხლი საკმაოდ იყო! აღარ გვინდა სისხლისღვრა!.. სიმშვიდე... მარადიული მშვიდობა...).

ტერენო. (ალონზოს ანიშნებს, რომ ჩაერიოს.).

ალონზო. (ანიშნებს, რომ შეუძლებელია).

დიქტატორი. დღეს საერთოდ არ მინდოდა გამოსვლა, ვიცი, რომ დღევანდელ მიტინგზე ვიღაცას ჩემი მოკვლა უნდა, ჩემს თავზე კი არ ვწუხვარ, არამედ ის იდეა მაწუხებს, რომელიც დამარცხდება, მე თუ არ ვიქნები. მე კი ჩემი იდეის ბოლომდე მიყვანა მინდა, შენთან ერთად, ჩემო ერო. ეხლა ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ აქ სადღაც ახლოს რევოლვერმომარჯვებული მკვლელი დგას და გულში მიმიზნებს, უკვე აღარ მეშინია, ვიცი, რომ მინდა შენ მოგცე ის საუკეთესო...

ალონზო (მიკროფონს წინ გადაუდგება. ბელადს გახწევს). დიდება...

ანარქისტი. (ამ დროს). მოკვდი ანარქისტებისაგან (გასროლა).

ალონზო (ვარდება. საშინელი ყვირილი. წუთის განმავლობაში არავინ არ იცის, რა უნდა იღონოს. ბრბო ანარქისტს მისცვივდება. სცემენ მას.). ნაძირალავ. არამზადავ, ჩაძაღლდები, მკვლელო...

ფინანსთა მინისტრი. ალონზო...

თავდაცვის მინისტრი. (დახედავს). მკვდარია.

დიქტატორი (მცველებს ანიშნებს). გაათავისუფლეთ ეზო.

პროპაგანდის მინისტრი. ბატონებო, წავიდეთ აქედან (მიდის, მას მიჰ-

ყვებიან ვაჭრობის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი).

ტერენო და თავდაცვის მინისტრი (დაცვისკენ მიდიან). შეასრულეთ ბრძანება — გაყარეთ ისინი, სწრაფად!

დიქტატორი. (კიბეზე დგას, იღიმება, დაცვა აძევებს ხალხს, რომელიც წინააღმდეგობას არ უწევს, გარედან ხმები: რა დაემართა ბელადს? შეემთხვა რამე? დიქტატორი ამოიღებს რევოლვერს, დახედავს გვამს და ეუბნება). ბატონო გენერალო, გიბრუნებთ თქვენს რევოლვერს, (რევოლვერს მას მიუგდებს. ამ დროს გაქვთ ანარქისტის გვამი. მარჯვენა მხარეს ჭიშკარს დაკეტავენ, უეცრად ამაზრზენი სიჩუმე ჩამოწვება. ყველა დიქტატორს მიაჩერდება. კიბით ქვემოთ ჩამოდის, გამარჯვებული იერით). ბატონებო, მადლობას მოგახსენებთ.

თავდაცვის მინისტრი (გააჩერებს მას). გენერალ-ლეიტენანტის სახელით მოვითხოვ, რომ შეასრულოთ პირობა, რომელიც მიეცით გარდაცვლილ გენერალ ალონზოს.

დიქტატორი. ჩემს იდეას ვუღალატო? არასოდეს!

თავდაცვის მინისტრი (რევოლვერს მკერდზე მიაბჯენს). მაშინ ამას თქვენს მაგივრად მე გავაკეთებ. ერთადერთი სიტყვაც კი სიკვდილის ტოლფასი იქნება.

ტერენო (მიკროფონთან მივა). ჩვენო ერო, სამწუხარო ამბავს გაცნობებ. შენი ბელადი გტოვებს (წამოძახილები: ბელადი რა სჭირს ბელადს?) იგი მკვლელის საქციელმა შეაშფოთა და გრძნობს, რომ მისი ლამაზი იდეა ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს.

დიქტატორი. ნაძირალავ...

ტერენო. და გიბარებს შენ — დაუბრუნდე შენს ძველ იდეალებს. შენმა ძალამ და დიდებამ ევროპის ხალხთა სათავეში უნდა ჩაგაყენოს. მარადიული მშვიდობა არ შეიძლება ხალხის გულებში.

დიქტატორი. შე...

ტერენო. ბელადის იდეა მარცხდება...

დიქტატორი (თავდაცვის მინისტრს გაუსხლტება და მიკროფონისკენ მირბის) ის არ შეიძლება დამარცხდეს! (ტერენოს აიფარებს, რათა ვერ შეძლოს სროლა). ჩემო ერო, მან უნდა იცოცხლოს...

ტერენო (გაუსხლტება ხელიდან. სროლის ხმა).

დიქტატორი. (ეცემა, კიდევ წამოიწევს.) იქ... მათში... ის უკვე ცოცხლობს (კვდება).

ფარდა

# პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულიდან

თარგმნა ავთანდილ სვანძა

## ვლადიმერ ნაბოკოვი

### დახვრეტა

გვიან ღამეულ სიზმრებში ხშირად
მე გადავცურავ რუსეთის ველებს,
მიმაცილებენ ბრმა ხრამის პირად
და ტყვიის ჯერით აღსასრულს ველი.

ვიღვიძებ ბნელში, გვერდით სკამიდან,
სად დევს ასანთი, იქვე საათი,
ვით თოფის ლულა, ცეცხლის ალითა,
მომჩერებია მე ციფერბლატი.

ხელებით ვფარავ მკერდსა და კისერს,
აი, წუთ-წუთზე ველი დახვრეტას
და ცეცხლის რკალმა შემბოჭა ისე,
ვერ გამიბედავს გვერდით გახედვაც.

ცნობიერება სუნთქვას შემიკრავს,
წიკწიკი წყდება, ჩერდება, დუმს დრო,
მშვიდობიანად წასულ ემიგრანტს,
ვგრძნობ, რომ სავანეც შემხვდება
მყუდრო.

გულო, ესეც კი სურვილად გექცა,
თუნდ სინამდვილე გაცხადდეს ამით...
ვარსკვლავიანი რუსეთის ზეცა,
შორთხვიან ხრამში დახვრეტა ღამით.

## გოეთე

### ტყის მეფე

ქარი დასისინებს დადუმებულ ველებს,
ასე გვიან ღამით ცხენს ვინ მიაგელვებს,
ეს მამაა ბავშვით, ატყობს ბიჭი შიშობს,
და რომ დააწყნაროს, მკერდში იკრავს პირმშოს.

შვილო ჩემო, სახეს რატომ მალავ ნეტავ?
მამა, შენ ტყის მეფეს ნუთუ ვერა ხედავ?!
ქუდიან ტყის მეფეს, მეფეს გვირგვინოსანს.
არა, შვილო, ეს ცას ნისლის ზოლი მოსავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყვარელო ბავშვო, წამო ჩემთან ბარემ,
უცხო გასართობით გალხენ, გაგახარებ.
ჭრელ ყვავილთა მდელოს ვერსად ნახავ მსგავსსა,
თანაც დედაჩემი სულ ოქროში ჩაგვესვამს.

მამაჩემო, მამი, შენც არ გესმის, მამა?!
ტყის მეფე რომ ჩუმი დაპირებით მშხამავს?
მშვიდად, სისხლო ჩემო, გული დაიწყნარე,
ეს მშრალ ფოთლებს, შვილო, აშრიალებს ქარი.

მიმზიდველო ბიჭო, წამყევ ჩემთან მალე,
იქ შეიტყობ ჩემი გოგონების ალერსს.
ღამით ძილისპირზე დაუვლიან ფერხულს,
მოგალხენენ ცეკვით, დაატკბობენ შენს ყურს.

მამი, ხედავ, მამი, დალალადაწნულები...
იმ საშინელ ბნელში, მეფის ასულები.
ჩემო სიხარულო, შვილო, ვხედავ ნათლივ,
ბებერ ტირიფების ბზინავს რუხი ლანდი.

მე შენ შემიყვარდი, მომინუსხე თვალი.
არ მომყვები ნებით? გაგიტაცებ ძალით!
მამი, მამაჩემო, შემომეჭდო უცებ.
ტყის მეფისგან ტკივილს, რა ვქნა, ველარ ვუძლებ.

მკერდში იკრავს პირმშოს, სწრაფზე სწრაფად მიქრის,
ტანში ზარავს მშობელს გმინავ შვილზე ფიქრი...
არც კი იყვნენ სახლის ჭიშკარს გადასული,
მამის ხელში ყმაწვილს ამოსვლოდა სული.

## ჰოლდერლინი

### და როცა პატარა ბიჭუნა ვიყავი...

და როცა პატარა ბიჭუნა ვიყავი,
ღმერთის შეშწეობით, ხშირად
გადავურჩი
ადამიანების წკეპლას, ლანძღვა-
ყვირილს,
ლაღად, არხეინად ჩემთვის
ვთამაშობდი.

გადავერეოდი მინდვრის
ყვავილებში,
ერთად ვნებივრობდით
მე და ცის ნიავი.

და რა მხიარული ვიყავი, გულო!
როგორ შევხაროდი ველზე მცენარეებს,
რომლებიც შესახვედრად
მიქნევდნენ სუსტ ხელებს.

ო, რა სიხარულით ავსებდი ჩემს სულს,
მამაო, ჰელიოს! და ვით ენდიმიონს
ისე მფარველობდი,
წმინდანო მთვარეო!

ყოვლად კეთილნო და ყოვლითა
ერთგულნო,
ჩემზე მზრუნველო დიდო ღმერთებო!
ნეტავი იცოდეთ, სული ცარიელი,
როგორი სიყვარულით ამივსეო!

თუმცა კი მე იმ დროს სიტყვით ვერ
ვბედავდი
თქვენი სახელებით თქვენთვის
მომემართა,
არც თქვენგან მსმენია ისეთი სიტყვები,
რითაც კაციშვილნი ერთმანეთს
უხმობენ.

მე თქვენ უკეთ გიცნობთ და ხართ
ახლობელნი,
ვიდრე ქვეყანაზე ადამიანები,
ეს ჩემი ფიქრები შეერთვის ციურ
ეთერს,
ადამიანების ფიქრის კი არ გამეგება.

მე მოვლონიერდი და ენა ავიდგი
მდელოთა ჩურჩულში.

მე სიყვარულის გაკვეთილს ვსწავლობდი
ყვავილთა შორის.

მე მარტოსული გავიზარდე ღმერთების
ხელში.

□

# იოანა შპირი

## ჰაიდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ხათუნა ფხოველიშვილმა

შვეიცარიელი მწერალი ქალის **იოჰანა შპირის** (1827-1901) წინამდებარე ნაწარმოებს საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საგანძურში. მწერალი მიმზიდველად და საინტერესოდ ასახავს მშობლიური მხარის ბუნებას და უბრალო ადამიანებს. „ჰაიდი" ალმზრდელობითი ნაწარმოებია. მასში დიდაქტიკური ტენდენცია მშვენივრად ერწყმის იდილიურ განწყობილებებსა და მშვიდ იუმორს, რაც ევანგელისტური ეკლესიის და მისი მორალის უბრწყინვალესი გამოხატულებაა.

ჟურნალ „საუნჯის" რედაქცია ქართველ ბავშვებს ულოცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს (პირველ ივნისს) და წასაკითხად სთავაზობს პატარა ობოლი გოგონას — ჰაიდის თავგადასავალს.

### წიგნი პირველი

### ჰაიდის განსწავლისა და მოგზაურობის წლები

### თავი პირველი

### გზა მთის კაცისკენ

ძველებურ, მყუდრო პატარა ქალაქ მაიენფელდიდან, ტყიანი ფერდობის გაყოლებით, ზედ კლდოვანა მთების ძირამდე, მედიდურად და ზვიადად რომ გადმოსცქერიან ბარს, საცალფეხო გზა მიემართება. იქ, სადაც ბილიკი შეაღმართდება, ჯუჯა ბალახბულახით დაფარული გზა, წვრილი და მეჩხერი ტყე მგზავრს ხის კორძების სურნელით გააბრუებს, რადგანაც ციცაბო ბილიკი პირდაპირ იალაღებისაკენ მიიკლაკნება.

სწორედ ამ საცალფეხო ბილიკზე, ივნისის ერთ მზიან დილას ზორბა, ათქვირებული ყმაწვილი ქალი გამოჩნდა. მას ხელჩაკიდებული ბავშვი მოყვებოდა. არც ის იყო საკვირველი, ბავშვს სიცხისაგან ლოყები რომ ასწითლებოდა და მთლად გარუჯული სახე ალისფრად უვარვარებდა. ივნისის მცხუნვარე დღეს პაწია ისე ჩაეფუთნათ, გეგონებოდათ, სუსხიანი ზამთარიაო. გოგონა ხუთიოდე წლისა ძლივს იქნებოდა, გამხდარი იყო თუ მსუქანი, კაცი ვერ გაიგებდა, რადგანაც ორი თუ სამი კაბა მაინც ჩაეჯაჯგებინათ და ზემოდანაც უშველებელი

ბაბბის წითელი მალი ბარე ცხრა პირად შემოეკრათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ პატარა არსება ჯინგოდორას დამსგავსებოდა. ბავშვს მძიმე, დალურსმული ფეხსაცმელები ეცვა და დასიცხული გაჭირვებით მიიკვლევდა ღმართს. ბარს ერთი საათის სავალით იქნებოდნენ დაცილებულნი, რომ ილალიანის შუაწელზე შეფენილ სოფელს მიაღწიეს, ამ სოფელს დორფლის ეძახდნენ. თითქმის ყოველი ეზოდან თუ სახლიდან ეხმიანებოდნენ და ესალმებოდნენ მშობლიურ სოფელში დაბრუნებულ ქალიშვილს. ისიც სალამზე, სალამითვე პასუხობდა და გზას განაგრძობდა. სოფლის განაპირას მდგარ ქოხმახს რომ გაუსწორდნენ, იქიდან ვილაც გამოეხმიანათ:

— დამიცადე, დეტე, მეც ზევით მოვდივარ!

ქალიშვილი შედგა, ბავშვმა დრო იხელთა, ხელიდან დაუძვრა და მიწაზე დაჯდა.

— დაიღალე, ჰაიდი? — შეეკითხა თანამგზავრი.

— არა, მცხელა, — მიუგება ბავშვმა.

— თითქმის მივედით, თუ იყოჩაღებ, ერთ საათში მაღლა ვიქნებით, — გაამხნევა დეტემ.

მალე კარებში ერთი ბარაქიანი, სანდომიანი სახის ქალი გამოჩნდა და მათქენ გამოემართა. პატარა ზლაზვნით წამოდგა და ჩანჩალით მიჰყვა ქალებს, რომლებმაც წამსვე მოხსნეს ჭორების გუდას პირი, რომელ თანასოფლელს თუ სახლს აღარ გაკრეს კბილი.

— საით გაგიწევია, დეტე? — ჰკითხა ქალმა — თუ გუმანი არ მატყუებს, ეს ბავშვი შენი ობოლი დისშვილი უნდა იყოს.

— სწორედ ის გახლავთ, — დაუდასტურა დეტემ, — ზევით მიმყავს, მთის კაცთან, იქ უნდა დავტოვო.

— ვისთან? მთის კაცთან? ხომ არ შეიშალე, ბავშვს როგორ იმეტებ? — შეიცხადა ქალმა, — თუმც რა მალაპარაკებს, მალე გნახავ უკან გამოპჭნლურებულს.

— რა უფლება აქვს, პაპაა, თვითონაც ხომ უნდა მიხედოს, ღმერთმანი, არ ვმადლი, პატარა რომ დღემდე შევუნახე, ახლა კი უნდა გითხრა, ბარბელ, რომ ბავშვის გამო უარს ვერ ვიტყვი შემოთავაზებულ სამსახურზე. ახლა ცოტა პაპამისიც გაისარჯოს.

— ადამიანობისა რომ რაიმე ეცხოს, კი ბატონო, — მიუგო ფაშფაშა ბარბელმა იჭვნეულად, — არ იცნობდე მაინც რა ბედენაა, ეგ ბავშვს როგორ მოუვლის? თანაც ასეთ პატარას? სხვა არა იყოს, რით უნდა არჩინოს! არა, ბავშვიც ვერ შეეგუება! ჰო მართლა, შენ საითლა გაგიწევია? — ჩაეძია ბარბელი.

— ფრანკფურტში მივდივარ, — აუხსნა დეტემ, — ისეთი სამსახური ვიშოვე, სწორედ რომ ინატრებს კაცი. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს, როცა ბატონები წყლებზე ისვენებდნენ, სახლს ვულაგებდი და სამსახური შემომთავაზეს, მაშინვე უნდოდათ ჩემი წაყვანა, მეც ჭკუაში დამიჯდა ეს აზრი და აი მივდივარ კიდეც.

— არა, ნამდვილად არ ვინატრებდი ჰაიდის ადგილას ყოფნას, — ხელები გაასავსავა ბარბელმა, — კაცმა არ იცის, რა უჭირს და რა ულხინს მთის კაცს. კაციშვილს არ დაელაპარაკება. წლიდან წლამდე ფეხს არ შედგამს ეკლესიაში. წელიწადში ერთხელ თუ ინებებს დაბლა ჩამობრძანებას, მაშინაც მხარზე კომბალგადებულს რომ დაინახავენ, ყველანი შიშით ფრთხებიან. მართლაც, ნაცრისფერი ბუჩქა წარბებით და გაბარდნული წვერით ისე ჩამოგავს ძველ წარ-

მართს და ინდიელს, რომ უნდა გიხაროდეს, თუ მარტო არსად გადიეყარე.

— თუნდაც ასე იყოს, — შეაწყვეტინა დეტემ. — პაპაა და ბავშვს კიდეც უნდა მიხედოს, პატარას რომ რაიმე დაუშავდეს, პასუხისმგებელი თვითონ იქნება, მე კი არა.

— ერთი მაცოდინა, — ცნობისმოყვარეობამ წასძლია ბარბელს, — ისეთი რა ცოდვა აქვს, დღენიადაგ რომ იბღვირება, უკაცურ ალპებს [illegible] არავის იკარებს სიახლოვეს. ღმერთმა უწყის, რა ჭორები აღარ დადის მოხუცზე. შენ შენი დისგან უთუოდ გეცოდინება სიმართლე.

— ვიცი, როგორ არა, მაგრამ აბა როგორ გითხრა, ჩემს მტერს, მთის კაცმა რომ გამიგოს.

ბარბელი პრეტიგაუში ცხოვრობდა, ამ ცოტა ხნის წინათ გათხოვილიყო დორფლიში და ამიტომაც არც ამ სოფლის წარსული იცოდა კარგად და არც აქაურებს იცნობდა რიგიანად. ბარბელის ძველი ნაცნობი დეტე კი აქაური გახლდათ, დედის სიკვდილის მერე რაგაცში გადასახლდა და დიდ სასტუმროში მოახლედ მოეწყო. ამ დილით კი ბავშვთან ერთად რაგაციდან გამომგზავრებულიყო.

— შენ უეჭველად გეცოდინება, დეტე, და თუ ღმერთი გწამს, გამარკვიე, რაა სიმართლე და რა მონაჭორი. დავიჯერო, მოხუცი თავიდანვე ასეთი კაცთმოძულე იყო?

— მაგისა რა მოგახსენო, — მიუგო დეტემ, — თავიდანვე ასეთი იყო თუ არა. მე ოცდაექვსი წლისა ვარ, ის კი ალბათ სამოცდაათს უკაკუნებს. ასე რომ, მის სიჭაბუკეს არ შევსწრებივარ და აბა როგორ გითხრა, რაც არ ვიცი. იმას კი გეტყოდი, რაც ვიცი, დარწმუნებული რომ ვიყო ჩემი ნათქვამი პრეტიგაუში ტაშივით არ გავარდება. მით უმეტეს, რომ დედაჩემი და ის თანასოფლელები არიან, ორივე დომლეშგელია.

— ეგ რა საკადრისია, დეტე, — იტკიცა ბარბელმა, — მართალია, პრეტიგაუში პირს ვერავის ამოუკერავ, მაგრამ პირადად ჩემგან მაგას ვერავინ გაიგებს.

— კარგი, კარგი, შენს სიტყვას ვენდობი, — მოლბა დეტე და აქეთ-იქით მიმოიხედა, ბავშვი ხომ არ მისმენსო, მაგრამ სადღა იყო ჰაიდი. საუბარში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს, რომ პატარა კარგა ხანია უკან აღარ მისდევდათ. დეტე შედგა, ირგვლივ თვალი მიმოავლო. მართალია, გზაა წვრილი, აქა-იქ უხვევდა, დორფლი მაინც ხელისგულივით ჩანდა, მაგრამ გზაზე სულიერი ჭაჭანება არ იყო.

— აი, დავინახე, ხედავ აგერ იქ! — დაიძახა უცებ დეტემ. — ფერდობზე მიძვრება პეტრიკელას თხებთან ერთად.

— რა გვიან გაურეკია თხები? ბავშვი არსად დაგეკარგება, მწყემსი იქ არის და მიხედავს, შენ კი გულდამშვიდებით მომიყვები, — დააიმედა ბარბელმა.

— თვალყურის დევნებით არც პეტრიკელა შეწუხდება, — ჩაილაპარაკა დეტემ. — ჰაიდი ხუთი წლის ბავშვის კვალობაზე არც ისე სულელია. დიდი ხანია შემჩნეული მაქვს, ავსა და კარგს მშვენივრად არჩევს. სწორედ რომ გამოადგება მოხუცს, ორი თხისა და ქოხის მეტი რომ არა აბადია რა.

— ვინ იცის, ჰქონია კი ოდესმე ამაზე მეტი? — დაინტერესდა ბარბელი.

— რას ამბობ? თურმე ისეთი მშვენიერი მამული ჰქონია დომლეშგში, ვე თვალს არ დაენახებოდა. ოჯახში უფროსი ვაჟი ყოფილა, ერთი წყნარი და წესიერი ძმა ჰყოლია კიდევ. თვითონ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. თავზე ბუზს არ დაისვამდა თურმე, ერთი ფეხი ალთასა ჰქონდა, მეორე

ბალთას, საეჭვო ხალხთან დაძვრებოდა, როცა მთელი ქონება დაუნიავებია, მშობლებს დარდით ველარ გაუძლიათ და ჩვენი ჭირი წაუღიათ. გადაკარგულა უმცროსი ძმაც, ღმერთმა უწყის, ჯავრისაგან სად გადაკარგულა. სოფელგატეხილ მთის კაცს იქ აღარ ედგომებოდა და ისიც უგზო-უკვლოდ გამქრალა. ცოტა ხანს ხმა დაირხა, ნეაპოლში იხდის სამსახურსო. თორმეტი-თხუთმეტი წელი ისე გავიდა, მთის კაცზე ბაიბური არ ისმოდა. ერთხელ კი დომლეშში გამოგვეცხადა, წამოჩიტულ ბიჭუნასთან ერთად. უნდოდა ბავშვი რომელიმე ნათესავთან შეეხიზნა, მაგრამ ამაოდ, ყველამ ტუჩი აუბზუა. მისი სახელის გაგონებაც კი არ სურდა, ამას ძალზე აღუშფოთებია და დაუფიცია, დომლეშში ფეხის დამდგმელი აღარა ვარო, ამდგარა და ბიჭუნასთან ერთად დორფლიში დასახლებულა. ცოლი გრაუბიუნდნენელი ჰყოლია, რომელიც იქვე გაუცვნია და მალევე გაცილებია. ცოტა ფულიც უნდა ჰქონოდა, რადგან შვილს დურგლობა შეასწავლა. ტობიასი წესიერი ადამიანი გამოდგა. სოფელში ყველას თავი შეაყვარა, მოხუცს კი არავინ ენდობოდა. დეზერტირობას სწამებდნენ, იმასაც ამბობდნენ, კაცი შემოკვდომია ჩხუბში და ნეაპოლიდან რომ არ გამოქცეულიყო, ცუდად წაუვიდოდა საქმეო. ჩვენ ვნათესაობდით. მეტი რა ჩარა გვქონდა, დედაჩემის ბებია და მთის კაცის ბებია დები ყოფილან. ჩვენც „ძიას“ ვეძახდით და თანასოფლელებიც, ხოლო მას შემდეგ, რაც ალპებში გადაიხვეწა, „მთის კაცი“ შეარქვეს, ეგ არის და ეგ.

— ტობიასს რაღა ბედი ეწია? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ბარბელმა.

— ცოტა სული მომათქმევინე, ქალო.., ტობიასმა მელისში სწავლა დაამთავრა თუ არა, დორფლიში დაბრუნდა. რადგან ჩემს დას ადელაიდას და ტობიასს დიდი ხანია ერთმანეთზე თვალი ეჭირათ, ადგნენ და ჯვარი დაიწერეს. სიამტკბილობითაც იცხოვრებდნენ საწყლები, რომ დასცლოდათ. სულ რაღაც ორი წლის თავზე ტობიასი ვილაცას სახლის მშენებლობაში ეხმარებოდა, კოჭი თავში დაეცა და იქვე სული გააპნევინა. როცა ადელაიდას სახლში უსულო ქმარი მიუსვენეს, შიშისა და მწუხარებისგან დაიზაფრა, იმ დღიდან საშინელი ციებცხელება დასჩემდა და მას მერე ველარც გამოკეთდა, ისეთ დღეში ჩავარდა, არც ცოცხლებში ეწერა და არც მკვდრებში. ტობიასის სიკვდილიდან ორიოდე კვირის თავზე ისიც მივაბარეთ მიწას. დიდხანს ჰქონდა ხალხს მათი ამბავი სალაქლაქოდ. ზოგი ჩუმად ლაპარაკობდა, ზოგიც აშკარად, ასეთი მკაცრი სასჯელი ღმერთმა უწესო ცხოვრებისათვის მოუვლინაო მთის კაცს. ურჩიეს, ცოდვები მოინანიეო, მაგრამ ის უფრო მოიქუშა და გაკერპდა, ერთ დღეს კი სულ გაეცალა იქაურობას, მთაზე განმარტოვდა, სოფლისკენ პირი აღარ უქნია. ახლაც იქ ცხოვრობს ხალხზე და ღმერთზე შემომწყრალი. ადელაიდას ერთი წლის ბავშვი მე და დედაჩემმა წამოვიყვანეთ, შარშან ზაფხულს, დედაჩემი რომ გარდაიცვალა, თავი ხომ უნდა მერჩინა, ავდექი და რაგაცაში გადავსახლდი, ბავშვიც თან წავიყვანე. პფეფერზერდორფში მოხუც ურზელს მოვურიგდი და ჰაიდი მივაბარე. მე თვითონ ზამთარში რაგაცაში დავრჩი, ჭრა-კერვა მეხერხება და საქმე არ გამომლევია. ადრე გაზაფხულზე, წელან რომ გითხარი, შარშან ზაფხულში ვემსახურებოდი-მეთქი, ის ოჯახი ჩამოვიდა და ისევ მთავაზობენ წაყოლას, ზეგ მივემგზავრებით. ერთს ვიტყვი, რომ მართლაც კარგი სამსახური ვიშოვე.

— ბავშვი პაპას უნდა გადააბარო? ძალიან მიკვირს, ეგ რამ მოგაფიქრებინა, დეტე? — ბარბელის ხმაში საყვედური გაიჟღერა.

— მაგას რატომ მეუბნები? — ჩაეძია დეტე. — ბავშვისათვის პატრონო-

ბა არ მომიკლია, მეტი რა უნდა ვქნა? ხუთი წლის ბავშვს ფრანკფურტში ხომ ვერ წავიყვან... შენ სადღა მოდიხარ აქეთ? სადაცაა ალპებს მივაღწევთ.

— მწყემსის დედასთან მაქვს საქმე, ზამთარში რაღაც-რაღაცებს მიქსოვს ხოლმე. აბა, მშვიდობით, დეტე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

დეტე თანამგზავრს დაემშვიდობა, მერე თვალი გააყოლა, [illegible] ყოვნდა, ვიდრე ბარბელი ბილიკიდან სულ ორიოდე ნაბიჯზე, ქარი[illegible]ა დაბლობზე მდგარ ნამცეცა, მორღვეულ ხუხულას მიაღწევდა. ახალსოფლიდან თუ გადავზომავდით, ხუხულა შუა ფერდობზე, სწორედ რომ კარგ ადგილას ჩაედგათ; რა დაფაცხავებული ქოხიც იყო, პატრონიც ისეთი უნდა ჰყოლოდა. ამ ქოხში თერთმეტი წლის მწყემსი ბიჭუნა ცხოვრობდა. ყოველ ცისმარეს ახალსოფლიდან ფარა დაჰყავდა საბალახოდ. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ამ დროს შეეძლო პეტერს გამოლაპარაკებოდა თანატოლებს. ისე კი მთელ დღეს თხებთან ატარებდა. იშვიათად თუ სცალოდა თავის თანატოლებთან სათამაშოდ. მთელ ზაფხულს თხებთან ატარებდა. შინ დედა და უსინათლო ბებია ჰყავდა. ვიდრე თანატოლებთან საუბრით გულს არ იჯერებდა, მანამდე შინ არ ბრუნდებოდა, სწორედ ამიტომაც სახლში ზუსტად იმდენ ხანს უწევდა ყოფნა, დილით ორიოდ ყლუპი რძისა და ორი ლუკმა პურის შეჭმა რომ მოესწრო, საღამოსაც ამდენივე მიერთვა და მერე ლოგინში, ედურთა თავი. მამამისიც პატარაობიდანვე თხების მწყემსი ყოფილა რამდენიმე წლის წინათ შეშაზე წასულა და დალუპულა. დედამისს ბრიგიტა ერქვა, მაგრამ ყველანი მწყემსის ცოლს ეძახდნენ, უსინათლო დიდედას კი — ბებიას.

დეტე თითქმის ათი წუთი ათვალიერებდა მიდამოს. ბავშვები და თხები ხომ არ გამოჩნდნენო; ცოტა ხანში ისინიც გამოვიდნენ ბილიკზე. სიცხისაგან აქოშინებული, „აბჯროსანი" გოგონა უსიტყვოდ მისჩერებოდა მოკლეშარვლიან, ფეხშიშველ პეტრიკელას, ყოჩაღად რომ დასდევდა ფარას, და ქვებსა და ციცაბო ფერდობებზე მსუბუქად მოხტუნავე თხებს. შემდეგ მოსხლეტით ჩაჯდა მიწაზე, თვალის დახამხამებაში ფეხსაცმელი და წინდები გაიძრო, ცხრაპირად შემოჯაჯული შალი მოიშორა, მერე კაბა გაიხადა, რომლის ქვეშ კიდევ ერთი ქვედა კაბა ეცვა. დეტეს გოგონას ბარგის თრევა დაზარებოდა და თუკი რამე ჰქონდა ჩასაცმელი — საგარეო თუ საშინაო — ყველა ჩაეცმია მისთვის. თხელი ქვედაკაბისა და პერანგისამარა ბავშვი სიამოვნებით იქნევდა ხელებს ჰაერში. მერე მთელ თავის ტანსაცმელს ერთ ადგილას მოუყარა თავი და თვითონ კი ძველი ნაცნობივით კუნტრუშ-კუნტრუშით აედევნა თხებსა და მწყემსს. პეტერს არც შეუმჩნევია, გოგონა როდის ჩამორჩა, და ფარატინა პერანგისამარა რომ დაინახა, მხიარულად გაიღრიჭა. ბავშვმა თავისუფლად ამოისუნთქა თუ არა, იცოცხლე, პეტერს კითხვები დააყარა და ბიჭიც იძულებული გახდა ათასნაირ აბდაუბდა კითხვებზე ეპასუხა: რამდენი თხა ჰყავდა? სად მიერეკებოდა? და რას აკეთებდა იალაღზე?

ბავშვები ლაპარაკში გართულნი მიადგნენ ქოხს.

— ეს რა გიქნია, ჰაიდი? რას გავხარ? რა უყავი კაბები და შალი? სად დატოვე ახალთახალი ფეხსაცმელები? ახალი წინდები? ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი დაკარგე?! ჰაიდი, არ გრცხვენია, სად არის ტანსაცმელი? — შეიცხადა დეტემ.

ბავშვმა მშვიდად გაიშვირა ხელი ქვემოთ, დაღმართისაკენ, და წყნარად, საკუთარი საქციელით კმაყოფილმა წარმოთქვა:

— იქ არის, აღარ მჭირდება.

— ერთი ამას დამიხედეთ, აღარ სჭირდება, მთლად გაცფრინე, შე ჩერჩეტო, შენა? პეტერ, ნუ დამზარდები, ჩაირბინე და ტანსაცმელი ამოიტანე, უსაქმურად დგახარ და წუთში დაბრუნდები, ჯილდოსაც მიიღებ. — ჩაუთოფლა დეტემ. მონეტამ პეტერს თვალი მოსჭრა, მყისვე წამოფრინდა, შურდულივით ჩაქანდა ქვევით, ტანსაცმლის გროვას ხელი დასტაცა და ისე სწრაფად ამოფრინდა უკან, რომ დეტეს ქებაცა და ფულიც უყვედრებლად დაიმსახურა. პეტერი არცთუ ისე ხშირად ყოფილა ასეთი განძის მფლობელი და სიამოვნებისაგან სახეგაბადრულმა ფული ჯიბეში იკრა.

— მაინც ერთი გზა გვაქვს და ბარემ ეგ ბოლჩა ბოლომდე წამომიღე,—უთხრა ქალმა და ციცაბო ფერდობს შეუყვა. პეტერი დაჰყვა ქალის ნებას, ბოღჩა ამოიღლიავა და წკეპლის ქნევით უკან მიჰყვა. ჰაიდი და თხებიც სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გამოედევნენ. „მაყრიონი" ორმოცდახუთ წუთში მწვერვალზე იყო.

ამწვანებულ მთის კალთაზე მთის კაცის ქოხი ქარისთვის გოროზი, ხოლო მზის სხივებისათვის კი თავაზიანი მასპინძელივით წამოჭიმულიყო და დაბლობს გადასცქეროდა. ქოხს თავზე სამი დატოტვილი ნაძვი წამოსდგომოდა. მშვენიერ, მწვანედ მობიბინე მაღლობს ქვიანი ჯაგნარი ცვლიდა, რომელიც ბოლოს სალი ტინებით მთავრდებოდა. იმ მხრიდან, საიდანაც ქოხი დაბლობს გადაჰყურებდა, მთის კაცს გრძელი მერხი დაედგა. პირში ჩიბუხგარჭობილი მოხუცი ახლაც მერხზე ჩამომჯდარიყო, ხელები მუხლებზე დაეწყო და მშვიდად გაჰყურებდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. პირველმა ჰაიდიმ ამოირბინა, ჯიქურ მივიდა მოხუცთან, ხელი გაუწოდა და სალამო მშვიდობისაო, საყვარლად მიესალმა.

— რა ამბავია? ეს რას ნიშნავს? — იკითხა მოხუცმა მკვახედ, ცივად გაუწოდა ხელი ბავშვს და ბურძგლა წარბებქვემოდან შეაშტერდა. ჰაიდის წარბიც არ შეუხრია. მოხუცის გრძელი წვერი და ერთმანეთზე გადაბმული ჯაგარივით წარბები ისეთ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ კარგა ხანს თვალი ვერ მოაცილა, მალე დეტემ და პეტერმაც ამოაღწიეს. პეტრიკელა სეირის მოლოდინში გაიტრუნა.

— აქა მშვიდობა, ბიძაჩემო! — მიესალმა მოახლოვებული დეტე. — ტობიასის და ადელაიდას შვილი მოგგვარეთ, ალბათ ვეღარც კი იცნობთ. ოთხი წელია არ გინახავთ.

— რა უნდა ბავშვს ჩემთან? — მოუჭრა მოხუცმა. მერე პეტერს მიუბრუნდა. — შენ რაღა გინდა აქ? ახლავე მოუსვი აქედან შენი თხებიანად, ისედაც გვიან მობრძანებულხარ. თან ჩემი თხებიც წაიყოლე.

პეტერს გამეორება აღარ დასჭირვებია, მთის კაცის ერთი შემოხედვაც საკმარისი იყო, რომ იქაურობას გარიდებოდა.

— სწორედ თქვენთან უნდა დარჩეს, ბიძაჩემო, — ნიშნისმოგებით მიუგო დეტემ. — ოთხი წელი მე ვპატრონობდი, ახლა სიტყვა თქვენზეა, თქვენ უნდა მიხედოთ!

— მაშ, ასე ხომ? — თვალებიდან ცეცხლი შეაფრქვია ქალს მოხუცმა. — ბავშვი რომ გამოგექცეს, მაშინ როგორ მოვიქცე?

— როგორც გენებოთ! — მიახალა დეტემ. — არც ჩემთვის უსწავლებია ვინმეს, როგორ მოვქცეულიყავი, როცა მე და დედაჩემს ერთი წლის ლლაპი ხელზე შეგვრჩა და აღარ ვიცოდით, საქმისთვის თავი როგორ გაგვერთვა. ახლა კი კმარა, თავს უნდა მივხედო, აბა თქვენ იცით, როგორც მოუვლით. თუ მოვლა არ შეგიძლიათ, რაც გინდათ ის ქენით, ისე კი იცოდეთ, თმის ერთი ღერიც

რომ დააკლდეს, პასუხს გაგებინებთ. თუმცა ობათ თავადაც არ ისურვებთ, კიდევ ერთი ცოდვით დაიმძიმოთ სული.

მთის კაცი წამოდგა და ისეთი თვალებით შეხედა ქალს, რომ შეშინებულ-მა მყისვე უკან დაიხია.

— ახლავე წაეთრიე საიდანაც მოსულხარ, ჩემმა თვალებმა ბოლო დაგინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოს!

დეტემ მეორედ აღარ გაამეორებინა სიტყვა. მოხუცს ნაჩქარევად დაემ-შვიდობა, ნახვამდის, ჰაიდი, მიაძახა ბავშვსაც და დაღმართზე დაეშვა. სოფ-ლამდე გზა სულ სირბილით ჩაათავა. გაოცებულმა სოფლელებმა მარტოდ მომავალი დეტე რომ დაინახეს, კითხვების კორიანტელი დააყენეს: ბავშვი სად დატოვე? გოგონა რა იქნაო? დეტე კი უხალისოდ პასუხობდა: ზევით მთის კაც-თან დავტოვე, მთის კაცთანო. მირბოდა დეტე და უკან მისდევდა ქალების სა-ყვედურები და გამკილავი შეძახილები. სინდისი ისედაც ქენჯნიდა: დამ შვილი ჩააბარა, მან კი ასე გასწირა. თავს იმითღა იმშვიდებდა, ფულს რომ ვიშოვი, ბავშვს უკეთ მივხედავო. უნდოდა ჩქარა გასცლოდა ამ ჭორიკანა ხალხს, მის საქმეებში რომ ეჩრებოდნენ და გული სარფიან სამუშაოსკენ მიუწევდა.

## თავი მეორე

## პაპასთან

დეტე თვალს მიეფარა თუ არა, მთის კაცი კვლავ მერხზე ჩამოჯდა, ჩიბუხი გააბოლა და მიწას მდუმარედ ჩააშტერდა. ამასობაში ჰაიდიმ იქვე ქოხზე მიდ-გმული თხების ბაკში შეიჭყიტა, მერე ქოხის უკან ბებერ ნაძვებთან მივიდა. უცებ ქარმა ნაძვებს მძლავრად წამოუქროლა და კენწეროებს ზუზუნი და წუ-ილი დააწყებინა. ჰაიდი გაინაბა, კარგა ხანს იდგა ყურებდაცქვეტილი. როცა ქარი ჩადგა, ჰაიდი ახლა სხვა მხარეს წაცუნცულდა: ქოხს შემოუარბინა და ისევ პაპასთან მივიდა, ცხვირწინ აეტუზა, ხელები ზურგზე შემოეწყო და აათვალი-ერ-ჩაათვალიერა. მთის კაცმა თავი ასწია და ახლა რას ინებებო, ჰკითხა მის წინ ატუზულ შვილიშვილს.

— მინდა ვნახო ქოხში რა გაქვს, — არ დაიბნა ჰაიდი.

— რადგან ასეა, წამობრძანდი! — პაპა წამოდგა და დაწინაურდა, — კა-ბების ბოხჩაც წამოაყოლე.

— ბოხჩა აღარ მჭირდება, — განაცხადა ჰაიდიმ. მოხუცი მობრუნდა და ბავშვს გამჭოლი მზერა ესროლა. პატარას მაყვალივით თვალები ქოხის დათვა-ლიერების მოლოდინში ცნობისმოყვარედ უციმციმებდა. „ეტყობა, ჭკუა არ აკლია", — თავისთვის ჩაილაპარაკა მთის კაცმა, მერე ხმამაღლა ჰკითხა:

— ვითომ რატომ არ გჭირდება?

— თხებივით ფეხშიშველმა მირჩევნია ვიარო.

— კი, ბატონო, შენი ნებაა, მაგრამ ბოხჩა აუცილებლად წამოიღე! — უკ-ვე ბრძანება გაერია პაპას ხმაში. ჰაიდი დაემორჩილა. მოხუცმა კარი გამოაღო და პატარას ვრცელ ოთახში შეუძღვა, რომელსაც მთელი ქოხი ეჭირა. შუა ოთახში მაგიდა და სკამი იდგა, ერთ კუთხეში — საწოლი, მეორე კუთხეში კი კერია, რომლის თავზეც ქვაბი ეკიდა. ერთ კედელში კარი იყო დატანებული. პაპამ კარი გამოაღო, კარს იქით კარადა აღმოჩნდა, შიგ მისი ტანსაცმელი ეკი-და. ერთ-ერთ თაროზე რამდენიმე ხელი პერანგი, წინდა და პირსახოცი ელაგა,

მეორეზე — ორიოდე თეფში, ფინჯანი და ჭიქა, სულ მაღლა თაროზე კი მრგვალი პური, ლორი და ყველი იდო. მოკლედ, მთელი თავისი ავლადიდება მოხუცს ამ კარადაში შეენახა.

ჰაიდიმ მოხუცს კარადის გაღება არ აცალა, წამში მირბინა და თავისი ბოღჩა პაპის ტანსაცმლის უკან, რაც შეიძლებოდა ღრმად დამალა, რათა თვალში ხშირად არ მოხვედროდა. შემდეგ დაკვირვებით მიათვალიერა ოთახი და იკითხა:

— მე სად დავიძინებ?

— სადაც მოისურვებ, — გაისმა პასუხად.

ჰაიდისაც ეს უნდოდა, ყოველი კუთხე-კუნჭული მოირბინა, წამსვე ამოირჩია, სად უფრო გემრიელად დაიძინებდა. პაპის საწოლის პირდაპირ კუთხეში პატარა კიბე მიეყუდებინათ, ჰაიდი სწრაფად აცოცდა ზედ და სათივეს წაადგა. აქ თივთიკივით ნაზი და სურნელოვანი თივა გაეშალათ. მრგვალი სარკმლიდან კი მთელი დაბლობი ხელისგულივით მოჩანდა.

— აი აქ დავიძინებ! — ჩამოსძახა ჰაიდიმ. — რა ლამაზია, პაპი, რა კარგია აქ. — ახლა საწოლს გავმართავ, ოღონდ შენი ზეწარი უნდა მომცე, პაპი. ჯერ ზეწარს დააფენენ და მერე ზედ დაწვებიან ხოლმე.

— დიახ, დიახ, დაუდასტურა პაპამ და კარადასთან მივიდა. პერანგების ქვემოდან უხეში ზეწრის მსგავსი რაღაც გამოაძრო და კიბეზე ავიდა. სათივეზე მშვენიერი საწოლი იყო გამართული, ჰაიდის ბალიშის ნაცვლად თივა ისე აეფუმფულებინა, რომ დაწოლილს შესძლებოდა პირდაპირ სარკმელში გაეხედა.

— კარგად მოგიწყვია, — მოუწონა პაპამ. — ახლა ზეწარსაც გადავაფარებთ...

— ერთი რაღაც რომ დაგავიწყდა, პაპი? — თქვა შეცბუნებულმა ბავშვმა.

— მაინც რა? — დაინტერესდა პაპა.

— რადა საბანი, პაპიკო: დასაძინებლად ხომ საბანსა და ზეწარს შორის წვებიან?

— შენ ასე ფიქრობ? კი, მაგრამ, მეტი რომ არაფერი მაქვს? — შეცბა მოხუცი.

— არა უშავს რა, პაპი, თივითაც იოლას გავალ.

— ერთ წამს მოითმინე! — მოხუცი ძირს ჩავიდა, შემდეგ მობრუნდა და იატაკზე მძიმე ჯვალოს ტომარა დადო. — თივას მაინც ხომ სჯობია?

ჰაიდი დასწვდა ტომარას, მაგრამ თავისი პაწაწინა ხელებით ვერას გახდა. პაპა წამოეშველა, ლოგინს გადააფარეს და საწოლიც მზად იყო. ჰაიდი აღტაცებას ვერ მალავდა:

— ბრწყინვალე საბანია და საერთოდ, მთელი საწოლი მშვენიერია! ნეტავი მალე დაღამდეს, რომ შიგ შევგორდე.

— ახლა კი დროა, ცოტა წავიხემსოთ. შენ რას იტყვი? — შეეკითხა ბავშვს.

პატარას დილას აქეთ პურის ნატეხისა და უგემური ყავის გარდა პირში არაფერი ჩასვლია, ამიტომ დიდხანს არც უფიქრია. — მომშივებიაო, მიუგო.

თუ ასეა, მაშინ დაბლა ჩავიდეთ.

პაპამ ცეცხლი გააჩაღა და ჯაჭვზე პატარა რძიანი ქვაბი დაკიდა. შამფურზე წამოცმული ყველის ნაჭრები მოტკაცუნე ცეცხლს მიუფიცხა და მანამ ატრიალა, სანამ ყველი მთლად ოქროსფრად არ შეიბრაწა. ჰაიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს პაპას, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოხტა და კარადასთან მიირბინა. ამასობაში პაპაც მივიდა სუფრასთან, შამფურზე წამოცმული

ყველითა და ქვაბით ხელში. მაგიდაზე უკვე იდო პური, ორი თეფში და ორი დანა: ჰაიდის მოესწრო კარადაში ჭურჭლის მოთვალიერება და ისიც მოეხაზრებინა, სადილობისთვის რა დაჭირდებოდათ.

— ყოჩაღ! — შეუქო პაპამ საზრიანობა და პურზე ყველი დაუ[illegible] სუფრას კიდევ ერთხელ გადახედა და მაინც რაღაც აკლიაო, თქვა. [illegible] ამომავალი ოხშივარი ჰაიდის ცხვირში საამოდ უღიტინებდა, პა[illegible] მიირბინა კარადასთან და ჯამი და ორი ჭიქა გამოიღო.

— კარგია, — ისევ შეაქო პაპამ. მაგრამ შენ სად დაჯდები? — ოთახში ერთადერთი სკამი იყო და იმაზეც თვითონ პაპა იჯდა. ჰაიდი ისარივით გაფრინდა, ბუხართან მდგარი ხის სამფეხა მოარბენინა და ზედ შემოსკუპდა.

— სკამი კი იშოვე, მაგრამ მაგიდას შენი სკამიდანაც ვერ შესწვდები. რაღაც უნდა მოვიფიქრო. — პაპა წამოდგა, ჯამი რძით გაავსო, სკამზე დადგა და სამფეხას ისე ახლოს მიუჩოჩა, რომ ჰაიდისთვის მაგიდის მაგივრობა გაეწია. ყველის ნაჭრებიც დაულაგა და უთხრა: „ახლა შეგიძლია მიირთვა".

ჰაიდიმ ხარბად მოიყუდა ჯამი, ხვრიპა და ხვრიპა სულმოუთქმელად რძე [illegible]

— გემრიელია? — შეეკითხა პაპა.

— ასეთი გემრიელი რძე არასდროს დამილევია, — თქვა ჰაიდიმ.

— მაშინ კიდევ დაგიმატებ, — პაპამ ჯამი ისევ გაუვსო. ჰაიდი გემრიელად შეექცეოდა პურზე კარაქივით წასმულ ყველს, თან რძეს აყოლებდა და ერთობ ნასიამოვნები ჩანდა. როცა დანაყრდნენ, პაპა თხების ბაკის დასალაგებლად წავიდა. ჰაიდი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ დაგავა პაპამ ბაკი, როგორ დააფინა ახალი თივა, მერე ერთხანს ფიცარს უტრიალა, ხვრელები გაუკეთა, შიგ მრგვალი ჯოხები ჩააჭედა და ფეხზე დააყენა. ზუსტად ისეთივე სკამი გაუკეთა გოგონას, როგორიც თავად ჰქონდა, ოღონდ უფრო მაღალი. ჰაიდი გაოცებას ვერ მალავდა.

ამასობაში შემგლისფერდა კიდეც, ქარმა იმატა და ბებერი ნაძვები ისე აატორტმანა, ხშირ კენწეროებს სულ ზუზუნი გაჰქონდათ, რაც ჰაიდის სასიამოვნოდ ჩაესმოდა ყურში და უჩვეულოდ ატაცებულ ნაძვიანს სულ კუნტრუშით უვლიდა გარს. პაპა საბძლის კართან იდგა და იქიდან უყურებდა ბავშვს. უეცრად სტვენა მოესმათ. დაღმართზე თხები მოკუნტრუშობდნენ. მათ შუა კი პეტერი მორბოდა. ჰაიდი სიხარულის ყიჟინით შეეგება მათ. ქოხს რომ გაუსწორდნენ, თხებიც და მწყემსიც შეჩერდა, ფარას ორი ლამაზი თხა გამოეყო, თეთრი და თაფლისფერი, პაპასთან მივიდნენ და ხელისგულზე დაყრილი მარილი აულოკეს. პეტერი კი თავისი ამალით თვალს მიეფარა.

— ხომ ჩვენებია, პაპი? ორივე ჩვენია, არა? ბაკში უნდა შევრეკოთ? სულ ჩვენთან იქნებიან, არა? — ისე დააყარა კითხვები აღფრთოვანებულმა ბავშვმა, რომ პაპა „ჰოს" თქმასაც ძლივს ასწრებდა.

— აბა, გაიქეცი, შენი ჯამი და პური მოარბენინე. — პაპამ თხები მოწველა, ჯამი რძით პირამდე გაავსო, პური მოუჭრა და უთხრა:

— ივახშმე და დაიძინე, ღამის პერანგი თუ დაგჭირდეს, დეიდა დეტემ რომ ბოხჩა დატოვა, იმაში მოძებნე, სკივრში დევს. მე თხებს უნდა მივხედო, აბა, ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა, პაპი, ძილი ნებისა; რა ჰქვიათ, პაპი, თხებს? — ბავშვი უკან გამოუდგა მოხუცს.

— თეთრს თეთრა ჰქვია, ყავისფერს — თაფლა.

— ძილი ნებისა, თეთრა, ძილი ნებისა, თაფლა. — მიაძახა ჰაიდიმ ბაკში

შესულ თხებს. შემდეგ მერხზე ჩამოჯდა და პური და რძე მიირთვა... ორიოდე წუთში თავის ბატონკაცურ ლოგინში ღრმა ძილით ეძინა უკვე. ღამე ქარი ისე გაძლიერდა, რომ ყოველ წამოქროლებაზე ქოხი ერთიანად ზანზარებდა, კოჭებს ზრიალი გაუდიოდათ. საკვამურში ქარი საწყალობლად ღმუოდა, ხან გაბმით ოხრავდა. შუაღამისას პაპა წამოდგა, იფიქრა, ბავშვი არ შეშინებოდესო... სარკმლიდან შემოჭრილმა მთვარის შუქმა წამით გაანათა ჰაიდის საწოლი. ბავშვს ლოყები დაბრაწოდა, ხელები თავქვეშ ამოედო, სასიამოვნო სიზმრებში ჩაძირულს, ბედნიერად და მშვიდად ეძინა. პაპა დიდხანს დაჰყურებდა უშფოთველად მძინარე შვილიშვილს.

## თავი მესამე

### საძოვარზე

მეორე დილით ჰაიდი ხმამაღალმა სტვენამ გამოაღვიძა. თვალი მოსჭრა სარკმელში შემოჭრილმა, თივაზე დაღვრილმა სინათლემ, ირგვლივ ყველაფერს ოქროსფრად რომ ათინათებდა. ჰაიდი გაოცებული ათვალიერებდა იქაურობას და ვერ გამოერკვეულიყო, სად იმყოფებოდა. როგორც კი გარედან პაპის ბოხი ხმა შემოესმა, ყველაფერი ერთბაშად მოაგონდა. მოაგონდა, როგორ დააღწია თავი ყრუანჩელა მოხუც ურზელს, მუდამ სიცივისაგან რომ ხავხავებდა და ხან სამზარეულოს ფანჯარასთან იჯდა და ხან ბუხართან. თან გვერდიდან არ იშორებდა ჰაიდის. არადა, გოგონას ოთახში გული არ უდგებოდა, ხშირად წამოუვლიდა ხოლმე გარეთ გავარდნის ჟინი. ახლა კი იგრძნო, რა ბედნიერიც იყო, როცა ახალ ჭერქვეშ გამოიღვიძა. გაახსენდა რამდენი ახალი რამ ნახა გუშინ და, ვინ იცის, კიდევ რამდენის ნახვა ელოდა. უპირველესად თეთრა და თიფლა მოაგონდა და მსწრაფლ წამოფრინდა ლოგინიდან. ორ წამში გუშინდელივით ხალვათად ჩაიცვა, კიბე ჩაირბინა და ეზოში გავარდა. პეტერს უკვე მოერეკა თავისი ამალა, პაპას კი ის იყო თხები გამოჰყავდა ბაკიდან, რომ საძოვარზე გაეშვა.

— გინდა საძოვარზე გაგიშვა? — შეეკითხა პაპა. ჰაიდისაც ეს უნდოდა, სიხარულისაგან აცმუკდა. — ოღონდ ჯერ პირი დაიბანე, გალამაზდი, თორემ მზე დაგცინებს. გაიხედე იქით, შენ გელოდება. — პაპამ წყლით სავსე გობზე მიუთითა, რომელიც კარის წინ დაედგა. ჰაიდიმაც არ დააყოვნა, შიგ ჩახტა და იმდენი იბანა,ვიდრე არ გაქათქათდა. ამასობაში პაპა ქოხში შებრუნდა და პეტერი იხმო:

— აბა, თხების გენერალო, აქეთ მობრძანდი შენი აბგიანად.

პეტერმა ზანტად აითრია წელი და აბგა გაუწოდა, რომელშიც თავისი ღარიბული ულუფა ედო. მოხუცმა პურისა და ყველის ორი ისეთი მოზრდილი ნაჭერი ჩაუდო, რომ პეტერს ისედაც მრგვალი თვალები გაოცებისაგან მთლად საცრისოდენა გაუხდა.

— ახლა ჯამიც ჩავდოთ, — განაგრძობდა მთის კაცი. — ჰაიდი ხომ შენსავით ვერ მოსწოვს თხას, ჯერ არაა მიჩვეული. სადილად ორი ჯამი რძე მოუწველე. იცოდე გვერდიდან არ მოიშორო. ფხიზლად იყავი, კლდეზე არ გადაიჩეხოს. გესმის?

მალე ჰაიდიმაც მოირბინა:

— ახლაც დამცინებს მზე, პაპი? პატარას უხეში პირსახოცით ისე გულ-

მოდგინედ გაეწმინდა სახე, ყელი და მკლავები, რომ კიბორჩხალასავით გაწითლებულიყო. პაპას გაეღიმა.

— არა, ახლა მართლაც ვერ დაგცინებს! !!— მაგრამ შებინდებისას, უკან რომ დაბრუნდები, ერთხელ კიდევ იბანავე, რადგან თხასავით ფეხშიშველა თუ იხტუნავებ, ფეხები გაგითხუპნება. ახლა თუ გინდა, ფეხსაცმელები გაიძრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიდი სიამოვნებით დაჰყვა პაპის ნებას.

მხიარულად აათავა ფერდობი ჰაიდიმ. ღამით ქარს ღრუბლის უკანასკნელი ქულა გაეფანტა. ლურჯად მოლივლივე ცის შუაგულში გალაღლაღებული მზე ეკიდა და მწვანე ფერდობზე ირეკლებოდა. ამდენი მოლიცლიცე და ნიავზე მოქანავე ყვავილებით აღტაცებულ ჰაიდის აღარც პეტერი ახსოვდა და აღარც თხები. ყვავილებს წყვეტდა და წინსაფარში იყრიდა, რათა შინ წაეღო, თავისი თივის ლოგინი მოერთო და მინდვრისთვის დაემსგავსებინა. პეტერს საქმე გაუჩნდა: თხებიანად დასდევდა ჰაიდის. თან ძალუმად უსტვენდა, რომ გაფანტულ ფარასათვის მოეყარა თავი. ჰაიდის თავის სიცოცხლეში არ ეყნოსა ასეთი თავბრუდამხვევი სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი. ყვავილებში ჩამჯდარი ხარბად ისრუტავდა ნაზ სურნელს.

— ახლავე დაბრუნდი! ხომ გაიგონე, რა თქვა პაპაშენმა, კლდეზე არ გადაიჩეხოსო!

— აბა სადაა კლდეები? — ქარის ყოველ წამოქროლებაზე ყვავილების ნაზი სურნელი უფრო და უფრო საამურად ესალბუნებოდა გოგონას.

— სად და, სულ მაღლა; ჩვენც შორსა ვართ წასასვლელი. ყველაზე მაღალ კლდეზე ბებერი ძერა ზის და ჩხავის. — ამან კი გასჭრა; ჰაიდი თვალის დახამხამებაში პეტერთან გაჩნდა.

— კარგი ვინმე ხარ, თუ მთელი ყვავილები დღეს დაკრიფე, ხვალისათვის რაღა დაგრჩება.

ბოლო სიტყვები ჰაიდის ჭკუაში დაუჯდა. სხვა რომ არაფერი, ყვავილებით სავსე წინსაფარშიც ტევა აღარ იყო, დაიმედებული,(რომ ხვალაც აქ ამოვიდოდნენ პეტერს მიჰყვა. თხებმა შორიდანვე იყნოსეს გემრიელი ნეკერი და მწყობრად და შეუჩერებლივ მიიწევდნენ წინ. იალაღი, სადაც პეტერი ფარას აძოვებდა, ზედ კლდის ძირას გაშლილიყო. ცალი მხრიდან ციცაბო ტინებად ეშვებოდა დაბლა და პაპის გაფრთხილება მართლაც რომ ყურადსაღები იყო. საძოვარს რომ მიაღწიეს, პეტერმა აბგა მოიხსნა და ეს საგანძური ქარს რომ არ დაეგორებინა მთიდან, ფრთხილად ჩადო პატარა ორმოში, თვითონ კი ბალახზე წამოწვა დასასვენებლად. ჰაიდიმ ამასობაში ყვავილებით სავსე წინსაფარი შემოიხსნა, თავი მოუკრა, საჭმლით სავსე აბგას გვერდით მიუდო და პეტერს მიუჯდა. ძირს, დილის ბრწყინვალებაში ნებივრად გაწოლილიყო დაბლობი. წინ კი განიერი დათოვლილი ფერდობი აღმართულიყო და თავზეც ქლიავისფერი ცა წამოსდგომოდა. ბავშვი გასუსული იჯდა და გარშემო იყურებოდა. შორეთში სიჩუმე ხმაურობდა. მხოლოდ საამური სიო ეჩურჩულებოდა ნაზფურცლება ცისფერ შროშნებსა და ოქროსფრად მოელვარე ფურისულებს, ირგვლივ რომ მიმოფენილიყვნენ და ღეროებს ნაზად არხევდნენ. დაღლილი პეტერი ბურანში წავიდა. თავის ნებაზე მიშვებული თხებიც მაღლა ბუჩქნარს შესეოდნენ. ჰაიდის თავის სიცოცხლეში ასეთი სიამე არ უგრძნია. მზის ოქროსფერ სხივებს, სუფთა ჰაერს ისრუტავდა და ქვეყანაზე არაფერს ნატრობდა აქ დარჩენის გარდა. ამასობაში კარგა დრო გაიპარა. ჰაიდი ხშირ-ხშირად ახედავდა ხოლმე კლდეებს

და ბოლოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს კლდეებს თვალები ჰქონდათ და მეგობრულად ჩამოსცქეროდნენ.

უცებ ჰაიდის თავზე რაღაცამ ხმამაღლა დასჩხავლა. ბავშვმა მაღლა აიხედა. თავს დიდი ფრთებგაშლილი ფრინველი დასტრიალებდა. რომლის მსგავსი ჯერ არსად ენახა.

— პეტერ, პეტერ, გაიღვიძე! — იყვირა ჰაიდიმ. — შეხედე, შეხედე, ძერა მოფრინდა.

პეტერმა ჰაიდის ძახილზე თავი წამოსწია და ორივემ თვალი გააყოლეს ძერას, რომელიც მაღლა-მაღლა აიჭრა, ცის სილურჯეს შეერია და ბოლოს ტუხ კლდეებს მიეფარა.

— საით გაფრინდა ძერა? — იკითხა ჰაიდიმ, თან გაფაციცებით ადევნებდა ფრინველს თვალყურს.

— თავის ბუდეში. — აუხსნა პეტერმა.

— მაღლა აქვს ბუდე? რა კარგია იმ სიმაღლეზე. ესე რატომ ჩხავის?

—იმიტომ რომ სხვანაირად არ შეუძლია, — აუხსნა პეტრიკელამ.

— ავცოცდეთ რა და ვნახოთ მისი ბუდე? — სთხოვა ჰაიდიმ.

— ოჰ, ოჰ, ოჰ. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოისროლა პეტერმა. — იქ შენ კი არა, თხებიც ვერ ავლენ. ეგეც არ იყოს, პაპამ დამაბარა, ჰაიდი კლდეზე არ გადაიჩეხოსო! — პეტერმა ერთი ძლიერად დაუსტვინა. ჰაიდი ვერ მიხვდა, რატომ დაუსტვინა ბიჭმა, სამაგიეროდ თხები მიხვდნენ. ერთმანეთის მიყოლებით მოირბინეს. თხები კუნტრუშობდნენ, ერთმანეთს რქებით ეჭიდებოდნენ. ჰაიდი წამოხტა, ფარაში შეერია და სათითაოდ მიეალერსა ყველას.

ამასობაში პეტრიკელას აბგიდან ყველი და პური ამოიღო, დიდრონი ნაჭრები ჰაიდის მხარეს დაეწყო, პაწია ნაჭრები კი თავისთვის დაელაგებინა. მერე თეთრა მოწველა, ქაფქაფა რძით სავსე ჯამი შუაში ჩადგა და ჰაიდის მოუხმო.

— კმარა კუნტრუში, ჭამის დროა! — უთხრა პეტერმა. — აბა, დასკუპდი და მიირთვი.

— ეს ჩემი რძეა? — ჰაიდი დაჯდა და გემრიელი ულუფა კმაყოფილებით შეათვალიერა.

— რძეც შენია, — მიუგო პეტერმა, — და პურის ორი დიდი ნაჭერიც. თუ ეგ რძე არ გეყოფა, თეთრა ერთ ჯამს კიდევ გიბოძებს. მერე ჩემს თავს მივხედავ.

— შენთვის რომელ თხას მოწველი? — დაინტერესდა ჰაიდი.

— რომელსა და, ჩემს თხას, შეკას, შენ ვირჩევნია ყბა მოიქნიო, — შეახსენა პეტრიკელამ. ჰაიდიმაც მეტი აღარ გაამეორებინა. რძით სავსე ჯამი რომ გამოსცალა, პეტერმა კიდევ ერთი ჯამი რძე მოუწველა. პეტრიკელამ თავისი ულუფა წამსვე გადაყლაპა. ჰაიდიმ კი თავის წილ პურს, პეტერის ულუფას საკმაოდ რომ აღემატებოდა, ცოტა მოაციცქნა და დარჩენილი პური მოზრდილ ყველთან ერთად პეტრიკელას გაუწოდა, აიღე, მე მეტი აღარ მინდაო. პეტერი ჰაიდის ცდტაცებული მიაშტერდა, რადგან თავის სიცოცხლეში არც ასეთი გულუხვი ყოფილა და არც ჰქონია რაიმე გასაჩუქებელი. ერთხანს ჰოჭმანობდა, ვერ დაეჯერებინა ჰაიდის გულკეთილობა. პატარა კი დაჟინებით უწვდიდა ყველსა და პურს და რაკი შეატყო, ვერ მიმიხვდაო, ადგა და მუხლებზე დაუდო. ახლა კი მიხვდა პეტრიკელა, რომ ჰაიდი აღარ ხუმრობდა. მეტი ხვეწნა აღარ დასჭირვებია, ხელი დაავლო ნაწყალობევს, მადლობისა და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და მაშინვე შეექცა მწყემსი ბიჭისთვის მართლაც და მეფურ სადილს.

— რა ჰქვიათ, პეტერ, თხებს?

პეტრიკელა სხვა რა მოხელე იყო, რომ თხის სახელები არ სცოდნოდა. მით უმეტეს, რომ სხვა არც ისე ბევრი რამის დამახსოვრება ევალებოდა. ჰოდა, სულმოუთქმელად ჩამოუკაკლა, რომელს რა ერქვა. ჰაიდიმ ცოტა ხანში ყველას სახელი ზეპირად იცოდა. ყოველ მათგანს რალაც ნიშნით იმახსოვრებდა. აი, პაწია ფიფქა, მუდამ ასე გულში ჩამწვდომად და მავედრებლად [illegible]ყენებს. ვინ მოთვლის, უკვე რამდენჯერ მოეფერა ჰაიდი. აი, ახლაც, როცა ფიფქა საწყალობლად აკიკინდა, ისევ მიირბინა ჰაიდიმ. კისერზე ხელი შემოხვია და მიუალერსა: „რად კიკინებ, რა გაწუხებს, ფიფქა? რით გიშველო?“ თიკანმა იგრძნო ალერსი, გაყუჩდა და ბავშეს მიეკრა. პეტრიკელას ჯერ კიდევ პირი ჰქონდა გამოტენილი საჭმლით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსძახოდა:

— იკიკინებს აბა რა, პატრონი აღარა ჰყავს. გუშინ გაყიდეს მაიენფელდში, არც არასოდეს ამოვა საძოვარზე.

— ვინ პატრონი გაუყიდეს? — იკითხა ჰაიდიმ გულისტკივილით.

— ჰმ, ვინ და, დედამისი!

— ბებია სადღა ჰყავს?

— არა ჰყავს.

— არც პაპა ჰყავს?

— არა!

— საბრალო ფიფქა, — ჰაიდიმ თიკანი ნაზად მიიხუტა. — ნუ კიკინებ ასე საბრალოდ, მე გამომყვები ყოველდღე საძოვარზე, სულ ერთად ვიქნებით, თუ რაიმე დაგჭირდება, ჩემთან მოირბენ.

ქათქათა თეთრა და ულამაზესი თაფლა ფარის სიამაყე იყო, მართლაც და თავმომწონედ მიიკვლევდნენ გზას, აბეზარი ყოჩის გვერდიგვერდ სიარულს კიდეც თაკილობდნენ. თხები ხან ისევ კლდეებზე ეთოთხებოდნენ, ხან დინჯად მიიწევდნენ წინ და ნოყიერ ნეკერს მიირთმევდნენ. აბეზარი ყოჩი კი გზადაგზა თხებს ერჩოლებოდა. შვენლიმ და ბერლიმ გემრიელ ნეკერს მიაგნეს, მაღლა ახტნენ და ნაზად დაუწყეს ცმუცნვა. ზურგზე ხელებდაწყობილი ჰაიდი გაფაციცებით ადევნებდა ფარას თვალყურს.

— პეტერ! — მიუბრუნდა ჰაიდი ბალახში წამოკოტრიალებულ ბიჭს. — შვენლი და ბერლი ყველაზე ლამაზები არიან, არა?

— ჰმ, ახალი ამბავი, ლამაზები იქნებიან აბა რა, მთის კაცი ყოველდღე აბანავებს, მარილს აჭმევს და სუფთა ბაკშიც აძინებს.

უცებ პეტერი წამოვარდა და ორი ნახტომით თხებთან გაჩნდა. ჰაიდიმ იფიქრა, ნამდვილად რალაც ამბავიაო და უკან მიჰყვა. პეტერმა ფარა გაარღვია და იქით გაიქცა, სადაც ფერდობი კლდის ტინებად დაბლა ეშვებოდა. აქ ნებისმიერ ცუღლუტ თიკანს შეეძლო კისერი მოეტეხა. ბიჭმა ყოჩს სულზე მიუსწრო. კლდის პირზე შემდგარ ყოჩს ხელი სტაცა, მაგრამ მიწაზე გაიშხლართა და ხელი მხოლოდ ყოჩის ფეხსლა სტაცა. პეტერმა ჰაიდის უხმო საშველად, იცოდა, თხა ძლიერი იყო და დიდხანს ვერ შეძლებდა მის ხელით დაჭერას. ჰაიდიც მსწრაფლ მასთან გაჩნდა, მიხვდა, რაც ხდებოდა. სწრაფად ამოგლიჯა სურნელოვანი ბალახი და ჯიუტ თხას ცხვირწინ აუფრიალა, თან დაუყვავა: „მოდი, კოხტა, შენ ხომ ჭკვიანი ხარ, გადაიჩეხები“. ჰაიდის ფანდმა გასჭრა, თითქოს არაფერი მომხდარაო, ყოჩი შემობრუნდა და სიამოვნებით ჩააკნატუნა ბალახი. ამ დროს პეტრიკელამ წამოიწია, თხას საყელურში სწვდა და კლდის

პირს გამოარიდა. მერე წკეპლას წამოავლო ხელი და ურჩს მიტყეპვა დაუპირა. თხამ იგრძნო საფრთხე და საბრალოდ აკიკინდა, ჰაიდი ხელებში ეცა:

— არა, რა, პეტერ, არა სცემო, შეხედე, შენი როგორ ეშინია!

— დაიმსახურა! — წაიდუდღუნა პეტერმა და ისევ გაიწია. ახლა კი სცემ-სო, გაიფიქრა ჰაიდიმ, ჩააფრინდა პეტერს ხელში და განწირულად შეჰყვირა: „არა, ვერ დაგანებებ, ეტკინება, თავი დაანებე!“

გაოცებული პეტერი აბობოქრებულ ჰაიდის მიაშტერდა. გოგონას შავი თვალები ცეცხლივით ანთებოდა. ბიჭმა წკეპლა უნებურად ძირს დაუშვა,

— გავუშვებ თუ შენ წილ ყველს ხვალაც დამითმობ, — უცებ მოლბა პეტერი გასამრჯელოს მოლოდინში.

— შენი იყოს, ხვალაც, ზეგაც და თუ გინდა ყოველდღე, მე არ მჭირდება, — სიხარულით დათანხმდა ჰაიდი, — ოღონდ ნურც ფიფქას, ნურც კიხტას ნუ ახლებ ხელს და თუ გინდა, პურიც შენი იყოს.

პეტერმა ხელი უშვა დამნაშავეს, რომელიც ბუქნა-ბუქნით შეერია ფარას. ასე შეუმჩნევლად გაიპარა დღე. მზის ჩასვლისას ჰაიდი ისევ ბალახებში იჯდა და მზის სხივებში მოკიაფე ყვავილებს მშვიდად დასცქეროდა. ბალახი ოქროსფრად აბიბინდა, ჯაგებს თითქოს ცეცხლი მოედოთ, აელვარდნენ და აციაგდნენ. ჰაიდი უცებ ფეხზე წამოიჭრა და შესძახა:

— პეტერ, პეტერ, იწვის! იწვის! თოვლიც იწვის! ცაც! შეხედე, შეხედე! მაღალი კლდე როგორ გავარვარდა! რა ლამაზია ცეცხლმოკიდებული მზე! წამოდექი, პეტერ, ნახე, ცეცხლმა ძერამდეც მიაღწია! შეხედე კლდეებს, ნაძვებს! ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული!

— ყოველთვის ასეა, — პეტერმა აუღელვებლად განაგრძო წკეპლის გასხეპა, — ეს ცეცხლი არ არის.

— აბა, რა არის? — იკითხა ჰაიდიმ, ხან აქეთ რომ გავარდებოდა და ხან იქით და ამ ზღაპრული სილამაზის ცქერით ვერ ძღებოდა, — რა არის, პეტერ, რა? — არ ისვენებდა ჰაიდი.

— ეს ბუნების მოვლენაა.

— შეხედე, შეხედე! — წამოიძახა გაოცებულმა ჰაიდიმ. — როგორ შევარდისფერდნენ, ხედავ, აი, იმ მაღალ, თოვლით დაფარულ კლდეებს, რა ჰქვიათ, პეტერ.

— მთებს სახელებს არ არქმევენ!

— რა ლამაზი ყოფილა ვარდისფერი თოვლი! რამდენი ვარდი გაშლილა მაღლა, სულ მაღლა კლდეებზე! შეხედე, შეხედე, ახლა სულ განაცრისფერდნენ! ვაიიი, ყველაფერი გაქრა, პეტერ!

— ნუ გეშინია, ხვალაც ასე იქნება! — დაამშვიდა პეტერმა. — ახლა კი შინ დაბრუნების დროა, — ამის თქმა და დასტვენა ერთი იყო. თხებმაც აღარ გაამეორებინეს და მორჩილად დაადგნენ სახლის გზას.

— ყოველთვის ასე იქნება, როცა საძოვარზე ამოვალთ? — არ იშლიდა ჰაიდი, როცა თავქვე დაეშვნენ.

— ხშირად იქნება ასე! — დაუდასტურა პეტერმაც.

— ხვალ ხომ აუცილებლად იქნება? — უკვე თავი მოაბეზრა ჰაიდიმ.

— აბა რა, ხვალაც ასე იქნება.

ჰაიდი ისევ გამხიარულდა და დღევანდელი შთაბეჭდილებებით გაბრუებულს კრინტიც აღარ დაუძრავს. მთის კაცი ჩვეულებისამებრ ნაძვის ძირში სკამზე იჯდა და შებინდებულზე თხების მოლოდინში გზას გაჰყურებდა. ჰაიდი

სწრაფად მიუახლოვდა პაპას. შვენლიმ და ბერლიმ იცნეს პატრონი და მშობ-
ლიური ბაკი და აედევნენ ჰაიდის.
— ხვალამდე! ძილი ნებისა! — მიაძახა პეტერმა ჰაიდის, თან გულის კუნ-
ჭულში უხაროდა ხვალინდელი დღე. ჰაიდი წამსვე უკან გამოენთო, პეტერს/ხე-
ლი გაუწოდა, დაემშვიდობა და აღუთქვა, რომ ხვალაც წაყვებოდა [illegible]
შემდეგ ფარაში შეერია, კიდევ ერთხელ მიუალერსა ფიფქას [illegible]
ფიფქა. იმაზე იფიქრე, რომ ხვალ ისევ მოვალ შენთან, სულ ერთად ვიქნებით
და ასე საბრალოდ აღარ იკიკინებ". ფიფქამ მადლიერი თვალებით შეხედა ჰა-
იდის და მხიარულად აედევნა ფარას. ჰაიდი კი ისევ ნაძვებისაკენ შემობრუნდა
და პაპას შორიდანვე მიაძახა.
— რომ იცოდე, პაპი, რა სილამაზე ვნახე! კლდეზე ცეცხლი და ვარდები
ენთო. რა ცისფერი და რა ყვითელი ყვავილები ვნახე. უი, სულ დამავიწყდა,
ნახე, რა მოგიტანე! — ჰაიდიმ წინსაფრიდან მთელი ყვავილნარი გადმოშალა,
მაგრამ ერთი გენახათ, რას დამსგავსებოდნენ. ჰაიდიმ ველარც კი იცნო, ისე
დამჭკნარიყვნენ, ერთ ღეროსაც კი არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.
— ყვავილების ადგილი ჰაერზეა და არა წინსაფარში, — უთხრა პაპამ.
— მეტს აღარ წამოვიღებ ყვავილებს, პაპი. ისე, თუ იცი, ძერა რატომ
ჩხაოდა? — კითხვები არ ელეოდა პატარას.
— აბა, ჯერ წყალში ჩატყაპუნდი, ვიდრე მე ბაკიდან რძეს გამოვიტან და
როცა ვივახშმებთ, მერე გეტყვი, რატომ ჩხავის ძერა.
ასეც მოხდა მოგვიანებით, როცა თავის აწოწილ სკამზე დასკუპული ჰაიდი
პაპასთან ერთად ვახშამს შეექცეოდა, ისევ შეეკითხა: „ჰა, პაპი, რატომ ჩხავის
ძერა?
— რატომ და, ხალხს დასცინის, ჩამოსძახის, სოფლებში რომ შეჯგუფულ-
ხართ და ერთმანეთისთვის კარგი არ გემეტებათ, დაიმალეთო, ჩემსავით თქვენი
გზები და მწვერვალები მონახეთ და თავს ბედნიერად იგრძნობთო.
ეს სიტყვები პაპამ ისე გოროზად წარმოთქვა, რომ ჰაიდის ყურში ნათლად
ჩაესმა ძერას ჩხავილი.
— პაპი, რატომ არა აქვთ მთებს სახელები? — კვლავ იკითხა ჰაიდიმ.
— ვინ გითხრა, რომ არა აქვთ? თუ რომელიმე მათგანს ამიწერ, სახელსაც
გეტყვი.
ჰაიდიმაც აღწერა თუ არა მაღალი ციცაბო კლდე, პასუხიც მაშინვე მიიღო.
— ეგ ხომ ფალკნისია, კიდევ რომელი მთა ნახე?
ჰაიდიც არ დაზარდა, მაშინვე აუწერა, როგორ წაეკიდა ერთ თოვლიან
მთას ცეცხლი, როგორ გავარდისფრდა და ბოლოს როგორ ჩაქრა. მაგას სკე-
საპლანას ეძახიან, როგორც გატყობ, შენ საძოვარიც მოგწონებია.
ჰაიდიმ პაპას სულ წვრილ-წვრილად ჩაუკაკჭა მთელი დღის შთაბეჭდილე-
ბები, განსაკუთრებით მზის ჩასვლაზე ელაპარაკა. ჰკითხა, ეს როგორ ხდებაო,
რადგან პეტრიკელამ არა იცოდა რა და გოგონას ცნობისმოყვარეობა ვერ დაუ-
ცხრო.
— ეს სულ მზის ოინებია, — აუხსნა პაპამ, — როცა მზე მთებს ძილი ნე-
ბისას უსურვებს, თავისი უკანასკნელი სხივებით მიუალერსებს ხოლმე, რათა
დილამდე არ დაავიწყდეთ მისი სითბო.
ჰაიდის პაპის ნაამბობი კი მოეწონა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, როდის
გათენდებოდა, როდის გაინავარდებდა იალაღზე და მზის ჩასვლის ცქერით დატ-
კბებოდა, ახლა კი უკვე ძილის დრო მოსულიყო. პატარას მთელი ღამე შესა-

ნიშნავად ეძინა თავის თივის საბრძანებელში და სიზმრად ვარდებით მოფენილ მთებს და მის კალთებზე მხიარულად მოკუნტრუშე ფიფქას ხედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეოთხე

### დიდედასთან

მეორე დილით ისევ გამობრდღვიალდა მზე, პეტრიკელაც გამოჩნდა თავისი თხებით და ყველამ ერთად ისევ იალაღს მიაშურეს. ასე გადიოდა დღეები. ჰაიდი იალაღზე ისე გაირუჯა, ისე გაკაჟდა და გამოკეთდა, რომ ავ თვალს არ ენახვებოდა. როგორც კი შემოდგომა დადგა და ქარმა წამოუბერა, პაპამ ჰაიდის იალაღზე სიარული აუკრძალა. ეს რომ პეტრიკელამ შეიტყო, ძალიან დადარდიანდა, ისე მოისაკლისა ჰაიდი, რომ აღარ იცოდა რა ეღონა. უგემურად წაიხემსა, თხებიც გაუჯიუტდნენ, ერთი სიტყვით, პეტრე ორმაგად დაიტანჯა, თხები ისე შეჩვეოდნენ ჰაიდის, რომ უიმისოდ ნაბიჯის გადადგმაც არ უნდოდათ. ჰაიდის კი რა მოაწყენდა, ყველგან პოულობდა გასართობს. მართალია, არც იალაღზე წასვლაზე იტყოდა უარს, თხებს, ყვავილებსა და ძერას სიამოვნებით მოინახულებდა, მაგრამ პაპას ჩხირკედელაობაც საკმაოდ ართობდა ბავშვს. სიამოვნებით შესცქეროდა, როგორ ამოჰყავდა პაპას ყველი. აღტაცებული უცქეროდა, როგორ ურევდა მკლავებდაკაპიწებული პაპა უზარმაზარ ქვაბში ხელებს. და მაინც ყველაზე დიდი განცდა ჰაიდისათვის, ასეთ ქარიან დღეებში, ქოხს უკან მდგარი სამი ბებერი ნაძვის შრიალის და ჩურჩულის მოსმენა იყო. ხანდახან, როცა ნაძვების ჩურჩული მოენატრებოდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერს თავს მიანებებდა და ნაძვების ჩურჩულის მოსასმენად გარბოდა. თანდათან აგრილდა, ჰაიდიმ მიაკითხა თავის წინდებს, კაბებს და ფეხსაცმელებს. როცა ნაძვებთან იდგა, ცივი ქარი ძვალსა და რბილში უვლიდა და მაინც ოთახში ჯდომას ნაძვების ცქერა და ეზოში სიარული ერჩია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქარის ყოველ წამოქროლებაზე გარეთ გარბოდა.

მალე მთლად აცივდა და დილაუთენია საძოვარზე მიმავალი პეტერიც ხელებს იორთქლებდა ხოლმე. ერთხელაც ღამით ისე ბარაქიანად მოთოვა, რომ დილისთვის მთელი იალაღი გადათეთრდა. პეტერიც ვეღარ ამოდიოდა საძოვარზე. ფანჯარასთან მიმჯდარ ჰაიდის უკვირდა, ეს რამოდენა ფანტელები ცვივაო. ცოტა ხანში იმოდენა თოვლი დადო, რომ ფანჯრის გაღება არ შეიძლებოდა. მეორე დღეს პაპამ ნიჩაბი მოიმარჯვა და სახურავიდან თოვლი გადახვეტა.

ერთ დღეს პეტრიკელა მობრძანდა მუხლებამდე თოვლში ამოგანგლული. უკვე სადაცაა რვა დღე იყო პეტერს ჰაიდი არ ენახა და აბა რა ძალა დააბამდა სახლში, გათოშილი სტუმარი ცეცხლს მიეფიცხა და სიამოვნებისაგან გაყუჩდა. ჰაიდი ერთხანს გაოცებული შესცქეროდა ნიაღვრად ქცეულ პეტერს, მთელი ტბა რომ დააყენა ოთახში.

— აბა, თხების გენერალო, როგორ მიდის საქმეები? — შეეკითხა პაპა. — ლაშქარი ხომ მიატოვე, ახლა გადამდგარი გენერალი ხარ და ფანქარი უნდა დახრა.

— რატომ უნდა დახრას ფანქარი? — გაუკვირდა ჰაიდის.

— ზამთრობით სკოლაში დადის, — აუხსნა პაპამ. — წერა-კითხვა უნდა ისწავლოს, ეს ცოტა ძნელი საქმეა და თუ ფანქარი არ დახრა, ისე არა ეშველება რა. ასეა არა, თხების გენერალო? — მიუბრუნდა პაპა პეტრეს.

— დიახ, ასეა, — კვერი დაუკრა პეტერმაც.

ჰაიდიმ სტუმარს შეკითხვები დააყარა, სკოლა რა არისო, იქ რას აკეთებთო, რას გასწავლიანო, პეტერიც დაუზარებლად პასუხობდა.

ვიდრე ბავშვები ტიკტიკებდნენ პაპას სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ ლიმილზე ეტყობოდა, რომ მათი არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია.

— ესეც ასე, თხების გენერალო, ხომ გათბი, ახლა ცოტა უნდა დაგვეხმარო, აბა, დაგვეწიე! — პეტერს გაოცებისაგან თვალები გადმოეკარკლა, როცა მთის კაცმა დიდრონ პურზე დადებული ხორცი გაუწოდა. ბიჭს პირწყალი მოადგა. ისეთი სასუსნავი დიდი ხანია არ ეგემნა. როდესაც ცას ბინდი გადაეკრა და პეტერი წასასვლელად მოემზადა, გამომშვიდობებისას ჰაიდის მიუბრუნდა:

— კვირის თავზე ამოვალ; ჰო, მართლა, ბებომ დამაბარა იქნებ ჰაიდიმ ერთხელ მაინც მნახოსო.

იმ დღიდან ჰაიდის ახალი საფიქრალი გაუჩნდა. სტუმრად წასვლის ფიქრი დღე და ღამე არ ასვენებდა. შეიკლა პაპამისი ხელში, ბებოსთან უნდა ჩავიდე, მელოდებაო. „ძალიან დიდი თოვლია, დღეს ვერ გაგიშვებ," — ეუბნებოდა პაპა. ერთხელ დღეს, როცა საშინელი ყინვა აჭერდა და თოვლი ყოველ ნაბიჯზე კრაჭუნობდა, მზე გამოვიდა. ჰაიდის მზის დანახვაზე გული მიეცა: პაპი, დღეს კი ნამდვილად უნდა ჩავიდე ბებოსთან, საწყალი ლოდინით ალბათ დაიღალაო.

პაპამ არა უპასუხა რა, საბძელში შევიდა და იქიდან განიერი ციგა გამოაძვრინა, ციგაზე დაჯდა. ბავშვი მუხლებზე დაისვა, ტომარაში კარგად ჩაფუთნა, მარცხენა ხელით გულზე მიიხუტა, მარჯვენა ჯოხს ჩაავლო, ერთი მაგრად უბიძგა ციგას და ისეთი სისწრაფით გაფრინდნენ, რომ ჰაიდიმ შიშისაგან შეჰკივლა კიდეც. სულ რაღაც ორ წუთში გაჩნდნენ მწყემსის ხუხულასთან. პაპამ ბავშვი ციგიდან გადმოსვა, ტომარა შემოხსნა და უთხრა, ახლა შედი და როცა მოსაღამოვდება, შინ წამოდიო. თვითონ კი მიტრიალდა და თოვლიან აღმართს შეუყვა. პაპა თვალს რომ მიეფარა, ჰაიდიმ ქოხის კარი გამოაღო და პატარა ჩაბნელებულ ოთახში მოხვდა. ოთახში ღუმელი ენთო. ცოტა მოშორებით კიდევ მოჩანდა კარი. ჰაიდი მისწვდა და გამოაღო და ახლა სხვა ოთახში აღმოჩნდა, რომელიც არაფრით ჰგავდა პაპის დიდ და ნათელ ოთახს, არც თივაყრილი ჩანდა სადმე. ოთახში მაგიდას ქალი უჯდა და პეტერის მაისურს კემსავდა, რომელიც წამსვე იცნო ჰაიდიმ. კუთხეში წელში მოხრილი დედაბერი მიმჯდარიყო და ართავდა. ჰაიდი წამსვე გაშინაურდა.

— გამარჯობა, ბები, დიდხანს მელოდი? აი, მეც მოვედი!

დედაბერმა თავი ასწია და ბავშვის ხელს წაეპოტინა; როცა მიაგნო, ერთხანს ხელში გაიჩერა.

— შენ ჰაიდი არა ხარ, მთის კაცის შვილიშვილი?

— დიახ, დიახ, — დაუმოწმა ჰაიდიმ, — ეს წუთია მოვედი, პაპამ ჩამომასრიალა ციგით.

— რა თბილი ხელები აქვს ბავშვს, ბრიგიტე, დავიჯერო მთის კაცმა ჩამოიყვანა ბავშვი?

ბრიგიტე, პეტერის დედას ერქვა, წამოდგა და ბავშვი ცნობისმოყვარედ აათვალ-ჩაათვალიერა.

— რა ვიცი, დედი, რაღაც დაუჯერებელია ეს ამბავი, ალბათ ცდება პატარა.

— მე მშვენივრად ვიცი, რომ პაპამ გამახვია საბანში და ისე ჩამომიყვანა, — არ დაიბნა ჰაიდი.

— მგონი, მართალი უნდა იყოს, რასაც პეტრიკელა ზაფხულში მთის კაცზე გვიყვებოდა, ჩვენ კი არ ვუჯერებდით, — დაასკვნა ბებიამ. — ვინ დაიჯერებდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. მეგონა, ბავშვი ერთ კვირასაც ვერ გაძლებდა. ბრიგიტე, როგორი გამოიყურება ბავშვი?

— ადელაიდასავით ნაზია, მაგრამ ტობიასისა და პაპამისის თვალები და თმა გამოყოლია. მე მგონი, ორივეს უნდა ჰგავდეს.

ამასობაში ჰაიდის უკვე მოესწრო ყველა კუთხე-კუნჭულის დათვალიერება.

— შეხე, ბები, დარაბა როგორ მორყეულა, ასე ხომ ჩამოვარდება. პაპა რომ აქ იყოს, დააჭედებდა. შეხედე, შეხედე, როგორ ყანყალებს.

— ოჰ, ჩემო კეთილო, — მიუგო ბებიამ, — მე ვერაფერს ვხედავ. სმენა კი კარგი მაქვს. მარტო დარაბა რომ იყოს მოყანყალებული, რა გვიჭირდა, რა მომკლავდა, აქ ხომ ყველაფერს ზრიალ-ჭრიალი გაუდის... მეშინია, ჭერი თავზე არ დაგვემხოს და არ დაგვიტანოს. არავინაა ჩვენი გამკითხავი. პეტრიკელას კი, აბა, ჯერ რა შეუძლია.

— კი მაგრამ, რატომ ვერ ხედავ დარაბას, ბებო? უყურე, ზუსტად აი, იქ არის, — ჰაიდიმ თითით მიანიშნა.

— ოჰ, პატარავ, მე ხომ ვერაფერს ვხედავ. დარაბას კი არა, საერთოდ, არაფრის დანახვა არ ძალმიძს — წაიჩივლა მოხუცმა.

— ქათქათა თოვლში რომ გახვიდე, აი, მაშინ კი ნამდვილად დაინახავ. აბა, გამომყევი, ბებო.

ჰაიდიმ მოხუცს ხელი მოჰკიდა. იგი სულის სიღრმემდე შეძრწუნებული იყო, როგორ თუ ვერ ვშველით.

— არა, ჩემო კარგო, თოვლიც და სინათლეც უკუნეთი წყვდიადია ჩემთვის.

— აი, ზაფხულში კი ნამდვილად დაინახავ, ბები. იცი რა, მზე როცა ჩამოაცხუნებს, ღილა მშვიდობისას იტყვის და, მთებიც და ყვავილებიც ცეცხლისფრად აციაგდებიან, მაშინ კი ნამდვილად დაინახავ.

— ოჰ, გულუბრყვილო ბავშვო, მე ვერასოდეს ვიხილავ ცეცხლოვან მთებს, ოქრომკედით ნაქარგ ყვავილებს, დედამიწის ზურგზე ვერავინ დამიბრუნებს სინათლეს, ვერავინ.

ახლა კი ველარ შეიკავა თავი ჰაიდიმ და ასლუკუნდა.

მოხუცს გულში ისარივით ხვდებოდა მისი გულსაკლავი ტირილი.

— მოდი აქ, კეთილო ჰაიდი, მერე რა, რომ ვერ ვხედავ, სამაგიეროდ მშვენივრად მესმის შენი ხმა. ახლოს დამიჯექი და მიამბე, რას აკეთებთ მთაში შენ და პაპაშენი. ადრე პაპაშენს კარგად ვიცნობდი. რამდენი ხანია მასზე არარაფერი მსმენია. პეტრიკელას თუ დავაცდენინებ ორიოდ სიტყვას, ესაა და ეს.

ჰაიდიმ ცრემლები შეიმშრალა. მოხუცს მოეფერა. პაპას ვეტყვი და ის დაგიბრუნებს სინათლეს, ქოხსაც შეაკეთებს, თავზე რომ არ ჩამოგექცეთ: პაპას ყველაფერი შეუძლიაო. მერე გატაცებით უამბო, როგორ ერთობოდა პაპასთან ერთად, რა ნაირნაირ საგნებს ჩორკნიდა პაპა ხისგან, როგორ ადევნებდა თვალს პაპის საქმიანობას, რათა თვითონაც ესწავლა და გამოეთალა. დედაბერი გულისყურით უსმენდა პატარას, მხოლოდ დროდადრო თუ გაეოცებდა: ხედავ, ბრიგიტე? გაყურებ, რას ამბობს მთის კაცზე?

ამასობაში პეტერიც შემოვიდა ქოხში კარის ჯახუნით, სტუმრის დანახვაზე ჭრუტა თვალები საცრისოდენა გაუხდა და პირიც მთლად მოეთხლიშა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუთუ პეტრიკელა უკვე დაბრუნდა სკოლიდან? — წამოიძახა გაოცებულმა ბებიამ. — მთელი წელია შუადღე ასე სწრაფად არ გასულა...

— რა სიბნელეში ვსხედვართ. სინათლეს ავანთებ — თქვა ბრიგიტემ, — მართლაც, რა დრო გასულა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ჰაიდი სწრაფად წამოხტა:

— ჩემი წასვლის დროა. ვიდრე დაბნელდება, უნდა წავიდე.

— უკვე მიდიხარ, ჰაიდი? — შეწუხდა ბებია. — მარტო როგორ წახვალ? პეტერი გაგაცილებს? თბილი შალი გაქვს? არ გაციო.

— არაფერი არ მინდა, არ გავციებები, — ჰაიდიმ კარი გაიხურა და ისე სწრაფად აუყვა აღმართს, რომ პეტერი ძლივს ეწეოდა.

ბებია კი ქვლავ იხვეწებოდა, არიქა, ბრიგიტე, დაეწიე ბავშვებს; ჩემი შალი წაუღე, გოგონას არ შესცივდესო. ბავშვებს ორიოდე ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ მთის კაცი გამოჩნდა.

— ყოჩაღ, ჰაიდი! სიტყვის პატრონი ყოფილხარ, — შეაქო პაპამ ბავშვი, მერე შეფუთნა, ხელში აიტაცა და ისევ აღმართს შეუყვა. ამ სურათის შემსწრე ბრიგიტე გაოცებას ვერ ფარავდა. შინ დაბრუნებულმა ყველაფერი წვრილად უამბო მოხუც დედას. რა თქმა უნდა, მასაც გაუკვირდა, არ მოელოდა მთის კაცისაგან ასეთ სითბოსა და ყურადღებას, მაგრამ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ პატარა გოგონას ასეთი მზრუნველი გამოუჩნდა. თანაც ინატრა, ნეტავ კიდევ გამოუშვებდეს ბავშვს ჩვენთან, თითქოს ლოდი ჩამომეხსნა გულიდან მისი ერთი სტუმრობითო. ღმერთო, რა ტკბილია, რა კეთილია, — დაძინებამდე სულ ეს ეკერა ბებიის პირზე, — ნეტავი კიდევ თუ ვეღირსები ჰაიდის ნახვასო. ჯერ არ ვიცოდი და თურმე კიდევ შემძლებია სიხარულიო.

პაპა-შვილიშვილი ქოხში ჯერ რიგიანად არც კი იყვნენ შესული, რომ ჰაიდიმ სიტყვასავით დააყარა:

— ხვალ ჩაქუჩი და ლურსმნები უნდა წავიღოთ და ბებოს დარაბა დავუჭედოთ. კიდევ ბევრი, ბევრი ლურსმანი უნდა წავიღოთ, თორემ იქ ყველაფერს ხრიალ-ჭრიალი გაუდის. იქა სულ ამის ფიქრში არიან ან ახლა დაგვემხობა სახლი თავზე ან ახლაო... ბებიას ვერავინ დაუბრუნებს სინათლეს? შენ ხომ უშველი, პაპი? აბა, წარმოიდგინე, რა საშინელებაა მუდამ სიბნელეში ყოფნა. შენს მეტი, პაპი ბებოს ვერავინ აუხელს თვალს! ხვალ კიდევ ხომ წავალთ და მივეხმარებით ჰა, პაპი? — ჰაიდი პაპას მიჰკროდა და ისეთი ვედრებით შესცქეროდა, რომ პაპამ დაამშვიდა: აუცილებლად მივეხმარებით, ყველაფერს ისე გავაკეთებთ, სახლმა აღარ იჭრიალოს, თუკი შეგვიძლია ვინმეს დავეხმაროთ, უნდა დავეხმაროთ კიდეცო.

პაპამ მეორე დილისვე შეასრულა დანაპირები.

უსინათლო ბებიას სულში იმედის სხივი შეიჭრა: დღეები ადრინდელივით უსიცოცხლო და ულიმღამო აღარ ეჩვენებოდა დილიდანვე. ელოდა ჰაიდის ცუნცულა ნაბიჯებს. როგორც კი კარი გაიღებოდა და პატარა შემოვიდოდა, ბებო სიხარულით შესძახებდა: „აი, ისიც მოვიდა! — ჰაიდიც მაშინვე მიუჩოჩდებოდა ბებიას და მხიარულად აუტიტინდებოდა; მისი ლაპარაკი საამოდ ესალბუნებოდა ბებიას ყურთასმენას და დროც თვალსა და ხელს შუა გადიოდა. მერე მოხუცი ლოცვად იქცეოდა, ღმერთო ძლიერო, მშვიდობით მიუყვანე მთის კაცს პატარა, პაპასას კი სიკეთეს ნუ მოუშლიო.

— გარეგნულად როგორია ბავშვი, ბრიგიტე? — ეკითხებოდა ბებია თავის ქალიშვილს და ისიც პასუხობდა: მარწყვივითაა, დედაჩემო, მარწყვივითო.

ჰაიდი ძალიან შეეჩვია ბებიას და თავისდასამწუხაროდ დარწმუნდა, რომ პაპა კი არა, ღმერთიც ვერ დაუბრუნებდა მას სინათლეს. პატარა ჰაიდი მათი ხშირი სტუმარი იყო. ბებიასაც ართობდა და თვითონაც ერთობოდა. პაპას კი შენსენებაც აღარ სჭირდებოდა, მწყემსის ხუხულას კარგი ხელოსანივით უკაკუნებდა და უკაკუნებდა. მალე მისმა შრომამ შედეგი გამოიღო. ღამღამობით ქოხს ზრიალ-ჭრიალი აღარ გაუდიოდა და ბებიაც ემადლიერ[illegible]ოდეს ბიბლიოთეკა
დავივიწყებ მთის კაცის სიკეთეს

## თავი მეხუთე

## სტუმარს სტუმარი მოსდევს, ამბავს — ამბავი

ზამთარი სწრაფად გავიდა, ზაფხულიც თვალსა და ხელშუა გაიპარა, და აი, ისევ ზამთრის მიწყრული დადგა. ცის ფრთოსნებით გალაღებული და ბედნიერი ჰაიდი ზაფხულის მოსვლას შეჰხაროდა. უხაროდა, რომ თბილი სიო წამოუბერავდა, თოვლს ჩამობერტყავდა, მერე ბრდღვიალა მზე ჭრელა-ჭრელა ყვავილებს ამოიტყუებდა და იალაღზე წასვლის დროც დადგებოდა. ეს კი ჰაიდის ყველაფერს ერჩია. ბავშვი მერვე წელში გადამდგარიყო და პაპისაგან უკვე ათასგვარი ხელობა ესწავლა. თხების ენა ხომ იცოდა და იცოდა, თეთრა და თაფლაც ერთგული ლეკვებივით სულ კუდში დასდევდნენ და მისი ხმის გაგონებაზე კიკინით იკლებდნენ იქაურობას. ამ ზამთარს პეტერმა უკვე ორჯერ მოიტანა სოფლის მასწავლებლის დანაბარები, ჰაიდის სკოლაში მოყვანის დროაო. ის კი არა, უკვე დააგვიანეთ კიდეცო. მთის კაცმა შეუთვალა, თუ ჩემი ნახვა გინდა, სახლში ვარ, ბავშვს კი სკოლაში არ გამოვუშვებო. პეტერმაც ზუსტად გადასცა მასწავლებელს მთის კაცის პასუხი.

მარტის ერთ მზიან დილას, როცა ჰაიდი ბარე მეათედ გადაევლო სახლის ზღურბლს, შიშისაგან კინაღამ ჩაიკეცა: მის წინ შაოსანი მოხუცი ასვეტილიყო. უცნობმა შიში რომ შეატყო, ბავშვი დაამშვიდა:

— რატომ შეკრთი, მე ძალიან მიყვარს ბავშვები, აბა ხელი მომეცი! შენ ალბათ ჰაიდი იქნები. პაპაშენი სადაა?

—მაგიდასთან ზის და ხის კოვზებს თლის. — ჰაიდი სტუმარს ქოხში შეუძღვა.

უცნობი სოფლის მღვდელი გახლდათ, მთის კაცის ძველი ნაცნობი.

გაოცებული მთის კაცი წამოდგა: რამდენი ხანია არ მინახიხართ, რაზე გარჯილხართ. საქმემ მომიყვანაო, — უპასუხა მღვდელმა და კართან ატუზულ ბავშვისკენ გაახარა მზერა, რომელიც დაცქვეტილი ათვალიერებდა შაოსან სტუმარს.

— ჰაიდი, აბა გაიქეცი, თხებს მიხედე, მარილი გაუყოლე და დამელოდე, მეც მალე მოვალ.

პატარამ პაპას სიტყვა აღარ გაამეორებინა და გაუჩინარდა. მღვდელი ისევ მიუბრუნდა მთის კაცს

— ჯერ კიდევ შარშან უნდა დაეწყო ბავშვს სკოლაში სიარული, რატომ არ ჩამოიყვანეთ გასულ ზამთარს, მასწავლებელმა ხომ გაგაფრთხილათ, რას უპირებთ ბავშვს, მეზობელო?

— ყოველ შემთხვევაში, სკოლაში გამვებას არ ვაპირებ, — მოუჭრა მთის

კაცმა. — თხებთან და ჩიტებთან გაიზრდება, არ მოიწყენს. ბოროტებას მაინც არ ისწავლის ადამიანებისაგან.

— ბავშვი თხა ხომ არ არის, ადამიანის შვილია. თავად განსაჯე, ავისა და კარგის გარჩევა თუ არ ეცოდინა, რაღას ისწავლის, და საერთოდ, ხომ უნდა ისწავლოს რაღაც, დროც არის უკვე. წინ მთელი ზაფხულია, მოიფიქრე და გადაწყვიტე. იცოდე, წლევანდელ ზამთარს სკოლის გაცდენა ბავშვისთვის საბოლოო უნდა იყოს. გაისად სკოლაში უნდა იაროს, თანაც ყოველდღე, — დაუმატა მღვდელმა.

— არაფრის დიდებით, ბატონო მღვდელო, — გაჯიუტდა მთის კაცი.

— თქვენ გგონიათ, არავითარი საშუალება არ არსებობს თქვენს მოსარჯულებლად, ასე უსინდისოდ რომ ჯიუტობთ? — გაცხარდა მღვდელი.

— მაშ ასე, — მთის კაცს შეეტყო, რომ არც ისე მშვიდად იყო, როგორც ეჭირა თავი, — თქვენ გჯერათ, ბატონო მღვდელო, რომ ზამთრის სუსხიან დილით, ქარბუქსა და თოვლში ამ ნაზ ქმნილებას ორი საათით ქვემოთ გამოვუშვებ. საღამოს ისევ ზემოთ მოუხდება ამოსვლა თანაც ასეთ უღმერთო სიცივეში, რომელსაც ჩვენნაირი ჯანიანებიც ვერ უძლებენ. ასეთ ამინდში ხომ ძაღლიც არ გაიგდება გარეთ და მე ბავშვი გავწირო? ალბათ გახსოვთ, ბატონო მღვდელო, დედამისი, ადელაიდა, რომ მთვარეული იყო და გულყრა ჰქონდა, ბავშვსაც რომ დედამისივით დაძაბულობის ნიადაგზე გულყრამ მოუაროს? მერე რაღა ვქნა. ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს იმის გაკეთებას, რასაც თქვენ მთხოვთ. არავისი და არანაირი სასჯელის არ მეშინია და ვნახოთ, ვინ მაიძულებს.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მეზობელო, — დაუტკბა მღვდელი, — შეუძლებელია ჰაიდიმ აქედან იაროს, ვხედავ, ბავშვი როგორ გყვარებიათ. რას იზამ, ცოტა რამის დათმობა მოგიწევთ, გააკეთეთ ის, რაც დიდი ხანია უნდა მოგემოქმედით, დაუბრუნდით სოფელს და ადამიანებს. არ მოგბეზრდათ მთაში მარტოსულად ყოფნა? როდემდე უნდა იყოთ ღმერთზე და ადამიანებზე შემომწყრალი. რაღაც რომ შეგემთხვეთ, ვინ გამოგიწვდით ხელს? არ მესმის, არ იყინებით ზამთარში ამ ქოხში, როგორ ძლებს აქ პაწია?

— უნდა გითხრათ, ბატონო მღვდელო, რომ ბავშვს სისხლი უჩქეფს და თბილი საბანიც აქვს. ესეც არ იყოს: კარგად ვიცი, სად ვეძებო შეშა და როდის მოვიტანო. ბატონ მღვდელს თავად შეუძლია შეიხედოს ფარდულში და დარწმუნდეს ჩემი სიტყვების სიმართლეში. ჩემს ქოხში მთელი ზამთარი ანთია ცეცხლი. რაც შეეხება თქვენს წინადადებას, მე სოფელში მაცხოვრებელი არა ვარ. იქაურებს ვძულვარ და არც მე მისხედან მაინცდამაინც სულში. ისევ ერთმანეთთან შორი-შორის ყოფნა სჯობია.

— არა, არა, არ სჯობია, მე ვიცი, თქვენ რაც გაკლიათ, — მიუგო მღვდელმა გულთბილად, — თქვენ არ სძულხართ ადამიანებს. მერწმუნეთ, მეზობელო: იწამეთ ღმერთი, დაუბრუნდით მას, სთხოვეთ შენდობა, ადამიანები უწინდებურად მოიბრუნებენ თქვენზე გულს და გაგიადვილდებათ ცხოვრება, — მღვდელი წამოიმართა, მთის კაცს ხელი ჩამოართვა: — იმედი მაქვს, მეზობელო, რომ მომავალ ზამთარს ჩვენთან გიხილავთ. ძალიან მეწყინება, თუ იძულებულს გამხდით კანონის ძალით მოგმართოთ. ჩამომართვით ხელი და პირობა მომეცით, რომ დაუბრუნდებით სოფელს, ღმერთსა და ადამიანებს.

მთის კაცმა სტუმარს ხელი კი ჩამოართვა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე არც ბავშვის გამომგზავნი ვარ და არც სოფელში მაცხოვრებელი.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, — მღვდელმა კარი გაიხურა და თავქვე დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის კაცს გუნება წაუხდა. შუადღისას, როცა ჰაიდიმ ჩვეულებისამებრ ბებიასთან წასვლა მოინდომა, მოხუცმა მოკლედ მოუჭრა: დღეს ვერ წავალთო, და მთელი დღე ხმა აღარ ამოუღია, მეორე დღეს, როცა ჰაიდიმ ისევ მოისურვა ბებიასთან წასვლა, — ვნახოთო, — ისევ მოკლედ მოუჭრა მოხუცმა. მაგრამ რიგიანად არც კი აელაგებინათ სუფრა, რომ კარი ახალმა სტუმარმა შემოაღო. დაუპატიჟებელი სტუმარი დეტე გახლდათ. თავზე კოხტა, ბუმბულიანი ქუდი დაესკუპებინა, გრძელი კუდიანი კაბით კი იატაკს ხვეტავდა. მთის კაცმა ქალი აათვალ-ჩაათვალიერა. დეიდას თავაზიანი საუბარი ჰქონდა განზრახული და მაშინვე დაიწყო: ბავშვს მზრუნველი ხელი დატყობია და ისე კარგად გამოიყურება ვერც კი ვიცანი, მერე თავის მართლებას მოჰყვა, მაშინ სხვა გზა არ მქონდა იმიტომ მოვიყვანეო თქვენთან გოგონა. ახლა კი ჩემი სტუმრობის მიზეზი ის გახლავთ, რომ გითხრათ: ჰაიდის ისეთი ბედნიერება ელოდება, ვერც წარმოიდგენსო. ყველაფერი უკვე მოგვარებულია და უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებს. ჩემი ბატონების ფრანკფურტელ მდიდარ ნათესავებს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავთ. საცოდავი თურმე ხეიბარია, ბორბლებიანი სკამით დაატარებენ. მას ხმის გამცემი არ ჰყავს, თუ არ ჩავთვლით მოსაწყენ მასწავლებლებსო. სწორედ ამიტომ სურთ გვერდით თანატოლი ჰყავდეს და გაართონო. ვინც იცის, იქნებ რა სახელი და ბედნიერება მოელის ჰაიდის. ის ხეიბარი გოგონა ჯანმრთელობითაც სუსტია და შესაძლოა მისმა მშობლებმა ჰაიდი შვილადაც კი აიყვანონ...

— მალე მორჩები?! — გააწყვეტინა მთის კაცმა, აქამდე მოთმინებით რომ უსმენდა. — ვისაც გინდა იმას მოუყევი შენი ამბები, მე კი თავი დამანებე.

ახლა კი იცოცხლე აფეთქდა დეტე.

— ბავშვი უკვე რვა წლისაა, ქვეყანაზე არაფერი არ იცის და არც გინდათ რამე ასწავლოთ. სოფელში ასე მითხრეს, არც სკოლაში უშვებს და არც ეკლესიაშიო. ჰაიდი ჩემი დისშვილია, და პასუხსაც მე ვაგებ მასზე. თქვენთვის ყველაფერი სულერთია, არავისთვის არ გინდათ სიკეთე... ვერ შემაშინებთ, ყველა მე დამიჭერს მხარს... სოფელში დიდად არ ეხატებით გულზე, თანაც სხვა ამბებიც გამოიჩხრიკება, თქვენთვის უსიამოვნო, და რიგიანადაც შეგაფუცხუნებთ; სასამართლო გაგახსენებთ ზოგიერთ მივიწყებულ ამბავს.

— ჩაიწყვიტე ხმა! — დაიგრგვინა მთის კაცმა და თვალებიდან ცეცხლი დააკვესა. — წაიყვანე და გარყვენი! მეტი აღარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა, არ მსურს ესეც შენსავით ბუმბულიანი ქუდითა და ასეთი ენის პატრონი დაბრუნდეს! — მთის კაცი დიდრონი ნაბიჯებით ქოხიდან გავიდა.

— რატომ გააბრაზე პაპა? — ჰაიდიმ ანთებული თვალები მიაპყრო დეიდას.

— ყველაფერი გამოსწორდება. წავიდეთ ახლა, — აჩქარდა ქალი, — სადაა შენი კაბები?

— მე არ წამოვალ, — მიუგო ჰაიდიმ.

— რას ამბობ? — აღშფოთდა დეიდა, მერე დაუყვავა. — წამოდი, წამო-

დი, არც კი გესმის, რა გელოდება, რა კარგად იქნები! — კარადასთან მივიდა.
ჰაიდის ტანისამოსი გადმოიღო და შეკრა: — აბა, წავიდეთ, ქუდი არ დაგავიწ-
ყდეს, მართალია, მოძველებულია, მაგრამ ერთხელ კიდევ დაიხურება, ბა,
გავწიოთ.

— არ წამოვალ! — გაუმეორა ჰაიდიმ.

— ნუ ჯიუტ... ..ასავით, ხომ გაიგონე რა თქვა ჰაპაშენმა,
ლით აღარ დამენახოთო, იცი, რა კარგია ფრანკფურტში! რამდენ რამეს ნახავ
თუ არ მოგეწონება, უკან წამოგიყვან და პაპას ისევ გავახარებთ.

— შეიძლება, დღეს საღამოსვე დავბრუნდე? — იკითხა ჰაიდიმ.

— რა თქმა უნდა, შეგიძლია, დღეს მაინსფელდამდე ჩავალთ, დილით
ადრე კი მატარებელს გავყვებით და იმავე მატარებლით შეგიძლია ძალზე
სწრაფად გამობრუნდე უკან.

დეტემ ერთი ხელი ბოხჩას დაავლო, მეორე ჰაიდის ჩასჭიდა და თავქვე
დაეშვნენ.

ის იყო წკეპლებით დატვირთული პეტერი შინ ბრუნდებოდა, რომ მგზავ-
რებიც დაინახა.

— სით გაგიწევია, — მიაძახა ჰაიდის.

— ფრანკფურტში მივიჩქარით მე და დეიდაჩემი, — ჰაიდის უცებ გაახსენ-
და, — ბებიასთან უნდა მივსულიყავი, მელოდება.

— არავითარი ბებია, ისედაც დაგვიანდა, — შეუწყრა დეტე. — როცა და-
ბრუნდები, მაშინ მოინახულებ, ახლა გამომყევი. — ქალმა თითქმის ძალით გა-
იყოლია ბავშვი და ხელი აღარც გაუშვია. პეტერი ქოხში შევარდა და მაგიდაზე
ისეთი ძალით დაახეთქა წკეპლების შეკვრა, რა ამბავიაო, იკითხა შეშინებულ-
მა ბებიამ.

— ჰაიდი წაიყვანეს, — თქვა პეტერმა.

— ვინ წაიყვანა? სად წაიყვანეს? — აღელდა ბებია, თუმცა ისედაც
მიხვდა ყველაფერს. აკი თავის ქალიშვილმა უთხრა, ზევით მიმავალი დეტე
დავინახეო. მოხუცმა ქალმა ფანჯარა გამოაღო და მავედრებლად გასძახა ქალს.

— დეტე, დეტე, ნუ წაგვართმევ ბავშვს! ნუ წაგვართმევ ჰაიდის!

დეტეს ყურს მისწვდა ბებიას ხმა. უფრო მაგრად ჩასჭიდა ბავშვს ხელი
და ფეხს აუჩქარა. ჰაიდი ეწინააღმდეგებოდა, ბებია მეძახის, ბებიასთან მინ-
დაო.

სწორედ ამისი ეშინოდა დეტეს და უფრო აჩქარებდა ბავშვს. თან ამშვი-
დებდა, იქნება ისე მოგეწონოს ფრანკფურტში ყოფნა, რომ აქეთ აღარც კი
გამოიხედო. თუ შინ დაბრუნება მოგინდება, მაშინვე უკან გამოგიშვებთ, და
ბებიასაც საჩუქარს ჩამოუტანო. ამან კი ცოტა დაამშვიდა ჰაიდი. და აღარც
გასძალიანებია დეიდას, ისე გარბოდა, რომ ქალი ძლივს ეწეოდა.

იმ დღიდან მთის კაცი უფრო მოიღუშა. დაბლა რომ ჩამოდიოდა, უწინ-
დელზე უფრო გაბოროტებული დაიარებოდა. აღარავის ესალმებოდა, აღარა-
ვის ელაპარაკებოდა. ბარში იმიტომღა ჩადიოდა, რომ ყველი გაეყიდა და იმ
ფულით სამაგიეროდ პური და ხორცი ეყიდა. დორფლში მისი გამოჩენისთანა-
ვე, ხალხი იწყებდა მითქმა-მოთქმას, მაგრამ ერთ რამეში კი ყველა ეთანხმე-
ბოდა ერთმანეთს: რა კარგია, ბავშვმა მას თავი რომ დააღწიაო. ყველამ თა-
ვისი თვალით დაინახა, რა სიხარულით გარბოდა პატარა, აქაოდა, მთის კაცი
არ დამეწიოს და უკანვე არ წამიყვანოსო. მხოლოდ უსინათლო ბებია არ ღა-
ლატობდა მთის კაცს და თუ კი ვინმე ესტუმრებოდა, ყველას უყვებოდა, რო-

გორ უვლიდა მთის კაცი ბავშვს და რა სიკეთე გაუკეთა მის ოჯახს, როცა ქოხი თავზე ენგრეოდათ, ბებიას მონაყოლი დორფლამდეც აღწევდა, მაგრამ არ სჯეროდათ, ფიქრობდნენ, უსინათლო ქალს ბევრი არა გაეგება რაო. ბებია კი უცნობსა და ნაცნობს შესჩიოდა, ჰაიდიმ წაიღო ჩვენი ბედნიერება და სიხარული, ნეტავი ერთი კიდევ გამაგონა მისი ხმაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეექვსე

### ახალი თავი და ცხელ-ცხელი ამბები

ფრანკფურტში ზეზემანებს გორგოლაჭებიან სავარძელს მიჯაჭვული ავადმყოფი პატარა გოგონა ჰყავდათ. გოგონას მთელი დღის განმავლობაში ოთახიდან ოთახში დააგორებდნენ. ახლა კლარა იჯდა თავის სამეცადინო ოთახში. გოგონას ფერმკრთალ, გალეულ სახეს სათნო, ცისფერი თვალები ამშვენებდა. ამ წუთში ისინი მოუთმენლად შესცქეროდნენ კედლის საათს.

ფროილაინ როტენმაიერი პატარა სამუშაო მაგიდას სირგადაყლაპულივით მიჯდომოდა და ქარგავდა. ქალს უცნაურად ეცვა. მხრებზე დიდი საყელო თუ პატარა მოსასხამი მოეხურა, რაც საზეიმო ელფერს აძლევდა. დიასახლისის გარდაცვალების შემდეგ, უკვე რამდენიმე წელია ზეზემანების ოჯახში სამეურნეო საქმე და მოსამსახურეთა ზედამხედველობა ფროილაინ როტენმაიერს ევალებოდა. ბატონი ზეზემანი ხშირად მოგზაურობდა და მთელ სახლს ფროილაინ როტენმაიერი განაგებდა, მაგრამ პატარა კლარას უნებართვოდ სახლში მაინც არაფერი წყდებოდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც კლარამ უკვე მეორედ ჰკითხა ფროილაინ როტენმაიერს, როდის მოვლენო, ხელიხელჩაკიდებული დეტე და ჰაიდი უკვე სადარბაზოს წინ იდგნენ.

ფროილაინ როტენმაიერი ნელ-ნელა წამოიმართა სკამიდან და მოსულები შეათვალიერა. ეტყობოდა, დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა.

ჰაიდის ბამბის ქვედატანი ეცვა და თავზე ძველი ჩაჭყლეტილი ჩალის ქუდი ეხურა. ბავშვი საწყალობლად იჭყიტებოდა ქუდის ქვემოდან და მიამიტური გაოცებით მიშტერებოდა ქალის თავზე ახუხულავებულ ქუდს.

— რა გქვია? — ჰკითხა ფროილაინ როტენმაიერმა, როცა კარგად შეათვალიერა ბავშვი.

— ჰაიდი, — გარკვევით უპასუხა წკრიალა ხმაზე.

— როგორ, როგორ? ეს ხომ ქრისტიანული სახელი არაა? მონათლული არა ხარ? შენი ნათლობის სახელი მითხარი.

— აღარ მახსოვს, — მიაგება ჰაიდიმ.

— რაო, არ მახსოვსო? ეს რა პასუხია! — თავი გადააქნია ქალმა. — დეტე, ეს ბავშვი დამცინის თუ ჰკუანაკლულია.

— თუ ქალბატონი ნებას მომცემს, ორიოდ სიტყვას გეტყვით ბავშვის თაობაზე, — დეტემ ჰაიდის უხეირო პასუხისათვის ჩუმად მუჯლუგუნი უთავაზა. — ბავშვი არც გონებაშეზღუდულია და ვერც დაცინვას გაკადრებთ. უბრალოდ, ყველაფერს ისე ლაპარაკობს, როგორც ესმის. დღეს პირველად მოხვდა ბატონების სახლში და არ იცის, როგორ მოიქცეს. მაგრამ თუ ქალბატონი დამიჯერებს, თვინიერი ბავშვია. ბავშვის ნათლობის სახელია ადელაიდა. ასე ეძახდნენ დედამისს, ჩემს გარდაცვლილ დას.

— კეთილი, ამ სახელის წარმოთქმა კიდევ შეიძლება, — მაგრამ უნდა

გამოგიტყდეთ, დეტე, ბავშვი ასაკთან შედარებით, ცოტა არ იყოს, უცნაური მეჩვენება. მე ხომ აგიხსენით, რომ კლარასთვის თავისივე თანატოლი უნდა მოგეყვანათ, რათა ერთად ესწავლათ გაკვეთილები და ყველა მის საქმიანობაში მიეღო მონაწილეობა. ფროილაინ კლარა მეცამეტე წელშია გადამდგარი, თქვენი ბავშვი რამდენი წლისაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონის ნებართვით... — აბლუკუნდა დეტე. — ამჟამად [illegible] აღარც კი მახსოვს რამდენი წლისაა, ისე კი ნამდვილად უმცროსია, ზუსტად ვერ გეტყვით, მგონია, მეათე წელში უნდა იყოს გადამდგარი.

— პაპამ მითხრა, რვა წლისა ხარო, — წამოისროლა ჰაიდიმ, რისთვისაც კიდევ ერთი მუჯლუგუნი მიიღო, ოღონდ ვერ კი მიხვდა, რატომ.

— რაო? მხოლოდ რვა წლისა ხარ? — აღშფოთდა ფროილაინ როტენმაიერი. ოთხი წლით უმცროსია! რას მოგვცემს ეს! რა გისწავლია? რომელი წიგნები იცი?

— არც ერთი, — უპასუხა ჰაიდიმ.

— როგორ თუ არც ერთი? აბა კითხვა როგორ ისწავლე?

— არ მისწავლია, არც პეტერმა იცის კითხვა, — გაიმართლა ჰაიდიმ თავი.

— მოწყალეო ღმერთო! ნუთუ სულ არ იცი კითხვა? მართლა არ იცი? — გაიძახოდა შეშინებული ფროილაინ როტენმაიერი. — როგორ შეიძლება კითხვა არ იცოდე! აბა რა იცი?

— არაფერი, — უპასუხა გულწრფელად ჰაიდიმ.

— დეტე, — თავს მოერია ფროილაინ როტენმაიერი, — ჩვენ ხომ სხვაგვარად მოვილაპარაკეთ, რატომ მომიყვანეთ ასეთი ბავშვი?

მაგრამ დეტე არ დაიბნა:

— თუ ქალბატონი ნებას დამრთავს, მოვახსენებ, რომ ბავშვი თქვენ რომ გნებავდათ, სწორედ ისეთი გახლავთ. ქალბატონმა თვითონ ამიწერა, რომ გოგონა ჭიმზიდველი და სხვა ბავშვებისაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო. იძულებული ვიყავი უმცროსი წამომეყვანა, რადგან მოზრდილები ჩვენთან ჩვეულებრივნი არიან და მეც ვიფიქრე, რომ სწორედ ჰაიდი იქნებოდა შესაფერისი. ახლა კი მეჩქარება, უნდა დაგტოვოთ, ჩემი ბატონები მიცდიან. თუ ნებას დამრთავენ, მალე დავბრუნდები და გოგონას დავხედავ, — დეტე პასუხს არც დაელოდა, სწრაფი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე. ფროილაინ როტენმაიერი ადგილზე გაშეშდა, მაგრამ მალე გამოერკვა და დეტეს დაედევნა. უამრავი ჰქონდა ბავშვის თაობაზე მოსალაპარაკებელი, თუმცა ფროილაინმა უკვე შენიშნა, დეიდამისს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბავშვის დატოვება.

ჰაიდი ისევ კართან იდგა. აქამდე კლარა თავისი სავარძლიდან მდუმარედ ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა. ახლა კი ხელი დაუქნია ჰაიდის, მოდიო. ჰაიდი გოგონას მიუახლოვდა.

— როგორ გირჩევნია, ჰაიდი დაგიძახო თუ ადელაიდა? — შეეკითხა კლარა.

— მე ჰაიდის მეძახიან.

— კარგი, მეც მუდამ ასე დაგიძახებ. თუმცა პირველად მესმის, მაგრამ ძალიან მომწონს შენი სახელი, სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი. არც შენნაირი გოგონა მინახავს. თავიდანვე ასეთი მოკლეთმიანი და ხუჭუჭა იყავი?

— მე მგონი, კი.

— გიხაროდა, ფრანკფურტში რომ მოდიოდი?

— არა, მაგრამ ხვალ შინ დავბრუნდები და ბებოს თეთრ პურს წავუღებ!

— შენ მართლა უცნაური ვინმე ხარ, — შესძახა კლარამ. — ფრანკფურტში იმიტომ გამოგიშვეს, რომ ჩემთან დარჩე და ერთად ვისწავლოთ; იცი, რა მხიარულად ვიქნებით! შენ ხომ სულ არ იცი კითხვა? რა კარგია, გაკვეთილები, ხანდახან ისე საშინლად მწყინდება და დილაც ნელა მეჩვენება ხოლმე. ბატონი კანდიდატი დილის ათ საათზე მოდის, მაშინვე ვიწყებთ გაკვეთილებს და ორი საათისათვის ვამთავრებთ. იცი, ეს მთელი საუკუნე გრძელდება. ბატონი კანდიდატი ხანდახან ისე ახლოს მიიტანს ხოლმე წიგნს ცხვირთან, გეგონება, თვალთ დააკლდაო, არადა, მე ვიცი, რომ წიგნის უკან გემრიელად ამთქნარებს. ფროილაინ როტენმაიერიც დროდადრო სახეზე იფარებს თავის უშველებელ ცხვირსახოცს, გეგონება რაღაცის ეშინიაო. სინამდვილეში კი მთქნარებისაგან ლამის პირი გაეხვს. მათ შემყურეს მეც ამიტყდება ხოლმე მთქნარება, მაგრამ ვცდილობ, არ შევიმჩნიო, თორემ ერთხელაც რომ დავაღო პირი, ფროილაინ როტენმაიერი მაშინვე მეტყვის, სუსტადაა ხარო და იმწამსვე თევზის ქონს გადამაყლურწინებს, თევზის ქონი კი ყველაზე საზიზღარი რამაა. იმის გადაყლაპვას, მთქნარების გადაყლაპვა სჯობია. ახლა კი გავერთობი, შენ რომ კითხვას ისწავლი და მე მოგისმენ. — კითხვის ხსენებაზე ჰაიდიმ თავი საეჭვოდ გააქნია. — კი, კი, კითხვას ნამდვილად ისწავლი! ყველა ადამიანი სწავლობს, ბატონი კანდიდატიც კარგი ადამიანია. იგი არასოდეს არა ჯავრობს, ყველაფერს აგიხსნის. მაგრამ იცოდე, როცა რაღაცას აგიხსნის და შენ ვერ გაიგებ, ცოტა მოითმინე, არაფერი ჰკითხო, თორემ ათასჯერ აგიხსნის და უფრო ვერ გაიგებ. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა რაღაცას ისწავლი, შენ თვითონ მიხვდები ყველაფერს.

ამასობაში ფროილაინ როტენმაიერი აქოშინებული დაბრუნდა ოთახში. ეტყობოდა, დეტეს ვერ დაეწია. არადა, უამრავი სათქმელი ჰქონდა. ხეირიანად ვერც კი მოასწრო ეთქვა, რომ ასეთი ბავშვი მას არ გამოადგებოდა, თუმცა ვერც ის აეხსნა, რატომ იწუნებდა ბავშვს. რაც მთავარია, იმიტომ უფრო ღელავდა, რომ არ იცოდა, თავის გაფუჭებული საქმე როგორ გამოესწორებინა. მერე შინაბერა ტინეტს უხმო:

— ჩამოსულისათვის ოთახი უნდა მოაწესრიგო, ტინეტ! — უთხრა მან ნაძალადევი სიმშვიდით, — დიდი გარჯა არც დაგჭირდება, ყველაფერი მზადაა, მხოლოდ მტვერია გადასაწმენდი.

— ძალიან კი ღირს თავის შეწუხებად, — ირონიულად ჩაიბუზღუნა ტინეტმა და ოთახიდან გავიდა.

ამასობაში, მსახურმა სებასტიანმა შემოაღო სამეცადინო ოთახის კარი. იგი ძალიან აღელვებული ჩანდა, მაგრამ ვერ ბედავდა ფროილაინ როტენმაიერის შეპასუხებოდა. ჰაიდი მას ცხვირწინ აეტუზა და მოურიდებლად მიაჩერდა. სებასტიანს ეს არ გამოჰპარვია და ერთბაშად შეჩერდა და, რა მოხდაო, ჰაიდის შეუბღვირა.

— რა მოხდა და, მწყემსს ჰგავხარ, — უთხრა ჰაიდიმ.

— განა შეიძლება, — ძლივს გასაგონად ამოიკვნესა აღშფოთებულმა ფროილაინ როტენმაიერმა, — შენობით ელაპარაკო მსახურებს! ერთი ბეწო ზრდილობაც არ გააჩნია!

ამასობაში სებასტიანმა გორგოლაჭებიანი სავარძელი შემოაგორა. კლა-

თავისი სავარძლიდან ამოიყვანა და სუფრასთან დასვა. ფროილაინ როტენმაიერი კლარას გვერდით დაჯდა და ჰაიდისაც ანიშნა, დაჯექიო. ერთმანეთისაგან ისე შორი-შორს ისხდნენ, რომ სებასტიანს საკმაო სივრცე ჰქონდა მომსახურებისათვის. ჰაიდის თეფშთან თეთრი პურის ნაჭერი იდო. ბავშვი სიხარულით შესცქეროდა პურს. იმ მსგავსების აღმოჩენის მერე, სებასტიანმა მთლად მოიგო ჰაიდის გული. ამიტომაც თაგვივით გაისუსა, ვიდრე სებასტიანი არ მიუახლოვდა და ლარნაკიდან შემწვარი თევზი არ შესთავაზა. ჰაიდიმ პურის ნაჭერზე ანიშნა:

— ეს ჩემია?

სებასტიანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ჰაიდიმ ხელი დასტაცა პურის ნაჭერს და თვალის დახამხამებაში ჯიბეში იტუცა.

სებასტიანს სუფრასთან სიცილი აკრძალული ჰქონდა, ამიტომაც ძლივს შეიკავა თავი და სახე უშნოდ დაეღრიჯა. ჯერ ისევ ჰაიდის წინ იდგა ჩუმად, გაუნძრევლად, რადგან ვიდრე არ მოემსახურებოდა, არც ლაპარაკის უფლება ჰქონდა და არც წასვლისა. ჰაიდი სებასტიანს ერთხანს გაკვირვებული შეჰყურებდა, მერე შეეკითხა:

— შემიძლია ვჭამო?

სებასტიანმა თავის დაქნევით დაუდასტურა.

— მაშინ გადმომიღე.

სებასტიანს შეეტყო, რომ სიცილს ვეღარ იკავებდა, სახე უარესად მოეღრიცა და ლანგარი ხელში აუკანკალდა.

— სებასტიანს შეუძლია ლანგარი მაგიდაზე დადგას და ცოტა ხნით დაგვტოვოს, — თქვა ფროილაინ როტენმაიერმა მკაცრად. სებასტიანი წამში აორთქლდა.

— ადელაიდ, როგორც გატყობ, დროა ზრდილობის ანბანი გასწავლო, — ამოიოხრა ფროილაინ როტენმაიერმა — უპირველეს ყოვლისა გიჩვენებ სუფრასთან როგორ იქცევიან. სადილობისას სებასტიანთან ლაპარაკი აკრძალულია, მაშინაც კი, როდესაც აუცილებლად გინდა რაიმე უთხრა ან შეეკითხო; გარდა ამისა მსახურებს უნდა მიმართო თქვენობით — გესმის? ტინეტსაც თქვენობით მიმართავ. მე მომმართავ ისე, როგორც სხვები მომმართავენ, კლარას ისე მიმართავ, როგორც შენ მოგესურვება.

— რა თქმა უნდა, კლარას დავუძახებ, — არ დაიბნა ჰაიდი.

ამას მოჰყვა უამრავი დარიგებანი. ხანგრძლივი მგზავრობით გადაქანცულ ჰაიდის ნანასავით ესმოდა ფროილაინ როტენმაიერის საუბარი. გოგონა სკამის საზურგეს მიეყრდნო და ჩაეძინა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ფროილაინ როტენმაიერმა სათქმელი დააბოლოვა და ჰაიდის მიუტრიალდა, ხომ კარგად გაიგე, რაც გითხარიო, — ჰაიდის უკვე დიდი ხანია სძინავსო, — უთხრა კლარამ მხიარულად.

— ეს გაუგონარი ამბავია, ამას ვის გადავეყარე! — შესძახა აღშფოთებულმა ფროილაინ როტენმაიერმა და ისე ძლიერად ჩამოჰკრა ზარს, რომ სებასტიანი და ტინეტი ერთმანეთის მიყოლებით შემოცვივდნენ ოთახში. მაგრამ მიუხედავად ატეხილი ხმაურისა, ჰაიდის გვერდიც არ შეუცვლია. ის კი არა, დიდი წვალებით გააღვიძეს, რომ თავის, სადღაც შორს მიგდებულ კუთხის ოთახში გადაეყვანათ.

## თავი მეშვიდე

### ფროილაინ როტენმაიერს მოუსვენარი დღე აქვს

როდესაც ჰაიდიმ გამოიღვიძა, იფიქრა, მეჩვენებაო: მაღალ, გაქათქათებულ საწოლში იწვა, რომელიც დიდ და ფართო ოთახში იდგა. ფანჯრებზე გრძელი, თეთრი ფარდები ეკიდა, იქვე ორი, ყვავილებით მოჩითული სავარძელი იდგა, კუთხეში ხელსაბანი მოჩანდა. ზედ ისეთი ნივთები ელაგა, ჰაიდის ადრე რომ არ ენახა, ახლა კი გაახსენდა, რომ ფრანკფურტში იმყოფებოდა. მოაგონდა გუშინდელი დღე და ქალბატონის ზოგიერთი დარიგება.

ჰაიდი ლოგინიდან ჩამოხტა და გამოეწყო. ჯერ ერთ ფანჯარასთან მივიდა, შემდეგ მეორესთან. ეჩვენებოდა, რომ ფარდებიან გალიაში ჩასვეს. ფარდები ვერაფრით ვერ გადასწია, ფარდების ქვემოდან შეძვრა, უნდოდა გადაეხედა, მაგრამ ვერ შესწვდა. ფანჯრიდან მხოლოდ ერთი გალავანი მოჩანდა. ჰაიდის გულზე შემოაწვა: იქ, მთაში მიჩვეული იყო ადრე გაღვიძებას. უთენია გარეთ გარბოდა, რათა ენახა ამომავალი მზე და ცისფერი ცა. მოესმინა ნაძვების შრიალი და ენახა ყვავილების გაღვიძება. აქ კი ლამაზ გალიაში გამომწყვდეული ჩიტის დარად აწყდებოდა ხან ერთ ფანჯარას და ხან მეორეს, ცდილობდა გაეღო და გალავნის გარდა კიდევ რაღაც დაენახა, მაგრამ ამაოდ. უცებ ჯაჯუნი გაისმა. კარებში ტინეტმა შემოყო თავი და: საუზმე მზად არისო, — თქვა.

ჰაიდი ვერ მიხვდა, რომ საუზმეზე ეპატიჟებოდნენ, ტინეტის ამრეზილ სახეზე მუქარა უფრო ამოიკითხა, — აბა გაბედე მოსვლაო, — ვიდრე საუზმეზე თავაზიანი მიპატიჟება, მაგიდის ქვეშიდან პატარა ოთხფეხა სკამი გამოაცოცა, კუთხეში მიდგა, დაჯდა და მოლოდინში გაისუსა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარს აღელვებული ფროილაინ როტენმაიერი მოადგა კაბის შარიშურით:

— რა გემართება, ადელაიდ? განა არ იცი, რა არის საუზმე? ჩამოდი.

ახლაღა მიხვდა ჰაიდი, რას სთხოვდნენ და მაშინვე უკან გაჰყვა. სასადილო ოთახში კლარა უკვე დაესვათ თავის სკამზე. იგი გულღიად მიესალმა ჰაიდის, სახეზე უჩვეულო სიამოვნებამ გადაურბინა. წინასწარ გრძნობდა, რომ დღეს არ მოიწყენდა. საუზმემ უშფოთველად ჩაიარა. ჰაიდი გემრიელად შეექცა თავის წილ ბუტერბროდს. საუზმეს რომ მორჩნენ, კლარას სავარძელი სამეცადინო ოთახში შეაგორეს. ფროილაინ როტენმაიერის მითითებით ჰაიდი ბატონი კანდიდატის მოსვლამდე კლარასთან უნდა დარჩენილიყო. მარტონი რომ დარჩნენ, ჰაიდიმ იკითხა:

— როგორ უნდა გადაიხედო დაბლა, ეზოში?

— ფანჯარა გამოაღე და გადაიხედე, — ასწავლა კლარამ.

— ფანჯარა არ იღება, — თქვა ნაღვლიანად ჰაიდიმ.

— როგორ არა, იღება, ოღონდ ჩვენ ვერ გავაღებთ; აი, როცა სებასტიანს დაინახავ, სთხოვე, და გაგიღებს.

ჰაიდის გულზე მოეშვა, რაკი ფანჯრის გაღება და ძირს გადახედვა შეიძლებოდა. კლარა ჰაიდის ჩაეძია, იქ მთაში, როგორი სახლი გაქვსო, და ჰაიდისაც ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია, გატაცებით მოუყვა იალაღებზე, თხებსა და მწვერვალებზე, ყველაფერზე წვრილად უამბო, რაც ასე თავდავიწყებით უყვარდა, არაფერი გამორჩენია.

ამასობაში ბატონი კანდიდატიც მოვიდა. ფროილაინ როტენმაიერს მასთან მოსალაპარაკებელი ჰქონდა, ამიტომ ჩვეულებისამებრ სამეცადინო ოთახში

კი არ შეიყვანა, არამედ სასადილო ოთახში და აღელვებულმა აუწერა თავისი გასაჭირი: ამ ცოტა ხნის წინათ მე თვითონ მივწერე ბატონ ზეზემანს, რომ კლარას დიდი ხანია სურს სახლში მისი კბილა გოგონა მოუყვანონ. ცოტა მეც მეშველებოდა ეს გოგონა, რადგან ავადმყოფ კლარასთან ურთიერთობა ძალიან მქანცავსო. ბატონი ზეზემანი სიამოვნებით დაეთანხმა ქალიშვილის სურვილს, ოღონდ იმ პირობით, რომ მოყვანილ ბავშვსაც ისევე მოექცეოდნენ, როგორც კლარას და არავინ არ დაჩაგრავდა. ფროილაინ როტენმაიერმა ბატონ კანდიდატს შესჩივლა: ჩემდა საუბედუროდ, ბავშვის არჩევნში შევცდიო. თქვენ მოგიწევთ თითქმის ანა-ბანადან ასწავლოთ კითხვა და არა მარტო კითხვა, არამედ შეასწავლოთ უბრალო ქცევის წესებიცო. თუ პირადად თქვენ აუხსნით ბატონ ზეზემანს, რომ ორი ასეთი განსხვავებული ცოდნის ბავშვმა არ შეიძლება ერთად იმეცადინოს, რომ შეიძლება მისმა გოგონამ ბევრი დაკარგოს, იქნებ მაშინ გვეშველოს და ბატონმა ზეზემანმა უკან გააბრუნოს ბავშვიო. მისი თანხმობის გარეშე კი ვერ გადავწყვეტ ამ საკითხსო. ბატონმა კანდიდატმა დაამშვიდა ქალი, ვინ იცის, იქნებ ისეთი ნიჭიერი გოგონა გამოდგეს, რომ ბეჯითი მეცადინეობით სწრაფად აითვისოს ყველაფერიო. როდესაც ფროილაინ როტენმაიერი მიხვდა, ბატონი კანდიდატი, მხარს არ მიჭერს და ერთი სული აქვს მეცადინეობას შეუდგესო, სამეცადინო ოთახის კარი გამოუღო, თვითონ არ შეჰყოლია. ოთახში მარტოდ დარჩენილი ფიქრებში გაერთო: ბატონმა ზეზემანმა მოიწერა, გოგონას ჩემი საკუთარი ქალიშვილივით მოეპყარითო; რა თქმა უნდა, ეს მსახურებს უნდა გადავცეო, მაგრამ დიდხანს ფიქრი არ დასცალდა, უცებ სამეცადინო ოთახიდან ისეთი გრუხუნი და ყვირილი მოესმა, რომ ფროილაინ როტენმაიერი გულგახეთქილი შევარდა. რაღა არ ეყარა იატაკზე: წიგნები, რვეულები, სამელნე და სუფრაც, რომელსაც ჯერაც წურწურით ჩამოსდიოდა მელნის შავი ლაქა. ჰაიდი სადღაც გამქრალიყო. სასოწარკვეთილმა ფროილაინ როტენმაიერმა ხელები გაასავსავა.

— ჰაიდის ნახელავია, ოღონდ შემთხვევით მოუხდა. რა თქმა უნდა, ის არც დაისჯება, ძალიან ეჩქარებოდა გარეთ გასვლა. სუფრას წამოედო და ყველაფერი იატაკზე ჩამოცვივდა. წელან ერთბაშად რამდენიმე ეტლმა ჩაიარა. ალბათ, მეეტლე არასდროს არ უნახავს და მათ სანახავად გაიქცა, — მშვიდად აუხსნა კლარამ, რომელსაც სახეზე კმაყოფილება ეხატა.

— ახლა ხომ დარწმუნდით, რომ რაც მე მოგახსენეთ, სინამდვილეს შეეფერება, ბატონო კანდიდატო? ჰო, მართლა, პატარა ველური სადღა გაქრა? რომ გაიქცეს, ბატონი ზეზემანი ხომ... ფროილაინ როტენმაიერი გარეთ გავარდა და კიბე ჩაირბინა. ჰაიდი ღია ჭიშკართან იდგა და პირდაფჩენილი ათვალიერებდა ქუჩას.

— რას ნიშნავს ეს? რატომ გამოიქეცი? — დატუქსა ფროილაინ როტენმაიერმა ბავშვი.

— ნაძვების შრიალი მომესმა, ოღონდაც არ ვიცი, სად იზრდებიან. აღარ მესმის მათი შრიალი, — უპასუხა ჰაიდიმ. ერთხელ კიდევ გახედა ქუჩას, სადაც ის-ის იყო მიწყდა ეტლის ხმაური, რომელიც ბავშვმა ნაძვების შრიალს მიამსგავსა, ენით აუწერელი სიხარული მოჰგვარა და გარეთ გამოაქცია.

— რა ნაძვები, რის ნაძვები? ტყეში ხომ არა ვართ? რამ მოგიარა? აბა წამომყევი და შენი თვალით ნახე, რაც ჩაიდინე! — ამ სიტყვებთან ერთად ფროილაინ როტენმაიერი კიბეს აუყვა; ჰაიდიც გაჰყვა ქალს. იატაკზე მიყრილ-

მოყრილი ნივთები რომ დაინახა, გაოცებული შედგა. მოშრიალე ნაძვების დანახვის სურვილით ატაცებულს არც კი შეუნიშნავს, თუ რამეს წამოედო.

— ეს ერთხელ გეპატიოს, მეორედ აღარ გაიმეორო, — უთხრა ფროილაინ როტენმაიერმა, — სწავლა თუ გინდა, წყნარად უნდა იჯდე და ბატონ კანდიდატს ყურადღებით უსმინო, თუ შენ თვითონ ვერ მოახერხებ, ილოდე, ჩემი ხელით მიგაბამ სკამზე.

ახლა კი მიხვდა ჰაიდი, რომ გაკვეთილზე წყნარად ჯდომა სწავლის ერთ-ერთი წესი უნდა ყოფილიყო.

დილით ფროილაინ როტენმაიერმა უთხრა ჰაიდის, ნაშუადღევს კლარა ისვენებს და შეგიძლია თავისუფალი დრო სურვილისამებრ გამოიყენოო. ჰაიდისაც ეს უნდოდა, რადგან დიდი ხანია რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. ოღონდ შველა სჭირდებოდა. ამიტომაც გამოვიდა დერეფანში და სასადილო ოთახთან აიტუზა. სწორედ აქ უნდა გამოევლო, ვისაც ელოდა და ეშინოდა არ გამოჰპარვოდა. პატარას ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. ცოტა ხანში სებასტიანის ფეხის ხმაც მოისმა. ბოლო საფეხური ამოათავა თუ არა, ჰაიდი წინ გადაუდგა:

— თქვენ რა ხართ?

სებასტიანმა თვალები გადმოკარკლა:

— რას ნიშნავს ეს, მამზელ? როგორ თუ რა ვარ?

— რა დაგიძახოთ, ფრაუ თუ ჰერ? — აუხსნა ჰაიდიმ. — ფროილაინ როტენმაიერმა მიბრძანა, უფროსებს თავაზიანად უნდა მიმართოო.

სებასტიანს გულიანად გაეცინა. ჰაიდი კი სასაცილოს ვერაფერს ხედავდა და გაოცებით შესცქეროდა. სებასტიანი წამსვე მიხვდა, თუ რას თხოვდა ფროილაინ როტენმაიერი ჰაიდის და ფრიად გამხიარულებულმა მიუგო:

— გასაგებია, მამზელ, ახლა ნება მომეცი წავიდე.

— მე სულაც არა მქვია მამზელი, — ცოტა არ იყოს ნაწყენი ხმით უთხრა ბავშვმა: — მე ჰაიდის მეძახიან.

— მართალია, მაგრამ ქალბატონმა მიბრძანა, მამზელი დაგიძახო.

— თუ ასე გიბრძანა, რა გაეწყობა, ასე უნდა დამიძახო, — დაყაბულდა ჰაიდი. დიდი ხანია შეამჩნია, რომ ამ სახლში ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ფროილაინ როტენმაიერი ბრძანებდა. — ახლა უკვე სამი სახელი მაქვს, — ამოიოხრა მან.

— რისი კითხვა უნდა პატარა მამზელს? — შეახსენა სებასტიანმა, როცა სასადილო ოთახში შევიდა და ჭურჭლის დალაგებას შეუდგა.

— სებასტიან, ფანჯარა როგორ გავაღო?

— აი ასე, — სებასტიანმა ფანჯარა გამოაღო.

ჰაიდი ფანჯრის რაფას ვერ სწვდებოდა და ამიტომაც ვერაფერი დაინახა.

— აი, ახლა კი დაინახავს მამზელი, დაბლა რაც ხდება, — სებასტიანმა მაღალი ხის სკამი გამოაჩოჩა და ფანჯარასთან დადგა. გახარებული ჰაიდი სკამზე აძვრა და მონატრებულმა მოავლო თვალი იქაურობას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

— აქედან ქვაფენილიანი ქუჩების გარდა არაფერი მოჩანს, — თქვა გულნატკენმა ბავშვმა. — სახლის მეორე მხარესაც ასეა, სებასტიან?

— ასეა.

— აბა სად უნდა ავიდე, რომ დაბლობს გადმოვხედო?

— სადა და, მაღალ კოშკზე უნდა ახვიდე, აი, იმ ეკლესიის წვერზე,

ხედავ? სულ მაღლა, ოქროს გუმბათიან ეკლესიაზე, იქიდან ყველაფერს დაინახავ.

ამის გაგონებაზე ჰაიდი სწრაფად ჩამოხტა სკამიდან. კარში გავარდა, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში ამოყო თავი. გზის გაგნება არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეგონა. მთელი ქუჩა გაიარა, მაგრამ ეკლესია არსად ჩანდა. ქუჩიდან ქუჩაზე გადიოდა, ეკლესია კი ვერა და ვერ დაინახა. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა, ყველას სადღაც მიეჩქარებოდა. გოგონა მიხვდა, მისთვის არავის ეცალა. უცებ კუთხეში ბიჭუნა დაინახა, რომელსაც ზურგზე არღანი ეკიდა და მხარზე სასაცილოზე სასაცილო ცხოველი შემოესკუპებინა. ჰაიდიმ მასთან მიირბინა:

— ოქროს გუმბათიან ეკლესიას ვერ მიმასწავლი?

— არ ვიცი, მიიღო პასუხად.

— არც სხვა მაღალკოშკიანი ეკლესია გეგულება სადმე?

— მგონი, ვიცი ერთი.

— წამომყევი რა, მაჩვენე!

— ჯერ მიჩვენე, რას მომცემ, — ბიჭმა გასამრჯელოს მოლოდინში ხელი გაუშვირა. ჰაიდიმ ჯიბეები მოიქექა. მალე ერთი სურათი ამოაძვრინა, ზედ წითელი ვარდებისაგან დაწნული გვირგვინი ეხატა; დღეს დილით კლარამ აჩუქა და ახლა სხვისთვის მისაცემად არ ემეტებოდა, მაგრამ დაბლობზე გადმოხედვის სურვილმა დასძლია. ბიჭმა ხელი უკან წაიღო და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა, რა გინდა? — ჰაიდის გაუხარდა, სურათი რომ შეირჩინა და ჯიბეში გადამალა.

— ფული!

— ფული არა მაქვს, თუმცა მოიცა, კლარას აქვს და ის მომცემს. რამდენი გინდა?

— ოცი პფენინგი.

— კარგი, აბა წამომყევი! — დაყაბულდა ჰაიდი.

ორივენი გაუყვნენ ქუჩას. ჰაიდიმ მეგზურს ჰკითხა, ზურგზე რა გკიდიაო, იმანაც აუხსნა, ეს არღანია და თუ დაატრიალებ, მშვენიერ მუსიკას დაუკრავსო. მალე ძველ ეკლესიას მიადგნენ. ბიჭუნა შედგა და მოვედითო, თქვა.

ჰაიდიმ ჭიშკარზე ზარი დაინახა და მთელი ძალით ჩამოჰკრა.

— შენ დაბლა დამელოდე, უკან წასასვლელი გზა არ ვიცი და უნდა გამომყვე.

— ამაში რაღას მომცემ?

— კიდევ ოც პფენინგს.

ამასობაში ძველი კოშკის საკეტი გაჩხაკუნდა, კარი ჭრიალით გაიღო და იქიდან მოხუცი გამოვიდა. ბავშვები რომ დაინახა, გაბრაზდა.

— რას ჩამომიყვანეთ დაბლა? კითხვა არ იცით, ხედავთ რა წერია ზარის ქვეშ: „კოშკის დამთვალიერებლებისათვის“.

ჰაიდიმ არ დააყოვნა:

— სწორედ კოშკზე მინდა ასვლა. მინდა დაბლა გადმოვიხედო.

— აბა, ახლავე მოუსვით შინისაკენ, მეორედ აღარ გაბედოთ ზარის დარეკვა, თორემ გიჩვენებთ სეირს, — კოშკის მცველი შებრუნდა და ის იყო კარი უნდა მიეხურა, რომ ჰაიდი კალთაზე მოეჭიდა და ყელი გამოუწია:

— მხოლოდ ერთხელ, თუ შეიძლება!

მცველმა მოიხედა, ჰაიდის მავედრებელი თვალები ისე შესცქეროდნენ, რომ იმწამსვე მოლბა:

— ასე ძალიან თუ გინდა, მომყევი.

ჰაიდიმ და კოშკის მცველმა უამრავი საფეხური აიარეს; კიბე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ბოლოს, მთლად ვიწრო კიბე აათავეს და, როგორც იქნა, მაღლა აღმოჩნდნენ. კოშკის მცველმა ჰაიდი ასწია და ღია ფანჯრის წინ დააყენა. ჰაიდიმ გადაიხედა და დაინახა მთელი ზღვა სახურავებისა, საკვამურე მილებისა და კოშკებისა. გულდაწყვეტილმა მსწრაფლ შემოაბრუნა თავი.

— სულ სხვა რამეს მოველოდიო. — თქვა.

— უყურეთ ერთი ამას? ნეტა რა ესმის ამ ნამცეცას! აბა ჩამოდი და მეორედ აღარ დარეკო კოშკის ზარი! — მცველმა ჰაიდი იატაკზე ჩამოსვა და კიბეზე ჩაიყვანა. კიბის ბოლოში, მცველის ოთახის კართან დიდი კალათი იდგა. შიგ მსუქანი რუხი კატა იჯდა და კრუტუნებდა. კალათაში მის კნუტებს ერთი ამბავი ჰქონდათ.

— ოო, რა მშვენიერი და ლამაზი კნუტები არიან! — შესძახა ჰაიდიმ და კალათს გარშემო შემოურბინა.

— გინდა ერთი კნუტი გაჩუქო? — მცველს სიამოვნებას ჰგვრიდა ჰაიდის აღტაცება.

— მე, მარტო მე მაჩუქოთ? სამუდამოდ? — ჰაიდის ვერ დაეჯერებინა, ასეთი ბედნიერება რომ ეწვია.

— რა თქმა უნდა, მეტიც შემიძლია გაჩუქო, თუ გინდა ყველას ერთად მოგცემ, ადგილი თუ გაქვს, — კაცს ძალიან უნდოდა კნუტების თავიდან მოშორება.

იმ უზარმაზარ სახლში პაწია კნუტებისათვის ადგილი როგორ არ მოიძებნება, კლარასაც გაუხარდება, კნუტები რომ მივუყვანო, — ფიქრობდა გახარებული ჰაიდი.

— ყველას წაყვანა გამიჭირდება — ჰაიდის უნდოდა ერთი კნუტისათვის ხელი გადაესვა, მაგრამ კატამ ისე ბოროტად შეკნავლა, რომ შეშინებულმა ჰაიდიმ უკან დაიხია.

— მე თვითონ მოგიყვან, შენ ოღონდ მითხარი, სად ცხოვრობ!

— ბატონ ზეზემანებთან ვცხოვრობ, აი იმ დიდი სახლში, რომლის ჭიშკარზეც ოქროს ძაღლის თავია მიმაგრებული, პირში რგოლით, — აუხსნა ჰაიდიმ.

— ვიცი, ვიცი, მაინც ვის მივუყვანო კნუტები, ვინ ვიკითხო?

— იცით, კლარას ძალიან გაუხარდება კნუტების დანახვა! რომ შემეძლოს ორი მაინც წამეყვანა, ჩემთვის და კლარასათვის.

კოშკის მცველმა კატა მზრუნველობით აიყვანა ხელში და ოთახში შეიყვანა. წინ საჭმლის თეფში დაუდგა და კარი გამოუხურა: „ახლა აიყვანე ორი!"

ჰაიდის ბედნიერებისაგან თვალები გაუბრწყინდა. ორი თეთრი კნუტი ამოარჩია, ოღონდ ერთს ყვითელი ზოლები დასდევდა. გოგონამ ერთი მარჯვენა ჯიბეში ჩაისვა, მეორე მარცხენაში და კიბე ჩაირბინა.

ბიჭი გარეთ კიბეზე ელოდა. მალე ბავშვები ჭიშკართან აღმოჩნდნენ, რომელზეც დიდი სპილენძის ძაღლის თავი იყო გამოხატული. ჰაიდიმ ზარს ჩამოჰკრა. სებასტიანიც მაშინვე გამოჩნდა და ჰაიდი რომ დაინახა, შესძახა: „ჩქარა! ჩქარა!"

ჰაიდი სასწრაფოდ შევარდა სახლში, სებასტიანმა ბიჭუნას ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა კარი, რომელიც ამ სისწრაფეში ვერც შენიშნა.

— ჩქარა, მამზელ! — აჩქარებდა სებასტიანი. — ახლავე სასადილო ოთახში გაიქეცი, ისინი უკვე სუფრასთან სხედან. ფროილაინ როტენმაიერი გაცეცხლებული ზარბაზანს ჰგავს... რამ მოგაფიქრათ გაქცევა?

ჰაიდი ოთახში შევიდა. ფროილაინ როტენმაიერს თავი არ აუწევია, კლარაც დუმდა, უჩვეულო სიწყნარე სუფევდა. სებასტიანმა სკამი გაუსწორა და როცა ჰაიდი სკამზე დაჯდა, ფროილაინ როტენმაიერმა მკაცრად და საზეიმო კილოზე წამოიწყო:

— ადელჰაიდ, შემდეგ მოგელაპარაკები, ახლა კი მარტო ის მინდა გითხრა, რომ ძალიან გაუზრდელი ხარ და ამჯერად დაისჯები კიდეც, ჩემს დაუკითხავად რომ წახვედი სახლიდან, არავის არაფერი უთხარი, გვიან დაღამებამდე დაწანწალებ. ეს მეტისმეტად უმსგავსო საქციელია.

— მიაუ, გაისმა პასუხად.

— როგორ, ხუმრობასაც ბედავ? — გაცეცხლდა ქალბატონი.

— მე ამას... დაიწყო ჰაიდიმ, — მია, მიაუ!

სებასტიანმა თითქმის დაყარა ჭურჭელი მაგიდაზე და გარეთ გავარდა:

— ახლა კი კმარა! გაეთრიე ოთახიდან! — ამოიხრიალა ქალმა.

შეშინებული ჰაიდი სკამიდან წამოდგა და ერთხელ კიდევ შეეცადა თავის მართლებას.

— ჰაიდი, — ვეღარ მოითმინა კლარამ, — თუ ხედები, რომ ფროილაინ როტენმაიერი შენს კნავილზე ასე ღიზიანდება, რატომღა კნავი?

— მე არ ვკნავი, კნუტები კნავიან, — როგორც იქნა, ამოღერღა ჰაიდიმ.

— რაო? კნუტები? — ახლა კი განწირულად დაიკივლა ფროილაინ როტენმაიერმა — სებასტიან! ტინეტ! მოძებნეთ ეს საზიზღარი ცხოველები! გარეთ გაყარეთ!

ქალბატონი სამეცადინო ოთახში შევარდა და კარი ჩარაზა, რათა ცოტა გონს მოსულიყო. სიცილისაგან დაოსებული სებასტიანი კარის უკან იდგა და ოთახში ვერ შედიოდა. მერე თავი დაიოკა და ოთახში მშვიდად შევიდა.

კლარას კნუტი კალთაში ჩაესვა, ჰაიდი მის წინ ჩაცუცქულიყო, ორივენი დიდი სიამოვნებით ეთამაშებოდნენ პაწია სათუთ ქმნილებებს.

— სებასტიან, — უთხრა კლარამ შემოსულს, — თქვენ უნდა გვიშველოთ, კნუტებისათვის კუთხე უნდა მოძებნოთ, ისე უნდა დამალოთ, რომ ფროილაინ როტენმაიერმა არ დაინახოს, თორემ ქუჩაში გადაყრის, ჩვენ კი მარტო რომ დავრჩებით, გვინდა გავერთოთ, ფისოებს მოვეფეროთ ხოლმე.

— მე ვიზრუნებ ამაზე, ფროილაინ კლარა, — დაიმედა სებასტიანმა გოგონა. — ლამაზ საწოლს გავუკეთებ კალათაში და ისეთ ადგილას დავდგამ, მშიშარა ფროილაინ როტენმაიერმა ვერ მიაგნოს, გქონდეთ ჩემი იმედი, — სებასტიანი თავისთვის ქირქილებდა, — ერთი მაგრად მოვიფხან გულს.

## თავი მერვე

### ზეზემანების სახლში არეულობაა

მეორე დილით, როდესაც სებასტიანმა ბატონ კანდიდატს კარი გაუღო და სამეცადინო ოთახში შეუძღვა, ზარმა ისევ გაიწკრიალა, თანაც ისე ძლიერად, როგორც მხოლოდ ბატონ ზეზემანს სჩვეოდა. სებასტიანმა იფიქრა, ნამდვილად ბატონი ჩამოვიდაო, და ჩაფრინდა კიბეზე. სასწრაფოდ გამოაღო კარი და სახ-

ტად დარჩა: ხელში ძონძმანებში გახვეული და ზურგზე არღანმოკიდებული ბიჭუნა შერჩა.

— მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ზარის ჩამოგლეჯა! აქ რა გინდა?

— კლარასთან მოვედი, — გაისმა პასუხად.

— შე წვინტლიანო, შენა, არ შეგიძლია თქვა „ფროილაინ კლარა"? რა საქმე გაქვს ფროილაინ კლარასთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ორმოცი პფენინგი მართებს.

— შენ რაღაც კარგად ვერ უნდა იყო. ვინ გითხრა, რომ ფროილაინ კლარა აქ ცხოვრობს?

— გუშინ გზა მივასწავლე, ეს შენი ოცი პფენინგი, უკან დასაბრუნებელი გზაც ვაჩვენე, ოცი პფენინგი! სულ ორმოცი მართებს.

— იცი მაინც რას აყრანტალებ? ფროილაინ კლარა ვერასოდეს გარეთ ვერ გამოვა, მას სიარული არ შეუძლია, აბა, თვითონ მოუსვამ აქედან, თუ მოგეხმარო!

ბიჭუნამ ყურიც არ შეიბერტყა:

— კი მაგრამ, ის გოგო მე ჩემი თვალით ვნახე და შემიძლია აგიწეროთ კიდეც: მას შავი ხუჭუჭა თმა აქვს და დიდი შავი თვალები, ყავისფერი კაბა აცვია, რაღაც უცნაურად ლაპარაკობს. სებასტიანმა ჩაიხითხითა: „ეს ხომ პატარა მამზელია. ალბათ ისევ რაღაც ჩაიდინა". შემდეგ ბიჭუნა სახლში შეიყვანა და უთხრა:

— მგონი, სიმართლეს უნდა ამბობდე, ცოტა ხანს დამელოდე. თუ დაგიძახებ, შეგიძლია ჩვენთვის დაუკრა კიდეც, ფროილაინ კლარას მუსიკა უყვარს. — სებასტიანი მაღლა ავიდა, სამეცადინო ოთახის კარზე დააკაკუნა და შევიდა, — დაბლა ერთი ბიჭუნაა, პირადად კლარასთან აქვს სათქმელი.

კლარას ძალიან გაუხარდა ეს უჩვეულო შემთხვევა:

— თუ მას ჩემთან ლაპარაკი სურს, ხომ უნდა მოვიპატიჟოთ, ბატონო კანდიდატო? — მიუბრუნდა კლარა მასწავლებელს. ბიჭუნაც შემოვიდა და სებასტიანის წინაშე მაშინვე არღანი დაატრიალა. ფროილაინ როტენმაიერს, ასე რომ სძულდა გაკვეთილებზე დასწრება, სასდილო ოთახისათვის შეეფარებინა თავი და საქმიანობდა. ქალი ერთბაშად შედგა და ყურები ცქვიტა. ვერ დაედგინა საიდან მოდიოდა მუსიკის ხმა. შეუძლებელია, სამეცადინო ოთახში რა უნდოდა არღანს? და მაინც სადღაც ახლოს უკრავდნენ. ქალმა სასწრაფოდ გადაჭრა სასადილო ოთახი, სამეცადინო ოთახის კარი შეაღო და თვალებს არ დაუჯერა, — შუა ოთახში ჩამოკონკილი მეარღნე იდგა და დიდი გულმოდგინებით უკრავდა. ბატონი კანდიდატი რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. კლარა და ჰაიდი სახეგაბრწყინებული უსმენდნენ მუსიკას.

— შეწყვიტეთ, ახლავე შეწყვიტეთ! — შესძახა ფროილაინ როტენმაიერმა, მაგრამ მისი ხმა მუსიკამ დაფარა: ქალი ბიჭუნასკენ გაემართა, მაგრამ უცბად დაინახა, იატაკზე მორუხო-მოშავო კუ მობობღავდა. ფროილაინ როტენმაიერი იმ სიმაღლეზე შეხტა, ბავშვობის მერე რომ არც დასიზმრებოდა, თან მთელი ხმით იწივლა: „სებასტიან! სებასტიან!"

სებასტიანი ნახევრად გაღებულ კარს უკან იდგა და სიცილისაგან მუცელი ხელით ეჭირა. მან მშვენივრად დაინახა ფროილაინ როტენმაიერის უჩვეულო ნახტომი. ბოლოს, როგორც იქნა, სებასტიანმა თავს სძლია და ოთახში შევიდა: ფროილაინ როტენმაიერი იქვე სკამზე მისვენებულიყო:

— ახლავე მოაცილეთ აქედან, ბიჭიც და კუც! ახლავე გარეთ გაათრიე, სებასტიან, ახლავე!

სებასტიანმა ბიჭუნა გარეთ გაიყვანა, თან ხელში ფული ჩაუკუჭა და ჩასჩურჩულა:

— ორმოცი კლარასაგან, ორმოციც სასიამოვნო მუსიკისათვის! [illegible] მიყუჩება. საშეცადინო ოთახში კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. მეცადინეობა გაგრძელდა, ფროილაინ როტენმაიერი მეცადინეობაზე დარჩა, რათა სხვა უმსგავსობა აღარ განმეორებულიყო.

ამასობაში კარზე ისევ დააკაკუნეს: ოთახში სებასტიანი შემოვიდა და მოახსენათ, კლარასათვის გადასაცემად დიდი კალათი მოიტანესო.

— ჩემთვის? — ცნობისმოყვარეედ იკითხა კლარამ. — ნეტავი რა უნდა იყოს?

სებასტიანმა თავდახურული კალათი შემოიტანა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

უეცებ კალათის სახურავი აიხადა და იქიდან ერთმანეთის მიყოლებით ამოხტნენ კნუტები, ერთი, ორი, სამი, ოთხი... და სწრაფად მოედვნენ ოთახს. ისინი ბატონი კანდიდატის ჩექმებს ახტებოდნენ, შარვლის ტოტებზე ებღაუჭებოდნენ, ფროილაინ როტენმაიერს კაბაზე აცოცდებოდნენ, კლარას სავარძელზე [illegible], [illegible], კნაოდნენ; ერთი სიტყვით, საშინელი რამ ხდებოდა. კლარა აღტაცებული გაიძახოდა:

— ეჰ, რა საყვარლები არიან, რა მხიარულები! შეხე, შეხე, ჰაიდი! — ჰაიდი სიხარულისაგან დაფრინავდა. ბატონი კანდიდატი გუნებაწამხდარი იდგა მაგიდასთან, ხან ერთ ფეხსა სწევდა მაღლა, ხან მეორეს, რათა კნუტებისგან თავი დაეღწია. ფროილაინ როტენმაიერი ჯერ გაშტერებული იჯდა სავარძელში, მერე კი თავგამეტებით ღრიალდა:

— ტინეტ! ტინეტ! სებასტიან!

ტინეტმა და სებასტიანმა კნუტებს ხელი დაავლეს, კალათაში ჩააბრძანეს და ოთახიდან გავიდნენ.

დღესაც ვერავინ მოიცალა მთქნარებისათვის. გვიან საღამოს ქალბატონმა როტენმაიერმა ჰაიდის მკაცრად მიმართა:

— მე მხოლოდ ერთი სასჯელი მეგულება შენისთანა ველურისათვის, ვფიქრობ, ერთხელ და სამუდამოდ დაგამახსოვრდება ბნელ ჯურღმულში ვირთხებსა და ხვლიკებთან ერთად ყოფნა. ისე მორჯულდები, რომ ასეთი ანცობა არასოდეს გაგახსენდება.

ჰაიდი მშვიდად შეხვდა განაჩენს, რადგანაც წარმოდგენა არა ჰქონდა, რა იყო ვირთხებით სავსე ჯურღმული; კლარა კი მაშინვე მიხვდა, რა სუნიც უდიოდა ამ ამბავს და ხმამაღლა აყვირდა:

— არა, არა, ფროილაინ როტენმაიერ, მამიკოს ჩამოსვლამდე მოვიცადოთ. ხომ იწერება, მალე ჩამოვალო, ყველაფერს მოვუყვეთ და თვითონ დასაჯოს ჰაიდი.

ქალი ფეხზე წამოდგა და ცოტა არ იყოს, მოქუშულად წარმოთქვა:

— კეთილი, კლარა, ოღონდ ორიოდე სიტყვას მეც მოვახსენებ ბატონ ზეზემანს.

ქალბატონი როტენმაიერი ვერა და ვერ დაწყნარებულიყო, შფოთავდა, ვაი მე თუ არჩევანში შევცდიო და ეჩვენებოდა, რომ ჰაიდის გამოჩენის დღიდან ზეზემანების ოჯახში რაღაც შეიცვალა, რასაც ველარაფერი გამოასწორებდა. სა-

სამაგიეროდ კლარა იყო კმაყოფილი. ჰაიდი მეცადინეობისას ძალიან ართობდა. ასოებს ერთმანეთში ურევდა, ხან რქას ადარებდა და ხან ნისკარტს. მხიარულად წამოიყვირებდა ხოლმე: „ეს ხომ თხაა! ეს ხომ ძერაა!" სამხრობის შემდეგ კლარას იალაღსა და იქაურ ცხოვრებაზე ათასნაირ ამბებს უყვებოდა და თავის საუბარს მუდამ ასე ამთავრებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი შინ დაბრუნების დროა! ხვალ ალბათ შინ წავალ!

კლარა ჰაიდის აიმედებდა, მამაჩემის ჩამოსვლამდე დარჩი და მერე ვნახოთო. თუ ჰაიდი აქ დარჩენაზე თანხმდებოდა და აქ ყოფნა კმაყოფილებას, სიხარულს ჰგვრიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდედასათვის გადანახული პურის გროვას ახალ-ახალი ემატებოდა. ის ხომ თავის წილ პურს მოხუცისთვის ინახავდა. სადილობის შემდეგ ჰაიდი მთელი საათობით მარტოდ იჯდა თავის ოთახში, ვინაიდან რასაც იალაღზე არავინ უშლიდა, აღმოჩნდა, რომ ფრანკფურტში აკრძალული იყო. გარეთ აღარ გადიოდა. სასადილო ოთახში სებასტიანთან საუბარი აკრძალული ჰქონდა, ტინეტთან დალაპარაკება კი თვითონ არ მოსდიოდა აზრად, რადგან ტინეტი ირონიულად ელაპარაკებოდა, დასცინოდა. აბუჩად იგდებდა. ასე იჯდა ყოველდღე ჰაიდი თავის ოთახში დაახასხასებული იალაღი და მოციმციმე ყვავილები ელანდებოდა; აგონდებოდა, როგორ თვალისმომჭრელად ელავდნენ მზეზე თოვლი, მთები და მთელი დაბლობები.

დიდხანს ითმინა ჰაიდიმ და ბოლოს ველარ მოითმინა: ერთ დღეს ადგა, დაგროვილი პურები თავსაფარში გამოკრა, ჩალის ქუდი დაიხურა და კიბეზე დაეშვა, მაგრამ მისი მოგზაურობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ჭიშკართან ფროილაინ როტენმაიერს გადაეყარა, რომელიც ის იყო შინ დაბრუნებულიყო. ქალი გაოცებული მიაშტერდა ჰაიდის. მისი ყურადღება სავსე ბოღჩამ მიიპყრო.

— რას გამოწყობილხარ? რას ნიშნავს ეს? განა არ აგიკრძალე ხეტიალი? კიდევ მიდიხარ ქუჩაში საწანწალოდ?

— მე საწანწალოდ კი არ მივდივარ, შინ მინდა დავბრუნდე, — მიაგება შეშინებულმა ჰაიდიმ.

— რაო? შინ გინდა დაბრუნდე? — ფროილაინ როტენმაიერმა აღელვებისაგან ხელი-ხელს შემოჰკრა, — ერთი ამას დამიხედეთ, გაქცევა უნდოდა! ეს რომ ბატონმა ზეზემანმა გაიგოს, მისი ოჯახიდან რომ გარბიან! მაინც რა არ მოგწონს ამ სახლში? გქონია კი შენს სიცოცხლეში ცალკე ოთახი ან თუნდაც მაგიდა? ან ვინმე თუ მოგმსახურებია როდისმე როგორც აქ? მითხარი?!

— არა, — მიუგო ჰაიდიმ.

— არაფერი არ გაკლია! უმადური ვინმე ბრძანდები, იქაოდა ფუფუნებასა და კარგ ცხოვრებაში ჩავვარდიო, თავს გახვედი.

ახლა კი ველარ მოითმინა ჰაიდიმ და ამოხეთქა, რასაც მისი პაწია გული ველარ იტევდა:

— მე მხოლოდ შინ დაბრუნება მინდა, დიდი ხანია, წამოსული ვარ. თეთრა ალბათ საცოდავად კიკინებს, ბებიაც მელოდება, კობტაპრუწაც ალბათ ბევრჯერ გაიწკეპლა, პეტერსაც არავინ აჭმევს ალბათ ყველს. არც ის მოჩანს აქედან, მზე როგორ ემშვიდობება მთებს. ძერამ რომ ფრანკფურტს გადაუფრინოს, ალბათ უფრო ხმამაღლა დაიჩხავლებდა, რადგან აქ ბევრი ადამიანია ერთად თავმოყრილი და ერთმანეთს აბრაზებენ. კლდესთან არ მიდიან, რომ გულის დარდები გადაიყარონ.

— მოწყალეო ღმერთო, ბავშვი ჭკუაზე აღარ არის! — შეჰკივლა ფროი-

ლაინ როტენმაიერმა, შეშინებულმა კიბე აირბინა და სებასტიანს ზედ შეასკ-და, რომელიც ის იყო დაბლა ჩამოსვლას აპირებდა. — ახლავე უკან დააბრუნე ეს უბედური! — მიაძახა ფროილაინ როტენმაიერმა სებასტიანს, თან მწარედ ნატკენ თავზე ხელს ისვამდა.

— დიახ, დიახ, ახლავე, გმადლობთ?! — აირია სებასტიანი და ნატკენი თავი მოიქექა, ჰაიდი მილურსმულივით იდგა იმავე ადგილზე, ფეხები [illegible]-ბოდა და მღელვარებისაგან მთელი ტანით ცახცახებდა.

— ისევ რაღაც დააშავე არა? — გაეხუმრა სებასტიანი. — პატარა მამ-ზელ, ასე გულთან თუ მიიტანე ყველაფერი, არ ივარგებს. მთავარია მხიარუ-ლად იყო! ეს წუთია ისე დამეჯახა ფროილაინ როტენმაიერი, მგონი, თავი გამი-ხვრიტა! შენ ოღონდაც არ შეშინდე! აბა შენებურად მოიქეცი! ახლა კი მაღლა უნდა ავიდეთ, ასეა ნაბრძანები. მხოლოდ ფარ-ხმალი არ დაჰყარო! ოღონდ არ დაღონდე! ყოველთვის მამაცურად დაუხვდი გასაჭირს! შენ ხომ ჭკვიანი მამზელი ხარ! რაც ჩვენთან ხარ, ჯერ არ გიტირია! რომ იცოდე ფისოები რო-გორ მხიარულობენ, როგორ ანცობენ; მერე ერთად ავიდეთ მაღლა ფისოებთან, ქალბატონი ოთახში რომ შევა, კარგი?

ჰაიდიმ ოდნავ კი დაუქნია თავი, მაგრამ ისე უხალისოდ, რომ სებასტიანს გულში რაღაც ჩასწყდა და ვიდრე ბავშვი ოთახში შევიდოდა, სიბრალულით უყურებდა.

მეორე დილით ფროილაინ როტენმაიერმა ბატონი კანდიდატი სასადილო ოთახში გაიხმო და თავისი საწუხარი გაუმხილა: ცხოვრების წესის შეცვლამ და უჩვეულო შთაბეჭდილებებმა ბავშვი ჭკუაზე შეშალაო. ჰაიდის გაქცევის ცდა-საც მოუყვა და მისი უცნაური საუბრიდან რაც ახსოვდა, ისიც უამბო. ბატონ-მა კანდიდატმა დააწყნარა ფროილაინ როტენმაიერი და დაარწმუნა, რომ, მარ-თალია, ჰაიდი ცოტა ნერვიული გოგონაა, მაგრამ სრულ ჭკუაზეა და, იმედია, თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდებაო. ფროილაინ როტენმაიერი ცოტა დამშვიდდა და ბატონ კანდიდატს ნება დართო მუშაობას შესდგომოდა. მოგ-ვიანებით, ნასადილევს ფროილაინ როტენმაიერმა გადაწყვიტა ჰაიდის გარდე-რობში ბატონი ზეზემანის ჩამოსვლამდე კლარას გამონაცვალი ტანსაცმლით შე-ევსო. თავისი გულისნადები კლარას გაუზიარა. კლარა სიხარულით დაეთანხმა, იგი მზად იყო ჰაიდისათვის ყველაფერი ეჩუქებინა. ფროილაინ როტენმაიერი ჰაიდის ოთახისაკენ გაეშურა. ორიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ ხელების სავსავითა და ყვირილით უკან გამობრუნდა:

— ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა, ადელაიდ! შენს კარადაში, დიახ, დიახ, კარადაში, სადაც მხოლოდ ტანსაცმელი ინახება, პურის ნაჭრების მთელი გროვა ყრია! გესმის, კლარა, ტანსაცმლის კარადაში, ტინეტ! — ახლა მოახლეს გას-ძახა ქალბატონმა როტენმაიერმა, — ახლავე მოაშორეთ კარადიდან გამხმარი პურების გროვა, და ის გაჭყლეტილი ჩალის ქუდიც ზედ მიაყოლეთ, მაგიდაზე რომ დევს.

— არა, არა! — იკივლა ჰაიდიმ. — ქუდი არ გადამიგდოთ, ის პურებიც ბებიასათვის მოვაგროვე; — და დაფეთებულს უნდოდა ტინეტისათვის გაესწ-რო, მაგრამ ფროილაინ როტენმაიერმა შეაჩერა:

— იმ ნაგავს უშენოდაც მიუჩენენ ადგილს!

ახლა კი ატირდა პატარა, კლარას სავარძელთან მუხლებზე დაეცა და უფ-რო და უფრო უმატა ტირილს, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა:

— პური ხომ ბებიასათვის მოვაგროვე, ის კი გადამიყარეს. ბებიას რაღა

წავულო! — ისე მოთქვამდა ჰაიდი, გეგონებოდათ, ეს-ესაა გული გაუსკდებაო. ფროილაინ როტენმაიერი გარეთ გავარდა. კლარა, ცოტა არ იყოს, შეაშინა ჰაიდის გულამოსკვნილმა ტირილმა და შეეხვეწა:

— ჰაიდი, ჰაიდი, ასე ნუ ტირი, მომისმინე! ოღონდ დაწყნარდი და პირობას გაძლევ: როცა წასვლას დააპირებ, ზუსტად ამდენ პურს გაგატან ბებიასთან, ამაზე უფრო ფუმფულასა და ახალს, შენი შეგროვილი ფუნთუშები რომ ქვასავით გამაგრებულია! ნუღა ტირი!

ჰაიდიმ სლუკუნი შეწყვიტა:

— მართლა მომცემ ძალიან ბევრ პურს ბებიასათვის, აი, მე რომ მოვაგროვე, იმდენს.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა მოგცემ, გპირდები, რომ უფრო მეტსაც მოგცემ, ოღონდაც შენ გამხიარულდი! — შეჰპირდა კლარა.

## თავი მეცხრე

### ბატონს სახლში ნაირ-ნაირ ამბებს უყვებიან, ადრე რომ არასდროს სმენია

ამ ამბიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ზეზემანების სახლს დიდი გამოცოცხლება დაეტყო: ეს-ესაა სახლის პატრონი მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულიყო და ტინეტი და სებასტიანი დატვირთული ავტომანქანებიდან ბარგს ბარგზე ეზიდებოდნენ; ბატონ ზეზემანს უამრავი ლამაზი ნივთის ჩამოტანა სჩვეოდა.

თვითონ ბატონი ზეზემანი მაშინვე თავისი ქალიშვილის ოთახისაკენ გაეშურა. გვიანი ნაშუადღევი იყო და ჰაიდი კლარასთან იჯდა. ამ დროს ბავშვები, ჩვეულებისამებრ, ერთად იყვნენ ხოლმე. მამა გულით მოესიყვარულა ქალიშვილს, შემდეგ ხელი გაუწოდა ჰაიდის, რომელიც კუთხეში მიკუნჭულიყო და მეგობრულად უთხრა:

— ეს არის ხომ ჩვენი პატარა შვეიცარიელი, აბა, მომიახლოვდი და ხელი ჩამომართვი! აი ასე! ახლა მითხარი, როგორ დამეგობრდით შენ და კლარა? ხომ არ ჩხუბობთ?

— არა, კლარა ყოველთვის კარგად მექცევა, — მიაგება ჰაიდიმ.

— ჰაიდიც არასოდეს არ მეჩხუბება, მამიკო, — თქვა კლარამ.

— ეს კარგია, მომწონს, — თქვა მამამ და წამოდგა. — კლარა, შენი ნებართვით, ცოტას წავიხემსებ; დღეს ნამცეცი არ ჩამსვლია პირში, მერე მოვალ და გაჩვენებ, რა ჩამოვიტანე.

ბატონი ზეზემანი სასადილო ოთახში შევიდა, სადაც ფროილაინ როტენმაიერს სუფრა გაეწყო. როდესაც ბატონი ზეზემანი და ფროილაინ როტენმაიერი პირისპირ დასხდნენ, ქალს ისე ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი, რომ ბატონი ზეზემანი შეეკითხა:

— კი მაგრამ, ფროილაინ როტენმაიერ, ისეთი დამფრთხალი დამხვდით, რა ვიფიქრო, არ ვიცი. კლარა ხომ კარგად გრძნობს თავს?

— ბატონო ზეზემან, — წამოიწყო ქალმა, — კლარა შეწუხებულია, ჩვენ მწარედ მოგვატყუეს.

— ეს როგორ? — იკითხა ბატონმა ზეზემანმა, თან აუღელვებლად მოსვა ღვინო,

— ჩვენ გადავწყვიტეთ, ბატონო ზეზემან, კლარასთვის სახლში თანატოლი გოგონა მოგვეგვარა, რადგან ვიცი, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, რომ მხოლოდ საუკეთესო და ღირსეული ვინმე ჰყავდეს გვერდით თქვენს ქალიშვილს. ჩემი არჩევანი შვეიცარიელ გოგონაზე შეჩერდა; იმედი მქონდა, ისეთი ვინმე შემოვიდოდა ჩვენს ოჯახში, როგორიც წიგნებში წამიკითხავს: ისეთი, მთის სურნელებით რომ აავსებდა ჩვენს ბინას და ასე ვთქვათ, მიწაზე ფეხშეუხებლად რომ ივლიდა.

— მე არა მგონია, — შენიშნა ბატონმა ზეზემანმა, — შვეიცარიელ ბავშვებს შეეძლოთ მიწაზე ფეხშეუხებლად გავლა. ფეხების ნაცვლად მაშინ ფრთები ექნებოდათ გამობმული.

— ახ, ბატონო ზეზემან, კარგად ვერ გამიგეთ! — განაგრძო ფროილაინმა, — მე მხედველობაში მყავს მაღალმთიანი მხარის ბინადარი, რომელსაც მთის იდეალური სურნელი ასდის.

— კი მაგრამ, რაში სჭირდება კლარას ეს იდეალური სურნელება, ფროილაინ როტენმაიერ?

— არა, ბატონო ზეზემან, მე არ მეხუმრება. ერთი იცოდეთ, რა ადამიანებითა და ცხოველებით გაავსო სახლი თქვენს აქ არ ყოფნაში; თუ გნებავთ, ბატონ კანდიდატს ჰკითხეთ.

— ცხოველებით? — გაუკვირდა ბატონ ზეზემანს.

— ეს კიდევ არაფერი... ეს გოგო სრულ ჭკუაზეც არ არის.

ახლა კი ცოტათი შეფიქრიანდა ბატონი ზეზემანი, ჩემს ქალიშვილს ემანდ არაფერი დაუშავდესო, და ისე გულდასმით შეათვალიერა ფროილაინ როტენმაიერი, გეგონებოდათ, მის სრულ ჭკუაზე ყოფნაშიც შეეპარა ეჭვიო. ბატონმა კანდიდატმაც სწორედ ამ დროს შემოაღო კარი.

— აი, ბატონი კანდიდატიც მოვიდა და საბოლოოდ გაგვარკვევს ყველაფერში, — თქვა ბატონმა ზეზემანმა და სტუმარი სუფრასთან მიიწვია.

ბატონმა კანდიდატმა უპირველეს ყოვლისა დიდი სიხარული გამოთქვა ბატონი ზეზემანის შინ ბედნიერად დაბრუნების გამო, შემდეგ კი დაიწყო:

— რაც შეეხება გოგონას, ბატონო ზეზემან, უწინარეს ყოვლისა, მინდა თქვენი ყურადღება ერთ რამეზე გავამახვილო: მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ არის განვითარებული, რაც უგულისყურო აღზრდის ბრალია, ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ...

— ბატონო ჩემო, — შეაწყვეტინა ბატონმა ზეზემანმა, — ნამდვილად ზედმეტად იწუხებთ თავს, მითხარით, რა ცხოველები მოიყვანა ამ ბავშვმა ჩვენთან და საერთოდ, რას იტყვით?

— მე სულაც არ მინდა, გოგონას უსამართლოდ მოვექცე, — კვლავ წამოიწყო ბატონმა კანდიდატმა. — რაღა თქმა უნდა, გოგონას განვითარებაში... უფრო სრულყოფილად რომ ვთქვა, თუ დიდი სიფრთხილით მოვიქცევით...

— მომიტევეთ, ბატონო კანდიდატო, მე ახლავე მოვალ. ჩემს ქალიშვილს მინდა დავხედო, — ბატონი ზეზმანი, სწრაფად მიიმალა კარს უკან და აღარც გამოჩენილა. იგი სამეცადინო ოთახშიავიდა და თავის ქალიშვილს მიუჯდა. ჰაიდი ფეხზე წამოდგა. ბატონი ზეზემანი მას მიუბრუნდა:

— მომისმინე, პატარა, აბა ჩქარა გაიქეცი და გამოიტანე... — ბატონმა ზეზემანმა არ იცოდა რითი დაესაქმებინა გოგონა, რომ თავის ქალიშვილთან მარტო დარჩენილიყო. — წყალი მომიტანე.

— ცივი წყალი? — შეეკითხა პატარა.

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა, ცივი წყალი.

ჰაიდი გაქრა.

— აბა, ჩემო პაწია კლერხენ, — მიუბრუნდა მამა ქალიშვილს, — აბა, კარგად გამაგებინე, რა ცხოველები მორეკა შენმა ამხანაგმა სახლში: შეგიძლია გამაგებინო, რატომ ჰგონია ფროილაინ როტენმაიერს, რომ [illegible] ნაკლულია.

ბიბლიოთეკა

კლარამ მამას ჯერ კუს, მერე კნუტების ამბავი მოუყვა, აუხსნა, რა „აბდაუბდაც“ ილაპარაკა ჰაიდიმ, რითაც ასე შეაშინა ფროილაინ როტენმაიერი. ამაზე ბატონმა ზეზემანმა გულიანად იხარხარა.

— რაც ჰაიდი ჩემთანაა, ყოველდღე რაღაც ახალი ხდება, ძალიან კარგად ვერთობი; ადრე მთელი დღეები მოწყენილი ვიყავი. ჰაიდი საინტერესო ამბებს მიყვება.

— ძალიან კარგი, კლერხენ. აი შენი ამხანაგიც დაბრუნდა და ცივი წყალიც მოგვიტანა, ხომ?

— მთალად ყინულივითაა, ჭის წყალია, — უპასუხა ჰაიდიმ.

— შენ თვითონ მიხვედი ჭასთან? — გაიკვირვა კლარამ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ რადგან პირველ ჭასთან ბევრი ხალხი ტრიალებდა, ქუჩას ზემოთ გავუყევი; მეორე ჭასთანაც ხალხმრავლობა იყო, მეც სხვა ქუჩაზე გავიქეცი და იქ ავავსე ჭიქა. ერთმა ჭაღარა ბატონმა ბატონ ზეზემანთან მოკითხვა დამაბარა. იმ ბატონმა ჭიქა რომ დამინახა, წყლის დალევა მთხოვა, თან მკითხა, წყალი ვისთან მიგაქვსო, მეც ვუთხარი, ვისთანაც მიმქონდა. მან ჯერ გაიღიმა, მერე კი თქვენთან მოკითხვა დამაბარა.

— მაშ ასე, ვინ მითვლის მოკითხვას? როგორი გამოიყურება ის ბატონი? — დაინტერესდა ზეზემანი.

— გულიანი სიცილი იცის, გულზე მსხვილი ოქროს ჯაჭვი ჰკიდია, კონწიალა ოქროს ნივთით, რომელსაც ზედ წითელი თვალი უზის, ხელჯოხზე კი ცხენისთავი აქვს ამოტვიფრული.

— ეს ხომ ბატონი ექიმია, ჩვენი ექიმი, — თითქმის ერთხმად შესძახა მამა-შვილმა.

იმავე საღამოს სასადილო ოთახში ბატონი ზეზემანი ფროილაინ როტენმაიერს ჯერ უამრავ საოჯახო წვრილმანზე ელაპარაკა, შემდეგ კი განუცხადა, ჰაიდი არსადაც არ წავა, ჩვენთან დარჩებაო, გარდა ამისა, მოვითხოვ — პატარას ზედმიწევნით მეგობრულად მოექცეთო. მალე დედაჩემი აპირებს დიდი ხნით ჩვენთან ჩამოსვლას და ის მოგეხმარებათ: არ მეგულება ადამიანი, დედაჩემმა რომ ვერ აღზარდოს, როგორიც უზნეოც არ უნდა იყოს იგიო.

ორი კვირის თავზე ბატონი ზეზემანი საქმეებმა ისევ გაიხმეს პარიზს.

## თავი მეათე

### დიდედა

მალე ზეზემანების სახლში დიდი ფაცი-ფუცი ატყდა: აშკარად ჩანდა, რომ ქალბატონს, ვისაც ასე მოწიწებით მოელოდნენ, ამ სახლში სიტყვა ეთქმოდა და ყველას პატივისცემას იმსახურებდა. ტინეტს თავზე ახალთახალი ქათქათა ქუდი დაესკუპებინა. სებასტიანს სამფეხა სკამები შეეგროვებინა და ოთახებში ანაწილებდა, რომ ქალბატონს სადაც მოესურვებოდა, იქ ჩამომჯდარიყო. ფროილაინ როტენმაიერმა შესამოწმებლად და მოსაწესრიგებლად ოთახები დაიარა;

ამით უნდოდა დაედასტურებინა, რომ ქალბატონის ჩამოსვლა მის ძალაუფლებას ვერ დაჩრდილავდა.

ამასობაში სახლთან ეტლიც მოქრიალდა.

ჰაიდი გააფრთხილეს, ვიდრე არ მოუხმობდნენ, თავის ოთახში მჯდარიყო; ჰაიდიც თავისი ოთახის კუთხეში მიკუნჭულიყო და მისასალმებელ სიტყვებს იზეპირებდა. მალე კარებში ტინეტის თავი გამოჩნდა და ჰაიდის უთხრა, აბა ცოცხლად, სამეცადინო ოთახში მოუსვიო.

ჰაიდის ვერ გაებედნა ფროილაინ როტენმაიერისთვის ეკითხა დიდედას როგორ მისალმებოდა, მაგრამ თვითონვე მოიფიქრა, რომ სახელის წინ ბატონი ან ქალბატონი უნდა ეთქვა. შეაღო თუ არა ჰაიდიმ სამეცადინო ოთახის კარი, დიდედას მეგობრული ხმა შემოესმა:

— აი, ჩვენი პაწაწკინტელა გოგონაც მოვიდა! მომიახლოვდი, პატარა, კარგად შეგხედო.

ჰაიდიმ წკრიალა ხმით წარმოთქვა:

— გამარჯობათ, მოწყალეო ქალბატონო!

— ერთი ამას დამიხედეთ, — გაეცინა დიდედას, — თქვენთან ალპებში ასე მიმართავენ ერთმანეთს?

— არა, ჩვენთან ასეთი სახელი არავის ჰქვია, — თქვა ჰაიდიმ.

— ბავშვები მე ყოველთვის დიდედას მეძახიან. შენც ასე დამიძახე. ადვილად დაიხსომებ.

დიდედას თვალთაგან ისეთი გულისხმიერება გამოსჭვიოდა, რომ პატარას გულს მოეფონა და საერთოდაც, ისე ძალიან მოეწონა ჰაიდის დიდედა, რომ თვალს ველარ აცილებდა.

— რა გქვია პატარა? — შეეკითხა დიდედა.

— საერთოდ, ჰაიდის მეძახიან, მაგრამ, რადგან ადელაიდა უნდა მერქვას, ყურადღებით უნდა ვიყო, რომ... — ჰაიდი გაჩუმდა, ბევრს ვლაქლაქებ და რიგიანი პასუხი მაინც ვერ მოვახერხეო. სად იყო და სად არა, ოთახში ფროილაინ როტენმაიერი შევიდა:

— ქალბატონი ზეზემანი უეჭველად მოიწონებს,— წამოიწყო მან, — თქვენი ნებართვით, გოგოს ისეთი სახელი შევურჩიე, რომელიც გამოსათქმელად ადვილია.

— ძვირფასო როტენმაიერ, — თქვა დიდედამ, — როდესაც ადამიანს „ჰაიდი" ჰქვია, ის ჰაიდი იქნება ყველასთვის.

ფროილაინ როტენმაიერს, ცოტა არ იყოს, ეხამუშა, მოხუცი ქალბატონისაგან ასეთი უბოდიშო მიმართვა, მაგრამ რა უნდა ექნა. დიდედას საკუთარი აზრები და შეხედულებები ჰქონდა და მას ვერავინ შეაცვლევინებდა. თანაც ჯერაც ნათელი გონება შერჩენოდა და ფეხი შემოდგა თუ არა, მიხვდა, რაც ხდებოდა ამ სახლში.

ნასადილევს დიდედამ ცოტა დაისვენა, მერე წამოდგა და ფროილაინ როტენმაიერის ოთახისაკენ გაემართა და კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო და დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვით გაოცებული სახეც გამოჩნდა.

— მინდა ვიცოდე, სად არის ჰაიდი ამ დროს და რას აკეთებს? — თქვა ქალბატონმა ზეზემანმა.

— გოგონა თავის ოთახშია, სურვილი რომ ჰქონდეს, შეუძლია სასარგებლო საქმე გააკეთოს, მაგრამ ნეტავი იცოდეთ, რა სისულელეებს არ სჩადის,

რას არ იგონებს. პირდაპირ მერიდება თქვენთან ამ ბავშვის საქციელზე ლაპარაკი.

— მეც ასე მოვიქცეოდი, ოთახში დატყვევებული რომ ვიყო, ახლა კი მისმეთ პატარას ჩემს ოთახში, ლამაზი წიგნები მაქვს ჩამოტანილი, და მინდა დავასაჩუქრო.

— სწორედ ეგ არის უბედურება, სწორედ ეგ არის! — აწყვეტინა ფროილაინ როტენმაიერმა. — ნეტა რაში სჭირდება წიგნები? ამ ხნის მანძილზე ანბანიც ვერ ისწავლა. ბატონი კანდიდატიც იმასვე ამბობს, შეუძლებელია ამ არსებას რაიმე შევაგონოთ! ამ ღვთისნიერ ადამიანს ანგელოზის მოთმინება რომ არ ჰქონდეს, ალბათ, დიდი ხანია მიგვატოვებდა კიდეც.

— საკვირველია, ჰაიდი სულ არ ტოვებს ისეთი გონებაჩლუნგი ბავშვის შთაბეჭდილებას, რომელსაც ანბანის სწავლა არ შეეძლოს, — თქვა ქალბატონმა ზეზემანმა. — ახლა კი უხმეთ, გეთაყვა, ბავშვს, ნახატებს მაინც დაათვალიერებს.

ჰაიდი მალე ეახლა დიდედას. ლამაზყდიანი ფერად-ფერადად დასურათხატებული წიგნების დათვალიერებისას თვალები გაუფართოვდა. მზერა პაწაწინა ფიგურებმა მიიტაცა, პატარას უნებურად ცრემლი წასკდა და ასლუკუნდა. დიდედამ სურათს დახედა. სურათზე ლამაზი, ამწვანებული საძოვარი და მობალახე საქონელი დაეხატათ; ჯოხზე დაყრდნობილი მწყემსი მხიარულად გაჰყურებს ფარას, ნახატზე ოქროსფერი სჭარბობდა და ჰორიზონტზე დაისი იყო აღბეჭდილი.

დიდედა ჰაიდის ხელზე მიეფერა და ტკბილად მიუალერსა:

— მოდი ჩემთან, პატარა, მოდი, აბა, ნუ ტირი, ტირილი როგორ შეიძლება! სურათმა რაღაცა გაგახსენა, ხომ? იცი, ეს სურათებიანი მოთხრობა რა საინტერესოა? გინდა, დღეს საღამოს მოგიყვები? ამ წიგნში კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მოთხრობაა, რომლებიც შეგვიძლია წავიკითხოთ და მოვყვეთ. აი ასე, ახლა წინ დამიდექი, რომ კარგად შეგხედო; ასე ჯობია, ხედავ, ისევ გავმხიარულდით.

როდესაც ბავშვი დამშვიდდა, დიდედა მიუბრუნდა:

— მომიყევი, მოგწონს ბატონი კანდიდატის გაკვეთილები? ყველაფერს კარგად სწავლობ თუ არა?

— არა, — ამოიხვნეშა ჰაიდიმ, — მე ადრეც ვიცოდი, რომ კითხვის სწავლა არ შეიძლებოდა.

— ამით რისი თქმა გინდა ჰაიდი?

— კითხვის სწავლა არ შეიძლება, ძალიან ძნელია.

— ესეც ახალი ამბავი. ვინ გითხრა ეს სისულელე?

— პეტერმა მითხრა: ძალიან ვცდილობ, მაგრამ მაინც არაფერი გამომდის, ძალიან ძნელიაო.

— რა თავდაჯერებული ყოფილა ეგ შენი ვიღაც პეტერი, ერთი იმას დამიხედეთ! იცი, რას გეტყვი, ჰაიდი, რასაც პეტერი გეტყვის, ყველაფერი კი არ უნდა დაუჯერო, შენ თვითონ უნდა გამოსცადო, ალბათ კარგად არ უსმენდი ბატონ კანდიდატს და ასოებსაც გულს არ უდებდი.

— ყველაფერი ამაოა, — განუმარტა ბედს შერიგებულმა ჰაიდიმ.

— ჰაიდი, — მიუბრუნდა დიდედა, — დამიგდე ყური, შენ იმიტომ ვერ ისწავლე კითხვა, რომ პეტერს დაუჯერე. აბა ახლა მე დამიჯერე. დანამდვილე-

ბით ვიცი, რომ სხვა ბავშვებივით შენც მალე ისწავლი კითხვას და ამ წიგნსაც მიიღებ. ხომ გინდა ყველაფერი იცოდე, ჰაიდი?

ჰაიდი თვალებგაბრწყინებული უსმენდა შეგონებას და [illegible]:

— ნეტავ უკვე შემეძლოს კითხვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღის მერე, ჰაიდიმ სახლიდან გაპარვა რომ დააპირა [illegible] როტენმაიერმა ბავშვს უმადურობა დასწამა, შეაჩვენა და [illegible] ტონმა ზეზემანმა ამაზე არაფერი იცოდესო, — ჰაიდი თითქოს გამოცვალეს. მან დაიჯერა, რომ რაც უნდა მოუნდომებინა, შინ ვერ წავიდოდა; როგორც დეიდა დეტემ უთხრა, აქ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა დარჩენილიყო, ალბათ, სამუდამოდ. ჰაიდი მიხვდა, რომ ბატონი ზეზემანი თუ გაქცევის ამბავს შეიტყობდა, უმადურად ჩათვლიდა და დიდედას და კლარას რომ შეეტყოთ ეს ამბავი, ხომ მთლად მოეჭრებოდა თავი. ასე რომ, პატარამ ერთხელ და სამუდამოდ გულში ჩაიმარხა შინ წასვლის სურვილი და ეშინოდა, მისადმი მეგობრულად განწყობილი დიდედა, ფროილაინ როტენმაიერივით არ შემოსწყრომოდა. დიდარდიანებულმა ჰაიდიმ ჭამასაც მოუკლო და სმასაც, სახეზე მიტკლისფერი დაედო. ღამღამობით, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ იძინებდა. მარტო დარჩენილს მთელი სიცხადით წარმოუდგებოდა მზის სხივებით განათებული, ათასგვარი ყვავილებით გადაჭრელებული იალაღი. ბოლოს, როცა ჩაეძინებოდა და სიზმრად ფალკნისის წითლად მოელვარე კლდის წვეროსა და თვალის მომჭრელად გადათეთრებულ სქესაპლანას ფერდობებს ხედავდა, დილაობით სიხარულით ეღვიძებოდა, ეგონა, ქოხიდან გაინავარდებდა, მაგრამ ამაოდ, იგი კვლავ იმ განიერ საწოლში იწვა, ისევ ფრანკფურტში იყო, იალაღიდან შორს, ძალიან შორს და შინ ვერასოდეს დაბრუნდებოდა. მაშინ კი ბალიშში თავს ჩარგავდა და ჩუმად, გულსაკლავად ქვითინებდა. ჰაიდის დანაღვლიანება დიდედას მახვილ თვალს არ გამოპარვია. ორიოდე დღე ადროვა, იქნებ ბავშვს გუნება გამოუკეთდესო, მაგრამ ბავშვს ცვლილებისა არა ეტყობოდა რა. ერთ დღესაც ვეღარ მოითმინა, ბავშვი თავისთან მოიხმო და დედაშვილურად ჰკითხა:

— აბა მითხარი, ჰაიდი, რატომ დარდობ, გაკლია რამე?

ჰაიდის არ უნდოდა ასეთი კეთილი დიდედასათვის თავისი უმადურობით ეწყენინებინა და გულჩათხრობილად მიუგო:

— ამის თქმა არ შეიძლება.

— არ შეიძლება? არც კლარას ეტყვი?

— ო, არა, არც ერთ სულიერს არ ვეტყვი, — ჰაიდიმ ისეთი საცოდავი სახე მიიღო, რომ დიდედას გულში რაღაც ჩასწყდა.

— მოდი, პატარა, ჩემთან. როცა დარდი მოგეძალება და ადამიანებს არ გინდა გაუმხილო, მაშინ უფალს უნდა შესჩივლო და თანადგომა სთხოვო. მხოლოდ მას ძალუძს შეგიმსუბუქოს ყოველგვარი განსაცდელი, გულზე ლოდივით რომ გაწევს. ხომ გესმის ჩემი? ხომ ყოველღამე შესთხოვ უზენაესს, მადლობას მოუხდი მრავალი სიკეთისათვის და შეევედრები, დაგიფაროს ათასგვარი ბოროტებისაგან?

— ო არა, ამის გაკეთება არ შემიძლია! — წამოიძახა ბავშვმა.

— რატომ, ჰაიდი, არ იცი, როგორ უნდა მოიქცე?

— დიდი ხნის წინათ ვიცოდი, ბებიამ მასწავლა, ახლა უკვე დამავიწყდა.

— ხედავ, ჰაიდი, რა ყოფილა შენი დარდის მიზეზი. დიახ, დიახ, სწორედ ის, რომ დარდის გამზიარებელი არა გყავს. აბა გაიხსენე, რა შვებაა, როცა გუ-

ლის მტანჯველ დარდებს უფალს გაანდობ და შესთხოვ, რომ მოწყალების თვალით გადმოგხედოს, რომ არავის ძალუძს შენი შველა და შეევედრო, შეგიმსუბუქოს განსაცდელი.

ჰაიდის თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა.

— ყველაფერი, ყველაფერი შემიძლია გავუმხილო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ყველაფერი, ჰაიდი, ყველაფერი.

ბავშვმა დიდედას ხელი გამოსტაცა:

— შემიძლია წავიდე?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა დიდედამ.

ჰაიდიმაც აღარ დააყოვნა. მსწრაფლვე თავის ოთახში ავარდა, ხის სამფეხზე ჩამოჯდა, ხელები გულზე დაიკრიფა და რასაც გულში ვეღარ იტევდა და ტვირთად აწვა, ყველაფერი უზენაესს გაუმხილა, გაუმხილა და მთელი გულით და სულით შესთხოვა, შინ, პაპასთან დამაბრუნეო.

ამ ამბიდან კვირაც არ იქნებოდა გასული, რომ ბატონმა კანდიდატმა რალაც მიზეზებისა გამო ქალბატონ ზეზემანთან შეხვედრა მოინდომა. ბატონი კანდიდატი ქალბატონ ზეზემანის ოთახში მიიწვიეს.

— მაშ, ასე. მიბრძანეთ, გეთაყვა, რაზე შეწუხებულხართ, რას მეტყვით კარგს, თუ უკმაყოფილო ბრძანდებით რითიმე?

— პირიქით, მოწყალეო ქალბატონო, — წამოიწყო ბატონმა კანდიდატმა, — ისეთი რამ მოხდა, რისი იმედიც გადაწურული მქონდა.

— ჰაიდიმ კითხვა, ხომ არ ისწავლა, ბატონო კანდიდატო? — ჩაურთო ქალბატონმა ზეზემანმა.

მოულოდნელობისაგან გაშტერებული ბატონი კანდიდატი ქალს შეაცქერდა:

— დიახ, ეს ნამდვილად საოცარია, — ამოღერღა ბოლოს, როგორც იქნა, — მიუხედავად ჩემი გულმოდგინე მცდელობისა და ახსნა-განმარტებისა, პატარამ ანბანი ვერასდიდებით ვერ შეისწავლა; ახლა კი ერთ ღამეში შეისწავლა კითხვა და თანაც ისე კარგად, აქამდე ჩემს არცერთ ახალბედა მოწაფეს რომ არ დასიზმრებია. პირდაპირ საკვირველია, როგორ მოახერხეთ ეს, მოწყალეო ქალბატონო?

— ცხოვრებაში ბევრი საოცრება ხდება, ბატონო კანდიდატო, — ქალბატონ ზეზემანს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. — ადვილად შეიძლება ორი რამ მივუსადაგოთ ერთმანეთს, სწავლის წყურვილი და სწავლის მეთოდი, და ამით არც ერთს არაფერი დაუშავდეს, ბატონო კანდიდატო. ახლა კი უნდა გვიხაროდეს, რომ ბავშვმა სწავლაში წინ წაიწია და იმედია უფრო სასურველ შედეგს მივაღწევთ.

ამ სიტყვებით გააცილა ქალბატონმა ზეზემანმა ბატონი კანდიდატი და სამეცადინო ოთახისაკენ გაემართა, რათა თავად დარწმუნებულიყო ჰაიდის სასიხარულო წარმატებაში. ჰაიდი კლარასთან იჯდა, კლარა რაღაცას უკითხავდა. აშკარად ჩანდა, ბავშვი გაოცებას ვერ ფარავდა და სულ უფრო და უფრო ალტაცებაში მოდიოდი წაკითხულით. ეს შავი ასოები ადამიანებს და საგნებს ერთბაშად სულს უდგამდა და გულისამაჩუყებელ ამბად ცოცხლდებოდა... იმავე საღამოს, ვახშმობისას, ჰაიდიმ თავის თეფშზე ლამაზად დასურათებული დიდი წიგნი აღმოაჩინა და როცა კითხვით სავსე თვალები დიდედას შეანათა, მან მეგობრულად დაუდასტურა: „ დიახ დიახ, შენ გეკუთვნის."

ამ დღიდან ჰაიდის შეუყვარდა ნახატებიანი წიგნის კითხვა. საღამოს, რო-

ცა დიდედამ თქვა: წიგნს ახლა ჰაიდი წაგვიკითხავსო, ბავშვი სიხარულით მეშვიდე ცას ეწია. იგი უკვე სხაპასხუპით კითხულობდა და კითხვისას ყველაფერს მთელი სიცხადით ხედავდა, ყველაფერი უფრო მშვენიერი და ფერები ეჩვენებოდა. დიდედაც თანდათან უფრო მეტს უხსნიდა და უყვებოდა. ჰაიდი ყველაზე დიდი სიყვარულით ისევ და ისევ მწვანედ აბიბინებულ საძოვარს და თხებით გარშემორტყმული, კომბალს დაყრდნობილი მწყემსის სურათს ათვალიერებდა. მწყემსს გაბადრული სახე ჰქონდა. უხაროდა შინ დაბრუნება, ისევ მამამისის ფარასთან რომ იყო და მხიარულ, ანც ცხვრებსა და თხებს მწყემსავდა. მწყემსი ძალიან გახარებული ჩანდა. მეორე სურათზე ეხატა მამის სახლიდან გაქცეული ბიჭი, ახლა ღორებს მწყემსავდა, და უჭმელობისაგან ჩამომდნარიყო. სურათზე მზეც ისე ოქროსფრად აღარ ანათებდა, ქვეყნიერებაც რუხნისლისფრად დაეხატათ. ამ მოთხრობას მესამე სურათიც ერთვოდა: სურათზე მწყემსის შინ დაბრუნება იყო გამოსახული. ხელებგაშლილი მამა ეგებებოდა, შინ დაბრუნებულ ჩამომხმარ, ძონძებში გამოხვეულ ურჩ ვაჟიშვილს. ეს ჰაიდის საყვარელი მოთხრობა გახლდათ, უთვალავჯერ ჰქონდა წაკითხული და მაინც არ ბეზრდებოდა. ვერც დიდედის ახსნა-განმარტებებით ძღებოდა. წიგნში სხვაც ბევრი საინტერესო მოთხრობა იყო. ერთი და იგივეს კითხვა-კითხვაში და სურათების თვალიერებაში სწრაფად გაირბინეს დღეებმა და დიდედის გამგზავრების დღეც მოახლოვდა.

## თავი მეთერთმეტე

### ჰაიდი ერთი მხრივ იმატებს, მეორე მხრივ იკლებს

დაწვებოდა თუ არა შუადღისას კლარა დასასვენებლად, ფროილაინ როტენმაიერი სადღაც უჩინარდებოდა. დიდედა ერთხანს კლარასთან რჩებოდა. რამდენიმე წუთში ისევ ფეხზე წამოდგებოდა და ჰაიდის თავის ოთახში ეძახდა, ებაასებოდა და ათასნაირ ხელსაქმეში წვრთნიდა. დიდედას ძალიან ლამაზი, პაწაწინა თოჯინები ჩამოეტანა დ ჰაიდის კაბებსა და წინსაფრების კერვას ასწავლიდა. ამ ხუმრობა-ხუმრობაში პატარამ გვარიანი კერვა ისწავლა. დიდედა ფერად-ფერადი ნაჭრებით ამარაგებდა, ჰაიდი კი პაწია თოჯინებს ულამაზეს კაბებსა და მოსასხამებს უკერავდა. ბავშვი უკვე გამართულად კითხულობდა და უფლება ჰქონდა დიდედასათვის თავისი საყვარელი მოთხრობა წაეკითხა. რაც უფრო ბევრჯერ კითხულობდა ამ მოთხრობას, მით უფრო უხაროდა და მოსწონდა. ჰაიდი მოთხრობის გმირების ბედს განიცდიდა და ისინი გულწრფელად უყვარდა; თუმცა ჰაიდის მათთან ყოფნა დიდ სიხარულს გვრიდა, თანდათანობით მოიწყინა და თვალებში ნაპერწკალი ჩაუქრა.

დიდედას წასვლამდე ერთი კვირაღა რჩებოდა. სწორედ კლარას ძილის დრო იყო, როცა დიდედამ ჰაიდი ოთახში იხმო:

— მოდი ჩემთან, პატარა. აბა მითხარი, რატომ მოიწყინე? ხომ არ ღარდობ?

— დიახ, — თავი დაუქნია ჰაიდიმ.

— მაღალ ღმერთს თუ შესჩივლე შენი გასაჭირი?

— დიახ.

— ყოველდღე შესთხოვ, რომ ყველაფერი გამოსწორდეს და გაგამხიარულოს?

— ოჰ, არა, ახლა უკვე აღარაფერს არა ვთხოვ.

— ეს რა მესმის, ჰაიდი, რატომ აღარ ევედრები უფალს?

— აღარაა საჭირო. საყვარელმა ღმერთმა არ მისმინა. ფრანკფურტში ზღვა ხალხი ცხოვრობს და თუ ყველა მათგანმა თავისი გასაჭირი შესთხოვა, რომელ ერთს გასწვდება უფალი ღმერთი. ამიტომაა, ალბათ, რომ უზენაესმა ჩემთვის ვერ მოიცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე დარწმუნებული რატომ ხარ, ჰაიდი?

— მთელი კვირა ერთსა და იმავეს ვეხვეწებოდი. ღმერთმა კი არ ისურვა ჩემი მოსმენა.

— არა, ჰაიდი, ასე არ ივარგებს! შენ უნდა გწამდეს, რომ უფალი ღმერთი ჩვენი მამა და მფარველია. მან ჩვენზე უკეთ იცის, რა უფრო უკეთესია ჩვენთვის. თუ ეს ჩვენთვის სასარგებლო არ არის, ის მაშინვე არ შეგვისრულებს თხოვნას, უფრო უკეთესს გვიბოძებს, თუ არ განვუდგებით და მუდამ ვიწამებთ მას. შენ რასაც სთხოვდი ალბათ არ იყო შენთვის კარგი. მან უკეთ იცის, რა უფრო კარგია შენთვის და ფიქრობს: ჰაიდის კი სურს ერთბაშად შევასრულო, რასაც მევედრება, მაგრამ ჯობია მაშინ ავუსრულო საწადელი, და გავახარო, როდესაც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება. ახლავე რომ შევუსრულო ნანატრი იცოტავებს, ამის ასრულება უფრო უკეთ ხომ არ შეიძლებოდაო, იტირებს და იტყვის: ღმერთმა ჩემი ვედრება არ ისმინა, უფალი არც ისეთი მოწყალე ყოფილა როგორც მეგონაო. თუ უზენაესმა გადმოიხედა და შეგნიშნა რომ მისი ერთგული ხარ, ყოველდღე ემადლიერები და შეჰღაღადებ, მერე, რაღაცა არ მოგეწონა და მაშინვე განუდექი ულალატე, დაივიწყე, უეჭველად დაგსჯის, შენს ღაღადისს აღარასოდეს არ შეისმენს და დაგივიწყებს. თუ ასეთ ადამიანს გაუჭირდება და დაიჩივლებს: არვინაა ჩემი მშველელიო, მაშინ ყველა შეახსენებს, რატომ ემდურები ბედს, ხომ შენ თვითონ განუდექი იმას, ვისაც შენი შველა შეეძლო! გინდა შენც ასეთი ხვედრი გერგოს, ჰაიდი? თუ გიჯობს ისევ მადლიერი იყო უფლის და სთხოვო, მომიტევოს განდგომა. ერთგული იყავი და ყოველდღე შესთხოვე, მოწყალების თვალით გადმოგხედოს, რათა გულზეც მოგეშვას.

ჰაიდი გაფაციცებით უგდებდა ყურს დიდედას, ყოველი სიტყვა გულზე ხვდებოდა, რადგანაც ყველაზე მეტად მისი სჯეროდა.

— ახლავე წავალ, ღმერთს პატიებას ვთხოვ და აღვუთქვამ, რომ არასოდეს დავივიწყებ, — თქვა ჰაიდიმ.

— ასე აჯობებს, პატარა, შენ დამშვიდდი, უფალმა უკეთ იცის, როდის უნდა მოგხედოს! — გაამხნევა დიდედამ. ჰაიდიმაც მაშინვე მიაშურა თავის ოთახს და მხურვალედ შევედრა ღმერთს, მოწყალების თვალით გადმოეხედნა მისთვის.

დიდედას გამგზავრების დროც მოვიდა. ეს დღე კლარასა და ჰაიდისათვის გლოვის დღე იყო, მაგრამ დიდედამ იმდენი ქნა, რომ იმ დღემ მაინც მხიარულად, სადღესასწაულოდ ჩაიარა. ამ მხიარულებამ მხოლოდ დიდედას გამგზავრებამდე გასტანა. შემდეგ სახლში სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა. თითქოს ყველაფერი ჩაქვდა. კლარა და ჰაიდი დაღამებამდე ობლებივით ისხდნენ და ვერ მოეფიქრებინათ, რა ექნათ.

მეორე დღეს, როცა გაკვეთილი დამთავრდა ბავშვები ერთად დარჩნენ, ჰაიდიმ თავისი წიგნი შემოიტანა და თქვა:

— გინდა, კლარა, სულ გიკითხო და გიკითხო?

კლარა სიხარულით დათანხმდა და ჰაიდიც დიდი მონდომებით შეუდგა

კითხვას. დიდი ხანი არ იყო გასული, რაც პატარამ ახალი მოთხრობის კითხვა დაიწყო. მოთხრობა მომაკვდავ დიდედას ეხებოდა. ჰაიდი ერთბაშად შედგა, ერთი ხმამაღლა შესძახა: „ვაიმე დიდედა მომკვდარაო“ და შესაბრალისად აღრიალდა. ჰაიდის წაკითხული ნამდვილი ეგონა და დაიჯერა, იქ მთაში პეტერის ბებია მოკვდაო, და მწარედ ასლუკუნდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ისე მოკვდა ბებია, ნამცეცი პური ვერ ვაღირსე!

კლარა ყველანაირად ცდილობდა ჰაიდი დაემშვიდებინა. უხსნიდა, ამ წიგნში პეტერის ბებიაზე კი არა, სხვის ბებიაზეა მოთხრობილიო, მაგრამ აღელვებული პატარა ვერასგზით ვერ დაწყნარდა და უფრო და უფრო უნუგეშოდ მოთქვამდა.

ამ ღრიალში გახლდათ ჰაიდი, რომ ოთახში ფროილაინ როტენმაიერი შემოვიდა და როცა დაინახა, რა თავგამოდებულად ცდილობდა კლარა ჰაიდის დარწმუნებას, მაგრამ პატარა მაინც სლუკუნებდა, ვეღარ მოითმინა და ჰაიდის მკვახედ უყვირა:

— ადელაიდ! დროა შენს უთავბოლო ბღავილს ბოლო მოეღოს! დაიხსომე, თუ კითხვის დროს ერთხელ კიდევ ატირდები, წიგნს წაგართმევ და თვალით აღარ დაგანახვებ!

ამან კი გაჭრა. ჰაიდის წიგნის დაკარგვის შეეშინდა და ტირილი შეწყვიტა.

ჰაიდი კითხვის დროს აღარ ტიროდა, მაგრამ ხანდახან დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ არ ატირებულიყო. ეს კი იყო, მადა ძალიან დაკარგა, გაფითრდა და ჩამოხმა. სებასტიანს არ მოსწონდა, რომ ჰაიდი პირს აღარაფერს აკარებდა. თითქმის არაფერს ჭამდა. სახლი ენატრებოდა და ღამით ბალიშში თავჩარგული ქვითინებდა.

გამოხდა ხანი. ჰაიდიმ არც კი იცოდა გარეთ ზამთარი იყო თუ ზაფხული, რადგან გალავნები და ფანჯრები, ზეზემანების სახლიდან რომ მოჩანდა, არ იცვლებოდნენ. თვითონ გარეთ მხოლოდ მაშინ თუ გავიდოდა, როცა კლარა განსაკუთრებულად კარგად გრძნობდა თავს და ეტლით გაასეირნებდნენ, მაგრამ ეს გასეირნება ყოველთვის ხანმოკლე იყო. კლარა ეტლით დიდხანს მგზავრობას ვერ იტანდა. ქუჩებში დასეირნობდნენ, უამრავ ხალხს შორის, სადაც მთებსა და ნაძვებზე რომ არაფერი ვთქვათ, წამლადაც ვერ ნახავდით ბალახს და ყვავილებს. ამიტომაც ჰაიდის დღითიდღე უცხოველდებოდა მშობლიური მხარის ნახვის სურვილი.

ასე გაიარა შემოდგომამ და ზამთარმა: მზემ თავისი სიმცხუნვარე დაიბრუნა და ჰაიდი გრძნობდა, რომ დადგა იალაღზე თხების გარეკვის დრო. ნათლად ხედავდა მთისკენ მიმავალ პეტერსა და თხებს, ოქროსფერ მზის სხივებში მოლიცლიცე მზეყვავილებს და შებინდებისას ცეცხლისფრად აელვარებულ მთებს.

## თავი მეთორმეტე

### ზეზემანების სახლში მოჩვენება დაძრწის

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ფროილაინ როტენმაიერი მეტისმეტად შეფიქრიანებული ათვალიერებდა სახლს. შებინდებისას ოთახებს ჩამოუვლიდა,

გრძელ დერეფანში აქეთ-იქით იყურებოდა, ყოველ კუთხე-კუნჭულს სინჯავდა. ზოგჯერ ანაზდად უკან მოიხედავდა, თითქოს ეშინოდა, არავინ მომეპაროსო. თუ ფროილაინ როტენმაიერს ზემოთ სართულზე გამოუჩნდებოდა საქმე, სადაც საგულდაგულოდ დალაგებული სასტუმრო ოთახები იყო განლაგებული, ან ქვემო სართულზე ჩავიდოდა, სადაც საიდუმლოებით აღსავსე ვეებერთელა დარბაზი ყოველ ნაბიჯზე ხმამაღალ ექოს გამოსცემდა და სურათებიდან მუნიციპალიტეტის მოხუცი წევრები, გაქათქათებულ დიდ საყელოებიანი, დიდრონი თვალებით, ზემოდან ამაყად და დაჟინებით იცქირებოდნენ, ტინეტს აიტორიალებდა იმ მიზეზით, შეიძლება რაიმეს ატან-ჩამოტანა დამჭირდესო. ტინეტიც, თავის მხრივ, ზუსტად ასევე იქცეოდა, სებასტიანს იშველიებდა, ძალიან მძიმეა და მომეხმარეო. საკვირველი ის იყო, რომ სებასტიანიც ასევე იქცეოდა, იოჰანს უხმობდა, წამომყევი, მოხმარება მჭირდებაო. ასე და ამგვარად, ყოველი მათგანი მორჩილად ხვდებოდა გამოძახებას, მიუხედავად იმისა, რომ არაფერიც არ გახლდათ გადასატან-გადმოსატანი და ყველას მშვენივრად შეეძლო მარტოს ევლო ოთახებში, მაგრამ მარტო სიარული რატომღაც არავის არ სურდა, ყოველი მათგანი იგივე მიზეზით სხვას უხმობდა საშველად.

როცა ზემოთ ეს ამბავი ხდებოდა, ქვემოთ ხანში შესული მზარეული ქალი ჩაფიქრებული დასცქეროდა ქვაბებს, თავს აქნევდა და ოხრავდა, ესღა გვაკლდაო! სულ რამდენიმე დღე იყო, რაც დილაობით ზეზემანების სახლში რაღაც უჩვეულო, ავისმომასწავებელი ამბავი ხდებოდა, როდესაც მსახურნი დაბლა ჩადიოდნენ, სახლის კარი ფართოდ გაღებული ხვდებოდათ. კარის გამღები კი არსად ჩანდა. პირველ დღეებში მსახურებს ეგონათ, გაგვქურდესო და ქურდების ძებნაში სასწრაფოდ დაირბინეს ოთახები. მაგრამ არაფერი ჩანდა მოპარული, სახლში ყველაფერი თავის ადგილზე იდო. საღამოს შემოსასვლელი კარი ორმაგად ჩაკეტეს და დიდი ხის ურდულითაც გადარაზეს, მაგრამ ამანაც არ უშველა, დილით კარი ისევ ღია დახვდათ; მას მერე რაგინდ უთენიაც არ უნდა ამდგარიყვნენ მსახურები, მაშინაც კი, როცა ირგვლივ ჯერ კიდევ ყველას გულის ძილით ეძინათ და კარ-ფანჯარა ჯერ კიდევ ჩარაზული ჰქონდათ, შემოსასვლელი კარი მაინც ღია უხვდებოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, იოჰანმა და სებასტიანმა შიშს სძლიეს და ფროილაინ როტენმაიერს გაუბედეს, ღამეს დარბაზში დავრჩებით და გავიგებთ, რა ხდებაო. ფროილაინ როტენმაიერმა გულმოდგინედ დაძებნა ბატონი ზეზემანის იარაღი და იარაღთან ერთად სებასტიანს ლიქიორის დიდი ბოთლი მისცა, როცა მოუნდებოდათ გასამხნევებლად დაელიათ.

ორივე მსახური იმ დიდმნიშვნელოვან საღამოს დარბაზში მოკალათდა. გასამხნევებლად ერთი-ორი ჭიქა ლიქიორი გადაჰკრეს. ლიქიორმა ჯერ ლაპარაკის სალერღელი აუშალათ, მერე კი ძილი მოჰგვარათ, ისე რომ, ორივეს სავარძლის საზურგეს მიყრდნობილს ჩაეძინა. როცა ბებერმა საათმა კოშკზე თორმეტჯერ ჩამოჰკრა, სებასტიანი გამოერკვა და ამხანაგს შეუძახა, მაგრამ მისი გამოფხიზლება არც ისე ადვილი გამოდგა: იოჰანმა მხარი იცვალა და ხვრინვა განაგრძო. სებასტიანი ერთხანს სმენად იქცა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. სებასტიანს ძალიან შეეშინდა სიჩუმისა, ველარ დაიძინა. იოჰანს მჭახე ხმით შეუძახა და რამოდენიმეჯერ შეანჯღრია. ბოლოს, როცა საათმა პირველი დარეკა, იოჰანი, როგორც იქნა, გონს მოვიდა და გაუკვირდა, სკამზე რომ ეძინა, ვერ მიხვდა, რატომ ლოგინში არ იწვა. მერე ერთბაშად წამოიძახა: „აბა,

სებასტიან, ლითია გარეთ გავიტანოთ, ვნახოთ როგორაა საქმე; ნუ გეშინია, შენ მარტო მოგყვები! — იოჰანმა ოდნავ მიხურული ოთახის კარი გამოაღო და გავიდა. იმავე წუთში გაღიავებული კარიდან მონაბერმა ქარმა სახეში ძლიერად დაუბერა და ხელში სანთელი ჩაუქრო; იოჰანი სწრაფად შემობრუნდა, მის უკან მდგარ სებასტიანს ჟრჟოლით უბიძგა, ოთახში შეაგდო, კარი მიაჯახუნა და გასაღებით გადაკეტა. მერე სებასტიანს ხელიდან ასანთი გამოგლიჯა და სასწრაფოდ აანთო. სებასტიანი ვერ მიხვდა იოჰანის შეფუცხუნების მიზეზს, რადგან იოჰანის განიერმა მხრებმა ქარი სებასტიანამდე არ მიუშვა, მაგრამ როცა სანთლის ალზე დაინახა, რომ იოჰანს მიტკლისფერი დასდებოდა და ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა, შიშნარევი ხმით წამოიყვირა.

— რა მოხდა? რა დაინახე ისეთი?

— კარი ყურთამდე იყო გაღებული, სებასტიან, — გამოსცრა იოჰანმა. — კიბეზე თეთრად ჩაცმული მოჩვენება ადიოდა და უცებ გაუჩინარდა. — ახლა კი ჭიანჭველებმა დაუარეს ზურგზე სებასტიანს. ორივენი გასუსულები ჩამოსხდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ და ვიდრე მთლად არ ინათა და ქუჩა არ აზმაურდა, ასე იყვნენ. შემდეგ ოთახიდანაც ერთად გავიდნენ, შესასვლელი კარი გადარაზეს და ზემოთ ფროილაინ როტენმაიერს ეახლნენ, რათა წუხანდელი თავგადასავალი მოეხსენებინათ. მოისმინა თუ არა ღამით მომხდარი ამბავი, მაშინვე დაჯდა და ბატონთან ისეთი წერილი დაწერა, რომლის მსგავსიც ჯერ არ გაეგზავნა. იტყობინებოდა: ვწერ და შიშისგან ხელები მიკანკალებსო. სთხოვდა ბატონ ზეზემანს, დაუყოვნებლივ შინ დაბრუნებულიყო. აუწყებდა სახლში მომხდარ სასწაულებს.

ბატონმა ზეზემანმაც არ დააყოვნა პასუხი და მოსწერა, რომ არ შეეძლო ასე უცაბედად საქმეების გადადება და შინ დაბრუნება; მას არ სჯერა მოჩვენებისა და იმედოვნებს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ურჩევდა ფროილაინ როტენმაიერს, ქ-ნ ზეზემანს მისწერეთ და მას სთხოვეთ ფრანკფურტში ჩამოვიდესო.

ბატონმა ზეზემანმა იცოდა, დედამისი ისეთ ღლეს დააყრიდა მოჩვენებებს, მეორედ ვეღარ გაბედავდნენ სახლის აფორიაქებას. ფროილაინ როტენმაიერი უკმაყოფილო დარჩა ასეთი წერილით. მან დაუყოვნებლივ მისწერა ქალბატონ ზეზემანს, მაგრამ უარი მიიღო. ის კი არა, წერილი სავსე იყო დამცინავი სიტყვებით. ქალბატონი ზეზემანი იწერებოდა, რომ სულაც არ აპირებდა ჰოლშტაინიდან ფრანკფურტში ჩამოსვლას იმის გამო, რომ ფროილაინ როტენმაიერს მოჩვენებები ელანდებოდა; თანაც აქილიკებდა, რომ აღარ არავინ შეფეთებია მოჩვენებას და თუ ახლა სახლში მოჩვენებანი თავს გავიდნენ, ეს აუცილებლად ვინმე სულიერი იქნება, ვისთანაც ფროილაინ როტენმაიერს მშვენივრად შეუძლია მორიგდეს, და თუ ვერ მორიგდება, მაშინ ღამის დარაჯები დაიხმაროს.

მიუხედავად ასეთი პასუხისა, ფროილაინ როტენმაიერმა მტკიცედ გადაწყვიტა ღამეები შიშ-ფეთებაში აღარ ეთენებინა და იცოდა კიდეც როგორ მოქცეულიყო. აქამდე მას ბავშვებთან მოჩვენებებზე კრინტიც არ დაეძრა, არ უნდოდა მათი შეშინება; იცოდა, ისინი არც დღე და არც ღამე მარტო აღარ დარჩებოდნენ და ამით თვითვე შეწუხდებოდა. ახლა კი ფროილაინ როტენმაიერი პირდაპირ სამეცადინო ოთახისაკენ გაეშურა, სადაც ორივე ბავშვი ეგულებოდა. შემზარავად მოუყვა ღამეული სტუმრების ამბავს. კლარამ მაშინვე განაცხადა, რომ მარტო ერთ წუთსაც აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩებოდა და მოითხოვა მამამისი ჩამოსულიყო. დღის მერე ფროილაინ როტენმაიერს მის ოთახში უნდა დაეძინა, არც ჰაიდის მარტო დატოვება შეიძლებოდა, რომ მოჩვენებას მისთვის არაფერი ევნო. ყველანი ერთ ოთახში უნდა მოქუჩებულიყვნენ და მთელი ღამე სანთელი ენთებოდათ; ტინეტიც იმათთან ერთად უნდა მოკალათებულიყო, სებასტიანი და იოჰანი კი დერეფანში უნდა ამობარგებულიყვნენ. თუ მოჩვენება კიბეზე ამოსვლას შეეცდებოდა, დააფრთხობდნენ. კლარა ძალიან აღელვა ამ ამბავმა და ფროილაინ როტენმაიერმა ძლივძლივობით დაამშვიდა. ყველანი ერთ ოთახში, რა თქმა უნდა, ვერ მოთავსდებოდნენ, მაგრამ თუ ადელაიდას შეეშინდებოდა, ტინეტი გადავიდოდა მის ოთახში, ჰაიდის კი, სიმართლე გითხრათ, ტინეტისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მოჩვენებისა. ბავშვს წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რა იყო მოჩვენება და მაშინვე განაცხადა, რომ არავითარი მოჩვენების არ ეშინია და მშვენივრად დაიძინებდა მარტო. მოითათბირეს თუ არა, ფროილაინ როტენმაიერი მაშინვე წერილის დასაწერად დაჯდა და ბატონ ზეზემანს აუწყა, რომ მის სახლში მომხდარმა შემაშფოთებელმა ამბებმა შეარყია მისი გოგონას ნაზი აგებულება და ძალიან ეშინია, გოგონას ჯანმრთელობა არ გაუუარესდეს, თან აფრთხილებდა, ასეთ დროს ხშირია ეპილეფსიური მოვლენები, რისგანაც არც მისი გოგონა იქნებოდა დაზღვეული, თუ სახლში ეს დაძაბულობა არ შენელდებოდა.

ამ ხერხმა გაჭრა და ორი დღის თავზე ბატონი ზეზემანი უკვე სადარბაზო კართან იდგა. ისე მძლავრად ჩამოკრა ზარს, ყველამ ერთად მოირბინა. ეგონათ, ავი სული ისე გათავხედდა, დაღამებამდე მოინდომა ჩვენი გამასხარავება.. სებასტიანმა, როგორც იქნა, იცნო ბატონის ზარი და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე. ბატონი ზეზემანი მსახურს მშრალად მიესალმა და პირდაპირ ქალიშვილის ოთახისკენ გასწია. კლარა სიხარულით შეხვდა მამას. ქალიშვილის კარგად ყოფნით გახარებული მამა დამშვიდდა და შუბლიც გახსნა.

— როგორ იქცევა ჩვენი მოჩვენება, ფროილაინ როტენმაიერ? — ირონიულად შეეკითხა ბატონი ზეზემანი.

— ბატონო ზეზემან, — მიაგება ქალმა სერიოზულად, — ეს ხუმრობა ნუ გგონიათ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ხვალ დილით აღარ გაგეცინებათ. რაც სახლში ხდება, ავისმომასწავებელია და არც ისე აშკარად სალაპარაკო.

ბატონმა ზეზემანმა სებასტიანს იხმო. მან კარგა ხანია იცოდა, რომ სებასტიანს და ფროილაინ როტენმაიერს ერთმანეთი არ ეპიტნავებოდათ.

— აბა, მოდი აქ ყმაწვილო, — ხელი დაუქნია შემოსულს, — და გულწრფელად მითხარი: შენი ოინებია ხომ ეს მოჩვენებობანას თამაში? ფროილაინ როტენმაიერი გინდოდა შეგეშინებინა, არა?

— არა, ვფიცავ ერთგულებას, ჭორებს ნუ დაუჯერებთ, მოწყალეო ბატონო, მე თვითონ არ ვიცი, რა ხდება — მიაგება სებასტიანმა მთელი გულწრფელობით.

— თუ ასეა, ხვალ დილის სინათლეზე გიჩვენებთ შენ და გულად იოჰანს, როგორია მოჩვენება. სირცხვილია შენ, სებასტიან, ასეთ ახალგაზრდა, ჯირკვივით ყმაწვილს მოჩვენებებისა რომ გეშინია! ახლა კი წადი ჩემს მეგობართან, დოქტორ კლასენთან: მოკითხვა გადაეცი, უთხარი, დღეს საღამოს ცხრა საათისათვის დაველოდები და აუხსენი, რომ პარიზიდან სპეციალურად ჩამოვე-

დი მასთან მოსალაპარაკებლად; ისიც გაითვალისწინოს, შეიძლება ჩემთან ღამის გათევა მოუწიოს, გასაგებია., სებასტიან?

ზუსტად ცხრა საათისათვის, როცა ბავშვები დასაძინებლად წავიდნენ და ფროილაინ როტენმაიერმაც თავის ოთახს მიაშურა, გამოჩნდა ექიმი. [illegible] ცე თმა გაჭაღარავებოდა, სახეზე ჯერ კიდევ შერჩენოდა ახალ[illegible] და სიცოცხლით სავსე, ნდობით მომზირალი თვალები. ექიმ[illegible] შეშფოთებული ჩანდა, მაგრამ მისალმებისთანავე სიცილი აუტყდა და თავის მეგობარს მხრებზე ხელი დაუტყაპუნა:

— აბა, აბა, შენ რაღაც მეტისმეტად გულმშვიდად გამოიყურები იმ კაცისთვის, ვინც ღამე უნდა ათიოს, ძველო!

— მოთმინება, ძველო, მოთმინება, — უპასუხა ბატონმა ზეზემანმა. — ის, ვისთვისაც ღამე უნდა ათიო და ვინც მახეში გაებმება, უფრო უარესი შესახედი იქნება.

— ესე იგი, სახლში კიდევ ერთი ავადმყოფია, თანაც ისეთი, რომელსაც გათოკვა სჭირდება?

— უარესი, ექიმო, უფრო უარესი, სახლში მოჩვენება დაძრწის.

ამის გაგონებაზე ექიმმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

ბატონმა ზეზემანმა მეგობარს ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოუყვა და არც ღია კარის ამბავი დაივიწყებია; ისიც დაურთო, რომ ყოველი შემთხვევისათვის იქ, სადაც უნდა იდარაჯონ, ორი კარგად გატენილი დამბაჩა უდევს. ეტყობა, ვიღაცა უგერგილოდ ხუმრობს, ან რომელიმე მსახური მაიმუნობს, ან ქურდები დაძვრებიან. ასეთ შემთხვევაში კი იარაღი სწორედ რომ ზედმისწრება იქნება. ამ საუბარში ბატონებმა კიბე ჩაათავეს და იმ ოთახში შევიდნენ, სადაც იოჰანმა და სებასტიანმა მთელი ღამე იყურყუტეს. კაცებმა კარი კარგად მოხურეს, რომ დერეფანში ზედმეტი სინათლე არ გაპარულიყო და მოჩვენება არ დაეფრთხო: შემდეგ სავარძელში ჩაეფლნენ და მოყვნენ იმ მთისა და ამ მთისას, თან ღვინოს წრუპავდნენ. თორმეტმაც ჩამოჰკრა.

— მოჩვენებამ გაგვაცურა, დღეს ალბათ აღარ მოვა, — დაასკვნა ექიმმა.

— ცოტაც მოითმინე, პირველისათვის უნდა გამოჩნდეს, — მიაგება მეგობარმა.

საუბარში პირველმაც ჩამოჰკრა. ირგვლივ სრული სიჩუმე გამეფებულიყო. ქუჩებში ყოველგვარი ხმაური მიწყდა. ექიმმა უცებ ასწია თითი.

— ჩუ, ზეზემან, არ გესმის?

ორივემ მიაყურადა, აშკარად გაიგონეს, როგორ გადასწია ვიღაცამ ძალიან ფრთხილად კარის ურდული, როგორ გადატრიალდა ორჯერ გასაღები და კარიც გაიღო. ბატონმა ზეზემანმა ხელი რევოლვერისაკენ გააპარა.

ფართოდ გაღებული კარიდან მკრთალად შემოჭრილი მთვარის შუქი კარის ზღურბლზე უძრავად მდგარ თეთრ არსებას ანათებდა.

— ვინ არის აქ?! — დაიგრგვინა ექიმმა.

თეთრად მოსილი არსება შემობრუნდა და სუსტი კივილი აღმოხდა.

მათ წინ ფეხშიშველა ღამისპერანგიანი ჰაიდი იდგა და დაბნეული შეჰყურებდა ხან სინთლებს, ხან იარაღს და ფოთოლივით ცახცახებდა. გაოცებულმა ბატონებმა ერთმანეთს შეხედეს:

— ზეზემან, ეს ხომ შენი პატარა წყლის მზიდავია? — თქვა ექიმმა. — მე მგონი, საქმე სწორედ მე მეხება. შენ სავარძელში მომიცადე, პირველ რიგში ბავშვი ოთახში უნდა ავიყვანოთ.

— ნუ გეშინია პატარა, ნუ გეშინია, — მეგობრულად დაუყვავა ექიმმა, — დამშვიდდი, არაფერი ცუდი არ მომხდარა, შენ ოღონდ დამშვიდდი.

ოთახში რომ შევიდნენ, ექიმმა შანდალი მაგიდაზე დადგა, ბავშვი ლოგინში ჩააწვინა, საწოლთან ახლოს სავარძელში ჩაჯდა და დაელოდა, ვიდრე პატარა დამშვიდდებოდა და კანკალი გაუვლიდა. მერე ბავშვს [illegible]ილო და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი მოგვარდება, პატარა, აბა ახლა მითხარი, სად მიდიოდი?

— არსად, — დარწმუნებით თქვა ჰაიდიმ, — მე თვითონ არ ჩავსულვარ, არ ვიცი, იქ როგორ აღმოვჩნდი.

— კარგი, კარგი, რაიმე სიზმარი ხომ არ ნახე, იცი როგორი, აშკარად ყურში რომ გესმის და ხედავ კიდეც რაღაცას, აი ისეთი?

— დიახ, ყოველღღე ერთი და იგივე მესიზმრება. სულ მგონია, რომ პაპასთან ვარ, მთიდან ნაძვების შრიალი მესმის და ვფიქრობ, სადაცაა აელვარდება ცაში ვარსკვლავები, კარს გავაღებ, გარეთ გავვარდები და ვნახავ იმ სილამაზეს! მაგრამ როცა ვიღვიძებ, ისევ ფრანკფურტში ვარ, — და ჰაიდი მთელი ძალით შეეცადა ყელში მოწოლილი ტირილი დაეძლია.

— და არაფერი გტკივა, ვთქვათ, თავი ან ზურგი?

— ო, არა, მხოლოდ აქ მაწევს მუდამ რაღაც ლოდივით, თითქოს ტირილი გინდოდ!

— ხშირად ტირი? — შეეკითხა ექიმი.

— ოჰ, არა, ტირილი არ შეიძლება, ფროილაინ როტენმაიერი ტირილს მიკრძალავს.

— შენც იკავებ თავს, ცრემლებს ყლაპავ, ხომ? მოგწონს ფრანკფურტში?

— დიახ, დიახ, — ძლივს გასაგონად გაისმა პასუხი, რომელიც უარს უფრო ჰგავდა.

— ადრე სად ცხოვრობდით შენ და პაპა?

— მთაში, მუდამ მთაში.

— იქ, ალბათ, მოწყენილობაა არა?

— ოჰ არა, არა, იქ ისეთი სილამაზეა, ისეთი სილამაზე! — ახლა კი ველარ შეიკავა თავი ჰაიდიმ, მშობლიური შემოგარენის გახსენებას, მოძალებულ მღელვარებას, დიდი ხნის თავშეკავებას ველარ გაუძლო, ლოყაზე ცრემლები ჩამოუგორდა და აღრიალდა. ექიმი წამოდგა. ჰაიდის თავი მზრუნველად დაადება ბალიშზე და უთხრა: „ცოტა იტირე, არა უშავს, გულზე მოგეშვება. მერე კი დაიძინე, უფრო გემრიელად დაგეძინება. დილით ყველაფერი რიგზე იქნება." და ამ სიტყვებით გავიდა ოთახიდან.

ექიმი დარბაზში დაბრუნდა, მეგობრის წინ სავარძელში ჩაჯდა და ლოდინით გათანგულს მიუბრუნდა:

— ზეზემან, უნდა გითხრა, რომ შენი პატარა ბინადარი მთვარეულია. სრულიად უნებლიეთ აღებდა კარს და მთელი სახლის ბინადართ შიშის ზარს სცემდა. მეორეც. შინ დაბრუნებაზე ოცნებობს, ძალზე გამხდარია და თუ დროზე არ მივხედეთ, კიდევ უფრო ჩამოხმება. სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს ბავშვი უკან, მთის ჰაერზე. ეს არის მისი განკურნების ერთადერთი წამალი. ბავშვი ხვალვე უნდა გაამგზავრო, ეს არის ჩემი რეცეპტი.

ბატონი ზეზემანი აღელვებული მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას:

— მთვარეული! ავადმყოფი! შინ დავაბრუნო! ჩემს სახლში ჩამოხმა! ეს ყველაფერი ჩემს სახლში მოხდა! და შენ გგონია, რომ იმ ბავშვს, რომელიც

ჩემს სახლში სრულიად ჯანმრთელი მოვიდა, ასეთ გამხდარს და გაუბედურებულს გავუშვებ უკან პაპასთან? არა, არა ექიმო, ამას ნუ მომთხოვ, ქენი სიკეთე, უმკურნალე, ყველა ღონე იხმარე, რომ განკურნო და თუ მოისურვებს, მერე გავგზავნი შინ, ოღონდ ჯერ მიშველე რამე.

— ზეზემან, — მიუგება ექიმმა სერიოზულად, — დაფიქრდი, რას სჩადიხარ! ეს ავადმყოფობა არაა, მას ვერანაირი წამლით ვერ განკურნებ. ბავშვი არა ჩანს ფიზიკურად ამტანი, მაგრამ თუ დაუყოვნებლივ მთის ჰაერს დაუბრუნებ, ისევ გამოკეთდება. ხომ არ გინდა პაპამისს სნეული ბავშვი დაუბრუნდეს ან საერთოდ ვეღარ დაუბრუნდეს?

ბატონი ზეზემანი ელდანაკრავივით შედგა:

— კარგი, კარგი, რადგან შენ ასე მსჯელობ, ექიმო, მაშინ მართლაც ეგ ყოფილა ერთადერთი ხსნა, რომელიც ახლავე უნდა მოგვარდეს!

## თავი მეცამეტე

ზაფხულის საღამოს, მთისკენ

აღელვებული ბატონი ზეზემანი ფროილაინ როტენმაიერის ოთახის წინ შედგა და კარზე ერთი ისე უჩვეულოდ დააბრახუნა, რომ მძინარე ფროილაინ როტენმაიერი საკუთარმა შეკივლებამ და ზეზემანის ნაცნობმა ხმამ გამოაფხიზლა.

— თუ შეიძლება აჩქარდით, სასადილო ოთახში გელოდებით. სამგზავრო თადარიგი უნდა დავიჭიროთ!

ფროილაინ როტენმაიერმა საათს დახედა, დილის ხუთი საათი იყო; ასე უთენია ნეტა რა უნდა მომხდარიყო? ცნობისმოყვარეობისა და შიშნარევი მოლოდინისაგან ერთხანს ვერა გაახერხა რა, რაც ხელში მოხვდა, ის ჩაიცვა.

ამასობაში ბატონმა ზეზემანმა დერეფანს ჩამოუარა და ისეთი ძალით ჩამოჰკრა მსახურთათვის განკუთვნილ ზარს, რომ ყველა დაფეთებული წამოვარდა ლოგინიდან, იფიქრეს, ბატონი ალბათ მოჩვენებამ შეიპყრო და საშველად გვიხმობსო. ერთმანეთის მიყოლებით ჩაცვივდნენ ქვემოთ და გაოცებული შეაცქერდნენ ბატონს, რომელიც ცოცხლად მოდიოდა სასადილო ოთახში და სრულებით არ ჩანდა მოჩვენებისაგან შეშინებული. იოჰანი მაშინვე გააგზავნა, რათა ცხენები და ოთხთვალა მოეწესრიგებინა სამგზავროდ. სებასტიანს უბრძანა, ჰაიდის დეიდა საჩქაროდ აქ მოეყვანა. ამასობაში ფროილაინ როტენმაიერიც შევიდა ოთახში. მან ქალს სთხოვა, რომ დაუყოვნებლივ ჩაელაგებინა პატარა შვეიცარიელის ავლა-დიდება ჩემოდანში — ასე ეძახდა ბატონი ზეზემანი ჰაიდის — და ერთი-ორი კლარას კაბაც დაემატებინა ზედ. მერე თავისი ქალიშვილის ოთახისაკენ გაეშურა. გოგონას საწოლზე ჩამოუჯდა და მოუყვა წუხანდელი მოჩვენების ამბავი, შემდეგ დასძინა, რომ ექიმის აზრით, ჰაიდი მთვარეულია და ღამით ხეტიალს დიდხანს ვერ მოიშლის. შეიძლება სახურავზედაც ავიდეს, რაც გოგონას საშინელ საფრთხეს უქადის. ამიტომ ექიმის რჩევით, სასწრაფოდ შინ უნდა გაიგზავნოს, და რადგან მეტი გზა არ არის, კლარამ უნდა გაუგოს მამას.

კლარა თავდაპირველად ტკივილამდე შეძრა ამ ამბავმა. მამა შეპირდა, თუ ჭკვიანად მოიქცევი და არ იტირებ, გაისად შვეიცარიაში წაგიყვანო. კლარა შეურიგდა ბედს. მხოლოდ მოითხოვა, ჰაიდის ჩემოდანი ჩემს ოთახში ჩაალაგეთ, რაღაცეები უნდა ვაჩუქოო. მამა სიამოვნებით დაეთანხმა.

ამასობაში დეიდა დეტეც მოსულიყო და მოსაცდელში იცდიდა. ქალი

ხვდებოდა, რომ ასე დილაუთენია, რაღაც განსაკუთრებული ამბის გამო გამოიძახეს. მართლაც, ბატონმა ზეზემანმა აუხსნა მას ჰაიდის მდგომარეობა და სთხოვა, ბავშვი დღესვე წაეყვანა უკან. დეიდა იმედგაცრუებული იდგა. ამას ნამდვილად არ ელოდა. მაშინვე გაახსენდა მთის კაცის სიტყვები, გზად მიმავალს რომ მიაძახა. ჩემმა თვალებმა მეტი აღარ დაგინახოს, და ახლა როცა უკან დაბრუნებაზე მიდგა საქმე, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, მაგრამ დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია. მორიდებით თქვა, დღეს არა მცალია გასამგზავრებლად, არც ხვალ და საერთოდ, არ შემიძლია ბავშვს გავყვეო. ბატონი ზეზემანი მიუხვდა დეტეს და დაუყოვნებლივ დაითხოვა, შემდეგ სებასტიანს უხმო და დაავალა, სასწრაფოდ მომზადებულიყო გასამგზავრებლად.

— მთავარია, სებასტიან, — დაარიგა ბატონმა ზეზემანმა მსახური, — ზუსტად შეასრულო, რასაც გეტყვი! ბაზელის სასტუმროში სადაც ხშირად გავჩერებულვარ, მისვლისთანავე ჩემს სავიზიტო ბარათს წარადგენ და ბავშვს კარგ ოთახს გამოუყოფენ. ფანჯრებს ისე ჩარაზავ, რომ ბავშვმა ვერ გააღოს. როდესაც ჰაიდი დაიძინებს, კარს გარედან ჩაკეტავ. ბავშვი მთვარეულია და შეშინია უცხო სახლში ხიფათს არ გადაეყაროს. გასაგებია?

—ააა, ესე იგი, ეს იყო ის. — უცებ გაუნათდა გონება სებასტიანს, მიხვდა, ვინც იყო მოჩვენება

— დიახ, დიახ, ნამდვილად ის იყო! შენ და იოჰანი კი ორივენი მხდალები და დოყლაპიები ხართ! — ზეზემანმა თავის ოთახს მიაშურა, რომ მთის კაცისთვის წერილი მიეწერა.

ამასობაში ჰაიდი გაეღვიძეს, საგარეოდ გამოაწყვეს, ბავშვი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. ბატონმა ზეზემანმა წერილი შემოიტანა სასადილო ოთახში, სადაც სუფრაზე საუზმე გაეშალათ და იკითხა:

—სად არის ბავშვი?

ჰაიდის უხმეს.

— შენ ხომ ჯერ არაფერი არ იცი, გაეცინა ბატონ ზეზემანს. — დღეს შინ მიემგზავრები. ახლავე

— შინ? — ჰაიდის ისე შეუფართხალდა გული, რომ ერთხანს სუნთქვა შეეკრა.

— არ გინდა შინ წასვლა? — შეეკითხა ზეზემანი ღიმილით.

— ოჰ, არა, ძალიან მინდა, — გამოერკვა ჰაიდი და ერთბაშად გაწითლდა.

— კარგი, კარგი. — დაუყვავა ზეზემანმა, — ახლა კარგად დანაყრდი, მერე ეტლში ჩასკუპდი და სახლისაკენ, ჰერი!

რამდენი არ ეცადა, ჰაიდიმ ლუკმაც ვერ გადაყლაპა. აღელვებულს ვერ გაეგო, ცხადში იყო თუ სიზმარში.

— აირბინე კლარასთან, ვიდრე ეტლი ჩამოდგება! — უთხრა ბატონმა ზეზემანმა ჰაიდის. ჰატარასაც ეს უნდოდა.

კლარას ოთახის შუაგულში ჯერ კიდევ თავდაუხურავი დიდი ჩემოდანი იდო.

— მოდი, ჰაიდი, მოდი! ნახე რა ჩაგილაგე: კაბები, წინსაფრები, პირსახოცი და ხელსაქმე! — მერე საზეიმოდ ასწია კალათი; ჰაიდი სიხარულისაგან შეხტა; კალათში დიდედისათვის განკუთვნილი თორმეტი ლამაზი თეთრი მრგვალი პური იდო. ამ ყიჟინაში სულ გადაავიწყდათ ბავშვებს, რომ განშორების ჟამი ახლოვდებოდა, ამასობაში ქვემოდანაც ამოსძახეს, ეტლი მზად არისო, — და ბავშვებს აღარ დარჩათ დრო დალონებისათვის. ჰაიდი თავის ოთახში გაიქ-

ცა. დიდედას ნაჩუქარი ლამაზი წიგნი ბალიშის ქვეშ ჰქონდა შენახული. წიგნი კალათაში ზემოდან ჩადო. თავის ავლადიდებიდან კიდევ რაღაც მოისაკლისა, კარადაში მოიძია და მალე იპოვნა კიდეც. ეს იყო ძველი, წითელი ყელსახვევი, რომელიც ფროილაინ როტენმაიერს ბარგში არ ჩაედო. ჰაიდიმ ისიც კალათაში ჩადო ზემოდან. შემდეგ თავისი ქუდი თავზე დაისკუპა და ოთახიდან გავიდა.

ბავშვები ერთმანეთს ნაჩქარევად დაემშვიდობნენ, რადგან ბატონი ზეზემანი ჰაიდის ელოდა ეტლამდე მისაცილებლად. ბატონმა ზეზემანმა ჰაიდის ეტლთან ხელი გაუწოდა და უთხრა, მე და ჩემი კლარა არასოდეს დაგივიწყებთ. შემდეგ დალოცა და გზა მშვიდობისა უსურვა. არც ჰაიდის დავიწყებია მადლობის გადახდა იმ მზრუნველობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს და ბოლოს დასძინა:

— ბატონი ექიმი ათასჯერ მომიკითხეთ და დიდი მადლობა გადაეცით.

პატარას კარგად ჩაბეჭდოდა თავში ექიმის სიტყვები, ხვალ ყველაფერი რიგზე იქნებაო. მართლაც ასე მოხდა და ჰაიდის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამაში ექიმის ხელი ერია.

ბავშვი ეტლში ავიდა, სებასტიანმა კალათი და სურსათ-სანოვაგე მოიტანა. ბატონმა ზეზემანმა ერთხელ კიდევ მიაძახა:

— ბედნიერი მგზავრობა! — და ეტლიც ადგილიდან მოწყდა. ცოტა ხანში ჰაიდი უკვე მატარებელში ესკუპა, მუხლებზე შემოდგმულ კალათს მაგრად ჩაფრენოდა. კალათში ხომ დიდედასათვის განკუთვნილი პური ელაგა. გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, პაპასთან მიეჩქარებოდა, სიძოვარი, დიდედა და პეტერი ელოდებოდნენ. ნეტავ როგორ არიან?

— სებასტიან, მთაში რომ ცხოვრობს, ის ბებია ხომ ცოცხალი იქნება? — უცებ შეეშინდა ჰაიდის.

— რა თქმა უნდა, — დაამშვიდა სებასტიანმა.

წუხანდელმა უძილობამ და დილაბინდზე ადგომამ ძალიან მოთენთა პატარა, თვალები მიელულა და მხოლოდ მაშინღა გაახილა, როდესაც სებასტიანმა შეაჯანჯღარა:

— გაიღვიძე! გაიღვიძე! ჩავედით, ბაზელში ვართ!

მეორე დილით ისევ დიდხანს იმგზავრეს, პურით სავსე კალათს არ იშორებდა. სწორედ მაშინ დაიძახეს: მაიენფელდიო, როდესაც ჰაიდი აღარ ფიქრობდა ამაზე. მალე ორივენი ჩემოდნიანად ბაქანზე იდგნენ. სებასტიანმა ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ. უნდოდა დორფლისკენ მიმავალი გზა ეკითხა, სადგურის მორიახლოს პატარა ოთხთვალა დალანდა. შიგ გაძვალტყავებული ცხენიება. ვიღაც ჩასხმული, მხარბეჭიანი კაცი ოთხთვალაზე მატარებლიდან ჩამოცლილ ტომრებს ტვირთავდა. სებასტიანი უცხოს მიუახლოვდა და დორფლის გზა ჰკითხა.

— აქ ყველა გზა დორფლში მიგიყვანს, — მოუჭრა კაცმა მოკლედ. შემდეგ დასძინა, მეც დორფლში მივდივარ და თუ ჩემოდანი ძალიან მძიმე არ არის, ოთხთვალაზე დავიდებთ, ბავშვსაც წავიყვანო. სებასტიანმა და იმ კაცმა მოილაპარაკეს, და გადაწყდა, ბავშვს თავის ჩემოდნიანად უცნობი წაიყვანდა და საღამოხანს დორფლიდან ვინმეს გააყოლებდა მთაში.

— არავის გაყოლება არ მინდა, თვითონაც კარგად ვიცი დორფლიდან გზა, — თქვა უცებ ჰაიდიმ, რომელიც ყურადღებით ისმენდა უფროსების საუბარს. სებასტიანს თითქოს გულზე ლოდი მოეხსნაო, რაკი მთაზე აფოფხებას ასე ადვილად დაუძვრა. მან ჰაიდი განზე გაიხმო, რაღაც დახვეული ქაღალდის გორ-

გალი გადასცა და უთხრა, ეს ბატონ ზეზემანისგან არისო. თან დაარიგა, კალათაში პურების ქვეშ ჩადე. არ დაკარგო, თორემ ბატონმა ზეზემანმა რომ გაიგოს, გაწყრებაო.

— არ დავკარგავ, — დაამშვიდა ჰაიდიმ სებასტიანი და ქაღალდის გორგალი წერილთან ერთად კალათის ძირში ჩატენა.

ამასობაში ჩემოდანი ოთხთვალაზე დაუდეს, სებასტიანმა ჰაიდი თავის კალათიანად კოფოზე შეასკუპა. გამომშვიდობების ნიშნად ხელი ჩამოართვა და თვალით ისევ კალათზე ანიშნა. უცნობი კაცი ჰაიდის გვერდით კოფოზე მიუჯდა და ოთხთვალაც შეუყვა აღმართს. გახარებული სებასტიანი, მთაში სახიფათო მოგზაურობას ასე ადვილად რომ დააღწია თავი, სადგურის ფანჩატურში ჩამოჯდა მორიგი მატარებლის მოლოდინში.

ჰაიდის უცნობი მეგზური დორფლელი ხაბაზი გახლდათ, ახლა ფქვილით სავსე ტომრები მიჰქონდა შინ. უცნობს ჰაიდი არასოდეს ენახა. მაგრამ ბევრი რამ სმენოდა თანასოფლელებისაგან.

— შენ ის არა ხარ, მაღლა მთისკაცთან, პაპასთან რომ ცხოვრობს?

— დიახ, — დაუდასტურა ჰაიდიმ.

— ალბათ ცუდად გექცეოდნენ, უკან რომ ბრუნდები.

— არა, ცუდად არ მექცეოდნენ. არსად ისე კარგად არა ცხოვრობენ, როგორც ფრანკფურტში.

— მაშინ რატომღა ბრუნდები შინ?

— იმიტომ, რომ ბატონმა ზეზემანმა დამრთო ნება, თორემ ჩემით არ დავბრუნდებოდი.

— ვაჰ, თუკი არჩევანი შენზე იყო, მაინც რატომ იქ არ დარჩი? — არ ეშვებოდა ხაბაზი.

— იმიტომ, რომ მთაში პაპაჩემთან ყოფნა ქვეყანაზე ყველაფერს მირჩევნია.

— იქ რომ მიხვალ, ასე აღარ იფიქრებ, — ჩაიდუდუნა ხაბაზმა თავისთვის.

ჰაიდი მღელვარებისგან თრთოდა. გზაზე ყოველი ხე ეცნობოდა; აგერ ფალკნისის მაღალმა მწვერვალებმაც შემოსცინეს და ძველი მეგობრებივით მიესალმნენ. ჰაიდიც სალამითვე პასუხობდა და რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო იძაბებოდა. ხანდახან სურვილი მოუვლიდა ოთხთვალიდან ჩამომხტარიყო და მანამდე ერბინა, ვიდრე მთისწვერზე არ მოექცეოდა. ამასობაში სოფლამდეც მიაღწიეს. მათ თვალის დახამხამებაში ბავშვები და ქალები შემოეხვივნენ, ხაბაზმა ბავშვი ოთხთვალიდან ჩამოსვა; ჰაიდიმ ნაჩქარევად მიაძახა: გმადლობთ, ჩემოდნის წასაღებად პაპაჩემი მოგაკითხავთო, და გაიქცა. აჩოჩქოლებულმა ხალხმა მოხსნა ჭორების გუდას პირი: ტყუილად კი არ არის შეშინებული ბავშვი, ეს ერთი წელია პაპამისი უწინდელზე მოქუშული დადის, თითქოს ყველას მოკვლას უპირებსო, საცოდავ გოგონას სხვაგან წასასვლელი არ ეგულება, თორემ ამ ვგელეშაპის ბუდეში რა დააბრუნებდაო.

ხაბაზმა ველარ მოითმინა და საუბარში ჩაერია, თქვენზე მეტი ვიციო, და მოუყვა, როგორ ჩამოაცილა ვიღაც ბატონმა ბავშვი მაინფელდში, მეგობრულად დაემშვიდობა და მგზავრობის ფულიც გადაუხადა. ის კი არა, მეც მომცა დასალევი ფულიო. ბავშვი იქ თავს მშვენივრად გრძნობდა, მაგრამ პაპა მოენატრა და მხოლოდ იმიტომ დაბრუნდაო. ხაბაზის ნაამბობმა გააოცა იქ მყოფნი, ხედავთ, ბავშვმა სხვაგან ფუფუნებაში ყოფნას პაპასთან ყოფნა არჩიაო.

ჰაიდი მთელი ძალით გარბოდა აღმართზე. დროდადრო შედგებოდა, ამოი-

სუნთქავდა და ისევ განაგრძობდა გზას. რაც მაღლა მიიწევდა, კალათა მით უფრო მძიმდებოდა. ბავშვს თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: სად დახვდებოდა ბებია, თავის სკამზე თუ საჩეჩელთან, ხანაც მწარე ფიქრი გაუელვებდა, ხომ არ მოკვდაო?

ჰაიდიმ მთის ფერდობზე წამომჯდარი ქოხი დაინახა. გული საგულეში აღარ უჩერდებოდა. სირბილს უმატა. როგორც იყო ააღწია კიდეც. ძალზე მღელვარე ერთბაშად შევარდა ქოხში, სუნთქვაშეკრული ოთახის შუაგულში გაჩერდა და გაინაბა.

— ღმერთო ჩემო! — მოისმა კუთხიდან. — სწორედ ასე შემოვარდებოდა ხოლმე ჰაიდი, ნეტავ ისე არ მომკლა, კიდევ ერთხელ არ მანახა მისი თავი! ვინ შემოვიდა?

—მე ვარ, ბებია, მე! — წამოიძახა გულაჩუყებულმა ჰაიდიმ და კუთხისაკენ გაექანა. ბებიას წინ ჩაიმუხლა და მისი ხელები ჩაიხუტა. ბებია მოულოდნელობისაგან გაშრა, შემდეგ ჰაიდის ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა:

— ეს ხომ მისი თმაა, მისი ხმაა, ღმერთო ჩემო, სიზმარში ვარ თუ ცხადში. დიდება შენდა, უფალო, ამ სიხარულისთვის, — უსინათლო თვალებიდან ლაპალუპით წამოუვიდა სიხარულის ცრემლი.

— ნუ ტირი, ბებია, ახლა აქ ვიქნები, ყოველდღე გინახულებ, აღარსად წავალ, აღარც გამხმარ პურს შეჭამ, ხედავ, ბებია, ხედავ? — ჰაიდიმ კალათიდან ერთმანეთის მიყოლებით თეთრი პურები ამოაწყო და ბებიას კალთაში დაუხვავა.

ამასობაში ოთახში პეტერის დედაც შემოვიდა, გაკვირვებული შედგა და წამოიძახა:

— ნუთუ ეს ჰაიდია, საიდან სადაო? — ბრიგიტე გაოცებას ვერ მალავდა, გარს უვლიდა ჰაიდის, — დედი, ნეტავ დაგანახვა რა ლამაზი ქვედაწელი აცვია და როგორ უხდება, ველარ იცნობ. მაგიდაზე რომ ბუმბულიანი ქუდი დევს, ისიც შენია?

— არ მინდა მე ეგ ქუდი, — თქვა ჰაიდიმ,—შენი იყოს, მე ჩემი ქუდიც მეყოფა,—ამ სიტყვებზე ჰაიდიმ თავისი წითელი ქოხჩა გამოხსნა და დაჭყლეტილი ქუდი ამოაძვრინა. ჯერაც არ დავიწყებოდა, გამომშვიდობების წინ პაპამ რომ მიაძახა, ბუმბულის ქუდით არ ჩამოხვიდეო. ბრიგიტემ უარი თქვა, ასეთ ძვირფას ქუდს ვერ გამოგართმევ, შენ თუ არ დაიხურავ, სოფელში მასწავლებლის ქალიშვილს მიჰყიდე, კარგ გასამრჯელოს მოგცემსო. მაგრამ ჰაიდიმ ახალი ქუდი ბებიასთან, კუთხეში მიმალა. შემდეგ ერთბაშად გაიძრო თავისი ლამაზი კაბა, ქვედაკაბის ამარა დარჩა და შიშველი მკლავები სიამოვნებით გააქნია.

— ახლა კი პაპასთან უნდა წავიდე, ხვალ ისევ გნახავ! ღამე მშვიდობისა, ბებია.

— რატომ გაიხადე შენი ლამაზი კაბა? — შეეკითხა ბრიგიტე ბავშვს.

— მირჩევნია ასე მივიდე პაპასთან, თორემ ვაითუ ველარ მიცნოს, შენც ხომ ძლივს მიცანი.

ბრიგიტემ ჰაიდი კარებამდე მიაცილა და საიდუმლოდ უთხრა:

— კაბა რომ არ გაგეხადა, პაპა მაინც გიცნობდა, ოღონდ იფრთხილე, პეტერი ამბობს, მთის კაცი უფრო გაავებულია და არავის ელაპარაკებაო.

ჰაიდი გამოემშვიდობა და კალათით ხელში მთას შეუყვა. ჰაიდი ბუნების მშვენიერებით ტკბებოდა, სიხარულისა და სიამოვნებისაგან ლოყებზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ხელები გულზე დაეკრიფა, ცას შეჰყურებდა და

ღმერთს ხმამაღლა სწირავდა მადლობას ყველაფრის დაბრუნებისათვის, ყოველივე მას ეკუთვნის, ყველაფერი ისევ ისეთი ლამაზია და ასჯერ უფრო ლამაზიც, ვიდრე ახსოვდა. ჰაიდი ბედნიერი იყო ამ სილამაზის შემხედვარე. მალე ჯერ სახურავი გამოჩნდა, მერე მთელი ქოხი. ქოხის წინ მერხზე ბაბუა ჩამომჯდარიყო და ჩიბუხს აბოლებდა, ქოხის თავს წამომდგარი ნაძვები ჩვეულებრივ ირხეოდნენ საღამოს ნიავზე. ჰაიდიმ უმატა სირბილს და ვიდრე მოხუცი გაარჩევდა, ვინ მოდიოდა, ბავშვი კიდეც მიუახლოვდა, კალათი მიწაზე დადგა. მოხუცს მკლავები შემოაჭდო და აღელვებულმა ესღა მოახერხა:

— პაპა, პაპიკო!

პაპას სიტყვა არ დასცდენია. მრავალი წლის შემდეგ პირველად აუწყლიანდა თვალები, გოგონა მუხლებზე დაისვა და აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— მაშ დაბრუნდი, ჰაიდი? როგორ მოხდა? რაღაც კარგად ვერ გამოიყურები, გამოგაგდეს?

— ოჰ, არა, პაპიკო, — დაიწყო ჰაიდიმ გაცხარებით. — ეგ არ იფიქრო, ყველანი ისეთი კეთილები არიან, კლარაც, დიდედაც, ბატონი ზეზემანიც. მაგრამ იცი რა, პაპა, ველარ გავძელი, ისე მოვიწყინე, ისე. ხანდახან მეგონა მოვკვდებოდი, მაგრამ არაფერს ვამბობდი, რადგან, ჩემი მხრივ, ეს უმადურობა იქნებოდა. ერთ მშვენიერ დილით ბატონმა ზეზემანმა დამიბარა, მაგრამ იცი რა, ყველაფერი, ალბათ, წერილში წერია... — ამ სიტყვებზე ჰაიდი პაპის მუხლებიდან ჩამოხტა, კალათიდან წერილი და ქაღალდის გორგალი ამოაძვრინა და ორივე მოხუცს ჩაუდო ხელში.

— ეს შენია, — უთხრა პაპამ და ქაღალდის გორგალი გვერდით, მერხზე დადო. მერე წერილი ჩაიკითხა და უსიტყვოდ ჩაიდო ჯიბეში. — რძეზე ხომ არ დამეწყვეტოდი, ჰაიდი? ფული წამოიყოლე, შენია, მაგ ფულით შეგიძლია საწოლი და აუარება ჩასაცმელი იყიდო.

— არ დამჭირდება, ალბათ, პაპი, საწოლი ხომ მაქვს, კლარამაც იმდენი კაბა მაჩუქა და ფული რისთვისღა დამჭირდება.

— წამოიღე, წამოიღე, კარადაში შეინახე, ერთხელაც იქნება დაგჭირდება.

ჰაიდი დაჰყვა მის ნებას, ხტუნაობით გაჰყვა ქოხისკენ, გახარებულმა ყოველი კუთხე-კუნჭული დაათვალიერა, კიბეზე ავიდა და უცებ გაჩერდა: — პაპი, მე რომ საწოლი აღარა მაქვს!

— აბა, ჩამოდი დაბლა, რა ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი, ჩამოდი, რძე დაელიოთ!

ჰაიდი თავის მაღალ სკამზე შემოკუნტდა, ხელი სტაცა თავის ჯამს და რძეს ისე დაეწაფა, თითქოს თავის დღეში არ დაულევია. გამოცალა ჯამი და თქვა:

— არა, პაპი, ჩვენი რძისთანა გემრიელი მთელ დუნიაზე არაფერია.

უეცრად გარედან სტვენა შემოესმათ, ჰაიდი ელვასავით გავარდა გარეთ. მოკუნტრუშე თხის ფარას შუა მომავალი პეტერი დაინახა, პეტერმაც დაინახა თუ არა ჰაიდი, მილურსმულივით შედგა და მიაშტერდა გოგონას.

— საღამო მშვიდობისა, პეტერ, — თქვა ჰაიდიმ და თხებს შესძახა: — თეთრავ! თაფლა! მიცანი? თხებმა მართლაც იცნეს პატარა, მიეტმასნენ და სიხარულისაგან აკოკინდნენ, პეტერი კვლავ ერთ ადგილზე იდგა გაშეშებული.

— მოდი, პეტერ, მომესალმე! — დაუძახა ჰაიდიმ.

— ჩამოხვედი? — როგორც იქნა ამოღერღა პირდაღებულმა პეტერმა. მე-

რუ მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და ძველებურად შეეკითხა: — ხვალ წამოხვალ იალაღზე?

— არა, ხვალ არა, ალბათ ზეგ, ხვალ ბებიასთან უნდა ჩავიდე.

როდესაც ჰაიდი შინ დაბრუნდა, თავისი ფუმფულა და სურნელოვანი საწოლი გამართული დახვდა. ჰაიდი სიამოვნებით ჩაწვა ლოგინში და ისე დაეძინა, როგორც არასოდეს. პაპამ ღამით ბარე ათჯერ დახედა მძინარე ბავშვს, ხომ არ შფოთავსო. ხან თვითონ ამოვსებულ სარკმელს გახედავდა, თივა ხომ არ ჩამოსცვივდაო, არ უნდოდა მძინარე ბავშვისთვის მთვარეს დაეხედა, მაგრამ ჰაიდის მშვენივრად ეძინა და ღამით გარეთ ხეტიალი ფიქრადაც არ მოსდიოდა, რადგანაც მშობლიურ იალაღზე დაბრუნების დიდი, მწველი სურვილი უკვე მოიკლა. კვლავ იხილა მიმწუხრის ჟამს მთები და მწვერვალები და ნაძვების შრიალითაც დატკბა.

## თავი მეთოთხმეტე

### კვირა დღეს, როცა ზარები რეკენ

ჰაიდი შრიალა ნაძვებქვეშ იდგა და პაპას უცდიდა, რომ ბებიასთან გაყოლოდა და ვიდრე პაპა დორფლიდან ჩემოდანს ამოიტანდა, თვითონ ბებიასთან ყოფილიყო. ბავშვს ერთი სული ჰქონდა, ბებია ენახა და ეკითხა, პური როგორ მოგეწონაო.

პაპაც ქოხიდან გამოვიდა, გარშემო მიმოიხედა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

— მაშ ასე, ახლა კი შეიძლება წავიდეთ.

ქოხში იმ დღის ბაკში ღლისით მოათავა საქმე, რადგან დღეს დილიდანვე გუნებაში ჰქონდა, ნასადილევს გზას გასდგომოდნენ. ირგვლივ ხომ უკვე ყველაფერი მისდა გასახარად დალაგებულ-დაწკრიალებული იყო. პაპა-შვილიშვილის გზები მწყემსის ხუხულასთან გაიყარა. ჰაიდი კუნტრუშით შევარდა ქოხში.

— მოხვედი, ჩემო პატარავ? ისევ მესტუმრე? — მოხუცმა ჰაიდის ხელი გულში ჩაიხუტა. უთხრა, ისეთი გემრიელი იყო პური, რომ ვფიქრობ, დღეს უჩვეულოდ ჯანზე ვიქნებით. პეტერის დედამ დაუმატა, გუშინ და დღეს ერთი პური გამოიზოგა, ერთი კვირის მანძილზე რომ თითო პური მიირთვას, მოღონიერდებაო. ჰაიდი ყურადღებით ისმენდა ლაპარაკს, მერე ჩაფიქრდა და მალე გამოსავალიც იპოვა.

— უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ბებო! კლარას მივწერ. მე ხომ იქ მთელი ყუთი პური შევაგროვე და როცა წამართვეს, კლარა შემპირდა, ამდენივე პურს მოგცემო.

— ღმერთო, შენალო, — თქვა ბრიგიტემ. — ძალიან კარგი აზრია, მაგრამ ის პურიც მალე გახმება. აი, ორიოდ გროში რომ ჰქონდეს კაცს გადამალული, კარგი იქნებოდა, ჩვენი ხაბაზიც კი აცხობს ასეთ პურს, მაგრამ რად გინდა, მე შავი პურის ფულსაც ძლივს ვშოულობ.

უცებ ჰაიდის სახე გაუბრწყინდა.

— ბებია, მე ბევრი ფული მაქვს! ახლა კი ვიცი, რა უნდა გავაკეთო ფულით! ყოველდღე გექნება ახალი პური, პეტერი ამოგიტანს დორფლიდან!

— არა, პატარა, არა! — უპასუხა მოხუცმა. — ეს როგორ შეიძლება, ფული

მაგიტომ კი არ მოგცეს, პაპას ჩააბარე და იმან იცის როგორ უნდა მოგახმაროს.

გახარებული ჰაიდი ახკინკილით უვლიდა გარს ქოხს და თავისას გაიძახოდა:

— ახლა ბებია ყოველდღე ახალ პურს შეჭამ და მთლად მოღონიერდები, მერე ალბათ თვალის ჩინიც დაგიბრუნდება, აქამდე ძალიან დასუსტებული იყავი და მაგიტომაც ვერ ხედავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიდიმ ბებიას ძველ ლოცვანს შეავლო თვალი:

— ბებო, იცი რა კარგად ვკითხულობ; გინდა, შენი ლოცვანიდან ერთი სიმღერა წაგიკითხო?

— ო, მინდა, რა თქმა უნდა, მინდა, — შეეხვეწა გაოცებული მოხუცი ბავშვს, — ნუთუ მართლა შეგიძლია წაკითხვა.

ჰაიდიმ ლოცვანი გადაფურცლა და თითქმის ჩურჩულით თქვა: „აქ მზეზე წერია, ეს უნდა წაგიკითხო, ბებო“, და კითხვას შეუდგა. ბავშვი თანდათან გაიტაცა წიგნმა და უფრო და უფრო გატაცებით კითხულობდა:

მზე ოქროსფერი
ბევრ სიხარულს
და სითბოს გზავნის,
ბრწყინვალე შუქს გვფენს
განუყრელი გზის თანამგზავრი,
თავზე გვაყრება უშურველად სინათლის ზვავი.

ჩემი სხეულის ყველა ნაწილს,
მიწაზე გართხმულს,
სურს წამოდგომა ძველებურად,
ტირილი არ სურს,
სურს მხიარულად
და კრიალად შეხვდეს მზის ასულს.

მე თვალით ვხედავ ძლევამოსილ
განგების ხელთქმნილს,
რა დიადია და მაღალი,
რაც ჩვენს სულს ეთვის,
ბევრჯერ ვეცადეთ, სიდიადე ჩვენ მისი ვერ
ვთქვით.

ჩვენ როცა დავთმობთ დედამიწას,
ვართ წარმავალნი, სიკვდილი დგას
სიცოცხლის უკან,
მხოლოდ ღვთის ფიქრებს
და სურვილებს ვეძახით უკვდავს.

მისი სიწმინდე
და წყალობა
არავის არ ვნებს,
კურნავს მტკივან გულს
და პატრონობს ჩვენს სამწყსო არვეს.

ბოლოს მოუღებს
ჩვენს სატანჯველს
მომავლის მრწამსი,
ქარიშხლის შემდეგ
მზის სხივები გაგვითბობს წამში.

და გიხაროდეს მოლოდინი
ბედნიერ ხვალის,
თავს დაგატყდება
სიხარული როგორც მზის ხვავი,
და იქნება, გწყალობს, შენ [illegible] კარი.

ბებიას გულხელი დაეკრიფა, წყნარად იჯდა და ლაწვებზე ცხარე ჩამოს-დიოდა ცრემლი, სახეზე კი ენით აუწერელი სიხარულის ღიმილი დასთამა-შებდა.

— ო, როგორ გამინათდა, როგორ გამინათდა გული! რომ იცოდე, რო-გორ მასიამოვნე, ჰაიდი! — ბებიას ისეთი სხივი ჩადგომოდა თვალებში, თით-ქოს სამოთხეს ხედავსო.

უცბად ფანჯარაზე დააკაკუნეს, პეპა დაბრუნებულიყო და ჰაიდის გარეთ უხმობდა. ჰაიდი მორჩილად წამოდგა, ნაჩქარევად დაემშვიდობა ბებიას და შეპირდა, ხვალაც მოგინახულებო. პეტერსაც აღუთქვა, ვეცდები შუადღისას მაინც მოვიდე შენთანო; გოგონასათვის უდიდესი სიხარული იქნებოდა, თუ მისი სტუმრობა ბებიას თვალისჩინს დაუბრუნებდა — გაცილებით დიდი სი-ხარული, ვიდრე მზით გამთბარ იალაღზე, ყვავილებთან და თხებთან ყოფნა იყო. ჰაიდიმ ახარა პაპას, ბებიასათვის თეთრი პურის ამოტანა დორფლიდანაც შეიძლება და საამისოდ ფულიც საკმარისი მაქვსო.

— შენი საწოლი აღარ ვიყიდოთ, ჰაიდი? — შეეკითხა პაპა. — ერთი კარ-გი საწოლი არ გაწყენდა, პურის ფული ისედაც დაგრჩება. — მაგრამ ჰაიდი მაინც არ ასვენებდა პაპას და არწმუნებდა, რომ თივის საწოლზე უფრო მშვე-ნივრად სძინავს, ვიდრე ფრანკფურტში ფუმფულა ბალიშებიან საწოლში ეძი-ნა და ისე მავედრებლად უწევდა ყელს, რომ პაპამ დაუთმო. — ფული შენია, ჰაიდი, როგორც გაგიხარდება, ისე მოიხმარე; მაგ ფულით მრავალი წელი შე-გიძლია ბებიას პური არ მოაკლო.

ჰაიდის სიხარულის შეძახილი აღმოხდა:

— რა კარგია, ბებია გამხმარ შავ პურს აღარ შეჭამს! — უცებ თითქოს რაღაცა გაახსენდაო, ერთბაშად შედგა და მთელი სერიოზულობით წარმოთ-ქვა. — განგებას ჩემთვის პირველივე თხოვნა რომ შეესრულებინა, სხვა აღა-რაფერი შემისრულდებოდა. მაშინვე კი ჩამოვიდოდი ბებიასთან, მაგრამ ცოტა პურს ჩამოვუტანდი და ვერც წიგნს წავუკითხავდი, რითაც ძალზე გავახარე ბებია; უფალმა ჩემზე უკეთ და მშვენივრად მოიფიქრა, რასაც შევთხოვდი; სწორედ ისე მოხდა, როგორც დიდედამ მითხრა. ღმერთმა არ მისმინა მაშინ, როცა ვევედრებოდი და ვიცრემლებოდი. ახლა, როგორც დიდედამ დამარიგა, ისევ შევევედრები ღმერთს და მადლობას შევწირავ. მაშინ იმიტომ არ შემის-რულა თხოვნა, რომ ღმერთს იმაზე უფრო კარგი ემეტება ჩემთვის, ვიდრე მე შევთხოვე. ხომ ყოველდღე ვიტყვით ლოცვას, პაპილო, და ღმერთს არასოდეს დავივიწყებთ?

— ლოცვა აუცილებელია? — დაიჩურჩულა პაპამ.

— ვინც არ ილოცებს, ღმერთი მას დაივიწყებს, და თუ გაუჭირდება იმ კაცს და წუწუნს მოჰყვება, აღარავის არ შეეცოდება, როგორც შენ უარყავი ღმერთი ისე მან უარგყო და აღარც გეხმარება.

— მართალია, ჰაიდი, ეს შენ ვინ გითხრა?

— დიდედამ.

— რას იზამ, ერთხელ თუ დაივიწყე ღმერთი, უკან ველარ დაიხევ, —

ხმამაღლა ფიქრს მოჰყვა მთის კაცი, — ერთხელ თუ შემოგწყრა ღმერთი, აღარაფერი გეშველება.

— არა, პაპილო, არა, მეც ვიცი, რომ უკან დასახევი გზა არსებობს, ესეც დიდედამ მითხრა და ყველაფერი ისე მ ხდება, როგორც ჩემს ლამაზ წიგნში წერია; შინ რომ მივალთ წაგიკითხ

გზითა და ჩემოდნის ზიდვ ა მოხუცი ქოხის წინ გრძელ მერხზე ჩამოჯდა. ჰაიდი სულმოუთქმელად შევარდა ქოხში და მალე იქიდან წიგნით ხელში გამოვიდა. პაპას მიუჯდა და მთელის არსებით დაიწყო კითხვა იმ ვაჟზე, ბედნიერად რომ ცხოვრობდა და მამისეულ მინდვრებზე ლამაზ ცხვარ-ძროხას აძოვებდა, თვითონაც კომბალს დაყრდნობილი შორიახლო იდგა და დაისით ტკბებოდა. ზუსტად ეს ამბავი იყო სურათზე დახატული, მაგრამ უცებ თავისი წილი ქონების ნაადრევად ხელში ჩაგდების სურვილი შეუჩნდა, გაუყო მამას ქონება, წაიღო თავისი წილი და მალევე გაანიავა, მერე ცარიელ-ტარიელი ერთ გლეხს მოჯამაგირედ დაუდგა. ღორებს მწყემსავდა, ჩამოძონძილი დადიოდა, ღორების საჭმელს ჭამდა, ღორების სალაფავს. ხშირად იგონებდა, რა ბედნიერად ცხოვრობდა მამისეულ სახლში, რა კეთილი მამა ჰყავდა და როგორ უმადურად მოექცა მას, სინანულისა და მონატრებისაგან ცრემლი სცვიოდა. ერთხელ იფიქრა, წავალ, პატიებას ვთხოვ მამას, მართალია, ღირსი არა ვარ შენი შვილი მერქვას, მაგრამ დღიურ მუშად დაგიდგები და დანაშაულს გამოვისყიდიო. მართლაც წავიდა და მიადგა თავის სახლს... — ჰაიდიმ კითხვა შეწყვიტა.—ახლა ნახე, რა მოხდება, პაპილო. შენა გგონია, მამა ეტყვის შვილს, ხომ გეუბნებოდი ინანებ და ასეო და ისეო? არა! აბა ყური მიგდე..., — მამა შვილს გამოეგება და ტირილით ყელზე შემოეჭდო. ვაჟიშვილმა შესტირა, მამაჩემო, დიდი ცოდვა მიმიძღვის ცისა და შენს წინაშე, ღირსი არა ვარ შენი შვილი მერქვასო. მამამ მსახურებს უბრძანა: მიართვით ჩემს შვილს საუკეთესო სამოსი, დაკალით ტახი და მოვილხინოთ, ჩემი შვილი აქამდე მკვდარი იყო და ახლა გაცოცხლდა; მე მას დაკარგულად ვთვლიდი და ღმერთმა დამიბრუნაო მისი თავი, და ცხოვრობდნენ მას შემდეგ ტკბილად. — ხომ კარგი მოთხრობაა, პაპი?

— კი, ჰაიდი, კარგი მოთხრობაა, — მიუგო პაპამ.

ღამით, როცა ჰაიდის ღრმა ძილით ეძინა, პაპამ მიაკითხა, დახედა: გოგონას გულხელი დაეკრიფა, ეტყობა, ლოცვაში ჩასძინებოდა; ვარდისფერ სახეზე სიხარული აღბეჭდოდა. პაპა დიდხანს დასცქეროდა ბავშვს. შემდეგ ხელები ერთმანეთს გადააჭდო და თავჩაქინდრულმა ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა:

— მამაო, ცოდვილი ვარ შენსა და ცის წინაშე, უღირსი შვილი ვარ შენი, — და მოხუცს ლოყებზე ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა...

კვირა დილა გათენდა. მოხუცი ქოხის წინ გამოსულიყო უთენია და გაბრწყინებული თვალებით ათვალიერებდა გარემოს. ქვემოდან ზარების რეკვა აღწევდა და ნაძვის კენწეროებშიც ჩიტები დილის საგალობელს ამბობდნენ.

პაპა ქოხში შებრუნდა:

— აბა, ჰაიდი, მზემ უკვე დაგასწრო გაღვიძება, ადექი, გამოიპრანჭე, ეკლესიაში მივდივართ!

ჰაიდი ჩიტივით წამოფრინდა. პაპას ხმა რაღაც უჩვეულოდ ჟღერდა. ცოტა ხანში ზღურბლზე ფრანკფურტულ კაბაში გამოპრანჭული ჰაიდი პაპას გაოცებული შესცქეროდა:

— პაპილო, ასე გამოწყობილი ჯერ არ მინახიხარ, ეს რა კარგი ვერცხლის-

ღილებიანი ქურთუკი გქონია, რა ლამაზად გაცვია! — აღტაცებას ვერ მალავდა ბავშვი.

მოხუცმა კმაყოფილი ღიმილით შეათვალიერა ბავშვი:

— შენც ძალიან გიხდება კაბა. აბა, წავედით! — მერე ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და მთიდან დაეშვნენ. ზარებს რეკდნენ. აღტაცებული ჰაიდი გარინდებული უსმენდა ზარების რეკვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის, პაპი? გეგონება, დიდი დღესასწაულიაო.

დორფლელები ეკლესიაში შეკრებილიყვნენ. ჰაიდი და პაპა ბოლო მერხზე ჩამოსხდნენ. შუა გალობისას ბოლოში მჯდომმა ერთმა დორფლელმა გლეხმა თავის მეზობელს მუჯლუგუნი წაჰკრა — შეხედე, ეკლესიაში მთის კაცი მოსულაო! იმანაც თავის მეზობელს გადაუჩურჩულა, მეორემ მესამეს უთხრა და სულ რაღაც ერთ წამში უკვე ყოველი კუთხიდან ისმოდა ჩურჩული, მთის კაცი, მთის კაციო. მლოცველებმა საგალობელი აურიეს, მაგრამ დაიწყო წირვა და ბატონმა მღვდელმა თავის სიტყვებში იმდენი სითბო და ქება ჩააქსოვა, რომ ჩოჩქოლი სწრაფად მინელდა... როცა წირვა დამთავრდა, ხელჩაკიდებული პაპა და შვილიშვილი გარეთ გავიდნენ და მღვდლის სახლისკენ გასწიეს. ყველამ მათ გააყოლა თვალი. არავის სჯეროდა მთის კაცის მოქცევა. სად მთის კაცი და სად ეკლესიაო. როგორც ჩანს, მთის კაცი არც ისე გულბოროტი ყოფილა, თორემ ქალაქში ბედნიერად ნაცხოვრები ბავშვი რატომ დაბრუნდებოდა მასთანო.

ამასობაში მთის კაცი მღვდლის ოთახის კარს მიადგა და დააკაკუნა. მღვდელს სტუმრების დანახვა არ გაკვირვებია, პირიქით, თითქოს ელოდაო, ისე მიეგება მათ. მან ხომ ეკლესიაშივე დაინახა ისინი. მღვდელმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი მოხუცს; ამ თბილი შეხვედრით გულაჩუყებულმა მოხუცმა, თავდაპირველად თითქოს დამუნჯდაო, სიტყვა ვერ დაძრა, შემდეგ თავს მოერია და უთხრა:

— მოვედი, ბატონო მღვდელო, რათა ჩემი სიტყვები უკან წავიღო, მთაში რაც გაკადრეთ, გულში არ ჩაიხვიოთ; თქვენს კეთილ რჩევას რომ წინ აღვუდექი, ვტყუივარ. მინდა ზამთარში სოფელში ჩამოვსახლდე, მთაში მკაცრი ზამთარი იცის და ჰაიდი პატარა ნაზი არსებაა, ასეთ პირობებში მართლაც გაუჭირდება ცხოვრება. თუ დორფლელები ამრეზილად მიყურებენ, ესეც ჩემი ბრალია, არც დამიმსახურებია უკეთესი იმედი მაქვს, ბატონი მღვდელი მათ არ მიემხრობა.

მღვდლის მეგობრულ მზერაში სიხარული აკიაფდა. მან კიდევ ერთხელ მოუჭირა მოხუცს ხელზე ხელი და თანაგრძნობით მიუგო:

— მეზობელო, ჩვენს ეკლესიაში მოსვლამდეც თურმე თქვენც თქვენსავე ეკლესიაში იმყოფებოდით, რითაც დიდად მოხარული ვარ! არ ინანებთ ჩვენთან მეზობლობას და ჩამოსახლებას. ძალიან კარგად მოგიფიქრებიათ, ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის. მოხარული ვიქნები, თუ ზამთრის საღამოებს თქვენთან ერთად გავატარებ; პატარასაც მოვუძებნით კარგ მეგობრებს, — მღვდელმა ჰაიდის ხუჭუჭა თმაზე ხელი სიყვარულით გადაუსვა, მერე ბავშვს ხელი მოჰკიდა, სტუმრები ზღურბლამდე მიაცილა და ეზოში დაემშვიდობა. ეზოში თავშეყრილმა, ცნობისმოყვარე ზღვა ხალხმა საკუთარი თვალით იხილა რა მეგობრულად ჩამოართვა მღვდელმა მთის კაცს ხელი. მერე ყველანი შემოეხვივნენ პაპა-შვილიშვილს, ყველას უნდოდა პირველი მისალმებოდა, ყველა ერთბაშად უწვდიდა ხელს. ყოველი მხრიდან შეძახილები

და ქრიამული ისმოდა. როცა მოხუცი ყველას მიესალმა და გამოაცხადა, ზამთარში დორფლში, ჩვენს ძველ ნასახლარში ვაპირებ ჩამოსახლებასო, ხალხში ერთი ყიჟინა ატყდა, თითქოს მთის კაცი დორფლში დიდი ვინმე ყოფილიყო და სოფელი დიდ ზარალში იყო მისი იქ არყოფნით. პაპა და შვილიშვილი ბევრმა თითქმის სახლამდე მიაცილა; მოხუცი დიდხანს მიაცილებდა თვალებით უკან გაბრუნებულ თანასოფლელებს; სახეზე სითბო და ნათელი გადაჰფენოდა.

— პაპი, ასეთი ლამაზი ჯერ არასდროს ყოფილხარ, — უთხრა ჰაიდიმ.

— ხალხმა და ღმერთმა გამიგეს და დამაფასეს, მაღალმა ღმერთმა კეთილი თვალით მაშინ გადმომხედა, როდესაც შენი თავი მთაში გამომიგზავნა.

მწყემსის ქოხთან რომ მიაღწიეს, პაპამ კარი გამოაღო და შიგ შევიდა.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, — თქვა შესვლისას, — ვფიქრობ, ვიდრე შემოდგომის ქარი დაუბერავს, სახლის შეკეთება უნდა დავიწყოთ.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ოჰია! — წამოიძახა ბებიამ. — მიხარია, რომ შემიძლია კიდევ ერთხელ მადლობა მოგიხადოთ ყველაფრისათვის, რაც გაგვიკეთეთ, ოჰი! ღმერთო, კეთილად მიუზღე სამაგიერო! ღმერთო, მიუზღე! — ბებიამ ოჰის მოცახცახე ხელი მხურვალედ ჩამოართვა. — ერთი თხოვნა მაქვს და გულზე მძიმედ მაწევს. ოჰი, თუ ოდესმე თქვენთვის რაიმე მიწყენინებია, ნუ დამსჯით, ორიოდე დღელა დამრჩენია და ბავშვს ფრანკფურტში ნუღარ გაუშვებთ. რომ იცოდეთ, რას ნიშნავს ჩემთვის ჰაიდი! — ბებია გულში იხუტებდა გოგონას.

— ამაზე არ იდარდო, ბებია, — უთხრა ოჰიმ, — ამიერიდან აღარც შენ დაგსჯი და აღარც საკუთარ თავს დავსჯი, ღმერთის შეწევნით კიდევ დიდხანს ვიქნებით ყველანი ერთად.

ბრიგიტემ მოხუცი კუთხეში გაიხმო, ლამაზი ბუმბულებიანი ქუდი აჩვენა და ჰკითხა, როგორ მოვიქცე, ქუდს მართლა ხომ არ წავართმევო ბავშვს. პაპამ მოწონებით გადახედა ჰაიდის და თქვა, ქუდი ჰაიდისაა, უნდა დაიხურავს, უნდა გადააგდებს, თუ გაჩუქა, შენც აიღე და გამოართვიო. ბრიგიტე სიხარულით ცას ეწია, ასეთი რა ღვთისმადლი ჩამოიტანა ჰაიდიმ ფრანკფურტიდან, პეტერიც ხომ არ გამეგზავნა ცოტა ხნით ფრანკფურტშიო.

მოხუცმა მხიარულად მოჭუტა თვალები, არ აწყენდაო, ოღონდ ხელსაყრელ დროს უნდა დაელოდოსო.

ამ საუბარში იყვნენ, რომ კარი გაიღო და პეტერი შლეგიანივით შემოვარდა ოთახში, აქლოშინებულმა გაუწოდა ბარათი ჰაიდის, დორფლის ფოსტიდან გამოეტანებინათ. ყველანი გაოცებულნი შემოუსხდნენ მაგიდას, ჰაიდიმ კონვერტი გახსნა და წერილი ხმამაღლა, გამართულად წაიკითხა. წერილი კლარა ზეზემანს მოეწერა. იგი ჰაიდის უყვებოდა, როგორ მოიწყინა უიმისოდ, დიდედას უნდა თქვენთან მთაში ამოსვლაო. დიდედამ შემოგითვალა, კარგია პეტერის ბებიას ფუმფულა პური რომ წაუღეო, მაგრამ აქამდე გახმებოდაო, ყავას გიგზავნი, უკვე გზაშია და როცა მთაში ამოვალ, მეც ვესტუმრები ბებიასო.

წერილმა ყველა გაახარა, პაპამაც კი ვერ შენიშნა, საუბარში როგორ შემოაღამდათ. უფრო მეტად დღევანდელი თავშეყრა ახარებდათ ყველას. პაპა გამომშვიდობებისას ბებიას შეჰპირდა, ხვალაც მოვალთო. ზარების მშვიდმა

რუკვამ მიაცილა მგზავრები ქოხამდე, რომელიც კვირაძალზე საღამოს მზის სხივებში გახვეული შემოეგებათ.

შემოდგომაზე დიდედას სტუმრობა ჰაიდის და ბებიას მოულოდნელობით აღსავსე სიხარულს მოუტანს, ჰაიდის ლამაზ საწოლს ჩამოუტანს, [illegible] და ფეხს დაადგამს, სახლში თუ კარში, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და წესრიგში მოიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნი მეორე

## ჰაიდის ცოდნა გამოადგა

### თავი პირველი

### გამგზავრების თადარიგი

კეთილი ექიმი, რომელმაც ჰაიდის ბედ-იღბალი ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა, ამჟამად ზეზემანების სახლისაკენ მიმავალ ფართო ქუჩას მიუყვებოდა. კაშკაშა, სასიამოვნო სექტემბრის დილა იდგა, მაგრამ ექიმი მოკრიალებულ ცას ვერ ამჩნევდა. თეთრ ქვაფენილს ჩაშტერებული მიუყვებოდა ქუჩას. სახეზე უჩვეულო ნაღვლიანი გამომეტყველება აღბეჭდოდა, რმაც შარშანდელზე უფრო გაჭაღარავებოდა. ბ-ნ ექიმს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დედისერთა გოგონა დარჩა; ის იყო მისი ერთადერთი სიხარული და ნუგეში. რამდენიმე თვის წინათ სალსალამათი გოგონა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა. ამ უბედურების მერე ბ-ნი ექიმი პირმცინარი აღარავის უნახვს.

ზარის ხმაზე სებასტიანმა კარი გააღო და სტუმარს მოწიწებით შეეგება. ბ-ნი ექიმი მარტო სახლის პატრონის და მისი ქალიშვილის ახლო მეგობარი კი არ გახლდათ, არამედ თავისი ჩვეული თავაზიანობით და კეთილგანწყობით სახლის დანარჩენ ბინადართაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

— ძალიან კარგი, რომ მოხვედი, ექიმო, — მიეგება ბ-ნი ზეზემანი მოსულს. — ისევ შვეიცარიაში გამგზავრების თაობაზე უნდა მოვილაპარაკოთ, იქნებ დაგვეთანხმდე გამგზავრებაზე, თუ კლარა იქ თავს უფრო კარგად იგრძნობს.

— ჩემო ძვირფასო ზეზემან, რატომ არ მიჯერებ? ნეტავ დედაშენი იყოს აქ, ორჯერ ახსნა არ დამჭირდებოდა. დღეს მეორედ მიბარებ, რათა ერთი და იგივე გაგიმეორო.

— მართალია, გაწუხებ, ჩემო კარგო, მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგო. ბავშვს დავპირდი და მიძნელდება უარის თქმა, მით უმეტეს ამდენი თვე დღედაღამე სიხარულით ელოდა ამ დღეს. ამდენი ხნის ავადმყოფობა ბავშვს იმაზე ფიქრმა გადაატანინა, მალე შვეიცარიაში გავემგზავრები და მთაში ჰაიდის ვესტუმრებიო. ახლა კი ღონე არ შემწევს იმედი ხელის ერთი მოსმით გავუქრო.

— სწორედ ასე უნდა მოიქცე, ზეზემან. აბა, დაუფიქრდი მდგომარეობას. რამდენი ხანია, კლარას ასეთი მძიმე ზაფხული არა ჰქონია. ამიტომ შორეულ მგზავრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუ არ გვინდა უარესი შედეგი მივიღოთ. გამგზავრებას მხოლოდ სექტემბრისათვის თუ მოვახერხებთ. მართა-

ლია, ჯერ ალბათ კიდევ სასიამოვნოა მთაში ყოფნა, მაგრამ მალე გვარიანად აცივდება, დღეები დამოკლდება, ისე, რომ, დღეში ორიოდე საათი თუ მოუწევს კლარას მთის ჰაერზე ყოფნა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთაში კლარა სავარძლით უნდა ავიყვანოთ, გზას ალბათ რამდენიმე საათი დასჭირდება. კლარა ხომ ჭკვიანი გოგონაა, გაგვიგებს, მე თვით [illegible] რაგაცში გამგზავრება მომავალი მაისისათვის უნდა გადავდოთ. [illegible] ხანგრძლივად უნდა ვუმკურნალოთ, და როცა მაღლა მთაში საგრძნობლად დათბება, მაშინ უკვე შეგვეძლება დროდადრო კლარა მთაში ავიყვანოთ. გაჯანსაღებული და გაკაჟებული ბავშვი უფრო სხვანაირად ისიამოვნებს ამ მოგზაურობით, ვიდრე სნეული. გასაგებია, ზეზემან! თუ გინდა, არ დავკარგოთ გულის-გულში მბჟუტავი ბავშვის გამოჯანსაღების ოდნავი იმედი, მას განსაკუთრებული სიფაქიზითა და მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ.

— გულწრფელად მითხარი, მართლა გჯერა, რომ ბავშვი თანდათან გამოჯანმრთელდება?

ექიმმა მხრები აიჩეჩა:

— მჯერა და... არც ისე ძალიან მჯერა... დაფიქრდი, ძვირფასო მეგობარო! შენ გყავს საყვარელი შვილი, რომელსაც სჭირდები და რომელსაც ყოველთვის შენი შინ დაბრუნება უხარია! მართალია, შენს გოგონას სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით ბევრ რამეზე სწყდება გული, მაგრამ სამაგიეროდ, სხვებთან შედარებით ბევრი უპირატესობაც აქვს. არა, ზეზემან, საყვედური მაინც არ გეთქმის, ბედნიერი ხარ, რომ ერთად ხართ. აბა, მე რაღა ვთქვა, გაიხსენე ჩემი გამოყრუებული სახლი!

ექიმის სიტყვებმა ისე იმოქმედა ბ-ნ ზეზემანზე, რომ ფეხზე წამოდგა და დიდრონი ნაბიჯებით ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე ერთბაშად შედგა მეგობრის წინ და უსიტყვოდ მოუთათუნა ხელი მხრებზე:

— ერთი ფიქრი არ მასვენებს, ვერ ამიტანია, ასე რომ გხედავ. მთლად გამოიცვალე. უნდა თავი დაალწიო აქაურობას, ჰაიდისთან უნდა გაგაგზავნო მთაში.

ბ-ნ ექიმისათვის ეს მოულოდნელი წინადადება იყო, უარის თქმა დააპირა, მაგრამ ბ-ნმა ზეზემანმა არ აცალა. მას ისე მოეწონა თავისივე ჩანაფიქრი, რომ მეგობარს ხელკავი გამოსდო და ქალიშვილის ოთახისაკენ გაიქანა. კლარას უხაროდა ექიმის სტუმრობა, ყოველთვის, როცა ოჯახის მეგობარი მოვიდოდა, ბავშვს რაღაც მხიარულსა და გასართობ ამბავს უყვებოდა. კლარა ადვილად ხვდებოდა, რატომ იყო ამ ბოლო დროს ასე უხალისოდ ექიმი და თვითონვე ცდილობდა გაემხიარულებინა ხოლმე. გოგონამ აქლაც სიამოვნებით შეაგება ხელი შემოსულს; ექიმი ბავშვთან ჩამოჯდა, — ბ-ნმა ზეზემანმაც ახლოს მიაჩოჩა სკამი და შვეიცარიაში მგზავრობაზე წამოიწყო საუბარი. მერე უცებ თქვა, რა კარგი იქნებოდა, ექიმი შვეიცარიაში დასასვენებლად რომ გამგზავრებულიყო.

კლარას ცისფერ თვალებში მაინც იუკიაფლა ცრემლი და მხოლოდ იმატომ შეიკავა თავი, კარგად იცოდა, როგორ იტანჯებოდა მამა მის ტირილზე. ეს ძალიან მკაცრი გადაწყვეტილება იყო, პატარას ყველა ოცნება ეფუშებოდა. მთელი ზაფხული, იმ გრძელ და მძიმე წუთებში, ჰაიდისთან გამგზავრებაზე ოცნებობდა. ეს იყო მისი ერთადერთი იმედი და სიხარული. კლარა არ იყო ჯიჯღინა გოგო და კარგად ესმოდა, თუ მამა უარს ეტყოდა, მხოლოდ და მხოლოდ მისდა სასიკეთოდ.

კლარამ ცრემლი გადაყლაპა და იმ ერთადერთ იმედს მიეჰიდა. მერე ექიმს შეევედრა:

— ო, ბატონო ექიმო, ძალიან გთხოვთ, ნუ მეტყვით უარს, ხომ წახვალთ ჰაიდისთან. მერე, როცა დაბრუნდებით, მომიყვებით, რა ხდება მთაზე, რას აკეთებენ ჰაიდი, პაპა და პეტრიკელა თავის თხებთან ერთად. მათ ხომ შესანიშნავად ვიცნობ. ჰაიდისთან საჩუქრებს გაგატანთ. უკვე მოფიქრებული მაქვს, რა უნდა გავუგზავნო. ძალიან გთხოვთ, ბ-ნო ექიმო, ოღონდ გამგზავრებაზე უარს ნუ იტყვით და რამდენსაც გინდათ, იმდენ თევზის ქონს დავლევ.

არავინ უწყის, ამ შეპირებამ გაჭრა თუ სხვა რამემ, ერთი კია, ექიმს გაეღიმა და დაეთანხმა. იგი შეპირდა კლარას, ყველაფერს ზუსტად მისი მითითებისამებრ შეასრულებდა, და დაბრუნებისას ყოველ წვრილმანს, რასაც ნახავდა და რაც თავს გადახდებოდა, მოუყვებოდა.

ექიმის წასვლის მერე კლარამ ზარი დარეკა და ტინეტი იხმო ოთახში.

— ტინეტ, ეს ყუთი ისეთივე ფუმფულა ნამცხვრებით გაავსეთ, ყავაზე რომ მოგვირთმევთ, — უთხრა კლარამ. ტინეტმა ყუთს ხელი დაავლო და ამრეზილმა ხელში გააქან-გამოაქანა! კარს რომ გასცდა წაიდუდღუნა: „ძალიან კი ღირს მისთვის თავის შეწუხება." სებასტიანმა ბ-ნ ექიმს გაცილებისას თავაზიანად შებედა:

— თუ ბ-ნი ექიმი უარს არ მეტყვის და პატარა მამზელს ჩემგან მოკითხვას გადასცემს, ძალიან დამავალებს.

— კარგი, კარგი, — ჩაიცინა ბ-ნმა ექიმმა, — ნახვამდის, სებასტიან, მოკითხვა გადაცემულად ჩათვალე.

ექიმი კარში ფროილაინ როტენმაიერს შეეფეთა. იგი ქალაქში იყო წასული საყიდლებზე. უცებ ქარმა ისე ძლიერად წამოუბერა, რომ ფროილაინ როტენმაიერი პირდაპირ ექიმზე მიაგდო. ორივენი უხერხულად შეიშმუშნენ, მაგრამ ექიმი სწრაფად გამოერკვა და ქალს ნაჩქარევად უამბო თავის გამგზავრებაზე და სთხოვა, ჰაიდის საჩუქრები თავისი სურვილისამებრ ჩაელაგებინა.

კლარას ეგონა, ფროილაინ როტენმაიერთან შეხლა-შემოხლა მოუხდებოდა, ვიდრე ჰაიდისთან გასაგზავნი საჩუქრების ჩალაგებაზე დაიყოლიებდა, მაგრამ ამჯერად შეცდა: ფროილაინ როტენმაიერი მეტისმეტად კარგ ხასიათზე გახლდათ.

რაღა არ ჩაალაგეს: პირველად ფუმფულა ქუდიანი პალტო ჰაიდისათვის, თბილი შალის მოსახვევი დიდედასათვის, ნამცხვარით, ძეხვით ხმელი პურისა და ყველის ჭამით თავგაბეზრებული პეტერისათვის, თუთუნით გატენილი ქისა პაპისთვის და ვინ იცის, კიდევ რამდენი საიდუმლოებით მოცული საჩუქარი. ეს ყველაფერი ერთ დიდ ფუთად შეკრეს და იატაკზე დადეს. კლარა კმაყოფილებით უცქეროდა ამანათს. თითქოს ესმოდა მეგობრის აღტაცებული ყიჟინა ამანათის დანახვაზე.

## თავი მეორე

## იალაღზე სტუმარი ეწვიათ

მთებში ისევ აელვარდა, დილის გრილმა ნიავმა ნაძვებს წამოუქროლა. ჰაიდიმ ხმაურზე თვალები ჭყიტა. ტოტების შრიალი ბავშვის მთელ არსებას იპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრობდა და მაშინვე ნაძვების ნახვის სურვილი მოეძალებოდა. ლოგინიდან ჩიტივით წამოფრინდა, სწრაფად ჩაიცვა, მერე კიბეზე ჩავიდა, პაპას საწოლი უკვე ცარიელი დაუხვდა, მოხუცი ეზოში იდგა და ცას შესცქეროდა, დღეს როგორი ამინდი იქნებაო.

ცას უფრო და უფრო ეკიდებოდა სილურჯე, თანდათანობით კლდეებზე მზეც ამოიწვერა და საძოვარი ოქროსფრად აელვარდა.

ჰაიდი ნაძვებისაკენ გაბზრიალდა. პაპამ თაფლა და თეთრა მოწველა, მერე გარეთ გამორეკა ორივე. ჰაიდი მიესიყვარულა თავის ოთხფეხა მეგობრებს, თხებიც მხიარულად აკიკინდნენ.

მალე ქვემოდან პეტერის სტვენაც მოისმა და მისი მხიარული თხებიც ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ.

— დღეს წამომყვები? — დაუძახა ბიჭმა.

— არა, პეტერ, დღეს არ შემიძლია, სტუმრებს ველოდები ფრანკფურტიდან და სახლში უნდა დავხვდე.

პეტერი თავის ფარიანად შეუყვა აღმართს.

მას შემდეგ, რაც ჰაიდი პაპასთან დაბრუნდა, თავში ისეთი უცნაური აზრები მოსდიოდა, ადრე რომ ვერ მოიფიქრებდა. ყოველ დილით საწოლს კოხტად გაასწორებდა, ქოხში მიდგებ-მოდგებოდა, აქაურობას მიალაგებდა, სკამებს თავის ადგილს მიუჩენდა, რასაც მიყრილ-მოყრილს შეამჩნევდა კარადაში შეაწყობდა, მერე ჩვარს აიღებდა, სკამზე ძვრებოდა და მაგიდას აპრიალებდა. პაპა ნასიამოვნები მიიხედ-მოიხედავდა და ჩაილაპარაკებდა: „ჰაიდის უცხოეთში მოგზაურობა მოუხდა, გეგონებათ, ჩვენს სახლში სულ დღესასწაულიაო."

დღესაც, როგორც კი ჰაიდიმ პეტერი იალაღზე გაისტუმრა და პაპასთან ისაუზმა, მაშინვე საქმეს შეუდგა, მაგრამ არ აცალეს. დილიდანვე მშვენიერი დარი იდგა: ყოველ წუთს რაღაც ხდებოდა და ჰაიდის საქმიანობაში ხელი ეშლებოდა. ღია ფანჯარაში მზის სხივმა შეიჭვრიტა, თითქოს ბავშვს უხმობდა „გარში გამოდი, ჰაიდი, გარში!" ამ ცდუნებას ველარ გაუძლო პაწიამ და შურდულივით გავარდა გარეთ. ბუნების სილამაზემ თვალი მოსჭრა. მერე უცებ ისევ ქოხში შევარდა მტვრის გადასაწმენდად. ამასობაში ნაძვებმაც ატეხეს შრიალი; ჰაიდის გააჟრჟოლა, ვერ მოითმინა, ასკინკილით გავარდა გარეთ და ნაძვებს მიესიყვარულა. პაპა ფარდულში საქმიანობდა, ჰაიდის ძახილი რომ მოესმა.

— პაპი, პაპიკო, გამოდი! მოდიან, მოდიან! წინ ბ-ნი ექიმი მოუძღვით! — ჰაიდი ძველი მეგობრის შესაგებებლად გაიქცა: — გამარჯობათ, ბ-ნო ექიმო! ათი ათასჯერ მადლობელი ვარ თქვენი!

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ჰაიდი! რისთვის მიხდი მადლობას? — გულწრფელი ღიმილით შეეკითხა ექიმი პატარას.

— იმიტომ, რომ პაპილოსთან დამაბრუნეთ, — განუმარტა ბავშვმა.

ექიმმა მამობრივი სინაზით ჩაჰკიდა ხელი პატარას:

— გამიძეხი პაპასთან და მაჩვენე შენი სახლი.

ჰაიდი ცოტახანს შეცბუნებული გასცქეროდა დაღმართს.

— სად არიან კლარა და დიდედა? — იკითხა გოგონამ.

— ვიცი, გეწყინება, ჰაიდი, მაგრამ მარტო მოვედი, — შეაპარა ექიმმა. — კლარა შეუძლოდ იყო და ამჟამად ვერც ერთი ვერ ჩამოვიდა, მომავალ ზაფხულს კი ნამდვილად ჩამოვლენ.

ჰაიდი ღიღინდა, ბ-ნი ექიმიც დუმდა, ირგვლივ მთელი ბუნება დამუნჯე-

ბულიყო, მხოლოდ ქარი დათარეშობდა ნაძვების კენწეროებში. ჰაიდი უცებ გამოერკვა: გაახსენდა, ექიმის შესაგებებლად რომ გამოიქცა და სტუმარს ახედა. ასეთი სევდიანი ექიმი ფრანკფურტში ჰაიდის არასდროს ენახა და გული მოუკვდა. ძალიან შეეცოდა. ეჭველი იყო, ექიმი კლარას და დიდედას ჩამოუსვლელობას განიცდიდა, ყოველ შემთხვევაში, ჰაიდიმ ასე იფიქრა და გადაწყვიტა ექიმი დაემშვიდებინა.

— არა უშავს, ზაფხული მალე მოვა და მაშინ ნამდვილად ჩამოვლენ და დიდხანს დარჩებიან. ალბათ კლარას ასე ურჩევნია; ახლა კი პაპასთან წავიდეთ.

მეგობრები ხელიხელ ჩაკიდებულები მიადგნენ ქოხს.

— ჯერ არ მოსულან, მაგრამ მალე ჩამოვლენ! — ამცნო პაპას ჰაიდიმ.

პაპა ბავშვის მონაყოლით იცნობდა ბ-ნ ექიმს. სტუმარს გულითადად შეეგება. ორივენი ქოხის წინ მერხზე ჩამოსხდნენ, ექიმმა ალერსიანად ანიშნა გოგონას, ჩემთან დაჯექიო. მერე ჰაიდის ყურში უჩურჩულა, ფრანკფურტიდან ისეთი რაღაცა ჩამოგიტანე, ჩემს ჩამოსვლაზე უფრო მეტად გეამებაო. ჰაიდიმ ამის გაგონებაზე ყურები ცქვიტა, ნეტავი რა არისო. პაპამ მოუწონა სტუმარს, კარგია, რომ მშვენიერი შემოდგომის დღეები მთაში გინდათ გაატაროთ, თან მოუბოდიშა, ჩემს ქოხში დარჩენას სივიწროვის გამო ვერ შემოგთავაზებთ, აქვე დორფლის სასტუმროში დაბინავდით და თუ ყოველ დილით გვეწვევით მთაში, ძალიან გამახარებთო, თან შეპირდა, თავად გაგიწევთ მთაში მეგზურობასო. ექიმს ჭკუაში დაუჯდა მოხუცის რჩევა.

ამასობაში მოშუადღევდა; მთის კაცი წამოდგა და ქოხში შევიდა, მაგიდა გამოიტანა და მერხის წინ დადგა.

— აბა, ჰაიდი, სუფრა გაშალე, რაც გვაქვს გამოარბენინე, ვისადილოთ, — უთხრა პაპამ შვილიშვილს. — ბატონო, უნდა მოგვიტეო ჩვენი სამზარეულოს სიღარიბე, სამაგიეროდ სასადილო ოთახი ნამდვილად თქვენი საკადრისია.

— მეც ასე ვფიქრობ, — მიუგო ექიმმა და კმაყოფილებით გადახედა მზით გაჩახჩახებულ დაბლობს. — სიამოვნებით ვიღებ თქვენს მიპატიჟებას, აქ ყველაფერი გემრიელი იქნება.

მალე სუფრაზე გამოჩნდა ოქროსფრად დაბრაწული ყველი და რძით სავსე ქოთანი, ჯერაც რომ ოხშივარი ასდიოდა. მერე თავის გამოყვანილ მოვარდისფრო ხორცს ლამაზი, თხელი ნაჭრებიც ჩამოჭრა პაპამ და სუფრაზე მიიტანა.

მთელი წლის განმავლობაში ასე გემრიელად არ უსადილია ბ-ნ ექიმს.

— დიახ, დიახ, კლარა აქ აუცილებლად უნდა ამოვიდეს, — თქვა მან დაბეჯითებით.

უცებ გზაზე ზურგზე უზარმაზარ ფუთამოკიდებული კაცი გამოჩნდა; უცნობი ქოხს გაუსწორდა თუ არა, ფუთა მიწაზე დადო და ღრმად ჩაისუნთქა მთის ჰაერი.

— ეს კი ის გახლავთ, რომ გეუბნებოდი, ფრანკფურტიდან ჩამოგიტანე-მეთქი, — თქვა ექიმმა და ჰაიდისთან ერთად ფუთის გახსნას შეუდგა. საჩუქრების დანახვაზე ჰაიდის თვალები გაუფართოვდა, სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა, სულ გადაქექა მთელი ფუთა, ბოლოს თქვა:

— ისე მაინც არაფერი გამხარებია, როგორც ბ-ნი ექიმის სტუმრობაო.

როცა მზე გადაიწვერა, სტუმარი წამოდგა და დორფლში წასასვლელად მოემზადა, სადაც ოთახი უნდა ექირავებინა. პაპამ ნამცხვრების ყუთი, ძეხვი და შალი ამოიღლიავა; ექიმმა ჰაიდის ჩაჰკიდა ხელი და თავქვე დაეშვნენ. ასე იარეს მწყემსის ხუხულამდე, ვიდრე პაპა სტუმარს დორფლში ჩააცილებდა,

ჰაიდი დიდედასთან დარჩებოდა. როცა ექიმმა პატარას ხელი გაუწოდა, ჰაიდი შეეკითხა:

— ხვალ წამოგვყვებით იალაღზე თხების საძოვრისკენ?

— უსათუოდ წამოვალ, — შეპირდა ექიმი.

კაცებმა გზა განაგრძეს, ჰაიდიმ კი დიდედასთან შეჩერდა, ჯერ ძლივ-ძლივობით შეათრია ნამცხვრების ყუთი, რადგან პაპას ყველაფერი კარებთან მიეწყო, მერე ძეხვი შეიტანა, სულ ბოლოს კი შალი. საჩუქრები დიდედასთან მიაქუჩა, უნდოდა მოხუცს ყველაფრისათვის ხელი შეეხო და თვად მიმხვდარიყო რა საჩუქრებიც მიიღო. ოღონდაც შალი ჰაიდიმ ზედ მუხლებზე გადაუფინა.

— ბებო, ყველაფერი კლარამ გამოგიგზავნა ფრანკფურტიდან, — უთხრა გაკვირვებულ მოხუცს. არანაკლებ გაკვირვებული ბრიგიტე დაძაბული ადევნებდა თვალყურს, როგორ ეზიდებოდა გოგონა საჩუქრებს... ამასობაში პეტრიკელაც მოვიდა და მაგიდაზე რომ უზარმაზარი ძეხვი დაინახა, ენა კინაღამ ჩაუვარდა...

## თავი მესამე

### ჯილდო

მეორე დღეს ბ-ნმა ექიმმა დილაადრიან დატოვა დორფლი და მალე პეტრიკელასა და თხების ფარასთან ერთად შეუყვა აღმართს. თავაზიანი მგზავრი ამაოდ ცდილობდა მწყემსის საუბარში ჩათრევას. რა გაეწყობოდა, ასე მდუმარედ მიაღწია ამ უჩვეულო მაყრიონმა მთის კაცის ქოხს, ჰაიდი თავის ორ თხასთან ერთად უკვე ქოხის წინ დაუხვდა, ყველანი დილის მზის სხივივით მხიარულად გამოიყურებოდნენ.

— წამოხვალ? — ეკითხებოდა თუ ეპატიჟებოდა პეტრიკელა ყოველ დილით ჰაიდის, ახლაც ჰკითხა.

— რა თქმა უნდა, მოვდივარ, თუ ექიმიც მოდის, — უპასუხა ჰაიდიმ.

პეტერმა უცნობ ბატონს ცოტა არ იყოს ქვეშ-ქვეშ გახედა. ამასობაში პაპაც გამოჩნდა. ხელში საჭმელებით სავსე ნაკრაული ეჭირა. ჯერ სტუმარს მიესალმა მოწიწებით, მერე პეტრიკელასთან მივიდა და მხარზე საჭმელების ნაკრაული გადაჰკიდა. ყველანი იალაღისაკენ გაეშურნენ. ჰაიდი თხების შუაგულში მოექცა.

— აბა, გაიქეცით, დამეხსენით ცოტა ხანს ბ-ნ ექიმთან ერთად უნდა ვიარო, მერე როგორც იქნა, თავი დააღწია თხებს და ბ-ნ ექიმს აუწყო ნაბიჯი, რომელმაც ბავშვს მაშინვე ჩაჰკიდა ხელი. თუმცა ჰაიდის უამრავი მოსაყოლი ჰქონდა და ბევრიც ეჭიკჭიკა თხებსა და მათ უჩვეულო ზნეზე, ყვავილებზე, კლდეებსა და ჩიტებზე, მაგრამ ექიმი რაღაც უხალისოდ მიდიოდა.

დილის სიო ნებიერი ჩურჩულით დაქროდა იალაღზე და ფრთხილად უნიავებდა ცისფერ ფურისულებს, ჯერ კიდევ აქა-იქ რომ შემორჩენილიყვნენ. ყველაფერი უსაზღვროდ თვალწარმტაცი იყო ირგვლივ. მხიარულად მოჩანავე ყვავილები, ლურჯი ცა, მოკიაფე სხივები, ცაში გალაღებული ფრთოსნები! ჰაიდის თვალები სიამოვნებისაგან უბრწყინავდა. ექიმს გადახედა, ამჩნევს თუ არა ამ სილამაზესო. ბ-ნი ექიმი აქამდე ჩაფიქრებული იყურებოდა ირგვლივ. უცებ ბავშვის გაბრწყინებულ თვალებს წააწყდა და თქვა:

— შეიძლება აქ კარგიც იყოს, ჰაიდი, მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, თუ კაცს ადრე ყველანაირი სილამაზით ალტაცება შეეძლო, ახლა კი აქ გულდამძიმებული ამოვიდა, როგორ უნდა დატკბეს აქაურობით?

— ოჰ, ოჰ! — შესძახა ჰაიდიმ მხიარულად. — აქ არ შეიძლება [illegible] ადამიანი გულდამძიმებული შეიძლება მარტო ფრანკფურტში იყოს. [illegible] წამიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელი დარდი რომ თან გამოგყვეს ფრანკფურტიდან. შენ იცი მისი წამალი?

— ყველაფერი ღმერთს უნდა შესჩივლო, თუ არ იცი, რა გზას დაადგე, — უპასუხა ჰაიდიმ თავდაჯერებით.

— კი, მაგრამ, თუ ეს სევდა და ნაღველი შენი გულიდან მოდის, რაღა უნდა შევთხოვო ღმერთს?

ჰაიდი ჩაფიქრდა:

— უნდა მოითმინო, დროა ამის მკურნალი. ღმერთი ყოველთვის უმზადებს ადამიანს რაღაც სასიხარულოს, რომელსაც სხვისი ხელით მოგაგებს, ოღონდ ცოტა უნდა მოითმინო და სულწასული არ უნდა იყო. ღმერთს ყოველთვის სიკეთე ემეტება ჩვენთვის და ერთხელაც მოვა ის ბედნიერი დღე, რომელიც არ იცის ადამიანმა და ამიტომ სევდიანია და ჰგონია, რომ სულ ასე იქნება.

— არასოდეს დაკარგო ეს რწმენა, ჰაიდი, — უთხრა ექიმმა, მერე ბუმბერაზ კლდოვანა მთებსა და მზით განათებულ ველს შეავლო თვალი: — ხედავ, ჰაიდი, თურმე შეიძლება აქ სევდისაგან თვალებამოღამებული ადამიანი მოვიდეს და ვერ მოიხიბლოს აქაური სილამაზით. ის კი არა, ამ სილამაზის შემყურე შეიძლება უფრო მეტად დანაღვლიანდეს. შეგიძლია მიმიხვდე ამას, ჰაიდი?

ჰაიდის გულზე რაღაცამ უჩხვლიტა. ამოღამებულმა თვალებმა უსინათლო ბებო გაახსენა, აქაური სამოთხისა და მზის დანახვა რომ არ შეეძლო.

— მე კარგად მესმის თქვენი, და ვიცი მაგის წამალი, ბებოს საგალობლები უნდა წაიკითხოთ, ისინი გაგინათებენ გულსა და გაგამხიარულებენ. ასე თქვა ბებომ.

— წამიკითხე რომელიმე, სიამოვნებით მოგისმენ, — სთხოვა ექიმმა.

ჰაიდიმ ხელები ერთმანეთს გადააჭდო ერთხანს დაფიქრდა:

— ის ლექსი ვთქვა, ბებო რომ ამბობს, ამის მოსმენისას რწმენა უბრუნდება ადამიანსო?!

ექიმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ჰაიდიმაც დაიწყო:

მას, მას მიეცი ძალაუფლება,
რადგან ის გახლავთ თავადი ბრძენი,
და იერსახეს მისცემს ყველაფერს,
იმგვარად, რომ შენ გაგიკვირდება,
შენ გოლცებას ვერ დაფარავ,
როცა იგი ქმნის
და როცა რჩევით მოგიგვარებს
მას, რაც გაწუხებს.
იგი წამიერ განუგეშებს,
თან ნუგეში გაგაოცებს
და, თავის მხრივ, მოგიზღავს კეთენილს,
და როცა მდაბლად თავს დაუხრი,
თითქოსდა მოსჯილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშს და წვალებას.
გგონია, აღარც გაახსენდები.
მოხდება ისეც, ერთგულების
ჯილდოს მოგიზღავს
და აღგამაღლებს.
შენ ოდნავ მაინც
თუკი გწამს ძისა,
იგი მხრებიდან
ტვირთს ჩამოგხსნის.
როგორც სჩვევია,
იმ ტვირთს, რომელიც
უბოროტოდ გიტარებია.

ჰაიდი უცბად გაჩერდა, უნდოდა გაეგო, ბ-ნი ექიმი ისევ მისმენს თუ არაო, ექიმს თვალებზე ხელი აეფარებინა და უძრავად იჯდა. ჰაიდის ეგონა, ჩაეძინაო და როცა გაეღვიძება, მერე ვკითხავ, კიდევ ხომ არ ინებებთ ლექსის მოსმენასო. ექიმს არ ეძინა; იგი შორეულ მოგონებაში ჩაიძირა, თავისი ბავშვობა გაახსენდა, ახლა იგი დედის სავარძელთან იდგა; დედას ყელზე მოეხვია მისთვის ხელი და საგალობელს უმღეროდა, სწორედ იმ საგალობელს, ჰაიდიმ რომ წამოიწყო და დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდა. ახლა კვლავ აშკარად ჩაესმა დედის ხმა და წარმოუდგა შვილისკენ სიყვარულით მზირალი მისი ნათელი თვალები. როცა საგალობლის სიტყვები მიწყდა, კიდევ დიდხანს ჩაესმოდა სასურველი ხმა, ახლა სხვა სიტყვებს რომ ჩასჩურჩულებდა. ექიმი სიამოვნებით უგდებდა ყურს დედის სიტყვებს, ფიქრებით მასთან იყო. დიდხანს იჯდა ასე ხელებში თავჩარგული. ბოლოს, როცა გამოერკვა, დაინახა გაკვირვებული ჰაიდი, ხელზე ხელი მოუთათუნა და უჩვეულოდ მხიარულად უთხრა:

— ჰაიდი, საუცხოო იყო შენი საგალობელი, როცა აქ ამოვალთ, მაშინ კიდევ ერთხელ წამიკითხე ეს საგალობელი.

ამ ხნის განმავლობაში პეტერს ბრაზი ახრჩობდა. რამდენი ხანია ჰაიდი მასთან ერთად იალაღზე არ ამოსულა, ახლა კი, როცა წამოყვა, მთელი დღე მოხუც ბატონთან გაატარა. პეტერი ბატონის ზურგს უკან მოშორებით გაჩერდა და მუშტი მუქარით შემართა ჰაერში.

ამასობაში მზე გადაიწვერა, სადილობის დროც მოვიდა, პეტერს ეს არ გამოპარვია და მთელი ძალით გასძახა ჰაიდის: ჭამის დროა! ექიმმა იუარა, არ მშია, მხოლოდ ჭიქა რძეს დავლევ, იალაღს დავათვალიერებ და ცოტა ზემოთ გავისეირნებო. ჰაიდიმაც არ ინდომა ჭამა და თქვა: არც მე მშია, მეც ჭიქა რძე მეყოფა და გამოგყვებით ზემოთო. ჰაიდი პეტერთან გაიქცა, სასწრაფოდ აუხსნა, ერთი ჯამი ბ-ნი ექიმისათვის მოწველე, მეორე — ჩემთვისო.

— აბგაში რომ საჭმელია, ის ვისაა? — ჰკითხა პეტერმა.

— ის შენი იყოს, ოღონდ ჩქარა მოგვიტანე რძე, — უპასუხა ჰაიდიმ.

ექიმმა და ჰაიდიმ ერთად ხეტიალით გული რომ იჯერეს, ექიმმა უთხრა, ახლა კი შინ დაბრუნების დროაო. ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ექიმი თავქვე დაეშვა. გზადაგზა უკან იხედებოდა, უყურებდა, როგორ იდგა ჰაიდი იმავე ადგილზე და ხელს უქნევდა. ექიმს თავისი საყვარელი გოგონა გაახსენდა, ზუსტად ასე რომ იდგა სახლის წინ და მიმავალს ხელს უქნევდა.

ასეთ ხეტიალში გაიპარა დრო ბ-ნ ექიმს და სათვალავი აერია, უკვე მერამდენედ ართმევდა გულითადად ხელს მთის კაცს გამომშვიდობების ნიშნად და ყოველთვის ემადლიერებოდა: „ჩემო კეთილო მეგობარო, თქვენგან არა-

სოდეს ხელცარიელი არ ვბრუნდებიო". ექიმი უმეტესად ჰაიდისთან ერთად დადიოდა საძოვრებზე, სხდებოდნენ ჩრდილში და ჰაიდი უკითხავდა საგალობლებს, პეტერი მათ უკან წყნარად იჯდა, აღარ ცხარობდა და აღარც მუშტებს იქნევდა.

ამასობაში სექტემბერიც თვალსა და ხელშუა გაიპარა. ერთ დილას ექიმი ჩვეულებრივზე უფრო დაღვრემილი მოვიდა მეგობრებთან და თქვა: დღეს ჩემი აქ ყოფნის ბოლო დღეა, ხვალ ფრანკფურტში ვბრუნდებიო, ძალიან შევეჩვიე იალაღს, ძალზე მიჭირს წასვლაო. ამ ამბავმა მთის კაციც დაალონა. მას სიამოვნებას ჰგვრიდა ბ-ნ ექიმთან საუბარი. ჰაიდისაც არ ემეტებოდა მეგობარი წასასვლელად, მაგრამ რა უნდა ექნა. ბ-ნი ექიმი გამოემშვიდობა პაპას და სთხოვა, თუ შეიძლება ჰაიდი ცოტა მანძილზე გამომყვესო. ჰაიდიმ გააცილა უფროსი მეგობარი! გამომშვიდობებისას ექიმი ნაზად მოეფერა ბავშვს ხუჭუჭა თმაზე:

— აბა, ჰაიდი, წავედი! ნეტავი შემეძლოს ფრანკფურტში წაგიყვანო და ჩემთან დაგტოვო.

ჰაიდის ფრანკფურტის ხსენებაზე თვალწინ წარმოუდგა უამრავი შენობა, ქვაფენილით მოკირწყლული ქუჩები, ფროილაინ როტენმაიერი, ტინეტი, და მორიდებულად სთხოვა:

— უკეთესია ისევ თქვენ ჩამობრძანდეთ ჩვენთან.

— რა თქმა უნდა, ასე ჯობია, კარგად იყავი, ჰაიდი, — ექიმმა ხელი გაუწოდა. მერე სწრაფად შეტრიალდა და დაღმართზე დაეშვა. ჰაიდი ერთხანს უძრავად იდგა. ექიმის აცრემლებულმა სიყვარულით სავსე თვალებმა ძალიან იმოქმედებს ბავშვზე, ყელიდან ერთბაშად ტირილი ამოსკდა, ექიმს ზლუქუნ-ზლუქუნით დაეწია:

— წამოვალ ფრანკფურტში, იმდენხანს დავრჩები, რამდენიც მოგესურვებათ, ოღონდ სწრაფად გავიქცევი პაპასთან, გავაფრთხილებ.

ექიმმა თავზე ხელი გადაუსვა პატარას:

— არა, ჩემო საყვარელო ჰაიდი, ახლა არა; შენ ნაძვებთან უნდა დარჩე, თორემ ისევ ავად გამიხდები. მე რომ ავად გავხდე, ხომ ჩამოხვალ ჩემთან? იმედი ვიქონიო, რომ ჩამომხედავ და ჩემთვის თავს შეიწუხებ?

— აუცილებლად ჩამოვალ, აუცილებლად, იმავე დღეს. თქვენ ისევე მიყვარხართ, როგორც პაპაჩემი! — ჰაიდის ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ჰაიდი იქამდე უქნევდა ხელს, ვიდრე ექიმი წერტილისოდენა არ გახდა. მიმავალმა ექიმმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „საუცხოოა მთაში ცხოვრება, სულით ხორცამდე გამოკეთდება ადამიანი და სიცოცხლის წყურვილსაც დაიბრუნებს."

## თავი მეოთხე

## ზამთარი დორფლში

ქოხის გარშემო იმ სიმაღლე თოვლი იდო, გეგონებოდათ, ფანჯრები პირდაპირ მიწიდან ამოზრდილაო; ქოხიდან თითქმის არაფერი მოჩანდა. კარი თოვლს ჩაეგმანა.

მოხუცი მთის კაცი სიტყვის კაცი გამოდგა. ჩამოთოვა თუ არა, ქოხი და თხების ბაკი ჩარაზა და ჰაიდისა და თხებთან ერთად დორფლში გადასახლდა. მღვდლის სახლსა და ეკლესიასთან ახლოს ფართო გალავნიანი დანგრეული სახლი იდგა. ყამთასვლას შენობა ზოგან მთლიანად, ზოგანაც ნაწილობრივ დაენ-

გრია. ამ სახლში ოდესღაც მამაც მეომარს უცხოვრია; ამ მეომარს ესპანეთის ომში დიდი სიმამაცეც გამოუჩენია და დიდძალი ქონებაც უგდია ხელთ, დორფლში დაბრუნებულა და დიდებული სახლი აუგია. აქ დასახლება სდომებია, მაგრამ დორფლის მოსაწყენ სიმყუდროვეში ვერ გაუძლია, წასულა და მას შემდეგ აღარც დაბრუნებულა. წლების მერე, როცა მისი სიკვდილი შეიტყვეს, სახლი მეომრის შორეულ ნათესავს რგებია. მის ლოდინში სახლი ძალზე გვარიანად დანგრეულა და ახალ მფლობელს აღარ მოუნდომებია შესახლება. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. როცა მთის კაცი ტობიასთან ერთად დორფლში ჩამოვიდა, ამ სახლში შესახლებულა, მანამდე სახლი ცარიელი იყო, რადგან ვერავინ მოიფიქრა ჭუჭრუტანები და ნასვრეტები ამოევსო, ვიდრე სახლი მთლად ჩამოინგრეოდა. ამიტომაც იყო, რომ შიგ არავინ ცხოვრობდა. ზამთარი დორფლში ხანგრძლივი და მკაცრი იცოდა, როგორც კი ზამთარში დორფლში ჩამოსვლა განიზრახა, მთის კაცმა სახლის შეკეთება შემოდგომაზევე დაიწყო, რათა ყველაფერი თავისი სურვილისამებრ მოეწყო. ოქტომბრის შუა რიცხვები იქნებოდა, როცა ამ შენობაში ბავშვთან ერთად დაბინავდა.

ერთ ოთახში პაპამ კედლები ფიცრებით შეაკეთა. იატაკზე თივა მოფინა. აქ თხები დაბინავდნენ. შენობის წინა მხარეს, სადაც მძიმე მუხის კარი ჯერ კიდევ მყარად ეკიდება ანჯამებზე, ფართო და დიდი ოთახი იყო. ერთ კუთხეში ლამაზი, თეთრი ფილებით მოპირკეთებული ბუხარი დაეტანებინათ; კედლებზე ნაირ-ნაირი სურათები იყო დახატული: მაღალი კოშკები, მწყემსი ბიჭი, ტბის პირს მჯდომი მეთევზე. ჰაიდის მოეწონა აქაურობა. უცებ მისი ყურადღება მიიპყრო კედელსა და ბუხარს შორის დატოვებულმა სივრცემ, სადაც ფიცარნაგი გაედოთ. ფიცარნაგზე ფუმფულა, სურნელოვანი თივა ეფინა, თივაზე — ტილო, ხოლო ზემოდან საბნის მაგიერი ტომარა იდო. ჰაიდის ისე მოეწონა საწოლი, რომ პაპას უთხრა, ეს ჩემი კუთხეაო.

— შენ ბუხართან ახლოს უნდა იყო, რომ არ გაიყინო, — აუხსნა პაპამ, — ჩემს ლოგინსაც ახლავე გაჩვენებ.

ჰაიდი პაპას გაჰყვა. ვრცელი ოთახი გადაჭრეს და მეორე პატარა ოთახში გავიდნენ. იქით კიდევ კარი მოჩანდა. ჰაიდიმ მოუთმენლად გააღო კარი და გაოცებული შედგა. სამზარეულოს კი მიამსგავსა, მაგრამ ასეთი ვრცელი სამზარეულო არსად ენახა. აქ უამრავი რამ იყო შესაკეთებელი, პაპა არ მოიწყენდა. კედლებში უამრავი ნაპრალი და ჭუჭრუტანა გაჩენილიყო, საიდანაც ქარი თავისუფლად დანავარდობდა; ირგვლივ იმდენი ფიცარი მიეჭედებინათ, გეგონებოდათ, კედელში ხის პატარა კარადები ჩაუტანებიათო.

ჰაიდის ისე ძალიან მოეწონა ახალი ბინა, რომ უკვე ყველა კუთხე-კუნჭული შემორბენილი ჰქონდა და როცა მეორე დღეს პეტერი ესტუმრათ სახლის დასათვალიერებლად, ჰაიდის უკვე თვალდახუჭულს შეეძლო მეგზურობის გაწევა.

ჰაიდის თავდაპირველად თავი ჯერ ისევ იალაღზე ეგონა. განიცდიდა, ნაძვების შრიალი რომ აღარ ესმოდა, მაგრამ სამაგიეროდ პაპის ხმა და თხების კიკინი ეფონებოდა გულზე და ხვდებოდა, რომ შინ იყო, თავისიანებთან იყო. ორი-სამი დღის მერე ჰაიდიმ ბებია მოიკითხა და თქვა, უნდა წავიდე და მოვინახულოო, მაგრამ პაპამ დაუშალა, იქ დიდი თოვლი დევს და ჩაიჩუმქრებიო. ხომ ხედავ, პეტერს უჭირს იქიდან ჩამოსვლა და შენ როგორღა შესძლებო.

ამ სიტყვებმა ჰაიდი ცოტა დაადარდიანა, მაგრამ სახლში იმდენი სამუშაო იყო, რომ დღეები ერთმანეთს შეუმჩნევლად ენაცვლებოდნენ. ჰაიდი დორფლის სკოლაში დადიოდა და ბეჯითად სწავლობდა. პეტერი ხშირად ვერ ჩამო-

დიოდა და ჰაიდი მას იშვიათად ხედავდა. მასწავლებელი კეთილი კაცი იყო და ამბობდა: „ვხედავ, პეტერი ისევ არ ჩამოსულა, სკოლა სასარგებლოა მისთვის, მაგრამ ზემოთ დიდი თოვლი დევს და, ეტყობა, უჭირს თოვლის გაკვლევა". სამაგიეროდ საღამოობით, როცა სკოლა დამთავრდებოდა, პეტერი ჰაიდისთან მოდიოდა სტუმრად.

ეროვნული

ერთ დილას პეტერს თოვლი მოყინული დახვდა და გაუხარდა, ამოვა მთაში ჰაიდით. რძე სასწრაფოდ დალია, პურის ნატეხი ჯიბეში ჩაიტენა და, სკოლაში მივდივარო, დაუძახა დედას.

— ძალიან კარგი, წადი, იქნებ რამე ისწავლო, — უთხრა დედამ.

პეტერი ფანჯრიდან გადაცოცდა — ვინაიდან ყინულის ლოლუებს კარი ჩაეხერგათ, თხილამურებზე დადგა და მთა ჩაიქროლა.

ელვის სისწრაფით ჩავიდა დორფლში, მაგრამ თხილამურები თავისით მისრიალებდნენ და დორფლსაც გასცდა და მაინფელდშიც ჩავიდა. დორფლამდე ასვლას ბარე ერთი საათი კიდევ სჭირდებოდა. მართლაც უკან დაბრუნებას მთელი საათი მოუნდა და სწორედ მაშინ მიადგა ჰაიდის სახლს, როცა ის უკვე სკოლიდან დაბრუნებულიყო და პაპასთან ერთად სადილობდა.

— ოჰ! ოჰ! ახლა კი წავალ ბებოსთან! — აღფრთოვანდა ჰაიდი. — რატომ არ მოხვედი სკოლაში? ხომ კარგი გზაა? — უსაყვედურა ჰაიდიმ.

— ცოტა შორს გამიტყუეს თხილამურებმა და დამაგვიანდა, — უპასუხა პეტერმა.

— ამას დეზერტირობა ჰქვია, — აუხსნა ოჰიმ, — ვინც შენნაირად იქცევა, იმას ყურს უწევენ, გასაგებია? იცოდე, თხების გენერალო, თუ ისევ გააცდენ სკოლას და თხილამურებს მოიდებ მიზეზად, ჩემთან მობრძანდები და საკადრისსაც მიიღებ. ახლა კი მოდი, ჯერ დაგვეწვიე; მერე ჰაიდის გაგატან. საღამო ხანს კი ისევ ჩამოაცილებ და ჩვენთან ივახშმებ.

პეტერს სიამოვნებისაგან სახე გაებადრა და მაშინვე მორჩილად მიუჯდა ჰაიდის. ჰაიდიც ისე იყო გახარებული, ყელში ლუკმა აღარ გადასდიოდა. თავისი ულუფაც პეტერს დაუდო თეფშზე, მერე კარადასთან მიირბინა და კლარას ნაჩუქარი პალტო გამოიღო.

ბავშვები გზას გაუდგნენ. ჰაიდიმ უამბო პეტერს, როგორ მოიწყინეს თხებმა პირველად, არაფერს ჭამდნენ, აღარც კიკინებდნენო. პაპამ უთხრა, როგორც შენ მოიწყინე ფრანკფურტში, ისე მაგათ მოიწყინეს დორფლშიო.

— შენც გამოცადი, პეტერ, ამას როდისმე, — დაუმატა ბოლოს ჰაიდიმ.

ისე აათავეს აღმართი, პეტერს ხმა არ გაუღია, რაღაცაზე ფიქრობდა. ქოხთან პეტერი შეჩერდა და ბორძიკით თქვა:

— არა, არა, ისევ სკოლაში სიარული მირჩევნია ოჰის წკეპლას.

ჰაიდიმ მოუწონა გადაწყვეტილება. ნამდვილად კარგს იზამ, სწავლას თუ არ გაანებებ თავსო.

ბრიგიტე შეეგება ბავშვს: ძალიან ცივა და ბებო დილით ლოგინში წევსო. ჰაიდისათვის ეს ახალი ამბავი იყო; ადრე ბებო მუდამ კუთხეში იჯდა. ჰაიდი მაშინვე ბებოსთან ოთახში შევარდა.

— ძალიან ავად ხარ, ბებო?

— არა ვარ ავად, პატარავ. მცივა მხოლოდ. დათბება და მეც ალბათ კარგად გავხდები. სართავს მივუჯდები... კარგი ჰაიდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, საწუწუნო არაფერი მაქვს, პირიქით, ღმერთს მადლობას ვწირავ, ამდენი სიკეთისათვის, ყოველდღე ახალ-ახალ პურსა ვჭამ, თბილი და ლამაზი შალი

მაქვს და, რაც მთავარია, შენ მოდიხარ ჩემთან. ჰაიდი, ხომ არ წამიკითხავდი დღეს რამეს?

ჰაიდი გაიქცა და ძველი ლოცვანი მოარბენინა. სწრაფად მოძებნა ლამაზი საგალობლები, უკვე ზეპირად რომ იცოდა, და დაიწყო კითხვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები ჩემი თუ ჩილამდე, ჩაქვდა ოცნება:
გთხოვ, სულო ჩემო, კვლავ შეიძლო
გასხივოსნება.
მივდივარ იქით, სიხარული გულზე ფრთებს
მაბლის,
იმგვარად, თითქოს ვბრუნდებოდე მშობლიურ
სახლში.

ბებომ რამოდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვები და სახეზე ბედნიერი მოლოდინი გამოესახა. ჰაიდის ეს კეთილად ენიშნა, თვალწინ წარმოუდგა ის მზიანი დღე, როცა შინ ბრუნდებოდა, და მხიარულად შესძახა:

— ბებო, ვიცი, რასაც ნიშნავს შინ დაბრუნება!

ბებომ ბავშვის ხელი თავის ხელში მოიქცია:

— გახარებული ვარ, თუნდაც ლოგინში ვიწვე, მაინც ბედნიერი ვიქნები. არავინ უწყის, თუ არ გამოცდის, რა ძნელია მთელი დღეები ლოგინში გაატარო, ძეხორციელისაგან სიტყვა არ გესმოდეს და ვერას ხედავდე. ხანდახან ისეთი მძიმე ფიქრები შემოგესევა ადამიანს, რომ ძალაუნებურად გაიფიქრებ, აღარასოდეს გათენდებაო, მაგრამ შენს წაკითხულს როცა ვუსმენ, გულში ისევ ჩამიდგება ხოლმე სხივი და მიხარია, ცოცხალი რომ ვარ...

## თავი მეხუთე

### ზამთარი ბრძოლდიკა

მეორე დღეს პეტერს სკოლაში აღარ დაუგვიანია. თავისი საგზალი ბიჭუნას აბგაში ედო. დორფლელი ბავშვები სადილად შინ მირბოდნენ, ის მოსწავლეები, რომლებიც მოშორებით ცხოვრობდნენ, სკოლაში საუზმობდნენ. ერთ დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, პეტერმა ოჰისკენ გასწია. ჰაიდი ელოდა ბიჭს.

— პეტერ, კითხვა უნდა ისწავლო, — გამოუცხადა ბიჭს ჰაიდიმ დიდის ამბით.

— უკვე ვისწავლე, — უპასუხა პეტერმა.

— კი აბა, ეგ რა სწავლაა! ისე უნდა ისწავლო, უშეცდომოდ კითხულობდე.

— მასე ვერ ვისწავლი, — თქვა პეტერმა ნაღვლიანად.

— არავინ დაგიჯერებს, რომ ვერ ისწავლი, არც მე მჯერა, — მტკიცედ უთხრა ჰაიდიმ. — ფრანკფურტში რომ დიდედაა, სწორედ იმან მითხრა, არ დაიჯერო, რომ კითხვის სწავლა შეუძლებელიაო. უკვე მოვიფიქრე, როგორ უნდა გასწავლო კითხვა. ბებოს თითო-ოროლა საგალობელი უნდა წაუკითხო ყოველდღე.

— არაფერი გამოვა, — წაიბუზღუნა პეტერმა.

ჰაიდი აფეთქდა, ანთებული თვალებით ბიჭს წინ გადაეღობა და დაემუქრა:

— თუ სწავლა არ გინდა, მაშინ გეტყვი, რაც მოგელის. დედაშენმა უკვე ორჯერ თქვა, პეტერს იმ საშინელ უზარმაზარ სახლში გავუშვებ სასწავლებლად, ფრანკფურტში რომ არისო. იქ თურმე სულ პატარა ბიჭები შეჰყავთ და [illegible]ბამდე იქ არიან. მე თვითონ ენახე. დამიჯერებ, რომ გითხრა, ერთი მასწავლებელი ჰყავთ, მოსწავლეები გრძელ რიგებად ჩამწკრივებულნი [illegible]ში, ყველა ერთნაირად არის შავად ჩაცმული, თითქოს ეკლესიაში [illegible] თავზეც ერთნაირი წოწლოპა შავი ქუდები ახურავთ, აი ასეთი, — და ჰაიდიმ იატაკიდან თავამდე მოხაზა ჰაერში სივრცე! — სწორედ ამ ბატონებში მოხვდები და ყველაზე ბოლოს იჩანჩალებ. როცა შენი რიგი მოვა და ვერ წაიკითხავ, მაშინ ნახე, როგორ დაგცინებენ ის ბატონები, ტინეტიზე უფრო მეტად. მერე ერთი გაცოდინა, როგორი დაცინვა იცის ტინეტმა.

— თუ ასეა, თანახმა ვარ, — პეტერს ზურგზე ჭიანჭველებმა დაურბინეს.

— ასე არ ჯობია, მაშინ ახლავე დავიწყოთ.

ორივენი მაგიდას მიუსხდნენ, თავები წიგნებში წარგეს და მეცადინეობას შეუდგნენ. ჰაიდიმ წაიკითხა:

„თუ ვერ კითხულობ ა ბ ც-ს კარგად,
სკოლის სამსჯავრო გაგკიცხავს მკაცრად".

— არ წავალ, — თქვა პეტერმა ენის ბორძიკით.

— სად არ წახვალ? — შეეკითხა ჰაიდი.

— სად და სამსჯავროზე.

— მაშინ ისწავლე ეს სამი ასო-ბგერა და წასვლაც არ დაგჭირდება, — დაიყვირა ჰაიდიმ.

პეტერი დაჯდა და იმდენხანს იკითხა ის სამი ასო, ვიდრე ჰაიდიმ არ უთხრა, ახლა უკვე კარგად იციო.

ჭკვიან გოგონას არ გამოპარვია, რა გავლენა მოახდინა პირველმა ანდაზამ ბიჭზე და შეეცადა შემდეგი მეცადინეობისათვის წინასწარ შეემზადებინა იგი.

— მოიცადე, სხვა ანდაზებსაც წაგიკითხავ:

„დ ე ფ გ-ს სხაპასხუპით თუ ვეღარ იტყვი,
თავს დაგატყდება ღვთის რისხვა მიწყივ."

„თუ დაგავიწყდა ძვირფასი ჰ-იკი,
იცოდე ჩემგან სიძულვილს იმკი".

„ვინც არ მოიშლის ლ მ-ზე ბორძიკს,
თავი სულელად ჩათვალოს ორგზის."

„ვინც ნ ო პ ქიუ-ს ისწავლის წამში
და სიხარულით ცაში ფრთებს გაშლი."

„რ ს ტ-ს კითხვას თუ ოავს ვერ აბამ,
იცოდე: შენ ვერ ისწავლი ანბანს."

ჰაიდიმ პეტერს შეხედა. ანდაზებში ჩაქსოვილ მუქარას ბიჭი ისე შეეძრწუნებინა, გაშეშებული იჯდა და დამფრთხალი თვალებით ჰაიდის მიშტერებოდა.

ჰაიდის გულკეთილობამ სძლია და პეტერი შეეცოდა.

— ნუ გეშინია, პეტერ, ყოველ საღამოს ჩამოდი სამეცადინოდ, გულმოდგინედ ისწავლე ანბანი და ვეროვინ ვერაფერს დაგაკლებს, იცოდე: ყოველდღე

უნდა იარო, ისე კი არა, სკოლაში რომ არ დადიხარ ვითომ დიდთოვლობის გამო.

პეტერი ისე შეშინებული და მორჯულებული ჩანდა, ჰაიდის ეუთქვა, ასეც მოვიქცევიო. პეტერი სიტყვის კაცი გამოდგა. ყოველ საღამოს გულმოდგინედ სწავლობდა ანბანს და ანდაზებს. ხშირად, როცა პაპა ოთახში იჯდა, ბავშვების მეცადინეობას თვალყურს ადევნებდა, თან სიამოვნებით ჩიბუხს აბოლებდა და ულვაშებში ეღიმებოდა.

ასე გადიოდნენ ზამთრის დღეები. პეტერი ყოველდღე ჩამოდიოდა ჰაიდისთან და წაიწია კიდეც სწავლაში წინ. ამასობაში ყინულიც გალღვა. უკვე მეცხრე დღე იყო თოვდა. ბარემ მესამე კვირა იწურებოდა, რაც ჰაიდას ბებო არ ენახა. სწორედ ამიტომ იყო, თავის გულმოდგინება პეტერზე გადაიტანა და ამით იკლავდა საგალობლების კითხვის ჟინს. ერთ საღამოს, როცა პეტერი ჰაიდისგან შინ დაბრუნდა, გამოაცხადა:

— შემიძლია!

— რა შეგიძლია, პეტერლი? — შეეკითხა დედა.

— კითხვა.

— კარგი ერთი! გესმის, ბებო! — თქვა ბრიგიტემ.

— ბები, საგალობელი უნდა წაგიკითხო, ჰაიდიმ დამაბარა, — დაიჟინა პეტერმა.

დედამ საჩქაროდ გამოუტანა წიგნი, პეტერი მაგიდას მიუჯდა და კითხვა დაიწყო. დედა გასუსული მიჯდომოდა შვილს გვერდით და ყოველი ლექსის წაკითხვის მერე გაოცებული ამბობდა: „აბა, ვინ იფიქრებდა ამას!"

ერთ დღეს, კლასში კითხვის დღე ჰქონდათ. როცა ჯერი პეტერზე მიდგა, მასწავლებელმა ჰკითხა:

— პეტერ, ისევ გამოგტოვოთ, — როგორც ყოველთვის, თუ მოსინჯავ, იქნებ ერთი სტრიქონი როგორმე დამარცვლით ამოგეკითხა.

პეტერმა შეუსვენებლივ ჩაიკითხა სამი სტრიქონი. გაოცებულმა მასწავლებელმა წიგნი განზე გადადო და გაკვირვებული შეაცქერდა პეტერს:

— პეტერ, ისეთი რა სასწაული მოხდა! არც მარტო ასოებს სცნობ, გარკვევითაც კითხულობ, რას მივაწერო ჩვენს დროში ასეთი სასწაული, პეტერ?

— ჰაიდის! — უპასუხა ბიჭმა.

—ნამდვილად შეიცვალე, პეტერ, ადრე თუ მთელი კვირეები აცდენდი სკოლას ახლა არც ერთ დღეს აღარ ტოვებ. რა სიკეთეს მივაწერო შენი ასეთი ფერისცვალება?

— მთის კაცს! — ისევ გაისმა პეტერის ხმა.

მეცადინეობა რომ დამთავრდა, მასწავლებელი მღვდელთან გავიდა, ერთი სული ჰქონდა ეცნობებინა, რა კეთილი გავლენაც მოახდინეს ჰაიდიმ და მთის კაცმა ბიჭუნაზე.

ყოველ საღამოს პეტერი ერთსა და იმავე საგალობელს კითხულობდა. მეორე საგალობლის წაკითხვა ვერ გაებედნა და ბებოც არ აძალებდა. ბრიგიტე სიხარულისაგან აღარ იყო.

— ძალიან კარგია, რომ ბიჭმა რაღაცა ისწავლა, — თქვა ერთხელ ბებიამ, — მაგრამ მე მაინც ერთი სული მაქვს, მალე დადგეს გაზაფხული, რომ ჰაიდი ჩვენთან ამოვიდეს. ის სხვა საგალობლებსაც წამიკითხავს, პეტერის წაკითხულს რაღაცა აკლია, ვერ გამიგია რა, ჰაიდის წაკითხული სულ სხვანაირად ხვდება გულს.

მართლაც, პეტერი კითხვისას ტოვებდა ხოლმე სიტყვებს, გრძელი საგა-

ლობლებია და ერთი-ორი სიტყვის გამოტოვებით არაფერი დააკლდებათო. სინამდვილეში კი ზოგჯერ საგალობლები თავიანთ მნიშვნელობასა და დედააზრს კარგავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეექვსე

## შორეული მეგობრები ამობრძანდნენ

მაისიც მობრძანდა. მთის მწვერვალებიდან ბარისაკენ დაქანდნენ ღელეები. იალალი თბილი და ნათელი მზის სხივით აივსო. საძოვარი მწვანედ აბიბინდა. უკანასკნელი თოვლიც გადნა და მაცდურმა მზის სხივებმა ლორთქო ბალახიდან პირველი თვალებბრდღვიალა ყვავილები ამოიტყუა. მაღლა ნაძვებში გაზაფხულის ქარი დაქროდა, გირჩებს აყრევინებდა, რათა ნორჩი წიწვებისათვის გზა დაეთმო და ნაძვები ახალი მდიდრული სამოსით მორთულიყვნენ.

ჰაიდი კვლავ ამოსულიყო იალაღზე, ხარბად ისრუტავდა გაზაფხულზე ახლად გამოღვიძებული მიწის ოხშივარს.

„საძოვრებისაკენ! საძოვრებისაკენ! საძოვრებისაკენ!"

ქოხს უკან საბძლიდან ჰაიდის შემოესმა, პაპამისი რაღაცას ხერხავდა და აჭედებდა, იქითკენ გაიქცა. პაპას საბძლის წინ უკვე გამოედგა ახლად გამოთლილი სკამი და ახლა მეორეს დაჰკუკუნებდა.

— ფრანკფურტიდან რომ სტუმრები გვეწვევიან, მაშინ დაგვჭირდება, ხომ? იმ სკამზე დიდედა დაჯდება, ამაზე კი, ახლა რომ აკეთებ — კლარა, და ერთი კიდევ დაგვჭირდება, — განაგრძო ჰაიდიმ ჰოჰმანით, — როგორ გგონია, პაპი, იმათ ფროილაინ როტენმაიერი არ ჩამოყვებათ?

— ვერ გეტყვი, — უპასუხა პაპამ, — იქნებ ჩამოვიდეს კიდეც, ესეც არ იყოს, ერთი ზედმეტი სკამი მაინც არ გვაწყენს.

ჰაიდიმ ეჭვის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა ხის უზურგო სკამი:

— ეჰ, პაპიკო, მე მგონი, ფროილაინ როტენმაიერი არ იკადრებს ამ სკამზე დაჯდომას.

— არ იკადრებს და ჩვენც ლამაზი, მწვანე, ხავერდგადაკრული სავარძელი მივართვათ, — დაამშვიდა პაპამ ბავშვი.

ვიდრე ჰაიდი მოიფიქრებდა, საიდან აპირებდა პაპა ასეთი ტახტის მოტანას, ყურისწამღები სტვენა, შეძახილები, წკეპლის შხუილი გაისმა. მაშინვე იქით გაექანა და თვალის დახამხამებაში მოკუნტრუშე თხებს შუა მოექცა.

პეტერმა თხები მიფანტ-მოფანტა, რათა გოგონამდე მიეღწია და წერილი გადაეცა.

ჰაიდიმ ყურადღებით წაიკითხა მისამართი, მერე პაპასთან საბძელში გაიქცა და წერილი სიხარულით მაღლა ჰაერში ააფრიალა.

— ფრანკფურტიდანაა! — კლარასაგან! გინდა ახლავე წაგიკითხო, პაპი?

„ძვირფასო ჰაიდი!

ჩვენ უკვე შევკარით ბარგი და ორ-სამ დღეში მამა წავა თუ არა თავის საქმეებზე, ჩვენც დორფლისკენ გამოვემგზავრებით. მამაჩემი პარიზს მიდის. ბ-ნი ექიმი ყოველდღე მოდის და გვიკიჟინებს: „წადით მთაში! წადითო! ნეტავი გაცოდინა რა კმაყოფილია თქვენთან ყოფნით! ზამთარში თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან და მანდ გატარებულ თითოეულ დღეზე მიყვებოდა: მიყვებოდა შენზე, პაპაშენზე, მთებზე, ყვავილებზე, სუფთა, ღვთაებრივ ჰაერზე. ხშირად ამბობდა: იქ ნებისმიერი სნეული გამოჯანმრთელდებაო. თვითონაც

რაღაც სხვანაირი მეჩვენება. გაცილებით ახალგაზრდულად და მხიარულად გამოიყურება; ო, რომ იცოდე, როგორ მიხარია, მალე რომ გნახავ, პეტერსა და თხებს რომ გავიცნობ, ოღონდ ექვსი კვირა ჯერ რაგაცში უნდა ვიმკურნალო როგორც ექიმმა გვიბრძანა, მერე დორფლში გადმოვსახლდებით და ყველაზე ლამაზ დღეებში სავარძლით შენთან ამომიყვანენ, მერე კი მთელი დღე ერთად ვიქნებით. დიდედა თან მომყვება; მასაც გაუხარდება შენთან ამოსვლა. წარმოგიდგენია, ფროილაინ როტენმაიერს არ სურს წამოსვლა. თითქმის ყოველდღე ეკითხება დიდედა, როგორ გადაწყვიტეთო, ქალბატონო როტენმაიერ, თუ წამოსვლა გსურთ, ნუ იპრანჭებითო, მაგრამ იგი მხოლოდ მადლობას იხდის ზრდილობიანად და, ვერ გადამიწყვეტიაო, — ამბობს, მე კი ვიცი, რასაც ფიქრობს: სებასტიანმა რომ მიგაცილა და მერე შინ დაბრუნდა, უამბო როტენმაიერს, საშინელი კლდეები და ციცაბოებიაო. მარტო თხები თუ ავლენო. ის კი არა, სებასტიანის მონაყოლმა ტინეტიც დააფრთხო და ისიც არ მოგვყვება. ერთი სული მაქვს, ვიდრე შენამდე მოვაღწევ. ნახვამდის, საყვარელო ჰაიდი. დიდედა გითვლის უამრავ სალამს.

შენი ერთგული მეგობარი კლარა“.

პეტრიკელა გაბრაზებული გავარდა გარეთ და ბრაზიანად მოიქნია სახრე. მტრად მიაჩნდა ის ხალხი, ფრანკფურტიდან რომ უნდა ჩამოსულიყვნენ.

ჰაიდი ბედნიერებისა და სიხარულისაგან დაფრინავდა; გადაწყვიტა, მეორე დღესვე სწვეოდა ბებოს და ეხარებინა, ფრანკფურტიდან სტუმრები ჩამოდიანო. მართლაც ნაშუადღევს გაემართა მისკენ. ბებო ლოგინიდან ამდგარიყო, ძველებურად სართავს მიჯდომოდა და ართავდა, სახეზე ეტყობოდა, რაღაც ფიქრი აწვალებდა. ჰაიდი ბებოს წინ სამფეხაზე დასკუპდა და სხაპასხუპით მოუყვა ყველაფერს. უცებ შედგა და მოხუცს გულისწუხილით შეეკითხა:

— ბებო, შენ, მგონი, არც გიხარია, მგონი, რაღაცის გეშინია.

— ხელი გამომიწოდე, ჰაიდი, რომ უკეთ შევიგრძნო შენი აქ ყოფნა. ვინ იცის, შენთვის იქნებ უკეთესიც იყოს, მე თუ ვერ ვიცოცხლე მანამდე.

— უშენოდ არაფერიც არ იქნება ჩემთვის უკეთესი, — მტკიცედ უთხრა ჰაიდიმ.

— ვიცი, ჰაიდი, რაც მიადვილებს სიცოცხლეს და კარგ გუნებაზეც მაყენებს; იცი, რომელი საგალობელი წამიკითხე, აი ისე რომ იწყება: ღმერთს სურსო.

ჰაიდიმ თითქმის ზეპირად იცოდა მთელი ლოცვანი, სწრაფად მოძებნა სასურველი საგალობელი და გარკვევით წაიკითხა:

„ღმერთს სურს იმგვარად
წარიმართოს საქმე ყოველი,
მოჰგვაროს შვება,
ვინც შენდობის არის მთხოვნელი.
დიე ტალღები
თავს დაესხნენ
ნაპირს დასეველს,
უნდა გჯეროდეს,
სულის ახსნის
ლოცვა ასეთი.

— დიახ, დიახ, სწორედ ამის მოსმენა მინდოდა, — თქვა ბებომ შვებით და სახიდან მართლაც გაუქრა სევდა.

ამასობაში ბინდიც ჩამოწვა და როცა ჰაიდი აღმართს შეუყვა, ვარსკვლავებმაც გამოაშუქეს და პატარას ჩამოსცინეს.

პაპა ქოხის წინ იდგა, გაჩახჩახებულ ცას შესცქეროდა და ფიქრობდა, დიდი ხანია ასე ლამაზად მოჭედილი ცა არ ყოფილაო. რა ხანია არ ყოფილა ასეთი ნათელი და კაშკაშა მაისის დღეები და ღამეები.

ასე გაიპარა მწვანე მაისი და უფრო მწველი მზით და გრძელი ნათელი დღეებით მოვიდა ივნისი. მზემ მიწაზე ყველა მინდვრის ყვავილი ამოიტყუა, ირგვლივ ყველაფერი გადაღაღანდა და ჰაერი ყვავილების დამათრობელი სურნელით გაიჟღინთა. უკვე ივნისის მიწურული იდგა. ჰაიდი ერთ მშვენიერ დილით ჩვეულებრივ ფუსფუსს მორჩა და ჯერ ნაძვებთან მირბენას აპირებდა, მერე ცოტა ზევით უნდა ასულიყო, უნდოდა ენახა გაიშალა თუ არა ასისთავას ბუჩქი, რომ ერთბაშად ყვირილი ატეხა; მთის კაცმა იფიქრა, რაღაც ფარსაგია მის თავსო და საბძლიდან გამოვარდა. აღმართზე აქაურობისათვის უჩვეულო გრძელი პროცესია მოიბაწრებოდა. წინ სავარძელმოკიდებული ორი კაცი მოუძღოდათ, სავარძელში შალებში ჩაფუთნული პატარა გოგონა იჯდა. მათ ცხენზე ამხედრებული დარბაისელი ქალი მოსდევდა. იგი ცოცხლად იყურებოდა აქეთ-იქით და გაცხარებით ელაპარაკებოდა მეგზურს. ცხენის უკან ყმაწვილი მოდიოდა და ავადმყოფი გოგონას გორგოლაჭებიან სავარძელს მოაგორებდა. სულ ბოლოს მოდიოდა კაცი, რომელსაც ძლივს მოჰქონდა უზარმაზარი ფუთა.

მგზავრები ქოხს მოადგნენ. კაცებმა სავარძელი მიწაზე დაუშვეს. ჰაიდი კლარასაკენ გაექანა და ბავშვები გაუგონარი ყიჟინით შეხვდნენ ერთმანეთს. ჰაიდი ახლა დიდედასაკენ გაიქცა. მერე პაპა და დიდედა ძველი ნაცნობებივით შეხვდნენ ერთმანეთს.

— ჩემო ძვირფასო ოჰი, — მიმართა დიდედამ პაპას, — ეს რა ღმერთების საბრძანებელი გქონიათ! ამას ვინ იფიქრებდა! ბევრ მეფეს შეშურდებოდა თქვენი! რა მშვენივრად გამოიყურება ჩემი ჰაიდი! მთლად მაისის ვარდს ჰგავს. — გულში იკრავდა პატარას და ფუმფულა ლოყებზე ელერსებოდა. — რა დიდებულია ირგვლივ ყველაფერი! შენ რას იტყვი, კლერხენ? — კლარაც ალტაცებული იყურებოდა აქეთ-იქით; ასეთი რამ სიზმარშიც კი არ უნახავს.

ამასობაში ოჰიმ გორგოლაჭებიანი სავარძელი მოაჩოჩა, ბარგიდან რამდენიმე შალი გამოაძრო, გაშალა, კლარასთან მივიდა, ნაზად აიტაცა ერთი სავარძლიდან და დიდი სიფრთხილით გორგოლაჭებიან სავარძელში ჩასვა. მერე მუხლებზე შალი შემოახვია, ფეხები გაუსწორა, გეგონებოდათ, მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ დამბლიან ავადმყოფებს უვლიდაო.

— ჩემო საყვარელო ოჰი, — ვეღარ მოითმინა გაოცებულმა დიდედამ, — სად ისწავლეთ ავადმყოფის ასეთი მოვლა, დღესვე გავგზავნი ნაცნობ გადიებს გამოსაწვრთნელად.

— ეს უფრო გამოცდილების ბრალია, ვიდრე ცოდნის, — უპასუხა ოჰიმ და სახეზე სევდამ გადაურბინა. გონებაში ამოუტივტივდა ასევე სკამს მიჯაჭვული ერთი ხელფეხდადამბლავებული მუნჯი კაცი, რომლისთვისაც დამბლას სამუდამოდ წაერთმია კიდურები. ეს მისი კაპიტანი გახლდათ, რომელიც სიცილიის ფიცხელ ბრძოლებში მიწაზე გართხმული იპოვა და სიკვდილამდე ერთგულად უვლიდა.

ქოხს, ნაძვებსა და თვალშეუდგამ ქარაფებს თავზე ულრუბლო ქლიავისფერი ცა წამოსდგომოდა. კლარა ვერა და ვერ გამძღარიყო იქაურობის თვალი-

ერებით. განსაკუთრებით ტანმაღალმა, ბებერმა ნაძვებმა განაცვიფრეს ისიც და დიდედაც.

მერე ჰაიდიმ გორგოლაჭიანი სავარძელი თხის ბაკთან მიაგორა და პატარა კარი ყურთამდე გამოაღო, რათა კლარას ბაკი უკეთ დაეთვალიერებინა.

— დიდედა, დავიცადოთ რა, ვიდრე პეტერი თაფლასა და თეთრას მოიყვანს! თუ ყოველთვის ასე ადრე ჩავალთ დაბლა, როგორც [illegible], მაშინ თხებს ვერასოდეს ვნახავთ!

— საყვარელო ბავშვო, ჯერ ამ სილამაზით დავტკბეთ და დანარჩენი მერე ვნახოთ, — წარმოთქვა დიდედამ და სავარძელს გაჰყვა, რომელიც ჰაიდიმ ისევ დაძრა ადგილიდან.

— ო, რა ყვავილებია! — წამოიძახა ისევ კლარამ. — წითელი ფურისულები. ნეტავი შემეძლოს ჩამოვხტე და დავკრიფო. — ჰაიდი თვალისდახამხამებაში გაექანა და დიდი თაიგული მოიტანა.

— ეს არაფერია, კლარა, იმასთან შედარებით, — უთხრა ჰაიდიმ და თაიგული მუხლებზე დაუდო. — როცა საძოვარზე წამოგვყვები, იქ ნახავ თუ ნახავ! ერთ ადგილზე ერთბაშად ამოსულ წითელი ასისთავას ბუჩქებს და ათასჯერ ამაზე უფრო მეტ ცისფერ ფურისულებს, ათასჯერ უფრო კაშკაშა ყვითელ ასისთავებს, ოქროსავით რომ ბრჭყვიალებს მიწაზე. კიდევ ბრტყელფოთოლა ყვავილები იზრდება, პაპა ამბობს მზისთვალი ჰქვიათო, იქვე ყავისფერი, მრგვალთავიანი ყვავილებია, ისეთი დამათრობელი სუნი აქვთ და ისეთი წარმტაცი. ყვავილებს იქ მაღლა საძოვრებზე ვნახავთ თუ ვნახავთ. ფურისულებს, ასისთავებს, მზისთვალებს... ისეთი დამათრობელი სურნელი აქვთ, ისეთი ლამაზები არიან, რომ წამოსვლა დაგენანება იქიდან, — ტიტინებდა ჰაიდი.

პაპამ მერხის წინ სუფრა გაშალა.

დიდედას აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, აქედან ხელისგულივით მოჩანდა დაბლა ბარი და მთებს ზემოთ ლურჯი ცა. ნაზი გრილი სიო საამოდ ულიტინებდა სტუმრებს და ისე აზუზუნებდა ნაძვებს, თითქოს ამ საზეიმო სადილზე მუსიკა შეუკვეთავთო.

— ასეთი რამ არასოდეს მინახავს, რა დიდებულია! — ისევ და ისევ იმეორებდა დიდედა. უცებ: — რას ხედავს ჩემი თვალები?! ნუთუ ეს შენა ხარ, კლეხერ, უკვე მეორე ნაჭერ პურსა და ყველსა ჭამ.

— დიდედა, რომ იცოდე, რა გემრიელია, უფრო გემრიელი ვიდრე რაგაცში იყო.

— ეს ჩვენი მთის ჰაერია, მადას რომ გვმატებს, — ჩაილაპარაკა ოჰიმ კმაყოფილებით.

სადილმა მხიარულად ჩაიარა, გულითად საუბარში დრო შეუმჩნევლად გაიპარა.

— დროა ავიბარგოთ, კლეხერ, მზე თითქმის ჩავიდა: სადაცაა ამოვლენ ჩვენს წასაყვანად.

კლარას გასხივოსნებული სახე ერთბაშად სევდამ ჩაუქრო:

— ო, დიდედა, კიდევ ერთი ან ორი საათი დავრჩეთ, ჯერ ქოხი ხომ არც კი დაგვითვალიერებია, არც ჰაიდის საწოლი მინახავს.

ამის თქმაზე სუფრიდან წამოიშალნენ და ოჰიმ სავარძელს ძლიერი ხელით კარისკენ უბიძგა, მაგრამ სავარძელი კარზე განიერი აღმოჩნდა. ოჰიმ კლარა ხელში აიტაცა და ქოხში შეიყვანა.

დიდედას ძალიან მოეწონა დაწკრიალებულ-დალაგებული ქოხი.

—იქ მაღლა, ალბათ, შენი საწოლია არა, ჰაიდი? — ქალი თამამად შეუყვა კიბეს. — ოჰ, რა სურნელოვანი ლოგინია, ალბათ რა გემრიელად გძინავს!

კიბეზე პაპაც ამოვიდა, რომელსაც ხელში კლარა აეტაცებინა. ბოლოს ჰაიდი ამოცუნცულდა.

— ო, ჰაიდი, რა მხიარულად იქნები აქ! ლოგინიდან პირდაპირ ცას უყურებ, ამ საამო სურნელს სუნთქავ და თან გარედან ნაძვების შრიალი ისმის. ოჰ, ასეთი მხიარული ოთახი არასდროს მინახავს! — აღტაცებას ვერ მალავდა კლარა. ოჰიმ დიდედას გადახედა:

— თუ ქ-ნი დიდედა დამეთანხმება და უარს არ გვეტყვის, გოგონას ცოტახნით ჩვენთან დავტოვებდით. იმდენი შალი და საბანი გაქვთ წამოღებული, მშვენიერი რბილი საწოლი გაიწყობა, რაც შეეხება გოგონას მოვლას, ქ-ნ დიდედას ფიქრი ნუ ექნება, ამას მე ვკისრულობ. კლარამ და ჰაიდიმ თავისუფალი ჩიტებივით შეიფრთხიალეს და დიდედას სახე გაუნათდა.

— ჩემო ძვირფასო, თქვენ ბრწყინვალე ადამიანი ბრძანდებით! — თავი ვეღარ შეიკავა დიდედამ. — როგორ გგონიათ, რას ვფიქრობდი ამ წუთში? ბავშვს აქ ყოფნა უფრო ხომ არ მოუხდებოდა-მეთქი? მაგრამ როგორ მოუვლით? მსახურისათვის აქ ყოფნა მოუხერხებელია! თქვენ კი უბრალოდ გადაწყვიტეთ ყველაფერი. მთელი სულითა და გულით უნდა მოგიხადოთ მადლობა, ძვირფასო ოჰი! — და დიდედამ რამოდენიმეჯერ ჩამოართვა ხელი მთისკაცს; ორივეს გახარებული სახეები ჰქონდათ.

ოჰი მაშინვე შეუდგა საქმიანობას. პაპაც და დიდედაც კიბეზე ავიდნენ და საწოლის გაწყობას შეუდგნენ. სახეგაბრწყინებული გოგონები კი ხვალინდელ გეგმებს აწყობდნენ. პაპამ თქვა, ოთხი კვირის თავზე ვნახავთ, არგებს თუ არა კლარას აქაურობაო. ბავშვებმა ამის გაგონებაზე ყიჟინა დასცეს. უფროსების გადაწყვეტილებამ მათ მოლოდინს გადააჭარბა.

აღმართზე უკვე გამოჩნდენ სავარძლის მზიდავები და ცხენიანი კაცი. პირველები უმალ უკან გააბრუნეს. პაპამ დორფლამდე ჩააცილა დიდედა.

პეტერმა ოჰის დაბრუნებამდე მორეკა თხები, რომლებმაც კიკინით მიაშურეს ჰაიდის. გოგონები თვალის დახამხამებაში მოექცნენ ფარის შუაგულში. ჰაიდიმ სათითაოდ გააცნო კლარას ოთხფეხა მეგობრები: ფიფქა, კობტაპრუწა რაინდი, პაპას გაკრიალებული თხები, არც ყორჩი გამორჩენია. პეტერი განზე გამდგარიყო და მუქარით შესცქეროდა გალაღებულ კლარას. კლარამ დღეს ბევრი მშვენიერი რამ ნახა, მაგრამ ყველაზე საუცხოო სანახაობა მაინც ბოლოს ელოდებოდა. როცა ლოგინში ჩაწვა, სარკმლიდან ვარსკვლავებმა შემოსცინეს.

— შეხედე, ჰაიდი, თითქოს ეტლით ცისკენ მივფრინავდეთ!

— ნამდვილად ასეა! — იცი რატომ გვიპაჭუნებენ თვალს ასე მხიარულად ვარსკვლავები? ისინი ხედავენ, რომ აქ, დაბლა ასე კარგად მოაწყო ღმერთმა ადამიანისათვის ყველაფერი. ადამიანს არაფრის არ უნდა ეშინოდეს და უნდა სწამდეს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მათთვის უკეთესია. აი, ეს უხარიათ ვარსკვლავებს. შეხედე, როგორ გვიცინიან, მაგრამ, კლარა, არ უნდა დაგვავიწყდეს ძილის წინ ლოცვა, რათა ღმერთმა ჩვენზეც იფიქროს, იმედი გვქონდეს და არაფრის გვეშინოდეს.

ბავშვებმა საღამოს ლოცვა წარმოსთქვეს. შემდეგ ჰაიდიმ მკლავი თავქვეშ ამოიდო და უმალ ჩაეძინა. კლარას კი რა დააძინებდა, ასეთი საოცრება, როგორიც ეს საწოლი იყო, თავის სიცოცხლეში არ ენახა. თავის დღეში ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის არ შეეხედა, ან კი როგორ ნახავდა, მუდამ ოთხ-

კედელშუა გამოკეტილს ეძინა და მთელ სახლში სქელი, იატაკამდე დაშვებული ფარდები უფრო ადრე იხურებოდა, ვიდრე ცაზე ვარსკვლავები გამოანათებდნენ.

## თავი მეშვიდე

### იალაღზე ცხოვრება გრძელდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირიჟრაჟა, მზემ ოქროსფერი სხივები მოჰფინა მაღლა ქოხსა და დაბლა ბარს, ოპი ჩუმად ავიდა კიბეზე. კლარას ეღვიძა, გაოცებული დასცქეროდა სარკმლიდან შემოპარულ ლოგინზე მოცეკვავე მზის ათინათს. როგორ გეძინათ, ალერსით ჰკითხა პაპამ. კარგად მეძინა, ამ წუთას გავიღვიძეო, უპასუხა გოგონამ.

ამასობაში ჰაიდიმაც გაიღვიძა და გაოცებით მიადევნა თვალი, რა მზრუნველობით ჩააცვა პაპამ კლარას, როგორ აიტაცა და გარეთ გაიყვანა. ჰაიდი სწრაფად წამოხტა, სწრაფადვე ჩაიცვა, კიბეზე ჩაირბინა და გარეთ გავიდა, განცვიფრებული ადევნებდა თვალყურს პაპის საქმიანობას, პაპას საკუჭნაოს კედლისთვის ორი ფიცარი აეგლიჯა და კლარას სავარძლის შესასვლელი გაეკეთებინა. პაპას კლარა თავის სავარძლიანად შუა ეზოში დილის მზეში გამოეგორებინა. ჰაიდი კლარასკენ გაექანა.

დილის ნიავი ბავშვებს სახეზე ეფერებოდა, სავარძელში ნებიერად გადაწოლილი კლარა ხარბად ისუნთქავდა მთის ჰაერს და ნეტარებაში ხვევდა. ამას ერთვოდა საამური მზის სხივები, რომლებიც ხელებზე რბილად უთათუნებდა და ზედ მის ფეხებთან მიწაზე ილვრებოდა.

— ოჰ, ჰაიდი, სამუდამოდ შენთან დარჩენა რომ შემეძლოს? — ამბობდა კლარა და სიამოვნებისაგან სავარძელში ცმუკავდა, თითქოს მთელი ჰაერი და მზე ერთად უნდა შეისრუტოსო.

— ხომ ხედავ, ზუსტად ისეა, როგორც გიყვებოდი, — გაახსენა ჰაიდიმ. ამასობაში პაპაც მოვიდა ბავშვებთან რძიანი ჯამებით ხელში. ერთი კლარას გაუწოდა, მეორე ჰაიდის.

კლარას რძე ისე ეგემრიელა, ჯამში წვეთიც არ ჩაუტოვებია.

— ხვალ ორ ჯამს დავლევთ. — თქვა კლარას მაგივრად კმაყოფილმა პაპამ. ამასობაში პეტერიც გამოჩნდა თავისი ამალით. ვიდრე ჰაიდი, ჩვეულებისამებრ, სათითაოდ ესიყვარულებოდა თხებს, მთის კაცმა პეტერი განზე გაიხმო:

— ყური დამიგდე, — დღეიდან შვენლი ნებაზე მიუშვი. თუ მაღლა ასვლას მოისურვებს, ავიდეს, შენც მიჰყევი, ისე არც სხვებს აწყენდა, იქ სურნელოვანი ბალახია. საუკეთესო რძეს მოგვცემს. რატომ იყურები აქეთ-იქით, გეგონება, ვიღაცა უნდა გადასანსლო. აბა, ახლა გასწი და გახსოვდეს, რაც გითხარი!

პეტერისათვის მთის კაცის სიტყვა კანონი იყო. თხებმა გაიტყუეს ჰაიდი, პეტერსაც ეს უნდოდა:

— წამოდი და შენ თვითონ მისდიე შვენლის, — მუქარით უთხრა ჰაიდის.

— არ შემიძლია, ჯერ ვერ წამოგყვები, ვიდრე კლარა ჩემთან იქნება, ისე კი პაპა შეგვპირდა და ერთხელ ორივეს წამოგვიყვანს იალაღზე — ჰაიდიმ თხებს თავი დააღწია და კლარასთან დაბრუნდა. პეტერმა გორგოლაჭიან სკამს კვლავ მუქარის მუშტი მოუღერა.

კლარას და ჰაიდის იმდენი საქმე ჰქონდათ, არ იცოდნენ საიდან დაეწყოთ. ბოლოს ჰაიდიმ შესთავაზა, მოდი, დიდედას რომ შევპირდით, წერილი ყოველდღე მივწეროთო.

ჰაიდი შევიდა და მალე სკოლის ნივთებითა და სამფეხით დატვირთული გამოჩნდა. წიგნი და რვეული კლარას დაუდო მუხლებზე, თვითონ კი მერხთან მიაჩოჩა სამფეხა და წერილის წერას შეუდგნენ. კლარა ყოველი წინადადების შემდეგ საწერ კალამს განზე დებდა და იქაურობის ცქერით ტკბებოდა. ირგვლივ ენით აუწერელი სილამაზე იყო. ქარი საამოდ ესალბუნებოდა სახეზე. ნაძვები ჩუმად ჩურჩულებდნენ. ირგვლივ საამო სიმშვიდე გამეფებულიყო. ამ სიმშვიდეს დროდადრო მწყემსის თამამი შეძახილი და კლდეების გამოძახილი თუ დაარღვევდა.

გუშინდელივით გარეთ ისადილეს, ყელი ნოყიერი რძით ჩაიკოკლოზინეს. ჰაიდიმ სავარძელი ნაძვებთან მიაგორა: ბავშვებს დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ, სადილის მერე ნაძვების ჩრდილში მოკალათებულებს, ერთმანეთისთვის მოეთხროთ ყველაფერი, რაც ჰაიდის ფრანკფურტიდან წამოსვლის მერე გადახდათ. თუმცა ფრანკფურტში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, კლარას მაინც ჰქონდა განსაკუთრებული ამბები მოსაყოლი მათზე, ვინც ზეზემანების სახლში ცხოვრობდა და ვისაც ასე კარგად იცნობდა ჰაიდი.

ლაპარაკში შეუმჩნევლად გაიპარა დრო, მოსაღამოვდა, მალე თხები და მათი სახემოღუშული მწყემსი გამოჩნდნენ.

— საღამო მშვიდობისა, პეტერ! — დაუძახა კლარამ მეგობრულად. პეტერმა მისალმების ნაცვლად სრუტუნ-სრუტუნით ააჩქარა თხები. როცა კლარამ დაინახა, პაპამ შვენლი მოსაწველად ბაკში წაიყვანაო, ისე მოუნდა ქაფქაფა, ნოყიერი რძის დალევა, რომ თავისი სულწასულობისა თვითონვე გაუკვირდა.

— უცნაური რამ მემართება, ჰაიდი, — მიუბრუნდა მეგობარს კლარა, — რაც თავი მახსოვს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვჭამდი, რომ საჭირო იყო. ყველაფერს თევზის ქონის გემო ჰქონდა და ყოველთვის ვფიქრობდი, როდის იქნება აღარ შევჭამო-მეთქი! ახლა კი ერთი სული მაქვს, ვიდრე პაპა რძეს მოგვიტანს.

— კარგად მესმის შენი, — უთხრა ჰაიდიმ თანაგრძნობით და ფრანკფურტში გატარებული დღეები გაახსენდა, ყოველი ლუკმა ყელში რომ ეჩხირებოდა.

როცა პაპამ რძით სავსე ჯამები მოუტანა ბავშვებს, კლარამ მოუთმენლად ჩამოართვა თავისი ჯამი, მადლობა გადაუხადა, ხარბად დაეწაფა გემრიელ რძეს და ჰაიდიზე ადრე გამოცალა.

— შეიძლება, კიდევ დავიმატო? — ჰკითხა პაპას და ჯამი გაუწოდა. პაპამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ჰაიდისაც გამოართვა ჯამი და ქოხში შებრუნდა. ქოხიდან გამოსულს ხელში რძით სავსე ჯამები ეჭირა, ჯამებს უცნაური სახურავი ეხურათ.

პაპას შუადღისას მაიენზერში, მწყემსთან წასვლაც მოესწრო, იქ უგემრიელეს კარაქს დღვებავდნენ, წამოიღო, პურის ნაჭერზე სქლად გადაუსვა და ბავშვებს ვახშმად მიართვა. ბავშვებმა პაპის გასახარად მადიანად მიირთვეს თავიანთი ულუფა.

ღამით, კლარას უნდოდა მოციაგე ვარსკვლავებისათვის ეცქირა, მაგრამ მასაც ჰაიდივით თავისით დაეხუჭა თვალები და ღრმად და ჯანმრთელი ძილით დაეძინა.

ასე მხიარულად გაირბინა მეორე დღემ, მესამემ და შემდეგ მოხდა ბავშვებისათვის მოულოდნელი რამ. ორმა ჯანმაგარმა მზიდავმა ამოიტანა ორი გაწყობილი, თეთრ ზეწარგადაფარებული საწოლი და დიდედას წერილი. დიდედა

ბავშვებს სწერდა, საწოლები თქვენია, თივა აიღეთ და მის ადგილზე საწოლი დადგით, დროა ჰაიდიმ წესიერ ლოგინში იძინოსო. დიდედა ბავშვებს მადლობას უხდიდა გრძელი ბარათებისათვის, თუ ყოველდღე ასეთ წერილებს მომწერთ, ჩათვალეთ, რომ თქვენთან ვარო.

დიდედა რაგაცში ისვენებდა წყლებზე და უხაროდა იალაღიდან ყოველი ახალი ბარათის მიღება. ფრიად ნასიამოვნები გახლდათ, რომ იალაღზე ყველაფერი წესრიგში იყო და ფიქრობდა, მათთან ასულიყო თუ სასურველი მგზავრობა ცოტახნით გადაედო, რადგან მთის გზაზე ცხენით მგზავრობა მოხუცისათვის ცოტა მომქანცველი გახლდათ. პაპა განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა კლარას.

მესამე კვირა იწურებოდა, რაც კლარა იალაღზე ცხოვრობდა. რამდენიმე დღე იყო, დილაობით პაპა კლარას სავარძელში ჩასმამდე სთავაზობდა: „იქნებ ფეხზე დადგომა გეცადა, შვილო?“

კლარას უნდოდა პაპისთვის ესიამოვნებინა, მაგრამ მიწაზე ყოველი ფეხის დაკარება ტკივილს ჰგვრიდა და მოხუცს მკლავზე ეკიდებოდა. და მაინც დგომაში ყოველდღე ვარჯიშობდა.

ასეთი მშვენიერი ზაფხული იალაღზე წლების მანძილზე არ ყოფილა.

გოგონები ნაძვების ძირში ისხდნენ. ჰაიდი საძოვრების სილამაზეზე უამბობდა კლარას და უცებ ისე მოუნდა იქაურობის ნახვა და საძოვრებზე ასვლა, წამოხტა და პაპას საბძელში მიაკითხა: ხვალ საძოვარზე წაგვიყვანე, ახლა ხომ თბილაო.

— იყოს ნება შენი, — დაეთანხმა პაპა, — ოღონდ იმ პირობით, თუ კლარა სიტყვას მომცემს, დღეს საღამოს ცოტა დიდხანს ეცდება ფეხზე დადგეს.

კლარამ თქვა, ოღონდ საძოვარზე წავიდეთ და რამდენ ხანსაც პაპა მეტყვის, იმდენხანს გავჩერდები ფეხზეო.

ჰაიდის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საღამოხანს თავქვე მიმავალ პეტერს მიაძახა:

— ხვალ საძოვარზე მოვდივართ და მთელი დღე დავრჩებით!

პეტერმა დათვივით დაიბურდღუნა.

## თავი მერვე

### ისეთი რამ ხდება, აზრადაც რომ არავის მოუვა

მეორე დღეს, დილით, ოჰი გარეთ გავიდა და ცას შეაცქერდა, როგორი დღე იქნებაო. მიუვალ მწვერვალებზე მოწითალო-ოქროსფერი აისი გაწოლილიყო. ნაძვის ტოტებს გამაცოცხლებელმა ნიავმა წამოუქროლა, სადაცაა მზე ამოიწვერებოდა. მოხუცი ერთხანს იდგა და ჩაფიქრებული შესცქეროდა, თანდათან ოქროსფრად როგორ აციაგდნენ მწვანე კორდები, როგორ გაიხადეს ველებმა ჩრდილების მუქი საბანი და მოვარდისფრო სამოსში გაეხვივნენ. მაღლა მთა-ბარი ოქროსფერ რიყრაყში გაბრწყინდა.

მოხუცმა ფარდულიდან გორგოლაჭებიანი სავარძელი გამოაგორა და ქოხის წინ დადგა, თვითონ კი ქოხში შებრუნდა. უნდოდა ბავშვებისათვის მშვენიერი დღის მობრძანება ეხარებინა. ამასობაში პეტერიც გამოჩნდა, ოღონდ ეგ იყო, თხები რაღაც ძველებურად არ ემორჩილებოდნენ და დამფრთხალნი წინ და უკან აწყდებოდნენ. არც იყო გასაკვირი, რადგან მწყემსი ბიჭი წამდაუწუმ უმიზეზოდ იქნევდა სახრეს და ვაი იმას, ვისაც მოხვდებოდა. პეტერი აღრენი-

ლი იყო. არც გაემტყუნებოდა, აი უკვე რამდენიმე კვირაა ჰაიდი ვეღ დაემარტოხელებინა. ამორეკავდა თხებს დილით და მაშინვე ქოხის წინ სავარძელში წამოსკუპებული უცხო გოგონა შეეჩხირებოდა თვალში, ჰაიდი კი სტუმარს [illegible]ის დასტრიალებდა. ჩამოივლიდა საძოვრიდან და სავარძელი ახლა ნაძვების [illegible] დახვდებოდა. ჰაიდი კი პეტერის გულის გასახეთქად ისევ გოგონას ახლოს[illegible] ტრიალებდა. ზაფხული თითქმის გადიოდა და ჰაიდის ერთხელაც [illegible] ფეხი საძოვარზე. ახლა, როგორც იქნა, გადაწყვიტა საძოვარზე ასვლა და ისიც უცხო გოგონასთან ერთად. ბიჭმა მტრული თვალი ჰკიდა გორგოლაჭებიან სავარძელს, ერთი წამით ქურდულად მიმოიხედა — ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. თვალის დახამხამებაში ეძგერა სავარძელს და ისეთი ძალით ჰკრა ხელი, რომ სავარძელი ქარივით უსწრაფესად მოსწყდა ადგილიდან. ღაღმართზე ჩარახრახდა და წამში მიეფარა თვალს. პეტერმა სწრაფად აირბინა აღმართი. უზარმაზარ მაყვლის ბუჩქს მოეფარა, ეშინოდა, მთის კაცს არ შეეფეთებოდა. ერთი სული ჰქონდა, დაენახა, რა ბედი ეწია მის მტერს — სავარძელს. აქედან, მთის ქიმიდან, კარგად ჩანდა, როგორ მიჰქროდა მისი მოსისხლე მტერი, სავარძელი, რა ნელ-ნელა იმსხვრეოდა და იშლებოდა იგი ნაწილებად. გახარებული პეტერი ცას ეწია სიხარულით, მტერი დამარცხებულია, მეტოქე ჩამოცილებულია გზიდან, წინ სასიამოვნო თავგადასავლები ელოდება. უცხო გოგონა უსავარძლოდ როგორღა დარჩება აქ. ჰოდა, ჰაიდი ძველებურად საძოვარზე გაჰყვება პეტერს და დილიდან დაღამებამდე კვლავ ერთად იქნებიან! ერთი სიტყვით, იმაზე აღარ უფიქრია პეტრიკელას, თუ რა სიბოროტე ჩაიდინა და რა შეიძლებოდა მის საქციელს მოჰყოლოდა.

ამასობაში ჰაიდი ქოხიდან გამოვიდა და ფარდულისაკენ გაიქცა. სავარძელი მოიძია, მაგრამ ვერსად ნახა.

— რა მოხდა, ჰაიდი? სად წაიღე სავარძელი? — იკითხა პაპამ.

— სად აღარ ვეძებე, პაპი, სავარძელი. შენ არ თქვი, ფარდულის კართან დგასო? უცებ ქარი ამოვარდა, ფარდულის კარს წამოუქროლა და სავარძელი ჰრიალით ძირს დაანარცხა.

— პაპა, ნამდვილად ქარია დამნაშავე, — წამოიძახა საკუთარი აღმოჩენით თვალებგაბრწყინებულმა ჰაიდიმ. — ვაითუ ქარმა დორფლამდე ჩაიგორა სავარძელი, ვიდრე ამოვიტანთ, კიდეც დაგვიანდება საძოვრებზე ასვლა.

— თუ მართლა ღაღმართზე დაგორდა ჩვენი სავარძელი, მაშინ დაემშვიდობეთ, — პაპამ ღაღმართს თვალი ჩააყოლა, — მაინც საოცარია, — პაპამ უკან მოიხედა და ის ადგილი შეათვალიერა, რა მანძილზეც სავარძელს ქოხისთვის უნდა შემოევლო.

— ახლა რა ვქნათ, ახლა ხომ ვეღარასოდეს წავალთ საძოვარზე! — ატირდა კლარა. — ახლა ალბათ სახლში დაბრუნება მომიწევს, სკამი აღარა მაქვს.

ჰაიდიმ მუდარით სავსე თვალები შეანათა პაპას და შეეხვეწა:

— მოიფიქრე რა, პაპიკო, რამე, რომ კლარა სახლში არ დაბრუნდეს, — შეეხვეწა პაპას შვილიშვილი.

— არა უშავს რა, დღეს მაინც წავალთ საძოვარზე როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, მერე კი ვნახოთ, — თქვა პაპამ. ბავშვებმა ყიჟინა დასცეს.

პაპა ქოხში შებრუნდა, რამდენიმე შალი გამოიტანა, ქოხის წინ მზიან ადგილას დააფინა და კლარა დასვა. მერე ბავშვებს რძე გამოუტანა და თეთრა და თაფლა ბაკიდან გამორეკა.

— ნეტა აქამდე სად დაიკარგა, — ჩაიბუზღუნა ოჰიმ, პეტერის სტვენა ჭერაც არ ისმოდა. პაპამ ისევ ხელში აიყვანა შალებში გახვეული კლარა.

— აბა, წავედით, თხები თვითონ გამოგვყვებიან, — თქვა და დაწინაურდა. ჰაიდიც ამას ელოდა. ერთი ხელი თაფლას მოხვია ყელზე, მეორე თეთრას და პაპას მიჰყვა.

საძოვარს რომ მიაღწიეს, მაშინვე დინახეს მინდორში ჯგუფ-ჯგუფად შეფენილი თხები და ბალახში გაშხლართული პეტრიკელა.

— მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა გვერდის ავლ[illegible]. რას ნიშნავს ეს? — დაუტია ოჰიმ ბიჭს.

— ყველას გეძინათ და... — არ დაიბნა პეტერი.

— სავარძელი არ გინახავს? — ჩაეძია ოჰი.

— რომელი? — შეცბა პეტერი.

ოჰის მეტი აღარა უთქვამს რა. შალები მზისგულს მიუფიცხა, ზედ კლარა დასვა და, მოხერხებულად თუ ზიხარო, შეეკითხა.

— გმადლობთ, თითქოს ჩემს სავარძელში ვიჯდე, — გაუღიმა კლარამ მოხუცს. — რა საუცხოო ადგილია, რა მშვენიერია, ჰაიდი, აქაურობა! რა ლამაზია! — აღტაცებული კლარა ხარბად ათვალიერებდა გარემოს.

პაპამ უკან წასვლა დააპირა, შეახსენა, ერთად იყავით, სადილობის დრო რომ მოვა, საგზალი ზემოთ ჩრდილში დევს და ჭამეთო. პეტერი რამდენსაც გინდათ, იმდენ რძეს მოგიწველით, ოღონდ ყურადღებით იყავი, ჰაიდი, პეტერმა აუცილებლად თეთრა მოწველოს, თქვენს წასაყვანად საღამოხანს ამოვალ, ახლა კი ვნახავ, სავარძელს რა ბედი ეწიაო.

ცას მუქი ლურჯი გადაეკრა. თოვლიანი ფერდობები ისე ბრჭყვიალებდა, თითქოს ზედ ოქროს და ვერცხლის ვარსკვლავები მიმოუბნევიათო. პირქუში ქარაფები ოდითგანვე ამაყად დასცქეროდნენ ბარს. ცის სილურჯეში უზარმაზარი ფრინველი დალივლივებდა, მთის ნიავი უბერავდა და მზით გამთბარ იალაღს ავრილებდა. გალაღებული ბავშვები სათითაოდ ესიყვარულებოდნენ თხებს. თხები კლარასაც მალე დაუმეგობრდნენ, უთამამდებოდნენ კიდეც, მთლად ახლოს მიდიოდნენ და ნიშნად მეგობრობისა და სიყვარულისა თავს მხრებზე ადებდნენ.

ასე გაირბინა რამოდენიმე საათმა. ჰაიდის სურვილმა მოუარა იმ ნაცნობ ადგილზე ასულიყო, სადაც უამრავი ყვავილი ეგულებოდა, პაპა ვიდრე მოვიდოდა და მერე იქ აიყვანდა, ყვავილები უკვე დაძინებული დახვდებოდნენ. ჰაიდიმ კლარას მოკრძალებით შებედა:

— ხომ არ გეწყინება, ცოტა ხნით რომ დაგტოვო? ყვავილები მინდა ვნახო. — ჰაიდის უცებ რაღაცა აზრმა გაუელვა თავში, წამოხტა, ერთი ბლუჯა ხასხასა ბალახი მოგლიჯა და კლარას მიუტანა, მერე ფიფქას ყელზე ხელი მოხვია და კლარასთან მიიყვანა. — აი, ახლა კი მარტო აღარ იქნები, — უთხრა ჰაიდიმ მეგობარს და თხას კლარასაკენ უბიძგა. თხა თითქოს მიხვდაო, იქვე დაწვა. გახარებულმა კლარამ ჰაიდი გაუშვა, წადი, ყვავილები ნახე, მე სიამოვნებით დავრჩები თხასთანო. მარტოდ დარჩენილი კლარა ნაწილ-ნაწილ აწვდიდა თხას ბალახს, ისიც მალე მთლად შეთამამდა, მიეკრა ახალ მეგობარს და თვითონვე აცლიდა ხელიდან ბალახს. კლარას მოეწონა ნებიერ თხასთან განმარტოება, მოუნდა ეპატრონა, მოევლო მისთვის, გამხდარიყო მისი მფარველი და დამხმარე. კლარას ასეთი რამ არასოდეს უფიქრია, აზრადაც არ მოსვლია, უცნაური სურვილი გაუჩნდა, დიდხანს ეცოცხლა ამ მზიან დედამიწაზე და სიკეთე ეთესა. კლარას უცნაური სიხარულით ავსებოდა გული, რაც აქამდე იცოდა და ენახა, დღეს გაცილებით ლამაზი და სხვანაირი ეჩვენებოდა. ისეთ შესანიშნავ გუნებაზე დადგა, რომ თხას ყელზე მოეხვია და აღმოხდა:

— რა ლამაზია აქაურობა, ფიფქა, ნეტავ შემეძლოს სამუდამოდ შენთან დარჩენა!

ამასობაში ჰაიდიმაც მიაღწია ყვავილების მინდორს, რომელიც მისთვის გასახარად ოქროსფრად ბიბინებდა მოციაგე მზიურა ყვავილებით სავსე.

ატაცებული და გასუსული ჰაიდი ტკბილ სურნელს ხარბად ისრუტავდა. მერე ერთბაშად შემობრუნდა და სულთქვამშეკრულმა მიირბინა კლარასთან.

— ოჰ, კლარა, აუცილებლად უნდა წამოხვიდე, — იქ ისეთი ლამაზი ყვავილებია, ისეთი სილამაზეა, საღამოს იქაურობა უკვე აღარ იქნება ასეთი ლამაზი. როგორ გგონია, კლარა, ვერ დაგძრავ?

სახტად დარჩენილი კლარა აღელვებულ ჰაიდის შესცქეროდა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, ჰაიდი, შენ ხომ ჩემზე პატარა ხარ. ოჰ, ნეტავი სიარული შემეძლოს! — გაკვირვებული და აღელვებული კლარა უარის ნიშნად თავს აქნევდა.

ჰაიდის უცებ რაღაც მოაფიქრდა. პეტერს უკვე გაღვიძებოდა და გოგონებს ჩამოსცქეროდა მაღლიდან. სავარძელი რომ დაამტვრია, ეგონა, გოგონას მოძრაობის ყოველგვარი საშუალება მოვუსპეო, ის კი მინდორში წამოსკუპებულიყო სწორედ მის ცხვირწინ.

— აბა ერთი აქ ჩამოდი, პეტერ! — მოუხმო ჰაიდიმ ბიჭს.

— არ ჩამოვალ! — გაისმა პასუხად.

— უნდა ჩამოხვიდე, მარტო მე ვერ შევძლებ, უნდა მომეხმარო. ჩქარა! — არ ეშვებოდა ჰაიდი.

— არ ჩამოვალ! — გაჯიუტდა პეტერი.

ახლა კი წამოხტა ჰაიდი და პეტერს თვალები დაუბრიალა:

— პეტერ, თუ ამ წუთას არ ჩამობრძანდები, იცოდე, ხეირს არ დაგაყრი, მეც ვიცი სამაგიეროს გადახდა და ისიც ვიცი, რომ არ გესიამოვნება.

ამის გაგონებაზე პეტერი შიშისაგან მთლად აიწურა. თითქოს არავის არ უნდა სცოდნოდა, რა სიბოროტეც მან ჩაიდინა. ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე ეგონა. უკვირდა, საიდან მიუხვდა ჰაიდი საქციელს, და გული გაუსკდა, ემანდ პაპას არ უთხრასო. ბიჭს ამის გაფიქრებაზე უცბად დასცხა და ინება დაბლა ჩამობრძანება.

— მოვდივარ, ჰო, მოვდივარ, ახლა ხომ აღარ გადამიხდი სამაგიეროს?

— არა, არა, უკვე არას გერჩი, — შეეცოდა ბიჭი ჰაიდის, — ოღონდ ჩამომყევი, საშიში არაფერია, უბრალოდ, უნდა მომეხმარო.

ჰაიდიმ ასე გადაწყვიტა: ერთი მხრიდან პეტერი ამოუდგებოდა კლარას, მეორე მხრიდან თვითონ შეაშველებდა მხარს და ასე წამოაყენებდნენ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადადგეს. კლარა არც ისეთი მსუბუქი აღმოჩნდა, როგორც ეგონათ. სიმაღლითაც ვერ მოერგნენ ერთმანეთს. კლარას ერთ მხარეს მაღალი საბჯენი ჰქონდა, მეორეზე კი ზედმეტად დაბალი. კლარამ რიგრიგობით ორივე ფეხით სცადა გაევლო მიწაზე, მაგრამ ამაოდ.

— გაბედულად დაადგი ფეხი, კლარა, — ურჩია ჰაიდიმ, — ასე შედარებით ნაკლებად გეტკინება.

— შენ ასე გგონია?

დამფრთხალმა კლარამ ნელ-ნელა გაბედა და მტკიცედ დადგა მიწაზე ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე. ნაბიჯის გადადგმაზე კლარამ ამოიკვნესა, მაინც არ შეეპუა, ისევ ასწია ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე, და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ფრთხილად.

— ნაკლებად მეტკინა, — აღიარა გახარებულმა კლარამ.

— აბა, კიდევ სცადე, — არ მოეშვა არანაკლებ გახარებული ჰაიდი.

კლარამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე რამდენიმე, კიდევ გაიარა და ყრიამულით ამოხდა:

— შემიძლია, ჰაიდი! ო, შემიძლია! ნახე! ნახე! სიარული შემიძლია!

— ოჰ, ოჰ, ნუთუ მართლა შეგიძლია სიარული? — მთლად გადაირია ჰაიდი. — უკვე დადიხარ? ო, ნეტავი პაპა მოვიდოდეს! შენ [illegible], დაუხმარებლად დადიხარ, კლარა? უკვე დადიხარ?

კლარა ჯერ კიდევ მაგრად ჩაფრენოდა ჰაიდის და პეტერს, მაგრამ ყოველ ახალ ნაბიჯს უფრო და უფრო გაბედულად დგამდა, რასაც სამივე გრძნობდა. ჰაიდიმ მთლად დაკარგა სიხარულისგან ჭკუა.

— ოჰ, ახლა კი შეგვიძლია ყოველდღე ერთად ამოვიდეთ საძოვარზე, უკვე შეგიძლია ჩვენსავით იარო, სავარძელი აღარასოდეს დაგჭირდება, ამაზე დიდი სიხარული რა გვინდა!

მართლაც იმაზე დიდი ბედნიერება რა იყო კლარასათვის, ოღონდაც განკურნებულიყო, სხვებივით ევლო და სავარძელზე მიჯაჭვული აღარ ყოფილიყო.

სადღაცაა მდელოზე გავიდოდნენ, უკვე მოჩანდა მზეზე მოლიცლიცე ოქროსფერი ყვავილები, მალე მაჩიტა ყვავილების ბუჩქსაც მიაღწიეს. ბუჩქებშუა ამობიბინებული ბალახი ბავშვებს მაცდურად ეპატიჟებოდა.

—შეიძლება აქ დავსხდეთ? — იკითხა კლარამ.

ბავშვებმა ჯერ კლარა დასვეს, კლარა ცას ეწია სიხარულით. ირგვლივ თითქოს ყვავილებიც იზიარებდნენ მათ სიხარულს. ასეთი სილამაზე აქ ჯერ არ ყოფილაო, ამბობდა ჰაიდი და თვითონაც ვერ ხვდებოდა, რომ მისდა უნებურად იხრავდა. ღმერთო, კლარა განიკურნა! ბედნიერ კლარას სიხარულისაგან გული საგულეში აღარ ეტეოდა, ბრდღვიალა მზეს და ყვავილთ სურნელს მთლად გაებრუებინა და დაემუნჯებინა იგი. პეტერიც მიყუჩებულიყო, ყვავილებში მიწოლილს მკვდარივით დასძინებოდა.

დრო თვალსა და ხელშუა გაეპარათ ბავშვებს.

შუადღე იდგა, თხების ერთი ჯგუფი ყვავილების მინდორს რომ მოადგა. თხები არასოდეს ამოსულან ამ მინდორზე საბალახოდ, ისინი გამოგზავნილებს უფრო ჰგავდნენ, წინ კოხტაპრუწა რაინდი მოუძღოდათ. აშკარა იყო თხები თავიანთ მეგობრებს დაეძებდნენ, ალბათ უკვირდათ, ამდენ ხანს უყურადღებოდ რატომ მიგვატოვესო. კოხტაპრუწა სამი ლტოლვილის დანახვაზე ხმამაღლა აკიკინდა და სხვებიც აიყოლია, ახლა კი ინება პეტერმა გაღვიძება, მაგრამ მოიფშვნიტა თვალები, სიზმარში ქოხის წინ მდგარი ახალთახალი, ხელუხლებელი სავარძელი ნახა, მზეზე სულ ლაპლაპი გაუდიოდა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ გლილინიები ბრჭყვიალებდნენ. პეტერს ისევ მოეძალა შიში. მართალია, ჰაიდიმ დუმილი აღუთქვა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ სიბოროტეს სადღაც ეჩინა თავი.

როცა სამივენი საძოვარზე დაბრუნდნენ, ჰაიდიმ სწრაფად მოაცუნცულა საჭმლით გაძეძგილი ნაკრატულა, რათა თავისი დანაპირები შეესრულებინა; ჰაიდის მუქარა ხომ სწორედ საგზალთან იყო დაკავშირებული. დილით პაპამ ნაკრატულაში გემრიელი სასუსნავი ჩააწყო, ჰაიდის გაუხარდა, პეტერს გამოვაძღებო. სწორედ იმით უნდოდა გაჯიუტებული პეტერი დაესაჯა, რომ საჭმელი აღარ მიეცა. პეტერს კი ეგონა, ჩემი ბოროტი საქციელის თაობაზე იცის ჰაიდიმ და იმიტომ მემუქრებაო. ჰაიდიმ სამ ნაწილად გაჰყო საუზმე. თან თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რაც დარჩება, ისიც პეტერს.

ასეთი დიდი გადატანილი ღელვის შემდეგ საშინელ მადიანად ისაუზმა. ის იყო უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპეს, რომ აღმართზე პაპაც გამოჩნდა. ჰაიდი ისარივით გაენთო მის შესაგებებლად და ახალი ამბავი მაშინვე მიახარა. ჰაიდი ისე იყო თავბრუდახვეული, რომ სიტყვებს ველარ პოულობდა. მთის კაცმა მაინც მიუხვდა სათქმელს და სახე გაუცისკროვნდა. ხაბიჯს აუჩქარა, [illegible]ვიდა და გულიანი ღიმილით მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ გავბედეთ, არა? გავბედეთ და გავიმარჯვეთ, ხომ?

პაპამ კლარას ხელი მოხვია, წამოაყენა და კლარამაც გაბედულად და გამართულად გაიარა. პაპას უდიდესი ბედნიერება ეხატა სახეზე. მერე ერთბაშად აიტაცა ხელში კლარა, შენი გადაღლა არ შეიძლება, დროა შინ დავბრუნდეთო, და გზას გაუდგნენ. მთის კაცმა კარგად იცოდა, რომ ასეთი დაძაბული დღის მერე კლარას დასვენება ესაჭიროებოდა.

გვიან საღამოს, როდესაც პეტერმა თხები დორფლში ჩარეკა, შორიდანვე დაინახა ერთად შეჯგუფული ხალხი. ყველანი რაღაცას დასცქეროდნენ მიწაზე. პეტერმაც გასწრ-გამოსწრია ხალხი და დაინახა დამსხვრეული სავარძელი.

— მე აქ ვიყავი, ზემოთ რომ მიჰქონდათ, — თქვა პეტერის გვერდით მდგომმა ხაბაზმა.

— ვისაც უნდა დაევანიძლავება, სულ მცირე, ხუთასი ფრანკი მაინც ეღირება. ნეტავ რამ ჩამოაგორა.

— მთის კაცმა თქვა, ქარის ოინებიაო, — თქვა ბარბელმა.

— კიდევ კარგი, ქარმა ჩამოაგდო და არა სხვა ვინმემ, — წამოიწყო კვლავ ხაბაზმა, — თორემ მაგრად მოხვდებოდა! ფრანკფურტელმა ბატონმა რომ გაიგოს... სხვამ იკითხოს, თორემ მე ორი წელია ილაღზე ფეხი არ დამიდგამს.

პეტერი ჩუმად გაიძურწა ბრბოდან და მთისაკენ ისე გაქუსლა, თითქოს უკვე დასაჭერად მისდევენო. ხაბაზის სიტყვები ისევ ყურში უწიოდა დამფრთხალ ბიჭს და ახლა უკვე იცოდა, რომ ფრანკფურტიდან ყოველ წუთში შეიძლებოდა პოლიციელი ჩამოსულიყო, საქმე გაერკვია და პეტერი ფრანკფურტის ციხეში მიებრძანებინა. ეს ყველაფერი ისე ნათლად წარმოუდგა პეტერს თვალწინ, რომ შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა. შინ ნირწამხდარი დაბრუნდა. არ უვახშმია და არც ვინმესთვის გაუცია ხმა. სასწრაფოდ კვნესა-კვნესით ლოგინში შეძვრა და თავზე საბანი წაიხურა.

— ჩვენმა პეტრიკელამ ალბათ ისევ მჟაუნა შეჭამა, იმიტომაც ვერ ისვენებს ლოგინში, — თქვა ბრიგიტემ.

— ხვალ უფრო მეტი პური გაატანე ილაღზე, ჩემი წილიდან მიეცი, — უთხრა დიდედამ.

იქ კი, თავიანთ ოთახში გოგონები ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდნენ.

— განა დღეს მთელი დღე არ გიფიქრია იმაზე, რა კარგია, როცა განგება მაშინვე აგვისრულებს სურვილს, როცა გულმხურვალედ ვევედრებით და შემდეგ ათასჯერ უფრო მეტ სიხარულს გვწილადობს? — თქვა ჰაიდიმ. — იცი, ფრანკფურტში როგორ ვეხვეწებოდი განგებას, შინ დამაბრუნე-მეთქი? მაგრამ ამაოდ, მეგონა, უფალი ყურს არ მიგდებდა. ეთქვათ და დავებრუნებინე, მაშინ შენ ხომ ვერასოდეს ვერ ამოხვიდოდი ილაღზე და ვერც განიკურნებოდი.

— მაშინ ნულარაფერს ვინატრებთ ძილის წინ, თუ განგებამ ჩვენზე უკეთ იცის ყველაფერი, — გაეპასუხა კლარა.

— არა, ეგრე არ იქნება, კლარა! ყოველდღე უნდა ინატრო რამე. განგებამ ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ არ დაგვიწყნია მისი სიკეთე, თუ ჩვენ უფალს

განვუდექით, თვითონაც დაგვივიწყებს, ასე თქვა დიდედამ. იცი რა, თუ ერთბაშად ვერ ავისრულეთ საწადელი, უმადურნი არ უნდა დავრჩეთ, პირიქით, უფრო გულმხურვალედ უნდა შევთხოვოთ უფალს, რომ გვისმინოს: ვიცი, უფალო ღმერთო, ჩვენთვის უკეთესი გაქვს განზრახული და ამისთვის წინასწარ გიხდი მადლობასო.

— საიდან მოგდის, ჰაიდი, თავში ასეთი აზრები? — შეეკითხა კლარა.

— პირველად დიდედამ ამიხსნა და მართლაც ასე მოხდა, დანარჩენს თვითონ მივხვდი. დღეს აუცილებლად უნდა ვუთხრა მადლობა განგებას, ამისთანა ბედნიერება რომ გვარგუნა წილად და განიკურნე.

— რა თქმა უნდა, ჰაიდი, რა კარგია, რომ გამახსენე, თორემ ამდენმა სიხარულმა მთლად რეტი დამასხა.

ბავშვებიც ასე მოიქცნენ. გულითადი მადლობა მოახსენეს უხილავ ძალას იმ სიკეთისათვის, რაც ავადმყოფ კლარას არგუნა წილად.

მეორე დილას პაპამ ბავშვებს შეახსენა, დიდედას ხომ არ მისწერდით, მთაში გვესტუმროს და ჩვენთან ერთად გაიზიაროს სიხარულიო... მაგრამ გოგონებს სხვა რამ ჰქონდათ ჩაფიქრებული. კლარა ჯერ კარგად უნდა გაწაფულიყო სიარულში, ისე რომ, მხოლოდ ჰაიდის დახმარებით ევლო. ამიტომ დიდედას ჯერ არაფერი არ უნდა სცოდნოდა. მხოლოდ ის მისწერე, ერთ კვირაში გელოდებითო. დარჩენილი დღეები ყველაზე ლამაზად გაატარა კლარამ იალაღზე, ყოველ დილა სიხარულით ილვიძებდა: მე განვიკურნე! განვიკურნე, სავარძელი აღარ მჭირდება, შემიძლია ვიარო! გოგონა მალე გაიწაფა სიარულში, დღითი დღე უმატებდა ვარჯიშსაც და მანძილსაც. ჭამასაც უმატა. პაპა ყოველდღე ზრდიდა კლარას ულუფას და სიამოვნებით უცქეროდა, რა მადიანადაც ილუკმებოდა გოგონა. ამასობაში გავიდა კიდევ ერთი კვირა და ის დათქმული დღეც მოვიდა, როცა დიდედა მთაში უნდა ამოსულიყო.

## თავი მეცხრე

### ნახვამდის მომავალ შეხვედრამდე

ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე დიდედამ წერილით ამცნო ბავშვებს, მოვდივარო.

— პაპი, — მიუბრუნდა პეტერის საქციელით გაოცებული ჰაიდი მოხუცს, — პეტერი დღეს რაღაც დიდი ყოჩივით იქცევა. შოლტის მოქნევაზე თავს აქეთ-იქით აქნევს და ხტუნავს.

— ალბათ პეტრიკელამაც დაიმსახურა წკეპლა და ამიტომაც ეშინია, — უპასუხა პაპამ.

პეტერმა პირველი კორდი სულმოუთქმელად აირბინა. შეჩერდა, ცოტა ამოისუნთქა, მერე უცბად შეხტა და თავზარდაცემულმა უკან მოიხედა, თითქოს ვიღაცამ ქეჩოში სტაცაო ხელი; ეგონა, სადაცაა ბუჩქებიდან პოლიციელი გამოვარდებაო. რაც უფრო ყურებდაცქვეტილი ელოდა პეტერი, მით უფრო უსკდებოდა გული, ერთი სიტყვით ბიჭმა სულიერი სიმშვიდე დაკარგა.

ჰაიდიმ ქოხის დალაგებას მიჰყო ხელი, უნდოდა დიდედას ჩამოსვლისთვის ყველაფერი დაეწკრიალებინა. კლარა სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს მის ფუსფუსს. ამასობაში დილაც გაიპარა, მალე დიდედაც გამოჩნდებოდა. ბავშვები დალაგებას მორჩნენ, გარეთ გავიდნენ და სტუმრის მოლოდინში მერხზე ჩამოსხდნენ. პაპა მთიდან დაბრუნებულიყო, ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

პაპამ ყვავილები ქოხში შეიტანა. ჰაიდი კი დროდადრო წამოვარდებოდა და მიდამოს ზვერავდა, დიდედა ხომ არ გამოჩნდაო. დიდედამაც დიდხანს არ ალოდინა ბავშვები, ცხენზე ამხედრებული გამოჩნდა აღმართზე. წინ მეგზური მოუძღოდა, სულ ბოლოს კი მზიდავი მოიზლაზნებოდა. დიდედას, ეტყობოდა, წინაც არ დავიწყნოდა მდიდრული მოსასხამის გარეშე იალაღზე ამოსვლა.

ცხენზე ამხედრებულმა დიდედამ შორიდანვე შენიშნა ბავშვები:

— რა არის ეს? ამას რას ვხედავ? სავარძელში აღარ ზიხარ, კლარა? ნუთუ ეს ცხადია? — დიდედა ნაჩქარევად ჩამოქვეითდა და ვიდრე ბავშვებს მიუახლოვდებოდა, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და მეტისმეტად აღელვებულმა ამოთქვა: — კლერხენ, ნუთუ ეს შენ ხარ? როგორ გასუქებულხარ, ლოყები როგორ დაგბრაწვია? ვეღარ გცნობ! — დიდედას უნდოდა კლარასკენ გაქცეულიყო, მაგრამ ჰაიდიმ დაასწრო, წამოხტა, კლარას მხარი შეაშველა და ტაატით გაემართნენ დიდედასკენ. დიდედამ თვალებს არ დაუჯერა! წელში გამართული კლარა ჰაიდისთან ერთად გაბედული ნაბიჯით უახლოვდებოდა. დიდედა მისაგებებლად გაიქცა და ტირილნარევი სიცილით ჩაეხუტა ჯერ შვილიშვილს, მერე ჰაიდის, მერე ისევ კლარას მივარდა, აღელვებული სიტყვებს ვერ პოულობდა. მერე უცებ ოჰი დაინახა, რომელიც ისევ მერხზე იჯდა და მშვიდი ღიმილით უთვალთვალებდა სამივეს. დიდედამ მკლავი გაუყარა კლარას და მერხისკენ გაემართა, თან ალტაცებული იმეორებდა, ნუთუ ცხადში ვარო. იქ კლარას ხელი უშვა და ოჰის ხელები ჩაბღუჯა.

— ჩემო საყვარელო ოჰი! ჩემო საყვარელო ოჰი! მადლობელი ვართ! ეს თქვენი წყალობით მოხდა! ეს სასწაული თქვენმა მოვლა-პატრონობამ...

— აქაურმა მზის სხივებმა და მთის ჰაერმა მოახდინა, — ჩაურთო ოჰიმ ღიმილით.

— დიახ, და თეთრას გემრიელი, ქაფქაფა რძეც არ დაგავიწყდეთ, — დაუმატა კლარამ.

— არა, ნამდვილად ვერავინ გიცნობს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასე თუ ჩამრგვალდებოდი, გაზრდილხარ კიდეც, კლერხენ! არა, ნუთუ ეს სინამდვილეა? შენი ცქერით ვერ გავძღარვარ! სასწრაფოდ უნდა შევატყობინო მამაშენს, ჩამოვიდეს პარიზიდან. ოღონდ მიზეზს არ მივწერ. ეს ხომ უდიდესი ბედნიერებაა მის ცხოვრებაში. ჩემო საყვარელო ოჰი, როგორ მოვიქცეთ? ნეტავ რატომ გავაბრუნეთ კაცები უკან?

— ეგ არაფერია, — უპასუხა ოჰიმ, — მწყემს ბიჭს გავაგზავნი.

დიდედამაც აღარ დააყოვნა, არ უნდოდა შვილს ბედნიერი წუთები დაჰკლებოდა. მთის კაცმა ერთი ისე მძლავრად დაუსტვინა, რომ ჩაძინებული კლდეები გამოაფხიზლა. პეტერი კარგად იცნობდა ამ სტვენას და წამში ქოხთან დაერჭო. ბიჭი მთლად გაფითრებულიყო, ეგონა, ჩემი აღსასრულის დღეც მოვიდაო. ოჰიმ პეტერს დიდედას დაწერილი ქაღალდი გადასცა და უთხრა, ახლავე დორფლში ჩაარბენინე და ფოსტაში მიიტანე, ფულს მე თვითონ გადავიხდიო.

პეტერი ლაღად მიაბიჯებდა და უხაროდა, რომ ამჯერადაც დაუძვრა პოლიციელის კლანჭებს.

ყველანი ქოხის წინ მაგიდას შემოუსხდნენ და ყველაფერს დაწვრილებით მოუყვნენ დიდედას. უამბეს, როგორ გაბედინა პაპამ კლარას პირველი ნაბიჯის გადადგმა, რა კარგი იყო საძოვარზე და არც იმის თქმა დავიწყებიათ, ქარმა რომ სავარძელი გადააგდო. ბავშვები გატაცებით ყვებოდნენ, როგორ გაიარა კლარამ პირველად ყვავილების ეშხით და როგორ თავისით აეწყო მერე ყველაფერი.

— ნუთუ ეს შესაძლებელია! სიზმარში ხომ არა ვარ? ნუთუ ეს ჩამრგვა-

ლებული, ფუნჩულალოყებიანი გოგონა ჩემი უწინდელი გაცრეცილი, უღონო კლერხენია? — დიდედა მადლობას სწირავდა უფალს ამ წყალობისათვის.

კლარა და ჰაიდი სიხარულით აღარ იყვნენ, რომ მათმა ოინმა ასე გაჭრა და დიდედა ჯერაც ვერ გამორკვეულიყო.

ბატონმა ზეზემანმა პარიზში ყველა საქმე მოათავა და გადაწყვიტა გაუფრთხილებლად ჩასულიყო შინ. არც დედისათვის მიეწერა და არც შვილისათვის. თითქმის მთელი ზაფხული არ ენახა ქალიშვილი და ძალიან მონატრებოდა. ბატონი ზეზემანი ბადერგაცში დედამისის გამგზავრებიდან რამდენიმე საათის მოგვიანებით ჩავიდა. როცა დედამისის იალაღზე გამგზავრების ამბავი შეიტყო, გაუხარდა, მაშინვე ეტლში ჩაჯდა და მაიენფელდში ჩავიდა. აქ გაიგო, რომ დორფლიში უნდა ჩასულიყო. იფიქრა, ფეხით დიდხან მოვუნდებიო და ისევ ეტლით მგზავრობა არჩია. ბატონი ზეზემანი არ შემცდარა. ძალზე გაჭირდა მთის დამრეც ფერდობებზე ასვლა. ჯერ ქოხი არსად ჩანდა. ბავშვების მონაყოლის მიხედვით იცოდა ეს გზა, სადღაც მახლობლად მწყემსის ხუხულა უნდა მდგარიყო. ბატონმა ზეზემანმა იფიქრა, ვაითუ იალაღისკენ მიმავალ გზას ავცდიო, თან ირგვლივ მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მოდის, გზა რომ ვკითხოო. მაგრამ არსაით სულიერის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ მთის ნიავი თუ გაიზუზუნებდა.

უცბად ზემოდან ფეხის ხმა მოისმა. დაღმართზე პეტერი მორბოდა, ხელში დეპეშა ეჭირა. გაუსწორდა თუ არა პეტრიკელა ბატონ ზეზემანს, კაცმა ხელი დაუქნია და ანიშნა, მომიახლოვდიო. დამფრთხალმა პეტერმა ფეხი აითრია და გზაზე შორიახლო გაჩერდა.

— ბიჭუნა, ეს გზა თუ მიმიყვანს იმ ქოხთან, მოხუცი პაპა და ჰაიდი რომ ცხოვრობენ? აი იმათთან, ფრანკფურტელები რომ ჰყავთ სტუმრად?

შეშინებულმა პეტერმა რაღაც გაურკვეველი წაიდუდუნა და სავარძელივით კისრისტეხით ჩაგორდა ფერდობზე. მართალია, პეტერი ნაწილ-ნაწილ არ დაშლილა, მხოლოდ დეპეშა დაეხა, მაგრამ არც მას დაჰყრია ხეირი.

ბიჭის საქციელი ზეზემანმა სიმორცხვესა და იალაღზე უცხო კაცის გამოჩენას მიაწერა. პეტერი კი კვლავ მიგორავდა. ტკივილი აღარ ახსოვდა. თავზარდაცემულს ეგონა, ფრანკფურტიდან პოლიციელი ჩამოვიდაო. როგორც იქნა, პეტერი ბოლო ფერდობზე ერთ ბუჩქს დაეჯახა და შეჩერდა. ერთხანს არ განძრეულა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, რა მეშველებაო.

— ძალიან კარგი, ესეც კიდევ მეორე! აბა, ვნახოთ, ხვალ მაღლა ვის მიტყეპავენ, — აღარ ხუმრობდა ხაბაზი, რომელიც იქვე წამოგორებულიყო და მშვიდად უცქერდა სავარძელივით დაგორებულ პეტერს.

დამფრთხალი პეტერი ხაბაზის სიტყვებმა უფრო შეაკრთო და სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე. ერთი კი გაუელვა თავში, ხაბაზმაც იცის ყველაფერიო და უკანმოუხედავად აირბინა მთა. პეტერი სიამოვნებით მიატოვებდა ყველაფერს, შინ დაბრუნდებოდა და ლოგინში შეიბუდებდა, რომ ვერავის ეპოვა, მაგრამ მთის კაცის ურჩობა ვერ გაებედნა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე პეტრიკელა სიმწრით კვნესოდა. კოჭლობა-კოჭლობით შეუყვა ფერდობს და ძლივ ვაი-ნაჩრობით მიაღწია იალაღს.

ბ-ნმა ზეზემანმა ფეხს აუჩქარა. წინასწარ უხაროდა, როგორ გაოცდებოდა ქალიშვილი მის უცაბედ გამოჩენაზე. არადა, ბედნიერ მამას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა სიხარულს უმზადებდა ბედი. როცა მგზავრმა მიაღწია ქოხს, მის შესაგებებლად ორი არსება გამოემართა. ერთი მათგანი მოზრდილი, ქერა და ლოყაწითელა გოგონა გახლდათ, რომელიც მომცრო ტანის მეორე გოგონას

ეყრდნობოდა. ჰაიდის თვალები სიხარულს აკვესებდა. ბატონ ზეზემანს ფეხი აერია და წაიბორძიკა, შეჩერდა და დამხვდურთ მონუსხულივით მიაშტერდა. მერე თვალებიდან უნებურად ჩამოუგორდა სიხარულის ცრემლები და გულში შორეული მოგონებები ამოუტივტივდნენ! მის წინ კლარას დედის ასლი, ისეთივე ქერა და ვარდისფერლოყება გოგონა იდგა. ზეზემანი ვერ მიმხვდარიყო, ცხადში იყო თუ სიზმარში, შვილის ხმამ გამოარკვია:

— მამა, ველარ მიცანი? ნუთუ ასე შევიცვალე?

ახლა კი თავი ველარ შეიკავა ზეზემანმა და ქალიშვილი გულში ჩაიკრა:

— ძალიან შეიცვალე, შვილო, ძალიან! ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ სინამდვილეა! — ველარ დაეჯერებინა ღვთის წყალობა ბედნიერ მამას. — ნუთუ ეს შენ ხარ, კლერხენ? ნუთუ მართლა შენ ხარ? — არ ცხრებოდა ბატონი ზეზემანი.

— აბა, ჩემო საყვარელო შვილო, რას იტყვი? — შეეკითხა დიდედა ვაჟიშვილს. — ჩამოსვლით კი გაგვახარე, მაგრამ, მე მგონი, ჩვენმა დახვედრამ აჯობა, არა? ახლა კი, ჩემო კარგო, დროა ჩვენს კეთილისმყოფელს, ოჰის მიესალმო!

— უეჭველად, უეჭველად, ოჰისაც უნდა მივესალმოთ და ჩვენს პატარა მეგობარსაც, პაწია ჰაიდისაც, — ჩაილაპარაკა ზეზემანმა და ჰაიდის ხელი გაუწოდა. — აბა როგორა ხარ, გამოკეთდი იალაღზე? თუმცა შეკითხვა რა საჭიროა, ისედაც ვარდივით გამოიყურები, რაც ძალიან მიხარია, ნამდვილად გულწრფელად მიხარია!

დიდედა შვილს მთის კაცისაკენ გაუძღვა. ბატონმა ზეზემანმა ულრმესი მადლობა მოახსენა ოჰის და უსაზღვრო გაოცებაც გამოთქვა მომხდარი სასწაულის გამო. დიდედამ მიატოვა მოსაუბრენი და ბებერი ნაძვებისკენ გაეშურა. იქ ერთ-ერთი ნაძვის ძირში საუცხოო მუქი ლურჯი ასისთავას თაიგული დაედოთ. ყვავილები ისე ცოცხლად გამოიყურებოდნენ და ისე ელავდნენ, იფიქრებდით ხეებშუა ამოსულანო. დიდედამ ერთი კი გაიფიქრა, კლარამ ხომ არ მომართვაო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. უცებ ნაძვებში რაღაც გაფაჩუნდა და პეტერმაც გამოყო თავი. მთის კაცი და ის „პოლიციელი" რომ დაინახა, დააპირა ნაძვებში ჩუმად გაძურწულიყო. დიდედამ აწყვეშსი ბიჭის დანახვაზე იფიქრა, ნამდვილად პეტერმა მომიკრიფა ყვავილები, ახლა დაიმორცხვა და იმიტომ მიიპარებაო და თუ მართლა ასეა, მისი დაუსაჩუქრებელი გაშვება არ ივარგებსო.

— აბა, აქ მოდი, ყმაწვილო! გამოდი ნაძვებიდან, ცოცხლად! ნუ გეშინია! — დაუძახა დიდედამ პეტრიკელას. შიშით გათანგულმა და ამდენ განცდაგადატანილმა ბიჭმა ნაბიჯიც ვერ გადადგა, ძალა აღარ ჰქონდა.

— აბა, ცოცხლად მომიახლოვდი! — გაამხნევა დიდედამ. — მითხარი, ეს შენი ნახელავია?

პეტერს თავი არც კი აუწევია, არ დაუნახავს საით მიანიშნა დიდედამ. პეტერმა მხოლოდ ის შენიშნა, რომ ოჰი ქოხის კუთხეში იდგა და თავისი ნაცრისფერი თვალებით უცქეროდა. ყველაზე საშინელი კი მაინც ის იყო, რომ ოჰის გვერდში ფრანკფურტელი პოლიციელი ედგა. პეტერს შიშისაგან მუხლები აუკანკალდა, მთელი ტანით აძაგძაგდა და — დიახ, — აღმოხდა.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა დიდედა, — რისი გეშინია?

— იმისი რომ... იმისი, რომ ის დაიშალა და ველარ გამთელდება, — გაჭირვებით ამოღერღა პეტერმა.

— ჩემო ძვირფასო ოჰი, ცოტა ხომ არ აკლია ამ საბრალო ბიჭუნას? — ჰკითხა ქალმა სინანულით პაპას.

— არა, სრულებითაც არა, — უპასუხა ოჰიმ დიდედას. — მხოლოდ, სავარძელი ქარმა კი არა, მაგან დააგორა და მიიღებს კიდეც საზღაურს.

დიდედას ვერ წარმოედგინა, რომ პეტერს ასეთი ბოროტების ჩადენა შეეძლო, თანაც რა მიზეზით უნდა გაეფუჭებინა ასეთი საჭირო ნივთი.

მთის კაცს არ გამოპარვია როგორი მუქარით შესცქეროდა პეტერი კლარას. არც ის გამოპარვია, უცხო კაცის დანახვამ რომ აალეღვა ბიჭი; ოჰიმ ეს ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირა და მიხვდა, ბიჭმა დააგორა სავარძელი და ასეც მოუყვა დიდედას.

— არა, ჩემო საყვარელო ოჰი, ბიჭი არ უნდა დავსაჯოთ, — დაიცვა პეტერი დიდედამ. — სამართლიანები უნდა ვიყოთ. აბა, წარმოიდგინეთ, ჩამოდიან ფრანკფურტიდან უცხო ადამიანები და მთელი კვირეებით ისაკუთრებენ ჰაიდის, პეტერის ერთადერთ საგანძურს. მართლაც და დიდ საგანძურს. და ზის პეტერი ასე მარტოდმარტო. არა, არა, სწორედ უნდა განვსაჯოთ. მართალია, ბრაზმა დააბრმავა ჩვენი ბიჭუნა და ცოტა არ იყოს სულელური შურისძიება ჩაადენინა, მაგრამ რას იზამ, ბრაზი ბევრს ასულელებს. აბა, აქ მოდი, ჩემო ბიჭუნა, სათქმელი მაქვს შენთან, ნუ კანკალებ, ყური დამიგდე, სავარძლის დაგორება და დამსხვრევა შენს კისერზეა, თვითონაც იცი, რომ ის დიდი სიბოროტეა და სიბოროტის ჩამდენი სასჯელს იმსახურებს. ძალიანაც ცდილობდი შენი საქციელის დაფარვას, მაგრამ ხომ ხედავ, სიბოროტე არ იმალება, ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოაშკარავდება. უზენაესს ყველაფერი ესმის და ხედავს, როგორც კი ვინმეს უკადრისი საქციელის მიჩქმალვას შეამჩნევს, მაშინვე, იმ ადამიანში სინდისის დარაჯს გამოაღვიძებს, რომელიც ღმერთს ადამიანში მისი დაბადების დღიდანვე ჩაუსახავს და სძინავს, ვიდრე ადამიანი უკეთურ საქციელს არ ჩაიდენს, სინდისის დარაჯს ხელში უჭირავს ეკალი და სჩხვლეტს, აწვალებს ადამიანს და მოსვენებას უფრთხობს, თანაც ეძახის და აშინებს: ყველაფერი დამთავრდა, ახლა კი დაგიდგა განკითხვის დღეო! ასეთმა ადამიანმა თავისი დარჩენილი სიცოცხლე სულ შიშსა და განცდებში უნდა გალიოს. შენც ხომ უკვე გამოსცადე, პეტერ, ასეთი რამე? კიდევ ერთ რამეში შესცდი, — განაგრძო დიდედამ. — — ხედავ, რომ უფალმა შენი სიბოროტე კეთილად შემოაბრუნა! მიუხედავად იმისა, რომ კლარას თავისი სავარძელი აღარა ჰქონდა და უიმისოდ ველარ იმოძრავებდა, ყვავილების ნახვის ძლიერმა სურვილმა ფეხი აადგმევინა და ახლა უფრო უკეთესად დადის, უფრო დიდხანსაც დარჩა აქ და ყოველდღე შეუძლია საძოვარზე ასვლა, უფრო ხშირადაც, ვიდრე სავარძლით მოხერხდებოდა. ხედავ, პეტერ, უზენაესს არ სძინავს და სხვის ჩადენილ უმსგავსო საქციელს დაზარალებულის სასიკეთოდ გადააქცევს ხოლმე და სიბოროტეს ხახამშრალს ტოვებს. ხომ კარგად გაიგე, პეტერ, რაც გითხარი? ახლა წადი და ყოველთვის, როცა ცუდის გაკეთებისაკენ წაგძლევს სული, გახსოვდეს, რომ შენი სინდისის დარაჯს ხელში ჩხვლეტია ეკალი უჭირავს და უსიამოვნო ხმაც აქვს. დაიხსომებ ამას, პეტერ?

— დიახ, დავიხსომებ! — უპასუხა მთლად გაბეჩავებულმა პეტერმა დიდედას და მაინც ვერ ხვდებოდა, რა მოელოდა. პოლიციელი ძველებურად მთის კაცის გვერდით იდგა.

—მაშ კარგი, რადგან საქმე მოგვარდა, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა დიდედამ, — ახლა საჭიროა ფრანკფურტზე სასიამოვნო მოგონება დაგრჩეს. აბა მითხარი, ჩემო ბიჭუნა, ყველაზე უფრო რას ისურვებდი? რა არის შენი

სათცნებო საგანი? რას ინდომებდი ყველაზე მეტად?

ახლა კი გაბედა პეტერმა თავის აწევა და დიდედას გაოცებული და თავგზააბნეული მიაშტერდა. ნუთუ მართლა ეკითხებიან, რას ინატრებდიო.

— დიახ, დიახ, სერიოზულად გეკითხები, — გაუმეორა დიდედამ, — მინდა საჩუქრით გაგახარო, რომ ფრანკფურტელ სტუმრებს არ შემოგვწყრე და მუდამ გახსოვდეს შენი უღირსი საქციელი. გესმის, ყმაწვილო?

ახლაღა მიხვდა პეტერი, რომ ტყუილად შიშობდა, სასჯელს გადაურჩა და ამ კეთილმა ქალმა, ჭერაც მის წინ რომ იჯდა, პოლიციელის კლანჭებიდან დაიხსნა. ამის გაფიქრებაზე ერთბაშად ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს მხრებიდან მძიმე მთა მოიშორაო და მიხვდა, დანაშაული უნდა ეღიარებინა.

— ქაღალდიც დავკარგე.

დიდედა უცბად ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა მწყემსი ბიჭუნა, მერე კი გაახსენდა დეპეშა და დაუყვავა:

— აი ასე, არ ჯობია რომ თქვი? მაშინვე უნდა აღიარო დანაშაული და ყველაფერი მოგვარდება. ახლა კი მითხარი, რით დაგასაჩუქრო?

პეტერი დიდი არჩევანის წინაშე იდგა. დედამიწის ზურგზე ყველაზე სასურველს სთავაზობდნენ. პეტერს თავბრუ დაეხვა, არადა, რამდენჯერ მდგარა მაღაზიების წინ, სადაც რაიმეს ყიდვა მისთვის ყოველთვის მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა, ხუთ პფენინგზე მეტი ხომ არასდროს არა ჰქონია! თანაც როგორ სჭირდებოდა მწყემსს ლამაზი წითელი სასტვენი, ან სახრეების გამოსათლელი მაცდური, მრგვალსახელურიანი დანა.

პეტერი ჩაფიქრებული იდგა, ვერ გადაეწყვიტა, ამ ორიდან რომელი ამოერჩია და უცბად მოაფიქრდა.

— ათი პფენინგი მინდა მქონდეს.

— ხარბი არ ყოფილხარ. აბა, მოდი აქ! — დიდედამ ხელჩანთა გახსნა და იქიდან დიდი, მრგვალი ტალერი ამოაძვრინა, ზედ ოცი პფენინგიც დაამატა, თან აუხსნა. აქ იმდენი ათი პფენინგია, რომ მთელი წლის მანძილზე შეგიძლია ყოველ კვირა დღეს თითო პფენინგი დახარჯო, როგორც მოგეპრიანებაო.

— შემიძლია მთელი სიცოცხლის მანძილზე ვხარჯო? — იკითხა პეტერმა.

ამ სიტყვებზე ისე გულიანად გადაიხარხარა დიდედამ, რომ კაცებმა უნებურად შეწყვიტეს საუბარი და მოიხედეს, ასეთი რა მოხდაო, დიდედა ისევ გულიანად იცინოდა.

— ბიჭუნი, მაგასაც მიიღებ — ჩემს ანდერძში ჩავწერ. გესმის, შვილო, რას ვეუბნები ამ ბიჭს, სიცოცხლის მანძილზე მწყემს ბიჭუნას ყოველკვირა ერგება ათი პფენინგი-თქო.

ბატონმა ზეზემანმა თანხმობის ნიშნად დედას თავი დაუქნია. პეტერმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ხელში ჩაბღუჯული საჩუქარი, თვალი ხომ არ მატყუებსო, მერე, დიდება შენდა უფალო, აღმოხდა და გახარებული მოსწყდა ადგილს.

სტუმრებმაც და მასპინძლებმაც ქოხის წინ ისადილეს. ზეზემანს შვილის ყოველ შეხედვაზე სულ უფრო და უფრო სიამით ევსებოდა გული.

— ო, მამიკო, რომ იცოდე, რა სიკეთე გამიკეთა პაპამ! — მიმართა კლარამ მამას. — ამის მოყოლას ბევრი დრო დასჭირდება, მისი სიკეთე არასდროს დამავიწყდება. სულ იმის ფიქრში ვარ, რითი გადავუხადო სამაგიერო. ისეთი რა ვაჩუქო, რომ იმის ნახევრად მაინც გავახარო, როგორც მე გამახარა.

— როგორც ვხედავ, ერთნაირი სურვილი გვქონია, ჩემო საყვარელო, — მიუგო მამამ, — მეც მაწუხებს ეს ფიქრი, რითი გადავუხადოთ ჩვენ მფარველს

მადლობა. — ბატონი ზეზემანი წამოდგა და ოჰისკენ გაემართა, რომელიც დიდედას გვერდით იჯდა და საამოდ ესაუბრებოდა. პაპაც ფეხზე წამოდგა, ბატონმა ზეზემანმა ხელზე ხელი მოჰკიდა ოჰის და მეგობრულად დაიწყო: — ჩემო საყვარელო მეგობარო, ნება მომეცით სიტყვა გითხრათ! ალბათ გამიგებთ, თუ გეტყვით, რომ წლების მანძილზე ჩემს გულს სიხარული [illegible]ებია. რას ვაქნევდი ამდენ ქონებას, როცა ჩემს ერთადერთ ავადმყოფ ქალიშვილს ვერაფერი შველოდა და მას ვერაფრით გავაბედნიერებდი! ღვთის და თქვენის შეწევნით ჩემი შვილი განიკურნა და ამით მამა-შვილს ახალი სიცოცხლე გვაჩუქეთ. მითხარით, რითი შემიძლია მადლობა გადაგიხადოთ? თქვენი სიკეთე ფასდაუდებელია, მაგრამ რაც შემიძლია, უკან არ დავიხევ. მითხარით, ჩემო მეგობარო, რითი შემიძლია გემსახუროთ?

— მინდა, ბატონი ზეზემანი დავარწმუნო, რომ მეც სულით და გულით ვიზიარებ თქვენს სიხარულს და სწორედ კლარას იალაღზე გამოჯანმრთელება ჩემი წვლილის ვასამრჯელო, — ჩვეული სიდინჯით თქვა ოჰიმ, — თქვენ მიერ შემოთავაზებულ სამსახურზე დიდი მადლობა მომიხსენებია. ბატონო ზეზემან, კიდრე ცოცხალი ვარ, არაფერი მიჭირს. ყველაფერი სამყოფი მაქვს ჩემთვისაც და ჩემი ჰაიდისთვისაც, მაგრამ ერთს კი ვინატრებდი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამის ასრულება, სიცოცხლეში ბედს აღარაფერზე დავემდურებოდი.

— ბრძანეთ, ჩემო საყვარელო მეგობარო! — გაამხნევა ბატონმა ზეზემანმა.

— მე უკვე მოხუცი ვარ, — წამოიწყო ოჰიმ, — ალბათ, დღეებიც დათვლილი მაქვს, როცა საიმქვეყნოდ ავიბარგები, ბავშვს ვერაფერს დავუტოვებ. ჰაიდის ჩემ გარდა ახლობელი ნათესავი არავინა ჰყავს. ბატონი ზეზემანი რომ პირობას მომცემდეს, ჰაიდის ლუკმაპურის საშოვნელად აქეთ-იქით წანწალი არ მოუწევს, მაშინ თქვენი ვალი ბოლომდე გადახდილად შეგიძლიათ მიიჩნიოთ.

— ჩემო საყვარელო ოჰი, ამის თქმა რა საჭიროა, — ბავშვი ყველას გვეკუთვნის. აბა, ჰკითხეთ, დედაჩემსა და ჩემს ქალიშვილს, ჰაიდის არავის დაუთმობენ! მაგრამ თქვენ რომ დაგამშვიდოთ, ჩემო მეგობარო, აი ჩემი ხელი და გპირდებით, ბავშვს არასდროს არ ექნება ლუკმაპური საშოვნელი, მაგრამ ერთი რამ მინდა გითხრათ. ბავშვი აქაურობას ვერ მოშორდება, სხვაგან ვერ იცხოვრებს, ჩვენ ამაში უკვე დავრწმუნდით. ბავშვმა მეგობრები შეიძინა. ერთ მათგანს კარგად ვიცნობ, ის ფრანკფურტში ცხოვრობს და ახლა საბოლოო საქმეებს აგვარებს, პენსიაზე სურს გავიდეს, რომ აქეთ გადმოსახლდეს, ძალიან მოსწონს აქაურობა. ის ჩემი მეგობარი ექიმია, შემოდგომაზე აპირებს თქვენთან ამოსვლას, ვერსად ისე კარგად ვერა გრძნობს თავს, როგორც თქვენთან და ბავშვთან. აი ხომ ხედავ, ოჰი, ჰაიდის უკვე ორი მფარველი გამოუჩნდა, ორივე დიდხანს უცოცხლოს ღმერთმა.

— ჩემო საყვარელო ჰაიდი, ახლა შენი ჯერია. აბა მითხარი, შენ რაღას ინატრებდი? — ახლა დიდედამ მიმართა ჰაიდის.

— ერთი ნატვრა მაქვს, — თქვა ჰაიდიმ, — ფრანკფურტში რომ ფუმფულაბალიშებიან და სქელსაბნიან საწოლში მეძინა, ის საწოლი მინდა ბებიას ჰქონდეს.

— ამ, ჩემო საყვარელო ჰაიდი, ეს რა მითხარი? — წამოიძახა აღელვებულმა დიდედამ. — რა კარგია, რომ გამახსენე. სიხარულმა მთლად დამავიწყა. ვისზეც უპირველეს ყოვლისა უნდა მეფიქრა. როცა ღმერთი წყალობის თვა-

ლით გადმოგვხედავს, უწინარეს ყოვლისა გაჭირვებულებზე უნდა ვიფიქროთ! ახლავე გავგზავნი ფრანკფურტში დეპეშას, რომ როტენმაიერმა დღესვე შეფუთოს საწოლი და გამოაგზავნოს. საწოლი ორ დღეში უკვე აქ იქნება და ღმერთის წყალობით ბებია ტკბილად დაიძინებს.

— ახლავე ბებოსთან ჩავირბენ, ვინ იცის, შეშინებულია, რატომ ჰაიდიმ არ ჩამომაკითხაო, — თქვა ჰაიდიმ.

ბიბლიოთეკა

— არა, ჰაიდი, აბა რას ამბობ? — შეაჩერა პაპამ. — სტუმრების მიტოვება როგორ შეიძლება, სად გაგონილა?

მაგრამ ჰაიდის დიდედა გამოესარჩლა.

— ჩემო საყვარელო ოპი, ბავშვი მართალია, — საბრალო დედაბერი ალბათ, დიდი ხანია ლოდინმა მოქანცა. ყველამ ერთად მოვინახულოთ, მერე ისევ განვაგრძობთ გზას და დორფლიდან პირდაპირ ვაფრენ ფრანკფურტში დეპეშას.

კლარა ცოტა შეცბუნებული ჩანდა იალაღიდან უეცარი გამგზავრების გამო, მაგრამ ამდენმა სიხარულმა თავბრუ დაახვია და დარდისათვის გულში ადგილი აღარ ჰქონდა.

დიდედა წამოდგა და ჰაიდის ხელი ჩაჰკიდა, უნდოდა გზას გასდგომოდა, მაგრამ უეცრად შედგა.

— კლარას რა ვუყოთ? — იკითხა შეშინებულმა. — ამოდენა გზას კლარა ფეხით როგორ გაივლის?

ოჰიმ შეილობილი ჩვეული მზრუნველობით აიყვანა ხელში და ყველანი გაეშურნენ ბებოს ქოხისაკენ.

ჰაიდიმ ქოხის კარი გამოაღო, შევიდა და კუთხეში მიყუჟულ ბებოს მოეხვია:

— ბებო, იცი, ფრანკფურტიდან ჩემს საწოლს მივიღებ, აი იმას, ფუმფულა ბალიში და თბილი საბანი რომ აქვს. დიდედამ თქვა, საწოლი ორ დღეში აქ იქნებაო, — სხაპასხუპით მიაყარა ჰაიდიმ.

— აჰ, რა კეთილი ქალია შენი დიდედა! კარგია, ჰაიდი, რომ თან მიყავხარ, ოღონდ მე უკვე დიდხანს ველარ ვიცოცხლებ.

— ეს რა მესმის? ვინ უთხრა კეთილ მოხუც ბებიას, რომ ჰაიდი მიგვყავს? — იკითხა ამ დროს ალერსიანმა ხმამ და ბებიას ვიღაცამ ხელი ჩამოართვა. ქოხში დიდედა შემოსულიყო უკვე და მათი საუბარი მოესმინა. — არა, ბატონო, მისი წაყვანა ფიქრადაც არ მოგვსვლია. ჰაიდი თქვენთან დარჩება და უწინდებურად გაგახარებთ. როცა ჰაიდი მოგვენატრება, ჩვენ თვითონ ამოვალთ აქ და მოვინახულებთ. იალაღზე ყოველ წელს ამოვალთ, მიზეზიც გვაქვს, უფალს უნდა ვუმადლოდეთ, რომ სწორედ აქ მოხდა დიდი სასწაული, სწორედ აქ განიკურნა ჩვენი კლარა.

ბებიას ლოყებზე სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა და მადლობის ნიშნად ქ-ნ ზეზემანის ხელს ხელი მოუჭირა. ჰაიდის არ გამოპარვია დიდედას სიხარულით განათებული სახე და იმ წუთს გოგონაზე ბედნიერი არავინ იყო.

— კმარა, ბებო, — ჩაეხუტა იგი მოხუცს, — ზუსტად ისე მოხდა, ბოლოს რომ წაგიკითხე. ფრანკფურტიდან რომ მივიღებთ საწოლს, მაშინ ნამდვილად გეშველება!

— ახ, ჩემო ჰაიდი, კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე მომიშუშებს იარებს, რაც ღმერთმა ჩემთვის გამოიმეტა! — თქვა ძირისძირობამდე შეძრულმა ბებიამ. — ნუთუ არსებობენ ისეთი კეთილი ადამიანები, საწყალ ხალხზე რომ ფიქრობენ და მათთვის სიკეთეს არ იშურებენ? უზენაესი არ ივიწყებს ყველაზე მიუსაფარს და ჩემისთანა საწყალ და გამოუსადეგარ ქალს თქვენისთანა სი-

კეთით და მოწყალებით სავსე მფარველს მოუვლენს.

— ჩემო კარგო ბებია, — ჩაერია საუბარში ზეზემანი, — უფლის წინაშე ყველა უმწეოა, ყველას ერთნაირად გვჭირდება მისი მფარველობა, ახლა არ გეთხოვებით, მომავალ შეხვედრამდე. მომავალ წელს იალაღზე რომ ამოვალთ, ასევე სიღსალამათი დაგვხვედროდეთ.

ზეზემანები სამგზავროდ გაემზადნენ. ჰაიდი ცდილობდა კლარა ოდნავ მაინც ენუგეშებინა და გოგონაც ბოლო კურცხალს იმშრალდა.

— პეტერს ჩემი მოკითხვა გადაეცი, ყველა თხა მომიკითხე, განსაკუთრებით თეთრა, ო, ნეტავ შემეძლოს თეთრას რაიმე ვუსახსოვრო. იმდენი წვლილი მიუძღვის ჩემს განკურნებაში.

— შეგიძლია საჩუქარი გამოუგზავნო, ხომ იცი, მარილი უყვარს, — უთხრა ჰაიდიმ.

დიდედას თეთრი ულაყი ამჯერად კლარას წასაყვანად ამოვიდა. გოგონას უკვე შეეძლო ცხენზე ჯდომა, სავარძელი აღარ სჭირდებოდა. ჰაიდი ბექობზე დადგა და კლარას იქამდე უქნევდა ხელს ვიდრე გოგონა და ცხენი თვალს არ მიეფარნენ.

ფრანკფურტიდან საწოლი მალე მიიღეს. დიდედას არც აურება ზამთრის თბილი ტანსაცმლის გამოგზავნა დავიწყნია, რომელიც მწყემსის მთელ ოჯახს ეყოფოდა.

დორფლიში დიდი მშენებლობა იყო გაჩაღებული. სოფელში ბატონი ექიმი ჩამოვიდა. მეგობრის რჩევით, მან ძველი შენობა იყიდა. აი სწორედ ის, ბატონების საბრძანებელი რომ გახლდათ, ზამთრობით ჰაიდი და ოჰი რომ სახლობდნენ, და სადაც ზემოთა ოთახში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ლამაზი ბუხარი, შენობის ერთი ნაწილი ექიმმა თავისთვის აილო, მეორე მხარე კი გამოსაზამთრებლად ოჰის და ჰაიდის დაუთმო, სულ ქვემოთ თხის ბაკი გამართეს, სადაც თეთრა და თაფლა ზამთრის დღეებს სიმყუდროვეში გაატარებდნენ.

ბატონი ექიმი და მთის კაცი ძალიან დამეგობრდნენ, მშენებლობას ერთად ათვალიერებდნენ და მუდამ ჰაიდიზე ლაპარაკობდნენ. ჰაიდი იყო მათი ერთადერთი სიხარული.

— ჩემო საყვარელო მეგობარო, — უთხრა ერთხელ ექიმმა მთის კაცს, — თქვენთან ერთად ვიზიარებ ყველა სიხარულს, რაც ჩვენ პატარა გოგონას ეხება, თქვენს მერე მე ვარ, ვისაც ბავშვი ეკუთვნის. მინდა ყველა თქვენი მოვალეობა გავიზიარო ბავშვის მიმართ, ასე რომ, მეც ვიმედოვნებ, რომ იგი სიბერის დღეებს გამიხალისებს. ჰაიდი ჩემი სრულუფლებიანი შვილი უნდა გახდეს, მას უჩვენოდ არ უნდა გაუჭირდეს ცხოვრება. ყველაფერი მას დარჩება, როცა მეც და თქვენც იმქვეყნად გავემგზავრებით.

ოჰიც ამ აზრისა იყო და მეგობრის სიტყვებზე სითბო და სიხარული ედგა თვალებში.

ამ დროს კი პეტრიკელა და ჰაიდი ბებოს წინ ჩაცუცქულიყვნენ და აღტაცებულები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. დედა ბრიგიტეც ბედნიერი ჩანდა, ხუმრობა ხომ არ არის მისი ბიჭუნა ჰაიდის წყალობით მთელი სიცოცხლე ყოველ კვირადღეს ათი პფენინგის მფლობელი იქნებოდა.

ატიტინებული ბავშვები ბებიამ შეაჩერა;

— ჰაიდი, წამიკითხე, გეთაყვა, სამადლობელი საგალობელი. ვგონებ, ისღა დამრჩენია ჩვენს მაცხოვარს ხოტბა შევასხა და მადლობა მოვახსენო ყოველივე სიკეთისათვის!

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსკარ უაილდი

ინგლისურიდან

თარგმნა მანანა არჩვაძემ

# ადამიანის სული და სოციალიზმი

სოციალიზმის დამყარების შედეგად ადამიანები მოიპოვებენ უდიდეს უპირატესობას, კერძოდ, ისინი შეძლებენ განთავისუფლდნენ უბადრუკი ცხოვრების, სხვისი ცხოვრებით არსებობის აუცილებლობისაგან, რაც დღევანდელ ვითარებაში ყველას მაინც ტვირთად აწევს და რასაც იშვიათად თუ დააღწევს ვინმე თავს.

საუკუნის განმავლობაში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა დიდი მეცნიერი, ისეთი, როგორიც იყო დარვინი, ან დიდი პოეტი, როგორიც იყო კიტსი, ისეთი დახვეწილი კრიტიკული გონების მქონე პიროვნება, როგორიც იყო რენანი ან უმაღლესი რანგის ხელოვანი, როგორიც იყო ფლობერი, რომლებმაც შეძლეს სხვათა პრეტენზიებისა და მომაბეზრებელი მოთხოვნებისაგან დაეღწიათ თავი და, როგორც პლატონი იტყოდა, „კედლის საფარქვეშ დამდგარიყვნენ". სწორედ ამიტომ შეძლეს მათ მოეხდინათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და ეს იყო არა მარტო მათი, არამედ მთელი კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება. მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ. ადამიანთა დიდი უმრავლესობა თავის ცხოვრებას არაჯანსაღი და გაზვიადებული ალტრუიზმით იფუჭებს, ან, უფრო სწორად, იძულებულია გაიფუჭოს. ეს ადამიანები ხედავენ მათს გარშემო არსებულ უკიდურეს სიღარიბეს, სიმახინჯესა და შიმშილს. ყოველივე ეს, უეჭველად, ზემოქმედებას ახდენს მათზე. ადამიანის ემოციები უფრო სწრაფად აღიგზნება, ვიდრე გონება, და როგორც ამას ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში „კრიტიკის ფუნქციის შესახებ", ვწერდი, გაცილებით ადვილია ტანჯვაში თანაგრძნობა, ვიდრე იდეის თანადგომა. ადამიანები თავგამოდებით კეთილნი, მაგრამ შეცდარი განზრახვით სერიოზულად და მთელი გრძნობით ცდილობენ იმ უკეთური სამყაროს გაჯანსაღებას, რომელშიც ცხოვრობენ. მაგრამ, მათი წამალი სენს კი არ კურნავს, მხოლოდ ახანგრძლივებს. უფრო მეტი, მათი წამალი ამ სენის განუყოფელი ნაწილია.

სიღარიბის პრობლემის გადასაწყვეტად ისინი, მაგალითად, იმას მიიჩნევენ, რომ ღატაკებს სიცოცხლე გაუხანგრძლივონ, მაგრამ მათ შორის უფრო პროგრესულად მოაზროვნენი ცდილობენ, ღატაკები გაართონ კიდეც.

მაგრამ ეს არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას. იგი არსებული სიძნელის გართულებაა მხოლოდ. თავი და თავია საზოგადოების ისეთ საფუძველზე გარდაქმნა, რომ სიღარიბე გამორიცხული იყოს. ალტრუიზმი კი ამ მიზნის განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ ხელს უშლის. ყველაზე უარესნი მონათმფლობელთა შორის იყვნენ ისინი, ვინც კარგად ეპყრობოდა საკუთარ მონებს და ამით ხელს უშლიდა, არსებული სისტემის მთელი საშინელება გაეცნობიერებინა და შეეგრძნო იმას, ვინც ამ სისტემისგან იტანჯებოდა. ინგლისში, დღევანდელ ვითარებაში, ყველაზე მეტი ზიანი სწორედ იმ ადამიანებს მოაქვთ, ვინც სიკეთის ქმნას ცდილობენ. არსებობს თვალსაზრისების მთელი სისტემა, შექმნილი იმ ხალხის მიერ, ვინც შეისწავლა ეს პრობლემა და ვინც იცნობს ამ ცხოვრებას — ესაა ისტ ენდში მცხოვრები განათლებული ხალხი. ეს ხალხი მოუწოდებს და თხოვნით მიმართავს საზოგადოებას, შეზღუდოს ქველმოქმედების ალტრუისტული იმპულსები და სხვა მსგავსი რამ. ისინი ცამდე მართალნი არიან. ასეთი სახის ქველმოქმედება დეგრადა-

ნება და დემორალიზაცია მხოლოდ იგი, მრავალ ცოდვას შობს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამორალურია კერძო საკუთრების გამოყენება იმ ბოროტებათა შესამცირებლად, რომლებსაც თვით კერძო საკუთრების უსამართლო ინსტიტუტი წარმოშობს.

სოციალიზმის დროს ყოველივე, რა თქმა უნდა, შეიცვლება. აღარ იქნებიან ძონძებში გახვეული ადამიანები, რომლებიც ბინძურ ქოხმახებში ცხოვრობენ და ავადმყოფ დამშეულ ბავშვებს ზრდიან არაადამიანურ, დამამცირებელ გარემოში. საზოგადოების სიმშვიდე აღარ იქნება დამოკიდებული ამინდზე, როგორც ეს ამჟამადაა. ყინვის დროს აღარ გვეყოლება ასობით და ათასობით ქუჩებში მოხეტიალე უმუშევარი, წყალობის მოლოდინში სხვის კართან სიცოდვილით ატუზული ან უბადრუკ თავშესაფრებს შეყუჟებული, ცდებ როგორმე პურის ნატეხი და ღამის ბინძური გასათევი მოიპოვონ. საზოგადოების ყოველი წევრი გაიზიარებს ზოგადს საერთო კეთილდღეობასა და ბედნიერებას და მკაცრ ყინვაშიც აღარავის ამოხდება შიმშილით და სიცივით სული.

მეორე მხრივ, სოციალიზმი თავისთავად წარმოადგენს ღირებულებას, რადგან მას ადამიანები ინდივიდუალიზმამდე მიჰყავს.

სოციალიზმი, კომუნიზმი ან ნებისმიერი სახელწოდება, რაც შეიძლება ეწოდოს კერძო საკუთრების გარდაქმნას საზოგადოების სიმდიდრედ და კონკურენციის შეცვლას კოოპერაციით, ზედმიწევნით აჯანსაღებს და უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის მატერიალურ კეთილდღეობას. ფაქტიურად, ის აძლევს ცხოვრებას მყარ საფუძველს და უქმნის სასურველ გარემოს. თუმცა ცხოვრების განვითარებისა და სრულყოფის უმაღლესი სახის მიღწევისათვის საჭიროა რაღაც მეტი და ეს „რაღაც" ინდივიდუალიზმია. თუ სოციალიზმი ავტორიტარულია, თუ სახელმწიფოს ისეთივე ძლიერი ეკონომიკა ექნება, როგორც ამჟამად პოლიტიკური ძალაუფლება, თუ, ერთი სიტყვით, ინდუსტრიული ტირანია დამყარდება, მაშინ ადამიანის მდგომარეობა გაცილებით გაუარესდება. დღეს, კერძო საკუთრების არსებობიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრ ადამიანს შეუძლია განავითაროს ინდივიდუალობა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ ან ძლიერ შეზღუდული ფორმით. ეს შესაძლებლობა ძირითადად მათი უპირატესობაა, ვისაც არ სჭირდება მუშაობა ლუკმაპურის მოსაპოვებლად. მათ საშუალება აქვთ აირჩიონ მოღვაწეობის ის სფერო, რომელიც ნამდვილად შეეფერებათ და, ამავე დროს, სიამოვნებას ანიჭებთ. ესენი პოეტები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ადამიანები. ადამიანები, ვინც შეძლეს საკუთარი თავის რეალიზაცია და ვისშიც მთელი კაცობრიობა ჰპოვებს ნაწილობრივ რეალიზაციას. მეორე მხრივ, ღარიბ მასას, მოკლებულს ეკონომიკურ სახსრებს და მუდმივად შიმშილის ზღვარზე მყოფს, იძულებულია [illegible] დატვირთვის საქმეთა [illegible] შეუფერებელი და უხალისო [illegible] კარნახობს მათ გაჭირვების მბრძანებლური, დეგრადირებული ტირანია. ესენი ღატაკნი არიან, ისინი არ გამოირჩევიან არც გრაციოზული მანერებით და არც დახვეწილი მეტყველებით, არ გააჩნიათ ცივილიზაცია თუ კულტურა. მათთვის უცხოა სიამოვნებაც თუ ცხოვრებისეული სიხარული. მათ კოლექტიური ძალისხმევას კაცობრიობისათვის მატერიალური კეთილდღეობა მოაქვს, მაგრამ მხოლოდ მატერიალური, თავისთავად ღატაკი კაცი არავითარ ღირებულებას არ ატარებს. ის, უბრალოდ, უსასრულოდ მცირე ატომია იმ ძალისა, რომელიც მას არაფრად აგდებს, თრგუნავს და, თუ შეძლო, ამჯობინებს მის გასრესას, რადგან ასეთ შემთხვევაში ის გაცილებით უფრო მორჩილია.

რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საკუთრების პირობებში წარმოშობილი ინდივიდუალიზმი ყოველთვის არ არის დახვეწილი ან ჩინებული, რომ ღატაკებს, მიუხედავად იმისა, კულტურა და მომხიბვლელობა რომ აკლიათ, ბევრი სათნო თვისება აქვთ. ორივე დებულება ჭეშმარიტია. კერძო საკუთრება ძალიან ხშირად უკიდურეს დემორალიზაციას ახდენს და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რისთვისაც სოციალიზმს ამ ინსტიტუტის თავიდან მოცილება სურს. საკუთრება ნამდვილად დიდი ტვირთია, რამდენიმე წლის წინ მავანნი და მავანნი საჯაროდ ამტკიცებდნენ, რომ საკუთრებას ბევრი მოვალეობა აკისრია. ისინი ამას ისე ხშირად და დაჟინებით იმეორებდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეკლესიამაც დაიწყო ამაზე ლაპარაკი. ამჟამად ყოველი კათედრიდან ამას ქადაგებენ და ეს სრული ჭეშმარიტებაა. საკუთრებას არა თუ გააჩნია მოვალეობანი, ამ მოვალეობათა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი შესრულება მოსაწყენ საქმიანობად იქცევა. საკუთრება უსასრულო მოთხოვნების ქსელში ახვევს ადამიანს; უსასრულო ყურადღებას და შემართებას მოითხოვს ბიზნესიც და ასე გრძელდება გაუთავებლად და უსასრულოდ. საკუთრებას რომ მარტო სიამოვნება მოჰქონდეს, მაშინ კიდევ იტანდა კაცი, მაგრამ მოვალეობანი აუტანელს ხდის მას. ამიტომ, ისევ და ისევ მდიდართა ინტერესებიდან გამომდინარე, იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ და ამავე დროს ღარიბთა სათნოებანი. ხშირად გვეუბნებიან, რომ ღატაკები მადლობელნი არიან ქველმოქმედებისათვის. ზოგიერთნი, ალბათ, არიან, მაგრამ საუკეთესონი ღატაკთა შორის არა-

სოდეს არ არიან მადლიერნი. ნამდვილად მართალნი არიან უმადურნი, უკმაყოფილონი, დაუმორჩილებელნი და მეამბოხენი მათ შორის. ისინი თვლიან, რომ ქველმოქმედება სასაცილოდ არაადეკვატური სახეა, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ ვალის გადახდისა თუ სენტიმენტალური წყალობისა, მით უმეტეს, რომ ამას, ჩვეულებრივ, თან ახლავს სენტიმენტალისტის თავხედური ცდა ამ გზით დაიმორჩილოს ისინი. რატომ უნდა იყვნენ ისინი მადლიერნი ამ ნამცეცებისათვის, მდიდარი კაცის მაგიდიდან რომ ცვივა? ისინი ცხოვრებამ გარიყა და ამის დასანახად თვალი აეხილათ. რაც შეეხება უკმაყოფილების გრძნობას, ხომ დღესავით ცხადია, რომ კაცი, რომელიც ასეთ გარემოს და ცხოვრების ასეთ დაბალ დონეს უდრტვინველად იტანს, უთუოდ გონებაჩლუნგია. ვინც იცნობს ისტორიას, კარგად უწყის, რომ დაუმორჩილებლობა ადამიანის უპირველესი სათნოებაა. პროგრესი მხოლოდ დაუმორჩილებლობის საშუალებით ხორციელდება, დაუმორჩილებლობისა და ამბოხების საშუალებით. ღატაკებს ზოგჯერ მომჭირნეობას უქებენ, მაგრამ ეს ერთდროულად უაზრობაა და შეურაცხმყოფელიც. ეს იგივეა მშიერ კაცს ვურჩიოთ, ცოტა ჭამოს. სოფლისა და ქალაქის შავი მუშისათვის მომჭირნეობის ქადაგება ამორალურია. ადამიანი არ უნდა შეეგუოს აზრს, ცუდად ნაკვები ცხოველივით იცხოვროს. მან უნდა უარყოს ასეთი ცხოვრება, უნდა იქურდოს, ან ულუფების მოპოვებას შეუდგეს, რომელსაც ბევრი ქურდობის ფორმად თვლის. რაც შეეხება მათხოვრობას, უფრო საიმედოა მოწყალება ითხოვო, ვიდრე მოიპარო, მაგრამ უმჯობესია მოიპარო, ვიდრე იმათხოვრო. არა: ღარიბი კაცი, რომელიც უმადური, მფლანგველი, უკმაყოფილო და მეამბოხეა, ჭეშმარიტი პიროვნებაა და მასში ბევრი რამ არის საინტერესო. ყოველ შემთხვევაში, ეს ჯანსაღი პროტესტია. რაც შეეხება სათნო ღატაკებს, მათი შებრალება კიდევ შეიძლება, მაგრამ პატივისცემა არა. ისინი მტერს გაურიგდნენ და თავიანთი პირველშობილობა სალაფავზე გაცვალეს. ისინი არაჩვეულებრივად გონებაჩლუნგები არიან. მე კარგად მესმის იმ ადამიანის, ვინც ეთანხმება კანონებს, რომლებიც კერძო საკუთრებას იცავს, რადგან თავად მას ეს აძლევს საშუალებას იცხოვროს მშვენიერი და ინტელექტუალური ცხოვრებით. მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ადამიანი, ვისი ცხოვრებაც ამ კანონებმა დაამახინჯეს და გაუსაძლისი გახადეს, უსიტყვოდ ეთანხმებოდეს მათს გაგრძელებას.

არც ამის ახსნაა ძნელი. ტანჯვა და სიღარიბე იმდენად აქვეითებს და აძაბუნებს ადამიანს, რომ ვერც ერთი კლასი რეალურად ვერ აცნობიერებს საკუთარ სიბეჩავეს. მათ ეს სხვებმა უნდა უთხრან, თუმცა, ისიც ხდება, რომ ხშირად მათ არც უჯერებენ. რასაც მსხვილი მეწარმეები აგიტატორებზე ამბობენ, უდავოდ მართალია. აგიტატორები, მათი აზრით, ... ადამიანებია, ყველგან ... რომ ცხვირს მყოფენ. ისინი ... კმაყოფილ კლასთან მიდიან და იქ უკმაყოფილებას თესენ. სწორედ ამ მიზეზით არიან ისინი მეტად საჭირონი. ჩვენს არასრულყოფილ საზოგადოებაში მათ გარეშე წინსვლა პროგრესისაკენ შეუძლებელი იქნებოდა. ამერიკაში მონობა გადავარდა არა მონების აქტიურობის ან თავისუფლების მოთხოვნის გამო. მონობა გადავარდა აგიტატორთა ერთი ჯგუფის არალეგალური მოქმედების შედეგად ბოსტონსა და სხვა ადგილებში; ეს აგიტატორები თვითონ არც მონები იყვნენ და არც მონათმფლობელები და ამ საქმესთან რეალურად არაფერი ესაქმებოდათ. ისინი უეჭველად, აბოლიციონისტები იყვნენ, რომლებმაც ჩირაღდანი აანთეს და შეუდგნენ ამ საქმის განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მონებისაგან მათ არათუ მცირეოდენი დახმარება, თანაგრძნობაც კი ვერ დაიმსახურეს. როდესაც, ომის დასასრულს, მონებმა აღმოაჩინეს, რომ თავისუფალი, სრულიად თავისუფალი არიან შიმშილისათვის, ბევრმა მათგანმა მწარედ ინანა თავისი ყოფილი მდგომარეობის დაკარგვა. საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე ტრაგიკული მომენტი ის კი არ არის, რომ მარია ანტუანეტა მოკლეს, რადგან დედოფალი იყო, არამედ ის, რომ ვანდეს მშიერი გლეხი მოხალისედ მიდიოდა სიკვდილზე ფეოდალიზმის ბატონობის დასაცავად.

ნათელია, რომ არავითარი ავტორიტარული სოციალიზმი არ გამოდგება, რადგან, თუ დღევანდელ სისტემაში ხალხის დიდ ჯგუფს მაინც აქვს შესაძლებლობა იცხოვროს თავისუფლად და ბედნიერად, ინდუსტრიულ-ყაზარმული სისტემის ან ეკონომიკური ტირანიის სისტემის ბატონობის შემთხვევაში საერთოდ ვერავინ შეძლებს რაიმე სახის თავისუფლებაზე იოცნებოს. სამწუხაროა, თუ ჩვენი საზოგადოების ნაწილი პრაქტიკულად დამონებულია, მაგრამ ამ პრობლემის გადასაწყვეტად მთელი საზოგადოების დამონება რომ ვარჩიოთ, ეს ბალღობაა. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება, ამოირჩიოს თავისი საქმიანობის სფერო. იძულების ყოველი ფორმა მიუღებელია. ვინაიდან სადაც იძულებაა, ადამიანის მიერ შესრულებულ სამუშაოს არ შეიძლება ღირებულება ჰქონდეს არც მისთვის, არც თავისთავად და არც სხვებისათვის. სიტყვაში „სამუშაო" ვგულისხმობ ყოველგვარი სახის მოღვაწეობას.

ძნელი წარმოსადგენია რომელიმე სოციალისტს დღეს სერიოზულად სჯეროდეს, რომ ყოველ დილით ინსპექტორი ყველა სახლს ჩამოუვლის და შეამოწმებს, ადგა თუ არა ყოველი მოქალაქე, და მზადაა თუ არა ფიზიკურად იმუშაოს 8 საათის განმავლობაში. კაცობრიობამ ეს საფეხური დიდი ხანია გაიარა და ცხოვრების ასეთ ფორმას მიმართავს მხოლოდ იმ ხალხისათვის, ვისაც, პირობითად, დამნაშავეებს უწოდებენ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბევრი სოციალისტური თვალსაზრისი, რომელსაც გავეცანი, იძულების თუ არა, ძალდატანების იდეებს ატარებს, რასაკვირველია, ძალაუფლება და იძულება უნდა გამოირიცხოს, მთელი ასოციაცია სრულიად ნებაყოფლობითი უნდა იყოს, მხოლოდ ნებაყოფლობით ასოციაციებში გრძნობს ადამიანი თავს კარგად.

მაგრამ აქ შეიძლება დაგვებადოს კითხვა. ინდივიდუალიზმი, რომელიც ახლა ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია კერძო საკუთრებაზე, როგორ განვითარდება კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ? პასუხი მარტივია. ჭეშმარიტია, რომ არსებულ ვითარებაში ზოგიერთმა ადამიანმა, როგორიცაა ბაირონი, შელი, ბრაუნინგი, ვიქტორ ჰიუგო, ბოდლერი და სხვ., ვისაც საკუთარი სახსრები გააჩნდა, შეძლო თავისი პიროვნების რეალიზაცია. არც ერთ მათგანს ერთი დღის დაქირავებული სამუშაოც კი არ შეუსრულებია. მათ არ იცოდნენ, რა არის სიღარიბე და ეს მათი განუზომელი უპირატესობა იყო. ჩვენი შეკითხვა კი სწორედ იმას ეხება, შეიქმნება თუ არა ხელსაყრელი პირობები ინდივიდუალიზმის განვითარებისათვის, როდესაც ამ სახის უპირატესობა საერთოდ აღარ იარსებებს. დავუშვათ, ის ნამდვილად აღარ არსებობს. რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მაშინ ინდივიდუალიზმი? როგორ განვითარდება ის?

ახალ ვითარებაში ინდივიდუალიზმი გაცილებით უფრო თავისუფალი, უფრო ამაღლებული და ინტენსიური იქნება, ვიდრე ამჟამად. მე ვგულისხმობ არა წარმოსახვაში რეალიზებულ ინდივიდუალიზმს იმ პოეტებისა, ვის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, არამედ დიდ ჭეშმარიტ ინდივიდუალიზმს, ზოგადად, ლატენტურად და პოტენციურად არსებულს კაცობრიობაში. კერძო საკუთრების აღიარებამ ზიანი მიაყენა ინდივიდუალიზმს და დაჩრდილა იგი; ადამიანი და მისი ქონება ერთმანეთში აირია. ჭეშმარიტ გზას ასცილა ინდივიდუალიზმი, მიზნად მოგება დაუსახა და არა განვითარება. ამიტომ ადამიანმაც იფიქრა, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გაქვს, და არა იმას, თუ ვინ ხარ. ადამიანის ჭეშმარიტი სრულყოფილება ნიშნავს არა იმას, თუ რა აქვს ადამიანს. არამედ იმას თუ ვინ არის იგი. კერძო საკუთრებამ მოსპო ჭეშმარიტი ინდივიდუალიზმი და მის ნაცვლად ყალბი ინდივიდუალიზმი წარმოშვა. საზოგადოების ერთ ნაწილს მან ინდივიდუალიზმი შიმშილით მოუსპო, საზოგადოების მეორე ნაწილს კი მისი არასწორ გზაზე და[illegible] სახსჯარი მოვალეობის დატვირთვით [illegible] ინდივიდუალიზმის განვითარების საშუალება. მართლაც, ადამიანის პიროვნება იმდენად სრულად შთანთქა თავის საკუთრებაში, რომ თვით ინგლისური კანონებიც კი ადამიანის საკუთრების ხელყოფას . გაცილებით უფრო მკაცრად სჯის, ვიდრე პიროვნების შეურაცხყოფას. დღეს საკუთრება მოქალაქეობის სრული ტესტია. ინდუსტრია, რომელიც ფულის მოხვეჭისათვისაა საჭირო, აგრეთვე დეგრადირებაა. ჩვენი საზოგადოება, სადაც საკუთრება ადამიანს უდიდეს უპირატესობას და წარმოჩინებას, სოციალურ მდგომარეობას, კარგ სახელს, პატივს, ტიტულებსა და სხვა ცხოვრებისეულ სიამოვნებებს ანიჭებს, მიმართავს მას საკუთრების დასაგროვებლად, ვინაიდან ადამიანი ბუნებით პატივმოყვარეა. იგი დაუღალავად და მომაბეზრებლად განაგრძობს ქონების დაგროვებას მას შემდეგაც კი, როდესაც უკვე იმაზე გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე სჭირდება, ან შეუძლია მისი გამოყენება თუ მოხმარება და აღარც კი იცის, რამდენი აქვს. ადამიანი მზადაა თავი მოიკლას ზედმეტი მუშაობით, ოღონდ თავისი საკუთრება უზრუნველყოს. თუ წარმოვიდგენთ იმ უდიდეს უპირატესობას, რაც საკუთრებას მოაქვს საზოგადოების თვალში, ეს გაკვირვებას აღარ უნდა იწვევდეს. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ საზოგადოება ამგვარადაა აგებული და ადამიანს იძულებით ისეთი ცხოვრების მწყობრში აგდებს, რომელიც უსპობს საშუალებას თავისუფლად განავითაროს ის, რაც ყველაზე მთავარი, მომხიბვლელი და განუმეორებელია მასში, ამიტომ კარგავს რეალური ცხოვრების ჭეშმარიტ სიამოვნებასა და სიხარულს. ამასთანავე არსებულ ვითარებაში მისი მდგომარეობა მეტად არამყარია, უზომოდ მდიდარი ვაჭარი შეიძლება და ხშირად არის კიდეც სრულიად მოულოდნელ სიტუაციაზე დამოკიდებული, რომელიც მის ნებას არ ექვემდებარება. თუ ქარი ზომაზე მეტად დაუბერავს ან ამინდი მოულოდნელად შეიცვლება, სულ უბრალო მიზეზმაც კი შეიძლება გამოიწვიოს მისი გემის ჩაძირვა ,ან მისი აქციების დაწევა ბირჟაზე, და ის უცბად გაკოტრდება. მისი სოციალური მდგომარეობაც თვალსა და ხელს შუა გაქრება. სინამდვილეში კი ,ადამიანისათვის ზიანის მოტანა საკუთარი თავის გარდა არავერს არ შეუძლია, რასაც ადამიანი ჭეშმარიტად ფლობს ის მთლიანად მას-

შია. ყოველივე, რაც მას გარეთ ძევს, სრულიად უმნიშვნელოა.

კერძო საკუთრების მოსპობის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ჭეშმარიტ, მშვენიერ, ჯანსაღ ინდივიდუალიზმს, არავინ გაფლანგავს თავის ცხოვრებას საგნების დაგროვებაში, ადამიანი იცხოვრებს. იცხოვრო — ეს უიშვიათესი რამაა სამყაროში. ადამიანთა უმრავლესობა არსებობს. მხოლოდ და მხოლოდ არსებობს.

ვიკითხოთ, ყოფილა თუ სადმე შემთხვევა, პიროვნებას სრულიად გამოეხატოს თავისი თავი, ხელოვნების სფეროს ჩაუთვლელად. ვაღიაროთ, რომ — არა; ცეზარი, ამბობს მომზენი — სრულყოფილი ადამიანი იყო, მაგრამ რა ტრაგიკულად დაუცველებული იყო იგი! როდესაც არსებობს ადამიანი, რომელიც ამ ძალაუფლებას განახორციელებს, არსებობს მეორე ადამიანიც, რომელიც ამ ძალაუფლებას დაუპირისპირდება. ცეზარი ძალზე სრულყოფილი იყო, მაგრამ ამ სრულყოფილ ადამიანს მეტად სახიფათო გზებზე უხდებოდა სიარული. მარკუს ავრელიუსი სრულყოფილი კაცი იყო, — ამბობს რენანი. დიახ, დიდი იმპერატორი სრულყოფილი იყო, მაგრამ რა აუტანელი იყო უსასრულო ჩივილები მასზე. ის ტორტმანობდა იმპერიის ტვირთის ქვეშ. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რაოდენ შეუძლებელი იყო ერთი კაცისთვის ტიტანის სიმძიმისა და უკიდეგანო იმპერიის ტარება. სრულყოფილ ადამიანად მივიჩნევ ისეთ ადამიანს, ვინც სრულყოფილ პირობებში ვითარდება, ვინც არ არის დაჭრილი ან შეწუხებული, დამახინჯებული ან საფრთხეში ჩავარდნილი. პიროვნებათა უმრავლესობა იძულებული იყო მეამბოხე ყოფილიყო. მათი ენერგიის ნახევარი უთანხმოებებში დაიხარჯა. მაგალითად, ბაირონის პიროვნება უღვთოდ იხარჯებოდა ინგლისელთა შეუგნებლობის, ფარისევლობისა და მეშჩანობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი ბრძოლა ყოველთვის არ უწყობს ხელს ძალთა ინტენსიფიკაციას, პირიქით, ხშირად, ასუსტებს პიროვნებას და ბაირონმაც ვერ შეძლო მოეცა ჩვენთვის ის რისი მოცემაც მას შეეძლო. შელი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მანაც, როგორც ბაირონმა, მალე დატოვა ინგლისი. მაგრამ შელი არ იყო ბაირონივით ცნობილი. ინგლისელებს რომ თავის დროზე ჩაეხედათ, რა დიდი პოეტი იყო შელი სინამდვილეში, მთელი ძალით დააცხრებოდნენ თავზე და შეეცდებოდნენ მისი ცხოვრება გაუსაძლისი გაეხადათ. მაგრამ შელი არ წარმოადგენდა თვალსაჩინო ფიგურას საზოგადოებაში და ამიტომ შეძლო გარკვეულწილად თავი დაეღწია მისგან, თუმცა შელიშიც ძლიერად ჟღერს მეამბოხის ნოტა. ხოლო სრულყოფილ პიროვნებას ამბოხება კი არა, სიმშვიდე უნდა ახასიათებდეს.

საოცარი რამ იქნება ჭეშმარიტი პიროვნების გამოჩენა. ის გაიზრდება ბუნებრივად და მარტივად, როგორც იზრდება ყვავილი ან ხე. ის არ დაამტკიცებს საგნებს. მას ყველაფერი ეცოდინება და, თუმცა [illegible] წიგნებში თავჩარგული, [illegible] იქნება, მისი ღირებულება არ განისაზღვრება მატერიალური ნივთებით. მას არაფერი ექნება, და მაინც ყველაფერი ექნება. რაც არ უნდა წაიღონ მისგან, ის მაინც მდიდარი იქნება. ის არ ჩაერევა სხვის საქმეებში და მაინც ყველას დაეხმარება ისევე, როგორც მშვენიერი საგანი გვეხმარება იმით, რომ არსებობს. პიროვნება ბავშვივით ლაღი და განუმეორებელი იქნება.

განვითარებაში მას ქრისტიანობა დაეხმარება, თუ ადამიანები ამას მოისურვებენ, მაგრამ თუ არ მოისურვებენ, მაინც უეჭველად განვითარდება, არ იფიქრებს წარსულზე, არად ჩააგდებს, რამე მოხდა თუ არა, არც სხვა კანონებს მიიღებს, გარდა საკუთარი კანონებისა; არც სხვა ძალაუფლებას, გარდა საკუთარი ძალაუფლებისა. თუმცა მას უყვარება ისინი, ვინც ეძიებდა მის ძლიერებას, და ხშირად ილაპარაკებს მათზე. მათ შორის ერთ-ერთი ქრისტე იყო.

„შეიცან თავი შენი", — ასეთი წარწერა იყო ანტიკური სამყაროს კარიბჭეზე. ახალი სამყაროს კარიბჭეზე დაიწერება „იყავ თავი შენი". ქრისტეს ეპისტოლე ადამიანებისადმი იყო უბრალოდ „იყავ თავი შენი". ეს ქრისტეს საიდუმლოა.

როდესაც იესო ღარიბებზე ლაპარაკობს, ის, უბრალოდ, გულისხმობს პიროვნებებს ისევე, როგორც, როდესაც ლაპარაკობს მდიდრებზე, უბრალოდ გულისხმობს ადამიანებს, რომლებმაც ვერ შეძლეს თავისი პიროვნების განვითარება. იესო ქრისტე ცხოვრობდა საზოგადოებაში, რომელშიც ნებადართული იყო კერძო საკუთრების დაგროვება მსგავსად ჩვენი საზოგადოებისა. სახარებაში იგი არ ქადაგებდა, რომ ადამიანისთვის უპირატესობას წარმოადგენს ხელმოკლე ცხოვრება, ცუდი კვება, ძონძებით სიარული, ძილი საშინელ, ჯანმრთელობისათვის მავნე შენობებში, რომ ცხოვრება ჯანსაღ, სასიამოვნო და ნორმალურ პირობებში არასასარგებლოა. ასეთი თვალსაზრისი მცდარი იყო მაშინაც და იმდროინდელ ვითარებაში და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მცდარია ახლა — თანამედროვე ინგლისში. რადგან ჩრდილოეთში მცხოვრები ადამიანისათვის ცხოვრების მატერიალური აუცილებლობანი კიდევ უფრო დიდ სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ჩვენი საზოგადოება განუსაზღვრელად უფრო რთულია და ფუფუნებისა და სიღარიბის გაცილებით დიდ კონტრასტებს წარმოაჩენს, ვიდრე ანტიკური სამყაროს რომე-

ლიამე საზოგადოება. ამას გულისხმობდა იესო და ასე მიმართავდა ადამიანებს:

„შენ ხომ გაქვს პიროვნება. ხარ, განივითარე იგი. იყავი თავისთავადი. ნუ წარმოიდგენ, რომ შენი სრულყოფა საგნების მოხვეჭასა და დაგროვებაში ძევს. შენი საუკეთესო შენშია. თუ შენ შეძლებ ამის გაცნობიერებას, აღარ მოგინდება იყო მდიდარი. ჩვეულებრივი სიმდიდრე შეიძლება მოპარონ ადამიანს. ჭეშმარიტი სიმდიდრის მოპარვა შეუძლებელია. შენი სულის საგანძურში უთვალავი ძვირფასეულობაა, რომლებსაც ვერავინ წაგლეჯს. ამიტომ შეეცადე ისე იცხოვრო, გარეგანმა საგნებმა ზიანი ვერ მოგაყენონ. ეცადე აგრეთვე, თავიდან მოიშორო შენი ქონება, ის მოიცავს მდაბალ საქმიანობას, ამაო გულმოდგინებას, მუდმივ ხიროტ-ხას. ქონება ხელს უშლის ინდივიდუალიზმს ყოველ ნაბიჯზე". აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იესო ქრისტე არსადაც არ ამბობს, რომ ღარიბები — აუცილებლად — კარგები და მდიდრები — აუცილებლად — ცუდები არიან. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. მდიდრები მაინც, როგორც კლასი, ღარიბებზე უკეთესნი, უფრო ზნეობრივი, ინტელექტუალური და კარგად აღზრდილი. საზოგადოების ერთადერთი კლასი, რომელიც მდიდრებზე გაცილებით მეტს ფიქრობს ფულზე, ღატაკთა კლასია. მათ სხვა არაფერზე ძალუძთ ფიქრი. ღატაკთა უბედურება სწორედ ეს არის. იესო ამბობს, რომ ადამიანი თავის სრულყოფას აღწევს არა იმის საშუალებით, რაც მას გააჩნია, ან თვისი საქმიანობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რასაც ის წარმოადგენს. მდიდარი ახალგაზრდა, რომელიც მიდის იესოსთან, წარმოდგენილია, როგორც შესანიშნავი კარგი მოქალაქე: მას არასოდეს არ დაურღვევია სახელმწიფოს არც ერთი კანონი, ან თავისი რელიგიის რომელიმე მცნება. ის პატივსაცემია ამ სიტყვის, ამ არაჩვეულებრივი სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. იესო უთხრა მას: „შენ უნდა უარყო შენი ქონება. ის ხელს უშლის შენი სრულყოფილების რეალიზაციას. ის ტვირთია შენთვის. შენს პიროვნებას ის არ სჭირდება. რაც შენ უნდა მოიპოვო, რაც ნამდვილად არის და რაც ნამდვილად გსურს, მხოლოდ შენშია და არა შენს გარეთ". ამასვე ეუბნება ის საკუთარ მეგობრებს, მოუწოდებს მათ, იყვნენ თავისთავადნი, და განუწყვეტლად არ ფიქრობდნენ გარეშე საგნებზე. რა მნიშვნელობა აქვს საგნებს? ადამიანი დასრულებულია თავის თავში. მაგრამ ამ ამბავში ის არ უნდა დააჯეროს, ეს გარდაუვალია. სამყაროს სძულს ინდივიდუალიზმი. ადამიანი უნდა იყოს მშვიდი და ეგოცენტრული. თუ ვინმე მოსასხამს წაართმევს, პალტოც უნდა მისცეს, რათა აჩვენოს, რომ მატე-

რიალურ საგნებს მნიშვნელობა არა აქვთ. თუ ხალხი დაამცირებს, პასუხი არ გასცეს. რას ნიშნავს ეს? ის, რასაც ხალხი ადამიანზე ამბობს, ის არ ცვლის ადამიანს. ის, რაც არის, არის. საზოგადოების აზრს, მსგავსად, არავითარი ღირებულება არა აქვს. შეიძლება რომელსაც ადამიანმა ძალადობას მიმართოს, მაგრამ თვით მხოლოდ ძალადობით არ უნდა უპასუხოს, რადგან ეს მისი დაცემა იქნება და ბოლოს, ადამიანს ციხეშიც კი იყოს სრულიად თავისუფალი. მისი სული შეუძლია იყოს თავისუფალი. მის პიროვნებას ძალუძს შეინარჩუნოს წონასწორობა, მშვიდი სიმშვიდე. რაც მთავარია, მან არ უნდა შეუშალოს ხელი სხვებს და არ უნდა განსაჯოს სხვები. პიროვნება ძალზე საოცრებითაა მოცული. არ შეიძლება ადამიანი ყოველთვის იმით შეფასდეს, თუ რას აკეთებს. შეიძლება ის ქორწინდეს არ არღვევდეს და მაინც უვარგისი იყოს. შეიძლება ადამიანმა დაარღვიოს კანონი მაგრამ მაინც მშვენიერი დარჩეს. ის შეიძლება იყოს ცუდი, ისე, რომ არასოდეს ჩაედინოს რაიმე ცუდი. შეიძლება მან ჩაიდინოს ცოდვა საზოგადოების წინაშე და ამ ცოდვით მოახდინოს თავისი ჭეშმარიტი სრულყოფის რეალიზაცია.

იყო ქალი, ვინც მრუშობდა. ჩვენ არ ვიცით მისი სიყვარულის ისტორია, მაგრამ უთუოდ დიდი უნდა ყოფილიყო ეს სიყვარული. ვინაიდან იესომ თქვა, რომ მისი ცოდვები მიტევებულია არა იმიტომ, რომ მან მოინანია, არამედ იმიტომ, რომ მისი სიყვარული ძლიერი და უსაზღვრო იყო. მოგვიანებით, იესოს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც იესო ნადიმობდა, ქალი მივიდა მასთან და სურნელოვანი ზეთი დაასხა თავზე. იესოს მეგობრები აღშფოთდნენ და უთხრეს მას, რომ ეს წარწყმედა იყო სურნელოვანისა და ის ფული, რაც სურნელოვანებაში გადაიხადა ქველმოქმედებისთვის ან რაიმე საქველმოქმედო საქმეზე უნდა დაეხარჯულიყო. იესომ არ გაიზიარა მათი აზრი. მან თქვა, რომ ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებანი დიდია და აუცილებლად, მაგრამ კიდევ უფრო დიდია მისი სულიერი მოთხოვნილებანი და ერთ ღვთაებრივ მომენტში, გამოხატვის საკუთარ ფორმაში პიროვნებამ შეიძლება სრულყოფას მიაღწიოს. ხალხი დღესაც აღმერთებს ამ ქალს, როგორც წმინდანს.

დიახ, ინდივიდუალიზმში ზოგი რამ ხდება. სოციალიზმი აუქმებს ოჯახურ ცხოვრებას. კერძო საკუთრების გაუქმებასთან ერთად, მსგავსად, ქორწინება იმ ფორმით, როგორც ახლა არსებობს, იქნება, ეს პროგრამის ნაწილია. ინდივიდუალიზმი იღებს ამას და კიდევ უფრო ამაღლებს.

ლეგალური საზღვრების გაქრობას ის თავისუფლების ფორმით ცვლის და ეს ხელს შეუწყობს პიროვნების სრულ განვითარებას. მამაკაცისა და ქალის სიყვარულიც უფრო ამაღლებული, მშვენიერი და კეთილშობილური გახდება. იესომ ეს კარგად უწყოდა. ის უარყოფდა ოჯახურ ცხოვრებას, რომელიც მის დროსა და მის საზოგადოებაში საკმაოდ ჩამოყალიბებული ფორმით არსებობდა. „ვინ არის დედაჩემი? ვინ არიან ძმანი ჩემნი?" იტყოდა იესო, როდესაც უთხრეს, რომ მათ მასთან ლაპარაკი სურდათ. როდესაც ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა სთხოვა იესოს გაეშვა იგი მამის დასასაფლავებლად, „აცადენ მკუდარნი დაფლავან თავისთა მკუდართა", იყო მისი პასუხი. ის არავის აძლევდა ნებას, რაიმე მოთხოვნა წაეყენებინა პიროვნებისათვის.

და ასე, ვინც ქრისტეს მსგავსად იცხოვრებს, სრულყოფილად და აბსოლუტურად თავისთავადია. ის შეიძლება იყოს დიდი პოეტი ან მეცნიერი, სტუდენტი უნივერსიტეტში, თუ მწყემსი „ცხვარს რომ აძოვებს ტირიფთა და მანანების დაფარულ ველზე; დრამატურგი, როგორიც იყო შექსპირი, და მოაზროვნე, როგორიც იყო სპინოზა; ბავშვი, ბაღში რომ თამაშობს ან მებადური, ბადეს რომ ისვრის ზღვაში. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ის, მთავარია, მან შეძლოს თავისი სულის რეალიზაცია, ყოველივე იმის რეალიზაცია, რაც მასშია. ყველანაირი იმიტაცია, ქცევასა თუ ცხოვრებაში, მცდარია. იერუსალიმის ქუჩებში დღესაც დაძრწის ერთი გიჟი და მხრებით დაატარებს ხის ჯვარს . ის სიმბოლოა მათი, ვისი ცხოვრებაც მიბაძვამ დაასამარა. მამა დამიენი ქრისტესავით მოიქცა, როდესაც კეთროვანებთან წავიდა საცხოვრებლად, რადგან ამ საქციელში მოიგა ყოველივე იმის რეალიზაცია, რაც საუკეთესო იყო მის არსებაში. მაგრამ დამიენი ვაგნერზე ან შელიზე ნაკლებ როდი გავდა ქრისტეს, რომელთაც სულის რეალიზაცია მუსიკაში თუ პოეზიაში ჰპოვეს. არ არსებობს ერთი სახის სრულყოფილება ადამიანთათვის. სრულყოფილნიც იმდენნი არიან, რამდენიც არასრულყოფილნი. შესაძლებელია, ადამიანმა დაუთმოს ქველმოქმედების იმპულსებს და მაინც თავისუფალი დარჩეს. მაგრამ თუ ის კონფორმიზმის მოთხოვნებს დაემორჩილება, მაშინ ვერ შეინარჩუნებს თავისუფლებას.

ინდივიდუალიზმი — აი, რა უნდა მოვიპოვოთ სოციალიზმის საშუალებით. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უარი თქვას ხელისუფლების არსებობის ყოველნაირ იდეაზე. უარი უნდა თქვას იმიტომ, რომ, როგორც ქრისტეს მოსვლამდე საუკუნეებით ადრე ერთ ბრძენს უთქვამს, შესაძლებელია კაცობრიობა მარტო დარჩეს, მაგრამ შეუძლებელია კაცობრიობის მართვა. სახელმწიფოს არსებობის ყოველი ფორმა დასამარცხებლადაა განწირული. დესპოტიზმი უსამართლობაა ყველას მიმართ, და, პირველ რიგში, თვით დესპოტის მიმართ, ვინაიდან იგი, უთუოდ, უკეთესი საქმეებისათვის იყო დაბადებული. ოლიგარქიები უსამართლობაა უმრავლესობის, ოლიქარტია, კი, უმცირესობის მიმართ. ერთ დროს დიდ იმედებს ამყარებდნენ დემოკრატიაზე, მაგრამ დემოკრატია ნიშნავს მხოლოდ ხალხის ცემას ხელკეტებით ხალხის მიერ და ხალხისათვის. ეს დღეს უკვე ნათელია, დროა ითქვას, რომ ყველანაირი ძალაუფლება აბსოლუტურად დამამცირებელია. ეს ნიშნავს ორივე მხარის დაცემას — ვინც ახორციელებს ძალაუფლებას და ვისზედაც ეს ძალაუფლება ხორციელდება. თუ ძალაუფლებას ახორციელებენ ძლიერად, უხეშად და შეუბრალებლად, ის უკეთეს შედეგს იძლევა მეამბოხური სულისა და ინდივიდუალიზმის წარმოშობით, ან, თუნდაც, წარმოჩენით, რათა ამ უკანასკნელმა გაანადგუროს ის. როდესაც ძალაუფლების გამოყენებას თან ვითომდა სიკეთეც ახლავს, და ამას ემატება ჩინ-მედლების დარიგება, ის მომაკვდინებლად მოქმედებს და იწვევს მათ დეგრადაციას. ასეთ შემთხვევაში ხალხი ნაკლებად აცნობიერებს იმ საშინელ ძალადობას, რომელსაც განიცდის და ცხოვრობს ისე, როგორც შინაური ცხოველები, უხამსი კომფორტით გარშემორტყმული, და ერთხელაც არ დაფიქრდება, რომ სხვათა აზრებით ფიქრობს, სხვათა სტანდარტებით ცხოვრობს, აცვია, შეიძლება ითქვას, სხვა ხალხის ნაცვამი ტანსაცმელი და ერთი წუთითაც კი არ შეუძლია თავისუფალი იყოს. „მას, ვინც თავისუფალია", ამბობს მოაზროვნე, „არ უნდა მიეცეს სიმშვიდე". ხოლო ხელისუფლება, რომელიც ცდილობს სიმშვიდით მოისყიდოს ხალხი, გაქსუებულ ბარბაროსობას თესავს მათში.

ხელისუფლებასთან ერთად სასჯელიც გაქრება და ეს იქნება უდაოდ დიდი მონაპოვარი — მონაპოვარი, ფაქტიურად, შეუფასებელი ღირებულებისა. როდესაც ისტორიას ვეცნობით, ვგულისხმობ არა იმ გამოცემებს, რომლებიც განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისა და დიპლომების მაძიებელთათვის, საიდანაც არასასურველი ადგილები ამოღებულია, არამედ ყოველი დროის ორიგინალურ ავტორიტეტულ წყაროებს, ადამიანს უთუოდ გული ერევა არა იმ დანაშაულებათა გამო, ბოროტმა ხალხმა რომ ჩაიდინა, იმ სასჯელის გამო, კეთილმა ხალხმა რომ მიუსაჯა მათ. საზოგადოება განუსაზღვრელად უფრო ულმობელი ხდება სასჯელის ჩვეული გამოყენებით, ვიდრე დანაშაულის ჩადენით. აქედან ნათლად გამომდინარეობს, რომ, რაც უფრო მკაცრია სასჯელი, მით უფრო იზრდება დანაშაული. თანამედროვე კანონმდებელთა უმრავლესობამ ნათლად შეიგნო ეს და მიზნად დაისახა, შეემცირებინა სასჯელი. რამდე-

ნადაც ეს შესაძლებელია. სასჯელი უფრო ჰუმანური გახდა. შედეგები უკვე უაღრესად კარგია. ნაკლები სასჯელი ნაკლები დანაშაულია. როდესაც საერთოდ არ იქნება სასჯელი, დანაშაული ან შეწყვეტს არსებობას ან, თუ მაინც იქნება, მას ექიმები უმკურნალებენ, როგორც გონებრივი სისუსტის მეტად შემაწუხებელ ფორმას, რომელიც მზრუნველობითა და სიკეთით უნდა განიკურნოს. ვისაც დღეს კრიმინალებს უწოდებენ, ისინი სრულიადაც არ არიან კრიმინალები, შიმშილი და არა ცოდვა, შობს თანამედროვე დანაშაულს. სწორედ ამიტომ არიან ჩვენი კრიმინალები, როგორც კლასი, სრულიად უინტერესო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მათ შორის ვერ ნახავთ ვერაგ მაკბეტებს და ვერც საშინელ ვოტრინებს. ისინი, უბრალოდ, ჩვეულებრივი, პატივცემული ხალხი იქნებოდა, საკმარისი საჭმელი რომ ჰქონოდათ. როდესაც კერძო საკუთრება გაუქმდება, დანაშაულის ჩადენის არავითარი აუცილებლობა არ იქნება და ის აღარ იარსებებს. რა თქმა უნდა, ყველა დანაშაული არ არის დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თუმცა ჭარბდება ისეთი სახის დანაშაული, რომელსაც ინგლისური კანონი, რომელიც უფრო იმას აფასებს, თუ რა აქვს კაცს, ვიდრე იმას, თუ რას წარმოადგენს იგი, მთელი სისასტიკითა და შემაძრწუნებელი ულმობელობით სჯის (თუ გამოვრიცხავთ მკვლელობას და ჩავთვლით სიკვდილს უფრო დიდ საშინელებად, ვიდრე კატორღულ სამუშაოებს, მაგრამ ამ თვალსაზრისს, დარწმუნებული ვარ, ჩვენი კრიმინალები არ დაეთანხმებიან.). შეიძლება დანაშაული არ იყოს მიმართული საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ მას წარმოშობს სილატაკე და დეპრესია, რომელსაც ქმნის კერძო საკუთრებაზე აგებული უსამართლო სისტემა. ასე რომ, როდესაც ეს სისტემა გაუქმდება, დანაშაული გაქრება. როდესაც საზოგადოების თითოეული წევრი შეძლებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მას არავინ შეუშლის ხელს და არ დაესხმის თავს, თავისთავად გაქრება დანაშაული. აღარავისთვის იქნება საინტერესო ვინმეზე თავდასხმა. ეჭვიანობა, რომელიც დანაშაულის მნიშვნელოვანი წყაროა თანამედროვე ცხოვრებაში, ისეთი სახის ემოციაა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საკუთრების ჩვენეულ კონცეფციას და რომელიც სოციალიზმისა და ინდივიდუალიზმის დროს გაქრება. საყურადღებოა, რომ კომუნისტური ტომებისათვის ეჭვიანობა სრულიად უცნობია.

როდესაც სახელმწიფო აღარ იქნება მმართველი ორგანო, ბუნებრივია, დაიბადება კითხვა, თუ რა ფუნქცია დაეკისრება ხელისუფლებას. ის იქნება ნებაყოფლობითი ასოციაცია, რომელიც მოაწყობს შრომის ორგანიზაციას, და იქნება მწარმოებელი და გამანაწილებელი აუცილებელი საქონლისა. სახელმწიფომ უნდა შექმნას ის, რაც სასარგებლოა. ინდივიდმა უნდა შექმნას ის, რაც მშვენიერია. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ფიზიკური შრომის ღირსებაზე. ფიზიკურ შრომაში ღირსეული აბსოლუტურად არაფერია, იგი მხოლოდ დეგრადაციას ახდენს. ადამიანისათვის [illegible] მორალურად შეურაცხმყოფელია ისეთი საქმიანობა, რომელიც მას სიამოვნებას არ ანიჭებს. ხილი შრომის ბევრი ფორმა სრულიად უბადრუკი მოქმედებაა, და ასეც უნდა ჩაითვალოს. ტალახიანი გზაჯვარედინის დაგვა-დასუფთავება დღეში რვა საათის განმავლობაში, მით უმეტეს, თუ თან აღმოსავლეთის ქარი ქრის, საზიზღრობაა. იგი გონებრივი, მორალური და ფიზიკური ღირსების შელახვად მიმაჩნია. დაუჯერებელია ვინმემ ეს სიხარულით გააკეთოს. ადამიანი იმისათვის როდია შექმნილი, რომ ჭუჭყში ურიოს ხელი. ასეთი სახის სამუშაოს მანქანა უნდა ასრულებდეს.

ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში ასეც იქნება. დღემდე ადამიანი, გარკვეულად, მანქანის მონა იყო. არის რაღაც ტრაგიკული იმ ფაქტში, რომ, როგორც კი ადამიანმა გამოიგონა მანქანა, რომელსაც საქმე მის მაგივრად უნდა ეკეთებინა, მან შიმშილი დაიწყო. თუმცა სინამდვილეში ეს საკუთრებისა და კონკურენციის სისტემის შედეგია. ერთი ადამიანი ფლობს მანქანას, რომელიც ხუთასი კაცის საქმეს ასრულებს. ამის შედეგად, ხუთასი კაცი ითხოვენ სამუშაოდან. (და რჩებიან რა უმუშევარნი) იწყება შიმშილი და ქურდობა. ერთ ადამიანს კი ხუთასჯერ მეტი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონდეს. ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე სჭირდება. თუ ის მანქანა საყოველთაო საკუთრება იქნება, ყველა ისარგებლებს იმით და საზოგადოება დიდ უპირატესობას მოიპოვებს. ყველანაირი (სახის) არაინტელექტუალური, მონოტონური, მოსაწყენი სამუშაო მანქანამ უნდა შეასრულოს. მანქანამ უნდა იმუშაოს (ჩვენს მაგივრად) ნახშირის მაღაროებში, შეასრულოს ყველა სახის სანიტარული სამსახური, ორთქლმავლის ცეცხლფარეშის სამსახური, დაასუფთაოს ქუჩები, დაარიგოს წერილები წვიმიან დღეს და, საერთოდ, გააკეთოს ყველაფერი, რაც დამქანცველი და შემაწუხებელია. დღეს მანქანა ადამიანს უწევს კონკურენციას, ნორმალურ პირობებში კი მანქანა ადამიანს მოემსახურება. უდაოა, რომ ასეთია მომავალი, იმ დროს, როდესაც ჯენტლმენს სძინავს, ხე იზრდება. სწორედ ასე, როდესაც კაცობრიობა გაერთობა ან კულტურული დასვენებით ისიამოვნებს, რამეთუ ადამიანის მიზანი მშვენიერი საგნების შექმნა ან წიგნების კითხვა, ან, უბრალოდ, სამყაროს ჭვრეტაა, ამ

დროს მანქანა შეასრულებს ყველა აუცილებელ და უსიამოვნო სამუშაოს. საქმე იმაშია, რომ ცივილიზაციას სჭირდება მონები. ამ საკითხში ბერძნები ცამდე მართალნი იყვნენ: თუ არ არიან მონები, რომლებიც მძიმე, მომაბეზრებელ სამუშაოს ასრულებენ, კულტურის დონის ამაღლება და სამყაროს ჭვრეტა წარმოუდგენელია, ხოლო ადამიანი — მონა — ბოროტება, უსამართლობა და დემორალიზაციაა. მექანიკურ მონობაზე, უფრო სწორად, მანქანების დამონებაზეა მხოლოდ მომავალი დამოკიდებული. მაშინ მეცნიერებს აღარ მოუწევთ ისტ ენდში კაკაოს და უვარგისი გადასაფარებლების განაწილება, მათ ექნებათ დრო საინტერესო დასვენებისათვის, რათა გამოიგონონ და შექმნან არაჩვეულებრივი და საოცარი საგნები თავისდა და ყველას სასიხარულოდ. შეიქმნება ძალების უდიდესი მარაგი ყოველი მოქალაქისა და ყოველი სახლისთვის, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანი გამოიყენებს თანახმად თავისი მოთხოვნილებისა. უტოპიაა ეს? მსოფლიოს რუკაზე უტოპიას ჯერ არ ეთმობა ადგილი, რადგან ესაა ქვეყანა, სადაც კაცობრიობა უნდა დამკვიდრდეს და, როდესაც კაცობრიობა დამკვიდრდება, მიიხედ-მოიხედავს, დაინახავს უკეთეს ქვეყანას და აუშვებს ღუზას. პროგრესი უტოპიის რეალიზაციაა.

როგორც ვთქვი, საზოგადოება მანქანების საშუალებით დააგროვებს სასარგებლო საგნებს, ხოლო მშვენიერ საგნებს ინდივიდი შექმნის. განხორციელდება თუ არა ეს აუცილებლად, არ ვიცი, მაგრამ ეს ერთადერთ შესაძლებელ გზად მესახება. და ამ გზით უნდა ვიაროთ. ინდივიდი, რომელიც ქმნის საგნებს სხვათა მოხმარად, მათი საჭიროებისა და სურვილების გათვალისწინებით, არ მუშაობს ინტერესით, და, შესაბამისად, ვერ ახერხებს (მოახდენს) თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაცია საქმიანობაში, მეორე მხრივ, როდესაც საზოგადოება თუ საზოგადოების ძლევამოსილი ნაწილი, ან ხელისუფლება კარნახობს ხელოვანს თავის მოთხოვნებს, ხელოვნება ან წყვეტს არსებობას, ან სტერეოტიპად და ხელოსნობის უმდაბლეს, სამარცხვინო ფორმად იქცევა. ხელოვნების ნაწარმოები უნიკალური ტემპერამენტის უნიკალური შედეგია. მისი მშვენიერება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არის მისი ავტორი, და არა იმაზე, თუ რა სურთ სხვებს; მართლაც, იმ მომენტიდან, როდესაც ხელოვანი იწყებს სხვათა სურვილების გათვალისწინებას და მათი მოთხოვნების შესრულებას, ის უკვე ხელოვანი აღარ არის; ის გადაიქცევა მოსაწყენ ან გამრთობ ხელოსნად, პატიოსან ან უპატიოსნო ვაჭრად და კარგავს უფლებას, ერქვას ხელოვანი. ხელოვნება ყველაზე არსებითი ფორმაა ინდივიდუალიზმისა, რომელიც კი ოდესმე არსებულა, ან, უფრო სწორად, არსებული ინდივიდუალიზმის ერთადერთი რეალური სახეა. დანაშაულმა, რომელმაც გარკვეულ პირობებში თითქოსდა წარმოქმნა ინდივიდუალიზმი, უეჭველად უნდა გაითვალისწინოს სხვათა არსებობა და მათ საქმეებში ჩარევა. ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მარტოობაში, თავისი მეზობლების თუ სხვათა ჩარევის გარეშე, მხოლოდ ხელოვანს შეუძლია შექმნას მშვენიერი საგანი, და თუ ის არ აკეთებს ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის, მას არ შეიძლება ეწოდოს ხელოვანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელოვნება ინდივიდუალიზმის ინტენსიური ფორმაა და ეს აიძულებს ადამიანებს, სცადონ, თავიანთი ძალა და ავტორიტეტი განავრცონ მასზე, რაც ამორალური და სასაცილოა და მხოლოდ ზიზღს იწვევს, მაგრამ ეს მხოლოდ მათი ბრალი არაა. ადამიანები ყოველ დროში ცუდად აღზრდილნი იყვნენ, ეს დღესაც ასეა: ყოველთვის მოითხოვდნენ და დღესაც მოითხოვენ, რომ ხელოვნება იყოს პოპულარული, რათა დააკმაყოფილოს მათი დაბალი გემოვნება, ხოტბა შეასხას მათ აბსურდულ ამაო ყოფას, უთხრას ის, რაც ადრეც მოუსმენიათ, აჩვენოს ის, რაც, წესით, უკვე მობეზრებული უნდა ჰქონდეთ, გაართოს, როდესაც მსუყე სადილის შემდეგ თავს მძიმედ იგრძნობენ და, საკუთარი გონებაჩლუნგობით გამოფიტულებს, ფიქრები სხვა რამეზე გადაატანინოს; მაგრამ სინამდვილეში ხელოვნების ნაწარმოები არ საჭიროებს პოპულარობას; ხალხმა უნდა სცადოს ამაღლდეს და გახდეს არტისტული. ამაში დიდი განსხვავებაა. თუ მეცნიერს გააფრთხილებთ, რომ მისი ექსპერიმენტების შედეგები და შესაბამისი დასკვნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადრე მიღებულ, უკვე აღიარებულ ცნებებს, ან წინასწარშექმნილ აზრებს, რომ მან არ უნდა აფორიაქოს, არ უნდა მიაყენოს ტკივილი იმ ადამიანთა გრძნობებს, ვისაც მეცნიერებისა არაფერი გაეგება, თუ ფილოსოფოსს ეტყვით, რომ მას სრული უფლება აქვს განსჯისა და განჭვრეტისა მხოლოდ იმ პირობით, რომ ისეთივე დასკვნები გამოიტანოს, იმათ დასკვნებს რომ ეხმიანებოდეს, ვისაც აზროვნებასთან არაფერი აკავშირებს — ჭეშმარიტად, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც ნამდვილად სიცილის გუნებაზე დადგებიან. ჯერ კიდევ, სულ ახლახან ორივე — ფილოსოფოსიც და მეცნიერებაც ულმობელ ცენზურას — ფაქტიურად, საზოგადოების სრულ უფლებასა და ტერორს ექვემდებარებოდა, ემორჩილებოდა საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივი კლასის ფინანსურ ძალაუფლებასაც. რა თქმა უნდა, ასე თუ ისე, მივაღწიეთ იმას, რომ საზოგადოება, ეკლესია და ხელისუფლება არ ჩაერიოს ინდივიდუალურ თეორიულ აზროვნებაში,

მაგრამ ხელოვნების ინდივიდუალიზმში ჩარევის მცდელობა ჯერ კიდევ გრძელდება. უფრო მეტიც, ის არა მარტო გრძელდება, ის აგრესიულ, შეურაცხმყოფელ და ულმობელ ხასიათს იღებს.

ინგლისში, ხელოვნების ის სახე, რომელიც ახლო კონტროლს გადაურჩა, პოეზიაა, რადგან ხალხს იგი ნაკლებ აინტერესებს. სწორედ ამიტომაც შესანიშნავი პოეზია გვაქვს. ხალხი არ კითხულობს პოეზიის ქმნილებებს და, შესაბამისად, ვერც ახდენს მასზე ზეგავლენას. მათ მოსწონთ პოეტების შეურაცხყოფა, მაგრამ ერთხელ რომ შეურაცხყოფენ, შემდეგ თავს ანებებენ. რაც შეეხება დრამასა და რომანს — ლიტერატურის ეს სახეები ხალხს სწორედაც რომ აინტერესებს, ამ ინტერესის ზეგავლენის შედეგი მეტად სავალალოა. არც ერთ ქვეყანაში არ იქმნება ისეთი სუსტი მხატვრული ლიტერატურა, ისეთი მოსაწყენი, ბანალური რომანები, და ისეთი სულელური, ვულგარული პიესები, როგორიც ინგლისში. ეს გასაგებიცაა. პოპულარული სტანდარტი ისეთია, რომ ვერც ერთი ხელოვანი მას ვერ მიაღწევს. ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც, იყო პოპულარული რომანისტი. ადვილია, რადგან საზოგადოების მოთხოვნები ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა შინაარსი, სტილი, ფსიქოლოგია, დამოკიდებულება ცხოვრებისა და ხელოვნებისადმი ადვილად მისაღწევია საშუალო ნიჭისა და ნაკლებ განვითარებული გონებისათვის. ძნელია, რადგან რომლებიც ახლო მოთხოვნებს უყენებენ ხელოვანს, იგი იძულებული ხდება აიძულოს თავისთავი და წეროს არა იმ სიხარულისთვის, ხელოვნების ნაწარმოების შექმნას რომ მოაქვს, არამედ ნახევრად განათლებული ხალხის გასართობად. ამდენად, მან უნდა დათრგუნოს ინდივიდუალიზმი თავის თავში, დაივიწყოს საკუთარი კულტურა, მოსპოს თავისი სტილი და დათმოს ყოველივე ის, რაც ღირებულია მასში. რაც შეეხება დრამას, აქ მდგომარეობა ოდნავ უკეთესაა; თეატრში მოსიარულე მაყურებელს მოსწონს ის, რაც ცხადია, მაგრამ არ მოსწონს ის, რაც მისთვის მოსაწყენია. ბურლესკური და ფარსული კომედია, კომედიის ორი ყველაზე პოპულარული ფორმა, ლიტერატურის გამორჩეული სახეებია. ბურლესკი და ფარსი ხელოვანს დიდ თავისუფლებას უტოვებს ინგლისში. სახალხო კონტროლის შედეგი სახეზეა მაშინ, როდესაც დრამის უმაღლეს ფორმებთან გვაქვს საქმე. არის ერთი რამ, რაც ხალხს ყველაზე მეტად არ მოსწონს — სიახლეობა, სიახლე. ხელოვნების საგნის გაფართოების ყოველგვარი ცდა უკიდურესად უსიამოვნო რეაქციას იწვევს ხალხში. ხოლო ხელოვნების სიცოცხლისუნარიანობა და პროგრესი დიდად არის დამოკიდებული მისი საგნის (შინაარსის) უწყვეტ გაფართოებაზე. ხალხს არ მოსწონს სიახლე იმიტომ, რომ ეშინია მისი. სიახლე მათთვის ინდივიდუალიზმის ერთ-ერთი ფორმაა, ხელოვანის მიერ საკუთარი თავის დამკვიდრების ცდაა, რადგან ხელოვანი თვითონ ირჩევს საგანს და ისე ეპყრობა მას, როგორც თვითონ სურს. აქ ხელოვანი ცამდე მართალია. ხელოვნება — ინდივიდუალიზმია, ხოლო ინდივიდუალიზმი შემაშფოთებელი და განმანადგურებელი ძალაა, ამაშია სწორედ მისი უდიდესი ღირებულება. ის ცდილობს გაანადგუროს გარეშის მონოტონურობა, ტრადიციის მონობა, ჩვევის ტირანია, ადამიანის დეგრადირება და მისი მანქანის დონეზე დაყვანა. ხელოვნებაში ხალხი იღებს მხოლოდ იმას, რაც უკვე იყო, რადგანაც ადამიანებს არ შეუძლიათ მისი შეცვლა და არა იმიტომ, რომ აფასებენ მას. ისინი მთლიანად ყლაპავენ კლასიკას და არასოდეს უსინჯავენ მას გემოს, იღებენ როგორც გარდაუვალს და, რადგან არ ძალუძთ მასი დამახინჯება, პათეტიკურად ლაპარაკობენ მასზე. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, თანახმად ჩვენი თვალსაზრისისა, კლასიკისადმი ასეთ დამოკიდებულებას დიდი ზიანი მოაქვს. აქ მე ვგულისხმობ ბიბლიისა და შექსპირის მიმართ არსებულ საყოველთაო აღფრთოვანებასა და არაკრიტიკულ დამოკიდებულებას, რასაც ინგლისელები იჩენენ. როდესაც საუბარია ბიბლიაზე, შეუძლებელია გვერდი აუარო ეკლესიის ავტორიტეტს, ამიტომ დაწვრილებით ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. რაც შეეხება შექსპირს, ნაკარია, რომ სინამდვილეში ხალხი მისი პიესების ვერც მშვენიერებასა და ვერც ნაკლს ვერ ხედავს. მშვენიერებას რომ ხედავდნენ, წინ არ აღუდგებოდნენ დრამის განვითარებას, ან — ნაკლს რომ ხედავდნენ, აგრეთვე არ შეუშლიდნენ ხელს დრამის განვითარებას. ფაქტი ერთია, კლასიკას ხელოვნების პროგრესის შესაჩერებლად იყენებენ და, ხშირად, ის ავტორიტეტამდე დაჰყავთ, ხელკეტივით მომარჯვებული აქვთ და მშვენიერების (თავისუფალი) გამოხატვის ყოველ ახალ ფორმას დაუნდობლად უმასპინძლდებიან. ისინი დაჟინებით ეკითხებიან მწერალს, რატომ არ წერს ისე, როგორც ესა თუ ის ცნობილი მწერალი, ეკითხებიან მხატვარსაც, რატომ არ ხატავს ამა და ამ მხატვრის მსგავსად; ავიწყდებათ კი ერთი მარტივი ჭეშმარიტება, რომ, თუ რომელიმე მათგანი ამგვარ დათმობაზე წავა, ის ხელოვანი აღარ იქნება. მშვენიერების ყოველი ახალი ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია მათთვის, წონასწორობიდან გამოჰყავს ისინი და, აღშფოთებულნი, ჩიხში მომწყვდეულნი, ამ სიახლეს უპირისპირებენ ორ სრულიად აბსურდულ რამეს — ჯერ ერთი, იწყებენ მტკიცებას, რომ ხელოვნების ნაწარმოები სრულიად გაუგებარია, მეორეც, რომ ხელოვნების ნაწარმოები ამორალურია. ვნახოთ რას

გულისხმობენ ისინი ამ სიტყვებში. როცა ამბობენ, რომ ხელოვნების ნაწარმოები აბსოლუტურად გაუგებარია, ეს სრულიად ნათელია — ისინი გულისხმობენ, რომ ხელოვანმა დაწერა ან შექმნა მშვენიერი საგანი, სრულიად ახალი, ხოლო, როცა ნაწარმოებს ამორალურობას სწამებენ, ეს ნიშნავს, რომ ხელოვანმა (დაწერა) შექმნა მშვენიერი საგანი, განუმეორებელი და ჭეშმარიტი.

პირველი განსაზღვრება სტილს ეხება, მეორე — შინაარსს. მაგრამ ამ სიტყვებს ისინი საკმაოდ ბუნდოვნად ხმარობენ, ისევე, როგორც ჩვეულებრივ, ბრბო იყენებს მზა რიყის ქვებს. მაგალითად ის ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ, რომ ჩვენი საუკუნის არც ერთი ჭეშმარიტი პოეტი თუ მწერალი არ დარჩენილა, ვისთვისაც ბრიტანელ მკითხველს ფორმალურად თუ არაფორმალურად მაინც არ მიენიჭებინოს ამორალურობის დიპლომი. პრაქტიკულად, ამ დიპლომებს ინგლისში ისეთივე ღირებულება აქვთ, როგორც საფრანგეთში ლიტერატურის აკადემიის მიერ გაცემულ ოფიციალურ დიპლომებს. სწორედ ამიტომ ინგლისი, საბედნიეროდ, ასეთი ინსტიტუტის დაარსებას სრულიად არ საჭიროებს. მკითხველი მეტად გაბედულად იყენებს ასეთ გამოთქმებს. მათ რომ უორდსუორთს ამორალური პოეტი უწოდეს, ეს მოსალოდნელი იყო, რადგან უორდსუორთი ჭეშმარიტი პოეტია. უჩვეულო ის არის, ჩარლზ კინგსლი რომ მონათლეს ამორალურ რომანისტად. კინგსლის პროზა არც თუ დახვეწილია. მაგრამ, რადგანაც არსებობს ასეთი სიტყვა, ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ მის გამოყენებას. ხელოვანს, რასაკვირველია, ეს სულ არ აწუხებს. ჭეშმარიტი ხელოვანი ის ადამიანია, რომელსაც აბსოლუტურად სჯერა თავისი თავის, ვინაიდან ის აბსოლუტურად თავისთავადია. მაგრამ ვფიქრობ, რომ, თუ ხელოვანის მიერ შექმნილმა ნაწარმოებმა მაშინვე მოიპოვა აღიარება ინგლისში პრესის საშუალებით, როგორც მეტად დამაჯერებელმა და მაღალზნეობრივმა ქმნილებამ, ხელოვანმა უთუოდ სერიოზულად უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, თუ რამდენად თავისთავადია მისი ქმნილება, რა ღირსებისაა. იქნებ სულაც მეორეხარისხოვანია, ან საერთოდ, არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია.

შესაძლებელია, არც ის იყოს სწორი, რომ ვზღუდავ საზოგადოების აზრს ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა „ამორალური", „გაუგებარი", „ეგზოტიკური" და „არაჯანსაღი". კიდევ ერთი სიტყვაა, რომელსაც ისინი მოუხმობენ, თუმცა არც ისე ხშირად — პათოლოგიური. ამ სიტყვის მნიშვნელობა იმდენად მარტივია, რომ ვშიშობ ხშირად იხმარონ. და მაინც, პოპულარული გაზეთების ფურცლებზე ხანდახან წააწყდებით მას, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის მისადაგება ხელოვნების ნაწარმოებისადმი სახაცილოა, რადგან რა არის პათოლოგიურობა, თუ არა ემოციათა განწყობა ან აზრის ფორმა, რისი გამოხატვაც არ შეიძლება? თვითონ საზოგადოებაა პათოლოგიური, რადგან ის ვერასოდეს პოულობს რაიმეს შესაბამისი გამოხატვის ფორმას, ხელოვანი კი არასოდეს არ არის პათოლოგიური, მას ყველაფრის გამოხატვა შეუძლია: ის საგნის გარეთ დგას და მისი საშუალებით ქმნის ცოცხალ მხატვრულ შთაბეჭდილებას. უწოდო ხელოვანს პათოლოგიური, თუ მას საქმე აქვს პათოლოგიურთან, როგორც გამოხატვის საგანთან, ისევე უაზროა, შექსპირს რომ უწოდო გიჟი, რადგან მან „მეფე ლირი" შექმნა.

საერთოდ, ინგლისში, შეიძლება ითქვას, ხელოვანი მოგებულიც კი რჩება ასეთი თავდასხმების გამო. მისი ინდივიდუალობა მხოლოდ ძლიერდება, უფრო თავისთავადი ხდება. რა თქმა უნდა, ასეთი თავდასხმები ძალზედ უხეში, თავხედური და ულმობელია, თუმცა, არც ერთი ხელოვანი არ ელის ფაქტს უხამსი გონებისაგან ან სტილს პროვინციული ინტელექტისაგან. ვულგარულობა და შეზღუდულობა ორი თვალშისაცემი ფაქტორია თანამედროვე ცხოვრებაში. ბუნებრივია, მეტად სამწუხარო ფაქტორია, მაგრამ ეს ასეა და მას ვერსად გავექცევით. იგი შესწავლას მოითხოვს ისევე, როგორც ყოველივე დანარჩენი. აქვე სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადოთ თანამედროვე ჟურნალისტების გასაგონად, რომ ისინი მუდამ მზად არიან ბოდიში სთხოვონ კონფიდენციალურად იმ ადამიანს, ვის წინააღმდეგაც საჯაროდ ილაშქრებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ხელოვნების შეურაცხმყოფელ მეტად მწირ ლექსიკონს, საზოგადოების თაოსნობით, დაემატა ორი ზედსართავი — ერთია სიტყვა „არაჯანსაღი", მეორე — „ეგზოტიკური". ეს უკანასკნელი ანაზდეული დღემოკლე სოკოს გაფითრებას გამოხატავს უჭკნობი, მომხიბვლელი და ნატიფად ლამაზი ჯადვარის წინააღმდეგ. ეს ხარკია, მაგრამ უმნიშვნელო ხარკი. რაც შეეხება სიტყვას „არაჯანსაღი", იგი უნდა დაზუსტდეს. საკმაოდ საინტერესო სიტყვაა. უფრო სწორედ, იმდენად საინტერესოა, რომ ადამიანებს, ვინც მას იყენებს, არც ესმით მისი მნიშვნელობა.

რას ნიშნავს ეს სიტყვა? რას ნიშნავს ჯანსაღი ან არაჯანსაღი ხელოვნების ნაწარმოები? ყველა ცნება, რომელიც უნდა მივუსადაგოთ ხელოვნების ნაწარმოებს, უნდა ეხებოდეს ან მის სტილს, ან მის საგანს, ან შინაარსს, ან ორივეს ერთად. სტილის თვალსაზრისით, ხელოვნების ნაწარმოები ჯანსაღია, თუ იგი შეიცნობს იმ მასალის მშვენიერებას, რომელსაც იყენებს, იქნება ეს სიტყვა თუ ბრინჯაო, ფერი თუ სპილოს ძვალი. და ამ ფაქტორით

ახორციელებს ესთეტიკურ შემოქმედებას. შინაარსის (თუ საგნის) თვალსაზრისით ხელოვნების ნაწარმოები ჯანსაღია, თუ მისი შინაარსის (თუ საგნის) არჩევანი განპირობებულია ხელოვანის ტემპერამენტით და უშუალოდ მისგან გამომდინარეობს. ერთი სიტყვით, ხელოვნების ნაწარმოები ჯანსაღია, თუ ის მოიცავს ორ ფაქტორს: სრულყოფილებასა და ინდივიდუალობას. რა თქმა უნდა, ფორმისა და შინაარსის განცალკევება ხელოვნების ნაწარმოებში შეუძლებელია, ვინაიდან ისინი ერთ მთელს წარმოადგენს. მაგრამ, თუ ერთი წუთით გვერდზე გადავდებთ ესთეტიკურ შემოქმედებას, შევძლებთ მათ გამოცალკევებას ანალიზის მიზნით. ხელოვნების ნაწარმოები არაჯანსაღია, თუ მისი სტილი ნათელი, მოძველებული და ვულგარულია და თუ მისი შინაარსი (თუ საგანი) წინდახედულადაა შერჩეული და ხელოვანი მისგან ხეირს მოელის, მაშასადამე, გამორიცხულია სიამოვნება იმთავითვე. პოპულარული რომანი, ფაქტიურად, საზოგადოება რომ ჯანსაღად თვლის, ყოველთვის ზედმიწევნით არაჯანსაღი ნაწარმოებია; და პირიქით, რასაც საზოგადოება არაჯანსაღ რომანს უწოდებს, ის ყოველთვის ხელოვნების მშვენიერი და ჯანსაღი ნაწარმოებია.

ვფიქრობ, იმის შეხსენება არ იქნება საჭირო, რომ არ მსურს უკმაყოფილება გამოვხატო იმის თაობაზე, რომ საზოგადოება და სახალხო პრესა არასწორად იყენებენ ამ სიტყვებს. გაუგებარია, როგორ უნდა იხმარონ ეს სიტყვები სწორი მნიშვნელობით, როდესაც წარმოდგენაც არა აქვთ ხელოვნებაზე. მე მხოლოდ მივანიშნე მასზე. ხოლო, რაც შეეხება მის წარმოშობასა და მნიშვნელობას, იმას, რაც ამის უკან ძევს, მეტად მარტივი ასახსნელია. იგი მომდინარეობს ძალაუფლების ულმობელი კონცეფციიდან. ამის მიზეზია ძალაუფლების განხორციელების მოსურნე გაუკუღმართებული საზოგადოების ბუნებრივი შეუძლებლობა, გაიგოს ან შეაფასოს ინდივიდუალობა. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს გამომდინარეობს იმ სრულიად შემზარავი უვიცობისაგან, რასაც საზოგადოებრივი აზრი ჰქვია, და, რომელიც, გინდ ცუდი და გინდ კარგი მნიშვნელობით, ცდილობს რამართოს აზროვნება ან ხელოვნება, ყოველთვის სამარცხვინო და დამღუპველია.

მართლაც, საზოგადოების ფიზიკური ძალის სასარგებლოდ გაცილებით მეტი კარგის თქმა შეიძლება, ვიდრე საზოგადოებრივი აზრის სასარგებლოდ. პირველი შეიძლება შესანიშნავი იყოს, ხოლო მეორე ყოველთვის უგუნურია. ხშირად ამბობენ, რომ ძალა არგუმენტად ვერ ჩაითვლება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, რისი დამტკიცებაც სურთ. უკანასკნელი [illegible] საუკუნის მნიშვნელოვან პრობლემათა უმეტესობა, იქნებოდა ეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივობა ინგლისში, თუ ფეოდალიზმის საფრანგეთში, მხოლოდ ფიზიკური ძალის მეშვეობით წყდებოდა. თვით რევოლუციის ძალადობამაც კი შეიძლება წამიერად საზოგადოება დიდებულად და ბრწყინვალედ წარმოაჩინოს ის დღე, როდესაც საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ კალამი უფრო ძლიერია, ვიდრე რიყის ქვა, და დარტყმის ისეთივე ძალა გააჩნია, როგორც აგურის ნატეხს, ფატალური იყო. საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგა ჟურნალისტის ძიებას, იპოვა ის, გაწვრთნა და საკუთარ, ბეჯით და დიდი ხელფასის მქონე მსახურად გაიხადა. ეს ფრიად სამწუხაროა როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის. ბარიკადების უკან ბევრი რამაა კეთილშობილური და გმირული, ხოლო გაზეთის მოწინავე წერილის უკან არაფერია ცრურწმენის, სიჩლუნგის, თვალთმაქცობისა და ყბედობის გარდა და როდესაც ოთხივე ერთად სახეზეა, ულმობელ ძალად გვევლინება და ახალ ძალადობას აძლევს დასაბამს.

ძველად საწამებელი ძელი გვქონდათ. ახლა — პრესა. ეს, უთუოდ, გაუმჯობესებაა. და მაინც შემზარავია ეს ცრუ და დემონური ძალა. ბერკმა, თუ არ ვცდები, ჟურნალისტებს მეოთხე ფენა უწოდა. იმ დროს უეჭველად ასე იყო. დღესდღეობით კი იგი, ნამდვილად, ერთადერთი ფენაა, მან სამი დანარჩენი გადაყლაპა. ლორდთა პალატის წევრები არაფერს ამბობენ, ეპისკოპოსებს სათქმელი არაფერი აქვთ, არც თემთა პალატას აქვს სათქმელი, მაგრამ იგი ამბობს — ჩვენ ჟურნალისტები გვმართავენ. ამერიკაში პრეზიდენტი მართავს ქვეყანას ოთხი წლის განმავლობაში, ჟურნალისტები კი უვადოდ. ამერიკაში ჟურნალისტებმა, საბედნიეროდ, უდიდეს და უაღრესად ულმობელ ძალაუფლებას მიაღწიეს. ამან, როგორც ბუნებრივი შედეგი, უკურეაქცია — მეამბოხეთა სულისკვეთება წარმოშვა. ხალხს ის ართობს ან აღაშფოთებს ტემპერამენტისდა მიხედვით. მაგრამ ის უკვე აღარ წარმოადგენს რეალურად საშიშ ძალას, როგორც ადრე. მას სერიოზულ რამედ აღარ უყურებენ. ინგლისში, კი, ჟურნალისტებს, გარდა რამდენიმე ცნობილი შემთხვევისა, არასოდეს განუხორციელებიათ მსგავსი უკიდურესად ულმობელი ძალადობა, ამიტომაც აქ ისინი კვლავ ძლიერ ფაქტორსა და დიდ ძალას წარმოადგენენ. ის ტირანია, რომელსაც ისინი ახორციელებენ ადამიანთა პირადი ცხოვრების მიმართ, სრულიად წარმოუდგენელია. ფაქტია, რომ საზოგადოებას ახასიათებს გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობა, იცოდეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რისი ცოდნაც ჭეშმარიტად ღირს. ჟურნალისტები კარგად არიან ამაში გათვითცნობიერებულნი, და თავიანთი ვაჭრული თვი-

სებებით, აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნებს. გასულ საუკუნეებში საზოგადოებამ ჟურნალისტთა ყურადღება სამჭედლოს ფეხსაცმელზე მიაპყრო. ეს საძაგლობა იყო. ჩვენს საუკუნეში ჟურნალისტებმა საზოგადოების ყურადღება კარის ჭუჭრუტანას მიაპყრეს. ეს გაცილებით უარესია. და რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ბოროტებას, ამას სჩადიან არა ის ჟურნალისტები, რომლებიც ადამიანებს ართობენ ე. წ. საზოგადოებრივი გაზეთებით, ამ ბოროტებას სერიოზული და დაფიქრებული ჟურნალისტები სჩადიან, რომლებსაც დიდი ამბით გამოაქვთ ხალხის სამსჯავროზე რომელიმე დიდი სახელმწიფო მოღვაწისა თუ პოლიტიკური პარტიის ლიდერის პირადი ცხოვრების რაიმე ინციდენტი და იწვევენ საზოგადოებას ამ საქმის განხილვაზე, ამასთან ხდება მათი ძალაუფლებისა და შეხედულებების დემონსტრირება და არა მარტო დემონსტრირება, მათი ცხოვრებაში გატარებაც. ისინი კარნახობენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. მამაკაცებისა და ქალების პირადი ცხოვრება მხოლოდ მათი საქმეა. საზოგადოებას არაფერი ესაქმება ამ საკითხებთან.

საფრანგეთში ამ საქმეებს უკეთესად აგვარებენ. იქ აკრძალულია სასამართლოში მიმდინარე განქორწინების პროცესის დეტალების გამოქვეყნება მავანთა გასართობად თუ მავანთა გასაკრიტიკებლად. საზოგადოებას მხოლოდ ის ეუწყება, რომ მოხდა განქორწინება და დაკმაყოფილდა ქორწინებაში მყოფი ერთი ან მეორე, ანდა ორივე მხარის მოთხოვნები. საფრანგეთში ჟურნალისტი შეზღუდულია, ხოლო ხელოვანი თითქმის სრული თავისუფლებით სარგებლობს. ჩვენ სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ ჟურნალისტს და მთლიანად ვზღუდავთ ხელოვანს. უნდა ითქვას, რომ ინგლისში საზოგადოებრივი აზრი ცდილობს შეზღუდოს, ხელი შეუშალოს, ცხოვრება გაუფუჭოს იმ ადამიანს, რომელიც მშვენიერ საგნებს ქმნის, და უბიძგებს ჟურნალისტს გაავრცელოს ყოველივე მახინჯი, უხამსი თუ ნამდვილად ამაზრზენი. ისე რომ, ყოველივე ამის შედეგად ჩვენ გვყავს მსოფლიოში ყველაზე სერიოზული ჟურნალისტები და გვაქვს მსოფლიოში ყველაზე უხამსი გაზეთები. ალბათ არიან ჟურნალისტები, რომლებსაც სიამოვნებას ანიჭებს ამ უხამსობების გამოქვეყნება, და არიან ისეთებიც, რომლებიც ხელმოკლეობის გამო, სკანდალებს თვლიან შემოსავლის ერთადერთ წყაროდ. მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ არიან ჟურნალისტები, ჭეშმარიტად განათლებული და კულტურული ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად არ სურთ მსგავსი რამის გამოქვეყნება, რომლებმაც იციან, რომ ბოროტებაა, და მაინც აკეთებენ ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მათი საქმიანობის არაჯანსაღი ატმოსფერო აიძულებს საზოგადოებას მიაწოდონ ის ინფორმაცია, რაც საზოგადოებას სურს. ისინი შეჯიბრშიც კი იწვევენ სხვა ჟურნალისტებს, რომ მათ მიერ მიწოდებული მასალა იყოს რაც შეიძლება ამომწურავი, დაკმაყოფილოს საზოგადოების უხამსი ცნობისმოყვარეობა და მადა. ეს მეტად დამამცირებელი მდგომარეობაა განათლებული ადამიანისთვის და დარწმუნებული ვარ, მათი უმრავლესობა მწვავედ განიცდის ამას.

თავი დავანებოთ ამ საგნის ანგარიშიან მხარეს, და დავუბრუნდეთ ესოდენ ფართოდ გავრცელებულ კონტროლს ხელოვნებაზე. მე ვგულისხმობ საზოგადოებრივი აზრის დიქტატს ხელოვნებაზე — როდესაც საზოგადოებრივი აზრი კარნახობს ხელოვანს როგორი ფორმა, მეთოდი და მასალა გამოიყენოს ამ უკანასკნელმა. როგორც უკვე აღვნიშნე, ინგლისში ამ კონტროლს გადაურჩა ხელოვნების ის სახეები, რომლებიც ხალხს ნაკლებად აინტერესებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება ყოველთვის ინტერესდებოდა დრამით და, თუ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა დრამის განვითარებაში, ამას მთლიანად იმ ინდივიდუალისტ ხელოვანთ უნდა ვუმადლოდეთ, რომელნიც უარს ამბობენ, საზოგადოების დაბალი დონე და გემოვნება სტანდარტად მიიჩნიონ, და არ თვლიან ხელოვნებას მხოლოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმიანობად. თავისი საოცარი და ბრწყინვალე ნიჭით, ჭეშმარიტად ინდივიდუალური სტილით, არა იმიტატორული, არამედ არაჩვეულებრივი წარმოსახვის უნარითა და ინტელექტუალური შემოქმედებით ბ-ნ ირვინგს თუ მისი მიზანი მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება იქნებოდა, შეეძლო შეექმნა სრულიად ჩვეულებრივი პიესები ძალზედ ჩვეულებრივ სტილში და მიეღწია ისეთი წარმატებისა და სიმდიდრისათვის, როგორსაც კაცი ინატრებდა, მაგრამ მას ეს მიზნად არასოდეს დაუსახავს. მისი მიზანი იყო თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია მოეხდინა არსებულ ვითარებაში ხელოვნების მეშვეობით. დასაწყისში ის მხოლოდ რჩეულთ მიმართავდა, შემდეგ კი ბევრნი გაანათლა. მან დახვეწა საზოგადოების გემოვნება და ტემპერამენტი. საზოგადოებამ მისი წარმატება სათანადოდ შეაფასა. საინტერესოა შენიშნული აქვს თუ არა საზოგადოებას, რომ ეს წარმატება მხოლოდ იმის შედეგია, რომ მან არ მიიღო მათი სტანდარტი და შექმნა საკუთარი. მათ სტანდარტებს რომ აჰყოლოდა, „ლიცეუმი" ისეთივე ბალაგანად გადაიქცეოდა, როგორც ზოგიერთი სახალხო თეატრი ლონდონში. ესმის ეს საზოგადო-

ბას თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩება, საზოგადოების გემოვნება ერთგვარად დაიხვეწა, დაიწმინდა, მაშასადამე, საზოგადოებას აქვს ამ თვისებების განვითარების უნარი. ისმის კითხვა, თუ ეს ასეა, რატომ არ ხდება საზოგადოება უფრო ცივილიზებული? მას აქვს ამის უნარი. რა უშლის მას ხელს?

გავიმეორებთ, მას ხელს უშლის სურვილი იბატონოს ხელოვანსა და ხელოვნების ნაწარმოებზე. ისეთ თეატრებში, როგორიცაა „ლიცეუმი" და „ჰეიმარკეტი", რჩეული საზოგადოება დადის. ორივე თეატრში დიდი ინდივიდუალობის მქონე ხელოვანნი მოღვაწეობენ, რომლებმაც მიაღწიეს და შექმნეს საკუთარი მაყურებელი — ლონდონში ყველა თეატრს თავისი მაყურებელი ჰყავს — შექმნეს ის ტემპერამენტი, რომლისთვისაც მოწოდებულია ხელოვნება. რა არის ეს ტემპერამენტი? ესაა აღქმის ტემპერამენტი. მეტი არაფერი.

თუ ადამიანს ხელოვნების ნაწარმოების მიმართ მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს—განავრცოს ძალაუფლება მასზე და ხელოვანზე, მაშინ შეუძლებელია, რომ ნაწარმოებმა მასზე რაიმე მხატვრული ზემოქმედება მოახდინოს. ხელოვნების ნაწარმოებმა უნდა მოახდინოს გავლენა მაყურებელზე და არა პირიქით. მაყურებელი აღმქმელი უნდა იყოს. ის ვიოლინო უნდა იყოს, რომელზედაც ოსტატი დაუკრავს. და რაც უფრო სრულად შეძლებს ის თავისი სულელური შეხედულებების, უგუნური აზრების, აბსურდული იდეების დათრგუნვას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ან არ იყოს ხელოვნება, მით უფრო ღრმად შეძლებს ხელოვნების ნაწარმოების გაგებასა და შეფასებას. რა თქმა უნდა, ეს აშკარაა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება თეატრში მოსიარულე ვულგარულ ინგლისელებს. მაგრამ ეს თანაბრად ეხება მათაც, ვინც განათლებულ ხალხად იწოდება. რადგან განათლებული ადამიანის შეხედულებანი ხელოვნებაზე, ბუნებრივია, გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორი იყო ხელოვნება, ხოლო ხელოვნების ახალი ნაწარმოები მხოლოდ იმდენადაა მშვენიერი, რამდენადაც ადრე მსგავსი ხელოვნებაში არ ყოფილა; მისი შეფასება წარსულის სტანდარტებით ნიშნავს უარყოფას იმ სტანდარტისა, რაც მის ჭეშმარიტ სრულყოფილებას ქმნის. მხოლოდ იმ ტემპერამენტის მქონე პიროვნებას ძალუძს ხელოვნების ნაწარმოების შეფასება, რომელსაც აქვს უნარი მიიღოს წარმოსახვის საშუალებით წარმოსახვით პირობებში ახალი და მშვენიერი შთაბეჭდილებანი. თუ ეს მართებულია ქანდაკებისა და ფერწერის შეფასების შემთხვევაში, კიდევ უფრო მართებულია ხელოვნების ისეთი სახის შეფასებისას, როგორიცაა დრამა. (რადგან) ხურათი ან ქანდაკება არ უპირისპირდება დროს. მათზე არ მოქმედებს დროის წარმავლობა. ლიტერატურაში სრულიად სხვაგვარადაა. შედეგის ერთიანობა დროში უნდა გაცნობიერდეს. დრამის პირველ მოქმედებაში შესაძლოა იყოს რაიმე ისეთი, რისი მხატვრული ღირებულებაც მაყურებლისათვის მხოლოდ მესამე ან მეოთხე მოქმედებაში წარმოჩინდეს. ნუთუ მხოლოდ ამიტომ უნდა აღვშფოთდეთ, დავიწყოთ ყვირილი და თავი მოვაბეზროთ მსახიობებს? რა თქმა უნდა, არა. წესიერი ადამიანი, თუ მისთვის უცხო არაა საოცრების, ცნობისმოყვარეობისა და გაურკვევლობის მომხიბვლელობა, მშვიდად ზის. მაყურებელი არ უნდა წავიდეს თეატრში მხოლოდ და მხოლოდ ცუდი განწყობის გასაქარვებლად. ის თეატრში მხატვრული ტემპერამენტის რეალიზაციის, მხატვრული ტემპერამენტის გასავითარებლად უნდა წავიდეს. ის ხელოვნების ნაწარმოების მსაჯული არ არის. ის უნდა ჭვრეტდეს ხელოვნების ნაწარმოებს და თუ ეს უკანასკნელი ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუშია, ამ ჭვრეტისას მან უნდა დაივიწყოს ის თვითდაჯერებულობა, რომელიც მას აზიანებს. ვფიქრობ, დრამის საკითხი არ არის სათანადოდ შესწავლილი. სავსებით გასაგებია, რომ, როდესაც „მაკბეტი" პირველად უჩვენეს ლონდონელ მაყურებელს, ბევრი, ალბათ, ძლიერ და ენერგიულად შეეწინააღმდეგა პირველ მოქმედებაში კუდიანების სცენას, მათ გროტესკულ ფრაზებსა და სასაცილო სიტყვებს. მხოლოდ პიესის დასასრულს ხდება იმის გაცნობიერება, რომ კუდიანების სიცილი ისეთივე შემზარავია, როგორც სიგიჟის სიცილი „ლირში", და უფრო შემზარავი, ვიდრე იაგოს სიცილი მავრის ტრაგედიაში. ხელოვნების არც ერთი სხვა სახის მაყურებელი ისე არ საჭიროებს აღქმის უფრო სრულყოფილ ფორმას, ვიდრე სპექტაკლის მაყურებელი. იმ მომენტში, როცა მოინდომებს თავისი ავტორიტეტი განავრცოს მასზედ, იგი დაუძინებელი მტერი ხდება ხელოვნებისა და თავისი თავისა. მაგრამ ხელოვნებას ამით არაფერი აკლდება, ის თვითონ ზარალდება.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რომანის საკითხშიც. პოპულარული ავტორიტეტი და პოპულარული ავტორიტეტის აღიარება ფატალურია. თეკერეის „ესმონდი" მშვენიერი ნაწარმოებია, იმიტომ რომ თეკერეიმ ის თავისი სიამოვნებისთვის შექმნა. მის სხვა რომანებში; „პენდენისში", „ფილიპსა" და „ამაოების ბაზარშიც" კი, ზოგჯერ ჭარბად იგრძნობა საზოგადოების გავლენა, და საზოგადოებისადმი უშუალო თანაგრძნობით, ან მისი პირდაპირი გამასხარავებით, ის ვნებს ამ ნაწარმოებს. ჭეშმარიტი ხელოვანი არასოდეს არ აქცევს ყურადღებას საზოგადოებას. მისთვის საზოგადოება არ არ-

ხედობს. ის არ ეძებს საშუალოვან უმრავლესობას და თავს არ აბეზრებს უმწიკვლოებით. ის ამ საქმეს პოპულარულ რომანისტს უტოვებს. დღეს ინგლისში შეუდარებელი რომანისტია ხოლო ჯორჯ მერედითი. შეიძლება საფრანგეთში უკეთესი ხელოვანნიც იყვნენ, მაგრამ საფრანგეთს არავინ ჰყავს, ვისი შეხედულებაც ცხოვრებაზე ასე ფართო, ასე ჭეშმარიტად განსხვავებული და ჭეშმარიტ სახეებში იყოს გაცხადებული. რუსეთში არიან უფრო მთხრობელნი, რომლებსაც გააჩნიათ ცხოველი შეგრძნება იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს ტკივილი მხატვრულ ლიტერატურაში. მაგრამ მერედითი ქმნის ფილოსოფიას მხატვრულ ლიტერატურაში. მისი გმირები უბრალოდ კი არ ცხოვრობენ, ისინი წარმოსახვაში ცხოვრობენ. მათი შეფასება უთვალავი თვალსაზრისით შეიძლება. ისინი აუცილებლობენ ვითარებას: მათში და მათ ირგვლივ სულია. ისინი ერთდროულად განმარტებითი და სიმბოლურნი არიან. ის, ვინც შექმნა ისინი — ეს უდრესად საოცარი მოძრავი ფიგურები, — შექმნა მხოლოდ თავისი სიამოვნებისათვის და არც არასოდეს უკითხავს საზოგადოებისათვის, არც არასოდეს დაინტერესებულა გაეგო, რა სურდა მან, არც ნება დაურთავს საზოგადოებისათვის, ეკარნახა ან რაიმე გავლენა მოეხდინა მასზე. ის მუდამ ზრუნავდა თავისი ინდივიდუალობის გაძლიერებაზე და ქმნიდა საკუთარ ინდივიდუალურ ნაწარმოებებს. თავდაპირველად მას ცოტა მკითხველი ჰყავდა, მაგრამ ამას იგი არ დაუღონებია. შემდეგ გაჩნდნენ ახლები. მაგრამ მასში არაფერი შეცვლილა. დღეს მას მრავალი კითხულობს, ის კი ისევ ისეთია — შეუდარებელი რომანისტი.

ეს ასეა დეკორატიულ ხელოვნებაშიც. საზოგადოება პათეტური გაფთრებით ეჭიდებოდა ყოველივეს, რაც ჩემი აზრით, პირდაპირი ტრადიციები იყო საერთაშორისო ვულგარულობის დიდი გამოფენისა. ტრადიციები ისეთი აუტანელი, რომ სახლები, სადაც ხალხი ცხოვრობდა, მხოლოდ ბრმებისათვის თუ გამოდგებოდა. დაიწყეს მშვენიერი საგნების შექმნა. მღებავმა შექმნა მშვენიერი ფერები, ხელოვანის გონებამ — მშვენიერი სტილი. მშვენიერი საგნები გაბრწყინდნენ, გამოჩნდა მათი ღირებულება, მათი მნიშვნელობა. საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ჯერ აღშფოთდა, წონასწორობა დაკარგა. მაგრამ ამ რევოლუციამ ვერავინ დაადუმა, არავინ შოლო საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტი. და ახლა, თითქმის შეუძლებელია ნახოთ რომელიმე თანამედროვე სახლი, სადაც არ იგრძნობა კარგ გემოვნებას, ლამაზი გარემოს ღირებულების აღიარებას, მშვენიერების შეფასების უნარს. საცხოვრებელი სახლები, დღეს, როგორც წესი, საკმაოდ მშვენიერია, ადამიანები მნიშვნელოვან წილად, ცივილიზებულნი გახდნენ. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ არაჩვეულებრივი წარმატება შეიძლება ... ციის, სახლების მოწყობისა და ავეჯისა თუ ხელოსანთა დამსახურებაა. ... მშვენიერი საგნების შექმნის სიამოვნებამ ... რომ შეძლეს და დაანახვეს ადამიანებს მათი გარემოს უბადრუკობა და ვულგარულობა, რაც ადამიანებს წინათ მოსწონდათ, და აიძულეს საზოგადოება სილამაზის მოთხოვნილება გაეჩინა. დღეს შეუძლებელია მოაწყოთ ოთახი ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ, როდესაც ადამიანები ყველაფრისათვის იდეალურ ხასიათს ხანმოკლე ... ნაწარმის ავეჯით მოაპირებდნენ. დღეს ისინი ეძებენ და სურთ ჰქონდეთ ლამაზი ნივთები სახლებში. მათდა საბედნიეროდ, ავტორიტეტის მითვისებამ ხელოვნების ამ დარგში სრული კრახი განიცადა.

ამრიგად, ნათელია, რომ ყოველნაირი ავტორიტეტი ასეთ საქმეებში უვარგისია. ზოგჯერ იწყება იმის გამორკვევა, თუ სახელმწიფოს როგორი ფორმაა ყველაზე ხელსაყრელი ხელოვანისათვის. ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს. ხელოვანს არ სჭირდება საერთოდ სახელმწიფო, ძალადობა მასზე და მის ხელოვნებაზე სასაცილოა. ამბობენ, რომ დესპოტიზმის დროს ხელოვანნი ქმნიან მშვენიერ ნაწარმოებებს, ეს მთლად ასე არაა. ხელოვანნი, რომლებიც ტირანებთან მიდიოდნენ, მოხეტიალე, თავისუფალი ადამიანები ყვნენ — საოცრებების შემქმნელნი, მათი მოვალეობა დესპოტის გართობა და მოგზაურობა იყო, საშიშროდ მოიპოვებდნენ ... შექმნაში. დესპოტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას, თავად ინდივიდს, შეიძლება ჰქონდეს კულტურა, მაშინ როცა ბრბოს, ამ ურჩხულს, არავითარი კულტურა არ გააჩნია. იმპერატორიც და მეფეც შეიძლება დაბლა ჩამოვიდეს, რათა ფუნჯი მიაწოდოს მხატვარს, მაგრამ დემოკრატია მხოლოდ ტალახის სასროლად თუ ჩამოვა დაბლა. თუმცა დემოკრატიას არ სჭირდება დაბლა დაშვება, როგორც იმპერატორს. სინამდვილეში, თუ მათ ტალახის სროლა უნდათ, ამას ისედაც გააკეთებენ. მაგრამ სრ ... ჯარის აუცილებელი მონარქის გამოცალკევება ბრბოსგან; ყველანაირი ძალადობა ერთნაირად უვარგისია.

სამი სახის დესპოტები არსებობენ. დესპოტი, რომელიც სხეულის ტირანიზებას ახორციელებს; დესპოტი, რომელიც სულის ტირანიზებას ახორციელებს; და დესპოტი, რომელიც ახორციელებს როგორც სულის, ასევე სხეულის ტირანიზებას. პირველს ეწოდება უფლისწული. მეორეს — მღვდელი. მესამეს კი უწოდებენ ხალხს. უფლისწულის განათლება შესაძლებელია და

ბევრი უფლისწული იყო კიდევაც განათლებული და მაინც, უფლისწული არ არის სანდო. გავიხსენოთ დანტე ნადიმზე ვერონაში, ან ტასო ფერარას საგიჟეთის საკანში. ხელოვანისთვის ჯობს არ ცხოვრობდეს უფლისწულთან. მღვდლის განათლება შესაძლებელია და ბევრი მღვდელიც იყო განათლებული, განსაკუთრებით, უვარგისი მღვდლები. უვარგის მღვდლებს უყვარდათ მშვენიერება, თითქმის ისეთივე გზნებით, როგორც კარგ მღვდლებს სძულთ აზრი. პაპთა ბოროტებამ კაცობრიობას ბევრი რამ მისცა. და მაინც, თუმც ვატიკანს შემონახული აქვს თავის მუქარათა რიტორიკა, ხოლო მათრახი მათ განსახორციელებლად დაკარგა, ხელოვანს მაინც უჯობს, არ იცხოვროს მღვდლებთან. მღვდელი იყო, კარდინალთა საიდუმლო თათბირზე ჩელინის შესახებ რომ თქვა, ჩვეულებრივი კანონები და ჩვეულებრივი ავტორიტეტი არ იყო შექმნილი ისეთი ადამიანისთვის, როგორიც იყო ჩელინი, მაგრამ ისიც მღვდელი იყო, ჩელინი საპყრობილეში რომ ჩააგდო და მანამდე ჰყავდა დამწყვდეული, სანამ არ დაავადდა გამწარებისაგან და არ აღმოჩნდა რეალური ხილვების სამყაროში, სადაც დაინახა როგორ ესტუმრა მას მოოქროვილი მზე, რომელიც ისე შეუყვარდა. სიყვარულისგან თავის დასაღწევად დაიწყო ცოცვა კოშკიდან კოშკზე, გამთენისას კი თავბრუ დაეხვა, ძირს ჩამოვარდა და დასახიჩრდა, მევენახემ ვაზის ფოთლები დააფარა და ურმით წაუყვანა მას, ვისაც მშვენიერი საგნები უყვარდა და ზრუნავდა მასზე, მაგრამ არც მღვდლები არიან სანდონი. რა შეიძლება ითქვას ხალხზე და მათ ავტორიტეტზე? მე მგონი მათზე და მათ ავტორიტეტზე საკმაოდ ვისაუბრეთ მათი ავტორიტეტი არის ბრმა, ყრუ, საძულველი, გროტესკული, ტრაგიკული, გასართობი, სერიოზული და უხამსი. ხელოვანისთვის შეუძლებელია ხალხთან ცხოვრება. ყველა დესპოტი ქრთამს იღებს. ხალხი ქრთამს იღებს და აფთრდება. ვინ დაავალა მათ ძალაუფლების განხორციელება? ისინი გაჩენილნი არიან, რათა იცხოვრონ, ისმინონ და უყვარდეთ. ვიღაცამ დიდი ზიანი მიაყენა მათ. მათ დაინამარეს თავი თავისზე მაღლა მდგომთა მიბაძვით. მათ უფლისწულის სკიპტრა აიღეს ხელში. როგორ უნდა მოიხმარონ ის? მათ მღვდლის სამმაგი ტიარა მოიხსნეს. როგორ უნდა ზიდონ მისი სიმძიმე? ისინი იმ მღვდელს ჰგვანან, ვისი სულიც ჯერ არ შობილა. დე, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვენიერება, შეიბრალოს ისინი. და თუმც მათ არ უყვართ მშვენიერება, დე, თავიანთი თავი შეიბრალონ. სად ისწავლეს ტირანიის ხრიკები?

კიდევ ბევრი რამ უნდა ითქვას. უნდა ითქვას, რა დიდი იყო რენესანსი, რადგან არ ესწრაფოდა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და საშუალებას აძლევდა ინდივიდს განვითარებულიყო თავისუფლად, ლამაზად და ბუნებრივად. ამიტომ ჰყავდა დიდი ინდივიდუალური ხელოვანები და დიდი და ინდივიდუალური ადამიანები. მოგვიანებით ლუდოვიკო XIV თანამედროვე სახელმწიფოს შემქმნელმა, მოსპო ხელოვანის ინდივიდუალიზმი. შექმნა ერთფეროვანი საგნებით სავსე უაზრობამდე მოჩხილი გარემო და გაანადგურეს მთელ საფრანგეთში გამოხატვის თავისუფალი ფორმები, რაც ტრადიციას ახლებურად წარმოაჩენდა მშვენიერებაში და ახალი ფორმები ანტიკურ ფორმას დაუახლოვა. მაგრამ არც წარსულს, არც აწმყოს როგორობას არარა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ მომავალთან გვაქვს საქმე რადგან წარსული ისაა, როგორიც ადამიანი არ უნდა ყოფილიყო, აწმყო კი ისაა, როგორიც ადამიანი არ უნდა იყოს. მომავალია ის, როგორიც ხელოვანნი არიან.

რასაკვირველია, აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი სქემა არაპრაქტიკულია და ადამიანური ბუნების წინააღმდეგაა მიმართული. დიახ, ის არაპრაქტიკულია და ადამიანური ბუნების წინააღმდეგაა მიმართული. სწორედ ამიტომ ღირს მისი განხორციელება და სწორედ ამიტომ გთავაზობთ მას. რა არის პრაქტიკული სქემა? პრაქტიკული სქემა არის სქემა, რომელიც უკვე არსებობს ან სქემა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება არსებულ პირობებში, მაგრამ ჩვენ არსებული პირობების წინააღმდეგი ვართ. ყოველი სქემა, რომელიც იღებს ამ პირობებს არასწორი და უაზროა. თუ ამ პირობებს მოვაცილებთ, ადამიანის ბუნება შეიცვლება. ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცით ადამიანის ბუნების შესახებ — ისაა, რომ ის იცვლება. ცვალებადობა კი ის თვისებაა, რასაც შეიძლება დაეყრდნოთ. ის სისტემები განიცდის მარცხს, რომლებიც ემყარება ადამიანური ბუნების ცვალებადობას და არა მის ზრდასა და განვითარებას. ლუდოვიკო XIV შეცდომა ის იყო, რომ მას ადამიანის ბუნება უცვლელი ეგონა. მისი შეცდომის შედეგი საფრანგეთის რევოლუცია იყო. მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგია! მმართველთა შეცდომების ყველა შედეგი ჭეშმარიტად რომ ჩინებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალიზმი არ არის იმ ადამიანის ხვედრი, ვინც მოვალეობას ავადმყოფური თვალთმაქცობით უდგება. ის ნიშნავს აკეთო ის, რაც სხვა ადამიანებს სურთ; ასევე თვალთმაქცური და გულისამრევია დამოკიდებულება თავგანწირვისადმი, რაც, უბრალოდ, პირველყოფილი სიმახინჯის გადმონაშთია. ინდივიდუალიზმი არ უყენებს ადამიანს რაიმე მოთხოვნებს, ის ბუნებრივად და გარდუვალად თვით ადამიანისგან გამომდინარეობს. ის მიზა-

ნია, რისკენაც მიისწრაფვის განვითარება. ის დიფერენციაციაა, საითკენაც ყველა ორგანიზმია მიმართული. ის სრულყოფილებაა, რომელიც ყოველ ცოცხალ სახეობაში თანდაყოლილადაა მოცემული და რომლისკენაც ყოველი ცოცხალი სახეობა მიისწრაფვის. ინდივიდუალიზმი არ ახორციელებს ძალადობას ადამიანზე. პირიქით ის არწმუნებს არ დაუშვან მათზე ძალადობა. ის არ ცდილობს აიძულოს ადამიანები იყვნენ კარგები. მან იცის, რომ ადამიანები კარგები არიან, როცა მათ თავს ანებებენ. ადამიანმა თავისი თავიდან უნდა განავითაროს ინდივიდუალიზმი. ადამიანი ახლა ასე ავითარებს ინდივიდუალიზმს. შეკითხვა პრაქტიკულია თუ არა ინდივიდუალიზმი, იგივეა, ვიკითხოთ პრაქტიკულია თუ არა ევოლუცია. ევოლუცია სიცოცხლის კანონია და იგი სხვა არა არის რა, თუ არა სწრაფვა ინდივიდუალიზმისაკენ. სადაც ეს ტენდენცია მკაფიოდ არ არის გამოხატული, საქმე გვაქვს ხელოვნურად შეკავებულ ზრდასთან, ან ავადმყოფობისა და სიკვდილის შემთხვევებთან.

ინდივიდუალიზმი, ამასთან უანგარო და უშუალო იქნება. როგორც უკვე ვთქვით ავტორიტეტის, საოცარი ტირანიის ერთ-ერთი შედეგი სწორედ ისაა, რომ სიტყვები აბსოლუტურად სცილდებიან თავიანთ სწორ და მარტივ მნიშვნელობებს. ამდენად იყენებენ მხოლოდ მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობების დამატებებს ან შემადგენელ ნაწილებს. რაც ჭეშმარიტია ხელოვნების მიმართ, ჭეშმარიტია ცხოვრების მიმართაც. დღეს ადამიანს პრანჭიაობას უკიჟინებენ, თუ ის ისე იცვამს, როგორც მას მოსწონს. ამ დროს ის სრულიად ბუნებრივად იქცევა, მისაგან კი მოითხოვენ ჩაიცვას თავისი მეზობლის შეხედულებისამებრ, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავს უმრავლესობის შეხედულებას, უკიდურესად შეზღუდულს. ადამიანს უწოდებენ ეგოისტს, თუ ის ცხოვრობს ისე, როგორც აქობებს მისი შესაძლებლობის სრული რეალიზაციისათვის, თუ მისი ცხოვრების უპირველესი მიზანი თვითგანვითარებაა. სწორედ ასე უნდა იცხოვროს თითოეულმა ჩვენთაგანმა. ეგოიზმი ის კი არ არის, ისე იცხოვრო, როგორც გსურს, ეგოიზმია სხვას მოსთხოვო, ისე იცხოვროს, როგორც შენ გსურს. უანგარობა ნიშნავს, მისცე ადამიანებს საშუალება ისე იცხოვრონ, როგორც მათ სურთ და არ ჩაერიო მათ ცხოვრებაში. ეგოიზმი ისახავს თავის ირგვლივ აბსოლუტური ერთფეროვნება შექმნას. უანგარობა უშვებს უსაზღვრო მრავალფეროვნებას, იღებს მას, უსიტყვოდ ეთანხმება და ეს სიამოვნებას ანიჭებს. თავისთვის ფიქრი არ არის ეგოიზმი. ადამიანი, რომელიც თავისთვის არ ფიქრობს, საერთოდ არ ფიქრობს. უკიდურესად ეგოისტურია მოსთხოვო მეზობელს, რომ მან შენსავით იაზროვნოს და შენი აზრები გაიზიაროს, რატომ? თუ მას აქვს უნარი იაზროვნოს სისასტიკე იქნებოდა მისგან რაიმე აზრის მოთხოვნა. წითელი ვარდი არ არის ეგოისტი, რადგან ის წითელი ვარდია. საშინელი ეგოიზმი იქნებოდა, თუ ის ისურვებდა, ყველა ყვავილი ბაღში ყოფილიყო წითელი და ყოფილიყო ვარდი. ინდივიდუალიზმის პირობებში ადამიანები სრულიად ბუნებრივი და აბსოლუტურად უანგარო იქნებიან. მათ ეცოდინებათ სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობა და შეეცდებიან მათ დამკვიდრებას თავისუფალ, მშვენიერ ცხოვრებაში. ადამიანები არც ისეთი ეგოისტები იქნებიან, როგორიც ახლა არიან, რადგან ეგოისტი ისაა, ვინც სხვებს უყენებს პრეტენზიებს, ხოლო ინდივიდუალისტი არ მოისურვებს ამას, ეს მას არავითარ სიამოვნებას არ მოუტანს. როდესაც ადამიანი მიაღწევს ინდივიდუალობას, ის გაიცნობიერებს თანაგრძნობას და მას თავისუფლად და უშუალოდ დაამკვიდრებს ცხოვრებაში. დღემდე ადამიანში არ ყოფილა განვითარებული თანაგრძნობის უნარი. ის მარტო ტკივილს თანაუგრძნობს, ხოლო ტკივილის თანაგრძნობა არ შეიძლება თანაგრძნობის უმაღლეს ფორმად ჩაითვალოს. თანაგრძნობის ყოველი გამოხატულება საუცხოოა, მაგრამ თანაგრძნობა ტანჯვის განცდისა თანაგრძნობის ყველაზე დაბალი ფორმაა. მას ეგოიზმის ელფერი დაჰკრავს. მასში თავს იჩენს მიდრეკილება ავადმყოფურისადმი და ჩნდება ტერორის გარკვეული ელემენტი საკუთარი თავის დაცვისა. ჩვენ გვეშინია, რომ თვითონ შეიძლება შევეყაროთ კეთრს, ან დავბრმავდეთ, და რომ ჩვენი დარდი არავის ექნება. ასეთი სახის თანაგრძნობა ძლიერ შეზღუდულიც არის. საჭიროა თანაგრძნობა მთელი ცხოვრებისა, არა მხოლოდ მისი ჭრილობებისა თუ დაავადებებისა, არამედ სიცოცხლის სიხარულის, მშვენიერების, ენერგიის, სიჯანსაღისა და თავისუფლებისა. რაც უფრო ფართოა სფერო თანაგრძნობისა, რა თქმა უნდა, ის მით უფრო რთული იქნება და მით უფრო მეტ უანგარობას მოითხოვს. ყველას შეუძლია თანაუგრძნოს მეგობრის ტანჯვას, მაგრამ მხოლოდ ძლიერ დახვეწილ ბუნებას — უფრო სწორად, ჭეშმარიტ ინდივიდუალისტის ბუნებას აქვს უნარი გაიზიაროს მეგობრის წარმატება.

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობს შეჯიბრი და ბრძოლა ცხოვრებაში ადგილის მოპოვებისათვის, ბუნებრივია, იშვიათად თუ შეხვდებით ასეთი სახის თანაგრძნობას, რადგან მას ახშობს ერთფეროვნების უზნეო იდეალი და მისდამი მორჩილება, იგი ყველგან დომინირებს, განსაკუთრებით კი ინგლისში.

თანაგრძნობა ტკივილისა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნება, ის ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი ინსტინქტია. ცხოველთა შორის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომნიც კი არ არიან მოკლებულნი ამ ინსტინქტს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ გაზიარება სიხარულისა აძლიერებს სიხარულს, თანაგრძნობა ტკივილისა რეალურად არ ამსუბუქებს ტკივილს. შესაძლოა, ამან შეიძლება შეაძლებინოს ადამიანს უკეთ გადაიტანოს ავადმყოფობა, მაგრამ თვით ავადმყოფობა რჩება. თანაგრძნობა ჭლექისა არ კურნავს ჭლექს, ამ მისიას მეცნიერება ასრულებს. როდესაც სოციალიზმი გადაწყვეტს სიღარიბის პრობლემას, ხოლო მეცნიერება — ავადმყოფობის პრობლემას, სენტიმენტალისტთა მოღვაწეობის სფერო შემცირდება და თანაგრძნობა იქნება უფრო დიდი, ჯანსაღი და უშუალო. ადამიანები აღივსებიან სიხარულით სხვათა სიხარულით აღსავსე ცხოვრების ჭვრეტისას.

მომავალი ინდივიდუალიზმი მხოლოდ სიხარულის საშუალებით განვითარდება. ქრისტეს არ უცდია საზოგადოების გარდაქმნა. შესაბამისად, ინდივიდუალიზმი, რომელსაც ის ქადაგებდა, მხოლოდ ტკივილის საშუალებით ან სიმარტოვეში თუ განხორციელდებოდა. იდეალები, რომლებიც ქრისტეს წყალობით მოგვეპოვეთ, არის იდეალები ადამიანისა, ვინც ხელი მიატოვა ცხოვრება ან სრულ წინააღმდეგობაშია საზოგადოებასთან. მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანი სოციალური ცხოველია. თვით თებეც კი, ბოლოს, ხალხით აივსო. თუმცა უკვე პირველყოფილი ადამიანი ახდენს თავისი პიროვნების რეალიზაციას, მაგრამ ის ხშირად უფერული პიროვნება იყო. მეორე მხრივ, შემაძრწუნებელი ჭეშმარიტება, რომ ტკივილი ის საშუალებაა, რითაც ადამიანი ახორციელებს საკუთარი თავის დამკვიდრებას, საოცრად მომხიბვლელი ეჩვენება მთელ ქვეყანას. კათედრიდან თუ ტრიბუნიდან თავქარიანი მოქადაგენი და „მოაზროვნენი" ხშირად კიცხავენ მათ, ვინც აღმერთებს სიამოვნებას და მწარედ მოსთქვამენ ამაზე. იშვიათად თუ ნახავთ მსოფლიო ისტორიაში პერიოდს, რომლის იდეალი სიხარული და მშვენიერება ყოფილიყო. გაცილებით ხშირად ტკივილს აღმერთებდნენ. შუასაუკუნეები თავისი წმინდანებითა და მოწამეებით; თავისი მისწრაფებით თვითგვემისადმი, თავისი გაშმაგებული ლტოლვით — მიეყენებინა საკუთარი თავისათვის ტკივილი დანებითა და მათრახებით— სწორედ შუასაუკუნეები არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა და შუასაუკუნეებრივი ქრისტე — ჭეშმარიტი ქრისტე. როდესაც მსოფლიოში დაიწყო რენესანსის ხანა და მას თან მოჰყვა მშვენიერებისა და ცხოვრების სიხარულის ახალი იდეალების წარმოქმნა, ადამიანებს უკვე ვეღარ უგებდნენ ქრისტეს. თვით ხელოვნებაა ამის დასტური. რენესანსის მხატვრები ქრისტეს წარმოგვიდგენენ პატარა ბიჭუნას სახით, ბავშვებთან რომ თამაშობს სასახლეში ან ბაღში, ან დედის მკლავებში მოქცეული ღიმილს აფრქვევს, ან ზრდადასრულებული [illegible], წარმოსადეგ ფიგურადაა [illegible] რომ დააბიჯებს ქვეყანაზე; ექსტაზითაა გამსჭვალული მკვდრეთით აღდგომის სცენაც. მაშინაც კი, როდესაც ჯვარცმას გადმოგვცემენ, ისინი ქრისტეს მშვენიერ ღმერთად ხატავენ, ბოროტმა ადამიანებმა რომ დატანჯეს. მაგრამ ღმერთი მათ განსაკუთრებით არ იზიდავდა. ისინი გატაცებულნი იყვნენ და აღფრთოვანებით ხატავდნენ მშვენიერ მამაკაცებსა თუ ქალებს, აღმერთებდნენ მიწიერ სილამაზეს. ალორძინების მხატვრებმა უამრავი სურათი შექმნეს რელიგიურ თემებზე — მომაბეზრებლად ერთფეროვანი და მონოტონური, და ყოველივე ამან ცუდი გავლენა მოახდინა ხელოვნებაზე. ეს იყო ერთგვარი შედეგი ხელოვნების მიმართ საზოგადოების ძალადობისა, რაც გასაკიცხავის ღირსია. ამ სურათებში არ ჩანს მათი სული. როდესაც რაფაელი ქმნის მღვდლის (რომის პაპის) პორტრეტს, იგი უთუოდ დიდი მხატვარია. მაგრამ, როდესაც ის ხატავს მადონებსა და ყრმა იესოებს, ის უკვე აღარ არის დიდი მხატვრობა. ქრისტეს არ ჰქონია მისია რენესანსისათვის, რომელიც დიდებული იყო, რადგან მოიტანა მისგან განსხვავებული იდეალები. მაგრამ, თუ ჭეშმარიტი ქრისტე გვინდა, შუასაუკუნეების ხელოვნებას უნდა მივმართოთ. იგი იქ არის, დასახიჩრებული და შეურაცხყოფილი, იგია ის, ვინც შესახედავად არ არის მშვენიერი, რამეთუ მშვენიერება სიხარულია; ვინც არ არის მშვენიერ სამოსელში გამოწყობილი, რადგან ესეც სიხარულია; ის მათხოვარია, დიდბუნებოვანი; კეთროვანი, ღვთაებრივი სულით; მას არ სჭირდება არც სიმდიდრე, არც ჯანმრთელობა, ის ღმერთია, თავის სრულყოფას ტკივილით რომ ამკვიდრებს.

ადამიანის ევოლუცია ნელა მიმდინარეობს. ადამიანთა უსამართლობა განუზომელია. აუცილებელი იყო ტკივილის, როგორც თვითდამკვიდრების ფორმის, წარმოჩენა, დღესაც მსოფლიოს ზოგიერთ კუთხეში ქრისტეს ეპისტოლეს საჭიროებენ. თანამედროვე რუსეთში მხოლოდ ტკივილით თუ მოახერხებს ვინმე თვითდამკვიდრებას. მხოლოდ ზოგიერთმა რუსმა ხელოვანმა თუ შეძლო თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია ხელოვნებაში, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც შუასაუკუნებრივი ხასიათისაა და რომლის დომინანტური ნოტა ტანჯვით თვითდამკვიდრებაში მდგომარეობს, ხოლო მათთვის, ვინც ხელოვანი არ არის, ტკივილია ერთადერთი კარი სრულყოფისაკენ.

რუსს, რომელიც ბედნიერად გრძნობს თავს არსებულ სახელმწიფოებრივ სისტემაში, ან არ სჯერა, რომ ადამიანს სული გააჩნია, ან თუ სჯერა, რომ სული აქვს, მაშინ თვლის, რომ არ ღირს მისი განვითარება. ნიჰილისტი, რომელიც უარყოფს ყოველნაირ ხელისუფლებას, რადგან თვლის, რომ ყოველი ხელისუფლება ბოროტებაა, და მიესალმება ყველა სახის ტკივილს, რადგან მხოლოდ მისი საშუალებით აღწევს თავის დამკვიდრებას, ნამდვილი ქრისტიანია, მისთვის ქრისტიანული იდეალი ჭეშმარიტია.

თუმცა ქრისტე არ გამოდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის იღებდა რომის იმპერიის იმპერიულ ხელისუფლებას და ხარკიც გაიღო მისთვის. ის იტანდა ებრაული ეკლესიის სასულიერო პირთა ბატონობას და ძალადობას ძალადობით არ პასუხობდა. როგორც უკვე აღვნიშნე, მას არ ჰქონდა საზოგადოების გარდაქმნის რაიმე სქემა. მაგრამ თანამედროვე სამყაროს აქვს სქემები. ის გვირჩევს, მოვიშოროთ სიღარიბე და ის ტანჯვა, რომელსაც სიღარიბე იწვევს. მას სურს, თავი დავაღწიოთ ტკივილს, და იმ ტანჯვას, ტკივილს რომ თან ახლავს. მას სჯერა სოციალიზმისა და მეცნიერების. როგორც მისი წყაროებისა. მისი მიზანი ინდივიდუალიზმია, რომელიც საყოველთაო სიხარულში იქნება გამოვლენილი. ეს ინდივიდუალიზმი იქნება უფრო დიდი, სრული, მშვენიერი(როგორიც კი ოდესმე არსებულა. ტკივილი არ არის სრულყოფის უმაღლესი ფორმა. ის, უბრალოდ, პროტესტია და დროებით ხასიათს ატარებს. მას საქმე აქვს ბოროტ, არაჯანსაღ, არასამართლიან გარემოსთან. როდესაც სიბოროტე, ავადმყოფობა, უსამართლობა მოისპობა, ტკივილისთვის ადგილი აღარ დარჩება. ყოველივე ეს მოიცავს უზარმაზარ სამუშაოს, რომელიც თითქმის დასრულებულია. მისი სფერო ყოველდღიურად მცირდება.

ადამიანი მას არ მოისაკლისებს. ვინაიდან ის, რასაც ადამიანი ეძიებს, ტკივილი ან სიამოვნება კი არ არის, არამედ არის ცხოვრება. ადამიანი მიისწრაფვის იცხოვროს ინტენსიურად, სავსედ, სრულყოფილად. როდესაც ის შეძლებს ამის განხორციელებას სხვათა შევიწროების გარეშე, ტანჯვის გარეშე და თავისი საქმიანობა სიამოვნებას მიანიჭებს მას, ის გახდება უფრო კეთილგონიერი, უფრო ჯანსაღი, უფრო ცივილიზებული, უფრო თავისთავადი. სიამოვნება ბუნების კრიტერიუმია, მისი მოწონებისა და აღიარების ნიშანია, როდესაც ადამიანი ბედნიერია, ის ჰარმონიაშია თავის თავთან და თავის გარემოსთან. ახალი ინდივიდუალიზმი, რისთვისაც სოციალიზმი, სურს მას ეს თუ არა, იღწვის, სრულყოფილი ჰარმონია იქნება. იქნება ის, რასაც ძველი ბერძნები ესწრაფოდნენ, მაგრამ, რისი განხორციელებაც მხოლოდ აზროვნებაში შეეძლოთ, რადგან მათ მყავდათ მონები და კვებავდნენ მათ. ეს იქნება ის, რასაც რენესანსი ესწრაფოდა, და რისი განხორციელებაც მხოლოდ ხელოვნებაში შეძლო, რადგან მას მყავდა მონები და აშიმშილებდა მათ. იგი სრულყოფილი იქნება და მასში ყოველი ადამიანი მიაღწევს თავის სრულყოფას. ახალი ინდივიდუალიზმი ახალი ელინიზმია.

## რობერტ მუზილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

# ლიტერატორი და ლიტერატურა და ამასთან დაკავშირებული განაზრებანი (სექტემბერი, 1931 წელი)

### წინათქმა

ამ შენიშვნებს არც თეორიის შექმნის პრეტენზია აქვთ და არც აღმოჩენის, და სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ლიტერატურისა და ლიტერატორობის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მოვლენის მიმოხილვას. ამოსავალი შეიძლება გახდეს საკითხი, თუ რატომ ითვლება ჩვენში „ლიტერატორი" არა მხოლოდ სალანძღავ, არამედ ისეთ სალანძღავ სიტყვად, რომელიც არც თუ მთლად უწყინარი ლიტერატორად გასდომას ესწრაფვის, რამეთუ ადამიანს, რომელიც ლიტერატურით ირჩენს თავს და რომლისთვისაც ლიტერატურა შემოსავლის წყაროა ჩვენში, როგორც წესი, ლიტერატორს კი არ უწოდებენ, არამედ შემოსავლის ბუნებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პროფესიის, ვთქვათ, ქვესათაურთა მთხზველის, ლამაზ სახელწოდებას არქმევენ; ლიტერატორს კი უპირატესად იმას უწოდებენ, ვინც მხოლოდ ლიტერატურაზე დამოკიდებულებით ხელმძღვანელობს; მხოლოდ ისაა ლიტერატორი, და ის, რომ აქედან შეიძლებოდა განვითარებულიყო აბუჩად ამგდები სახელწოდება, „კაფის" და „ბოჰემის" ცნებებისგან არც თუ მთლად განზე მდგომი, მიუთითებს სწორედ ლიტერატურის შიგნით ან ლიტერატურასა და ადამიანურ მთელს შორის არსებულ კავშირებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ყურადღებას იმსახურებენ. ლიტერატურა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სიტყვა „ლიტერატორს" ასეთი მნიშვნელობა დავუკავშიროთ, გვაგონებს ვაშლის ხეს, რომელსაც ბლით და საზამთროთი მსხმოიარობა მოუნდებოდა, ოღონდ არა — ვაშლით მაინც რა არ ყოფნის ამ ხეს? ჩვენ ყველანი, უპირველესად და ყველაზე მეტად, ლიტერატორები ვართ. ლიტერატორი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ლიტერატურის ჭერაც განუკერძოებელ მოღვაწეს გულისხმობს, — პირველსახეა, რომლისგანაც სხვა დანარჩენი აღმოცენდება. ახალგაზრდა კაცი იწყებს, როგორც ლიტერატორი, და არა როგორც მწერალი, მით უმეტეს, არა მაშინვე, როგორც — დრამატურგი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ა. შ. რომელიმე იმათგანის გარკვეულ „თანდაყოლილობითობაზეც" რომ შევთანხმდეთ, და როცა აღარ იგრძნობა ეს თანაფარდობა, ლიტერატურის არსი მახინჯდება. მაშინ საკითხავია, რა სახის ვარლებები უწყობენ ხელს იმას, რომ ფორმის გარეთ იკარგება პირველდაწყებითი საყოველთაო მნიშვნელობა, და ეს საკითხი, თუმცა არა ყოვლისმომცველად, არამედ მხოლოდ გარკვეულ ცნებათა შუქზე, წარმოჩნდება ქვემოთ მოცემულ განაზრებებში.

### ლიტერატორი, როგორც ყველაზე უფრო ზოგადი მოვლენა

სიტყვასთან „ლიტერატორი" — იქ, სადაც იგი საძრახისი მნიშვნელობით გამოიყენება — არამც და არამც დაკავშირებული არაა არაარსებითი წარმოდგენა, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება გამოითქვას: ლიტერატორი ის ადამიანია, რომელიც დაკავებულია მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურით და „სრულფასოვანი ადამიანურობის" საზიანოდ, — არა თაურწყაროსთან დაკავშირებული ადამიანი, დაკავშირებული არა ცხოვრების ფაქტებთან (ვთქვათ როგორც მწერალი), არამედ — მასზე ცოდნასთან. სხვა სიტყვებით, ამ წარმოდგენის მთავარი ნიშნები ისეთივეა, როგორიც — ცნების: სქოლასტიკოსის, კომენტატორის ან კომპილატორისა. ამ თვალსაზრისით, ლიტერატორი იყო [illegible], რომელიც [illegible]

მუდამთ სასაცილოდ აქცია. სულის ისტორიაში, ანტიკურობიდან ჩვენს დღეებამდე, ადამიანთა ეს ნაირსახეობაც დიახაც თამაშობდა თავის, არა ყოველთვის სანუგეშო, როლს. მასწავლებლის მიმყოლი, მაგრამ, სხვათა მიღწევების დიდი ცოდნის მიუხედავად, საკუთარ პროდუქტიულ მიღწევათა სიმწირით ნიშანდებული ადამიანი თითქმის გამოსადეგი იქნებოდა, როგორც ლიტერატორის კნინი სახესხვაობის განსაზღვრება, ეს აღწერა საშუალო პროფესორსაც რომ არ წაიყენებოდეს. ის გამოდგება სტრატეგის დასახასიათებლადაც, რომელიც უმწეოა გადაწყვეტილებათა მიღების დროს, მაგრამ გამოდგება სკოლაში სამხედრო საქმის მასწავლებლისათვისაც და შეიძლება სამხედრო ხელოვნების ლიტერატორი ვუწოდოთ. იგი ისეთივე წინააღმდეგობაში მოეყვანება მორალში რიგორისტს, ვისი სულიც მითითებებითაა გამოტენილი, როგორც — მორალში ლიბერტინისტს, ვისი სულიც თავისუფლებათა სამახსოვროა, ერთიც და მეორეც, ლიტერატორის არსებითი ნიშნისამებრ, საკუთარ მიღწევებსა და სხვათა მიღწევების შესახებ ცოდნას შორის ასეთი შეუსაბამობის გამო ცოდნით ცვლის; სადაც უმჯობესია გადაწყვეტილების მიღება, იქ ეჭვებს დაახვავებს; სადაც ამოცანა თეორიულ მიღწევაში მდგომარეობს, იგი კომპილაციას მოგვცემს, მაგრამ ასეთივე წარმატებით ნათელყოფს თავის თავს უსასრულო ექსპერიმენტულ მრავალმხრივობაში გაქცევით. — ყველა შემთხვევაში, როგორც ჩანს, ის მაინც რაღაც ძვრის გამომწვევია, რომლის შედეგადაც საკუთარი მიღწევიდან, სართმლისოდაც ხიჭო, ნებისყოფა ან გარემოებები არასაკმარისია, ძალისხმევის გადატანა ხდება გაცილებით მსუბუქად და მეორეხარისხოვან მიღწევაზე, რაც სრულიად აკმაყოფილებს პატივმოყვარეობას. ამ პროცესის თვისება ისაა, რომ არანაყოფიერი და არათვითმყოფადი, შემთხვევის ძალით მიღწევაზე მიზანმიმართულ ცნობილ პატივმოყვარეობას რომ უერთდება, უცვლელად იქნება დაკავშირებული ტრადიციასთან, თუმცაღა იგი ელემენტებიდან — იქნება ეს იდეური, ემპირიული, ემოციური წარმონაქმნი თუ გადაწყვეტილების პრაქტიკული აღმოცენება — არ გამომდინარეობს, და თუ გამომდინარეობს კიდეც, მხოლოდ — არამნიშვნელოვანწილად, და ლიტერატორი, ჩვეულებრივი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა კერძო შემთხვევა იმ მოვლენისა, რომელიც გაცილებით დიდ სფეროებს მოიცავს.

მონათესავე მოვლენების წრეში ლიტერატორის მოვლენის ჩართვის ასეთი მცდელობა, ბუნებრივია, ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს რა ქმნის ამ წრეში მის თავისებურებას და რა განსაკუთრებული თვისებანი გამოარჩევს მხატვრული ლიტერატურის ლიტერატორს ნებისმიერი სხვა, ვთქვათ — ლიტერატორისაგან. ამ საკითხის შესახებ თუ განვიხილავთ მას, როგორც სოციალურად სპეციფიკურ ფიგურას, მაშინ — ხედვის კუთხის შესაბამისად — ლიტერატორ-მხატვარი წარმოდგენილი იქნება ან როგორც ეგრეთ წოდებული ინტელექტუალი ან როგორც მოპირდაპირე ტიპებისგან გამოცალკევებული, ეგრეთ წოდებული ემოციური ადამიანი. ესე იგი, ნამდვილ ინტელექტზე — ვთქვათ, საშუალო სწავლულზე — ის, ჩვეულებრივ, ერთობ მცირე ინტელექტუალობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა, როგორც წესი, ემოციური მიღწევის სფეროსთან ერთად, იმავდროულად, რომ ჭეშმარიტად ემოციური ადამიანი, რომელსაც უჭირს თავისი აზრების გამოხატვა, რომელსაც არ შეუძლია გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღება და ამით ამ მტკიცე ნერვის თავისი სიტყვების, გადაწყვეტილებების და გრძნობების, წარმოგვიდგება, როგორც „ინტელექტუალი“, რომლის გრძნობები სუსტი, ცვალებადი და მოჩვენებითია. თუ შევკრებთ ორივე მხარეს და გამოცდილების შედეგებს დავუმატებთ, მივიღებთ სახეს ადამიანისა, რომლის ინტელექტიც გრძნობებით თამაშობს ან რომლის გრძნობებიც ინტელექტით თამაშობენ — ამის გარჩევა შეუძლებელია, — რომლის მრწამსიც არამტკიცეა, რომლის ლოგიკური დასკვნებიც ნაკლებად სანდოა და რომლის შემეცნებაც განუსაზღვრელად შეზღუდულია, მაგრამ რომელიც ამ ნაკლოვანებებს განსაცვიფრებლად ავსებს ალღო, მოქნილი, ფართო რადიუსის მქონე მოქმედებით, ზოგჯერ — ძლიერ განმსჭვალავი სულიერებით, — აგრეთვე — უცნო ცნობიერებისეულ და სასწრაფო ხედრითი მიმიკის განცდით გაშინაგანებისათვის მზადყოფნის მხასიათებელი ფუნქციით.

ალბათ მწერლის პროფესიის დამცირების გარეშე შეიძლება დავუშვათ, რომ ხელოვნება, მისთვის თავგადადებულთაგან, რომელიმე ამ გარეგნობისგან სრულიად თავისუფალი არის. მაგრამ შეიძლება დავეთანხმოთ გაზრდილ და ლიტერატურის (რამეთუ მოღვაწეობა და მოღვაწე ერთმანეთს ასახავენ), და ამ შემთხვევაში გამოვლინდება — რაც, ფაქტია, შეუდარებლად მნიშვნელოვანია — სფერო, ალბათ თავისებურებებით, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ლიტერატორის თავისებურებებს. მხატვრული ლიტერატურისთვის — როგორც მთლიანად, ისე მისი ყოველი ნაწილისთვის — ნიშანდობლივია რაღაც უსასრულო და დაუმთავრებელი, იგი გაუგებარია დასაწყისისა და დასასრულის გარეშე; და მის საზღვრებს ფიგურათაგან? ნებისმიერი ერთადერთი და სხვა რომელიმე თავისუფლად შეუცვლელი, თუ შეიძლებოდა ხასიათ-

ზრივი ფიგურები საერთოდ დაექვემდებარონ შედარებას. მხატვრულ ლიტერატურას არავითარი წესრიგი არ გააჩნია, გარდა ისტორიულისა, ხოლო მის ცალკეულ ფრაგმენტებს — გარდა კრიტიკულ-ესთეტიკურისა, მას არა აქვს ლოგიკა. იგი შედგება მხოლოდ ფარული კანონის თუ ქაოსის ნიმუშებისგან. შეიძლება ითქვას, რომ მისი სულიერი ბუნება შედგება გაგებით შეცნობადი ურთიერთკავშირის გარეშე მოგონებებისგან, და ამ სფეროსთვის კონსტიტუციური კრიტერიები (მნიშვნელობის გამონაწევრების ნაცვლად ობიექტთა მომრგვალებულ სიტყვაზე მითითება), რომელიც არ გამოხატავს მხოლოდ მორალურობის რიტორიკულ მოთხოვნილებას. ჰუმანისტის ისტორიული ტიპი ხომ კლასიკოსებიდან და ბიბლიიდან ციტატებიდან დაიწყო და შესაძლოა დღეს გარეგნულად ეს ციტირება არც თუ მთლად მოდური იყოს, სინამდვილეში იგი მხოლოდ სიღრმეში შეინიღბა, და მხატვრული ლიტერატურის მთელი მსგავსია ციტატების ოკეანისა, სადაც ყველა დინება მხოლოდ გარეგნულად კი არაა უწყვეტი, არამედ სიღრმეში იწყება და შემდეგ კვლავ ზედაპირზე ამოიზიდება.

იმავდროულად, უსათუოდ იბადებიან ფრიად ღირშესანიშნავი ურთიერთობები, ანუ, როგორც ჩანს, შესაძლებელია რომელიმე მწერლის უსასრულოდ „დაშლა" (როგორც ვნებავთ — ფორმალურადაც და შინაარსობრივადაც აზრობრივადაც კი, რომლისკენაც ის ისწრაფვის) და მასში არაფრის აღმოჩენა გარდა დანაწევრებული წინამორბედებისა, ოღონდ ისინი „დაშლილები" და „შელამაზა ასიმილირებულნი" არიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მთლიანად, არამედ დარჩენილნი არიან არაერთნაირი ფრაგმენტებად ახალი გამოთქმებისთვის, ცხადია, უნდა მოვიბოდიშოთ, მაგრამ სათანადო ანბანი და აღწერა არ არსებობს ლიტერატურული ტრადიციის ამ პროცესისა, რომლის შესახებაც ვარკვევთ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო დამოუკიდებელი მწერალიც კი არ ქმნის არაფერს ისეთს, რისი ამომწურავად წარმოდგენაც არ იქნებოდა შესაძლებელი, როგორც ამ ფორმისა და შინაარსის ტრადიციაზე დამოკიდებულის, თავის თავში რომ მოიცავს მას, მაგრამ რაც, მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, ზიანს არ აყენებს მის ორიგინალობასა და პიროვნულ მნიშვნელოვნებას. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ფენომენი ლირიკულ ლექსში მჟღავნდება, რომელიც ყოველთვის, თუ იგი მშვენიერია, ერთ-ერთ შეუდარებელ წარმატებას წარმოადგენს ლიტერატურაში, თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც არც ერთი სხვა სახეობრივი ფიგურა, შეიძლება „არაორიგინალური" აღმოჩნდეს, და იგი,— თუ მის „ფორმისა" და „შინაარსის" ტრადიციულ ფორმებსა და შინაარსს შევადარებთ, რომლებშიც იგი გარეგნულად უსაზღვრო, მაგრამ მაინც მკვეთრად დასაზღვრული. — მოთავსებულია, როგორც გამჭვირვალე კრისტალი თავის გამჭვირვალე საშვილოსნოს ხსნარში.

ასე წარმოჩნდება მხატვრულ ლიტერატურაში ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის დროსაც საყოველთაოდ გარჩეული და ცალკეული მწერლის პირადი წვლილი ერთმანეთისგან განუყოფელია, თანაც განცდილი აზრდება მხოლოდ მოცულობით. პირადი ვერ პოულობს მეკიცე ადგილს, ხოლო მთლიანი შედგება ერთმანეთზე უმიზნოდ დალაგებული ვარიაციებისგან.

## კომპენსაციის მოთხოვნილება: ორიგინალობა, გავლენა, რეპორტაჟი და ნიჭიადი

კვლავ დგება საკითხი (როგორც ეს არა ერთხელ მოხდა მტკიცებისას), რომ ლიტერატურა არ მიმართავს საფუძვლადმდებარე ელემენტებს ორიგინალურობისა: თავისი ექვივალენტებით, რომლის აღნიშვნაც ლიტერატურაში ჩვეული გაუგებრობა გამოიწვია. ოდესღაც ამტკიცებდნენ, რომ გერმანული სიტყვიერება მხოლოდ ორიგინალური გენიოსებისგან შედგება, მაგრამ დიდხანს ჩხრეკა არ დაგვჭირდება, თანამედროვე ლიტერატურაშიც რომ აღმოვაჩინოთ პიროვნებები და სიტუაციები, რომლებიც რესპექტაბელურად სარგებლობენ ამ შარავანდედით, რომლისაც, თავდაპირველად გაძლიერებული საზოგადოებრიობის თვალში, ბრწყინავს და ხილავს, ყველაფერს ისე მოხაზავს, როგორც აქამდე იდგილის არმქონეს და სრულიად ახალს. ამ გვარების გაპროტესტება შეიძლება ძალიან მოკლედ: ორიგინალობის შესახებ, ცხადია, მაშინ შეიძლება საუბარი, როცა საბუნება ტრადიციაბუნებისმეცნიერული და მათემატიკური მიღწევის თვითმყოფადობისა და მნიშვნელოვნებისათვის არსებობს ობიექტური საზომი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ამ მიღწევებისგან მისი განსხვავების შესახებ, რომელთაგანაც იგი წარმოიშვა, და რაც უფრო რადიკალური და რაციონალიზებადია პროგრესი ბევრი, მით მეტად ნათელსაჩინო იქნება მისი მეორე ხედრი; მაგრამ, რაც უფრო არასაკმარისია ახეთი ურთიერთობები, მით მეტად თვითნებური და შეუზღუდავია ორიგინალურის ცნება; ეს ცნება პროპორციიდან აღმოცენდება, მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოებებისგან შემდგარი ლიტერატურა არ იქნებოდა ლიტერატურა. მაგრამ მაშინ არც ორიგინალური ნაწარმოებები იქნებოდნენ ორიგინალურნი, რადგან მათ მოუწევდათ გაერთიანება რაღაც ლიტერატურის მსგავსში, თუმცა კი სუსტდებიან, გაურკვეველი სახით.

აქედან ლიტერატურის სისტემატური სისუსტე, ყოველი მოცემული ლიტერატურული სისტემის

ხიხუხტე; ორიგინალობის განსაკუთრებულ, წდიდრულ ყვავილობაში გამჟღავნებული, რაც, ბუნებრივია, იმ ზეინდივიდუალურ და კოლექტიურ ორიგინალობასაც ეხება, რომელიც უკანასკნელ ხანებში ისე ხშირად იჩენდა თავს, როგორც არაფერი ხუა, და „თიობის" თუ „იზმის" სახით ყველა ცნებას ერთმანეთში ურევდა.

ნათელია, რომ ხიხუხტის ასეთმა ვითარებამ, ამავე დროს, უნდა გამოიწვიოს ყოველნაირი არევ-დარევა იმ წამოწყებებსა და წარდგომებში, რომლებიც ან იჟენებენ ამ ვითარებას ან ცდილობენ მის აღკვეთას, ანუ, მაგალითად, საკმარისია განვიხილოთ ორიგინალობა, არა როგორც მიღწევის მახასიათებელი, არამედ — მხოლოდ როგორც მიღწევის შესატყვისი მახასიათებელი ავტორისა, რომ მაშინვე აღმოვჩნდეთ იმ გარედან შემოჭრილ ცნობიერებაში (თუ არა ინდივიდუალობის უარყოფაში), რომელსაც ამჟამად ყველა პოლიტიკური პარტიის ხელოვნებათა განვითარების პროგრამა გულისხმობს და დაკავშირებულია მჩაგვრელი „მხოლმხედველობისადმი" ლიტერატურის დაქვემდებარებასთან; ასეთი ხელყოფის შემთხვევაში ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ყველა პოლიტიკური ბანაკი ერთსულოვანია და, თუ სხვა ყველაფერთან ერთად, ამაში, როგორც მთავარში, მხოლოდ მბრძანებლობაზე უფლების ბუნებრივი პოლიტიკური განაცხადი გამოიხატება, — ისე, როგორც ზუსტად ამგვარად შეიძლება აიხსნას მრავალი რამ განათლების შესახებ გარეგნული ლიბერალისტური წარმოდგენის საპასუხო, ხათუთად დახაბუტებული, რეაქციით, — მაშინ ამ „პოლიტიზაციის" ბუნებრივ გაფართოებაში არაფერი ისეთი სახავსით არ წარმოჩნდება, როგორც ხიხუხტე და მოწყვლადობა თავად ლიტერატურის ცნების, რომელიც თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ან პოლიტიკის ძალაუფლების ობიექტი ხდება ან არანაირ ობიექტურობას თავის თავში არ შეიცავს.

ესთეტიკურად ეს ეერთდება იმის შესახებ საკითხს, თუ რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან მხატვრული მიღწევის ინდივიდუალური და კოლექტიური ნაწილები, და, ამ შემთხვევაში, სავსებით ვიწმენ დაიწყოს მტკიცება, რომ ეს საკითხი სათანადოდაა შესწავლილი. მაგრამ, სამაგიეროდ, მხატვრული ლიტერატურის მტკიცედ დაკავებული მაზთან დაკავშირებული მთელი რიგი პოზიციებისა, რამაც უკანასკნელ ათწლეულებში არა ერთხელ ჩაუხერგა გზა სწორ შემეცნებას. აქ, უმთავრესად, უნდა გამოიყოს ის მისწრაფებები, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ანტიინტელექტუალური, რადგან ყველა მათგანი, ასე თუ ისე, დაეყვანება იმაზე, რომ მწერლის მოღვაწეობის გამართლებას რომ მიითხოვენ, ისინი მწერალს უკ-[illegible] მიაწერონ.

რაცა გონება, — ფიქრობენ ისინი, — თანამედროვე ადამიანის ჩვეულებრივი უნარია, ამიტომ „ინტელექტუალი", საბოლოოდ, [illegible], შეიძლება გახდეს მხოლოდ „ლიტერატორი" [illegible] მწერალი, რომელსაც ამ დროს ანტიინტელექტუალურ გამოხატულებად მიიჩნევენ [illegible] ნი, რომელიც თავის [illegible] აწესრიგებს, რომ მისთვის ასე როგად საჭირო ინტელექტუალიზმს არ ფლობს; დაჟინებით ისე გამოიყურება საქმე ყველა ასეთ შემთხვევაში თუმცა ყოველთვის რიდი შედიან ბოლომდე ამ დროს ისე ღრმად, როგორც ლიტერატურული აკადემიის ერთი ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ავტოპოლიტიკური განზრახვით თავის თავს ერთგვარ წინასწარმეტყველად წარმოადგენდა, რომელსაც შემოქმედებაში თითქოს დემონები უწევდნენ დახმარებას², ჩვეულებრივ კი კმაყოფილდებიან გავრცელებული სიტყვით „ინტუიცია", და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი გახდნენ ის ცრურწმენები, რომლებიც მხოლოდ ხანახამხრივად არიან მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებულნი და მწერალს განმარტავენ, როგორც ადამიანის განსაკუთრებით ნრუ-ლუყოფილ ნაირსახეობას, რომელიც არაჩვეულებრივი სიმდიდრით ითვისებს „ცხოვრების ფაქტებს" და მოკლედ ხასიათდება როგორც „ნატურა", ძლიერი და თვითმყოფადი, — თავისი თავის მიხედვით, რილაცნაირად. ადამიანის ღრმად ბუნების ხაცნაურმყოფელი, იმავდროულად კი უშუალოდ ცხოვრების ცენტრიდან საარსებო საკვების მიმღები, ის, რაც სინამდვილეში საფუძვლად უდევს ამ წარმოდგენას და რაც დღესაც ყოველნაირი შეცდომის გამომწვევია, ესაა ალბათ მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურაში თხრობის ის ორი სახით — თვალსაჩინოს და სააზროვნოს — არსებობის ფაქტი, რომლებშიც მუდმივად უწევთ გაერთიანება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში — გაყრაც. ძნელი არაა მხოლოდ ლიტერატურაში ძლიერი, მაგრამ შედარებით გულუბრყვილო მთხრობელთა მაგალითების მოძებნა; მეორეს მხრივ, არსებობს „გადამეტზღვეულობის" მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან ფორმის ის აბსოლუტური ოსტატებიც, გამოხატულების საკმარისად სრულიად რომ უარყოფენ პირადულ-საზროვნოს. და შესაბამისად არსებობს უშუალობის ორი სახე; პირველი ხასიათდება განცდით, ხოლო მეორე — ამ განცდის სულიერი გადამუშავებით; შეიძლება მრავალი მაგალითით ამ განსხვავების ჩვენება, რაც, აქ შემთხვევაში, უბრალოდ ეს სრული სრულიად და მთლიანად მსგავსია იმისა, რასაც ბუნების მეტყველება წარმოადგენს. საიდაც არსებობენ ექსპერიმენტული და თეორიული ტალანტები ერთიც და მეორეც საჭირო ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ერთსა და იგივე პიროვნებაში ისინი [illegible] პრაქტიკულად

არსობდეს გვხვდება. ასეთია ფაქტები, და სახელისწერო გაზვიადებას წარმოადგენდა, როცა დაახლოებით ერთი თაობის წინ და თითქმის დღემდე, იდეის ხელოვნების მიერ ათაჩხერადი ექთოო ჭარბმაურების წინააღმდეგ პროტესტის დროს — „ნატურალიზმისა" და „იმპრესიონიზმის" დროს — „ფაქტებისა და ეგრეთ წოდებული „ადამიანური დოკუმენტების" (petits faits,3 რომლებიც ნიცშეს აღშფოთებას იწვევდა) ღირებულებას ცალმხრივ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან ამასთან ერთად ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა შეხედულებამ რომ მწერალი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს „ხარაქით ხატვე" ადამიანი, რომელშიც დუღს და გადმოდუღს ხელოვნება, და არავის უჭყლეტია ტვინი იმაზე ფიქრით, როგორ მოხდა, რომ ღმერთს შეიძლებოდა თავში აზრად მოსვლოდა „ერთი მოდალწველადობის მქონე მწერლის შექმნა იმ კანონთა დაურღვევლად, რომლებიც ადამიანურ სულს მაინც მიანიჭა. ასეთმა პატარა შეცდომამ კი, სულ მცირე, ის მოგვცა შედეგად, რომ მას მერე ლიტერატურის ცნება ჩვენში მთლიანად დაიკარგა, რადგან იგი, თავად მწერლის ცნებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტის — სულის შემაკავშირებელი და, მაშასადამე, მალალრაციონალური ელემენტების არსებობის — წინაპირობაა.

ყალბად განმარტებულმა თვითმყოფადობამ, ლიტერატურის წინააღმდეგ ლიტერატორის პროტესტმა, რასაც თავის თავში შეიცავდა იმპრესიონიზმი, შეიწირა ეს უკანასკნელი. თუ ამის მშვენიერი, უახლესი მაგალითია საჭირო, სრულად საკმარისია მივუთითოთ რედაქციას ამ გამომცემლობაზე — მნიშვნელობა არ აქვს, ეპიზოდია იგი თუ არა — რომელიც მისი ავტორების მიერ მონათლა, როგორც რეპორტაჟული ხელოვნება, რაც ყველაფერ იმის უარყოფის ტოლფასია, რასაც უფრო მეტად ყოფნაზე აქვს პრეტენზია, ვიდრე რეპორტაჟია.4 განსხვავებით იმპრესიონიზმისგან ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ზემოქმედებისგან, ეს ობიექტურად ყოფითი რეპორტაჟი — ინტელექტუალიზმისთვის სრულიად უცნობელი და, პირიქით, თავადვე გაზეთურად ინტელექტუალური, სრულიად არა სუბიექტური და არა პიროვნების გამპიროვნებელი, არამედ, პირიქით, მთელი თავისი არსებით მიუკერძოებლობის გამომხატველი — ამავდროულად არ ითვალისწინებს სწოროდ იმას, რაც ერთხელ უკვე იზღორდებულ-ბყო განცდის სუბიექტურმა იმპრესიონისტულმა რეპორტაჟმა, კერძოდ — ან, რომ არ არსებობს ფაქტოლოგიური თხრობა, რომელიც არ გვთავაზობდეს ისეთ სულიერ სისტემას, რომლის დახმარებითაც თხრობა „მონაპოვებს" ფაქტებიდან, მაშინ ეს სულიერი სისტემა პიროვნების გაურკვეველი ცნებით შეცვალეს, ახლა კი ან შეიძლება გაზეთის სახით იყოს წარმოდგენილი, შეიძლება პოლიტიკურ მისწრაფებას გულისხმობდეს, ან შეიძლება სულაც თავისივე უცნაური ეთიკური პრინციპებით დაკმაყოფილდეს, როგორც ამას ერთ დროს აკეთებდა „ინტელექტუალისტების" ჯგუფი, — ყოველ შემთხვევაში, დღეს იგი სულიერი სისტემის ხაზით [illegible] ის ზე უფრო მეტად რაიმე [illegible] ვიდრე აქამდე, და მისადმი ურწმუნოება წლიდან წლამდე მხოლოდ გამომეტყველებას იცვლის.

სამართლიანს თუ ვიტყვით, ჩვენ გამუდმებით ერთგვარი ეჭვით ვუმზერთ ხელოვნების ჩვენამდე მოღწეულ არეულ-დარეულობას და ეს წარმოშობს მიდრეკილებას — ცნობიერებას საშუალება მივცეთ, ისე გადმოიღვაროს, როგორც თავად სურს, და — იმ სახით, როგორითაც ის არსებობს, — მიდრეკილებას, რომელიც ცოდნით მომარაგების ნიღბით, უმარტივესი გზით, საფუძვლიანობის შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ, ამასთან, არსებობს ლიტერატურის პრობლემატიკაში გაცილებით რთული, ღრმად განლაგებული გამოვლინებები ისეთივე მდგომარეობისა, როგორიცაა, მაგალითად, ლოგიკურად ჩაკეტილი თხრობითი ფორმის გაფხვიერება ლოგიკურ და თითქმის ფსიქიკურ ასინტაქსურობამდე, — გაფხვიერება, რომელმაც მნიშვნელობა შეიძინა ჯოისის და ალბათ პრუსტის წყალობითაც, და კარგი იქნებოდა ამის შესახებაც გვემსჯელა, აუცილებელი რომ არ იყოს უფრო საჭირო და უფრო უნივერსალური სხვა სახის დამატება. ცნობილია, რომ გაუნვითარებლის მდგომარეობაში ნივთის გაფუჭებისკენ მიდრეკილება და მისი გადაფასებისკენ მიდრეკილება თითქმის ურთიერთს ეხებიან და, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ხიბერწე, რომელიც ავნებს ლიტერატურას — არა როგორც კერძო საქმიანობას, არამედ, ეტყობა, როგორც მთელს — ყოველთვის იწვევდა მისწრაფებებს, საპირისპიროს ყოველივე იმისა, რაც აქ აღინიშნა, კერძოდ — საპირისპიროს ლიტერატურული ტრადიციისა და ლიტერატურის, როგორც იმ სფეროს ამაღლების არსებითი პროცესების უგულებელყოფისა, სადაც ადამიანი ჩვეულებრივი კანონებისგან სრულიად განსხვავებული კანონების მიხედვით იქცევა, სამყაროზე ეს იგივეობრივი ზეამაღლება და დროის მოცემულ მონაკვეთში მისგან განდგომა წარმოადგენდა ჭეშმარიტად უფრო სუფთა და უფრო გამბედავი სულიერების ემიგრაციას. და, თუ წარმოვიდგენთ ამ სულიერების წარმომადგენელთა სახელებს გამოვიწვევთ, რომლებიც უდიდეს ზიანს ცრეს და უბრალოებას უკავშირდებიან, გავიგებთ, რომ ჩატარებული ოპერაცია ამ მიჯნაზე მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლება შესრულდეს. აქ იბადება ჰუმანიზმის თავისებური, ოდნავ ქედმაღლური ბინდბუნდი. ჩანაცვლება

ჭეშმარიტებით, ნაწილობრივ ამაოებით აღვსილი, უიდუმალესი ხუცურენული ზონა, და ეს უკანასკნელი პრობლემა, რომელშიც საკითხთა თავისუფალი ინტერპრეტაციების უზომოდ გაზრდილმა წრებრუნვამ ჩაგვითრია. იმჟამად ეძებს ლიტერატურა, როგორც რეაქცია იმაზე, რაც ლიტერატურა არაა. ეს პრობლემაც ვარიაციაა დამოკიდებულებისა და დამოუკიდებლობის ურთიერთით გამსჭვალვის თემაზე, მაგრამ ურიგო არ იქნება ამ პუნქტში განხილვის მანერის შეცვლა.

## ლექსის სული

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველგვარი ლიტერატურის უძვირფასესი წყარო მისი ლირიკაა, მაშინაც კი, თუ ივიწყება, რომ არასწორია ამისგან მხატვრული რანგის პრობლემის შექმნა; არსად, ლექსზე უფრო მკაფიოდ, არ მჟღავნდება, რომ მწერალი ის არსებაა, ვისი ცხოვრებაც ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებულ პირობებში მიედინება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვიცით, რას წარმოადგენს ლექსი საერთოდ. შემოქმედების გარეშონაზეც კი, სადაც რითმის, რიტმის და სტროფის ცნებები ბატონობენ, არ გაგვაჩნია მონაცემები, რომლებიც გაგვიადვილებდნენ განცდის მიღწევას; აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ მათი ფლობის შემთხვევაში მრავალი რამ გვეცოდინებოდა შემოქმედების შინაგანი ბუნების შესახებაც. ის, რომ წარმოდგენების შერწყმის განსაზღვრული, ჩვეულებრივისგან განსხვავებული სახე — ლექსი — ფუნზულად ჟღერს, მაგრამ ის, რომ უპირველეს ყოვლისა, ამას თვალის დახამხამებაში ჩვენი უფრო შორს წაყვანა შეეძლო, როგორც ჩანს, ყველაზე უეჭველია. წარმოდგენისგან (არა იმაზე ლაპარაკისგან, ვიდრე ათობით ხმაა), რომ ბავშვები სიმღერით გადადიან ხიდზე, ხოლო ქვემოთ განათებული ნავები ცურავენ და ნაპირთა ანარეკლები ლივლივებენ (რაც ჯერ კიდევ განუზომლად შორსაა ნახევრადმკვდარი წარმოდგენისგან) ხიდებზე ბავშვები მღერიან, წყალზე სინათლის ნაკადია, გადაადგილების ხერხით გოეთე ორ მშვენიერ სტრიქონს ქმნის: „წყლებზე სინათლის ნაკადია, ხიდებზე ბავშვები მღერიან", რიტმს, რომელსაც ისინი შეიცავენ და რომელიც მაგიდაზე ხელის კაკუნითაც კი შეგვიძლია გამოვსახოთ, იმაზე დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე — მის თანმხლებ ფონს; მიუხედავად ამისა, ხმოვანი ხატი, რომლის მონაწილეობაც ეფექტის შეცვლაში საგრძნობია, არანაკლებ განპირობებულია ამ რიტმისგან და დამოუკიდებლობის ისეთსავე უმნიშვნელო ხარისხს ფლობს, როგორსაც — რომელიმე ფიგურის ერთი მხარე; ანალოგიურად შეგვეძლო შეგვექმნა ასეთი ლექსი სხვა ცვლილებებით, მაგრამ მაშინ მხოლოდ დეტალები თუ გამჟღავნდებოდა, რომლებიც, თავისთავად, პრაქტიკულად არაფერს ნიშნავენ, მიუხედავად შეიძლება მხოლოდ ის განვაცხადოთ, რომ ერთად აღებული ყველა დეტალისგან და მათი ურთიერთგამსჭვალვის საშუალებით მთელი იბადება რაღაც [illegible] ზით, რომელიც გამოცანად რჩება [illegible] და, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით პოეზიაში იდუმალის ხილვა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც სიცხადე მოსწონთ, და ეს სიცხადე, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა, არც იყოს ჩვენთვის მიუღწეველი. თუ სანიმუშოდ აღებულ ორ სტრიქონს წაიკითხავთ ჯერ წინასწარ, ხოლო შემდეგ მხოლოდ მარეობაში მოცემული სახით, მაშინ, სხვა ყველაფერთან ერთად, ისიც შესამჩნევი გახდება, რომ წინადადებების ფორმალურად თვალსაჩინო სიმეტრიას სიტყვების სწორი განლაგების მომენტში და ლოგიკური წინადადებიდან მაშინვე აღმოცენებული ამოძრავებული მოქმედება და ფორმა წარმოადგენენ არა იმდენად გრძნობად განცდას, რამდენადაც ლოგიკიდან თავისუფალ ცვლილებას საზრისისას. მაგრამ განა სიტყვები იმისთვის არ არსებობენ, რომ საზრისი გამოთქვან? ლექსის ენაც ხომ ბოლოს და ბოლოს ენაა, ესე იგი — შეტყობინება. და, უბრალოდ, შესაძლებელია, რომ ყოფილიყო ამ პროცესის არსისთვის თვალის მიდევნება ისე შეცვლილი, მხოლოდ ლექსის საშუალებებით ცვალებადი საზრისი. მაშინ, ალბათ, დეტალები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ლექსის ფორმას ძლევენ, მაგრამ რომელთა თავმოყრაც არ შეგვიძლია; შეიძენდნენ ღირსს, რომელიც გახაგებს განდიდოა ამ დეტალთა ურთიერთკავშირს.

ვფიქრობ, ხშირად მეტყველებს ისეთი მიდგომის სასარგებლოდ სიტყვა არც თუ იმდენადაა ცნების მატარებელი, როგორც ეს ჩვეულებრივ გვგონია, მოტყუებულნი იმით, რომ მოცემულ პირობებში ცნების შინაარსი განსაზღვრებას ექვემდებარება; პირიქით, — თუ განსაზღვრების მიზნით სიტყვა ვერ ეთვისება ტერმინს, ის მხოლოდ ანაბეჭდია წარმოდგენის ფუნქციურ კონაზე, ისევე უბრალო და მკაფიო სიტყვათშეწყობაშიც კი, როგორიცაა „სიმხურვალე ძლიერი იყო". შინაარსები წარმოდგენისა „სიმხურვალე" და „ძლიერი", და აგრეთვე წარმოდგენისა „იყო", სრულიად განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რას გულისხმობს ფრაზა: სახელმწიფო კონცერტის თუ ოთახის რადიატორს; მაგრამ, მეორე მხრივ, არის რაღაც საერთო აგრეთვე ოთახის რადიატორის ძლიერ სიმხურვალესა და გულის შიგნით, არა მხოლოდ ფრაზას აქვს თავისი მნიშვნელობა სიტყვებისგან, არამედ სიტყვებსაც თავიანთი მნიშვნელობები სესხად ფრაზებისგან. ასეთივე

ურთიერთობა გვერდსა და ფურცელს შორის, მთელსა და გვერდს შორის; გარკვეულ დონემდე სამეცნიერო ენაშიც კი — ზოგჯერ ერთობ ფართო გაგებით. არასამეცნიეროშიც — ერთურთის მნიშვნელობებს ფორმას აძლევენ მოჩარჩოებული და მოჩარჩოებული, კარგი პროზის გვერდის გამართულობა ლოგიკური ანალიზის შემთხვევაში წარმოადგენს არა რაღაც უძრავს, არამედ ხიდის მსგავსად მოქანავეს, და რაც უფრო ხანგრძლივია მისი რხევა, მით მეტად იცვლება. ამასთან, როგორც ცნობილია, მეცნიერული თუ ლოგიკური, დისკურსიული თუ — როგორც შეიძლება ითქვას, საპირისპიროდ ლიტერატურისა — რეალური აზროვნების თავისებურება და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წარმოდგენების ნაკადს შეძლებისდაგვარად ერთიანი მიმართულება მისცეს, ერთმნიშვნელოვანი და აუცილებელი გახადოს; ლოგიკური წესებით ეს მხოლოდ კონტროლდება, ხოლო ფსიქოლოგიურად საკმაოდ მონოტონურ ჩვევად იქცევა. მაგრამ თუ ამ ყოველივეს უარვყოფთ და სიტყვებს თავისუფლებას დავუბრუნებთ, ისინი ამ შემთხვევაშიც ქაოსურად როდი განლაგდებიან, რამეთუ ამ დროს სიტყვები ფიზიც მრავალმნიშვნელოვანნი გახდებიან, მათი მნიშვნელობანი ერთმანეთის მსგავსნი იქნებიან. და თუ ერთს გამოწვევ, მის ქვემოთ მეორე გამოყოფს თავს, მაგრამ ისინი მაინც არასოდეს დაიფანტებიან სრულ უთავბოლობამდე. ჩვეულებრივ მოხმარებაში გაგებადი იგივეობა მწყობრობაში ადგილს უთმობს თავის თავთან სიტყვის ცნობილ მსგავსებას, ხოლო აზრის ლოგიკური მდინარების მარეგულირებელ კანონთა ნაცვლად აქ წონასწორობის კანონი მოქმედებს; ლიტერატურის სიტყვა მსგავსია ადამიანისა, რომელიც აქეთ მიდის, საითაც სული გაუწევს, რომელიც დროს თავგადასავლებში ატარებს, მაგრამ არა უაზროდ, არამედ — ფუძეების ძალისხმევის ფასად, რადგან ნაზღვრადმყარის შეკავება შუარის წესკავშირში როლი სულაც არაა.

მაშასადამე, ლექსის წარმოდგენათა ნაკადის დროის უმაღლესი წარმოდგენების მადეტერმინირებელი ლოგიკური აზროვნება ადგილს უთმობს აფექტს; სწორი უნდა იყოს ისიც, რომ ლექსი ერთიანი ემოციური თავურგანწყობის უცვლელი მონაწილეობის დროს იბადება; მაგრამ, სიტყვების ამორჩევის დროს რომ ეს თავურგანწყობა გადამწყვეტი ფაქტორი არაა, ამაზე მეტყველებს, როგორც მწერლები იტყვიან, გონების საგრძნობლად დიდი შრომა. სწორედ ასე: განსხვავება სიტყვის ლოგიკურ და სიტყვის მხატვრულ გამოყენებას შორის იმითაც განიმარტებოდა (მეხსიერება თუ არ მღალატობს, ერნსტ კრეჩმერის მიერ 1929 წელს გამოცემულ მის („სამედიცინო ფსიქოლოგიაში“), რომ პირველ შემთხვევაში სიტყვა მთლიანად ცნობიერებით შუქდება, ხოლო მეორეში თითქოსდა ზღვარზე იმყოფება, ნახევრადრაციონალურ და ნახევრადემოციურ მიდამოში, რომელსაც კრეჩმერი „სფეროს“ უწოდებს. მაგრამ ეს თვალსაზრისი — რომელიც, სხვათაშორის, ისე, როგორც ფსიქოანალიზის ერთობ გამოყენებად საზღვრებული „ქვეცნობიერი“ [illegible], რადგან ცნობიერება მდგომარეობაა და არა მიდამო, და სულის თითქმის ერთადერთი მდგომარეობაც კი — უნდა შეივსოს იმის გააზრებით, რომ ჩვენი წარმოდგენების კავშირები, გამოწვეული როგორც მდგომარეობით, ისე — საგნით, გადაჭიმულია „ფარულსა“ და ერთმნიშვნელოვნად გაგებადის ყველა გრადაციას შორის. არსებობს სიტყვები, რომელთა საზრისი მოთავსებულია მთლიანად განცდაში, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ სიტყვებს ვიცნობთ, და ამ სიტყვებითაა აღნიშნული დიდი ნაწილი ზნეობრივი და ესთეტიკური წარმოდგენებისა, რომელთა შინაარსი ერთი ადამიანიდან მეორემდე, ცხოვრების ერთი მონაკვეთიდან მეორემდე იმდენად იცვლება, რომ შეუძლებელია ცნებით ახსნა შინაარსის მოხელთება მისი ორგანიზმის საფუძვლო ნაწილის დაკარგვის გარეშე. დიდი ხნის წინ გამოქვეყნებულ ერთ ჩემს ნაშრომში მე ამას არარაციონალური აზროვნება ვუწოდე, როგორც მეცნიერულ-რაციონალური აზროვნებისგან, რომლის შინაარსებსაც შეესატყვისება გონების შესაძლებლობა, მისი გამოჯვნის მიზნით, ისე — ესსეს სფეროსა და საერთოდ ხელოვნების სფეროსთვის საზრისო დამოუკიდებლობის მინიჭების სურვილით მეცნიერული განსჯა ხომ, ცნობილი სახით, დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს, ინტელექტთან დაკავშირებით, მხატვრულ შემოქმედებაში აფექტურ-თამაშისმიერი საწყისის გადაფასებისკენ, რის შედეგადაც აზრის, რწმენის, განჭვრეტის, ემოციის სული, ლიტერატურის სულს რომ წარმოადგენს, იოლად იქცევა ნაცნობი განსაზღვრულობის უმდაბლეს საფეხურად მაშინ, როცა სინამდვილეში სულის ორივე ამ სახის საფუძვლად ორი ავტონომიური საგნობრივი სფეროა საგულვებელი, განცდის და შემეცნების, რომელთა ლოგიკებიც სრულიად არაერთგვაროვანია. ერთმნიშვნელოვნად და არაერთმნიშვნელოვნად აღნიშნულ საგნებად ასეთი დაყოფა არათუ არ ეწინააღმდეგება იმას, რომ უწყვეტობისა და ადამიანური შეტყობის სფერო გამუდმებული გადასვლებით იშლება, არამედ საგარაუდოა, მათემატიკური ენიდან სულიერად დაავადებულების მიერ აფექტის თითქმის სრულიად გაუგებარ გამოხატვამდე, განმტკიცდება კიდეც ამით.

თუ გამოვრიცხავთ პათოლოგიას და დავკვირდებით იმას, რაც რაღაც ზომით, ადამიანთა გარკვეულ წრისთვის ჯერ კიდევ ჩვეული სა-

უწყებო ლირებულებას. მაშინ, უწყვეტი გრადაციის ამ პროცესში, წმინდა გაგებადობის საპირისპირო პოლუსზე, უროგო არ იქნება, ეგრეთ წოდებულ „უაზრო ლექსებს" თუ მოვათავსებთ; უაზრო ან უსაგნო ლექსები, რომლებსაც უმიდან ქამზე მოითხოვენ მწერალთა დეჯგუფებები, შეიძლება მართლაც მშვენიერნი იყოს. ასე, მაგალითად მორგენშტერნის ტრიოლეტები: „დიდი ჯოკიმულმა ხიდუწწის გარეშე მიმოასხუროს „არწივს, კრავს, უართვანებს" პირველმონაზე ცოლის „გვამის ბულთა ზეთი". — ბევრისთვის, ეროგოლ, უაზრო ლექსის თვისებებით ხასიათდება, რადგან, თუმცა დამხმარე საშუალებების გარეშე სრულიად შეუძლებელია გამოცნობა მაინც რისი თქმა უნდოდა პოეტს, მაგრამ მაინც უცილობლად განიცდი ხულიგურ რეზონანსს, და როგორც ჩანს, შეიძლება გამტკიცოთ, რომ, ხულ მცირე — ნაწილობრივ მაინც, ასე ემორთება მრავალ ადამიანს მრავალ ლექსთან დაკავშირებით. ამ თვალით თუ შევხედავთ, ეს ლექსი არაა მშვენიერი. მორგენშტერნი ხომ რაღაცას იაზრებდა, როცა მას წერდა, და მაინც; ის მშვენიერია, მიუხედავად იმისა, რომ მისი კითხვის დროს შეუძლებელია რაიმე მოიაზრო, და რომ გვეცოდნოდა, კონკრეტულად რა უნდა მოგვეაზრებინა, ის, ალბათ, უფრო მშვენიერი გამოდგებოდა, მაგრამ არც საპირისპირო ეფექტია გამორიცხული, რადგან თანშერწყმული აზრი და ცოდნა უკვე რაციონალურ აზროვნებას განეკუთვნებიან და მისგან იღებენ თავიანთ მნიშვნელობებს. რა თქმა უნდა, შეიძლება ტკბობა განვიცადოთ იმით, რომ ამ ლექსს შევხედოთ არა როგორც ნიმუშს პოეტის ხელოვნებისა, არამედ როგორც მკითხველის არახელოვნებას; მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო გაჩნდებოდა დამატებითი მცდელობა: მრავალმნიშვნელოვანი ლირიკოსების — ვთქვათ, გოეთეს — ლექსებისთვის ამოსაშიფრი ქსნილების თანმლევნა ან რაიმე სხვა მექანიკური ხერხით უბრალოდ როგორობით გამოცალკევება ყოველი სიტყვისა ან ყოველი სტრიქონისა, და მაშინ განვცვიფრდებოდით იმით, თუ როგორი სიძლიერის ნახევარხატები წარმოგვიდგებოდნენ ათიდან რვა შემთხვევაში. აქ დახასიათებული მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ლექსში მთავარ მოვლენას წარმოადგენს საზრისის ფიგურის შექმნის მომენტი და რომ საზრისის ფიგურის შექმნა იმ კანონთა ძალით ხდება, რომლებიც არ ემორჩილებიან რეალური აზროვნების კანონებს, თუმცა კი მათთან კავშირებს არ წყვეტენ.

ამ წესით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პრობლემა პროტესტისა, რომელსაც პოეტის გრძნობა უცხადებს ჩვეულებრივ აზროვნებას, პოეტის გრძნობა მართლაც რომ მტერია ჩვეულებრივი აზროვნებისა; იგი ხულიგური მოძრაობის ფორმაა, რომელიც ისეთივე შეუსაბამობაშია ჩვეულებრივი აზროვნების ფორმასთან, როგორც ორი სხვადასხვა რიტმის სწეულის მოძრაობასა შორის. ეს, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ მჟღავნდება მეორე უკიდურესობის პოლუსზე, რომელიც ლირიკაში უაზრო ლექსს უპირისპირდება, სახელდობრ — დიდაქტიკური ლექსის ... ვულო ფიგურის მაგალითზე; იგი ლექსის ყველა ესთეტიკური ნიშნის მატარებელია, მაგრამ არ შეიცავს მისხალ გრძნობებსაც კი. მაშასადამე, ერთადერთ წარმოდგენასაც კი არა, რომელიც არ დაემორჩილებოდა წარმოდგენათა რაციონალური მოძრაობის კანონებს, იბადება შეგრძნება, ყოველ შემთხვევაში — ხადლეისოდ, რომ მსგავსი ლექსი ლექსი არაა; მაგრამ ეს შეგრძნება ყოველთვის როდი არსებობდა. და ორივე უკიდურესობას შორის, ერთის გაზრდილსა და ერთის უაზროს შორის, განიშლება ერთის და მეორის ყველა დონის შერწყმულობის პოეზია, რაც უფლებას გვაძლევს შევხედოთ მას, როგორც ამ დონეთა ხამტრო-ხამეგობრო ურთიერთგამსჭვალვას, ამასთან, „ჩვეულებრივი" აზროვნება პოეზიაში ერწყმის „ირაციონალურ" აზროვნებას ისე, რომ საბოლოო ჯამში მისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდება ბოლომდე არა ერთი ან მეორე, არამედ მხოლოდ ამ ორის ერთობა, აქ შეიძლება დაიძებნოს ყველაზე ამომწურავი განმარტებაც ყოველივე იმისა, რის შესახებაც დღემდე საუბარი იყო, როგორც ანტიინტელექტუალიზმზე ონვისი ამაღლებულობით და ცხოვრებისგან რომანტიკულ-კლასიცისტური განდგომით.

საჭიროა, რა თქმა უნდა, გავაგრძელოთ ამის განხილვა, იშვიათად როდი ვხვდებით თვალსაზრისს — და ასეთი თვალსაზრისი ეკუთვნის ყოველთვის იმას, ვისაც დიდიც აქვს ნათქმელი, — რომ დიდი ლიტერატურა, ხოლცარი ბედითი ძალმოსილებით ნიშანდებული, ყოველთვის გულისხმობს წანამძღვრად ამა თუ იმ მოძღვრების იდეოლოგიურ შეთანხმებას, საყოველთაოდის განმტკიცებულ რწმენას (რასაც ხშირად ერთვის თანამდევი აზრი: თითქოს, ამიტომაც არ არსებობს დღეს დიდი ლიტერატურა), და ეს მრავალმხრივი სარფიანი პოზიციაა. აშკარაა, რომ დიდი ენერგიის გამოთავისუფლება და გამონათქვამში ჩამოყალიბებაა შესაძლებელი, თუ რაიმე „საყრდენით" შევამცირებთ დანახარჯებს იმაზე, რის გამოთქმასაც ვაპირებთ; ალბათ, ამ შემთხვევაში მართებული იქნება, თუ მოვუხმობთ ფსიქოლოგიურ კანონს იმის შესახებ, რომ ამბივალენტური ემოციური მისწრაფებები, ჩვეულებრივ, ერთმანეთს აგიწროებენ. მაგალითად, ყველა მწერალ ადამიანს შეუძლია თავის თავს სამართლიანად შენიშნოს, რომ მასთან ფორმა სრულ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ის მთლიანად ფლობს შინაარსს; ხოლო მტკიცებას, რომ ეს ეხება საერთოდ ლიტერატურის განვითარებასაც, მხოლოდ ამ აზრით შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ ლე-

ქნის სილამაზის განსაკუთრებით მაცდური და წმინდა ტიპი იბადება დროის მხოლოდ ისეთ მონაკვეთებში, რომლებიც იდეოლოგიურ სიმაღლეს ფლობენ და სიმშვიდის განცდას ბადებენ. ფრანც ბლაი,[3] რომელსაც უკვე მრავალ შინაარსიან კრიტიკულ შენიშვნას უნდა ვუმადლოდეთ, თავის „ერთი ცხოვრების ისტორიაში", შეუმჩნევნელობს არა ამ თვალსაზრისით, „ფილოსოფიის ჩასახვაში თავისი მონაწილეობით ლიტერატურის თვითდასახიჩრებაზეც" კი საუბრობს. ეს რომ უპირობო ჭეშმარიტება ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, საკმაოდ უხეში მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ნებისმიერი კონცეფცია, რომელიც ყველაფერს, ამაღლებულის სულიერად შესაძლებელს, ლექსის სულად მიიჩნევს; მაგრამ ასეთი „რადიკალური კლასიციზმი", როგორც ჩანს, წარმოშვა მხოლოდ მოთხოვნილებამ — ჩვეულებრივი გადაჩვევის გზით, — უკვე თემატურად ფრიად გაურკვევლად ქცეულ პოლემიკაში მკაფიოდ აღნიშნულიყო, უკიდურეს შემთხვევაში, პირადი თვალსაზრისი. ლიტერატურაში ფიგურალობის სრულყოფილება, მოჩვენებითად აბსოლუტურად განვითარებული ფიგურალობის და შეჩერებული დროის შემთხვევაშიც კი, უმთავრესი რომ ყოფილიყო, მაშინ თვით მოცემულ შინაარსთა ფიგურების შექმნა ამ ფიგურების ცვლილების ნიშანი იქნებოდა. მაგალითად, არ არსებობს ხელოვნების ისეთი ჭეშმარიტად კათოლიკური ნაწარმოები, რომელიც თავისი ეროტიკულობის გამო არ გამოიწვევდა ავტორის კონფესიურ დევნას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და გვიანდელი იდეოლოგები არ აღნიშნავდნენ დოგმებიდან გადახრას, საკუთარი კათოლიკურობის გამო, ოღონდ არა მკაფიოდ იმიტომ, რომ ეს იდეოლოგიები თავად არიან გაურკვეველნი. აქედან გამომდინარე, კლასიკურ სილამაზესა და სულიერ მღელვარებას შორის თანაფარდობისას საქმე გვაქვს რაღაც პროპორციასთან და ეს პროპორცია, როგორც ჩანს, იგივეობრივია იმისა, რაც ზემოთ აღნიშნული იყო, როგორც წილადი, რომელშიც გაზრდილი გამოიხატება უაზრო საშუალებით. ბლაი, რომელიც მსჯელობს სვინბერნის, „და არა მხოლოდ მის შესახებ", ამას ისე ნათლად გვიჩვენებს რომ მინდა სიტყვასიტყვით მისი ციტირება: „ზოგჯერ ბუზღუნა, ზოგჯერ კი უკუღმართი განაზრებანი შესაძლებლობას გვაძლევენ გავიგოთ, ზღვრულად მოაზრებად რომელ დონეზეა აუცილებელი პოეტის დიქცია: გამოთქმა მთლიანად ჩრდილავს გამოთქმულს, რომელიც ძლივს აღიქმება, და პოეტს, შესაძლოა, თავადვე ავიწყდება. ამასთან, სვინბერნის სტილი არა მხოლოდ მუსიკალური ან გრძნობადია, ინტატურად გამართულ სტროფონთა (მთელი მათი სპონტანობის მიუხედავად) ამ იმპროვიზატორისთვის დამახასიათებელია გამოთქმის დიდებული განსაზღვრულობა და ხატის სიმტკიცე. ის, რომ ყველა შემთხვევაში ხატი უნდა იყოს ზუსტად ასეთი, ხოლო სხვაგვარი უბრალოდ შეუძლებელია, ისეთ თვითკმარ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მათზე მუშაობა წარმოუდგენელი გვეჩვენება: სტრიქონი, თითქოს, „უეცრად ჩნდება". აქ ლაკონური სისავსითაა აღწერილი უაზროდან აზრის შესაძლებელი დაბადების ფენომენი ზუსტად კლასიკურ ლექსში ისე, რომ სახილათ ჭამში ის აღმოჩნდება არა მხოლოდ გრძნობადი განცდის, არამედ „უკუღმართი განაზრებებიდან" აღმოცენებული „დიდებული განსაზღვრულობის", მნიშვნელობის შემცველიც. არაფერი არ გვაძლევს საბაბს ვივარაუდოთ, რომ აზროვნების უნარი ან ხელოვნებას შეზრდილი უნარი გრძნობისა, განჭვრეტისა, ეწინააღმდეგება ხატოვან-ენობრივ შემოქმედებას; თუმცა, ეტყობა, ეს შესაძლებლობები სხვადასხვა წარმომავლობისა არიან და სრულიად კულმინირდებიან სხვადასხვა ხალხებში და დროებში, და ის, რომ უმეტესწილად სწორედ განსაკუთრებული ენობრივი მონაცემებით დაჯილდოებული პოეტები კმაყოფილდებიან სამყაროს დემოკრატიულ-ეკლექტიკური სურათის შექმნით, ალბათ, აქედან გამომდინარე, დაკავშირებულია მათს ენობრივ განპირობებულობასთან. მაგრამ ამგვარად აღმოცენებადი ლექსი, ყველაზე ხშირად, უაზროდ გამოიყურება მხოლოდ საზრისის როგორღაც ერთმანეთზე დალაგებული სარკობრივი ანარეკლების ფონზე, საიდანაც სულაც არ შეიძლება გავკეთდეს დასკვნა პოეტის თავხედობის შესახებ, რადგან დიდ ნიჭთა რარიტეტული ღირებულება პრაქტიკულად უშინაარსოს ხდის ყველა სხვა ღირებულებისმიერ განსხვავებას. და მაინც, საჭიროა ამ ყველაფრის კრიტიკულ-თეორიულად გარკვევა, რადგან ცალკეული ადამიანების ნება მხოლოდ საყოველთაოს დანაწევრებით წარმოიშობა, და თუ ლექსის საზრისი რაციონალური და ირაციონალური ელემენტების ურთიერთგამსჭვალვის შედეგად ისე იქმნება, როგორც აქ ითქვა, მაშინ აუცილებელია, ორივე მხარეს თანაბარი სიდიდის მოთხოვნები წავუყენოთ.

## ფორმის მნიშვნელობა

ამ დაქსაქსულ განაზრებათა მიზანი რომ მთლიანობა და სისრულე ყოფილიყო, ისინი მხოლოდ შეცდომაში შეგვიყვანდნენ; იმდენად, რამდენადაც მათ შორის მაინც არსებობს რაღაც კავშირი, დაე, ამ კავშირმა თავად იმეტყველოს თავის თავზე, მაგრამ საამისოდ ეს განაზრებანი უნდა შეივსოს ფორმისა და ფიგურალობის აქ გამოყენებული ცნებების შესახებ რამდენიმე სიტყვით. ხელოვნების ანალიზის ამ ძველისძველ დამხმარე ცნებებს ადრე მიმართო-

ვდნენ — განსაკუთრებით, პოპულარულ-კრიტიკულ მიმოხილვებში — ყველაზე ხშირად მაშინ, როცა ამტკიცებდნენ, რომ მშვენიერი ფორმა წარმოადგენს რაღაც ისეთს, რაც გააჩნია ან არ გააჩნია მშვენიერ შინაარსს (ან შინაარსის არმქონე ფორმა, თუ ერთიც და მეორეც არამშვენიერად ცხადდებოდა). მაგალითად, ამის შესახებ ფრიად გონებამახვილურად ითქვა გასული საუკუნის სამოციანი თუ ოთხმოციანი წლების გერმანული ლირიკის კარგად ცნობილი იმ ანთოლოგიის წინასიტყვაობაში, რომელშიც მოცემულ გამძლე პრინციპთა სადემონსტრაციო მასალისთვის ერთად წარმოდგენილი იყო განსაცვიფრებლად მდარე ლექსები. მაგრამ მოგვიანებითაც ისევ და ისევ დაასკვნიდნენ, რომ ფორმა და შინაარსი ქმნიან მთლიანობას, რომელიც არ ექვემდებარება სრულ გაყოფას; ამგვარ მიდგომაში თვალსაზრისი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნების ანალიზის საგანს შეადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ფორმისეული შინაარსები; არ არსებობს ფორმა რომელიც არ მიეკუთვნებოდეს შინაარსს, არ არსებობს შინაარსი, რომელიც არ მჟღავნდებოდეს ფორმის საშუალებით; ფორმისა და შინაარსის ასეთი ამალგამები წარმოქმნიან ელემენტებს და სწორედ ამ ელემენტებით იქმნება ხელოვნების ნაწარმოები.

ფორმისა და შინაარსის ამ ურთიერთგამსჭვალვას მეცნიერული საფუძველი „ფიგურის" ცნება; ის აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მოცემულ ელემენტთა შეერთებისგან ან თანამიმდევრობისგან, ამ ელემენტთა მეშვეობით, შეიძლება აღმოცენდეს რაღაც გამოუთქმელი და გამოუხატველი. უმარტივეს ნიმუშს მოგვცემს: თუმცა სწორკუთხედი ოთხი ხაზისგან შედგება, მელოდია კი — ბგერებისგან, მაგრამ ერთმანეთის მიმართ მათი განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც სწორედ ფიგურას ქმნის და აქვს გამოხატულება, შეუძლებელია აიხსნას შემადგენელ ნაწილთა გამომხატველობითი შესაძლებლობებით. ფიგურები, ამ მაგალითის ანალიზს თუ განვაგრძობთ, არც თუ მთლიანად ტრანსცენდენტურნი არიან, რადგან უშვებენ შედარებასა და კლასიფიკაციას, თუმცა, მათში მოიძებნება რაღაც ერთობ ინდივიდუალური, რაღაც აბსოლუტურად განუმეორებელი „რაც", მეტი აღნიშვნით თუ ვარაუდებით, რომელიც შემდგომაც იქნება გამოყენებული შეიძლება ითქვას, რომ ფიგურა — ესაა მთელი, მაგრამ უნდა დავძინოთ, რომ იგი შეკრების რეზულტატი როდია, არამედ უკვე თავისი გაჩენის მომენტში განსაკუთრებულ, თავისი შემადგენელი ელემენტების ხარისხისგან განსხვავებულ ხარისხს გვიჩვენებს; და, ალბათ, დასაშვებია დავძინოთ — ეს აუცილებელია შემდგომი მსჯელობებისთვის, — რომ მთელი გაცილებით უფრო სრულ ხელოვნურ გამოხატვას განაპირობებს, ვიდრე მისი ნაწილები ელემენტები, რადგან ფიგურას ფიზიოგნომია უფრო მეტი აქვს, ვიდრე — ხაზს და ბგერას. ბგერის კონფიგურაცია სულ გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე მათი ამორფული თანმიმდევრობა. ამასთან, სამეცნიერო პრობლემებს თუ ხედ მივუჩინოთ ადგილი ფიგურის ფენომენს ფენომენოლოგიურ ცნობათა იერარქიაში, საკმაოდ, — აქ განსხვავებული თვალსაზრისები უპირისპირდებიან ერთმანეთს; მაგრამ გარდაუვალია, რომ ეს ფენომენი არსებობს და რომ მხატვრული გამომხატველობის მნიშვნელოვანი თავისებურებები, რიტმი, მაგალითად, და ენობრივი მელოდია მისეულ თავისებურებებს ენათესავება.

ამ შენიშვნის საფარქვეშ, და, ახლა მასაც გაბედულად გაისმას მტკიცება, რომ ყველაფერი აღქმულის და შესწავლილის უმარტივეს ფიგურათა წარმოქმნის დროს ფსიქიკური მსგავსებით გამომჟღავნებადის მთელში გაერთიანების ინსტინქტი ყოველთვის უზარმაზარ როლს თამაშობს ცხოვრებისეულ პრობლემათა სწორი გადაწყვეტის საქმეში. ეს ეხება დიდ წრეს გონითმნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომლებიც მრავალრიცხოვანი საშუალებებით ორიენტირებულნი არიან მიღწევათა უბრალოებასა და ეკონომიურობაზე და ფსიქოლოგიურ სფეროშიც იწვევიან. ის „ერთი-ორი-სამი", რომლის დახმარებითაც სხეულებრივი მიღწევის რეკორდი — მიღწევა კი ყოველთვის სხეულებრივია — პროცესის ცალკეულ მხარეებს ითვისებს, ჩვევის გამომუშავებასთან ერთად ყალიბდება ერთგვარ სხეულებრივ ფორმულად, რომელიც შეუფერხებელ და დაუნაწევრებელ აღდგენას ექვემდებარება; მცირედით თუ განსხვავდება სულიერი ათვისების პროცესი. ფორმულების ასეთი წარმოქმნა სრულიად ნათელია ენის ცხოვრებაშიც, სადაც მუდმივად შეინიშნება მდგომარეობა, / ცა, ადამიანი სიტყვებს და სიტყვათშეთანხმებებს მათ მნიშვნელობასთან და საზრისთან სრული შესატყვისობით როდი იყენებს; გაუგებარი ხალხისათვის მხოლოდ იმავე ენაზე მოსაუბრე სხვა ხალხისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა მეტყველებს არა ისე მკაფიოდ, როგორც ეს ადამიანი, არამედ — სიტყვების კარგად დაკონსერვებული მარაგით. ფორმულების ასეთი წარმოქმნა ინტელექტუალური თუ ემოციური ქმედების ან კერძო მანერების დროს, არანაკლებ აქტუალურია: ვიდრე ცალკეულ შემთხვევებში, უმეტ-თვალსაჩინო მაგალითს თუ არ შევეშინდებით და წარმოვიდგენთ კბილის საშკურნალო ჩვეულებრივ ჩარევას ყველა მისი დეტალითა და წვრილმანითურთ, გადაულახავ საშინელებებს შევეჩეხებით: ჩვენ წინაშეა სხეულის ძვლოვან ნაწილთა ამოგდებაც, მჭრელი კაუჭებით წვალებაც, შხამიანი [illegible]

ოწევაც, ღრძილებში ჩემსების ჩხვლეტაც, მთლიარსების გაფხეკაც, ვაბოლოს, ე. ი. მშვენივრად აქ ჩამოთვლილის მერე, ჩერჩეს — ხელის ხაწილია — აღიგულეთ? მაგრამ მერხი, რომლის ჩემოხებითაც ამ სულიერ წამების თავს, გამწევობაში მდგომარეობს, რომ ჩვენ წარმოდგენაში კი არ ვანაწევრებთ, არამედ, გაკვირვებული პაციენტის გულგრილობით ვცდილობთ წარმოდგენის დეტალებს „კბილის ფესვის მკურნალობის“ ბლოკი, მომრგვალებული, კარგად ცნობილი მთლიანობით, რომელიც, ეგრეც, შემთხვევაში, მხოლოდ მცირე უმნიშვნელოება დაყავში, რჩებოლი, იგივე ხდება, როცა კბილზე ახალოჭრო ან ჭკლდეთ; რომელზეც ღლის გრძნეულობაში ის „ოქვანში, გავეცემა ბოლმე“ ხოლო მემდგომ, კბილის მთელ შთანთქმული, შეუჩნდეველი ხდება, თუმცა კიდევ, ალბათ, უკვე იდინაც სხვაგვარად აღიქმება. თანამედროვე ლიტერატურაში მიღებული ხიტუაციო ამის გამოთქმის თუ მიუჯნდულებით, შეიძლება, ალბათ, ნოთ, რომ კბილი ხიჩიჟური ჩემთქმულებას ანდენს, ხოლო სურათი, გარკვეულ მომენტამდე, — დამახაწევრებულ ანუ ანალიზურს, და პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ ოთახის კბილის მთელი, რომელიც გაცილებით დიდია; თავის თავში თითქმის უცვლელად ინრუტავს და განაქრობს სურათის ნაწილებად მთელს. ხიტევა „ჩვევა“, რომლითაც, ჩვეულებრივ, კმაყოფილდებიან და რომლის მნიშვნელობაც, პროცესის მოქმედი საზრისის არგამომხატველი. მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყოველთვის „თავის ოთხ კედელში“ ცხოვრობს, აქ საქმარისი არაა საიმისოდ, რომ შენარჩუნებული იქნას მთელის მდგომარეობა და ერთიანი აქტით შეხამბული გაიდეს იმის გაქრობა, რაც სწორედ ამოცანის თავისებურების შეადგენს. ეს პროცესი, ალბათ, შეიძლება მოეცაზროთ, როგორც მაქსიმალურად გაწეული კი, რადგან ხიცოცხლის გრძნობის გაბმულობად წოდებული უცნაური ილუზიაც, როგორც ჩანს, ხელის დამცველი ზედაპირის გაბმულობისგან მიღებული შთაბეჭდილების მსგავსია. როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებენ, ასეთი მთლიანობების წარმოქმნა, ცხადია, მხოლოდ ინტელექტის ამოცანა როდია; მის გადასაწყვეტად მიმართულია ჩვენს მთლიბელობაში არსებული ყველა საშუალება ამიტომ, სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს იმ ეგრეთ წოდებულ „სრულიად კერძო გამონათქვამებს“, რომელთა საზრისიც გადაჭიმულია მხრების ჩეჩვით არასასიამოვნო სიტუაციისთვის ბოლოს მოღების მანერიდან წერილების წერის და ხალხში მოქცევის მანერამდე, და გარდაუვალია, რომ ქცევების, აზროვნების და იმ შემარჩენლი მადრეკილების გვერდით, რომელსაც, ჩვეულებრივ, გრძნობას უწოდებენ, ცხოვრებისეული მახელის ამ „დეორმირების“ საკუთრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, თუგორც მისივე ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას თუ ადამიანი ამას ვერ ახერხებს. მაშინ ის, მაგალითად, ნევროზიანია, როგორც ამგვარად უწოდებენ და მისი გადახრები — მერყეობის, ეჭვის, სიმდიდრის იძულების, შიშის, დაუოკებელი ქმედებების და სხვა [illegible] სხვა სახით [illegible] თითქმის ყოველთვის გარდაქმნილი [illegible] ცხოვრების შენარჩუნების ფორმებსა და ფორმულების მიმზიდველობის [illegible] ისევ ლიტერატურას მივმართავთ. მაშინ ნაწკვეთი [illegible] გამოდის [illegible] მაყოფილება [illegible] ხელით. „ანალიზური“ [illegible] ადამიანი [illegible] ცოდნიობა/ [illegible] და აზროვნებისა და გრძნობადობის ფორმულების დაშლის (რომელიც შეცვლა გარდუვალი სულაც არა ჩანს), ინარჩუნებს უმნიშვნელოების ანუ [illegible] ის, მსგავსად ღამით ძილის [illegible] მაგრამ მეორეს მხრივ, ტიპების „მთლიანობების“ გადაჭარბებული ნდობა დამახასიათებელია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით — საუკუნისთვის, სწორედ ისე, როგორც დებილებისთვის დანაწევრების [illegible] დამახასიათებელი; ცხადია, აქ საუბარია ერთის და მეორის სწორ პროპორციით შერევაზე, ასეთ ნარევს კი ცხოვრებაში იმაზე ხშირად როდი ვხვდებით, ვიდრე ლიტერატურაში — გონებით გამოკვლეულისა და ნდობით აღწერილის სწორ ნარევს, რომლის ხიბლიც ბუნებრივიობაშია.

ბუნებრივია, ამ მიმართულებით მთელის, ფიგურის, ფორმის, ფორმულარობის ცნებები დიდ მეტ ისე გამოიყენებოდა, თითქოს ისინი იდენტურნი ყოფილიყვნენ, რაც სინამდვილეში ასე არაა; ისინი სხვადასხვა ანალიზური ხედრიდებდან წარმომავლობენ და განსხვავდებიან იმით, რომ ნაწილობრივ ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ, სხვადასხვა კუთხით, ნაწილობრივ — ნათესაურ მოვლენებს. მაგრამ, რამდენადაც მათი გამოყენების მიზანი ისაა, რომ მოძიებულ და აღნიშნულ იქნას საფუძველი ხელოვნებაში არარაციონალური ცნებისთვის, ამ კითხვაზე ამხებისას გზით, თუ რატომ არ იქმნება წინააღმდეგობა რაციონალურისა მისი დამოკიდებულებით, ამიტომ უკვე არსებული საგნობრივ

*არ უნდა ავურიოთ ისინი ფსიქოანალიზის კომპლექსებში, ფსიქოანალიზის ცნებები ამ ესსეში არ გამოიყენება სხვადასხვა მიზეზთა გამო: ლიტერატურაში ისინი ძალიან არაკრიტიკულად იტანაცა, ხოლო „საკუთარი ფსიქოლოგიის“ „დასაჯდ“ ისინი — ეპიზოდებულადც, მათი გამოყენების შესაძლებლობა არცერთის გარეშე — იმით: რომ უზუსტობებმა ისინი [illegible] (სვეტერის შენიშვნა)

ნოლოგიობა, რომლის უფრო მეტად დამრგვალებაც უქონიათ იქნებოდა, დეტალებში ჩაუღრმავებლადაც საკმარისია: მე-ს ფსიქოლოგიის უკანასკნელ ათობაში ხომ — სხვადასხვა გეჯლებათა შედეგად — შემეცნებითი მიღებული ფსიქიკური სქემების, ერთობ რაციონალისტურის და ლოგიკური აზროვნების უზენაესი პემბესკლავის (ის, რაც ამჟამად ნაწილობრივ ჯერაც შენარჩუნებულია აზროვნების თეორიეულ და თეოლოგიურ წესში, და რისაც შეიძლება ცენტრალისტური მეთოდური ფსიქოლოგია ვუწოდოთ) ნაცვლად საწეზეა, სულ მცირე დეცენტრალიზაციის მდგომარეობა, როცა ყოველი ცალკეული ადამიანი თავისი გადაწყვეტილებების უმრავლესობას აჩრულებს არა რაციონალურად, არა მიზანდასახულად და, ბოლოს და ბოლოს, თითქმის გაუცნობიერებლად; კონკრეტულ სიტუაციებზე ორიენტირებული, იგი რეაგირებს, ასე ვთქვათ, გადაბმული ნაწილებით ანუ, როგორც მას უწოდეს, „სამუშაო კომპლექსებით",[9] ან სულაც მთელი თავისი არსებობით ასე მოქმედებს, რომ ცნობიერება მხოლოდ კედში მოსამსახურის როლს ასრულებს, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც „თავის მოკვეთა", სიტყვით — ცნობიერების, გონების, პიროვნების და მათი მსგავსის მნიშვნელობა, ამის შედეგად, ძლიერდება; და მაინც, მდგომარეობა ისეთია, რომ მრავალ, სწორედ მეტ-ნაკლებად პიროვნულ, ქმედებათა დროს მე ადამიანს კი არ მიუძღვის წინ, არამედ — იმას, რასაც ცნობიერად ხაზგასმული მოუხმარებლობისას მხოლოდ კაპიტალისა და მეზავრის შორის შუალედური ადგილი უკავია. სხეულებრიობასა და სულს შორის სწორედ ასეთ თავისებურ მდგომარეობაზე მიუთითებენ აგრეთვე ფიგურა და ფორმა. რამდენიმე მეტყველ გეომეტრიულ ხაზს განვჭვრეტ თუ — ძველი ეგვიპტური მზერის მრავალმნიშვნელოვან სიმშვიდეს, ან, რაც ამ დროს, როგორც ფორმა, თითქოს მოცემული მასალიდან გამორღვევას ცდილობს, უკვე არა მხოლოდ გრძნობადი შთაბეჭდილება, მაგრამ ჯერ არც ნაკლები ცნებების შინაარსია. მინდა ვთქვა, ესაა სხეულებრივი, რომელიც ჯერ არ გამხდარა მთლიანად სულიერი, და, ეტყობა, სწორედ ეს აღაგზნებს სამშვინველს, რადგან, ხაზთა შორის ფსიქიკური თითქმის გამოირიცხება იმით, რომ აღქმისა და შეგრძნების უმარტივესი განცდებიც კი, მსგავსად წმინდა აზროვნების აბსტრაქტული განცდებისა, გარესამყაროსთანაა დაკავშირებული. ამგვარადვე იცვალებენ სულიერ მნიშვნელოვნებაზე თავიანთ უფლებას რიტმი და მელოდია, მაგრამ ამასთან ერთად ისინი შეიცავენ რაღაც ისეთსაც, რაც უშუალოდ სხეულთან შეხებაში მოდის. ცეკვის დროს ისევე სხეული მბრძანებლობს, სულიერი კი, როგორც ჩრდილების თეატრში, მხოლოდ მკრთალად ბჟუტავს. ბინქტალურის ანხსენირების საზრისიც მხოლოდ იმაშია, რომ სიტყვა ახლად განვახანიეროთ — არ მნიშვნელობით მისი აღქმის გზით, რომელიც ცალკე არ გააჩნია, მაგრამ ამ მცდელობის რეზიუმე ალბათ იმით გამოიხატება, რომ [illegible] ადამიანები ხელოვნების [illegible] უფრო მრავლად არიან, როგორც — მეცნიერნი, მაგრამ, ამასთანვე, არსებობენ ადამიანები, რომელთაც უნარი აქვთ ზუსტად განსაზღვრონ ლექსის სილამაზე თუ სისუსტე და თავიანთ ქმედებაში ამით იხელმძღვანელონ, მაგრამ არ ძალუძთ ლოგიკურად, სიტყვით გამოთქვან ეს ყველაფერი. ამის აღნიშვნა, როგორც საგანგებო ესთეტიკური უნარისა, თემიდან გადაგვახვევინებს, რადგან ის, რისგანაც ასეთი უნარი შეიძლებოდა შემდგარიყო, საბოლოო ჯამში, ისევ მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების სამედიცინო ფუნქცია იქნებოდა, მასთან უმტკიცესი ძალით დაკავშირებული იმის მიუხედავადაც კი, რომ ექსტრემუმები განშტოვდებიან.

## ბოლოთქმა

ცხადია, გაუგებრობა იქნებოდა ლიტერატურასა და ფორმას შორის ტოლობის ნიშნის დასმა, რადგან ფორმა გააჩნია მეცნიერულ აზრსაც — და სრულიადაც არა დამამშვენებელი, — რომელსაც მეტ-ნაკლებად მშვენიერი მოწოდების შემთხვევაში უმეტესწილად უსამართლოდ აღიდებენ, თვით მოწოდებისთვის დამახასიათებელი ფორმა კი კონსტრუქციულ ფორმას წარმოადგენს. რაც ყველაზე უფრო მკაფიოდ იმაში მჟღავნდება, რომ თვით განსაკუთრებული ობიექტურობით გამოხატვის დროსაც კი არასოდეს აღიქმება მოწოდებული ზუსტად ისეთად, როგორიც ჩაიფიქრა ავტორმა, რომელიც განიცდის ფორმის გარდასახვას, ხოლო მოწოდებას პირად გაგებას უთანადებს. და მაინც, სამეცნიერო მოხსენებაში ფორმა ძლიერ აზღუდება ინვარიანტული, წმინდა რაციონალური შეგნებით. მაგრამ ესსეში, „განჭვრეტაში", „ჩაფიქრებაში" აზრი უკვე მთლიანად საკუთარ ფორმაზეა დამოკიდებული, და როგორც მითითებული იყო, ეს დაკავშირებულია შინაარსთან; ეს უკანასკნელი თვითგამოხატვას ნამდვილ ესსეში აღწევს, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ფელეტონში ფეხბეწაყოფილ მეცნიერებას, რაც შეეხება ლექსებს, აქ საკუთარი და ოდენ საკუთარი გამოხატულების ფორმით მათში გამოხატვას დაქვემდებარებული მთლიანად მხოლოდ ისაა, რასაც ეს დაქვემდებარებული თავად წარმოადგენს. აქ აზრი ოკაზიონალურია ისეთივე მაღალი ხარისხით, როგორითაც — ვუნტი, და გრძნობები აღიგზნებიან არა იმდენად, რისით რამდენადაც მისი მნიშვნელობის თითქმის მხოლოდ გრძნობების შემცველი შედგენილობით, რომანსა და

დრამაში კი, აგრეთვე შერეულ ფორმებში — ეპიკიდან ტრაქტატამდე შუალედში (რადგან „წმინდა" ეპიკა" აბსტრაქციაა, ხაროსხისით მაგალითის შერჩევა თითქმის შეუძლებელია), — აზრი, როგორც დისკურსიული კავშირი, ქვეცნო შიშველი სახით წარმოსდგება, მაგრამ თუ თხრობაში ასეთ ადგილებს ფორმისგან განუყრელობაც არ ახასიათებთ, მაშინ ისინი განუწყვეტლივ ქმნიან იმპროვიზაციის, რომლიდან ამოვარდნის და გამოხატვის სივრცის მიმზიდველი კერძო ცნობიერული სივრცით უნებლიეთ შეცვლის უსიამო შთაბეჭდილებას. ამიტომ სწორედ რომანში, — რომელიც, როგორც სხვა არც ერთი მხატვრული ფორმა, მოწოდებულია დროის ინტელექტუალური ალუზიის ასახველად, — ხაჩინოვდება ფიგურათა აღბეჭდვის სიძნელეები, აგრეთვე — ამ სიძნელეთა დაძლევის მცდელობები, რაც ნაწილობრივ თავს ამჟღავნებს რთული ურთიერთზემოქმედებებით და სიბრტყეთა გადაკვეთებით.

როგორც ჩანს, აქედან გამომდინარეობს აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ მწერლის სიტყვას „ამაღლებული" აზრი აქვს; მაგრამ, ამასთან, — არაანბანური ჭეშმარიტებაც, რომ ასეთი ამაღლებულობით იგი თავს აღწევს ჩვეულებრიობას, ხდება ახალი, არ შეესაბამება თავის პირვანდელ მნიშვნელობას, მაგრამ არც მისგან დამოუკიდებლად გადაიქცევა. იგივეა დამახასიათებელი ლიტერატურის სხვა ვიწრო აზრით — ფორმალური, გამომხატველობითი საშუალებებისთვის: რადგან ისინიც გვატყობინებენ, ოღონდ მათი გამოყენებისას იცვლება პროპორცია იმისა, რასაც ისინი ესტეტიკურად გადასცემენ შემდეგ, და იმას შორის, რაც მოვლენაზე მიჯაჭვული რჩება, ასე ვთქვათ, გადაუცემლად. ეს პროცესი შეიძლება, აგრეთვე, განვიხილოთ, როგორც სულის შეჭრება გონებისთვის ისეთივე წარმოუდგენელ სფეროებთან, როგორიც გონებასთან ამ სფეროების შეხებაა; ასეროგად შესატყვისი ანუ ამაღლებული გამოყენებისას სიტყვა მსგავსია შუბისა, რომელიც, მიზნის მისაღწევად, ხელმა უნდა გატყორცნოს და, გატყორცნილი, უკან აღარ ბრუნდება. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა მიზანს ემსახურება შუბის ასეთი ტყორცნა, ანუ, ხატოვნების გარეშე თუ ვიტყვით, რა მიზანი აქვს ლიტერატურას. ამ კითხვასთან დაკავშირებით პოზიციის ფორმულირება ჩემი განაზრებების ჩანაფიქრს სცილდება, მაგრამ ეს განაზრებანი გულისხმობენ, რომ მათ მხედველობაში აქვთ ადამიანსა და ნივთებს შორის დამოკიდებულებათა განსაზღვრული სფერო, სწორედ რომელსაც ადასტურებს ლიტერატურა და რომლისთვისაც ნიშანდობლივია მისივე საშუალებები. ამასთან, ასეთი „დადასტურება" სავანგებოდ იყო წარმოდგენილი არა როგორც თავისთავადი სუბიექტური გამოხატულება, არამედ — [illegible] საგნობრიობასთან და ობიექტურობასთან მისი მიმართების ნიშნეულის [illegible] აქცევს რა გამოხატვის საშუალებად, ანუ ლიტერატურა საშუალებად [illegible] მართალია, შემეცნება ზუსტად [illegible] რაციონალური შემეცნებაა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ამ ჭეშმარიტებისგან მოკვეთილებიცაა), მაგრამ, როგორც [illegible] ანუ მეტაფორების შემეცნება [illegible] მიმართული [illegible] შედეგად [illegible] არსებობს [illegible] სამყარო [illegible] გარეთ — ირაციონალური, არამედ [illegible] თავის თავში რჩება მათგანის შემეცნების ერთი [illegible].

მე მინდა დავასრულო არა ზოგადი სიტყვებით, არამედ ლიტერატურის წარმოდგენების მაგალითით*, უფრო მნიშვნელოვანი მაგალითით. პრიმიტიულ ჰიმნებთან და რიტუალებთან არქაული შეძახილების სრულად შენარჩუნება, რომ, წინარეღროიდან მოყოლებული, ჩვენი ლირიკის ისეთ ძირითად თავისებურებებს, როგორიცაა სტროფებად და სტრიქონებად ლექსის დაყოფის მანერა, როგორიცაა სიმეტრიული განლაგება-პარალელიზაცია იმ სახით, რომლითაც ის ძლევსაც გამოიხატება რეფრენსა და რითმაში, — როგორიცაა გამეორების და, გნებავთ, პლეონაზმის გამოყენება ამგზნები საშუალების სახით, როგორიცაა უსაზრისო (ესე იგი იდუმალი, ჯადოსნური) სიტყვების, მარცვლების და ბმოვან-ბგერითი მწკრივების ჩასმა, დაბოლოს, როგორიცაა კერძოს, წინადადების და წინადადების ნაწილების თვისება, მნიშვნელობა აქვთ არა თავისთავად და თავისი თავისთვის, არამედ მხოლოდ მთლიან ლექსში მათი ადგილის წყალობით. ([illegible] განალობის ხაზოთირი მნიშვნელობასაც კი სარკისებური ახსნა მოეპოვება, რადგან არქაული საგალობლები და ცეკვები ნაწილობრივ ცალკეულ ადამიანებს ან ერთობებს ეკუთვნოდათ, კაფიარული იყო, როგორც საიდუმლო რამ, და ძვირად თუ გაიცემოდა). მაგრამ ეს უძველესი საცეკვაო საგალობლები ბუნების მოვლენათა მსვლელობის დაცვისა და ღმერთებზე ზემოქმედების სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, ესე იგი ისინი მეტყველებდნენ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ამ მიზნის მისაღწევად, ხოლო მათი ფორმა ზუსტი თანმიმდევრობით განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გაკეთებულიყო, ფორმა დაისახებოდა იმ მოვლენის დინებით, რომელიც მათ შინაარსს წარმოადგენდა; როგორც ცნობილია, პრიმიტიული ხალ-

---

* რისთვისაც მადლობას ვუხდი პროფესორ ე. ფ. ფონ ჰორნბოსთელს (ავტორის შენიშვნა).

ხები ფორმისეულ შეცდომებს დღესაც გაურბიან შესაძლო არასასიკეთო შედეგების შიშით. ეს მაგალითი, მოკლედ აღდგენილი მისი განმარტებითურთ, გვიჩვენებს, რომ ხელოვნების თავდაპირველი მდგომარეობის მეცნიერულ გამოკვლევებს იმ შედეგთა სრულიად ნათესაურ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც ხელოვნების ამჟამინდელი მდგომარეობის განხილვისგან დამოუკიდებლადაა მიღებული. მაგრამ შედარების სარგებლიანობა იმაშია, რომ ის თვალსაჩინოდ — უფრო თვალსაჩინოდ, ვიდრე ლიტერატურული ანალიზი — ცხადყოფს ფორმისა და შინაარსის არსებით ურთიერთკავშირს, რომლის დროსაც ყველა „როგორ" აღნიშნავს ერთადერთ „რა"-ს. ლიტერატურა დღესაც ისეთი პროცესია, რომელიც მიმართულია „დამზადებისკენ", „ნიმუშის მკითხაობისკენ", და არა იმ ცხოვრების ან ცხოვრებაზე შეხედულებების უკეთ შესრულებისკენ. ამ პროცესის დახმარების გარეშეც რომ არანაკლებად გამოიხატება. მაგრამ მაშინ, როცა პირველადი, საყოველთაო „გრძნებების წვიმის შეკვრიდან" ათასწლეულთა მანძილზე „რა"-ს მხარე მეცნიერებამდე და ტექნიკამდე განვითარდა და, დიდი ხანია, წარმოშვა საკუთარი თავისი „ეს-როგორ-უნდა-გაკეთდეს", „როგორ"-ის მხრიდან, თუმცა კი ჩანასახშეცვლილისგან და საწყისი მაგიიდან განცალკევებულისგან, ახალი მკაფიო „რა" არ აღმოცენებულა. ის, რის კეთებაც მართებს ლიტერატურას, არის ჯერაც მეტად თუ ნაკლებად ძველი „მახეს-როგორ-უნდა-გავაკეთებინა"; და თუ მაინც ეს „როგორ" კერძოში, შესაძლოა, დაკავშირებული იქნება მიზანთა მრავალნაირ ცვლილებასთან, სალიტერატურო ხელოვნების ამოცანას ამჟამადაც მხოლოდ ორფეოსის დროიდან დაკარგული იმ რწმენის თანამედროვე ფორმის ძიება წარმოადგენს, რომ ეს ხელოვნება ჯადოსნური ძალით ზემოქმედებს სამყაროზე.

□

## შენიშვნები:

1. „ფიგურის" ცნება, რომელიც ფუნდამენტურია მუზილის შემოქმედებაში, სათავეს იღებს გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლებთან. ეს სკოლა XX საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოცენდა გერმანიაში და წამოაყენა პროგრამა, ფსიქიკა განხილულიყო მთლიანი სტრუქტურების (გეშტალტების) სახით, საპირისპიროდ სტრუქტურული ფსიქოლოგიის მეთოდისა, რომელიც მდგომარეობდა ელემენტებად ცნობიერების დანაწევრებასა და მათგან ასოციაციის კანონის ან შემოქმედებითი სინთეზის მიხედვით ფსიქიკური ფენომენების აგებაში. მუზილისთვის ახლობელი აღმოჩნდა იდეა, რომ მთელის შინაგანი, სისტემური ორგანიზაცია განსაზღვრავს მისი ნაწილების თვისებებსა და ფუნქციებს გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით, საგნის ხატი („ფიგურა") დამოკიდებულია მის გარემომცველ ფონზე. აქედან ერთი ნაბიჯია მუზილის პრობლემამდე: რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ფიგურა და ფორმა? მუზილის მიხედვით, ფორმა კრავს და ამთლიანებს ყოფიერების ფიგურებს; ამის შედეგად სინამდვილის შემეცნების მეცნიერულ-ფიგურალური ფრაგმენტები მხატვრულ-ფიგურალური შემეცნების მთლიანობებად იქცევიან, აქედან კი მიიღება სამყაროს ადეკვატური დინამიკური სტრუქტურა, რომლის შინაგანი ძალებიც მაქსიმალური წონასწორობის დამყარებას ესწრაფვიან, რაც ხასიათდება ორგანიზაციის სიზუსტით. ასეთ სიზუსტეს მოითხოვს მუზილი, როცა საუბარია იდეალურისა და მატერიალურის, ესთეტიკურისა და ეთიკურის, ორიგინალურისა და ტრადიციულის ურთიერთგამსჭვალვაზე. ამ ვითომდაპირისპირებულ მხარეებს შორის ხომ რეალურ ცხოვრებაში არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს.

2. 1926 წლის მარტში პრუსიის ხელოვნებათა აკადემიის საზღვრებში დაარსდა ლიტერატურული შემოქმედების სექცია (რომელმაც გერმანული ლიტერატურული აკადემიის სახელი მიიღო). ამ სექციისადმი მუზილის დამოკიდებულება პოლემიკური იყო: მუზილი ილაშქრებდა მის წინააღმდეგ, რადგან იქ აქცენტი გადატანილი იყო „დიდ მწერლებზე"; მუზილის აზრით, ასეთ ორგანიზაციაში ყველა მწერალი უნდა შესულიყო ან იგი საერთოდ არ უნდა არსებულიყო.

3. მცირე ფაქტების (ფრანგ.)

4. მუზილი ეკამათება არა მხოლოდ იმპრესიონისტებს და ექსპრესიონისტებს, რომლებთანაც ხედავს ადამიანის უმიზნო და უმიზეზო შერწყმას ნივთებთან, გონებისგან ადამიანის გათავისუფლებას და ხელახლა მის უშუალო ჩართვას შესაქმეში, არამედ აგრეთვე „ახალი საქმიანობის" ლიტერატურას, 20-იანი წლების მიმდინარეობას, რომლის მრავალი წარმომადგენელი შემდგომ გერმანულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამამკვიდრებელი და დამცველი გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. ნაგულისხმევია შედარება იოჰანეს ფონ ალეშისთვის (1882—1967) მუზილის მიერ დამზადებულ ვარიაციულ ქრონოსკოპთან (ტაქისტოსკოპთან), რომელიც გამოიყენებოდა ოპტიკურ აღქმაზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად: ორი სხვადასხვა ფერის ფირფიტა დამაგრებული იყო ქრონოსკოპის ღერძზე, რომლის ბრუნვის დროს შერეული ფერადოვნება იქმნებოდა; ლიტერატურულ ნაწარმოებს მუზილი განიხილავს, როგორც სისტემას, რომელიც მთლიანობას იძენს მხოლოდ თითქოსდა მწერლის, და, შესაბამისად, მკითხველის, პიროვნული ღერძის ირგვლივ ბრუნვით; საზრისი სიტყვებში კი არაა, არამედ ცნების წარმომქმნელი სიტყვების მიქშირებად მოძრაობაში.

6. ერნსტ კრეჩმერი (1888—1964) გერმანელი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი იყო. საფუძველი ჩაუყარა თეორიას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ფსიქიკური თვისებები მისი ორგანიზმის კონსტიტუციითაა განპირობებული. კრეჩმერს ეკუთვნის კონცეფცია სხეულებრივი ორგანიზაციის სამი ძირითადი ტიპის — პიკნიკურის, ასთენიურის და ათლეტურის — შესახებ. კრეჩმერი ფიქრობდა, რომ კონსტიტუციური აგებულების პირველი ტიპი მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზისკენ იხრება, მეორე და მესამე ტიპი კი — შიზოფრენიისკენ.

7. მუზილს მემკვიდრეობაში აქვს თავისი ესსე „მწერლის შემეცნების ესკიზი" (1918), რომელშიც საუბარია სწორედ ამ ცნებების შესახებ. „რაციოიდურის" ცნებით მუზილი განსაზღვრავს მეცნიერული შემეცნების სფეროს, ე. ი. იმას, რაც ამოუწურავი სახით ეძლევა გონებას. იგი მოიცავს, უპირატესად, ფიზიკურ ბუნებას, სადაც ფაქტები ერთჯერად აღწერას ექვემდებარებიან. რაციოიდურ სფეროში გაბატონებული ადგილი უკავია იმას, რაც უცვლელი და მყარია, რაც არ შეიცავს გამონაკლისს. რაც შეეხება „არარაციოიდურის" ცნებას, იგი, უპირველესად, მხატვრულ შემეცნებას გულისხმობს. აქ, პირიქით, გამონაკლისი ბატონობს წესებზე, ფაქტები არ ემორჩილებიან შემმეცნებელს, ისინი „უსაზღვროდ ვერბალურნი და ინდივიდუალურნი" არიან. ესაა, მუზილის მიხედვით, ღირებულებებისა და შეფასებების, ეთიკური და ესთეტიკური დამოკიდებულებების, იდეების სფერო. ეს ორი სფერო ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ არარაციოიდურ სფეროში ფიგურების აგება შეუძლებელია რაციოიდური სფეროს გამოცდილების გამოყენების გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც „არარაციოიდურსა" და „ირაციონალურს" შორის არსებობს. ირაციონალური ისაა, რაც გონებისთვის მიუწვდომელია, ხოლო არარაციოიდური ისაა, რაც, მართალია, გონების კომპეტენციაში არ შედის და არ ემორჩილება მის მასქემატიზირებელ ლოგიკას, მაგრამ რაც, უკიდურეს შემთხვევაში, პოეტურ გამოხატვას ექვემდებარება. პოეზია, მუზილის აზრით, სწორედ ამ ველზე იწყება.

8. ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი (1874—1929) — ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი, სიმბოლიზმის და ნეორომანტიზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

9 ფრანც ბლაი (1871—1923) — ცნობილი მწერალი და ესსეისტი, ინტელექტუალური პროზის წარმომადგენელი; მუზილის მეგობარი და თანამოაზრე. ბლაი, მსგავსად მუზილისა, ფიქრობდა, რომ ლიტერატურა ამთლიანებს მატერიალურს და სულიერს, ისაა შეგრძნებათა კომპლექსი, — შემდგარი ელემენტებისგან, რომლებიც ეკონომიურს ხდიან აზროვნებას.

10. ჰორნბოსტელი ე. ფ. ფონ (1877—1935) — ავსტრიელი მუსიკისმცოდნე, შედარებით მუსიკისმცოდნეობაში ფუნდამენტური შრომების ავტორი, მუზილის მეგობარი.